პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
K 66.303/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონ ხუნდაძე

ნარკვევები

ფედერაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონ ხუნდაძე

899.962.109
ხ-931

K 66.303
3

ნარკვევები

სპებ-2000
ფვმოდვეგულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფედერაცია
19 თბილისი 41

ფედერაცია

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონ ხუნდაძე

1933 წლის 21 აგვისტოს ნაადრევად და მოულოდნელად, თავისი შემოქმედებითი ძალების სიმწიფისა და დავაჟკაცების ხანაში გარდაიცვალა ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესანიშნავი მკვლევარი, ნიჭიერი პუბლიცისტი და ლიტერატორი, ღრმა ერუდიციის პედაგოგი და ენერგიული საზოგადო მოღვაწე—სიმონ ხუნდაძე.

სიმონ ხუნდაძე დაიბადა 1894 წელს, გურიაში, ყოფილი ოზურგეთის მაზრის სოფელ კალაგონში. პირველდაწყებითი სწავლა ამავე სოფლის სამრევლო სკოლაში მიიღო. 1902 წლიდან იგი ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში სწავლობდა. მოწაფეობის წლებშივე გამოიჩინა მან განსაკუთრებული ნიჭიერება და დიდი მისწრაფება ლიტერატურისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საფუძვლიანად შესწავლისადმი. როგორც სერიოზულად მომზადებულმა და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებით აქტიურად დაინტერესებულმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ, მან მალე მიიპყრო მასწავლებლებისა და მოსწავლეთა საერთო ყურადღება. იგი იყო მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური მონაწილე.

მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პოლიტიკური ბრძოლის რთულ საკითხებში ჯერ კიდევ საკმაოდ გაურკვეველი ახალგაზრდა, იგი მაშინ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურად განწყობილ ინტელიგენციის გავლენაში მოექცა.

1914 წელს სიმონმა გიმნაზია დაამთავრა და უმაღლესი განათლების მისაღებად მოსკოვს გაემგზავრა, სადაც იგი უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. სტუდენტობის წლებში სიმონი დაუღალავ მუშაობას ეწეოდა თავისი ერუდიციის გაღრმავებისა და გაფართოებისათვის და ამავე დროს ენერგიულად მონაწილეობდა სტუდენტობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში.

1917 წელს სიმონ ხუნდაძე სამშობლოში დაბრუნდა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეუდგა, როგორც პროფესიონალი ჟურნალისტი და პუბლიცისტი.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების პირველი დღეებიდანვე სიმონ ხუნდაძე ენერგიულ მუშაობას იწყებს ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილის დასარაზმავად საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის პოზიციების გასამტკიცებლად. 1922 წელს საქართველოს საბჭოების პირველ ყრილობაზე სიმონი არჩეული იქნა საქართველოს ცკის წევრად და ა-კ. რესპუბლიკის საბჭოების ყრილობის დელეგატად. იგი ებრძვა გაცხოველებულ პოლიტიკურ მუშაობაში საბჭოთა საქართველოს სამეურნეო-პოლიტიკური ძლიერების ზრდა-განმტკიცებისათვის.

1924 წელს იგი კომუნისტური პარტიის რიგებში შედის და მას შემდეგ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე განუწყვეტლივ თანამშრომლობს გაზ. „კომუნისტში“ და სხვა ქართულ საბჭოთა პრესაში.

1923—25 წლებში სიმონ ხუნდაძე ამუშავებს მარქსისტულ-ლენინურ თეორიის ცალკეულ პრობლემებს და სწერს ნარკვევებს „მარქსისა და ენგელსის პოლიტიკა

ნაციონალურ საკითხში," „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი", „მარქსის ინტერნაციონალი", „თანამედროვე იმპერიალიზმის პრობლემები" და სხვ.

1924-25 წლებში სიმონი კვლავ მოსკოვშია უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების მიზნით. 1926 წელს ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გარდა უშუალო პედაგოგიური მოღვაწეობისა, პროფ. სიმონ ხუნდაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მთელი რიგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ისტორიულ და ლიტერატურულ ფაკულტეტებს და გატაცებით მუშაობდა უნივერსიტეტის ასპირანტურაში ახალგაზრდა მეცნიერულ კადრების აღზრდა-მომზადებისათვის.

1926 წლიდანვე შეუდგა იგი ინტენსიურ კვლევითი მუშაობას ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის დარგში. თავისი მეცნიერული კვლევის ძირითად საგნად მან აირჩია მე-19 საუკუნის მდიდარი და მრავალმხრივად საყურადღებო ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება.

„ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია ჯეროვანად არ არის დამუშავებული მარქსისტულ-ლენინური თეორიის თვალსაზრისით," სწერდა სიმონ ხუნდაძე და მან მთელი თავისი ცოდნა, ნიჭი და ძალ-ღონე ამ დიდი ხარვეზის შევსებას შეალია.

მრავალ სერიოზულ სიძნელესთან და დაბრკოლებასთან იყო დაკავშირებული ეს მუშაობა. ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების გასაშუქებლად, აუცილებელ უამრავი ფაქტიური მასალის დიდი ნაწილი, როგორც თვით სიმონი არა ერთხელ აღნიშნავდა,—არქივის მტვერით იყო დაფარული და მას ერთსა და იმავე დროს უხდებოდა ამ „არქივის მტვერის" დაძლევაც, პირველ წყაროების გამოძებნაც, დადგენაც და მთელ ამ მასალას განზოგადება და სისტემატიზაციაც მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების თვალსაზრისით.

ამავე დროს ჩვენი კლასიკური მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორია ამ წლებში გამძაფრებული იდეური ბრძოლის საგანს წარმოადგენდა. ერთის მხრივ აუცილებელი იყო ჩვენი კულტურული წარსულის მიმართ გამომუშავებული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონცეპციის მხილება და განადგურება, ბრძოლა პროლეტარული რევოლუციის მიერ დამარცხებული რეაქციულ კლასების ნარჩენებთან, რომლებიც ცდილობდნენ დაპატრონებოდნენ ქართული კლასიკური კულტურის ძვირფას საგანძურს, თავიანთ წინაპრებად გამოეცხადებიათ ქართული კლასიკური მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების უდიდესი კორიფეები.

მეორეს მხრივ, მწვავე და ცხოველი ბრძოლის ჩატარება იყო აუცილებელი კულტურული მემკვიდრეობის ათვისების ლენინურ-სტალინური თეორიის ფალსიფიკატორებისა და დამმახინჯებლების წინააღმდეგ, „მეჭარცხენე" ვულგარიზატორების წინააღმდეგ, საბჭოთა ხალხისა და სოციალიზმის საქმის ვერაგულად შენიღბულ მტრების წინააღმდეგ, რომლებიც ყოველმხრივად ცდილობდნენ გაებიაბრუებიათ დიდი ქართული კლასიკური მწერლობა, სახელი გაეტეხათ მისთვის, იგი თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიის კუთვნილად გამოეცხადებიათ და ამით შეეფერხებიათ სოციალისტურ კულტურის მშენებლობის საქმე.

იმ წლებში საქართველოს სამწერლო ორგანიზაციაში და სალიტერატურო პრესაში მოკალათებული იყვნენ გარეწარი „ავერბახელები". გასაგებია, რომ ისინი, გაცოფებულნი, წინააღმდეგობას უწევდნენ, სდევნიდნენ და გესლავდნენ კულტურულ ფრონტის ყოველ კეთილსინდისიერ მუშაკს და მათ შორის სიმონ ხუნდაძესაც, როგორც ქართული კლასიკური მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების მარქსისტ-ლენინელ მკვლევარს.

ასეთ რთულ წინააღმდეგობათა მიუხედავათ სიმონ ხუნდაძე დიდი პრინციპიალობით, ენერგიით და გატაცებით ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს. მან დასწერა მრავალი გამოკვლევა მე-19 საუკუნის დიდი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, დიმიტრი ყიფიანის, გიორგი წერეთლის, ივანე მაჩაბლის, სერგეი მესხის, ნიკო ნიკოლაძის, ეგნატე ნინოშვილის და სხვათა შესახებ.

მან მოასწრო ცალკე წიგნებად გამოეცა თავისი ნაშრომები: „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ (ორ ტომად). „ქართველი ინტელიგენციის პროფილები მე-19-საუკუნეში“, „ნიკო ნიკოლაძე“ (მონოგრაფია), „გიორგი წერეთელი“ (მონოგრაფია) და სხვ. ამასთანავე იგი ამუშავებდა მე-19-საუკუნის რუსულ ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიის პრობლემებს. მან დასწერა წიგნები: „ლევ ტოლსტოი და სოციალიზმი“, „ნ. გ. ჩერნიშევსკი“, „წერილები დიდი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის შესახებ“ და სხვ.

ამავე დროს სიმონ ხუნდაძე დიდ მუშაობას აწარმოებდა ქართული კლასიკური მწერლობის გამოცემისა და პოპულარიზაციის მიმართულებით. მისი რედაქციით დაწყებულ იქნა გიორგი წერეთლის, ეგნატე ნინოშვილისა და ნიკო ნიკოლაძის ნაწერების სრული აკადემიური გამოცემა. მისივე რედაქციის, ვრცელ წინასიტყვაობით და შენიშვნებით გამოიცა დიმიტრი ყიფიანის „მემუარები“.

სიმონ ხუნდაძე, როგორც ბოლშევიკი მეცნიერის ტიპი, არ განისაზღვრებოდა ვიწროდ გაგებული „აკადემიზმის“ ჩარჩოებით. კულტურული მემკვიდრეობის პრობლემებზე მუშაობისას იგი ცხოვლად ეხმაურებოდა მიმდინარე ლიტერატურულ ცხოვრების აქტუალურ საკითხებს და სწერდა ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს საბჭოთა მწერლების—გალაქტიონ ტაბიძის, სანდრო შანშიაშვილის და სხვათა შემოქმედების შესახებ.

მთელს ამ მეცნიერულ სალიტერატურო მუშაობას იგი ათავსებდა პრაქტიკულ-ორგანიზაციულ მოღვაწეობასთან სოციალისტური კულტურის ფრონტზე. იგი სხვადასხვა დროს იყო ჟურნალი „ქართული მწერლობა“-ს რედაქტორი, ხელმძღვანელობდა საქ. სახელგამს, გამომცემლობა „ფედერაციას“-ს, საქ. სახელმწიფო მუზეუმს და სხვა კულტურულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

სიმონ ხუნდაძეს შეექმნა ყოველმხრივად ხელისშემწყობი პირობები მისი სამეცნიერო ლიტერატურული მუშაობის უფრო ფართოდ გაშლისა და გაღრმავებისათვის, მაგრამ მას ეს აღარ დასცალდა. დაძაბულმა, დაუსვენებელმა შრომამ და ბრძოლამ გასტეხა მისი ჯანმრთელობა და იგი სრულიად ახალგაზრდა, ენერგიით და შრომის წყურვილით აღსავსე უეცრად გარდაიცვალა ტვინში სისხლის ჩაქცევით

მრავალი, დიდათ მნიშვნელოვანი განზრახვა დარჩა მას გაუხორციელებელი. თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში იგი მუშაობას იწყებდა მე-19-საუკუნის ქართულ მწერლობის ოთხ ტომიანი ისტორიის დასაწერად, რისთვისაც მთელი წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა მას უკვე ჩატარებული ჰქონდა.

მას გამოუცემელი დარჩა მონოგრაფია დიმიტრი ყიფიანზე (გამოიცა ავტორის გარდაცვალების შემდეგ) და გიორგი წერეთლის, ეგნატე ნინოშვილისა და ნიკო ნიკოლაძის აკადემიური გამოცემათა რამოდენიმე ტომი.

მთელი ეს მრავალმხრივი და ფხვი მისი კვლევითი ლიტერატურული მუშაობა დაზღვეული არ ყოფილა ცალკეულ ნაკლოვანებისაგან, ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მთელ რიგ პირველხარისხოვან პრობლემას იგი პირველად ამუშავებდა და ამუშავდება დამოუკიდებლად ლენინ-სტალინის დიად მოძღვრების თვალსაზრისით. ზემოდ აღნიშნულ სიძნელეთა და დაბრკოლე-

ბათა პირობებში იგი ყოველთვის როდი აღწევდა მის მიერ აღძრულ ყოველ პრობლემის უნაკლოდ გადაჭრას და გაშუქებას.

მაგრამ უდავოა, რომ სიმონ ხუნდაძემ დიდი სამსახური გაუწია ქართული მწერლობისა და კულტურის მარქსისტულ-ლენინური ისტორიის შექმნის საქმეს და მნიშვნელოვანად გაანაყოფიერა ნიადაგი ამ მიმართულებით შემდგომი მეცნიერულ მუშაობის წარმოებისათვის.

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს სიმონ ხუნდაძის იმ ნარკვევების კრებულს ქართულ მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, რომლებიც სხვადასხვა დროს ავტორმა დაბეჭდა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში და მათი ცალკე წიგნად გამოცემის გარეშე ისინი ძნელად მისაწვდომი იქნებოდნენ მკვითხველთა ფართო ფენებისათვის.

ბესარიონ ჟღენტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოეზი-საჩდაღი

1

გრიგოლ ორბელიანის პროფილი

„დიდებული განსვენება“

„მე არ მახსოვს, და ვგონებ არც თქვენგანი ვინმე უნდა იყოს მომსწრე, რომ ვისმეს ამ გვარი დიდებული განსვენება ჰღირსებოდეს საქართველოში“, — ასე ამბობდა აკაკი ამ 50 წლის წინეთ გრ. ორბელიანის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში.

მართლაც, იშვიათი და არნახული დასაფლავება იყო. „ქუჩებში ტევა არ იყო,“ „სამოქალაქო და სამხედრო გენერლების“ გვერდით უამრავი სხვადასხვა პროფესიისა და ეროვნების ხალხი იყო შეკრებილი. „სამწუხარო პროცესიას წინ მიუძღოდა დეპუტაციები სხვადასხვა დაწესებულებათა და საზოგადოებათა გვირგვინებით. ორმოცამდე გვირგვინი იყო“.

აღსანიშნავია გვირგვინთა მრავალფეროვანება. რეპორტიორი გადმოგვცემს: „პირველად მიჰქონდათ ქალაქის ხალხის ბაყლებისგვირგვინი ზედ წარწერით:

„შენ ძმას დაცემულს ხელს აძლევდი,—რომ აღგედგინა“

მეორე გვირგვინი იყო მელიქიშვილის სტამბის მუშებისაგან შემდეგის წარწერით:

„შენ, იცოდი, რომ არიან ღარიბნიც,
არის სადმე სიმწარითა ცხოვრება“.

მეცხრე — „შრომის“ რედაქციისაგან ზედ წარწერით:

„ლექსთა მეფეს“

მეთერთმეტე — „დროების“ რედაქციისაგან ზედ წარწერით:

„მეფეს სიტყვისას“

შემდეგი გვირგვინები თავად-აზნაურთა, სამხედრო დაწესებულებათა, პოლკებისა და პირთა, და სხვ.

„დეპუტაციებს მისდევდა გარდაცვალებულის ორდენები, რომელნიც ათს ხავერდის ბალიშზედ იყო დაწყობილი.

კუბო სამხედრო და სამოქალაქო ღირსებებს მიჰქონდათ.

„სოფლის ნაცვლებმა და მამასახლისებმა დაძრეს თეთრი დროშა, რომელზედაც იყო გამოხატული ორბელიანთა ღერბი; დროშა მთელი პროცესიის წინ ფრიალებდა და ამას თან მიჰყვებოდა ათასობით ხალხი.

„გარეთ ქუჩებში პირველად იდგნენ ამქრის წარმომადგენელნი თვრამეტი ბაირაღით, მარცხენა მხარე მთლად ჯარს ეჭირა... ბანები, სახურავები, ფანჯრები და დერეფნები იმ ქუჩებისა, სითაც გაემართა პროცესია, გაჭედილი იყო ხალხით. ქუჩებში ტევა არ იყო“.

ეს დიდი და მრავალფეროვანი „სამწუხარო პროცესია“ ი. ჭავჭავაძის მჭექარე ორატორულმა სიტყვებმა დააგვირგვინა:

„იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა, იგი იყო „მეფე“ ჩვენის სიტყვიერების, ძალ-ღონისა და „სიმდიდრის“.

მაგრამ საქართველოს დიდი პოეტის თქმას კავკასიის ჯარის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი, დიდი ღენერალის ჯომარჯიძის სიტყვა ეჯიბრება:

„დიდებულო წინამძღოლო ჩვენო! შენის მაღალის სახელით დამშვენებულია ფურცელნი კავკასიის ომიანობის ისტორიისა“.

დიდი ქართველი პოეტისა და დიდი რუსის ღენერალის გვამს „ხელმწიფე იმპერატორის“, ალექსანდრე მესამეს ცრემლებიც დაეპკურა. თ. ლ. მელიქიშვილმა ტელეგრამა გამოაქვეყნა:

„ღრმად ვმწუხარებ ესრეთის კეთილ-შობილის და პატივსაცემის პირის სიკვდილით.“

„სამწუხარო პროცესიამ“ დასასრულს მიაღწია. რეპორტიორი დაასკვნის:

„სამ საათს ოცი წამი (1883 წ. მარტის 26-ს) აკლდა, როდესაც გოლოვინის პროსპექტზე გაისმა თოფების სროლა და კვირაცხოველიდამ იგრიალეს ზარბაზნებმა. ეს ის წამი იყო, რ'ოდესაც ჩვენი დიდება, ჩვენი მზე ჩაასვენეს საფლავში“ (იხ. „დროება“ № 65, 1883 წ.).

მაგრამ „ჩვენი დიდება“, „ჩვენი მზე“ ყველასათვის ვერ ანათებდა თანაბრად: ამ „საერთო აღტაცებაში“ თავისებური დისონანსი შექონდა არანაკლებ დიდი პოეტის აკაკის დიპლომატიურად წარმოთქმულ სიტყვას:

„კაცის ნამსახურის დავიწყება და დაუფასებლობა უმადურობაა ჩვენის მხრით, გაზვიადება და ნამეტანობა კი შეცდომა, რადგანაც ამით ნამდვილი ღირსებაც იჩრდილება... დიაღ, დიდხანს იცოცხლა განსვენებულმა მამულის შვილმა, მამაცად განვლო ეს ბოროტების საფრთხით სავსე ქვეყანა, არც ერთხელ ფეხი არ

წამოუკრავს... ეჰ, რაღა დაგვრჩენია მეტი, ვისურვოთ, რომ შემდეგმა საუკუნეებმა მოგვიმზადონ ნამდვილი მამულის შვილები“ („დროება“ № 66, № 1883 წ.).

აქ უკვე საგრძნობი, იმერულ ყაიდაზე გადაკრული, დისონანსი მეტყველებდა: მართლაც, პოეტს არ სწამდა გრ. ორბელიანის არც „ლექსთა მეფობა“ და არც მისი მამულის შვილობა. ათეული წლების შემდეგ პოეტი თავის მოგონებაში სწერდა:

„დიდებული ჩამომავლობის, მთავრობის მაღალხარისხოვანი ხელჯოხიანი, ბუნებითაც დიდი ნიჭიერი იყო გრ. ორბელიანი, მაგრამ არც ერთ ამ ღირსებათაგანს ნაყოფი არ მოუტანია სამშობლოსათვის: როგორც საისტორიო გვარისშვილს, — ისტორიული არა დაუტოვებია რა, როგორც მაღალხარისხოვანს—ქვეყნისათვის არა გაუკეთებია რა და, როგორც დიდბუნოვან მგოსანს—მწერლობაში კვალი არ დაუსვამს“ (იხ. ტ. 1—გვ. 92.)*

„მხნე მეომარი და გამოჩენილი მმართველი“

ვის უფრო გლოვობდა მაშინდელი საზოგადოება გრ. ორბელიანის გარდაცვალებით: „ლექსთა მეუფეს“, „მხნე მეომარს“, თუ „გამოჩენილ მმართველს?“

---

* უფრო მკვეთრად და გადაჭრით გამოსთქვა თავისი აზრი გრ. ორბელიანის მეხოტბეთა წინააღმდეგ, ცნობილმა ნაროდნიკმა ეგნატე იოსელიანმა პოეტის დასაფლავების მეორე დღესვე იგი სწერდა:

„...მრავალ ნაკლულევანებასა ვხედავთ ჩვენ განსვენებულ პოეტის საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობაში... დაუმალავად, პირდაპირ ვაღიარებთ — თუმცა იქნება ზოგმა საწყენადაც მიიღოს ჩვენი აზრი,—რომ პოეტის შრომა და ღვაწლი ერთიორადაც რომ გადაიქცეს, მაშინაც ვერ დაისაკუთრებს საქართველოს დიდებას და მისი სიკვდილი ერს უკუნ სიბნელეს ვერ მოჰფენს.

...გრ. ორბელიანი რაც უნდა მაღალის ნიჭის კაცი ყოფილიყო, რაც უნდა დიდი ნაღვაწი დაეტოვებინა სამშობლოსათვის, მაინც მისი შრომა შეადგენდა მხოლოდ მცირედ ნაწილს ნაციონალური სიმდიდრისას... მოუფიქრებელმა ბაასმა პოეტის გრ. ორბელიანის დასაფლავების დროს მოგვაგონა ეს რამდენიმე აზრი. ზოგიერთი მაღალი ფრაზები, გრ. ორბელიანის მოთქმეთაგან წარმოსთქმულნი, ადვილად აგრძნობინებდნენ მკითხველს, რომ თვით ავტორს არ ესმის პოეტის მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურისათვის... სულ სხვა სურათს წარმოადგენს პოეტის მდგომარეობა, როდესაც თავს შორს იჭერს ცხოვრებასთან, ან დამღერის უმნიშვნელო, გაუგებარის ლექსით... ვინც ხალხს მხარში არ უდგია, არ შველის, არ უქარვებს მწუხარებას, მას ძნელად შეუძლიან ჩაბეჭდოს ხალხის გონებაში თავის სახელი. ვერაფერი ქება იყო გარდაცვალებულის პოეტისა საფლავში ჩაშვების დროს ეს სიტყვები: ეს ჟამი იყოს, როდესაც ჩვენი მზე, ჩვენი დიდება საფლავში ჩავასვენეთო.“ (ეგ. იოსელიანი: „გრიგოლ ორბელიანი.“ „ივერია“ № 4 გვ. 71, 72, 74,—5, 1883 წ.) ასე აფასებდა წვრილ-ბურჟუაზიული ახროვნების წარმომადგენელი გრ. ორბელიანის შემოქმედებასა და ღვაწლს.

ზოგს „სიტყვის მეუფე“ მოსწონდა გრ. ორბელიანში, ნაწილს—დიდი მეომარი და სარდალი, დანარჩენებს კი—დიდი ჩინოვნიკი და ყაფლანიანთა გვარიშვილობა. საერთოდ კი, მაშინდელს ჯერ კიდევ განუვითარებელს სოციალურ ურთიერთობაში, მთელი საზოგადოება ეპოქის გმირს ხედავდა, „ჩვენს დიდებას“, „ჩვენს მზეს სხივმფქვეველს“ აღმერთებდა. შემთხვევით არ სწერდა ი. მეუნარგია: „მთელი ჩვენი საუკუნე სავსეა გრიგოლ ორბელიანის სახელით... ეს ოთხმოცი წელიწადია, მის პიროვნებას ვხედავთ ჩვენი სამშობლოს ისტორიის ყოველს ფურცელზე. იშვიათი პოეტი, ისეთი პოეტი, რომლის ზემოდ მარტო ერთი რუსთველი ღა არის, უცხო მოსაუბრე, მხნე მეომარი, გამოჩენილი მმართველი“... (დროება № 61, 1883 წ.).

მეუნარგიას პირით მაშინდელი გაბატონებული საზოგადოებრივი წრეები მეტყველებდნენ, ის წრეები, რომელნიც ჰქმნიდნენ საზოგადოებრივ აზრსაც და განწყობილებასაც. გრ. ორბელიანმა თავისი ხანგრძლივი ცხოვრება დიდებასა და ზეიმში გაატარა, ამავე დიდებითა და ზეიმით ჩავიდა ღრმად მოხუცი საფლავში. მაგრამ დრომ თავისი ჰქნა: შემდგომმა ეპოქამ გრ. ორბელიანს ეს დიდებისა და „მეუფეობის“ გვირგვინი ჩამოაცალა: საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ნათელი გახდა, რომ ამ დიდად ნიჭიერი პიროვნების სამოღვაწეო სარბიელი „ორბელიანთა სისხლის სიღარიბისა“ და ამ „საშინლად დასჯილ გვარის“ აღდგენისაკენ იყო მიმართული. კრიტიკულად მოაზროვნე თაობამ ნათლად დაინახა, რომ გრ. ორბელიანისათვის „პოეზიის სამეფო“ და ლიტერატურული ტახტი სხვათა შორისი საქმე იყო, რომ მას თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით მნიშვნელოვანი კვალი არ დაუმჩნევია ჩვენს მწერლობაში „სიტყვის მეფის“ მუხამბაზები ვერას გზით ვერ დასძლევდნენ ბესიკის „სევდის ბაღში“ გაფურჩქვნილ „მუხამბაზებს“, ხოლო „ლექსთა მეფის“ პოეტური სიღრმე ვერ დაეწეოდა „უგზო-უკვლოდ მქროლავ“ მერანზე მჯდომ ჭაბუკ ნიკო ბარათაშვილის პოეტურ გაქანებას. ნათელი შეიქმნა აგრეთვე, რომ „მხნე მეომარი“ და „დიდი სარდალი“ რუსეთის თვითმპყრობელობის ხიშტებითა და ზარბაზნებით გზას უკაფავდა ამ თვითმპყრობელობის იმპერიალისტურ - კოლონიალურ პოლიტიკას კავკასიაში, ხოლო „გამოჩენილი მმართველი“ სისხლით, სახრჩობელათი და ციხეებით ამტკიცებდა ბიუროკრატიულ - პოლიციურ წყობილებას ჩვენში.

გრ. ორბელიანი თავისი ეპოქის ღვიძლი შვილი იყო, იგი ყაფლანიანთა დიდი გვარის უკანასკნელი მოგიკანი იყო. როგორც ეპოქის შვილმა და დიდი გვარის წარმომადგენელმა გრ. ორბელიანმა თავიდანვე თავისი ნიჭი იმ სარბიელზე სცადა, რომელიც უფრო

შეესაბამებოდა მის საზოგადოებრივ ყოფას. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 1816 წ. იგი სამხედრო სამსახურში შევიდა იუნკრად. პირველი ჩინი მიიღო 1821 წ. და ამ დროიდან მოკიდებული 1858 წლამდე, განუწყვეტლივ მსახურობდა სამხედრო სამსახურში და დიდ წარმატებასაც მიაღწია. 1857 წ. იგი დაინიშნა მეფე ალექსანდრე მე-2-ესთან ღენერალ-ადიუტანტად. 1826—29 წლებში ორბელიანი მონაწილეობას ღებულობდა სპარსეთთან და ოსმალეთთან ომებში. 1831-38 წლებში იგი მსახურობდა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ორბელიანის სამხედრო კარიერა ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ და იგი დაჯილდოებულ იქნა ჩინებითა და ორდენებით. 1840 წ. იგი კიშილისა და მაღლად-ღეთის აჯანყებულ სოფლებს ამშვიდებდა ზარბაზნებით, ხოლო 1841 წელს არღუთინსკთან ერთად ანადგურებდა გურიის აჯანყებულ სოფლებს. 1843 წ. იცავდა ავარიის მხარეს შამილის შემოტევისაგან. ამის შედეგად იმავე წელს იგი დაინიშნა ავარიის მმართველად („ავარიის ხანი") 1843 წ. იგი სწერს მ. არღუთინსკის:

„პირველნი იმათნი კაცნი დიდროანის ხუნდებით ჩავყარე ნაობახტში და გამოუცხადე ხალხსა, რომ ამათ სუყველას დავახრჩობ. შეიყარნენ ყადიები, ბეგაულები, მუხლთ-მოდრეკით მთხოვეს პატიება, მეც, რასაკვირველია მეამა ესე და ამათ პატივისცემით ისინი დავიხსენ სიკვდილისაგან, მაგრამ ერთი თვე შევინახე ტუსაღხანში. დავიწყე სოფელში სიარული და ქადაგება—ქადაგება ძალიან საქმესა შვრება აქა—და ახლა მერწმუნეთ, კნიაზო, ასე რიგად გამიჩარხავს ხალხი, რომ მარტო მე აქაურობით შევებმი შამილს" (იხ. ი. მეუნარგიას: „ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა" გვ. 42).

პოეტი არც ტრაბახობდა და არც ხუმრობდა. ქართველი პოეტი და რუსი სარდალი ენერგიულად და სერიოზულად აკეთებდა რუსეთის თვითმპყრობელობისა და კაპიტალის საქმეს: ცეცხლითა და მახვილით იმორჩილებდა მეამბოხე სოფლებსა და ქვეყნებს. მისთვის სულ ერთი იყო აჯანყებული გურიის გლეხობა, მეამბოხე ავარიელები, ურჩი ლეკები, თუ შამილის უძლევი არმია: ორბელიანში „ქვეყნის მმართველისათვის საჭირო მტკიცე და ულმობელი ხასიათი" მეტყველებდა; იგი „ურჩთა და ორგულთა სჯიდა სასტიკად სამაგალითოდ" („მეუნარგია). ლეკებთან ბრძოლის დროს იგი სწერდა სხვადასხვა პირებს: „ესა და ეს სოფელი სულ მოვახნევინოთ ნიშნად სრულიად აოხრებისა." „ამათი სისხლი დავლიოთ". ძმას ზაქარიას სწერდა: „რატომ მეც მანდ (ომში) არა ვარ, რომ ერთი მათგანის (ლეკის) სისხლი დავლიო და შეუბრალებლად ვტანჯვიდე ცოცხლად" (მეუნარგია—გვ. 43). ორბელიანის

საბედნიეროდ, თუ საუბედუროდ ეს სისხლიანი გაბოროტებული წერილი ისტორიამ შეუნახა ჩვენს თაობას, ხოლო მისმა მეხოტბე-პრინცმა რაფმა თავი ვერ შეიმაგრა და გამოაქვეყნა.

1844—46 წლები პოეტმა-სარდალმა ლეკებთან ბრძოლაში გაატარა. 1847 წ. იგი დაინიშნა აჰბერანის პოლკის უფროსად 1848 წ. ომებში გამარჯვებული სარდალი-პოეტი თავის ძმას ილიას სწერდა: „სოფელი ისე დავანგრიეთ, რომ საცა იყო გერგებილი, იქ ახლა დარჩა მხოლოდ სალი კლდე.“ 1849 წ. ორბელიანი გენერალ-მაიორის ჩინით არის დაჯილდოებული და განიერ მკერდს სტანისლავის პირველი ხარისხი უმშვენებს. იგი თავის ძმას ილიას სწერს: „მომივიდა ვარსკლავი.—მინდა ქირმალამის ხალათზედ დავიკერო და კნიაზ პატიომკინისავით დიდკაცურად, ნებიერად გავწვე დივანზედ“.

1850 წ. ორბელიანი დანიშნეს ჭარ-ბელაქნის სამხედრო მაზრის და ლეკების საზღვრის უფროსად. ამ მხარეში არეულობა სუფევდა. მისი ბიოგრაფი სწერს: „მიუცილებელმა ადმინისტრატიულმა საჭიროებამ აიძულა პოეტი ეხმარა არა პოეტური ღონისძიება: თავები და ხელები ეჭრევინებინა ყაჩაღებისათვის“ (გვ. 46) თვით პოეტი სწერს ილიას: „ნელ-ნელად თავებს ვაჭრევინებ და აქამდის გავაბედვინე ხალხსა, რომ თვითვე გამოაშკარავებით მოაქვთ ჩემთან თავები და ხელები ყაჩაღებისა“.

1852 წ. იგი კასპიის მხარეთა ჯარების მთავარ სარდალია და სამოქალაქო ნაწილის გამგე. ორბელიანმა სამოქალაქო საქმეებში „დრაკონის კანონები შემოიღო“ (მეუნარგია). იგი ვორონცოვს სწერდა:“ „თუ რომ გუბდენის მცხოვრებნი გონს არ მოვლენ, ნება მიბოძეთ, ისე დავსაჯო ისინი, რომ შვილებმა მამების ნასახლარს ველარ მიაგნონ“. სისხლმა და რბევამ ისე გაიტაცა პოეტი-სარდალი რომ, როდესაც მას ეწვია ვორონცოვი სახლში იმ მხარის დასათვალიერებლად, იგი სწერდა ილიას: „ამ წყეულს ზაქათალაშიაცა არა არი რა სრულებით იმისთანა ნუგბარი კნეიანის მისართმევად და თუ მირჩევ ორიოდ ყაჩაღის თავებს მოვაჭრევინებ და მივართმევ“.

1853—55 წლებში ორბელიანი კვლავ შარას მმართველია. პოეტი-სარდალი ვორონცოვის პოლიტიკის ერთ-ერთ მარჯვე ძალად გადაიქცა. იგი ქედს იხრიდა ვორონცოვის წინაშე და მისი უაღრესი პატივისმცემელი იყო. 1854 წ. როდესაც ვორონცოვი განთავისუფლებული იქმნა, ორბელიანი სწერდა მას: „განვლიან მრავალნი წელნი, რიგ-რიგით დაიჭერენ აქ თქვენს ადგილს, მაგრამ თქვენს მაგიერობას კი მაინც ვერავინ გაგვიწევს და დიდ-ხანს, დიდ-ხანს ველარ მიეჩვევა ჩვენი თვალი ტფილისის ახალ მმართველებსა.“

კარიერისა და ჩინ-მენდლების მოტრფიალე პოეტი-სარდალი ძლიერ ადრე შეეჩვია და შეეტკბილა ახალ მმართველებსაც: ბარიათინსკი და დიდი მთავარი ორბელიანის უერთგულესი მფარველები შეიქმნენ.

1855—65 წლებში გრ. ორბელიანი დაუცხრომელ ბრძოლებს აწარმოებდა ლეკებთან. 1855 წ. იგი სწერდა დ. ჯორჯაძეს: „მცხოვრებნი ახლა თავ-პირში იცემენ, ჰხედავენ რა, თუ როგორ ინგრევ-იქცევა-იწვის მართლად მშვენიერად აშენებული თლილის ქვით ჩუქურთმიანნი სახლები. ამ ორს სოფელში უშვებ მხოლოდ ერთს მეჩეთსა და დანარჩენსა კი ვსთხრი ძირიანად. — ამა ორის სოფლის აოხრებამ შეაძრწუნა ტაბახარანი და ყაითაღი და ახლა მოდიან დეპუტატები ერთგულებისა და მორჩილებისა განცხადებისათვის."

ორბელიანას მათრახი და რისხვა მარტო ყაჩაღებს, მეამბოხეთა, გლეხებსა და მათ მეთაურთ არ ხვდება. იგი არ ინდობს არც მაღალ წოდების წარმომადგენელთა და არც მწიგნობართა. პოეტი სწერს: „გუშინ ერთი შიხმაჰმადის თანაშემწე მომგვარა ჯამბეგის შვილმა, დიდი თურმე მწიგნობარი, სახელად აბდულ-ყადიბ-ყადი. ჯერ შარიათის თვისვებაა ასე. აუხსენი, რაი არს სწორე შარიათი და მერე გავამათრახე, ასე რომ ჩემს შარიათსა არ დაივიწყებს, თუ ცოცხალიღა დარჩა."

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ, კავკასიის მეფის მოადგილედ დაინიშნა ცნობილი ბარიათინსკი. ამ პერიოდში გრ. ორბელიანს ფართო გზა გაეხსნა: მან სამხედრო და სამოქალაქო იერარქიის უმაღლეს ხარისხს მიაღწია. ბარიათინსკის პოეტი-სარდალი დიდი აღფრთოვანებითა და შიშით მიეგება. დაღესტანით მომავალ მეფის მოადგილეს იგი პეტროვსკში მიეგება და აღტაცებულ სიტყვაში შემდეგი აღნიშნა:

„დეე, აკურთხოს ღმერთმა თქვენი ამ ქვეყნად მობრძანებაცა და დიდებულ ტახტის წინაშე შემდგომი სამსახურიც, იმ მრავალ ათასოვან ერისა და მხედროების სადღეგრძელოდ, რომელიც ასე აღტაცებით მოგელისთ. ახარებთ მუდამ გული მეფისა მარადის სახელოვნისა და თქვენის ღვაწლითა".

ეს არ იყო დიპლომატიური ენით წარმოთქმული სიტყვა მოვალეობის აღმასრულებელ სარდალისა და მოხელის, ორბელიანი მთელი თავისი შეგნებითა და პოლიტიკური რწმენით ლაპარაკობდა. ამ სიტყვაში გამოთქმული იყო გრ. ორბელიანის მთელი პოლიტიკური კრედო, მაგრამ მისი პირით საქართველოს წარჩინებული წოდება მეტყველებდა. დიდებულ ტახტის „ერთგულება", დიდი სამშობლოს სამსახური და საქართველოსადმი სიყვარული — ამაში გამოიხატებოდა ამ ბრწყინვალე წოდების პოლიტიკური შეგნება. გრ. ორბელიანმა

ეს აზრი გაატარა არა მარტო ოფიციალურ სიტყვაში, არამედ თავის ნათესავისადმი გაგზავნილ ინტიმურ წერილშიაც. იგი წერს: „მოდის თქვენკენ მთავარმართველი კნიაზი ბარიათინსკი, კაცი, საგან დალოცვილი, სრული ყოვლისფრით: გულით, გონებით, კეთილ განმზრახველობით, — მოდის დიდი სიყვარულით, დიდის სურვილით საქართველოს გაბედნიერებისათვის. ღმერთმან მისცეს შემწეობა თვისი და სიცოცხლე აღსრულებისათვის ყოვლისა მის, რაიცა მიამბო თავის პლანებიდამ. ხელმწიფესა და თვით ღმერთსა ჰყვარებია საქართველო, რომ ეს კაცი გამოგზავნეს აქა — მთავარმართველად. აბა რაც შეგეძლოსთ, მხიარულობით მიეგებენით: ზურნით, ნაღარით, ცხენის ჭენებით, ყიჟინით, ყვირილით, ვინც როგორ იცოდეთ, ისე მიეგებენით, სულ ბაირაღებით“ (იხ. მეუნარგიას წიგნი — გვ. 68).

ბარიათინსკის მეფის მოადგილედ დანიშვნამ ომი შამილის წინააღმდეგ უფრო გააცხოველა და ფაქტიურადაც დაამთავრა იგი არსებითად გუნიბის დამხობითა და შამილის დატყვევებით (1859 წ). დამთავრდა ის 60-წლიანი ომი, რომელსაც რუსეთის თვითმპყრობელობა აწარმოებდა ამიერ-კავკასიის დაპყრობისათვის. შამილის წინააღმდეგ წარმოებული ოცდაათწლიანი მკაცრი, მრავალი ეპიზოდებით აღსავსე ომი, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენდა ამ ომის ისტორიაში. შამილის დამარცხების შემდეგ მხოლოდ უმნიშვნელო შებრძოლებანი მოხდა სხვა ტომებთან რუსეთის ბიუროკრატიულ-პოლიტიკური აპარატის გასამტკიცებლად მთელს კავკასიაში.

შამილის დამარცხებით ბარიატინსკის სახელი დიდად გაითქვა, მაგრამ ბარიათინსკის სტრატეგიულ გეგმებს გრ. ორბელიანის გამოცდილი სარდლური ნიჭიც უწყობდა ხელს. 1857 წ. ორბელიანმა რამდენჯერმე დაამარცხა შამილის ჯარი სალათავიაში და ბოლოს ბურთუნაიცა აიღო. პოეტი-სარდალი სწერდა ყაფლან ორბელიანს: „თიბათვეში ამოველ ჯარითა სალათავიაში, სადაც ვაშენებთ ციხესა. შამილიც იყო აქ დიდის ჯარითა, ქურდსავით ტყეში იდგა და რამდენჯერაც გამოვიდა ტყიდან იმდენჯერ დამარცხებული, ცხვირ-პირ-ჩამტვრეული მირბოდა. 24 ივნისს ვეება ხევი ავავსე იმათი დახოცილებითა. ორნი ნაიბნი და მრავალნი მწიგნობარნი ყადიები სულ შტიკებზე ავაგებინე იმ დღეს ოთხასზე მეტი დაიხოცა იმათას.... დღეგრძელობა შენ გქონდეს რომ მე ისინი დათვსავით ვაღრიალე და კახეთის სისხლი ავიღე.“ (იქვე. 69 — 70).

ამ „ბრწყინვალე“ გამარჯვებამ გრ. ორბელიანს გენერალ-ადიუტანტობის ჩინი შესძინა და ხელმწიფე იმპერატორის სვიტაში ჩაერიცხა. ბარიატინსკიმ თავისი აქსელბანტები გაუგზავნა. ორბელიანის

გამარჯვებით თავბრუდახვეული მეფისმოადგილე შემდეგ საინტერესო წერილს სწერდა მას:

„აღარ მაცდით თითქოს, გონს მოვიდე, უპატივცემულესო თავადო გრიგოლ დიმიტრის-ძე, ისე თავბრუს მხვევთ. თითქმის ყოველ დღე თქვენის ბრწყინვალე და ჩინებული გამარჯვებათა გრგვინვა-ქუხილით... ხვალ ვატან თქვენს მოხსენებას ფელდმარშალ იმპერატორისათვის წარსადგენად, რომელიც. ეჭვი არ არის, მოხარული იქნება თავის ახალ გენერალ-ადიუტანტის „წარმატებისა“ (გვ. 71). 1858 წ. დამთავრდა გრ. ორბელიანის სამხედრო სამსახური დიდის გამარჯვებითა და წარმატებით. მან დიდი ამაგი დასდო რუსეთის მხედრობას ამიერ-კავკასიის დაპყრობის საქმეში, განსაკუთრებით შამილის და ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1858 წ. გრ. ორბელიანმა ახალი წარმატება მიიღო, მაგრამ ახლა სამოქალაქო-ადმინისტრატიულ სარბიელზე: იგი დაინიშნა მეფის მოადგილის საბჭოს თავმჯდომარედ და ძლიერ ხშირად რამდენიმე წლის განმავლობაში მეფისმოადგილის თანაშემწის მოვალეობასაც ასრულებდა. 1860 წ. მან ტფილისის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაც მიიღო. ამ თანამდებობების ასრულების დროსაც იგი უერთგულესი გრძნობებით ხელმძღვანელობდა და ენერგიულად ამტკიცებდა რუსეთის ცარიზმის პოლიტიკურ აპარატს ამიერ-კავკასიაში. ბარიათინსკის ავადმყოფობის დროს ორბელიანი დიდი ხნის განმავლობაში ასრულებდა მის თანამდებობას. 1862 წ. ორბელიანმა უმაღლესი რესკრიპტი მიიღო, რომელშიაც ვკითხულობთ:

„...განთავისუფლებთ რა კავკასიის ნამესტნიკისა და მხედრობის მთავარ სარდლის თანამდებობისაგან, ჩემდა სამართლიან მოვალეობად ვცნობ განგიცხადოთ გულითადი მადლობა იმ სასარგებლო მოღვაწეობისა და წარმატებულ განკარგულებათათვის, რომლითაც ჩემი ნდობა გაამართლეთ სრულიად“.

როგორც ვხედავთ, ორბელიანმა სავსებით და მთლიანად დაიმსახურა მეფის ნდობა: იგი „დიდებული ტახტისა“ და „დიდებული მეფის“ უერთგულესი მოსამსახურე იყო. 1862 წ. კავკასიის მეფისმოადგილედ დაინიშნა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე, რომელიც 1882 წლამდე იყო აქ. გრ. ორბელიანი კვლავ უმორჩილესი გრძნობით აღივსო და სწერდა: „ვითარცა უდიდესი გულთამხილავი, მიუხვდა ხელმწიფე აქაურ ერის გულის წადილსა და კავკასიის მეფისმოადგილედ დიდი მთავარი დანიშნა. დანიშნულება ესე ჩვენის ქვეყნისადმი ხელმწიფის ახალსა და განსაკუთრებულს მოწყალებას მოასწავებს“. 1866 წლამდე ორბელიანი თავის ძველ თანამდებობაზე იყო და დიდ დახმარებას უწევდა დიდ მთავარს. ამ წელს იგი იმპე-

რატორის სახელმწიფოს საბჭოს წევრად იქნა დანიშნული და უკანასკნელ წუთამდე მხოლოდ ამ თანამდებობას ასრულებდა ნომინალურად. მისი მოღვაწეობიდან 1866 წლამდე არ შეიძლება არ აღინიშნოს შემდეგი ორი მომენტი: 1863 წ. ზაქათალის მაზრაში მოხდა ლეკების აჯანყება, ორბელიანი გაგზავნილი იქნა ამბოხების ჩასაქრობად და მან ერთხელ კიდევ შეღება აჯანყებული გლეხთა სისხლით ზაქათალის ველები.

1865 წ. ტფილისში მოხდა ამქრების აჯანყება, რომელმაც მთელი რუსეთის რეაქციონური ძალები და ევროპის ლიბერალური პრესაც აალაპარაკა. ამ აბჯართა წრიდან გამოსულ ლოპიანას მეხოტბე პოეტმა-სარდალმა ეს აჯანყება მახვილით ჩააღრჩო და გაღატაკებულ წვრილი ბურჟუაზიის სისხლით შეღება ტფილისის ქუჩები. ეს აჯანყება გამოიწვია ქალაქში შემოღებულმა გადასახადმა, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვა წვრილ ხელოსნებსა და ვაჭრებს. გრ. ორბელიანმა ჯერ მშვიდობიანი საშუალებით მოინდომა აჯანყებული ხალხის დამშვიდება. იგი თავის გვარიშვილობის ავტორიტეტით იყო დაიმედებული და თვითონ გავიდა მოედანზე. პოეტმა—მეფისმოადგილემ ხალხს მიჰმართა:

— შვილებო, გონს მოდით, დამშვიდდით. კანონი ყველასათვის ერთია. კაცი მთავარ-მმართველი ვარ და ცხენის ხარჯს მეც ვიხდი.

— ეჰ, დალოცვილო, — უპასუხა პოეტს ერთმა კინტომ, — თქვენი საქმე სულ სხვა არის. თქვენ ცხენს ინახავთ, ჩვენ ცხენი გვინახავს, აი რა განსხვავება არის ჩვენს შორის. საიდან მივცეთ მომეტებული ხარჯი, თუ არ გვაქვს (მეუნარგია გვ. 90).

ხალხი დაჟინებით მოითხოვდა გადასახადების მოხსნას. ორბელიანი „კანონიერების“ ნიადაგზე იდგა. ხალხისაგან მორჩილებას მოითხოვდა. „კოლოკოლში“ რიონელი სწერდა: „როდესაც ხალხმა პოლიციასთან თავი მოიყარა, ქართველმა ულტრასენტიმენტალისტმა პოეტმა და ზომიერად „მომეშჩანე“ რუსმა ვიცე-მეფისნაცვალმა ორბელიანმა წაიბურტყუნა: ქალაქის საზოგადოებამ, რომელიც რკინისგზისა და მიმოსვლის რიგიან საშუალებას მოითხოვს, გადასახადზე უარი არ უნდა სთქვასო (ნ. ნიკოლაძე: „რჩეული ნაწერები“ ტ. 1 გვ. 200).

ხალხის არეულობა ორბელიანმა იარაღით ჩაახრჩო. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი: ხალხის დამშვიდების შემდეგ საჭირო იყო დამნაშავეების გამოძებნა: გრ. ორბელიანმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ საქმეშიაც. მის არქივში არის რამოდენიმე დოკუმენტი, რომლიდანაც მტკიცდება, რომ მას საიდუმლოდ უგროვებია ცნობები აგენტებისაგან თუ ვინ იყვნენ „გალავას სახლის აკლების დროს“, და სხ.

(იხ. საქართველოს მუზეუმი გრ. ორბელიანის არქივი, № 155 ა. 185 ა).

ასეთი იყო გრ. ორბელიანი, როგორც მმართველი და რუსი ადმინისტრატორი.

ამ ამბოხების ჩაქრობასთან დაკავშირებით გრ. ორბელიანის შესახებ მრავალგვარი ინტერპრეტაციები ითხზვება. ი. მეუნარგია თავშეუკავებლად ამართლებს ორბელიანს, რომ მისი „ბრძანებით ტფილისის ხალხს თოფი ესროლეს“, მაგრამ კიდეც უსაყვედურებს: „თურამ საყვედური ეთქმის ამგვარ კაცს, ეს ის, რომ თითონ მივიდა ამბოხებულ ხალხთან და ამით, ცოტა არ იყოს, დააქვეითა მთავრობის ძლიერება“ (გვ. 93), კომენტარიები ზედმეტია. პოეტის მეორე მეხოტბე სწერს: „იგი არაჩვეულებრივად ააღელვა ამ ამბავმა და სიკვდილამდე ახსოვდა. როგორც ერთგვარი მხილება (?). ოცდაცამეტი წლის წინად თვით ოცნებობდა ამბოხებაზე, ეხლა კი საწინააღმდეგო როლი შეჰხვდა, რომ გრ. ორბელიანი გარდაქმნილიყო, რასაკვირველია, სინიდისის ქეჯნასაც ადგილი არ ექნებოდა. მაგრამ გრ. ორბელიანი იგივე იყო“. „დაძინებული ბედის გამღვიძებელს კვლავ ელოდა“ (იხ. გრ. ორბელიანის ლექსები—თ. XVIII—XIX, 1928 წ.).

ეს ძირითადი ისტორიული შეცდომა არის. შეიძლება პოეტი მართლა სწუხდი ტფილისში დაღვრილ სისხლის გამო, — ამის არც ერთი დამამტკიცებელი დოკუმენტი არ არსებობს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ იგი ამ აჯანყებას თანაუგრძნობდა. მეორე: გრ. ორბელიანი რომ „გარდაიქმნა“, ეს დაამტკიცა მისმა 50 წლის მოღვაწეობამ მეფის სამსახურში: განა მარტო მაშინ (1865 წ.) ჩააღჩო სისხლში მეამბოხენი? განა მისი ბრძანებითა და მეთაურობით არ ავსებდენ ხევებსა და მინდვრებს აჯანყებულთა დაგლეჯილ სხეულებით, მოჭრილ თავებით, სისხლით — ავარიასა, ლეკეთსა, ზაქათალასა და გურიაში? ეს ხომ ისტორიული ფაქტებია, ამის უარყოფა ხომ არ შეიძლება? მესამე: რა საერთო ჰქონდა 1865 წ. აჯანყებას 1830—32 წლების შეთქმულებასთან? პირველში ქალაქის წვრილი ბურჟუაზია იბრძოდა მძიმე საგადასახადო კანონის წინააღმდეგ, რომლის თანაავტორიც და დამცველიც გრ. ორბელიანი იყო; მეორეში — საქართველოს მსხვილი ფეოდალური არისტოკრატია რუსეთის ბატონობის მოსასპობად და საქართველოს მეფობის აღსადგენად. ერთს აჯანყებას მეორესთან არავითარი იდეურ-პოლიტიკურ-სოციალური ნათესაობა არა აქვს. განა შეიძლება ასე ყველა აჯანყება ერთმანეთს დაუნათესაო და არ გამოარკვიო მათი სოციალური მამოძრავებელი ძალები, მიზნები, პროგრამა?

ჩვენ განვიხილეთ გრ. ორბელიანის მოღვაწეობის ერთი დიდი მხარე, მისი როლი და შრომა სახელმწიფოებრივ და სამხედრო სფეროებიელზე. იგი ერთგული მსახური იყო რუსეთის ტახტის და ამ ერთგულებით და თავდავიწყებითი მუშაობით გამარჯვების უმაღლესს საფეხურს მიაღწია: იგი ჩინ-ორდენებითა და უმაღლესი ბრძანებით იქმნა დაჯილდოებული.

სახელმწიფო და სამხედრო სამსახურის გარეშე მისთვის არ არსებობდა სხვა სამსახური და სხვა მოვალეობა. სამოც წელზე მეტი მოღვაწეობის მანძილზე მას არ შეუხედია საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ამ პერიოდში ხდებოდა ჩვენი ცხოვრების ევროპეიზაცია და კულტურული აღორძინება; გრ. ორბელიანი ამ დიდი პროცესის გარეშე იდგა, მისთვის ეს არ არსებობდა, არ აინტერესებდა. სამაგიეროდ, იგი „ბრწყინვალე“ სახელით დაგვირგვინდა სამხედრო და საადმინისტრაციო სარბიელზე. გრ. ორბელიანი, როგორც მეომარი და ადმინისტრატორი მკაცრი და დაუზოგველი იყო. ამას ვერ მალავს მისი მეხოტბე ი. მეუნარგიაც: „პოეტის მიწერ-მოწერიდან სჩანს, რომ ორბელიანი დაღესტანში მსახურების დროს დიდი გულფიცხი კაცი ყოფილა, რომელსაც არად მიაჩნდა კაცის-კვლა, სოფლის აკლება, ხალხის გადასახლება“ (გვ. 73). ასეთი მკაცრი და დაუზოგველი მმართველი იმ პერიოდში არ იყო იშვიათი: მათ შორის საპატიო ადგილი გრ. ორბელიანს ეკუთვნის. მან პირველი სამხედრო განათლება და სამოქალაქო გამოცდილება ერმოლოვის სკოლაში მიიღო, ეს დაუნდობელი და სისხლის მსმელი მთავარმმართველი ათი წლის განმავლობაში (1817—27) სისხლის ღვარებითა და საღრჩობელათი, ზარბაზნებითა და ხიშტებით ანადგურებდა ა/კავკასიის ერებს. უცნაური იყო მისი სიმკაცრე და დაუზოგველობა. გრ. ორბელიანს არ უყვარდა ერმოლოვი, იმიტომ რომ იგი მკაცრად ეპყრობოდა ქართველ არისტოკრატიას, მაგრამ მისი მეთოდი პრინციპიალურად მოსწონდა და ენერგიულადაც ატარებდა ცხოვრებაში. გრ. ორბელიანს უყვარდა და აღმერთებდა ვორონცოვს, ბარიატინსკის, დიდ მთავარს იმიტომ, რომ მათ უყვარდათ ქართველი მემამულენი და მათთვის ზრუნავდენ. იგი ერთგულად, ენერგიულად და მთელი თავისი შეგნებით ემსახურებოდა მათ, მათთან ერთად ეწეოდა სახელმწიფოებრივ-სამხედრო მუშაობას.

ეს სამსახური მას არ დაუვიწყეს საფლავში ჩასვლამდე. 1871 წ. გრ. ორბელიანს ადგილობრივმა ხელისუფლებამ და ქართველ თავად-აზნაურობამ 50 წლის სამოღვაწეო იუბილე გადაუხადეს: რასაკვირველია, ზეიმობდენ რუსის დიდი სარდლისა და ტახტის ერთგული მსახურის მხნე მმართველის მოღვაწეობის 50 წლის თავს. იქ

ქართველი დიდი პოეტის ხსენებაც კი არ ყოფილა: რუსის დიდმა სარდალმა ერთხელ კიდევ სძლია ქართველი მგოსანი.

ივლისის 7-ს თეატრის ბაღში გამართულ სადილზე, რომელსაც დაესწრო დიდძალი გენერლობა და „დიდკაცობა," ბორჯომიდან სპეციალურად ჩამოსულმა მეფის მოადგილემ, დიდმა მთავარმა შემდეგი სიტყვით მიმართა იუბილიარს:

„თქვენ ჩაუნერგეთ სიყვარული და პატივისცემა თქვენ ქვეშევრდომთა და ჭეშმარიტმა და დაუღალავმა მოღვაწეობამ მოგაგებინათ თქვენ გული ხელმწიფე იმპერატორისა. ამ მხარეში ჩამოსვლისთანავე მე ნამდვილად დავიფასე სარგებლობა და გამოცდილება თქვენი და თქვენმა ხასიათმა მაგალითად შემაყვარა თქვენი თავი და გამხადა პატივის მცემელი თქვენი" (იხ. „დროება" № 61, 1883 წ.).

ამ სიტყვის საპასუხოდ იუბილიარმა სთქვა:

„დიდებულს ტახტს კეთილ-სინდისიერად ვემსახურებოდი. უფრო მეტად ვიცი ის, რომ დიდსულოვანის მონარქის მოწყალება ჩემს სამსახურს ბევრად აღემატებოდა მუდამ. ახლა კი თქვენის უმაღლესობის მოულოდნელი ჩვენ შორის ყოფნა მთლად ჩემის სამსახურის გვირგვინსა და ჩემის სიცოცხლის სიხარულს შეადგენს" (მეუნარგია, გვ.92).

მაგრამ პოეტის „სასიხარულო წამებს მის ცხოვრებაში" შეადგენდა სწორედ 21 სექტემბრის ის მომენტი, როდესაც ხელმწიფემ პირადად მიულოცა იუბილიარს დღეობა და გადასცა რესკრიპტი „ანდრია პერვოზვანნის ლენტით", პოეტს „იქვე ჩამოკიდეს ლენტი და თავ-მაღლა-აწეულად მოისმინა წირვა" (მისი სიტყვებია).

რესკრიპტში კი ალექსანდრე მეორე სწერდა გრ. ორბელიანს:

„სიყმაწვილიდანვე შესწირეთ თქვენი თავი სამხედრო ასპარეზს და მიიღეთ მონაწილეობა ყველა ომებში—თურქებთან, სპარსელებთან და ლეკებთან 1822 წლიდან 1857 წლამდე. არამც თუ მარტო სამხედრო სამსახურში, თქვენ სამოქალაქო სამსახურითაც დიდი ღვაწლი დასდეთ მამულს, როდესაც 1858 წ. მოგიწოდეთ თქვენ მთელი მხარის გამგებლად, დიდი შრომა და გამჭრიახობა გამოიჩინეთ მაგის დამშვიდებაში და სამოქალაქო წესების დადგინების ისტორიაში კავკასიის იქით მხარეს თქვენ დაიჭერთ შესანიშნავ ადგილს.

ეხლა, როდესაც პირველად ვნახეთ კავკასიის აქეთა მხარე მთლად დამორჩილების შემდეგ, მოვისურვეთ ავღნიშნოთ თქვენი მხნე და ძველი სამსახური მამულისა და ტახტის წინაშე ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში და მით დაგიმტკიცეთ ჩვენი კეთილი განწყობილება თქვენდამი. ამიტომ გვიწყალობებია თქვენთვის კავალრობა ჩვენის საიმპერატორო ორდენისა წმინდისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა, რომლის ნიშნებსაც ამასთანავე გიგზავნით.

დავშთებით ყოველთვის უცვლელად თქვენი გულითადი მოსიყვარულე და მადლიერი ალექსანდრე“ („დროება“ № 61, 1883 წ.).

გრ. ორბელიანმა უმაღლეს ბედნიერებას მიაღწია. ასეთი „ბრწყინვალე გამარჯვება“ იშვიათად რგებიათ კავკასიის შვილებს.

„საშინლად დასჯილი გვარის მედროშე“

გრ. ორბელიანი იმ გვარის შთამომავალი იყო, რომელმაც საქართველოს ისტორიაში დიდი როლი ითამაშა. გადმოცემით ორბელიანნი იყვნენ „ადგილით კერძოთ ჩინეთისა“-გან მოსულნი საქართველოში. ისტორიულად ეს გვარი ერთერთ უდიდეს ფეოდალურ ძალას წარმოადგენდა ჩვენში. 18-ე საუკუნის ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, ეს გვარი დანაწილებული ყოფილა და შიგ ფეოდალურ-წოდებრივ იერარქიულ განრიგებას საგრძნობი ადგილი ჰქონია დათმობილი. „ამათ სახლთა შინა ვინმცა იქმნების პირველი შვილი რევაზ სარდლის სახლისაგან შთამომავალი, იგი არს შერაცხილ პირველ თავადად“, ხოლო დანარჩენნი „მეორედ და მესამედ თავადებად ხარისხსა შინა“—ასე არის 1783 წ. ტრაქტატის დამატებაში აღნიშნული (იხ. „მასალა ისტორიისთვის“—„ივერია“ № IV გვ. 5, 1884 წ.). გრ. ორბელიანი ამ „პირველ თავადის“ შთამომავალი იყო და მეფე ერეკლეს შვილიშვილი.

არც ერთი ჩვენი XIX-ე საუკუნის მოღვაწე ისე მძიმედ არ იყო დატვირთული თავისი გვარისა და ოჯახის ინტერესებით, როგორც გრ. ორბელიანი; არავინ ისე მძლავრად არ მოსთქვამდა თავის „გვარის დაცემისა და ოჯახის გაწყალებას როგორც ეს პოეტი. ეს გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ გრ. ორბელიანის სოციალ-პოლიტიკური იდეალები მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის შეგრძნობის საფუძველზე იყო აშენებული; გვარი და ოჯახი ფეოდალური წყობილების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ეკონომიურად მძლავრი გვარი დამტკიცე დუღაბით შეკირული ოჯახი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბატონობის შეურყეველი საფუძველი იყო; გვარის დაცემა, ოჯახის „გაწყალება“ ამ ფენის პოლიტიკურ დაცემასა და დაქვეითებას მოასწავებდა. გრ. ორბელიანს ეს პოლიტიკური ფილოსოფია საუცხოვოდ ჰქონდა შეთვისებული: როგორც მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის იდეოლოგს, გვარის და ოჯახის სიძლიერის დაცვა საზოგადოებრივ ცხოვრების აუცილებელ პირობად მიაჩნდა. გრ. ორბელიანის შემეცნებაში ორბელიანთა გვარის წარმატება საქართველოს წარმატებას ნიშნავდა, მისი დაცემა საქართველოს დაცემის მაჩვენებელი იყო. ამ ფილოსოფიის მიხედვით გვარის და სამშობლოს

ცნება სინონიმები იყვნენ. აკაკი მართალს სწერდა თავის „მოგონებაში:“ „იმას ხალხიცა და ცხოვრებაც ბიუროკრატიულად ბატონკაცურად ესმოდა. იმდენად სწამდათ საქართველო მხოლოდ, რამდენადაც საჭირო და გამოსადეგი იყო მისთვის და მისიანებისათვის“ (ტ. 1 გვ. 92). ამას ვერც მისი მეხოტბე კ. აბაშიძე მალავს, რომელმაც გრ. ორბელიანში „ორმაგი“ ბუნება დაინახა. იგიც სწერდა: „...დედა-მიწაზედ ერთადერთი საყურადღებო ცენტრად, ერთადერთ წერტილად თავისი ოჯახობრივი ინტერესი მიაჩნდა და ზურაბიანთა გვარეულობის დაცემისა და საქართველოს დაღუპვას ერთმანეთს უკავშირებდა“ („ეტიუდები“ ტ. 1 გვ. 33).

ეს ბუნებრივი იყო იმ მსოფლმხედველობის მატარებელ ადამიანებისათვის, როგორიც გრ. ორბელიანი იყო.

აღსანიშნავია, მეორე მომენტიც. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ იმ პერიოდში ხდებოდა ჩვენი გაევროპიელების საგრძნობი პროცესი და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების რენესანსი: გამრავლდა ჟურნალ-გაზეთები, რამდენიმეჯერ დაარსდა ქართული დასი, გაიფურჩქნა მწერლობა, ჩამოყალიბდა ქართული თეატრი, დაარსდა მთელი რიგი სხვა დაწესებულება. გრ. ორბელიანის ყურადღების ცენტრს ეს არ ეხებოდა; ყოველივე ეს რუსი სარდლისა და მმართველის ყურადღების გარეშე მიმდინარეობდა. სახელმწიფო-სამხედრო საქმეებით დატვირთულს ბრძოლის ველი და ბიუროკრატიულ-პოლიტიკურ აპარატის მოწყობა საესებით იტაცებდა და ქართულ-კულტურულ საზოგადოებრივი ცხოვრება მისი ყურადღების ორბიტის გარეშე იდგა. მაგრამ სამსახურის გარეშე პოეტს ჰქონდა ერთი დიდი საზრუნავი საქმე: თავისი ოჯახი, გვარი და თავადაზნაურობა. მისი მეხოტბე—ბიოგრაფი ი. მეუნარგია მის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ამის მეტს ვერაფერს პოულობს, მაგრამ მაინც დიდი ხოტბით აღნიშნავს:

„გრიგოლმა რაკი სიღარიბეს დააღწია თავი, მთელი თავისი ღონისძიება თავის დაცემულის ოჯახის და გვაროვნების აღდგენას მოახმარა. ვერ წარმოიდგენს, ვერ დაიჯერებს დღევანდელი ქართველი მკითხველი, რომ შეიძლებოდეს ასეთი თავგანწირული სიყვარული ძმათა და ნათესავთა, როგორსაც ვხედავთ ჩვენ პოეტის წერილებში და ცხოვრებაში... ნათესავთა და თავისიანთა სიყვარულს ის განაერცელებდა შემდეგში მთელი თავადაზნაურობის, სრულიად საქართველოს სიყვარულამდე... პრიკაზის ვალის გადახდა, ზაქარიას შვილების გაზრდა, თავისი ძმის ილიკოს წარმატება, ბიძაშვილების და მოყვარეთა სიკეთე—აი რა იყო მისი სამუდამო ზრუნვა სამსახურის გარეშე“ (ი. მეუნარგიას წიგნი გვ. 47—8). ამის მეტი სამოღვაწეო საქმე

გრ. ორბელიანისთვის არ არსებობდა და ამ მხრივ ჩვენ საკმაოდ უხდა დავეთანხმოთ მის ბიოგრაფს.

ეს ცნობები ჩვენ მასალებს გვაძლევს გრიგოლ ორბელიანის არა მარტო პრაქტიკულ მოღვაწეობის შესასწავლად, არამედ გზას გვიხსნის მისი იდეოლოგიური სამყაროს შესაცნობადაც. აქ ნათლად სჩანს დიდი ფეოდალის სოფლგაგების შინაგანი არსი.

ეს ფეოდალური შეხედულება გრ. ორბელიანისა მთელი თავისი სიმძლავრით გამომჟღავნდა გლეხობისადმი დამოკიდებულების საკითხში. ჩვენი პოეტი ბატონყმობას საზოგადოებრივი ცხოვრების შეურყეველ საფუძვლად სთვლიდა. თვით დიდი ფეოდალი და მემამულე, ორბელიანი გლეხობასა და ბატონყმობას ამავე თვალსაზრისით იხილავდა. მისთვის გლეხი მემამულის საექსპლოატაციო ობიექტს წარმოადგენდა; ბატონყმობის ინსტიტუტი წოდებათა ურთიერთობის ნორმალური ფორმა იყო. ასეთი იყო მისი პრინციპიალური შეხედულება გლეხობასა და ბატონყმობაზე, როგორც მემამულისა და ფეოდალის. მაგრამ გრ. ორბელიანი მეფის ჩინოვნიკიც იყო და 60-იან წლებში ვიცე-ნამესტნიკის მოვალეობას ასრულებდა და როგორც მოხელეს, როგორც მთავრობის აგენტს უყოყმანოდ უნდა განეხორციელებინა საქართველოში მეფის „საგლეხო რეფორმები“, რომელიც ფორმალურად მაინც ანთავისუფლებდა გლეხობას ბატონყმურ უღლისაგან. გრ. ორბელიანის ჩინოვნიკური მოვალეობა მის ფეოდალურ შეხედულებას დაუპირისპირდა ამ საკითხში, როგორც მორჩილი ჩინოვნიკი, იგი იმპერატორის ბრძანებას ვერ გადაუხვევდა, ხოლო, როგორც მემამულე-ფეოდალს თავის პრინციპიალურ მოსაზრებებიდან არ სურდა დახევა—ამ კოლიზიიდან ორბელიანმა თავისებური გამოსავალი ჰპოვა: ოფიციალურად იგი თავად-აზნაურობას უქადაგებდა „სისხლ აუღელვებლად“ მიეღო მეფის ბრძანება, ხოლო არაოფიციალურად იმავე თავად-აზნაურობას არწმუნებდა ფული და მამული მოვთხოვოთ „დებულებაში“ შესატანად, როგორც კორექტივი ადგილობრივი პირობებით გამოწვეული.

სანამ დოკუმენტებს მოვიყვანდეთ, აქ საჭიროა მოვიყვანოთ ერთი საინტერესო ფაქტი, რომელიც ნათელს მოფენს გრ. ორბელიანის ბატონყმურ იდეოლოგიას. როგორც აღნიშნული გვქონდა, 1863 წ. ზაქათალაში მოხდა ადგილობრივ მცხოვრებთა აჯანყება. ოფიციალური ცნობებითვე, ეს აჯანყება გამოწვეული იყო ახალი მმართველობითი სისტემის შემოღებით, ადმინისტრაციის თვითნებობითა და მექრთამეობით და მცხოვრებთა შორის ძალდატანების საშუალებით ქრისტიანობის გავრცელებით (ს. ესაძე: „Историческая записка“... ტ.1,გვ. 201). აჯანყებულთა უმეტესობა მშრომელი ხალხი იყო. აჯან-

ვების ჩასაქრობად ივნისს გაგზავნეს გრ. ორბელიანი, რომელმაც მახვილი და საღრჩობელა ერთნაირად აალაპარაკა. თავის მოხსენებაში მთავრობისადმი გრ. ორბელიანი მოითხოვდა: 1) დამნაშავეთა სიკვდილით დასჯას, მათი სახლების დაქცევას და ვენახების გაკაფვას, ექზეკუციის ჩაყენებას სოფლებში; 2) დამნაშავეთა ოჯახების ყმობაში გადაყვანას. დაღესტანის არქივიდან ამოღებული ცნობების მიხედვით, 1883 წ. ერთი ავტორი სწერდა: „დამნაშავეების ცოლების მიცემაზე ყმად, მთავრობა (ორბელიანს) თანახმა არ გაუხდა, რადგანაც იმის სასჯელ რუსის სჯულის კანონში (არ არის) და სრულებით არ ეთანხმება ეს აზრი განზრახვას უმაღლესი მთავრობისა, რომელიც სცდილობს მოსპოს მონობა იქ, სადაც ეხლა არსებობს. დარჩენაც სიკვდილით დასჯილ დამნაშავეთა სახლობისა სამშობლო ქვეყანაში არ შეიძლება და ამის გამო უნდა შეიცვალოს განზრახვა მისგან (თ. ორბელიანისაგან) სასჯელ გაგზავნით, ანუ გადასახლებითა ყოველთა მათ სახლობათა საუკუნოდ ციმბირში, მხოლოდ ისიც იმ შემთხვევაში, თუ რომ (თ. ორბელიანი) სრულებით საჭიროდ დაინახავს სამაგალითოდ დასჯასა, ნება ერთვის აასრულოს მარტო ჰაჯი მერტუზის სახლობაზე მისგან განზრახული სასჯელი (ყმათ მიცემა ვისთვისმე)... თ. ორბელიანმა დამნაშავენი ზოგი ჩამოახრჩო, ზოგი კოტორღაში გაგზავნა, ზოგი ციმბირში გადაასახლა, ზოგი თავდებობით... დაარჩინა ზაქათალის მაზრაში“ (ვ. ბ. „მასალები ცხოვრების აღსაწერად თ. გრ. დ. ორბელიანისა“, „დროება“ № 79. 1883 წ.).

ამრიგად, ქართველი დიდი პოეტი რეფორმის პერიოდში აპირებდა ბატონყმობა შემოეღო ზაქათალას ლეკებისათვის და ინგილოებისათვის, იმ რაიონში სადაც არ არსებობდა ბატონყმური ინსტიტუტი. რეაქციონერ პოეტს „ლიბერალურმა“ მთავრობამ მოაგონა ამ მეთოდის შეუსაბამობა „რეფორმის“ აზრთან. ქართველ პოეტს მაინც ორიგინალობის პრიორიტეტი ეკუთვნის: ის პირველი შეეცადა ჩვენში აჯანყებულ გლეხების ახალი მეთოდით დასჯას — ყმობაში გადაყვანას.

ამ პერიოდში ტფილისის გუბერნიაში უკვე ემზადებოდენ „რეფორმის“ გატარებისათვის საქართველოში. გრ. ორბელიანს, როგორც ადგილობრივი მთავრობის წევრს, ვიცე-ნამესტნიკს და ტფილისის გენერალ-გუბერნატორს უკვე აღარ შეეძლო ბატონყმობის მოსპობის წინააღმდეგ ოფიციალურად გამოსულიყო. მას მეფის „დებულება“ უნდა გაეტარებინა და აი 1863 წ. ტფილისის გუბერნიაში თავად-აზნაურთა კრებაზე იგი გამოდის უაღრესად „ჰუმანიტარული“ სიტყვით. ჯერ კიდევ ზაქათალას მიდამოებში დანთხეული სისხლი

გლეხებისა არ გამშრალიყო და ორბელიანის მოხსენებას ზაქათალაში ბატონყმობის შემოღების შესახებ მელანის სისველე კიდევ აჩნდა, როდესაც იგივე ორბელიანი ტფილისში ოქროპირობდა:

„მოვიდა დრო, როდესაც საქართველოსი ძველი ჩვეულება, ძველი წესი დამკვიდრებული, დამყარებული საუკუნოებითგან, უნდა დაირღვეს, დაიქცეს და მათ ნანგრევზე აშენდეს და დაფუძნდეს ახალი წესდებულება მებატონეთა და გლეხთა შორის. ამ დღით საქართველო მიიღებს ახალსა სახესა, ახალსა ცხოვრებასა, რაოდენსაც განვიხილავთ ამ საგანსა, მხოლოდ ვხედავთ ერთსა აუცილებლად: მებატონეთა უნდა შეჰსწირონ მსხვერპლი შეძლებისამებრ. მაგრამ ამ დანაკლისში ვითარცა ქრისტიანენი, უნდა ვნუგეშობდეთ იმ ჰაზრით, რომ ასი ათასი სული თავისუფლდება, ასი ათასი სული გამოდის საშინელს მდგომარეობისაგან. ნუ გვწყინს ეს სიტყვა: კაცი, ჩუჰნებრ დაბადებული, რომელსაცა საქვეყნოს საქმეში არა აქუს არცა ხმა, არცა რაისმე უფლება, რომლისათვისცა თითქმის სამართალშიაც არა ჰწერია სანუგეშოდ და არცა აქვსთ საკუთრება, რა არის მართლად, თუ არა ტყვე?.. კიდევ ვამბობ, ნუკი გვეწყინება ეს სიტყვები, არამედ სულით მივჰმადლოთ კაცთმოყვარეს ხელმწიფესა, რომელმანცა ნებითა თვისითა დაგვადგინა ჩუჰნ ჰეშმარიტს, ქრისტიანურს გზაზედ.

ეს საქმე, რომლისათვისცა შევყრილვართ აქა, არის მეტად ძნელი გადასაწყვეტად, მაშასადამე გვმართებს, რომ გულდამშვიდებულად, სისხლ აუღელველად, ყოვლის ყურადღებით და მოთმინებით, მოვისმინოთ პროექტი, წარმოდგენილი ჩუჰნდა განსახილველად, და ამასთანა ესეცა უნდა ვჰსთქვა, რომ ნუცა დავემდურებით ვისმე, რომელიცა არა იყოს თანახმად ჰაზრისა ჩუჰნისა, რადგანაც იმედი გუაქვს, რომ ვინცა რას ამბობს, ამბობს სიკეთისათვის საზოგადოებისა“ (იხ. საქ. მუზეუმში გრ. ორბელიანის არქივი)“.

ეს სიტყვა დიდი მოხელისა და დიდი ფეოდალის დიპლომატიური სიტყვა იყო ერთი მხრივ, „მებატონეთა მსხვერპლის შეწირვა“ და „გულდამშვიდებულად, სისხლაუღელველად პროექტის მოსმენა, ხოლო მეორე მხრივ—„ხელმწიფემ ნებითა თვისითა დაგვიდგინა“—ნათლად ამჟღავნებდა ამ დიპლომატის არსებით შინაარსს: მართალია, აღმაშფოთებელია, მაგრამ „ხელმწიფე გვიდგენს“ და უნდა გავიღოთ ეს მსხვერპლი.

მეორე მხრივ, პოეტი თავის მეგობარს თ. დიმ. ჯორჯაძეს კერძო წერილში სწერს:

„გიორგი მუხრანსკი ემზადება წასასვლელად პეტერბურგში, სადაც უნდა ეცადოს, რომ დაუმტკიცოს ის საფუძველები ბატონყმო-

ბის საქმისა, რომელნიცა არა ეთანხმებიან რუსულს პოლოჟენიეს, და რომელნიცა კი უთოოდ და უთოოდ უნდა მიიღონ ამ მხარისათვის გადასაწყვეტად ბატონყმობის საქმისა, ესე იგი: ფულიანი მამული მებატონეებსა და დანარჩენი გლეხებსა.—ვნახოთ, როგორც გაიმარჯვებს გიორგი და თუ ვერ შეაგონა და ამგვარად არ გადაწყდა, შენი მტერი იყოს, როგორც საქართველოს თავადაზნაურნი დაიღუპნენ, რომ ორს წელიწადსაც ვერ გაჰძლონ, და ამგვარი მდგომარეობა ესოდენის ხალხისა სიგლახაკეში არ არის სავარგო თვით მმართებლობისათვისაც, რომელსაცა უფრო ბევრი თავში საცემი საქმე გაუხდება შომავალში (იქვე) ორბელიანი აქ უკვე თავისი საკუთარი ენით მეტყველობდა: „საქართველოს თავად-აზნაურნი დაიღუპებიან“, თუ „ფული“ მებატონეებმა „ვერ შეინარჩუნეს“. ე. ი. გლეხებს—თავისუფალი ჰაერი, მებატონეებს—კვლავ ბატონობა.

მეფემ შეიწყნარა მემამულეთა ვედრება: საქ. მემამულეთ გლეხების პირად განთავისუფლებაში მიეცათ შვიდი მილიონი მანეთი და მიწა მათ საკუთრებად იქნა აღიარებული, დაწესდა დროებით ვალდებულთა ინსტიტუტი, რომელიც 50 წელი არსებობდა ჩვენში. „რეფორმამ“ გააძვალტყავა გლეხობა და გააღრმავა მათი პროლეტარიზაციის პროცესი.

სამრეწველო კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ პარაზიტი წოდება ეკონომიურად დაცემის გზაზედ დააყენა, მაგრამ ამ წოდების დაცემის მეტად საგრძნობი პროცესი XIX-ე საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო. ეს გარემოება ბოლმითა და მწუხარებით ავსებდა პოეტის გულს. მან კარგად იცოდა ის დიდი სამსახური, რომელიც რუსეთის თვითმპყრობელობის განმტკიცებას გაუწია ქართველმა „ბრწყინვალე“ წოდებამ. მაგრამ მასთანვე იგი კარგად ხედავდა, რომ 70—80 წწ. განმავლობაში „დიდი ტახტისათვის“ მოღვაწე „ბრწყინვალე წოდებას“ ისტორიის უკუღმართობამ ნიადაგი შეურყია და „საუკუნოდ დაეცა“ იგი. პოეტის კერძო წერილები ამ საკითხის შესახებ ძვირფას ისტორიულ დოკუმენტებს წარმოადგენენ იმ „მწარე ფიქრთა“ და განცდათა გასაცნობად, რომელსაც განიცდიდა მომაკვდავი წოდების მედროშე.

1875 წ. დიმ. ორბელიანს სწერდა პოეტი:

„..... ნეტაი შენ, დიმიტრი, რომ ხარ მოშორებული და არ გესმის ყოვლის მხრით ამითი (თავად-აზნაურთა) კვნესა სიღარიბისა გამო. მოვიდა ჩვენზე წარღვნა და არსადა სჩანს ახალი ნოეს კიდობანი, სადაცა შევაფაროთ თავი ჩვენი, არსადა სჩანს გამომხსნელი...მინისტრი რას დასდევს ჩვენს

განწირულს მდგომარეობას და საუკუნოდ დაეცემა ჩვენი თავადაზნაურობა, ოდესმე ბრწყინვალე თავის ისტორიულის ცხოვრებითა. და რომელიც აწცა არის ღირსი უკვდავ მოწყალებისა ყურადღებისა თავის თავ-დადებით ერთგულებით"... (ი. მეუნარგიას წიგნი გვ. 111).

სად, რაში ეძებს თავად-აზნაურობის დაცემის მიზეზებს პოეტი? მისი ოფიციალური ენა, ამ შემთხვევაში, განსხვავდება კერძო წერილების ენისაგან. კერძო წერილებში პოეტი პირდაპირ ბრალს დებს მთავრობას, რომელმაც მოახდინა წოდებათა შორის ურთიერთობის შეცვლა და ამით გამოიწვია მემამულეთა დაცემა. გრ. ორბელიანმა კარგად იცის, რომ ძველ საქართველოში უთავად-აზნაუროდ „ვერა რა განკარგულება მოხდებოდა მეფისაგან სამეფოში". „...საქართველო შეუერთდა რუსეთსა და გამოცხადდა... რომ ყოველივე საკუთრება შეუხებელია". მაგრამ ეს ქაღალდზე დარჩა. „გამოვიდა უქაზი, რომ ღვდელნი... უნდა იყვნენ თავისუფალნი თავადებისაგან". განთავისუფლდნენ მღვდლები. — და წაიღეს და დასდვეს საეკლესიოდ თავადების ყმები და მამულები. ათასი „საჩივარი წავიდა ამაზე სენატში, მაგრამ პასუხიც არ აღირსეს. შემდეგ, განთავისუფლდნენ აზნაურნი და თან წაიღეს არა თუ მამული, მეფისგან ნაწყალობები, არამედ ისიცა, რაცა თავადსა მიეცა თავის მხრით აზნაურისათვის. — ამაზედაც იყო დიდი ჩივილი, მაგრამ ესეცა დარჩა უპასუხოდ... გამოვიდა უქაზი: ყოველი გლეხი არის თავისუფალი და უნდა თავადებისაგან მიეცესთ მათ მიწა, და აღსრულდა ესეცა. და აბა ეხლა წარმოიდგინეთ, რაღა უნდა დარჩენოდათ თავადებსა? და რაცა დარჩათ, სულ აქა-იქ ნაწყვეტ-ნაწყვეტი მიწა, ასე რომ დიახ იშვიათსა აქვს ასი დესეტინა ერთს ალაგსა. აი, პირველი მიზეზი ჩვენისა საზოგადოდ დაცემისა... ახლა ამასთანა შეიცვალა ცხოვრებაცა და ჩვენ ახლისა ცხოვრებისათვის არ ვიყავით მომზადებულნი, ე. ი. არა გვქონდა ფული (იხ. 1881 წ. წერილი ი. ვ. ამილახვარისადმი)". აქ უკვე გარკვეული ბრალდებაა მთავრობის საწინააღმდეგოდ წამოყენებული. ოფიციალურ სიტყვაში პოეტი ამას ვერ ბედავს. 1876 წ. თ.-აზნაურთა კრებაზე პოეტი ამბობდა:

„ბატონ-ყმობის მოსპობამ დაგვღუპაო. ეს მართალი არ არის: ჯერ ბატონ-ყმობა სად იყო მოსპობილი, რომ ჩვენ ვალები გვქონდა და გაჭირვებაში ვიყავით! ბატონ-ყმობის მოსპობა კი არა, თვითონ ჩვენა ვართ, ბატონებო, ამაში დამნაშავე; აი მოგახსენებთ – რა ენთო მამა ჩემს? ქონის სანთელი.— ტანთ რას იცვამდა მამა ჩემი? უბრალო ლეკურ შალს. სუყველაფერი იაფი და უბრალო იცოდნენ მამა

ჩვენებმა. ჩვენ კი? თქვენც კარგათ იცით, თითეულ ახლანდელ თავად-აზნაურს რამდენად უჭდება ცხოვრება“ (იხ. „დროება“ № 48, 1876 წ.).

პოეტი მართალსა სწერდა: შეცვლილმა ცხოვრებამ გამოიწვია ცვლილება მემამულეთა ცხოვრებაშიაც და დაცემის გზაზე დააყენა იგი. მაგრამ პოეტს მაინც გულს უღრღნიდა ის ცვლილება, რომელიც მმართველობამ წოდებათა ურთიერთობაში მოახდინა და რომელმაც მემამულეთა დაცემა გამოიწვია მისი აზრით.

გრ. ორბელიანის უდიდესი საზრუნავი საგანი ამ უმაღლესი წოდების „გაწყალებისაგან“—გადარჩენა იყო. რუსეთის სარდალმა და დიდმა ჩინოვნიკმა მხოლოდ შენიშვნა მისცა მემცდარ პოლიტიკისათვის მთავრობას, მაგრამ მის გულში „დიდებულ ტახტისა“ და „დიდი იმპერატორის“ მორჩილებისა და ერთგულების გრძნობა ერთი წუთითაც არ შერყეულა. იგი კვლავ რუსეთის თვითმპყრობელობაში ეძებს ხსნას და ისტორიული საბუთით ხელში უმტკიცებს, რომ ქართველ თავადების დაცვა და გადარჩენა თვით ტახტის ინტერესს შეადგენს. 1875 წ. წერილში პოეტი სწერს: „გაჰჭრება ჩვენი სახსენებელი მიწისა პირით, მაგრამ მმართველობამ უნდა კი იცოდეს, რომ ჩვენს ადგილზე ღირსებით ვერ დადგებიან ვერცა სომხობა, ვერცა თათრობა და ვერცა თვით-რუსობა. აქ მხოლოდ ჩვენა ვართ და უნდა ვიყვნეთ ჩვენვე თვით მართველობისვე სასარგებლოდ, თორემ, ვინ იცის, იქნება მოვიდეს ის დღე, რომ სანთლებით დაგვიწყონ ძებნა და ვეღარ გვიპოვონ გაწყალებულნი“.

პოეტის უკანასკნელი წლების მოღვაწეობა ამ ხაზით განვითარდა: იგი ბანკებისა და „პრიკაზის“ ვალების პატიებით ჰფიქრობდა მემამულეთა გადარჩენას. პატარა რაიმე იმედი აღფრთოვანებას იწვევდა მასში. ეკონომიკისაკენაც დაიწყო ცქერა, როდესაც შაქტფილისისა და ტფილის-ჯულფას გზების გაყვანა გამოცხადდა 1875 წლ. პოეტი სწერდა ალექსი მესხიშვილს: „ამაზე შეიქმნა დიდი სიხარული, მილოცვა და სადღეგრძელოები. მართლად დაეს გზები დიდად აამაღლებს ჩვენს ქვეყანას“ („მასალა ჩვენი ლიტერატურისათვის,“ „დროება“ № 176, 1883 წ.).

ასეთი იყო ჩვენი პოეტის სოციალ-პოლიტიკური სოფლმხედველობა; ასეთი იყო მისი სულიერი განწყობილება, რომელიც მემამულეთა კლასის დაცემის ნიადაგზე იყო აღმოცენებული. მაგრამ ეროთი მომენტი კიდევ უნდა აღინიშნოს. ჩვენ შევცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ გრ. ორბელიანი „ბრწყინვალე“ წოდების შიგნით არსებული

იერარქისა ან გრადაციების მოსპობის მომხრე იყო. წინააღმდეგ, იგი ამ გრადაციების პრინციპიალური მომხრე იყო და უარყოფდა ყოველგვარ ემანსიპაციას. 1861 წლის წერილში პოეტი გარკვევით უპირისპირებდა ერთმანეთს თავადებსა და აზნაურებს. ჩვენი პოეტი, როგორც დიდი გვარის წარმომადგენელი და უფლებით აღჭურვილი ფეოდალი, ყოველთვის ებრძოდა წვრილ თავად-აზნაურის გათანასწორებას მსხვილ არისტოკრატიასთან. 1864 წელს წვრილმა თავად-აზნაურობამ მოიწადინა ტფ. გუბერნიის მარშლად ცნობილ დ. ყიფიანის გაყვანა. ორბელიანთა და მუხრან ბატონთა დიდი გვარი სასტიკი წინააღმდეგი გახდენ ამის და კრებაზე ენერგიულად გაილაშქრეს დ. ყიფიანის კანდიდატურის წინააღმდეგ. ივ. მუხრანსკი მბრძანებლის ტონით ემუქრებოდა კრებას, რომელიც ერთხმად აპირებდა აზნაურ დ. ყიფიანის არჩევას: „როგორ? ბუნტობთ?.. ეს ხომ ბუნტია! პროკურორს დაუძახეთ აქ. მეამბოხე (ე. ი. დ. ყიფიანი) სურთ გაიყვანონ ჩვენს წინამძღვრად“ (ა. ფურცელაძის მოგონებანი: „Закавказье“ № 132, 1912 წ.) არა-ნაკლებ აღელვებული გრ. ორბელიანი ამბობდა: „...ახლა ვინცა დავრჩით წარჩინებულთა, უკეთესთა გვართა შვილნი, მოვმართავთ ჩვენ უმცროსს ძმათა — ნუ გვაჭმევთ სირცხვილსა, ნუ დაგვამფხობთ თავზე ჩვენ, ქართლ-კახეთის გამობრწყინებულ გვართა, აზნაურ ყიფიანს, აბაშიძის ნააზნაურევის შვილსა“ (ნ. ყიფიანის წერილი „მოამბე“ № 4, გვ. 93, 1894 წ.)

დიდ ფეოდალთა ენერგიულმა ბრძოლამ ვერ გასჭრა: დ. ყიფიანი მარშლად აირჩიეს. გრ. ორბელიანმა ისტორიული სიტყვა წარმოსთქვა: „საქართველო მაშინ დაიღუპა, როცა მე და წვიმიტიძე ერთმანეთს შევავასწორეს“. (იხ. ა. ფურცელაძის წერილი). დ. ყიფიანი თავის მემუარებში გადმოგვცემს: ამ არჩევნების შემდეგ ორბელიანი „ლოგინად“ ჩავარდა და თვე ნახევარი იწვა. მეფის მოადგილე ნახულობდა მას და ამშვიდებდა, რომ ყიფიანს არ დაამტკიცებენო („იხ. მემუარები“ გვ. 101). ავადმყოფმა ორბელიანმა მუხრანსკისთან ერთად „დანოსი“-თხოვნა შეიტანეს მეფის მოადგილესთან რომ არ დაემტკიცებინათ დ. ყიფიანი, როგორც წვრილი აზნაური, რადგან ეს შეურაცხყოფა იქნებოდა ბრწყინვალე წოდებისა და დარღვევა ისტორიული ტრადიციისა. გარდა ამისა, ყიფიანის მოწინააღმდეგეებმა გაავრცელეს საზოგადოებაში ხმა, რომ იგი მომხრეა საქართველოს ავტონომიისაო.

1877—8 წლებში გრ. ორბელიანმა ერთხელ კიდევ ენერგიულად გაილაშქრა აზნაურებთან გათანასწორების წინააღმდეგ. აკაკის გადმოცემით საბანკო კრებაზე იგი ამბობდა: „ჩვენი დღევანდელი

უბედურება ის არის, რომ მე ყაფლანიშვილს და ვიღაც ცალქალამანიძეს ერთი-და იგივე უფლება გვაქვს მონიჭებული, ერთი და იგივე ძალა... იმასაც ჩემდენი შეუძლია ამ საკენჭო საქმეში (ტ. 1 გვ. 92).

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ გრ. ორბელიანი ყაფლანიანთა გვარის უდიდესი პატრიოტი იყო; ამ გვარის დაცემა საქართველოს უბედურებად მიაჩნდა პოეტს. ერთ დროს „ბრწყინვალე“ გვარი, დღეს გადაშენების აგონიას განიცდიდა. მ ე უ ნ ა რ გ ი ა სწერს: „ამგვარში ქონებრივ სიღარიბეს ზედ დაერთო ს ი ს ხ ლ ი ს ი ღ ა რ ი ბ ე ც, — არავინ იბადებოდა, ამათ ოჯახში“. (გვ. 114). 1878 წ. ღრმად შეწუხებული პოეტი სწერდა თავის რძალს სოფიოს:„... ვხედავ ჩვენი ოჯახის ესრეთ გაწყალებას, ესრეთ გაოხრებასა... ჩემს ქუჩაში უცნობი შევიქენი სხვათათვის... ასე საშინლად ისჯება ჩვენი გვარი... სახსენებელი ჩვენი ოჯახისა განჰქრა, ვითარცა სიზმარი. ჩვენს ქუჩაში ჩამოეთესლნენ პოლოსოვები, აბოვიანცები, ფიტიტკოები, ჩვენის მამა-პაპის სასაფლაო, უფალს ფაიროვს გაუხდია ცხვრების ფარეხად ჩ ე მ ი ს ი ბ ე რ ი ს უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ თ ა დღეთა მიმწარებს ესე განუშორებელი ფიქრი ჩვენის ოჯახისათვის“ (გვ. 115) 1882 წ. პოეტი სწერს:„... საშინლად ჰქრება ჩვენი ვეება ოჯახი, რომელზედაც ჰსჩანს ცხადად ზეგარდმო რისხვა. ჩვენ ყაფლანიანნი ვიღუპებით, მაგრამ არც სხვანი ბედნიერობენ. „სიკვდილის წინახანებში სასოწარკვეთილებით თვითგრძნობა უმაღლეს წერტილს აღწევს“... სულ ტყუილია ჩვენი მეცადინეობაცა, ჩვენი სურვილიცა ცხადად ს ჩ ა ნ ს რ ი ს ხ ვ ა ღ ვ თ ი ს ა ჩ ვ ე ნ ზ ე და მ ო ვ ლ ე ნ ი ლ ი და ვ ი ღ უ პ ე ბ ი თ. ა ღ ა რ ა ვ ი ნ გ ვ ე ბ ა დ ე ბ ა, ა ღ ა რ ა ვ ი ნ გ ვ ე ზ დ ე ბ ა. ხ მ ა ს ა ი დ უ მ ლ ო მ ე ს ჭ ი ს: „ა ქ ა მ დ ი ს ი ც ო ც ხ ლ ე თ, კ მ ა რ ა, გ ე ყ ო ფ ა თ, ა ე ყ ა რ ე ნ ი თ“ (გვ. 116).

ეს პესიმისტური წინაგრძნობაა სასიკვდილოდ გამზადებულ წოდებისა. ამ წერილის სტილი და ლექსიკა გარკვევით ასახავს თესლგამხმარ, სისხლგაღარიბებულ, განწირულ კლასის მდგომარეობას. ორბელიანთა დიდი გვარის უკანასკნელმა მოგიკანმა, ჭაღარით მოსილმა ქართველმა დიდმა პოეტმა უკანასკნელი მდუღარე ცრემლები დააფრქვია თავის „გ ა ნ წ ყ ა ლ ე ბ უ ლ“ „გაოხრებულ,“ „დაღუპულ“ გ ვ ა რ ი ს აკლდამებზე. ამ „განუშორებლი ფიქრით“ დაღონებული ჩავიდა მოხუცი პოეტი საფლავში.

* *

პოეტს სადარდებელი ქონდა: „ისტორიის რისხვამ“ ორბელიანის სოციალ-პოლიტიკური იდეალები ნაცარ-ტუტად დაამსხვრია. მას ღრმად სწამდა, რუსეთის ტახტმა იხსნა ქართველი „ბრწყინვალე“

წოდება, შეიფარა თავის ფრთებს ქვეშ გადაარჩინა იმ „აღრევათა“, რომელსაც ადგილი ქონდა ევროპაში. ორბელიანი მოსისხლე მტერი იყო ევროპის რაიმე მოძრაობისა; განსაკუთრებით „მეამბოხე პარიზი“ იწყევლა მასში განუსაზღვრელ ზიზღს და შიშს. 1866 წ. თავის ნათესავს იგი სწერდა:

„...Я желаю, чтобы юное сердце Георгия было проникнуто религиозными убеждениями, без чего нет счастья человеку в жизни. Я желаю, чтобы мой племянник был православный грузин, просвещенный европейскою наукою, а не испорченный порочными идеями новейшей французской философии; в особенности живите как можно дальше от Парижа: там поселился бог разврата со всеми чарами обольщения“... ორბელიანს სურდა ევროპის მეცნიერება პროგრესიულ იდეების გამოკლებით გამოეყენებია თავისი წოდების ინტერესებისათვის. „ცდუნებისა და გახრწნილების ღმერთს“ იგი ებრძოდა მთელი თავისი არსებით, როგორც ევროპაში, ისე საქართველოშიც. ორბელიანის არქივში ინახება მის მიერ შეკრებილი საიდუმლოდ ცნობები, ლიბერალურ მოძრაობის მამხილებელნი. აქ მისი ხელით ჩაწერილია: მოსკოვში აქვს სტეფან ნაზარიანც, პროფესორს მოსკოვის (უნივერსიტეტის:) ეს არის პრედსედატელი საზოგადოებისა „Братья любви“ ამან გააწვალა გოგობერიძე (ლაპარაკია ბეს. ღოღობერიძეზე—ს. ხ.), შანშიევის შვილები. სრულიად ჰქადაგებს თავისუფლებასა, სომხობის ნაციონალობასა, სარწმუნოების შეცვლასა; ამასთანავე ერთად არიან პეტრე შანშიევი, ხატისოვი, სიმონიანცი და სხვანი თანაშემწედ და განმავრცელებლად ამა სწავლისა,—ესენი ჰქადაგებენ „Материализм“-ს (იხ. გრ. ორბელიანის არქივი, Q 147 ა.).

ორბელიანს კარგი აგენტურა ჰქონია: ნაზარიანცი სომეხთა მოძრაობის მეთაური იყო და რუსეთის ემიგრაციასთან ჰქონდა კავშირი, ბეს. ღოღობერიძე აქტიური წევრი იყო 60-იან წლების მოძრაობისა.

დიდი ფეოდალი უკვე გრძნობდა, რომ მისი წოდების დაცემასთან ერთად მის სამფლობელოში „ცდუნებისა და გახრწნილების იდეები“ იპარებოდა. სახელოვანი მმართველი წინასწარი ზომების მიღების მზადებაში იყო გართული: ლიბერალურ იდეებს თვითმპყრობელობის მაგარ აპარატს უპირისპირებდა.

გრ. ორბელიანი ვერ ეჩვევოდა ქალაქურ ცხოვრებას; მისი ბუნება „მღელვარე ქალაქის“ არ იყო განწყობილი. 1864 წ. პოეტი სწერდა დ. ჯორჯაძეს: „ახლა მინდა მივეგდო მოსვენებითა და დავიწყო ქალაქის ცხოვრება, სავსე ამოებითა, რომელსაც ვერ ეჩვევა ხასიათი ჩემი და მგონია აღარცა

ჟამი იყოს ჩემი შეცვლისა“ (იხ. გრ. ორბელიანის არქივი).

ამ „ამაოებით სავსე ქალაქისადმი“ უარყოფითი დამოკიდებულება მარტო გრ. ორბელიანის დაძახასიათებელ თვისებას არ შეადგენს. ეს მისი დის შვილის მაღალი ნიჭით დაჯილდოებულ ნ. ბარათაშვილის ერთ-ერთ საყურადღებო თვისებებსაც შეადგენს. 1844 წ. დიდი პოეტი სწერდა ზაქარიას: „Дай мне маленькое, независимое состояние, я бы сеичас оставил и свет и людей с их ненасытностью, и мирно и покойно провел бы патриархальную жизнь в лоне простой природы, столь величественной и прекрасной в нашем отечестве... оставь службу, займись имением, и эта другая слава — сделать счастливым своих крестьян, оставленных до сих пор без господина-попечителя“ (ნ. ბარათაშვილი გვ. 106-7. 1922). ეს პატრიარქალური ცხოვრებისადმი ლტოლვა და უარყოფა ქალაქის მღელვარე ცხოვრებისა—ფეოდალური აზროვნების დამახასიათებელი იდეოლოგიაა. დიდი მამული და დიდი სასახლე, მორჩილი, დიდძალი ყმებითა და მონებით, ქორ-მეძებრებითა და ცხენებით, უზრუნველი ცხოვრებითა და დამოუკიდებელი მარტივი პატრიარქალური ყოფით ჩვენი პოეტების შემეცნებაში დაპირისპირებულია ბურჟუაზიული ქალაქისადმი, თავისი სოციალური მრავალფეროვანებით და კლასიური წინააღმდეგობებით, მერკანტელისტური სულითა და მღელვარე, დაუცხრომელი ცხოვრებით.

ფეოდალური საბუდარების დაცვა ქალაქის გახრწნილ გავლენისაგან—ეს ჩვენი ფეოდალური მწერლობის მთავარი მაგისტრალური ხაზია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

მკვლევარის ბლოკნოტი

ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია ჯეროვნად არ არის დამუშავებული მარქსისტულ-ლენინური თეორიის თვალსაზრისით. ამას ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ დიდძალი ლიტერატურული მასალები არამც თუ გამოქვეყნებული არ არის, არამედ სრულიად შეუსწავლელია და არქივის მძიმე მტვერით არის დატკეპნილი. ამ მეტის-მეტად საინტერესო მასალების შესწავლა და გამოცემა უახლოეს დროში არც არის შესაძლებელი. ეს გარემოება ძლიერ უშლის ხელს ლიტერატურის ისტორიის სათანადო შესწავლასა და გაშუქებას.

ამ პატარა ბლოკნოტების, რომელნიც მკვლევარის სამახსოვრო რვეულებს წარმოადგენენ, გამოქვეყნებას ის პატარა მიზანი აქვს, რომ დაინტერესებულ მკითხველ საზოგადოებასა და მკვლევარებს მიაწოდოს ცნობები ამათუიმ საინტერესო ლიტერატურული მასალების შესახებ. სხვადასხვა მწერლებისა და სამუზეუმო-საარქივო მასალებზე მუშაობის დროს ყოველი მკვლევარი წააწყდება ხოლმე ძვირფას ლიტერატურულ ძეგლებსა და ცნობებს, რომელიც შეაქვს თავის სამახსოვრო რვეულში, მაგრამ მათ სათანადო მეცნიერულ დამუშავებას იგი დიდი ხნის განმავლობაში ვერ ახერხებს; ადვილი შესაძლებელია, რომ სრულიადაც ვერ მოახერხოს ოდესმე მათი დამუშავება. ასეთ პირობებში აღმოჩენილი მასალა საზოგადოებისათვის უცნობი ხდება და მკვლევარის ბლოკნოტიც არქივის მტვერით იჩრდილება.

ამ გარემოებამ მაფიქრებინა მკითხველებისა და მკვლევარებისათვის მიმეწოდებია ნედლი ლიტერატურული მასალების ამსახველი ჩემი სამახსოვრო ბლოკნოტი.

თხოვნა: ნურავინ დაიწყებს, რომ ეს ბლოკნოტი მასალების მიწოდების საკითხის დაყენების მიზნით იბეჭდება.

გრ. ორბელიანის ლექსი: „დროების ათი წლის იუბილე"

გრ. ორბელიანის ეს ლექსი საზოგადოებისათვის უცნობია. მისი ხელნაწერი აღმოჩნდა ი. ჭავჭავაძის არქივში. (იხ. საქ. მუზეუმის ხელნაწერის § 5292) იგი გადაწერილია ილია ჭავჭავაძის ხელით.

მასთან ერთად გადაწერილია იმავე ორბელიანის ლექსი: „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.

ამ ლექსს, რომელსაც მეორე ქვესათაური აქვს: „ფერხული და ბუქნა“ ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი გამოხატავს 60—70-იანი წლების ცნობილ „თაობათა ბრძოლის“ ერთ-ერთ ეპიზოდს. მხატვრულ-ესთეტიური თვალსაზრისით იგი ვერაფერს საგულისხმიეროს მატებს გრ. ორბელიანის შემოქმედებას, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ეს ლექსი სატირული შტრიხის შემტანია მის პოეზიაში და ამასთანავე, პოეტის პოლიტიკურ-იდეოლოგიური ბრძოლის ამსახველია.

ცნობილია, რომ „თაობათა“ შორის, პირველი მნიშვნელოვანი შეტაკება 1861 — 63 წლებში მოხდა, რომელშიდაც გრ. ორბელიანს არ მიუღია მონაწილეობა, მეორედ—1871—72 წლებში, როდესაც გავრცელდა აკაკის თქმით, „უცენზურო მწერლობა“. პირველად გავრცელდა ი. ჭავჭავაძის „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“, რომელნიც მაშინდელ დიდ ქართველ „ბობოლებს“ შეეხებოდა. ამას მოყვა გრ. ორბელიანის „პასუხი შვილთა“, რასაც მოყვა (1872 წ.) ი. ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი“ და აკაკი წერეთლის — „პატრიოტის აღსარება“, „კოლო-ბუზების პასუხი“ და „გენერალი ხარაბუზა“. პრესაში დაიწერა რამდენიმე წერილი.

გრ. ორბელიანმა თავის ლექსში მეტად მკაცრი განაჩენი გამოუტანა ახალთაობას. 1872 წლის ვარიანტით ავტორი ამბობდა:

ვაი საბრალოს,
ჩვენს საქართველოს
თქვენ დაებადეთ მის სადიდებლად!
. . . . . .
კოლო-ბუზები,
ლიბერალები,
ცრუ-პოეტები,
პატრიოტები
აკაკიები [1], ბაკაკიები
რიონელები [2], გოგიტელები [3],
მესხი [4], მეველე [5],
მელიქ-აღები [6].

(იხ. ი. ჭავჭავაძის თხზულებანი, მე-16, 1914 წ.)

---

[1] აკ. წერეთელი
[2] რიონელის ფსევდონიმით ნ. ნიკოლაძე სწერდა „კოლოკოლში“.
[3] გ. წერეთელი.
[4] სერ. მესხი „დროების“ რედაქტორი და პუბლიცისტი.
[5] პუბლიცისტი დავ. მიქელაძე.
[6] მელიქ-შვილი — „დროების“-ს გამომცემელი.

პოეტს ამის შემდეგ არ შეუწყვეტია ბრძოლა ახალთაობის წარმომადგენელთა წინააღმდეგ. 1874 წ. ძველი სემინარიის ფსევდონიმით გამოაქვეყნა „ცისკარში“ გ. წერეთელის „მგზავრის წერილის“ განხილვა, რომელშიაც იგი სასტიკად აკრიტიკებდა ამ მოძრაობას და სწერდა; „ჩვენის ენის გასომხება არ უნდა დამკვიდრდეს ჩვენს მწერლობაში მწერლების უნიჭობითა... ეს მგზავრობა რომ არ დაებეჭდა ავტორს: ვითომ რა დააკლდებოდა ჩვენს ლიტერატურას? დააკლდებოდა მარტო ერთი, რაღაცა თხზულება რომელიცა მოაჩენს მხოლოდ უნიჭობასა და ენის უცოდინარობასა“.

გრ. ორბელიანი ანტონ კათალიკოზის თეორიას იცავდა ენის საკითხში და ძველი სასულიერო მწერლობის მოტრფიალე იყო. გ. წერეთლის, აკაკისა და ს. მესხის სახით ახალი, ხალხური, იმერული კილო მტკიცდებოდა მწერლობაში. ორბელიანში ეს გარემოება უდიდეს აღშფოთებას იწვევდა. „ფერხული და ბუქნაში“ გრ. ორბელიანი თავს დაესხა ს. მესხს, „დროების“ რედაქტორსა და 70-იანი წლების ერთ-ერთ თვალსაჩინო დემოკრატ პუბლიცისტს. ლექსი დაწერილია 1876 წ. მარტში. ამ წელს შესრულდა ათი წელი გაზეთ „დროების“ დაარსებიდან. რედაქციამ ზეიმით იდღესასწაულა ქართული პერიოდიკის ეს მნიშვნელოვანი თარიღი. იუბილეის დაესწრო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები და სომხური მწერლობის დელეგატები, მიესალმა დ. ყიფიანიც წერილობით: ვისურვოთ გულით, რომ ეს გაზეთი გაღონიერდეს, გავრცელდეს და საფუძველი განემკვიდროს ხალხის სასარგებლოდ. მრავალ-ჟამიერ სიცოცხლე მისი“ („დროება“ № 24, 1876 წელი).

ასე არ მსჯელობდა დიდი ფეოდალი და სარდალი გრ. ორბელიანი. „დროების“ იუბილეს მან მეტად მკაცრი სატირა უძღვნა; პირველ რიგში პოეტი ენას უწუნებს „დროებას“, არსებითად კიმას არ მოსწონს მთელი „დროების“ მიმართულება. პოეტმა ერთხელ კიდევ გამოსთქვა თავისი აღშფოთება შექმნილი პირობებით:

ფუ ამ დროსა
უნიჭოსა
უკაცოს,
რომ დროება
წინ გვიძღვება
მესხითა.

„ამ დროით“ ეს აღშფოთება მომაკვდავ ფეოდალის აღშფოთებას წარმოადგენს, რომელსაც ცხოვრების მეთავედ ფეოდა-

ლურ-მხატვრული არისტოკრატია მიაჩნდა, მაგრამ ისტორიამ მას საფუძველი გამოუთხარა, ცხოვრების მეთაურობის დაკისრება ბერ-ჟუაზიულად განწყობილ კულტურულ ინტელიგენციას მოუმზადა. გრ. ორბელიანისათვის ყოველივე ეს მიუღებელი იყო და თავისი განწყობილებაც გადმოღვარა მკაცრ სატირულ ლექსში.

აღვნიშნავთ აქვე, რომ არის შემონახული გრიგოლ ორბელიანის მიერ წაკითხული „დროების“ ეგზემპლარები, რომელზედაც პოეტის ხელით ფანქრით არის აღნიშნული შენიშვნა ამათუ იმ ავტორის ენისა და აზრების შესახებ.

დროების ათი წლის თავი

ფერხული და გუქნა

ვერ ისწავლა მესხიმ წერა
ვერა!.. ვერა!..
და არც ჰსწერა
რომ მან წერა
ვერ ისწავლა, ვერა, ვერა!
გუქნა:—ჰოო, ჰოო, ვერა, ვერა!

***

ათი წელი,
ასი წელი
რას არგებს
უნიჭობა
თუ თან ჰყვება
მწერალსა?
გუქნა—ჰოო, ჰოო, რას არგებს?

***

ნეტა მესხის
რათ არ ესმის
ყვედრება,
რომ მან ენა
წაგვიხდინა
წაბილწა?
გუქნა.—ჰოო, ჰოო, წაბილწა!

***

მოგვაწყინა,
ბაზრის ენა
სომხისა:
ბილქამ, ალბათ,
არხაინათ
იღბალი.
გუქნა.—ჰოო, ჰოო, მოგვწყინდა!

***

ღრამმატიკას
და ლოღიკას
არ დასდევს;

არახუნებს
თითქო კეტებს
ჰსცემს ყუოსა!
ბუქნა.—ჰოო, ჰოო, არახუნებს!

***

ვაი რა დროო,
სამწუხაროო,
მოგვესწროო,
რომ ხმა ცისკრის [1]
აღარ გვესმის
სააძო!
და დაბნელდა
უდროო და მნათობიც! [2]
ბუქნა.—ჰოო, ჰოო, ვაი დროსა!

***

რომ კრებული, [3]
მარილ-ქებული
დავჰკაროგეთ,
და დავჰდუმდით,
დავმოორჩილდით,
დროებას
ბუქნა.—ჰოო, ჰოო, ვაი დროსა!

***

ფუ ამ დროსა
უნიჭოსა
უკაცოს
რომ დროება
წინ გვიძღვება
მესხითა.
ჩვენის ენის
ჩვენის ქვეყნის
მფარველად!!!
ბუქნა.—ფუ, მესხის და მის დროებას,
ფუ ჩვენცა,
ჰოო, ფუ ჩვენც.

---

[1] „ცისკარი" — ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა 1875 წ. ივ. კერესელიძის რედაქტორობით, გრ. ორბელიანი იყო უახლოესი თანამშრომელი.

[2] „მნათობი" გამოდიოდა 1869—73 წლებში. ნ. ავალიშვილის რედაქტორობით.

[3] „კრებული" გამოდიოდა 1871-73 წ. გ. წერეთელის რედაქტორობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი ყიფიანი

მისი ლიტერატურული მოღვაწეობა

დ. ყიფიანის მოღვაწეობა არ შემოიფარგლებოდა მარტო სახელმწიფო და საზოგადო სამსახურით. იგი მონაწილეობას ღებულობდა ჩვენს მაშინდელ პრესაში, როგორც ლიტერატორი. უნდა ვსთქვათ, რომ ლიტერატურულ მოღვაწეობას იგი ვერ ანდომებდა შესაფერის დროს: საზოგადო და სახელმწიფო სამსახური დიდ ენერგიას მოითხოვდა მისგან, ასე რომ ლიტერატურული შრომისათვის მას აღარ რჩებოდა საკმაო დრო. ისიც უნდა ვსთქვათ, რომ თავის ძირითად პროფესიად მას საზოგადო და სახელმწიფო სამსახური მიაჩნდა, ხოლო ლიტერატურული საქმიანობა, ერთგვარ დამატებად. მიუხედავად ამისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურის სფეროშიაც მან საკმაო ცოდნა, ნიჭი და გამოცდილება გამოიჩინა და თავის დროზე საგრძნობი კვალი დააჩნია ჩვენი ლიტერატურულ-ესთეტიური ცხოვრების განვითარების საქმეს. ჯერ კიდევ 1875 წ. ნ. ნიკოლაძე მისი ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ სწერდა: „ამდენი სხვადასხვაგვარი მოღვაწეობა ხელს არ უშლიდა დ. ი. ყიფიანს მიეღო მონაწილეობა ადგილობრივ ლიტერატურის განვითარებაში. მან გაამშვენიერა ქართული ლიტერატურა უცხოეთის მწერლების ნაწერების საუცხოო თარგმნებით. მისი თარგმანი შექსპირისა (მაგ. „რომეო და ჟულიეტა“, „შეიღოხი“), მოლიერისა, ფელიესა, მიტჩელისა და სხვათა საუცხოვო თარგმანთა წყებას ეკუთვნის. გარდა ამისა სხვადასხვა ფსევდონიმებით, მას მოთავსებული აქვს ქართულ ჟურნალებსა და გაზეთებში მრავალი ნიჭიერად დაწერილი წერილი, რომელიც თავის დროზე საერთო ყურადღებას იპყრობდა.“ [1]

დიმ. ყიფიანის ლიტერატურული საქმიანობა სამ უმთავრეს დარგში გამოიხატა: ერთი მხრივ, იგი სიტყვა-კაზმული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს პირდაპირ სთარგმნიდა ინგლისურიდან და ფრანგულიდან და ამ სფეროდან თვითონაც თავის საკუთარ ნაწარმოებებსაც აქვეყნებდა; მეორე მხრივ, დ. ყიფიანი სწერდა ისტორი-

[1] Наши современники, გაზ. „Тиф. вестник“, № 132, 1875 წ.

ული ხასიათის ნარკვევებს, მეცნიერული ხასიათის წერილებსა და შრომებს, მესამე მხრივ,—იგი მონაწილეობას ღებულობდა ქართულ და რუსულ პრესაში, როგორც პუბლიცისტი და აშუქებდა სხვადასხვა გვარ საჭირბოროტო საკითხებს.

დ. ყიფიანი უცხოეთიდან მხატვრული ლიტერატურული ნაწერების ქართულად თარგმნას უკვე 30-იან წლებიდან შეუდგა. 1831 წელს მან სთარგმნა ქართულად ვინმე გამაზოვის ვოდევილი „Грузины 19-го века".[1] 1841წ. დ. ყიფიანს შექსპირის დრამების თარგმანისათვისაც მოუკიდია ხელი. ნ. ბარათაშვილი თავის კერძო წერილში (1841 წ.) გრ. ორბელიანისადმი სწერს ყიფიანის შესახებ: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა. კიპიანმა გადმოთარგმნა „Ромео и Джульетта" შექსპირის ტრაღედია და მე ვთარგმნე „Юлий Таренский" ტრაღედია ლაიზევიცისა".[2] უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ლიტერატურული ცხოვრების იმ აღორძინებაში, რომელიც დაიწყო 30-ათიან წლების მეორე ნახევარში ჩვენში, დ. ყიფიანმაც მიიღო მონაწილეობა. 1830 — 32 წლების შეთქმულების აღმოჩენამ ჩვენში დაწყებულ ლიტერატურულ-კულტურულ მუშაობას დროებით საუკეთესო ინტელექტუალური ძალები გამოაცალა ხელიდან. როგორც უკვე ვიცით, ამ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში იქნენ გადასახლებულნი მაშინდელი ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელნი და ლიტერატორები: ალ. ჭავჭავაძე, გრ.ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე, გ. ერისთავი, ვ. ორბელიანი, ალ. ორბელიანი, თვით დიმ. ყიფიანი და სხვები. დიმ. ყიფიანი ვოლოგდის ტყვეობიდან დაბრუნდა სამშობლოში 1837 წ. სწორედ ამ ხანებში დაიწყო ჩვენი ლიტერატურის ახალი გამოცოცხლება; ჩვენი ინტელექტუალური ძალების ხელახალი თავის მოყრა 1832 წლის დარბევის შემდეგ და ახალი ცდა კულტურული ცხოვრების გაჩაღებისა. ეს ახალი ცდა ვერ შეედრებოდა თავის სივრცითა და სიღრმით იმ დიდ მუშაობას, რომელიც 1832 წლის წინა პერიოდში სწარმოებდა ჩვენში სოლ. დოდაშვილის მეთაურობით, რომელსაც მან გაზ. „ტფილისის უწყებების" გამოცემითა და მისი სალიტერატურო დამატებას—ამავე სახელწოდების ჟურნალის წამოწყებით დიდ კულტურულ საქმეს ჩაუყარა საფუძვლები. მეორე აღორძინების ხანა მით იყო შესანიშნავი, რომ მის მეთაურად და სულის ჩამდგმელად

[1] ამის შესახებ თვით დ. ყიფიანიც ამბობს თავის პირველ ჩვენებაში 1832 წ. დაპატიმრების შემდეგ (იხ. ჩემი რედაქციით გამოცემული მისი მ ე მ ა უ რ ე ბ ი, გვ. 137, ახ ცენტრარქივში, ლენ. ფონდი, რვეული 1, გვ. 60—ს. ხ.).

[2] ნ. ბარათაშვილი, ლექსები და წერილები. გვ. 94, 1922 წ.

ნ. ბარათაშვილი გამოდიოდა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პოეტი ღრმად იყო დაინტერესებული ქართული ლიტერატურისა და ქართული კულტურის გამოცოცხლებისა და აღორძინების საქმით: ყოველი ახალი მოვლენა ქართული ლიტერატურის დარგში ენერგიით და ნეტარებით ავსებდა მის გულს. მაგრამ ლიტერატურული შრომისათვის იმ ხანებში სარბიელი მაინც შემოზღუდული იყო. ნ. ბარათაშვილის მეგობარი, ცნობილი ლიტერატორი კონსტანტინე მამაცაშვილი თავის მოგონებაში ნ. ბარათაშვილის შესახებ ამბობდა: „იმ დროს ტფილისში არაფერი საზოგადო გასართობელი ადგილი არ გვქონდა: არც თეატრები, არც კონცერტები, არც კლუბები,—ჩვენი დროს გატარება იყო ან ერთად სადილი ან, ერთად საღამოზედ ყრილობა. ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან თ. ლ. ი. მელიქიშვილთან, ხან სადილად გარეუბნის ბაღებში. ჩვენი დროს გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სხვადასხვა ჩვენს გარემოებაზედ... ქართული, დარბაისლური, მეტყველი ხუმრობა, შექცევა, სიმღერა; ვისაც უნდოდა ქალალდს თამაშობდა, ნარდს, ჰადრაკს... შემდეგ სეირნობა მთვარიან ღამეს ქუჩებში და ზოგჯერ ბაღშიაც.[1] მიუხედავად ასეთი ვიწრო და შემოზღუდული საზოგადოებრივი პირობებისა, ჩვენი ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების გამოცოცხლება მაინც დაიწყო". 1841 წ. ნ. ბარათაშვილი იმავე გრ. ორბელიანს სწერდა: „ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და ღამე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურიდგან, მყუდროებაში და მარტოებაში, შეეწევიან მამულს ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა სძინავთ გონებით".[2]

აი, ქართული ლიტერატურის ამ ახალი აღორძინების დასაწყისში დიმ. ყიფიანმა ერთგვარი როლი ითამაშა, პირველი მით, რომ ხელი მოკიდა უცხო ლიტერატურის თარგმნას ქართულად და მეორე, მისი ინიციატივით დაარსდა პირველი საამხანაგო ბიბლიოთეკა ტფილისში. ბიბლიოთეკის დაარსება საკმაო წონის კულტურულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს გასული საუკუნის 40-იანი წლების პერიოდში. მანამდე ტფილისში არ არსებულა საჯარო ბიბლიოთეკა. ამ პირველი საამხანაგო ბიბლიოთეკის დაარსება და ხელმძღვანელობა იკისრა დიმ. ყიფიანმა, ხოლო მას დახმარებას უწევდენ მაშინდელი

---

[1] კონსტანტინე მამაცოვი, ნიკოლოზ ბარათაშვილი (მასალა ბიოგრაფიისათვის) „დროება", № 206, 1881 წ.

[2] იხ. ნიკ. ბარათაშვილი, გვ. 95.

ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელნი და მათ შორის ნ. ბარათაშვილი, ვ. ორბელიანი, გრ. ორბელიანი. მ. თუმანიშვილი და სხვები. ამის შესახებ თვით დ. ყიფიანი მოგვითხრობს თავის „მემუარებში".[1] 1848 წ. ერთ თავის წერილში დ. ყიფიანი ამ საამხანაგო ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ სწერდა: „1840 წლიდან მე ვაწარმოებდი კერძო ბიბლიოთეკის შედგენას იმ მიზნით, რომ შემდეგ მისგან დამეარსებინა საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა. 1846 წლიდან, ერთი მხრივ, ჩემი სამსახურის მოვალეობის გამო და მეორე მხრივ, სახსრის უქონლობის გამო—იძულებული შევიქენი შემეწყვიტა ჩემი მუშაობა ამ ბიბლიოთეკის გარშემო."[2] შემდეგ ავტორი მოგვითხრობს, თუ რა პირობებში გადასცა მან ამ ბიბლიოთეკაში მოთავსებული წიგნები ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკას.

მაგრამ დ. ყიფიანის კულტურულმა და ლიტერატურულმა საქმიანობამ განსაკუთრებით გაშალა ფრთები ჟურნ. „ცისკარის" დაარსების შემდეგ. უნდა აღვნიშნოთ, რომ „ცისკარის" დაარსებისა და ქართული თეატრის აღორძინების საქმეში დ. ყიფიანმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო;[3] იგი იყო ერთერთი ინიციატორთაგანი ამ ორი კულტურული საქმის წამოწყებაში და ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ, ამ პერიოდიდან ჩვენი კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების რენესანსის საქმე შეუჩერებლივ წავიდა წინ. როდესაც გ. ერისთავმა თავი დაანება ჟურნალ „ცისკარის" რედაქტორობას და გამოცემას 1854 წ. ივ. კერესელიძემ აღძრა მმართველობის წინაშე შუამდგომლობა, რათა მიეცათ მისთვის „ცისკრის" ხელახლა გამოცემისა და რედაქტორობის ნებართვა. წინასწარ კერესელიძე შეთანხმებული იყო ქართველ ინტელიგენტურ ძალებთან ჟურნალში თანამშრომლობის შესახებ. მათ შორის დ. ყიფიანმა აღუთქვა უახლოესი თანამშრომლობა ჟურნალში და ხელმძღვანელობა დასაბეჭდ წერილების შერჩევაში; როგორც დოკუმენტებიდან სჩანს, ივ. კერესელიძეს ეშინოდა, რომ იგი მესაფერისს ხელმძღვანელობას ვერ გაუწევდა ჟურნალის საქმეს, წერილების შერჩევას და ამიტომ დ. ყიფიანი მიუწვევია უახლოეს დამხმარე ხელმძღვანელად. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ბარონი ა. ნიკოლაი აცნობებს რა ყოველივე ამას კონფიდენციალურად დ. ყიფიანს, მასთანვე სთხოვს მას კონფიდენციალურადვე აუწყოს ივანე კერესელიძეს კეთილსაიმედობის შესახებ და რამდენად შესაძლებელია მი-

[1] დ. ყიფიანი, მ ე მ უ ა რ ე ბ ი, გვ. 104—105. 1930 წ.

[2] იხ. ტფ. სახ. უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმი, 5232 აქვე ინახება წესდება ტფილისის ამ პირველი საამხანაგო ბიბლიოთეკისა.

[3] იხ. ზ. ჭიჭინაძე, „დიმიტრი ყიფიანი" 1892 წ.

[4] იხ. ბარონ ა. ნიკოლაის წერილი ყიფიანსადმი. 1854 წ. 26 აგვისტოს, სიძველეთა მუზეუმი № 5334.

ენდოს მას ქართულ ენაზე ჟურნალის გამოცემის ნებართვა.[1] 1854 წ. ნოემბრის 10-ს დ. ყიფიანი კონფიდენციალურადვე უპასუხებს ორქის მზრუნველს, რომ ივ. კერესელიძემ რაკი აიღო თავისთავზე ჟურნალის გამოცემა, ის ამ ჟურნალის ლიტერატურულ ღირსებას უზრუნველყოფს იმ პირების თანამშრომლობით, რომლებმაც აღუთქვეს ეს თანამშრომლობა და რომელნიც სრულიად კეთილსაიმედონი არიან. მეორე მხრივ, დ. ყიფიანი არკვევს იმ პირობებს, როდესაც იგი შესძლებს მიიღოს თავისთავზე ჟურნალის ოფიციალური ხელმძღვანელობა. უწინარეს ყოვლისა დ. ყიფიანი არკვევს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ჟურნალის გამოცემას ქართულ ენაზე. ავტორი სწერს: შეუძლებელია თქმა, რომ ქართველი საკმაოდ მრავალრიცხოვანი თავად-აზნაურობა არ საჭიროებდეს პერიოდულ გამოცემას, რომელიც გაავრცელებდა მათში ცნობებს და ცოდნას მართველობის სურვილების მიხედვით; იმის თქმაც შეუძლებელია, რომ ეს გამოცემა უსარგებლო ყოფილიყოს ადგილობრივ მკითხველთა წრის გარეშე, რადგან მას (ჟურნალს) შეუძლია გამოაქვეყნოს ცნობები ქართული ხალხის ზნე-ჩვეულებათა, რწმენასა და გადმოცემათა შესახებ.[1] დ. ყიფიანი მზად იყო ეკისრა ჟურნალის ოფიციალური ხელმძღვანელობა, თუ დაცული იქნებოდა შემდეგი სამი პირობა: 1. ჟურნალს ნაცვლად „ცისკრისა“ უნდა დარქმეოდა ტ ფ ი ლ ი ს ი ს დ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ჟ ურ ნ ა ლ ი; 2. ჟურნალს უნდა მისცემოდა ერთგვარი მეცნიერული ხასიათი და ამისათვის მასში, უნდა დაებეჭდათ ძველი ისტორიული ხასიათის აქტები, გუჯრები, დადგენილებანი და სხვა. ყველა ასეთი დოკუმენტების გამოქვეყნება ხელს შეუწყობდა დ. ყიფიანის აზრს ისტორიული საკითხების შესწავლას; 3. ჟურნალში ფართო ადგილი უნდა დათმობოდა მთავრობის განკარგულებებსა და ოფიციალური დადგენილებების ბეჭდვას, რადგან მრავალი დადგენილება მთავრობისა ქართველი თავად-აზნაურობისათვის უცნობი რჩება და ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ჟურნალს მისცემოდა ოფიციალური მნიშვნელობა და დადგენილი ყოფილიყო, რომ მასში დაბეჭდილიყო იმავე წესით ოფიციალური დადგენილებანი, განცხადებანი და განკარგულებანი და სხვა, როგორც ოფიციალურ საგუბერნიო უწყებებში. მასთანავე ჟურნალი უნდა ყოფილიყო ამიერ-კავკასიის მთავარ სამართველოს მზრუნველობის ქვეშ.[2] დაახლოებით ასეთივე აზრი გატარებული არის დ. ყიფიანის მეორე რუსულ ხელნაწერში, რომელიც 1857 წელს უნდა ეკუთვნოდეს, ე. ი. იმ ხანას, როდესაც უკვე შეუდგნენ

[1] იხ. დ. ყიფიანის წერილი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი. 1854 წ. 10 ნოებერი.

[2] იხ. დ. ყიფიანის წერილი კავკას. სასწ. ოლქის მზრუნველისადმი, 1854 წ. 10 ნოემბ.

„ცისკარის“ გამოცემას. როგორც ამ დოკუმენტებიდან სჩანს, დიმ. ყიფიანს სურდა ახალ ქართულ ჟურნალისათვის მიეცა, ერთი მხრივ, წმინდა ლიტერატურულ-ესტეტიური შინაარსი და დაეკმაყოფილებინა მაშინდელი მკითხველის მოთხოვნილებანი სიტყვაკაზმულ მწერლობის მიმართ; მეორე მხრივ, ჟურნალი უნდა ყოფილიყო მეცნიერულ-ინფორმაციული: გაერკვია მთელი რიგი მეცნიერული საკითხებისა და მოეთავსებია ცნობები ახალი აღმოცენების, მიღწევებისა და სხვათა შესახებ; მესამე მხრივ, ჟურნალი უნდა ყოფილიყო ოფიციალურ დადგენილებათა გამომქვეყნებელი, ქართულ ენაზე, გამტარებელი მთავრობის პოლტიკურ-ადმინისტრატიული ხაზისა.

როგორც უკვე ამჟამად ცნობილი არის, ჟურნალი „ცისკარი“ გამოვიდა 1857 წ. ივ. კერესელიძის რედაქტორობით; დ. ყიფიანი დარჩა ჟურნალის მხოლოდ უახლოესი თანამშრომელი. ამ ხნიდან დ. ყიფიანმა ხელი მოკიდა უცხოეთის ენებიდან სხვადასხვა ლიტერატურული ნიმუშების თარგმნას. აქვე მოათავსა მან შექსპირის „რომეო და ჟულიეტა“-ს თარგმანი;[1] მანვე გადმოთარგმნა ფრანგულიდან „წვიმა“ და მოათავსა იმავე „ცისკარში“.[2] 1860 წ. „ცისკარში“ დაიბეჭდა ფრანგულიდან მისივე ნათარგმნი ოქტავ ფელიეტის თხზულება: „რომანი ერთის ღარიბის ყმაწვილი კაცისა“;[3] დ. ყიფიანსვე ეკუთვნის მოლიერის კომედიის პირველი თარგმანიც ქართულად: 1861 წ. მან გადმოთარგმნა მისი: „ცოლის შერთვინება“[4] (1863 წლის იანვრის ნომერშივე დაიბეჭდა დ. ყიფიანის ორიგინალური მოთხრობაც „თურგმენური ცხენი“, რომელშიაც რამოდენადმე ავტობიოგრაფიული ცნობებიც არის გატარებული. გარდა „ცისკრისა“ დ. ყიფიანი თანამშრომლობდა „საქართველოს მოამბეში“[5] 1863 წ.), ჟურნ. „მოამბეში“, რომელშიაც მოთავსებული აქვს შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ თარგმანი,[6] ილია ჭავჭავაძის ჟურნალ „ივერიაში“ და „ქართულ ბიბლიოთეკაში“, რომელიც ქუთაისში გამოდიოდა ქართველ ქალთა ხელმძღვანელობით. 1892 წ. ცალკე წიგნად გამოიცა მის მიერ თარგმნილი ვ. ჰიუგოს „ოთხმოცდა ცამეტიდან“. საერთოდ, დიმ. ყიფიანის თარგმანებს თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ენის წარმატების საქმისათვის, აგრეთვე ქართული ლიტერა-

[1] არის დარჩენილი თვით დ. ყიფიანის ხელთნაწერი-თარგმანი. იხ. სიძველეთა მუზეუმი № 2677.
[2] 1896 წ. გამოვიდა ცალკე წიგნათაც.
[3] არის ცალკე ამონაბეჭდი „ცისკრიდანაც“.
[4] იხ. „ცისკარი“, № 3, 1862 წ.
[5] იხ. თარგმანი მიტჩელის: „ზეზურ მნათობი.“
[6] იხ. „მნათობი“ № 4—5, 1872 წ.

ტურისა და მხატვრული სიტყვა-კაზმული მწერლობის ზრდისათვის. იმ ხანებში, როდესაც ძველი ლიტერატურა ძალზე ღარიბი იყო, ეკრა მარტო უცხო მწერლობის ნათარგმნით, არამედ ორიგინალური ნაწერებითაც, დ. ყიფიანის მიერ მოლიერისა, შექსპირის, ბომარშეს, ჰიუგოს და სხვების ნაწერების გადმოთარგმნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლიტერატურის წინმსვლელობის საქმისათვის. გარდა ამისა დ. ყიფიანის თარგმნები ხელს უწყობდა ქართული ენის გამშვენიერებასა და დადგინებას. სწორედ ამ მხრივ აფასებენ დ. ყიფიანის ლიტერატურულ მოღვაწეობას მა'მინდელი ახალთაობის მწერლებიც. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი „ვენეციელი ვაჭრის“ თარგმნის შესახებ სწერდა: „დიმიტრი ყიფიანი დიდი ხნიდგან განთქმულია ჩვენს ლიტერატურაში, როგორც სამაგალითო ენით მწერალი და დახელოვნებული მთარგმნელი შექსპირისა.

აი ამისთანა საქვეყნო მოძღვრის თხზულება პირველად დიმიტრი ყიფიანმა წაგვაკითხა ქართულს ენაზე. მაშ იფიქრე, მკითხველო, რამდენი პატივისცემა და მადლობა უნდა მიგვიძღვოდეს მთარგმნელისადმი. შექსპირის თხუზულებებთან დიმ. ყიფიანის სახელიც მუდამ ძვირფასი და დაუვიწყარი იქნება ჩვენ ლიტერატურაში; იმედი გვაქვს, რომ დ. ყიფიანი არ შესწყვეტს ამ დიდს მოღვაწეობას სამშობლო ლიტერატურის ასპარეზზედ და ქართველ შთამომავლობას წააკითხებს ყველა საუკეთესო თხუზულებას შექსპირისას.“ [1]

რასაკვირველია, დღეს-დღეობით, როდესაც ლიტერატურულ-ესთეტიური ცხოვრება და ქართული ენის საქმე ბევრად წავიდა წინ შედარებით მაშინდელ ეპოქასთან, დ. ყიფიანის თარგმანი ვერავის დააკმაყოფილებს, მაგრამ მისი ლიტერატურული მუშაობა დაფასებული უნდა იქნეს არა თანამედროვე საზომით, არამედ ისტორიული მიდგომით და მაშინდელი ეპოქის თვალსაზრისით.

როგორც ავღნიშნეთ, დიმ. ყიფიანის ლიტერატურული მუშაობა მარტო უცხო მწერლების სიტყვა-კაზმული ნაწერების თარგმნით არ ამოიწურებოდა: იგი ერთგული დარაჯი იყო მეცნიერებისა და დიდი მოსურნე საქართველოში მეცნიერული შრომებისა და მეცნიერების გავრცელების. დ. ყიფიანმა, როგორც უაღრესად ევროპულად განათლებულმა პიროვნებამ, კარგად იცოდა მეცნიერების მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში და ამიტომ ცდილობდა მის გავრცელებას საზოგადოებაში. კერძოდ დ. ყიფიანის მეცნიერული მუშაობის დასახასიათებლად საინტერესო არის მისი ისტორიული ხასიათის ნარკვევები საქართველოს წარსულიდან, შენიშვნები და წიგნი ქართული

[1] (გ. წერეთელი), ბიბლიოგრაფიული შენიშვნები. „კრებული“, № 8—9, 1872 წ.

გრამატიკის შესახებ. დ. ყიფიანის სასარგებლოდ ისიც უნდა ითქვას, რომ იგი პირველი შეეხო ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში საერთოდ ქართული ფეოდალიზმისა და კერძოდ ბატონყმობის განვითარების საკითხს საქართველოში. 1846 წ. გაზ. „კავკაზის“ ფურცელზე დ. ყიფიანმა პირველად გამოაქვეყნა ისტორიული ხასიათის წერილი, თამარ მეფის ეპოქის შესახებ, რომელშიაც ილაშქრებდა იმავე „კავკაზის“ ზოგიერთ თანამშრომლების (მაისუროვის და სხვების) წინააღმდეგ, რომელნიც ამახინჯებდენ, მისი გაგებით, საქართველოს ისტორიულ წარსულს[1]. 1854 წ. იმავე „კავკაზის“ ფურცლებზე დ. ყიფიანი აქვეყნებს ვრცელ წერილს: Несколько мыслей о материалах для истории Грузии[2], რომელიც შემდეგ ცალკე წიგნათაც გამოვიდა. ეს წიგნი სამეცნიერო ხასიათის გამოკვლევას წარმოადგენს და კრიტიკულად იხილავს საქართველოს ისტორიის მასალებს. ნარკვევში განხილულია შემდეგი საინტერესო საკითხები საქართველოს ისტორიული წარსულიდან: 1. რა ზომად დასახელოვნებულა სასულიერო განათლება ხალხისა; 2. საერთო განათლება როგორ ჰსჩანს; 3. მწერლობა თუ ლიტერატურა როგორი ყოფილა; 4. რა და რა საზღვრები ჰქონია ქართველს ქვეყანასა, როგორც უმეტესს ძლიერებაში, ისე უძლურებაში და 5. რა და რა ქვეყნებამდინ მიუღწევიათ ქართველებსა, თავისს სამეფოს მარტო ომიანობითა და სავაჭრო აღებმიცემობით.[3] ეს წერილებიც არ არის მოკლებული ინტერესს. განსაკუთრებით საინტერესოა თვით დ. ყიფიანის დასახასიათებლად მისი შეხედულება ქართველ ქალის მდგომარეობაზე და როლზე. ავტორი აღნიშნავს რა იმ დიდ განსხვავებას, რომელიც არსებობდა ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სოფლმხედველობათა შორის საერთოდ და კერძოდ ქალთა საკითხში, დაასკვნის: „...ამის გამო უმთავრესი ყურადღება ძველის დროებითგანვე მიქცეული იქნებოდა ქალების კეთილს აღზრდაზედა და განათლებაზედ—რადგან ქალია ის ქვაკუთხედი, რომელზედაცა ჰმყარდება ქვეყნიერი ბედნიერება კაცისა. აქედამ გონიერება ადვილად გამოიხატავს, რომ ქალის განათლებით უნდა განიცდებოდეს საზოგადოთ ქვეყნის განათლებაცა... ამ გვარად გაკეთილშობილებული ქალი, რასაკვირველია, თავის შინაობასაც გააზდილობინებდა და რაღა თქმა უნდა, რომ ხალხის საზოგადოებითი ერთმანეთის დამოკიდებულებაც უსათუოდ კეთილად უნდა წარმართულიყო... იქნება მაგდენი შეცდომა სულაც

[1] Д. Кипиани, „Век Тамары“—„Кавказ“, № 33, 1846 წ.

[2] Д. Кипиани, აღნიშნული წერილი, „Кавказ“, № 30, 31, 33, 35, 37, 39 1854 წ.

[3] ვსარგებლობ „ცისკრის“ თარგმანით (№ 4, 1860 წ.), რომ დავიცვა მაშინდელი სტილი და მართლწერა.

არ მოგვივიდეს, აქედამ რომ ერთი დიდი საგანი დავინახოთ, რომლისაკენაც მიიმართებოდა ძველებური ჩვენი ქალების პედაგოგია ახლ აღზრდა: განუწყვეტელი ბრძოლა, რომ ჰქონდა ხალხსა თავისის სარწმუნოებისა და თავისის თვითმყოფობის მტერთანა, შინაური მყუდროება და სიმშვიდე იყო გამამხნევებელი ამ გმირულის ხალხისა:—შინ რომ კაცს ეს ნეტარება არ ჰგულებიყო, გარეთ უეჭველია, უფრო გულდამწვარი იქნებოდა:—ეს იყო მიზეზი, რომ დიდს პატივისცემას ასწავებდნენ ნათესაობის კავშირისას; პატიოსნების სახიერებას შეაგონებდნენ და ვალდებულების უდრტუნველად მორჩილებასა: და ამ გვარი გრძნობა რომ ყოველთვის და ყოველგან დამამთავრებელი და დამამკვიდრებელი ყოფილა საზოგადოებითისაცა და კერძოობითისაც კეთილდღეობისა. ამ რიგათ დიდი ხანია, რაც საქართველოში ქალი გამოყვანილი არის კაცის მხევლობისაგან და სიტყვისამებრ საღვრთო მოძღვრებისა, ქალს მიეთვისა, როგორც გონიერსა და ნარნარს მეგობარს კაცისასა, დაარსებითგანვე იმისი კუთვნილი დამამშვიდებელი მნიშვნელობა ჩვენ შორის. ასე მიაწია ახალს შთამომავლობამდის ძველებურმა ჩვენმა საერთო განათლებამ; რასაკვირველია, შორს არის ეს განათლება იმ განათლებაზედ, რომელსაც ამ დროში განათლებას ეძახით. მაგრამ ეს იყო ის მტკიცე და შეურყეველი კავშირი ხალხისა, ვერა რამ გარეგანმა ღონემ რომ ვერ დაარღვია საუკუნოებათ მიმდინარეობაში."[1]

მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ავტორს მხედველობაში ყავს მაღალი წოდების ქალები; დაბალი ფენა, მშრომელი გლეხობის ქალები, რომელნიც მონობის მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ,—ავტორის ყურადღებას არ იპყრობდა. მაგრამ დ. ყიფიანი სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა იმ დიდ როლს, რომელიც საქართველოს წარსულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მინიჭებული ჰქონდათ ე. წ. „მაღალი წრის" ქალებს. ისტორიულმა აუცილებლობამ და პირობებმა მაღალი წრის ქალს დააკისრა კულტურული მისიის შესრულება—მწიგნობრობის გავრცელება საზოგადოებაში; ან როგორც დ. ყიფიანი აღნიშნავს: „ჩვენში ვახტანგ ჯულისმდებლის დრომდინ მაინც, სტამბა სულ არ ყოფილა და ქალები კი, კეთილშობილნი ყოვენლნივე გამოურიცხველად, დალოცვილნი იყვნენ მწიგნობრობაში, ანუ ლიტერატურაში."[2] მეორე მხრივ, როგორც დ. ყიფიანიც აღნიშნავს ძველი ქართველი ქალი გამოდიოდა არსებულ წყობილების დამცვე-

[1] Д. Кипиани, „Несколько мыслей о материалах для Истории Грузии" მოყვანილი ციტატის თარგმანი ეკუთვნის „ცისკრის" რედაქციას.

[2] იქვე.

ლად და ქადაგებდა „ვალდებულების უდრტვინველად მორჩილებას“; უკეთ რომ ვსთქვათ, დამცველად იმ სოციალური წესწყობილების, რომელიც ბატონყმურ ურთიერთობაში გამოიხატებოდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: ქალი თავისი წრის შვილი იყო და მას არ შეეძლო გადაელახა თავისი წოდებრიობის ფარგლები.

დ. ყიფიანის ნარკვევში ერთი დიდი აზრი სჩანს: იგი მხურვალე დამცველი იყო ქალთა ემანსიპაციისა და მოეხრე ქალის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოყვანის! ამ თავის დებულებას დ. ყიფიანი ისტორიულადაც ამტკიცებდა იმ როლის გაშუქებით, რომელიც მინიჭებული ჰქონდა ქართველ ქალს წარსულ ცხოვრებაში. რასაკვირველია, დ. ყიფიანის ეს თვალსაზრისი არ სცილდებოდა წოდებრივობის ფარგლებს,—მისთვის ჯერ კიდევ გაუგებარი და მიუღებელი იყო წოდებათა გათანასწორების პრინციპი, მაშასადამე, საერთოდ ქალთა გათანასწორების პრინციპიც; მიუხედავად ამისა, თავის ეპოქისთვის დ. ყიფიანის წოდებრივობის საფუძვლებზედაც აგებული ქალთა ემანსიპაციის პრინციპი პროგრესიულ მოვლენას წარმოადგენდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. ყიფიანის მუშაობა ქართული გრამატიკის საკითხების გარშემო. დ. ყიფიანის გრამატიკული აზროვნების შესასწავლად რამოდენიმე ლიტერატურული დოკუმენტი მოიპოვება; მათ შორის საინტერესო და უკვე აღნიშნულია ქართული გრამატიკის ისტორიაში, ორი მისი მეცნიერული ხასიათის შრომა: კრიტიკული შენიშვნები პროფ. დ. ჩუბინაშვილის ქართული გრამატიკის შესახებ, დაწერილი 50-იან წლების დასაწყისში[1] და 1882 წ. ცალკე წიგნად დაწერილი „ახალი ქართული გრამატიკა“.[2]

დ. ყიფიანის ინტერესი ქართული გრამატიკის საკითხებისადმი გამოწვეული იყო ორი დიდი გარემოებით: 1. წმინდა პრაქტიკული და პედაგოგიური მოსაზრებითა და 2. მეცნიერულ-პრინციპული ინტერესით. 40—50-იან წლებში ვორონცოვის „ლიბერალური“ პოლიტიკის წყალობით ქართულ ენას საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი სასწავლებლებში; ვორონცოვი ცდილობდა ქართული ენის შესწავლით გამოეწვია ქართველ ახალგაზრდობაში ინტერესი რუსული ენის უფრო საფუძვლიანი შესწავლისა; იგი ფიქრობდა, რომ ამ გზით შესაძლებელი იქნება, რუსეთის თვითმპყრობელობის სიყვარული განმტკიცება ქართველ ახალგაზრდობაში და, რაც აღსანიშნა-

[1] გამოქვეყნებულია პროფ. ი. ცაგარლის შრომაში: „Сведения о „памятниках Грузинской письменности“, ტ. I, ნაკ. III, გვ. 54—101, 1894 წ. იხ. აგრეთვე დ. ყიფიანის, საგრამატიკო შენიშვნები, უნივერსიტ. მუზეუმში, № 4913/2.

[2] დიმიტრი ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, პეტერბურგი, 1882 წ.

ვია, ნამდვილი მოხელეების გამოზრდა. ქართული ენის შესწავლისა და ქართული სახელმძღვანელოების დამუშავების მიზნით ტფილისში არსებულ „კომიტეტ ნაჩერტანია უჩებნიხ პოსობიი“-შიც ნილი იქნა ქართული ენის განყოფილებაც. ამ განყოფილების თავმჯდომარეობა მინდობილი ჰქონდა დ. ყიფიანს, ხოლო წევრებად ითვლებოდნენ: პლ. იოსელიანი, ზ. ყოროღანაშვილი, მღვდ. ე. ალექსიშვილი, ივ. თურქესტანიშვილი და მღვდ. ზ. მოლოდინაშვილი. დ. ყიფიანს წილად ხვდა განეხილა ცნობილ პროფ. დ. ჩუბინაშვილის ქართული გრამატიკა და რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც წარმოდგენილი იყო სახელმძღვანელოდ აქაურ სკოლებისათვის. დ. ყიფიანმა საფუძვლიანი კრიტიკა გაუკეთა პროფ. დ. ჩუბინაშვილის ზოგიერთ გრამატიკულ მოსაზრებებს და მოითხოვდა, როგორც თეორიულ-პრინციპიალურ თვალსაზრისით, აგრეთვე პედაგოგიურ-პრაქტიკულ მოსაზრებებითაც მთელ რიგ შესწორებების შეტანას დ. ჩუბინაშვილის მიერ წარმოდგენილ ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოში; დ. ყიფიანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩუბინაშვილის გრამატიკით უნდა ვასწავლოთ ქართული ენა აქაური მართველობის მომავალ მოხელეებს, ხოლო ჩუბინაშვილის ზოგიერთი მოსაზრებანი დაცილებული არის ნამდვილ ხალხურ ცოცხალ ენასა და ამიტომ მოსალოდნელია მომავალმა მოხელემ დამახინჯებულად შეისწავლოს ქართული ენა და სრულიად ვერ გადმოსცეს საქმის ნამდვილი ვითარება. დ. ყიფიანის შენიშვნებსა და კრიტიკას ვრცელი პასუხი გასცა პროფ. დ. ჩუბინაშვილმა. ამის საპასუხოდ დ. ყიფიანმა კვლავ დასწერა თავისი შენიშვნა და გადაუგზავნა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს.[1] ასე გაიმართა პირველი მნიშვნელოვანი პოლემიკა პროფ. დ. ჩუბინაშვილსა და დიმ. ყიფიანს შორის 50-იან წლებში ქართული გრამატიკის შესახებ. ამ პოლემიკის შესახებ მე სიტყვას დავუთმობ ქართული ენის მკვლევარს პროფ. აკ. შანიძეს. „მთელი ეს მასალა,—სწერს აკ. შანიძე,—ძალიან დამახასიათებელია იმდროინდელი ქართ. გრამატიკული აზროვნებისათვის და ააშკარავებს დ. ყიფიანის საღ გრამატიკულ ალღოს ბევრს საკითხებში. დ. ყიფიანს ნათლად აქვს წარმოდგენილი გრამატიკის დანიშნულება. მისი აზრით, ცოცხალ ენას თავზე კი არ ახვევენ კანონებს, არამედ იგი თვით იძლევა კანონებს. მკვლევარის საქმეა გამოარკვიოს ეს კანონები და არ უარყოს იგი. რაიცა შეეხება გრამატიკის სხვადასხვა საკითხს, უნდა აღვნიშნოთ, რომ დ. ყიფიანი კარგად ერკვევა ხმარებიდან

[1] დოკუმენტები დაბეჭდილია პროფ. ა. ცაგარლის ზემოდ დასახელებულ შრომებში.

გამოსულ ასოების გამოთქმაში, უარყოფს განსხვავებას არსებითი სახელებსა და ზედსართავებს შორის: ზედსართავი, როგორც განსაკუთრებული ნაწილი მეტყველებისა, მისი აზრით, ქართულში არ არსებობს. ქართული „თანდებული“ რუსულად უფრო „прилог“ იქნება, ვიდრე „предлог“. განსაკუთრებით შეუდარებელია დ. ყიფიანი, როგორც მოსარჩლე მოთხრობითი ბრუნვისა, იმ ბრუნვისა, რომელიც ძველ ქართულში—**მან** ნაწილაკით იყო ნაწარმოები (მაგ. კაც-**მან**, დედა-**მან** და მისთ.) ახალ ქართულში კი **მა** ან **მ** ნაწილაკით (მაგ. კაც-**მა**, დედა-**მ** და მისთ.) ქართული გრამატიკის ავტორების მიერ ეს ფორმები ბრუნვის ფორმებად იყო და ახლაც არის მიჩნეული. მაგრამ დ. ჩუბინაშვილი ამ ბრუნვას უარჰყოფდა და არ შეჰქონდა თავის გრამატიკაში. ამ ბრუნვის უარყოფა მომდინარეობს ვენის პროფესორის Alter-ისაგან, რომელმაც ჯერ კიდევ 1798 წელს გამოსცა წიგნი ამ სათაურით: Über georgiaische Literatur („ქართული ლიტერატურის შესახებ“), სადაც იგი ბიბლიის ქართული ვერსიის ენას ეხება და კაც-**მან** ფორმა ისე აქვს გაგებული, როგორც ბერძნ ὁ ἄνθρωπος ე. ი. **მან** დაბოლოებება ნაწევრად (ე. ი. არტიკლად) აქვს მიჩნეული. შემდეგ ეს აზრი ბროსეს მიერაა სასტიკად გატარებული მის გრამატიკაში. ბროსეს გავლენით კი დ. ჩუბინაშვილიც არ სცნობდა მას როგორც ბრუნვას. დ. ყიფიანი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეგ ბრუნვა რომ არა, ბევრ შემთხვევაში აზრი გაუგებარი იქნებოდაო“.[1] აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ პროფ. დ. ჩუბინაშვილმა დიდი ნაწილი დ. ყიფიანის მოსაზრებებისა და კრიტიკული შენიშვნებისა გაიზიარა და თავის ახალ გრამატიკაში (იხ. „Краткая грузинская грамматика,“ 1855) ამის მიხედვით შეიტანა შესწორებანიც.[2]

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს დ. ყიფიანის 1882 წ. სამეცნიერო აკადემიის სტამბაში დაბეჭდილი „**ახალი ქართული გრამატიკა**“. გარდა თეორიულ-პრინციპიალურ მოსაზრებებისა, დ. ყიფიანს წმინდა პრაქტიკულ-პედაგოგიური და პოლიტიკური მომენტებიც ამოქმედებდა ამ წიგნის გამოქვეყნების დროს. როგორც უკვე ცნობილია, ვორონცოვის შემდეგ პერიოდში თვითმპყრობელობის პოლიტიკა ადგილობრივ ერებისადმი საგრძნობლად იცვლება, ხოლო შამილის შეპყრობისა და მთიელების საბოლოო დამარცხების (1864 წ.) შემდეგ რუსიფიკატორული პოლიტიკა თავის სააშკარაოზე გამოვიდა. განსაკუთრებით 70-იანი წლების მეორე ნახევარში და

[1] პროფ. აკ. შანიძე, დიმიტრი ყიფიანი, როგორც გრამატიკოსი (ხელთნაწერი). ეს პატარა ნარკვევი აკ. შანიძემ სპეციალურად ჩემი თხოვნით დასწერა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

[2] იქვე.

80-იან წლებში, როდესაც ჩვენშიაც რუსეთის რევოლუციონურ მოძრაობის ზეგავლენით დაიწყო მოძრაობა ახალგაზრდობაში და ჩამოყალიბდა რევოლუციონური წრეები. რუსეთის თვითმპყრობელობამ სასტიკ ზომებს მიმართა და რუსიფიკატორულ-აგრესიული პოლიტიკით იგი ცდილობდა ყოველივე ქართულის აღმოფხვრას; განსაკუთრებით მიზანში იყო ამოღებული ქართული სკოლა და ქართული ენა. ქართული ენის შევიწროვებისა და სკოლის გარუსების საშუალებით მავი რეაქცია ცდილობდა დენაციონალიზაცია თავის ლოღიკურ შესაძლებლობამდე მიეყვანა. მავი რეაქციის მოციქულები საქართველოში იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ქართველებს არა ყავთ შესაფერისი კადრი პედაგოგიური პერსონალისა და შესაფერისი სახელმძღვანელოები ქართულს ენაზე, რომ შესაძლებელი იყოს ქართული სკოლის არსებობა და უზრუნველყოფა. როგორც ქვევით დავინახავთ, დ. ყიფიანი თავდადებით იცავდა ქართულ სკოლას და ქართულ ენას რუსიფიკატორთა შემოტევისაგან. მისი „ახალი ქართული გრამატიკა“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღთაგანი იყო, ამ მავრაზმელების წინააღმდეგ მიმართული. თავის გრამატიკის შესავალში ავტორი სწერს:

„ყველაფერს თავისი ბეჭედი აზისო, ნათქვამია, და ისეც გამოდის, რომ ამ ჩვენს დროთა ვითარებასაცა ჰსმია თავისი ბეჭედი. რიგი და სამართალი მოითხოვდა სწავლას ისე დავიწყებდეთ ხოლმე, რომ ადვილიდამ ძნელამდინ და ძნელიდამ უმძიმესამდინ გაუჭირვებლად ვივლიდეთ; თორემ რასაც ახლა თვალითა ვხედავთ და რაც გარს გვახვევია, აქიდამ მოყოლების მაგიერად, სწავლას იქიდამ გვაწყებინებენ ხოლმე, რაც ჯერ მიუწვდომელია ჩვენი თვალისათვისაც და გონებისათვისაც და ამით საქმე მეტად გვიძნელდება. თქვენც აგრე იტანჯებით სწავლითა, შვილებო; გეოგრაფიაში, მაგალითად, ვიტყვი, ჯერ მთელი ქვეყანა შემოგარბენინეს ფიქრითა და ბოლოს მოგიყვანეს ამ ჩვენს, ქვეყნისოდენა რუსეთში;—საქართველოს გეოგრაფია ხომ ჯერაც არავის უსწავლებია თქვენთვისა,—ენებში ჯერ ფრანცუზულს მოგაყოლეს, მერე რუსულსა და თ ქ ვ ე ნ ი დ ე დ ა ე ნ ა კი, გეოგრაფიისა არ იყოს, სულაც არავის არ უსწავლებია...“ იმავე წიგნში პროფ. დ. ჩუბინაშვილის მიმართ დ. ყიფიანი სწერს: „თქვენი გრამატიკა რომ აღარ იშოვებოდა და აღარც სხვების, საქმე ისე გაგვიძნელდა, რომ დედა-ენას ვეღარ ვახერხებდით:—მეტი ღონე აღარ იყო, ჩემი შვილებისათვის მევე უნდა შემედგინა გრამატიკა, როგორც მეხერხებოდა და, აი, სტამბაში ვგზავნი კიდეც დასაბეჭდავად“.[1] მოყვანილი ციტატები ნათლად ამტკიცებენ, თუ როგო-

[1] დ. ყიფიანი, ახალი გრამატიკა, გვ. 5—6, 1882 წ.

რი პრაქტიკულ-პედაგოგიური მოსაზრებანი აინტერესებდა დ. ყიფიანს. იგი არსებითად უარყოფდა სწავლების იმ მეთოდს, რომელიც გამეფებული იყო მაშინ საქართველოს სკოლებში და პედაგოგიურ-ეროვნული თვალსაზრისით მოითხოვდა დაბალ კლასებში ქართულ ენაზე სწავლებას ყველა საგნებისა. აი სწორედ ამ თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა იგი, როდესაც იცავდა ქართულ სკოლასა და ქართულ ენასა და სწერდა თავის „ახალ ქართულ გრამატიკას.“

როგორც მეცნიერული შრომა ეს წიგნი არ არის ინტერესს მოკლებული. მაგრამ დ. ყიფიანის გრამატიკული აზროვნების შეფასების საქმეში სიტყვა დავუთმოთ იმავე აკ. შანიძეს. უკვე დასახელებულ ნარკვევში პროფ. აკ. შანიძე სწერს:

„გრამატიკაში, დ. ყიფიანის აზრით, შემოდის არა მარტო მორფოლოგია (დ. ყიფიანის „ეტიმოლოგია“) და სინტაქსი, არამედ ორთოგრაფიაც, რაიცა იმდროინდელი გაგებაა საზოგადოდ და აქა-იქ ახლაც კი გვხვდება ხოლმე. ამ ნაწილთაგან მას გამოქვეყნებული აქვს მარტო „ეტიმოლოგია“. უნდა ითქვას, რომ ავტორი რიგიანად ერკვევა მორფოლოგიურ საკითხებში, განსაკუთრებით სახელთა ბრუნვა აქვს კარგად დამუშავებული. ზმნათა სირთულე და სიძნელე, მართალია, მასაც ვერ დაუძლევია სავსებით, მაგრამ ბევრი დეტალი კარგად აქვს გაშუქებული. დ. ყიფიანისათვის დამახასიათებელია, რომ იგი ზოგიერთ საკითხს ისტორიულად არჩევს, მოჰყავს სხვათა აზრი და თავის გაგებას უპირისპირებს, ამასთანავე ერთად იგი ზოგჯერ ქართული ენის გრამატიკულ ფორმებს ადარებს ევროპული ენების ფორმებთან (რუსულთან, ფრანგულთან, გერმანულთან, ინგლისურთან, ლათინურთან), ამ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის წყალობით მისი გრამატიკა წინანდელ გრამატიკაზე უფრო მაღლა დგას და მათ შორის დ. ჩუბინაშვილზედაც. ზმნებში განსაკუთრებით კარგათ აქვს დამუშავებული საკითხი ასპექტის შესახებ, რაიცა წარმოდგენილია გრამატიკის ბოლოს დართულს ტაბულაში... დ. ყიფიანს, როგორც ჩანს, ქართული ლექსიკონიც აინტერესებდა. გრამატიკის ბოლოს (გვ. 139—197) მას დაურთავს „ლექსიკონი ისეთი სიტყვებისა, რომლებიც ან იშვიათად იხმარება ქართულ ენაში, ან რომლებიც უცხო ენებიდან არის შემოსული“.[1]

ასეთი იყო დ. ყიფიანის მუშაობა ქართული მეცნიერების ფრონტზე. განსაკუთრებით აღსანიშნავი და საინტერესო არის დ. ყიფიანის მოღვაწეობა როგორც პუბლიცისტის. არც ამ დარგში უწერია მას ბევრი, მაგრამ რაც დაწერილი აქვს თავისებური ინტერესით იკითხება. დ. ყიფიანის ზოგიერთ პუბლიცისტურ წერილებსა და მათში

[1] პროფ. აკ. შანიძე, დიმიტრი ყიფიანი, როგორც გრამატიკოსი.

გატარებულ აზრებს ჩვენ უკვე გავეცანით. პირველ ხანებში დ. ყიფიანი უმთავრესად ეხებოდა მიწის მფლობელობის საკითხს საქართველოში, ბატონყმურ ურთიერთობაზე ფეოდალიზმის საკითხს საქართველოში, სასოფლო-მეურნეობის რაციონალიზაციას, ბატონყმობის მოსპობის პირობებს და მრავალ სხვა კითხვებს, რომელთაც უახლოესი კავშირი ჰქონდა საქართველოს ეკონომიურ წარმატების საქმესთან და წოდებათა ურთიერთობასთან. სწორედ აღნიშნულ საკითხებს ეხებოდა დ. ყიფიანის შემდეგი წერილები: 1) „Состояние имений в Грузии“[1] და 2) „О состоянии имений в Грузии“[2]—ამ წერილში დ. ყიფიანს აინტერესებდა მფლობელობის განყოფილების საკითხი საქართველოში და თავადაზნაურობის სასოფლო მეურნეობის წარმატების საქმე; აქვე არის მოცემული ცნობები მეფე ვახტანგ მე-6 კანონების შესახებ მამულების მფლობელობაზე საქართველოში; 3) О том, о сем и, между прочим, о сословиях Закавказских“,[3] 4) „О путях к достижении цели общества;“ მოხსენება წაკითხული 1857 წ. კავ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წლიურ სხდომაზე; 5) „ბატონყმობა“ ხელნაწერი 1862 წ.[4] და 6) Об улучшении быта помещичьих крестьян“—ვრცელი მოხსენება გლეხთა განთავისუფლების პირობების შესახებ, საგუბერნიო წაკითხული 1863 წ. ტფილისის თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებაზე[5] და 7) ვრცელი წერილობითი მოხსენება წარდგენილი ტფ. ცენტრალურ კომიტეტში 1864 წ. გლეხობის ხიზანთა მდგომარეობაზე გადაყვანის შესახებ.

დიმიტრი ყიფიანის წერილების მეორე წყება შეეხება პოლიტიკურ-ეროვნულ საკითხებსა და ქართულ ენას. ამ წერილებში გამოთქმული არის დ. ყიფიანის პოლიტიკური კრედო და მისი სამოღვაწეო პროგრამა. დ. ყიფიანი მტკიცედ და ურყევად იცავდა იმ ორსახოვან ფორმულას, რომელიც რუსეთის ტახტის ერთგულებასა და სამშობლოს სიყვარულში გამოიხატებოდა. ეს იყო მე-19 საუკუნის მთელი თავად-აზნაურობის ეროვნულ-პოლიტიკური პროგრამა. ამ პროგრამას ვერ გასცილდა ქართველი თავად-აზნაურობა და არც შეეძლო გასცილებოდა: მისი კლასიურ-წოდებრივი ინტერესები ღრმად იყო შეჭსოვილი ამ პროგრამასთან და ტახტის ინტერესების დაცვის საქმესთან. ამ მიმდინარეობის თეორეტიკოსი და მისი პრინციპიალური დამცველი იყო დ. ყიფიანი, როგორც

[1] Д. Кипиани, Состояние имений в Грузии, Журн. мин. государственных имуществ. кн. XXVIII, გვ. 83—91, 1844 წ.

[2] „Кавказ“, № 2, 1848 წ.

[3] ცალკე ბროშურად გამოცემული 1853 წ. ან იმავე წლ. „Кавказ“, № 79, 81, 83, 84.

[4] იხ. ტფ. უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმი, № 5232.

[5] იხ. იქვე, ქართული დედანი მოთავსებულია ცენტრარქივში.

თავისი პრაქტიკული სახელმწიფოებრივი, ისე ლიტერატურული მოღვაწეობით დ. ყიფიანი ამ პროგრამას ემსახურებოდა. 1848 წ. აპრილის თვეში მის მიერ წარმოთქმული სიტყვა ისტორიული ხასიათისა იყო იმდენად, რამდენადაც ქართველი თავად-აზნაურობა ეროგულების ფიცს სდებდა რუსეთის ტახტის წინაშე და მზად იყო დაეცვა რუსეთის თვითმპყრობელობა და ტახტი ევროპის მაშინდელი რევოლუციონური მოძრაობისაგან. ამავე რკალს შეეხებოდა მისი წერილი დაბეჭდილი 1860 წ. „ცისკარში“ ქართული ენის შესახებ.

მაგრამ 60-იანი წლების დასაწყისიდან უკვე იწყება საქართველოში რეაქციის მწვავე სუსხი. განსაკუთრებით 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან რეაქციონურმა პოლიტიკამ საგრძნობლად გამოააშკარავა თავისი ბასრი ბრჭყალები. ამას თავისი ისტორიული მიზეზები ჰქონდა. ვორონცოვის პერიოდში მთავრობასა და საზოგადოების შორის თითქოს ნორმალური ურთიერთობა დამყარდა; ვორონცოვმა თავისი „ლმობიერი“ პოლიტიკით სავსებით მოიმხრო თავად-აზნაურობა და ამით თითქოს მტკიცე კონტაქტი დაამყარა მთელ საქართველოს საზოგადოებრივ ძალებთან. მაგრამ ყირიმის ომმა ძირითადი წინააღმდეგობა გამოაშკარავა თვით საქართველოს საზოგადოებრივ ფენებს შორის და მთელი რუსეთის სოციალ-ეკონომიური წყობილების შეუსაბამობა ცხოვრების ვითარებასთან აშკარა გახადა. ამ დიდი კრიზისის შედეგი იყო ის რევოლუციონური და დემოკრატიულ-სოციალისტური მოძრაობა, რომელმაც თავი იჩინა რუსეთში 50-იან წლების მეორე ნახევარში. საქართველოში ამ კრიზისის საუკეთესო გამომხატველი იყო, ერთი მხრივ, სამეგრელოს გლეხთა აჯანყება 1857 წ. და მთელი რიგი გლეხთა აჯანყებებისა, რომელიც პერმანენტულად სწარმოებდა საქართველოს ყოველ კუთხეში 1858—63 წ. წ. პერიოდში; ამ ხანის უკანასკნელ გრანდიოზულ აფეთქებას წარმოადგენდა ამქართა აჯანყება 1865 წ. ქ. ტფილისში, რომელმაც შიშის ზარით მოიცვა ადგილობრივი ხელისუფლება და აალაპარაკა რუსეთის რეაქციონური პრესა. მეორე მხრივ, რუსეთის 60-იანი წლების გონებრივ მოძრაობის ზეგავლენით საქართველოშიაც ჩამოყალიბდა ახალთაობის ჯგუფები და წრეები, რომელთა სამოღვაწეო პროგრამა აღარ ეგუებოდა ძველი ინტელიგენციის პოლიტიკურ ძისწრაფებებს და რომელთაც დემოკრატიულ-რადიკალური მისწრაფებანი გადმოჰქონდათ საქართველოს ნიადაგზე. ეს სოციალურ-რევოლუციონური მოძრაობა და ინტელიგენციის რადიკალურ-დემოკრატიული მისწრაფებანი აშკარად გამოხატავდა ძველ საზოგადოებრივ ეკონომიურ წყობილების კრიზისსა და ახალი ურთიერთობის დასაწყისს საქართველოში. მაგრამ თვითმპყრობელობასაც არ

ეძინა და როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიაც მკაცრ რეაქციონურ ზომებს მიჰმართა. ვორონცოვის პოლიტიკა წარსულს ჩაბარდა და „ტახტი“ ენერგიულად შეუდგა ყოველივე „ქართულის ეროვნულის“ შევიწროებას. ამ პოლიტიკამ თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია 80-იან წლებში, ალექსანდრე მესამის რეაქციის ბატონობის პერიოდში.

დ. ყიფიანი ვორონცოვის პერიოდში ვერავითარ გაუგებრობას ვერ გრძნობდა და უკმაყოფილებას ვერ ხედავდა „ტახტსა“ და „სამშობლოს“ შორის. პირიქით, იგი ვორონცოვის პოლიტიკით აღფრთოვანებული იყო და მასში ხედავდა თავისი პროგრამის რეალურ განაღდებას. მაგრამ დრო შეიცვალა, ახალმა რეაქციის ქარმა დაბერა და დ. ყიფიანმა რაღაც გაუგებრობის ნიშნები იგრძნო. პირველად ნათლად და გარკვევით ეს უკმაყოფილება დ. ყიფიანმა გამოხატა კატკოვის წინააღმდეგ მიმართულ თავის წერილში 1865 წელს. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ 60-იან წლებში რუსეთის პრესის რეაქციონური ნაწილი კატკოვის მეთაურობითა და თვითმპყრობელობის კარნახით სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა განაპირა ქვეყნის ეროვნებათა მიმართ. 1863 წლის პოლონეთის აჯანყების შემდეგ ეს ნაციონალისტურ „ველიკოდერჟავნული“ დამოკიდებულება დაჩაგრულ ერებისადმი უფრო გაძლიერდა და რეაქციონური „მოსკოვის ვედომოსტი“ დაუზოგველად ანადგურებდა ამიერ-კავკასიის ერებს. კატკოვის რეაქციონურ გამოლაშქრებას საქართველოს წინააღმდეგ ხელი შეუწყო ორმა გარემოებამ: პირველი—ახალი თაობის ინტელიგენციის ამოძრავებამ[1] და — გერცენის „კოლოკოლში“ რიონელის (ნიკო ნიკოლაძის) საინტერესო წერილის მოთავსებამ გლეხთა განთავისუფლების შესახებ საქართველოში.[2] ამ წერილის შესახებ კატკოვმა „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ № 154-ში მოათავსა სასტიკი წერილი, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ამიერ-კავკასიაში რუსეთის საქმე ვერ არის კარგად, რომ აქ საბედისწერო გაუგებრობა ინასკვება და აჯანყების სუნი სცემსო. მეორე—1865 წ. 27 და 28 ივნისში ამჭართა არეულობამ ტფილისში[3] საბაბი მისცა კატკოვს კვლავ გამოელაშქრა საქართველოს წინააღმდეგ და დაემტკიცებინა აქ სეპარატისტული მისწრაფებების არსებობა. კატკოვი ყოველ წვრილმან

---

[1] გერცენის „კოლოკოლის“ ერთერთ მიმოხილვაში ვკითხულობთ: Недавно Кавказский Михаил отвратил страшную беду, висевшую над головой России. он открыл двух-трех гимназистов, составивших тайное общество „Молодой Грузии и молодой Армении“ и „За тем были арестованы в Петербурге какие то грузинские студенты.“ „Колокол“ № 197 გვ. 1619, 1865 წ.

[2] იხ. „Колокол“ № 198, 199, 1865 წ.

[3] ტფილისის ამჭართა აჯანყების შესახებ 1865 წ. იხ. „Кавказ“, № 53, 63, 64, 1865 წ. და „Колокол“ № 204, 1865 წ.

მომენტს იყენებდა თავისებურად წინასწარ გარკვეული აზრის დასამტკიცებლად და, სხვათა შორის, იმ ფაქტსაც, რომ ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი თავისთავს ოფიციალურად საქართველოს თ-აზნაურთა წინამძღოლს უწოდებსო.[1]

დ. ყიფიანი იძულებული შეიქნა კატკოვის გამოლაშქრებისათვის პასუხი გაეცა. ადგილობრივ ოფიციალურ გაზეთში „კავკაზში" ვრცელი წერილი მოათავსა, რომელშიაც დაბეჯითებით უარყოფდა კატკოვის წერილის შინაარსს. საერთოდ კატკოვის რეაქციონურმა გამოლაშქრებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. იმავე გერცენის „კოლოკოლში" მკვეთრი პასუხი გასცეს კატკოვს ხელმოუწერელ წერილში,[2] ხოლო „კავკაზში" გარდა დ. ყიფიანის წერილისა მოთავსებული იყო კატკოვის საპასუხოთ ვრცელი წერილი.[3]

წერილის დასაწყისში დ. ყიფიანი ეხება იმ მთავარ საკითხს, რომელმაც გამოიწვია კატკოვის გამოლაშქრება საქართველოს წინააღმდეგ; ეს იყო 1865 წ. ამქართა აჯანყება ტფილისში. უნდა წინდაწინვე ვსთქვათ, რომ ეს აჯანყება გამოწვეული იყო წმინდა ეკონომიური მიზეზებით ახალი ეკონომიური ურთიერთობის განვითარებამ საქართველოში, საგრძნობლად დასცა ხელოსნობა და შეავიწროვა ხელოსანთა წვრილბურჟუაზიული ფენები. მეორე მხრივ, ხელისუფლებისა და ქალაქის გამგეობის ახალმა ფინანსიურმა ზომებმა და გადასახადებმა დიდი შევიწროება მიაყენა ხელოსნობასა და ხელოსანთა კლასს. ამ ეკონომიურ-ფინანსიურ გარემოებაში უნდა ვეძიოთ აჯანყების მიზეზები. კატკოვს სურდა აქ პოლიტიკური საბაბი და პოლონეთის სეპარატიული მისწრაფების მსგავსი დაენახა ამქართა აჯანყებაში. დ. ყიფიანის პასუხიც ამ ხაზით არის მიმართული. იგი სწერს: „რაც შეეხება 27 და 28 ივნისის ტფილისში მომხდარ ამბავს, რომელიც გამორკვეულია და მთავრობის განხილვაში შედის, მე უფლებას ვაძლევ ჩემს თავს პირადათ ჩემის მხრით ვაუწყო პრესას შემდეგი: 1) სრულიად ჰეშმარიტებას შეიცავს, რომ ტფილისის არც ერთ მოქალაქეს ან ამქარს არ ჰქონია თან კარანდაშის სათლელი დანა, ამიტომ ჩვენება, რომ თითქოს იარაღი მათ დამალული ჰქონდათ ტანსაცმელს ქვეშ, — ცილისწამებაა და მეტი არაფერი და 2) სრულიად მსგავსი თავისი დასაწყისით, მაგრამ არა თავისი შედეგე-

[1] „Московские ведомости" № 194, 1865 წ. მეთაური წერილი.

[2] Из Грузии, „Колокол" № 208, 1706—8, 1865 წ. ეს წერილი. უნდა ეკუთვნოდეს ნ. ნიკოლაძეს (უფრო ვრცლად იხ. ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები ტომი I.)

[3] იხ. წერილი Письмо к редактору „Московских Ведомостей", „Кавказ" № 82. 1865 წ. ამ წერილს ფსევდონიმად აწერია: Воспитанник Московского университета. წერილის ავტორი სომეხი უნდა იყოს.

ბით ამბები მოხდა ტფილისში 1829, 1830 და 1853 წლებში. არც ერთს მათგანში არავითარს პოლიტიკურს ადგილი არ ჰქონია; არც ერთს მათგანში რაიმე მსგავსი ხელისუფლების წინააღმდეგობისა არ ყოფილა; და არც ერთს მათგანს ვინმესათვის არ მიუყენებია, არამც თუ რაიმე დარბევა ან მკვლელობა, არამედ ერთი კაპეიკის ზარალიც კი. მათი საბაბი ყოველთვის იყო უბრალო გაუგებრობანი; გამოირკვეოდა გაუგებრობა და მასა მშვიდათ მიდიოდა სახლებისაკენ. რა საჭირო იყო რაღაც გაუგებრობის გამო მთელი ხალხის გამოფენა ქუჩებზე,—იკითხავთ თქვენ,—იმიტომ, რომ განმარტება სხვა გზით რაღაც ვერ ხდებოდა, თუ რატომ დამთავრდა ივნისის ამბები სხვანაირად—ეს გამოირკვევა კანონიერი გამოძიების გზით. მაგრამ რაც არ უნდა აღმოჩნდეს, გეტყვით თქვენ,—როგორც აშკარა მოწმე სამი წინანდელი საქმისა და როგორც შვილი აქაური ქვეყნის, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ტრიალებს აქაურ მცხოვრებლებში,—და იმედი მაქვს, რომ არავინ ადგილობრივ რუსებიდან, რომელნიც ჩვენ კარგად გვიცნობენ—ვერ უარყოფენ ჩემ სიტყვებს: გულწრფელ ერთგულებაში ხელმწიფე იმპერატორისადმი და მორჩილებაში ხელისუფლებისადმი ვერავინ ვერ შეედავება აქაურ ხალხს. გარეშე იმ გზისა, რომლითაც მივყევართ თვით მთავრობას რაიმე ახალი იდეების, ნაციონალური დამოუკიდებლობის იდეის, ან რომელიმე პოლიტიკური მისწრაფებების ძებნა აქაურ ხალხში... ნიშნავს იმ სურვილს, რომ ეს იდეები დაიბადონ... იმავე ტფილისის ამბების გამო თქვენი (კატკოვის) წერილი ფიქრობს ამ საქმეში პოლონელების რაღაც ხელმძღვანელობის შესახებ. მაგრამ რა საერთო არის აქაურ ხალხსა და მათ შორის, რომელი შემაერთებელი წერტილი მოიძებნება იყოს ერთსა (ქართველებსა) და მეორეს (პოლონელებს) შორის". [1]

დიმ. ყიფიანისა და მ. კატკოვის პოლიტიკა 1865 წელში აღმოცენებული იყო ორი სხვადასხვა ეროვნულ-პოლიტიკური სოფლმხედველობის შეტაკებაზე. კატკოვი გამოხატავდა რუსულ დიდმპყრობელურ, ნაციონალიზმის იმ მიმდინარეობას, რომელიც მოითხოვდა ყოველი ცალკე „ეროვნების" გათქვეფას მთლიან რუსული სახელმწიფოს საზღვრებში; მისთვის არ არსებობდა ცალკე „ეროვნება", ადგილობრივი საკითხი და სხვა; ყოველივე ეს გათქვეფილი უნდა ყოფილიყო დიდ სახელმწიფოებრივ ორგანიზმში. თავის წერილში მ. კატკოვი სწერდა, რომ რუსული ნაციონალური სულის სისუსტის „გავლენით წარმოიშვა აზრი, რომ საჭირო არის ხელოვნური საშუა-

[1] Дим. Кипиани. Еще по поводу передовой статьи. № 194 „Московские ведомости." „Кавказ" № 83, 1865 г. არის დარჩენილი ორი ვარიანტი შავი ხელთნაწერისა (იხ. სიძველეთა მუზეუმი № 5232). ზოგიერთს შემთხვევაში ამ შავი ხელთნაწერით ვსარგებლობ.

ლებებით მივიზიდოთ „ტუზემცები“ სამსახურში, და არა მხოლოდ დაჯილდოებული იქნეს მათი ნამდვილი დამსახურება, არამედ ამ მიმართ გამოჩენილი იქნეს მოწიწება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი რუსები კი არა „ტუზემცები“ არიან. აქედანვე წარმოსდგება აზრი, რომ საჭირო არის არა შინაგანი გუბერნიების მკვიდრი თავად-აზნაურობის გაძლიერება, არამედ განაპირა ქვეყნების, „ინოროდცების“ თავად-აზნაურთა, რომ საჭირო არის შექმნა ადგილობრივ თავად-აზნაურობისა იმ განაპირა ქვეყნებში, სადაც ის ცოტა არის, და ამ ახლად შექმნილ თავად-აზნაურობას უნდა მიეცეს უპირატესობა რუსების წინაშე და მათ უნდა ჩაენერგოს შეხედულება, რომ ის თავის სახლში უნდა ითვლებოდეს გამგედ. რა საჭირო იყო ეს არა პოპულარული და უადგილო ზომები? სხვა არაფრისათვის, თუ არა მოდაში შემოსულ თეორიების განსახორციელებლად. თავადი ვორონცოვი სახელმწიფოებრივი კაცი იყო, განათლებული და კეთილმსურველი... მაგრამ მის გონებაში არ იყო ის, რასაც ეწოდება ნაციონალური პოლიტიკა. ის თვითონ არ გრძნობდა... სადაც კი მართველობდა იგი, ყველგან სტოვებდა თავის შემდეგ მოუწესრიგებლობის (Неурядицы) თესლს.“ [1] ამრიგად კატკოვი მიწასთან ასწორებდა ვორონცოვის მთელ საქმიანობას და მის პროგრამას; მაგრამ, იმასთანავე კატკოვი მიწასთან ასწორებდა იმ პოლიტიკასაც, რომელიც მოითხოვდა „ინოროდცების“ სამშობლოსა და ტახტის შორის სრული კონტაქტის დამყარებას. კატკოვისათვის საკითხის ამგვარი სახით დაყენება არ არსებობდა; იგი მოითხოვდა ყოველგვარი „ნაციონალობის“ გათელვას რუსეთის ტახტის ქვეშ: „ტახტი“ მისთვის გამომხატველი იყო რუსული ნაციონალიზმის და სახელმწიფოებრივი ორგანიზმის მთლიანობისა. დ. ყიფიანმა გარკვევით დაინახა თავისი ეროვნულ-პოლიტიკური თეორიის საწინააღმდეგო, დამარღვეველი პროგრამა: პირველად იგრძნო, რომ „ტახტსა“ და „სამშობლოს“ შორის უფსკრული ალმოჩნდა გათხრილი, რომელიც დაღუპვას უქადდა მთელ მას საქმიანობასა და სამოღვაწეო პროგრამას. ამიტომ ენერგიულად ამოიღო ხმა და გაბედული ტონით დაიწყო თავისი სოფლმხედველობის დაცვა, მაგრამ დ. ყიფიანისათვის უფრო განსაცვიფრებელი და გაუგებარი იყო ის მოსაზრება, რომელსაც კატკოვი აყენებდა ქართველ თავად-აზნაურობის, როგორც ასეთის, არსებობის საკითხში: კატკოვისათვის არსებობდა მხოლოდ რუსეთის ერთიანი თავად-აზნაურობა, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია; დ. ყიფიანის მთელი იმედი დამყარებული იყო ქართველ თავად-აზნა-

[1] М. Катков, собрание передовых статей „Московских Ведомостей“ 1855 წ. г. ст. 554, 1897 г.

ურობაზე, რომელიც მას მიაჩნდა ქართველი ერის მეთაურად და ხელმძღვანელად და რომლის საშუალებითაც აპირებდა იგი ტახტთან უერთგულესი კავშირის დამკვიდრებას. ამ თავად-აზნაურობის დაცვა დ. ყიფიანის აუცილებელ მოვალეობას შეადგენდა. უწინარეს ყოვლისა მან დაიცვა ვორონცოვი კატკოვის თავდასხმისაგან. „ვორონცოვის სახელი, როგორც სახელმწიფო მოღვაწისა,—საპატიო ადგილს დაიჭერს ამიერ-კავკასიის ისტორიაში," სწერდა დ. ყიფიანი და ამით აღნიშნავდა იმ დიდ როლს, რომელიც ითამაშა ვორონცოვმა ადგილობრივ მცხოვრებთან დაახლოვების საქმეში. ქართველი თავად-აზნაურობის შესახებ ჩვენი ავტორი სწერს: „ჩემი სინდისის მოვალეობად და პირადი ჩემი გრძნობების მოთხოვნილებად მიმაჩნია, მაშინ როდესაც დასავლეთის ჰაერში არსებობს არსებული წყობილების საწინააღმდეგო სხვადასხვა იდეები და თეორიები, ყოველ შესაფერისს შემთხვევაში განვაცხადო ქართველ თავად-აზნაურობის არსებობის შესახებ, ამიტომ 1) რომ ეს ის თავად-აზნაურობაა, რომელიც გამობრძმედილი არის 22 საუკუნის გმირული დაცვით თავის სახლში კანონიერი წესწყობილებისა; 2) რომ ეს ის თავად-აზნაურობაა, რომელსაც ვერავითარმა უტოპიურმა თეორიებმა, ვერც რაიმე მატერიალურმა ძალამ რწმენა მართლმადიდებლობისადმი მე-4 საუკუნიდან ვერ შეურყია და ვერც შეურყევს. ვერ შეურყია ვერც ერთგულება კანონიერ ხელმწიფისადმი, რომელიც წარმოადგენს სასიცოცხლო საფუძველს ჯერ კიდევ ქრისტიანობის წინა დროიდან; 3) ეს ის თავად-აზნაურობაა, რომელიც მტკიცე კავშირშია ხალხთან და თავის მეფესთან, შეგნებულად ხელს უწყობდა სამეფო შეერთებას რუსეთის მართველობასთან და 1801 წ. აქ ახალი ამჟამად არსებული, კანონიერი წესწყობილების დამკვიდრებას და, გვერწმუნეთ, ამ ჟამამდეც არ არსებობს არავითარი ძალა, რომელსაც შეეძლოს გადააბვევიოს მას სრულიად რუსეთის ხელმწიფე იმპერატორის შეურყეველი ერთგულების გზიდან; ამ თავად-აზნაურობას სავსებით ესმის და შეუძლია თავის წრეებსაც გადასცეს ის შეგნება, რომ ყოველივე ის სიკეთე, რომლითაც ის სარგებლობს და იმედი აქვს მომავალშიაც ისარგებლოს,—უავგუსტესი მონარქის მოწყალებას წარმოადგენს. [1]

ამაზე შორს მორჩილებისა და ერთგულების შეგნება ვერსად წავიდოდა; დ. ყიფიანმა არ დაზოგა საღებავები, არ დაზოგა ენაწყლიანობა, რომ უფრო მიმზიდველად და ღრმად გამოეხატა ქართველი თავად-აზნაურობის უმორჩილესი გრძნობები და უერთგულესი შეგნება რუსეთის ტახტისადმი. მაგრამ მ. კატკოვის გული მაინც ვერ

[1] დიმ. ყიფიანის წერილი, „Кавказ" № 83, 1865 წ. სიძველეთა მუზეუმი № 5232.

მოიგო. კატკოვისათვის საკმარისი არ იყო უერთგულესი და უმორჩილესი გრძნობების გამომჟღავნება, მისთვის საქმე იყო აუცილებელი და უპირველესი პირობა, საქმე გაჟღენთილი რუსული ნაციონალიზმის შეგნებით, რომელმაც სხვა არავითარი თავისებური ერთგულება არ იცოდა, გარდა მთლიანი რუსული საზოგადოებრივი ორგანიზმისა. თავის საპასუხო წერილში მ. კატკოვი სწერდა: „Мы убеждены, что грузинский патриотизм не может быть ничем иным как чистым русским патриотизмом... Мы не признаем в Закавказьи ни грузинского, ни армянского национализма; Мы считаем попытку возбудить там стремления, противныя полному и неразрывному единству их с русским народом, злоумышленным; мы считаем попытки создать там символы армянской или грузинской национальности либо неразумием либо злонамеренностью“.[1] მაგრამ ეს ცოტა იყო კატკოვისათვის: მას სურდა არა მარტო ნაციონალური შეგნებისა და ნაციონალური თვითარსებობის მოსპობა, არამედ ყოველგვარი ქართველების გამომხატველობის მოსპობა. მისთვის მიუღებელი და გაუგებარი იყო ქართველი თაად-აზნაურობის რაღაც თავისებური სახით არსებობა. ამ მხრივ დ. ყიფიანის არგუმენტაცია სასაცილოდ არ ყოფნიდა და მკაცრი კილოთი სწერდა: „Заявление о существовании грузинского дворянства должно таким образом служить к очищению западного воздуха от враждебных идей и теорий... но дворянство есть дворянство: дворянство есть политическая организация. Лица, составляющие дворянство могут быть всякого происхождения, но национальность самого института определяется тем государством, к которому оно принадлежит. Коль скоро грузинское царство, некогда существовавшее и имевшее свою верховную власть и свое дворянство прекратилось... — это с упразднением его верховной власти, упразднилось и его дворянство на место прежде бывшего грузинского дворянства, явилось дворянство русское, получившее специальные наименования не по упраздненным царствам, а по существующим административным разделениям. Каким бы похвальным побуждениям ни руководствовался почтенный Тифлисский губернский предводитель дворянства, мы смеем думать, что употребляемое им вторжественных случаях выражение: грузинское дворянство, есть выражение ошибочное, неправильное“.[2]

[1] М. Катков, Собрание передовых статей... ст. 727.
[2] იქვე, გვ. 729

დ. ყიფიანის არგუმენტაცია მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთის „ველიკოდერჟავნი“ ნაციონალიზმის წარმომადგენლებისათვის. დ. ყიფიანს სურდა ქართველი თავად-აზნაურობის როგორც ნაციონალური ერთეულისა და ორგანიზაციის არსებობა დაესაბუთებია სამი დიდი არგუმენტით: 1) თავად-აზნაურობას უნდა დაეცვა არსებული წესწყობილება დასავლეთ ევროპის ბოროტი (ე. ი. რევოლუციური) თეორიებისა და იდეებისაგან, 2) იგი გარდაქცეულიყო რუსეთის ბატონობის დასაყრდენ ორგანიზაციად ამიერკავკასიაში და 3) მათი საშუალებით გაბმულიყო უმჭიდროესი კავშირი „ტახტსა“ და „სამშობლოს“ შორის. დ. ყიფიანის ასეთი უერთგულესი და უმორჩილესი ნაციონალიზმიც კი მ. კატკოვმა რუსეთის ერთიან ორგანიზმიდან გადასვლათ ჩასთვალა.

ასეთი იყო ის საინტერესო ბრძოლა, რომლის წარმოებაც მოუხდა დ. ყიფიანს 6 -იან წლებში. ამ ბრძოლან დ. ყიფიანის ეროვნულ-პოლიტიკური სოფლმხედველობა ვერ შეარყია, იგი ბოლომდე დარჩა ერთგული თავისი ძველი პროგრამისა; მაგრამ დიმ. ყიფიანი დარწმუნდა ამაში, რომ ზოგიერთ პირებს შეეძლოთ თავიანთი უგუნური პოლიტიკით გაუგებრობა გამოეწვიათ „ტახტსა“ და „სამშობლოს“ შორის; ამაში ღრმად დარწმუნდა იგი 80-იან წლებში, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება შეუდგა ქართული სკოლისა და ქართული ენის აღმოფხვრას და აშკარა რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას. 60-იან წლებში დ. ყიფიანის მიერ წარმოებულ კამათში, კატკოვის წინააღმდეგ მხოლოდ პრელუდია იყო იმ დიდი ბრძოლისა, რომელსაც ქართველი საზოგადოება აწარმოებდა 80-იან წლებში დონდუკოვ-კორსაკოვის რეაქციონური პოლიტიკის წინააღმდეგ და რომლის ერთერთ მთავარ მეთაურად იგიკე დ. ყიფიანი გახდა. ამ ბრძოლის პერიპეტიებს ადგილობრივ ძალებსა და რუსის რეაქციონურ ელემენტებს შორის უფრო ვრცლად ჩვენ შემდეგ გავეცნობით; აქ კი მხოლოდ გაკვრით აღვნიშნავთ მის ბრძოლას, როგორც პუბლიცისტისას, ქართული ენისა და ქართული სკოლის დაცვის საქმეში.

როგორც აღვნიშნეთ, 80-იანი წლების დასაწყისიდანვე საქართველოში შავი რეაქციის სუსხმა დაუბერა და რუსიფიკატორული პოლიტიკა სააშკარაოზე გამოვიდა. უკვე 1880 წ. დაისვა ქართული ენის შევიწროების საკითხი ადგილობრივ ხელისუფლების აგენტების მიერ. მათ სურდათ გამოედენათ ქართული ენა სკოლიდან, ეკლესიიდან, საზოგადოებრივ დაწესებულებებიდან და რუსული ენის გაბატონებით ხელი შეეწყოთ რუსიფიკატორული პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებისათვის. ამ პოლიტიკის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა ქართულმა

პრესამ. ს. მესხი და სხვები „დროები“-ს ფურცლებზე სასტიკად აკრიტიკებდენ ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამასა და საწვავ-ლო გეგმებს. ქართული ენის დაცვის საქმეში დ. ყიფიანიც ჩაერია და თავისი ავტორიტეტული სიტყვა სთქვა, რომელიც არსებითად აგებული იყო მისი პოლიტიკური სოფლმხედველობისა და პროგრამის ძირითად საფუძვლებზე. ს. მესხის ერთი წერილის გამო („დროება“ № 254, 1881 წ.) მან მოათავსა იმავე „დროებაში“ რედაქციისადმი წერილი, რომელიც რედაქციის შენიშვნის მიხედვით, საცენზურო პირობების გამო, იმ სახით ვერ დაბეჭდილა, როგორითაც ეს დ. ყიფიანს გაუგზავნია რედაქციაში. ამ წერილში დ. ყიფიანი პირდაპირ ამბობს, რომ ადგილობრივი მოხელენი ცრუ გზაზე დგანან, მაგრამ განა ამაში დამნაშავეა ხელისუფლება? — არა, უპასუხებს ყიფიანი; „ცხადია, რომ აქ ცრუ გზაზედ დგომა უმაღლესი მთავრობის ბრალი არ უნდა იყოს“. დ. ყიფიანის მოსაზრება ასეთია: რუსეთის უზენაეს ხელისუფლებას, იმპერატორს არ შეუძლია ცუდ გზაზე დგომა, მისი განზრახვა და სურვილები ქართველი ერის სიკეთისაკენ არის მიმართული; მაგრამ ამას ამახინჯებს ადგილობრივი მოხელეები, უვიცნი და გაუნათლებელნი. აქედან ცხადია დიმიტრის აზრით, რომ საჭიროა ბრძოლა ამ მოხელეთა წინააღმდეგ, განმტკიცება იმ აზრისა, რომ მოხელე ამახინჯებს „უმაღლესი ხელისუფლების“ მისწრაფებებს. ყიფიანისათვის გაუგებარი და სრულიად მიუღებელი იყო ის დებულება, რომ რუსიფიკატორული პოლიტიკის ძირითადი სათავე არა მოხელეებში იყო, არამედ თვით საზოგადოებრივ წყობილებაში, რომ ამ პოლიტიკას ასაზრდოებდენ არა უმნიშვნელო მოხელეები, არამედ გაბატონებული კლასი და მისი ინტერესების გამომხატველი—ცარიზმი. საკითხის ამ სახით დაყენება პრინციპიალურად მიუღებელი იყო დ. ყიფიანისათვის და ამიტომ მისი ბრძოლის ხაზიც სხვა გზით მიემართებოდა: იგი ძირითად ბოროტებას კი არ ებრძოდა, არამედ ამ ბოროტების უმნიშვნელო აგენტებს. ესეც ისტორიულად დასაფასებელი არის იმდენად, რამდენადაც ასეთი ბრძოლა ობიექტურ ისტორიულ პირობების გამო მაინც მიმართული იყო რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკის წინააღმდეგ და ააშკარავებდა მის ბოროტ განზრახვებს.

აღსანიშნავია ის არგუმენტაციაც, რომლითაც დ. ყიფიანი ამტკიცებდა ქართული ენის უფლებასა და მის სარგებლიანობას. იგი სწერს: „მაშ სრული ნება გვექნება ვიკითხოთ, ქართული ენის ცოდნამ რა დაუშავა იმ გმირებს, რომელთაც ისახელეს თავი და ასახელეს რუსეთის მხედრობაც და რუსეთის მმართველობაც, როგორც ძველს დროებში, ისე ჩვენს მახსოვრობაში? რა დაუშავა ქართველობამ და

ქართულის ცოდნამ პავლე ციციანოვსა, პეტრე ბაგრატიონსა, აფხაზოვსა, სავარსამიძესა, გიორგი ერისთავსა, დიმიტრი ორბელიანს, ჯერ რომ ქართული იცოდენ და მერე რუსული, ამითი რუსეთს მტერს ვერ უმარცხებდნენ თუ? ქვეყნებს ვერ იმორჩილებდნენ თუ? მოსე არღუთაშვილი და ვასილ ბებუთოვი მტერსაც რომ ყოველთვის საოცრად უმარცხებდნენ და ქვეყნებსაც, რომ სახელოვნად უმორჩილებდნენ რუსეთსა; ან გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ლევან მელიქიშვილი,—ვითომ რა შემცოდველნი არიან რუსეთის წინაშე, რომ თავისი ქართველობა არ ჰგმეს და ჯერ ქართული ისწავლეს და მერე რუსული. ან მიხეილ ტარიელიჩმა ლორის მელიქოვმა რა შესცოდა ამითი, ქართულის ცოდნამ რა დაბრკოლება მისცა იმ სამხედროსა და სამმართველო მოღვაწეობაში, რომელსაც მთელი რუსეთი შეჰხარის და მთელი მსოფლიო შეჰკვირვებია? რა შესცოდეს იმ ქართველებმა, რომელნიც რუსებთან ძმურად ხელი-ხელს გადამბულნი რუსეთის დიდებისათვის თავისს წმინდა სისხლს ერთად ანთხევდენ და რუსეთის მხედრობას მოუხედავად მიუძღოდნენ, საითაც მსახურების ვალი იწვევდა" („დროება" № 262, 1880 წ. „დიმიტრი ყიფიანის წერილი").

როდესაც დიმ. ყიფიანის მსჯელობასა და მთელ არგუმენტაციას აკვირდებით, თქვენთვის ნათელი ხდება, რომ ავტორი ქართული ენის უფლების დაცვის საქმეში ორ ძირითად დებულებას ეყრდნობა: 1) პრინციპიალურად და პრაქტიკულად შესაძლებელი არის ქართული და რუსული ენების ერთად არსებობა. რუსული ენა, როგორც სახელმწიფოებრივი ენა, იგი ყველასათვის სავალდებულოა; მაგრამ ქართული ენის სწავლა, მისი ცოდნა ქართველებისათვის არავითარ ზიანს არ მოუტანს რუსულ ენასა და რუსეთის პატრონობას. ასე მსჯელობს პირველ შემთხვევაში დ. ყიფიანი; 2) მაგრამ ქართულ ენას აქვს თავისი კანონიერი უფლება მოითხოვოს თავისუფალი არსებობა თავის საკუთარ სამშობლოში. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს და ქართველმა მამულიშვილებმა დიდძალი სისხლი დაანთხიეს რუსეთის ტახტის ერთგულებისათვის სხვადასხვა ომებში. ეს დანთხეული სისხლი საუკეთესო საწინდარია იმისა, რომ ქართველი ხალხი და ქართული ენა უზრუნველყოფილი იქნეს რუსეთის ტახტის მფარველობის ქვეშ, ასეთს ძირითად დებულებებს ატარებდა თავის პოლემიკურ წერილებში იანოვსკისა და სხვების წინააღმდეგ 80-იან წლებში. მაგრამ ვერც ამ არგუმენტაციამ დაარწმუნა რუსეთის ტახტის რეაქციონური მოხელეები და მისი აგენტები დ. ყიფიანის დებულების სისწორეში. და ბრძოლამ მეტისმეტად მწვავე და თავდავიწყებითი ხასიათი მიიღო

ადგილობრივ ხელისუფლებასა და ქართველ საზოგადოების შორის დ. ყიფიანის მეთაურობით ეს უთანასწორო ბრძოლა დ. ყიფიანის სათვის საბედისწერო გახდა, მაგრამ ამაზე ქვევით.

დ. ყიფიანის პუბლიცისტური წერილების შინაარსი მარტო ქართველი ეროვნების, ენის და ქართული სკოლის დაცვით არ ამოიწურებოდა. იგი ცდილობდა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში წამოჭრილ ყოველ მნიშვნელოვან ამოცანისათვის მიექცია თავისი ყურადღება და თავისი თვალსაზრისით გაეშუქებია. აღსანიშნავი არის მისი წერილები ამიერ-კავკასიაში სასამართლოს რეფორმის შესახებ[1] და ზენიშვნები სასამართლოს წარმოების საქმეებში.[2] უნდა აღინიშნოს, რომ ეს წერილები არ არის მოკლებული ინტერესს და მაშინდელი ეპოქის თვალსაზრისით დ. ყიფიანი მრავალ საინტერესო შენიშვნას უკეთებს ამიერ-კავკასიაში გატარებულ სასამართლოს რეფორმას. დ. ყიფიანის წერილებიდან აშკარად სჩანს, რომ ავტორი არ იყო კმაყოფილი ამ რეფორმით და იგი მოითხოვდა რუსეთში გატარებული სასამართლოს რეფორმა მთლიანად გადმოეტანათ ამიერ-კავკასიის პირობებში. საქმე ის არის, რომ თვითმპყრობელობამ, მიიღო რა მხედველობაში ადგილობრივი პირობები, სასამართლოს რეფორმა,—ისე როგორც სხვა რეფორმები,—კუდშეკვეცილად გაატარა ჩვენში. დ. ყიფიანი ამტკიცებს, რომ არავითარი ისეთი პირობები არ არსებობდა, რომ ამის მიხედვით ამოეშალათ მთელი რიგი მნიშვნელოვანი მუხლებისა სასამართლოს რეფორმიდან. ავტორი აღნიშნავს რა მთელ რიგ ისტორიულ ფაქტებს საქართველოსა სასამართლოსა და საზოგადოებრივ ცხოვრებიდან, იგი დაასკვნის: „აქედან ცხადია, რომ აქაური ნიადაგი ძველ დროიდანვე უკვე სრულიად მომზადებული ყოფილა, რომ შეეთვისებია ახალი სასამართლოს წყობილება ყველა თავის უმაღლესად მოფიქრებულს სრულყოფილ ფორმებში, რომელთაც განათლებული კაცობრიობა სცნობს, როგორც აუცილებელ ატრიბუტს ჩქარი და სამართლიანი სასამართლოსათვის“.[3] მაგრამ ვიკითხოთ რა მოსაზრებით არ იყო კმაყოფილი დ. ყიფიანი. როგორი ცვლილებები, შეტანილი საერთო სასამართლოს რეფორმაში იწვევდა ჩვენი ავტორის შენიშვნებს? იმავე წერილში დ. ყიფიანი გადმოგვცემს თავის საუბარს ამ რეფორმის შესახებ 1866 წ. სენატორ ვოიცეხოვიჩთან. დ. ყიფიანი ამბობდა:

---

[1] Д. Кипиани, Заметки по поводу применения судебных уставов в Закавказском краю—журн. „Юридическое обозрение“ № 118, 119, 120, 123, 124, 183.

[2] Д. Кипиани, Эскизы к заметкам о Закавказской судебной реформе. журн. „Юридическое обозрение“ № 148, 150, 183, 194, 1884.

[3] Д. Кипиани, Заметки... იქვე, № 120, გვ. 309, 1884 г.

„სასამართლოს საერთო რეფორმებს, თუ არ ვსცდები, თქვენ დაუდევით საფუძვლად: ამომრჩეველობითი წესი მომრიგებელ ინსტიტუტისა და სისხლის სამართლის სასამართლოსათვის; საერთოდ კი და საჯარო სამართლის წარმოება და სრული გამოყოფა სასამართლოსი ადმინისტრაციისაგან.

ამიერ-კავკასიის მხარისათვის ამომრჩეველობითი წესი უარყოფილია; მაშასადამე—მომრიგებელი ინსტიტუტის პერსონალი შედგენილი იქნება მოხელეებისაგან; დანაშაულობის ფაქტის გამსაზღვრელნი იქნებიან ისევ მოხელეები, მომრიგებელ მოსამართლეთა დანიშვნა დამოკიდებულია ადმინისტრაციისაგან, სასამართლოს წარმოება არ შეიძლება იქნეს სახალხო. ვინაიდან მცხოვრებთა მასას არ ესმის ის ენა, რომელზედაც იქნება სასამართლოს წარმოება. სასამართლოს წარმოება რომ სახელმწიფო ენაზე უნდა იყოს, ამის წინააღმდეგ ვინ რას იტყვის; მაგრამ თუ ხალხს ეს ენა არ ესმის, მაშინ სად არის განმარტებების სწორად გადაცემის გარანტია? მთარგმნელები, რომელნიც რამდენადმე მაინც შეეფერებოდენ დანიშნულებას, რასაც ახლა დიდი მნიშვნელობა ეძლევა, არ მოიძებნება არც მარტო სასამართლოს პალატისათვის საკმარისი. მომრიგებელი მოსამართლის იურისდიქცია მეტის მეტად გაფართოებულია, მისი უფლება იმდენად გადიდებულია და მისი ფუნქციები იმდენად გართულებულია, რომ მისი მოვალეობათა შესრულება შეუძლებელია ერთი პირისაგან, როგორც და, ვისგანაც იყოს არჩეული ამ წმინდა მოწოდებისათვის; საოლქო სასამართლოს ეძლევა განსაკუთრებული, ორმაგი ხასიათი; სასამართლო პალატა კი წარმოადგენს ხან პალატას, ხან სენატს, ხან კი საოლქო სასამართლოს. თვით გასინჯეთ განა შესაძლებელია თუ ცბიერებას არ გამოიჩენს კაცი, მოლოცვა წარმატების, რომელიც მიღწეულ იქნა საერთო დადგენილებათაგან ასეთი მნიშვნელოვანი გამორიცხვების შემდეგ?“ [1]

ამ შენიშვნიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ დ. ყიფიანი არსებითად უკმაყოფილო იყო იმით, რომ სასამართლოს რეფორმას ამიერ-კავკასიაში ფრთები შეაჭრეს და გამოაცალეს ის დამახასიათებელი თვისება, რომელიც მოსამართლის საჯარო რჩევაში გამოიხატებოდა, დ. ყიფიანი სრულიად საფუძვლიანად მოითხოვდა, რომ მომრიგებელ მოსამართლენი თვით საზოგადოებას აერჩია და არა ადმინისტრაციას დაენიშნა. ამით მოსამართლე მეტი პასუხისმგებელი გახდებოდა და სასამართლოშიაც მეტი საზოგადოებრივი ელემენტი შეიჭრებოდა. მეორე მხრივ, დ. ყიფიანი გარკვევით აყენებდა საკითხს

[1] იქვე, № 118 გვ. 258—9, 1883 წ.

სასამართლოს წარმოების საქმეში ქართული ენის გამოყენების შესახებ. დ. ყიფიანის აზრით, სასამართლო უნდა იყოს ღია, ხალხისათვის მისაწვდომი და გასაგები. ეს მოხერხდება მაშინ, როდესაც სასამართლოში გამოყენებული იქნება ქართული ენა, რომელიც ხალხისათვის მისაწვდომი იქნება და გასაგები. ასეთი დებულების წამოყენება იმ ეპოქაში, როდესაც ქართული ენა ყოველმხრივ შევიწროებას განიცდიდა, დიმ. ყიფიანს აქტივში უნდა ჩაეწეროს. ეს, მართლაც, საკმაოდ გაბედული ნაბიჯი იყო დ. ყიფიანის მიერ გადადგმული რეაქციის მძიმე პერიოდში.

მაგრამ აქ შეიძლება წერტილი დავსვათ და დავამთავროთ დ. ყიფიანის პუბლიცისტური წერილების განხილვა. როგორც ზემოდ მოყვანილ ცნობებიდან დავინახეთ, მისი შრომა ქართულ მწერლობაში საერთოდ საგულისხმიერო და აღსანიშნავი იყო. მაგრამ მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ დიმ. ყიფიანი თავის დიდ ცოდნასა და დაუშრეტელ ენერგიას სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ სამსახურს ანდომებდა. და აი სწორეთ 80-იანი წლები მისი პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობის ერთერთ შესანიშნავ პერიოდს წარმოადგენდა. ამ პერიოდში უკვე ჭაღარითმოსილმა მოხუცმა თითქოს რაღაც იდუმალი განცდებით იგრძნო მის წინ გათხრილი რაღაც უფსკრული და უფრო გაასკეცებული ენერგიით შეუდგა თავისი პრინციპებისა და თავისი ეროვნულ-პოლიტიკური პროგრამის დაცვას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ რაზმაძე და მისი ღიჯერაჯურული მოღვანეობა

სოლომონ რაზმაძე ჩვენს ლიტერატურაში არ არის უცნობი ავტორი. მას იცნობენ როგორც მიცკევიჩის „ფარსის“ მთარგმნელს. ალეგორიული ლექსის „დათვისა და ცხვრის“ ავტორს, მაგრამ მას უფრო მეტი გაუკეთებია და დაუწერია: მის კალამს ეკუთვნის რამოდენიმე საინტერესო ლექსი, სხვადასხვა თარგმანები. იგი იყო მონაწილე 1830—32 წ. შეთქმულებისა. ისე, როგორც სოლომონ დოდაშვილის მოღვაწეობა, შეუსწავლელი და გამოურკვეველია სოლომონ რაზმაძის მოღვაწეობაც. რასაკვირველია, სოლომონ დოდაშვილი ბევრად მაღლა იდგა მასზე: დოდაშვილი პეტერბურგში კურსდამთავრებული იყო, მას ეკუთვნის მეტად საინტერესო ფილოსოფიური შრომა „Курс философии,“ რომლის პირველი ნაწილი—„Логика“—1827 წ. გამოვიდა პეტერბურგში. ხოლო დანარჩენი ნაწილი დაკარგულია, იგი იყო „ტფილისის უწყების“ დამაარსებელი (1828 წ.) და პირველი ქართული სალიტერატურო ჟურნალის გამომცემ-რედაქტორი (1832). იგი პუბლიცისტიც და პოეტიც იყო, მას ეკუთვნის ქართული გრამატიკა (1830 წ.) დოდაშვილი 1830—32 წლების შეთქმულების ერთ-ერთი მეთაურთაგანი იყო; იგი სწერდა პატრიოტულ პროკლამაციებს შეთქმულთა სახელით. ასეთი დიდი წონა არ ჰქონია ჩვენს ლიტერატურაში სოლ. რაზმაძეს; მაგრამ იგი მაინც საინტერესო პიროვნება არის. ამიტომ აქ ჩვენ გამოვაქვეყნებთ რამოდენიმე ცნობას მის შესახებ.

სოლომონი ერთ თავის ჩვენებაში 1833 წ. აღნიშნავს, რომ იგი 35 წლის არის. (იხ. ლენინგრადის ფონდი, VII გვ. 1195—98), მაშასადამე იგი დაბადებულა 1798 წ. მამა მისი ივანე (გივი) იმერეთიდან გადასული ყოფილა ქართლ-კახეთში. ერეკლეს მისთვის 1767 წ. ვაჟკაცობისა და სიმხნევისათვის უბოძებია აზნაურობა. (იხ. პ. კარბელაშვილი: „სოლომონ რაზმაძე,“ — „დროება“ № 259, 1882 წ.) თვით პოეტი აღნიშნავს, რომ „მისი მამა ბატონიშვილების ოჯახს ერთგულად ემსახურებოდა და ამიტომ გავხდი მე მათი მოწყალების ღირსი“-ო. სოლომონი აღუზრდია XIX საუკუნის ცნობილ მწიგნო-

ბარს თეიმურაზ ბატონიშვილს (1782-1846). თვით სოლომონი თავის ჩვენებაში სწერს; Я получил весьма малое свое воспитание в Петербурге и платил за меня Царевич Теймураз." თეიმურაზი გიორგი XIII-ის შვილი იყო. იგი 7 წლის განმავლობაში გაქცეული იყო სპარსეთში ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად. სპარსეთიდან იგი დაბრუნდა 1811 წ. და მას შემდეგ გამუდმებით ცხოვრობდა პეტერბურგში. თეიმურაზი სახელმწიფო სამსახურში არ შესულა, მთელ დროს ანდომებდა მეცნიერების შესწავლას, გარდა რუსულისა, იცოდა სპარსული და თათრული ენები, მას მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა ჰქონდა და გულმოდგინედ აგროვებდა სხვადასხვა მასალებსა და დოკუმენტებს; სწერდა თავის შეხედულებებს ქართული მწერლობის სხვადასხვა დარგების შესახებ. ოცი წელიწადი მუშაობდა საქართველოს ვრცელი ისტორიის შედგენაზე. აკადემიკოსი ბროსე თეიმურაზის მეგობარი იყო. მას ზოგიერთი თავისი წერილი უცნობებია ბროსესათვის და ამ უკანასკნელს დაუბეჭდია პარიზის „სააზიო მუზეუმში" (ძველი საქართველოს არითმეტიკის, ქართული ფულისა და ოთხი დიდი პოეტის შესახებ). მანვე დასწერა თავისი ძმის დავითის ცხოვრების ისტორია, რომელიც იყო ლიტოგრაფიულად გამოცემული და ფრანგულად გადათარგმნილი (დაიბეჭდა „ცისკარშიაც"), 1837 წ. თეიმურაზი პეტერბურგის საიმპერატოროო აკადემიამ აირჩია თავის საპატიო წევრად. (იხ. М. Брос се „Грузинский Царевич Теймураз", — „Кавказ" — № 47, 1847 г.)

თეიმურაზმა 1811 წ. ახალგაზრდა სოლ. რაზმაძე წაიყვანა პეტერბურგში და მშვენიერი სწავლა მიაღებინა. იგი სხვა ბატონიშვილებსაც დაუახლოვდა და მათთან მიწერ-მოწერა ჰქონდა. თვით სოლომონი თავის „ჩვენებაში" ამბობს: „Все царевичи живущие в Петербурге и в Москве знают меня, и так как отец мой служил ихнему дому кровью, за то и пользовался их милостью, Я не знаю какое влияние они могли иметь на заговор, а на меня может иметь влияние только один Теимураз царевич, за тем что с самого младенчества моего жил у него с матерью, кормил, поил, дал маленькое воспитание и любит меня, можно сказать, как сына, давал мне всегда добрые отеческие наставления" (ლენინგრადის ფონდი VII). ცხადია, რომ ბატონიშვილებმა ახალგაზრდა სოლომონს გარკვეული პოლიტიკური შეგნება ჩაუნერგეს: აღსანიშნავია, რომ მას ზედმიწევნით სცოდნია აღმოსავლეთის ენები: სპარსული, თურქული, ლეკური, სომხური. მასთანვე ლიტერატურულ მუშაობასაც ეწეოდა და თეიმურაზსაც ეხმარებოდა. მაგალითად, თეიმურაზის ერთ თარგმანს აწერია: განჯანი არისტო-

ლისანი. მეფე გიორგის XIII-ს ძისგან თეიმურაზისგან 1818 წ. თარგმნილი ქართულად. — ბოლოში ეწერია: შრომითა და ზედამხედველობითა სოლომონ რაზმაძე გივისა ძისათა.

მართალია, სოლომონ თავის პირველ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ შეთქმულების შესახებ მას პირველად 1832 წ. ტფილისში აცნობეს ა. ორბელიანმა და გ. ერისთავმა, (იხ. VI, გვ. 1012-15), მაგრამ შემდეგი მისი „ჩვენებები“ ააშკარავებენ, რომ მას საუბარი ჰქონია ამ შეთქმულების შესახებ ოქროპირ ბატონიშვილთან მოსკოვში (რვ. XII, გვ. 2148) და სხვადასხვა დავალებანიც შეუსრულებია. მაგალითად, სოლომონს გადმოუთარგმნია საფრანგეთის 1830 წ. რევოლუციის მონაწილის ლიბერალის ოდილიონ ბარროს (1791-1873) მოწოდება, გამოცემული, როდესაც იგი პარიზის პრეფექტი იყო. საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე 1833 წ. აპრილში სოლომონი უპასუხებს:

„Был однажды у Димитрия Царевича, увидел у них на столе рукопись по русски речь префекта Одилиона Барро взял я оное и перевел на грузинский язык. Без всякой цели и без всякой намерения перевел я оный речь а думал только будет ли по грузинский также хорошо как по русский“ (რვ. XIII, გვ. 23 85).

რასაკვირველია, ასეთი განმარტებით მეფის უტვინო „ჩინოვნიკებს“ თუ დაარწმუნებდა ს. რაზმაძე. იგი თავიდანვე შეთქმულების წევრი იყო და მის დავალებებს ასრულებდა. მისი გაგზავნა 1832 წ. ტფილისსა და სპარსეთში არ იყო უბრალო ამბავი. მან კავშირი გაბა ბატონიშვილებსა და ტფილისის შეთქმულებს შორის, ხოლო მეორე მხრივ, მას სპარსეთში ალექსანდრე ბატონიშვილთან და უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლებთან მოლაპარაკების წარმოებაც ევალებოდა.

სოლომონი 22 წლის განმავლობაში არ ყოფილა ტფილისში. 1832 წ. სპარსეთის ელჩად დაინიშნა სიმონოვიჩი, რომელიც თეიმურაზის ქვისლი იყო (ამილახვარის ქალი ყავდა ცოლად). თეიმურაზის თხოვნით, გრაფმა სიმონოვიჩმა თან წაიყვანა სოლომონი სპარსეთში საელჩოს თანამშრომლად.

— რაზმაძეს დამტკიცებული არ ჰქონია რუსეთის მიერ აზნაურობა, ამიტომ სამსახურში მისი გამწესება ძნელი ხდებოდა. თვით პოეტი „ჩვენებაში“ სწერს: Грузинский царевич Теймураз и царевна Елена, у коих я с самого младенчества своего жил с матерью, просили убедительно родственника своего графа Си-

моновича... взять меня с собой в Персию и там доставить мне случай если возможно будет заслужить чин через чего возмог бы иметь насущный хлеб“ (რვ. VI, გვ. 1012).

„ამ დროს, ტფილისში და პეტერბურღში, ქართველ ახალგაზრდობაში მოძრაობა იყო წინააღმდეგ მთავრობისა. ჯერ პეტერბურღშივე სოლომონი ანთებული იყო ამ მოძრაობით დიმიტრის იულონის-ძე ბატონიშვილთან, რომელთანაც იმყოფებოდნენ და მერე ტფილისში ჩამოვიდნენ: ელიზბარ და გიორგი შანშესძე და დიმიტრი ერისთავები, ვახტანგ და დიმიტრი ორბელიანები, ჯორჯაძე, იერომანახი, ტარასი ალექსიევ-მესხიევი და ფილადელფი კიკნაძე. ტფილისში ჩამოსულ სოლომონს ეს პირნი აქ დახვდნენ და გაიცნო გიმნაზიის მასწავლებელი სოლომონ ივანესძე დოდაევი, ზაალ სტეფანესძე ავთანდილოვი და ყიფიანი. ალექსანდრე ვახტანგისძე ორბელიანი. თეკლე ბატონიშვილი, თამარ ბატონიშვილი. ამ დროს დოდაევის რედაქტორობით ტფილისში იბეჭდებოდა გაზ. „ტფილისის უწყებანი,“ რომელშიაც იწყო წერა სოლომონმა. ამ დროსვე დაუწერია მას „დათვი და ცხვარი,“ პატრიოტული იგავი ლექსად, რითაც და სხვა ნაწერებით ახალგაზრდა ქართველების ყურადღება მიიზიდა. სპარსეთში წასვლის დროს 1832 წ. მაისში სოლომონ რაზმაძეს სადილი გაუმართა ელიზბარ ერისთავმა და ყველა ახალგაზრდა შეთქმულნი დაუპატიჟა. სადილზე დალიეს საქართველოს აღდგენის ჯამიღვინო, ბაგრატიონთ გვარისა და სხ. სადილის შემდეგ ალექსანდრე ორბელიანის ბაღში წავიდნენ, სადაც გაცხარებული ლაპარაკი ჰქონდათ—შეთქმულება როგორ გაეცხადებინათ. აქ, სოლომონს დაავალეს გაეცნო ალექსანდრე ბატონიშვილი, თავრიზში მყოფი ინგლისელები, სხვა სპარსეთის დიდკაცობა და შეთქმულებისათვის ხელი მოემართა“ („დროება“ № 259, 1882).

ეს ცნობები სავსებით მტკიცდება შეთქმულების მასალების მიხედვით. ტფილისში რაზმაძე ჩამოვიდა მარტში და დაუყონებლივ გააბა კავშირი შეთქმულთა მეთაურებთან: ალ. ორბელიანთან და ელ. ერისთავთან. მათი საშუალებით იგი გაეცნო სხვა შეთქმულებსაც და ს. დოდაშვილსაც, რომლის რედაქტორობითაც მაშინ გამოდიოდა გაზ. „ტბილისის უწყებანი“და მისი სალიტერატურო დამატებანი. გაიმართა შეთქმულთა კრებები ს. რაზმაძის თანდასწრებით.

თვით რაზმაძე ჩვენებაში აღნიშნავს, რომ მისი ტფილისში ყოფნის განმავლობაში რვაჯერ მოხდა ასეთი კრებები, ზოგ შემთხვევაში ბაღებში. ცხადია, რაზმაძე აცნობდა შეთქმულებს ბატონიშვილების დავალებებს. სოლომონი თავის „ჩვენებაში“ გადმოგვცემს:

„Наш разговор состоял в этом, не лучше ли освободиться, нам от России, но как освободиться, у нас никаких способов нет, кто нам поможет, ни на Персов ни на Турков нам нельзя надеятся если они и помогут разве для того чтоб самим после завладеть и тогда Грузия погибнет совсем без покровительства Грузия не может существовать, а Российское Правительство мало внимание обращает на Грузию, мало учебных заведений. Не просвещают нас. К кому же прибегнуть, что предпринять. Прибегнуть к Англии, к Франции, но кого послать между нами никаго такого нет. И захотят ли они помочь нам, верно нет, какая им прибыль будет, а если обманут нас как и поляков, что тогда будет не лучше ли так остатся." (რვ. VI, გვ. 1013).

როგორც სჩანს, შეთქმულებს დაუვალებიათ ს. რაზმაძისათვის მოლაპარაკება გაემართა ა. ბატონიშვილთან და უცხოეთის ელჩებთან. რომ ინგლისისა და საფრანგეთის დახმარების იმედი ჰქონიათ შეთქმულებს ეს იმავე ს. რაზმაძის მეორე ჩვენებიდანაც მტკიცდება. იგი სწერდა:

„Думали, если все князья и дворяне согласятся принять участие и с ними согласятся все грузины и армяне и если Англия или Франция поможет тогда полагали, что может будет успех" (რვ. VII გვ. 1197).

ს. რაზმაძემ ტფილისში ყოფნის დროს მონაწილეობა მიიღო ლიტერატურულ მუშაობაშიც. „ტფილისის უწყების" სალიტერატურო ნაწილის მარტის უკანასკნელ ნომერში მან მოათავსა „ისპანური სიმღერის" თარგმანი და ორიგინალური ლექსი „ლხინი." როგორც ცნობილია, ს. დადაშვილმა ამ ჟურნალში მრავალი პატრიოტული ლექსი მოათავსა, რომელიც რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იყო მიმართული. რაზმაძე თავის „ლხინში" პირდაპირ ამბობს: „ჩემი მიჯნური თავისუფლდება" (№ 5, გვ. 115, 1832 წ.). ცხადია, იგი სამშობლოს თავისუფლებაზე ლაპარაკობდა. ტფილისშივე დაუწერია რაზმაძეს არაკი „დათვი და ცხვარი." საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე, რაზმაძე უპასუხებს:

Басню „Медведь и баран" я написал здесь в Тифлисе летом прошлого года не помню в котором месяце, никуда не посылал а наказал только князьям Александру и Вахтангу Орбелиановым и оставили они у себя" (იხ. რვ. XI, გვ. 1936). ეს არაკი გამოქვეყნდა 1926 წ. „მნათობში" (№ 7 გვ. 59-62) და შეცდომით გრ. ორბელიანს მიაწერეს. ეს არაკი აუცილებლად ს. რაზმაძეს ეკუთვნის. ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ იგი ალ. ორბელიანის ქალალ-

დებიდან ყოფილა ამოღებული, მეორე მხრივ, რაზმაძეს ეკითხებიან, რატომ ხმაროზ არაკში „წავკისსაო.“ წავკისი სწორედ ამ არაკში არის ნახმარი. („როგორც ტვირთელმა წავკისის ვირმა...“) არაკი პოლიტიკური ხასიათისაა და შეთქმულთა იდეოლოგიას გამოხატავს: შიგ აწერილია ალეგორიული სახით საქართველოს უკანასკნელი ხანის თავგადასავალი, რუსეთის მეფის მიერ დაპყრობა საქართველოსი და ბატონიშვილების გადასახლება რუსეთში. დასკვნაში ავტორი ამბობს:

არ ეჭირვებათ მკურნალი მრთელთა,
არამედ სნეულთ და დავრდომილთა.

ე. ი. საქართველო დასნეულებული არ არის და მისთვის არ არის საჭირო რუსეთის მეფეო. არ არის სწორი, თითქოს დათვი — თვითმპყრობელი რუსეთი იყოს, ხოლო ცხვარი საქართველო, როგორც ამას ჰფიქრობენ ზოგიერთნი. დათვი რუსეთის იმპერატორია, ცხვარი — საქართველოს მეფე, ბატკნები — ბატონიშვილები. როგორც ცნობილია, ს. რაზმაძეს 1831 წ. გადმოუთარგმნია მიცკევიჩის „ფარსი“ (იხ. ცენტრარქივი, 1832 წ. შეთქმულთა საქმე, № 171, გვ. 151-58. გამოაქვეყნა მ. ზანდუკელმა). ამ „ფარსის“ თარგმანს აკითხებდენ რაზმაძეს შეთქმულები გამართულ საღამოებზე. (იხ. დ. ყიფიანის „მემუარები,“ გვ. 140).

რა გააკეთა სპარსეთში შეთქმულებისათვის რაზმაძემ საქმეებიდან, არ სჩანს. შეთქმულების აღმოჩენას თან მოყვა რაზმაძის დაპატიმრებაც. სპარსეთში სპეციალური კურიერი იქნა გაგზავნილი მის ჩამოსაყვანად.

1833 წ. თებერვლის 4-ს იგი უკვე ტფილისის ყაზარმაშია და სწერს პირველ თავის ჩვენებას. საგამომძიებლო კომისიამ რაზმაძე მესამე ხარისხის დამნაშავედ აღიარა და გადაუწყვიტა „რუსეთში გადასახლება, აღუკრძალა საუკუნოდ საქართველოში დაბრუნება.“ 1834 წ. იგი უკვე პენზაშია და მთელი თავისი სიცოცხლის დღენი აქ გაატარა. ამ პერიოდის მისი ლექსები გაჟღენთილია ღრმა სევდით. უნდა აღინიშნოს, რომ ს. რაზმაძეს, როგორც დაბალი წოდების შთამომავალს, ყოველმხრივ ავიწროებდნენ. მაშინ, როდესაც უმთავრესი დამნაშავენი რამოდენიმე წლის შემდეგ სრულიად განთავისუფლებულნი იქნენ და ჩინ-მენდლებითაც დააჯილდოეს, ს. დოდაშვილი და ს. რაზმაძე ამ ბედნიერებას ვერ ეღირსნენ. ვას. კარბელაშვილი, 1883 წ. მოსკოვში შეკრებილ რაზმაძის შესახებ ცნობებში სწერს: „რაზმაძეს ჩონგური ჰქონია წაღებული და კარგადაც ცოდნია დაკვრა, რომლითაც ხანდისხან იქარწყლებდა სევდას. მაგრამ ამისი

სევდა იყო დაუსრულებელი, მით უფრო რომ პოლიციას უუმკაცრესი ყურადღება ჰქონდა მიქცეული და ახლო-მახლო სოფლებშიც კი არ ჰქონდა ერთი-ორი დღით გასვლის ნება. იმას რო ისეთი ფეხლაბა ჰქონოდა, როგორიც პოეტს გიორგი ერისთავს, არა უშავდა და კიდევაც ამიტომ მოსძაგდა სოლომონს სუყოლისფერი, ვინაიდგან დაჰკარგა იმედი სამშობლოში დაბრუნებისა (ვას. კარბელაშვილი, სოლ. ივანესძე რაზმაძის ნაწერებიდან. საქ. მუზეუმი № 1262).

ასეთს მდგომარეობაში ჩაყენებული პოეტი იგონებს სამშობლოს და ამბობს:

ნეტამც, მამულო, არ მომდებოდა
შენის ხილვისა სურვილის ალი,
ურვის სახმილში არ დადნებოდა
ეს ჩემი გული, მომაკლდა ძალი.
ეჰა, მამულო, ეჰა მამულო.

მას აგონდება „შვების დღე დაბნელებული“ დედა და მოსთქვამს:

მოხუცნი ღაწვნი მას დაუღარეს
მრავლის დენითა სისხლისა ცრემლთა:
გული და სული მას დაუარეს
მწუხარებისა ულმო მახვილთა;
ვაიმე, დედავ, ვაიმე დედავ!
ვგოდებ ნიადაგ, რომ ვერა გხედავ!
(იხ. „დროება“ №259, 1882).

პოეტი ცდილობს თავისი ღრმა სევდა ღვინისა და ჩონგურის ხმაში გაიქარვოს, 1834 წ. პენზაში დაწერილ ლექსში იგი ამბობს:

რასთვის მარტოებ დაღონებული
ზიზარ და ჭფიქრობ გაოცებული?
გიღელავს გული ურვის სახმილით,
ხედავ ფიალას, სავსესა ღვინით?
შესვი—მოგეცეს ლომისა ძალი
და დაგიშრიტოს შემწველი ალი!
კმარა, ნუ აფრენ გონებას შორად,
ვახოთ ბაგენი ჯიხვებსა ხშირად!
აჰა ჩონგური, დაუკარ რამე,
მით მოგეცემა გულის სიამე!
კახური მიჰფენს სიხარულს პირსა,
მივსჭედოთ სევდა ქვევრების ძირსა.

(საქ. მუზეუმი № 1262 ქ. პენზა 1834 წ.)

მაგრამ „ულმა საფლავში მკვდარსა მდებარე“ პოეტს ვერ განუქარვა სევდა ვერც ღვინომ და ვერც ჩონგურმა. „მშვენიერი ბუნებაც“ „ვეღარ ახარებდა“ მის „მოკლულ გულს“. პოეტმა უკვე გაუკეთა დასკვნა თავის ცხოვრებას:

ჩემთვის უცხოით ადგილი ცივი,
სადა ვლასლასებ აჩრდილის დარად
ხვედრისაგანა მექნას სამარედ“. („სოფელს“)

პენზაშიაც რაზმაძეს ვერ მოუხერხებია კარგა ხნის განმავლობაში სამსახურში შესვლა. მისი ცნობების მეორე შემკრები, პ. კარბელაშვილი გადმოგვცემს: „სოლომონ რაზმაძე აზნაურობის მაძიებელი იყო და აზნაურობის დამტკიცებამდე სამსახურში შესვლის ნებასაც არ აძლევდნენ. დაუმატოთ მისს ცხოვრების ცუდაობაც, რომელიც საშინელ ბეჭედს ასვამს და ასახიჩრებს კაცის ფიზიკურს და ზნეობრივს სიცოცხლეს და მაშინ ცოტად ვიგრძნობთ იმის უშვერველ მდგომარეობას. დავით ბატონიშვილი, მარიამ დედოფალი და სხვ. ჰმოწმობენ სოლომონის აზნაურობას, როგორც იყო მიიღო აზნაურობის დამტკიცება 1835-40 წ. და სამსახურში შევიდა, მაგრამ „სამსახური როდი ყოფილა მისი ვნებული სულის მალამო“... („დროება №259, 1882 წ.) ს. რაზმაძე დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა, რომ მისთვის პეტერბურგში ცხოვრების ნებართვა მაინც მიეცათ, მაგრამ თავის სიცოცხლეში ამას ვერ ეღირსა. მხოლოდ 1862 წ. დართეს ამის ნება, მაგრამ პენზაში „დატყვევებულ პოეტს“ ველარ მიუსწრო: იგი იმავე წელს გარდაცვლილიყო და ეს „უცხოით ადგილი ცივი“ სამუდამო „სამარედ“ გადაექცა. პენზაში ტყვეობის დროს ჩვენი პოეტი დაქორწილებულა. სოლომონის შვილი იყო შემდეგში ცნობილი მუსიკის ისტორიკოსი და მოსკოვის მუსიკალური კონსერვატორიის დირექტორი პროფესორი ალექსანდრე რაზმაძე, რომლის სურათი ამ ხუთიოდე წლის წინედ გაზ. „კომუნისტში“ იყო გამოქვეყნებული. ა. რაზმაძეს დაწერილი აქვს ოთხტომიანი „Всеобщая история музыки“.

სოლომონ რაზმაძეს დიდძალი ორიგინალური და თარგმნილი ლექსები დარჩენია; ვას. კარბელაშვილი მოსკოვში შეკრებილ ცნობების მიხედვით, მთელ რიგ მისი ლექსების სათაურებს ჩამოთვლის; უკვე სათაურებიდან სჩანს, რომ ზოგიერთი ამ ლექსებიდან ს. რაზმაძეს არ ეკუთვნის. მას ჰქონია პროზაც, ზოგი თარგმანიც, მის არქივში ყოფილა დიდძალი წერილი ბატონიშვილებთან და სხვა ცნობილ ქართველ პირებთან. დიდი ნაწილი ამ ნაწერებიდან ჯერჯერობით არსად სჩანს.

ს. რაზმაძეს „სიჭაბუკისა უგონო ვალიც მიუცემია“. მის ლექსებში სიყვარულის მოტივიც არის გატარებული. „ცისკარში“ დაბეჭდილ ლექსში პოეტი ხოტბას უძღვნის „ტფილისის ლამაზთა“.

ღამეს უვიან მთიებნი ნაზნი,
ტფილისს ჰსუფევენ მნათნი ლამაზნი.
შორის ციურთა მნათთა ღამისა
აღემატების სხივი მთვარისა.

. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარ ციურის აზოვნებითა
ვალს დიდებულად ჰაეროვანი;
რავდენ სავსე აქვს სიტკბოებითა
ნატიფი მკერდი სანდომიანი!
ვით მიმოისვრის ნაზთა გუგათა ელვა-მოსილთა!
ვითარ აშვენებს ღაწვთა ციმციმი მისთა ღიმილთა.

(იხ. „ცისკარი" № 2 გვ. 1. 9-20, 1858 წ.
რაზმაძის ლექსი)

მაგრამ რაზმაძის პოეზიის დამახასიათებელი ლეიტმოტივი სიყვარული და ლხინი არ არის. იგი პოლიტიკური მებრძოლი პოეტი იყო, მებრძოლი რუსეთის თვითმპყრობელობის გასადენად და ბაგრატიონთა ტახტის აღსადგენად: ამ გზით ცდილობდა იგი საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების დაცვას. მისი საინტერესო პოლიტიკური არაკი „დათვი და ცხვარი" პოეტის პოლიტიკური მრწამსის საუკეთესო გამომხატველია. რაზმაძეს XIX-ე საუკუნის პირველი პერიოდის პოლიტიკური ბრძოლის ამბები რუსეთის იმპერატორისა და ბატონიშვილების ბრძოლის ასპექტში აქვს ასახული. მას ვერ წარმოუდგენია საქართველოს განთავისუფლება, ბაგრატიონთა ტახტის აღდგენის გარეშე. მოუსმინოთ პოეტს:

ერთს დილას იჯდა მყუდროს ადგილსა საწყალი ცხვარი[1]
ნახა რომ მოდის ნადირთა ჯარი[2],
მათ წინ მოუძღვის მრისხი აფთარი[3].
მოვიდენ მასთან მოესალამნეს,
ნადირთ მეფემან[4] ჩვენ მოგვგვლინა
შენის საზღვრისა დასაცველადა.....
რა ესმა ცხვარსა, მყის პოილხინა.
და სიხარულით ამოიქშინა...
მსწრაფ გაუღო კარი,
შეიწვია ჯარი
და უმასპინძლა, მიართვა მწვარი,
გარდაიცვალა საწყალი ცხვარი..
რა ესმა აფთარს მყის ნახა ხანი
თავის ჯარისა,—აწვე წარვედით
ცხვარის ცოლშვილსა შემოერტყენით,
. . . მოხვიეს ხელი
და გარდაყარეს ერთობ ყოველი
ერთ ჭაობიან ადგილსა მყრალსა[5]
დათვს მოახსენეს მას შეუბრალსა:

[1] იგულისხმება გიორგი XIII-ე.
[2] რუსის ჯარის შემოსვლა.
[3] ალბათ ლახარევი.
[4] რუსეთის იმპერატორი.
[5] ბატონიშვილის გადასახლება რუსეთში.

რათ გვართმევ საწყალთ ჩვენთა მამულსა
ეს არის შენის შეწევნის აღთქმა?

. . . . . .

„რატომ მადლობას ღმერთს არ შესწირავ,
რომ თქვენის ქცევით გადმოგასახლეთ?
თქვენ თქვენს მამულსა ვერ მოუარეთ
და იმისათვის ჩვენ შემოვიერთეთ".
„ბატონო დათვო! ჩვენ შემოგჩივლეთ
ტურა-მგლისაგან და შველა გთხოვეთ,
რადგან ბრძანდები მეფე ძლიერი,—
უთხრეს ბატკნებმა,—ახლა მშიერი
უნდა ვეყარნეთ? რა შევიმატეთ
თქვენის შველითა? მგელნი განსდევნეთ
ჩვენის მამულით. თქვენვე დაგვდგუნეთ
ერთიანათა და დაგვატყვევეთ,
რაც მათ გადარჩათ, სულ თქვენ მიგვიღეთ.

(იხ. „მნათობი" № 7, 1926 წ.)

როგორც მკითხველი ხედავს, რაზმაძის პატრიოტიკა ბაგრატიონთა ტახტის ერთგულების გრძნობით არის გაღვივებული. ეს, 1830-32 წ. შეთქმულთა პოლიტიკური ფილოსოფია იყო.

მართალია, ს. რაზმაძემ მოინანია თავისი შეცდომა და პატიება ითხოვა, ოფიციალურ ჩვენებაში ქედი მოხარა რუსეთის ტახტის წინაშე, (იხ. რვ. XXI გვ. 4020), მაგრამ ეს მხოლოდ ოფიციალურად და გარეგნულად იყო, პატიმრობიდან დახსნის მიზნით. არსებითად მის გულში არ წაშლილა ძველი განცდანი და პოლიტიკური შეგნება. მისი ლექსი „ე ლ ბ რ უ ს ი" (იხ. საქ. მუზეუმი № 1262) პოლიტიკური ხასიათის ალეგორია უნდა იყოს. მოგვყავს ეს ლექსი მთლიანად.

ე ლ მ რ უ ს ი ა

აღუჩნდა თვალთა სვეტი ელვარე,
იალბუზადა სახელ დებული,
ცისა ტიალსა
ვის უნათია ქვე არე მარე,
რომლისა ძირსა ბიბინებს ველი,
მოქშუის ცემა წეროთა ფრთათა
დასავლეთიად მომფრინვალეთა!
ანაზდათ შეხვდნენ გარდაუვალსა მთასა მაღალსა.
ფრთათა იგინი ძლიერად სცემენ,
თოვლის ქულათა ანიავებენ—
და უძალონი გარდაფრენისა—ქვე ეცემიან;
გარნა არწივნი მხნენი ძლიერნი მას გარდავლიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟამთა ჟამები-იალბუზია ღრუბელ-მოსილი,
ხოლო არწივი არს დიდი ღენი (?)—ზეცით მოსული.
თუმცა ნამდვილად ესე ესრედ არს, გარნა, მკითხველო,
ნუ შეგავინა ვირიცა მძიმედ ტვირთული სრულად კავკაზი
ურვებს გადააბიჯებს
მოჰკრის უკუნი გამწარებული.
ქვეყანას ჰღუპავს სიბნელეშია.

10 თებერვალი 1835 წ.

სოლომონ რაზმაძის პოეზია პესიმიზმით არის გამსჭვალული; პოეტი უიმედობას და ღრმა სევდას შეუპყრია: გამოსავალს ვეღარ პოულობს და მხოლოდ სიკვდილს შესტრფის როგორც თავის მხსნელს. ამ პესიმიზმის გამომხატველია მისი 1841 წ. დაწერილი ლექსი, რომელიც აქვე მოგვყავს.

ს ი ზ ნ ე ლ ს

რა მშვენიერ ხარ, ეჰა, სოფელო!..
მაგრამ შენ, გულო, (ხ) ვისგან მოკლულო
მისი სინათლე ვერღა გახარებს,
ვერღა გახარებს ცხარის მზის სხივი,
ულმო საფლავში მკვდარსა მდებარეს...
ჩემთვის უცხოით ადგილი ცივი,
სადა ვლასლასებ აჩრდილის დარად,
ხვედრისაგანა მექნას სამარედ....
ზედა უზომოს მთასა და ველსა
ვაცურვებ ხედვას დაღამებულსა...
ხედვაც მიშრტების დაობლებულსა...
რას ვაქნევ სოფლის მშვენიერებას,
ან სიცოცხლისა ბედნიერებას
თუ ვეღარ ვნახავ გულის სინათლეს,
ძვირფასი დედის ანგელოზ სახეს!..
ვისი ჰვრეტითა ვერ განძღენ თვალნი...
უშენოდ, დედავ, მიდნების ჰვალნი...
მაცოცხლებელნო, წყაროო სპევალნო,
მთანო და ბორცვნო, ნათელნო ველნო,
ნაყოფიერნო ჩემთვის ხართ მკვდარნი:
ვერღა მაამოს თქვენმა ხედვამა,
ვერც კავკასიის გრილმა ნიავმა....
მომძაგდი შენცა, დღეო ბრწყინვალე ვ
შენცა უფსკრულო, ღამის სიბნელევ....
მიმელო სრულად ყოვლით სიამე,
სიცოცხლისა მზე დამიბნელდა მე;
დაცარიელდა ჩემთვის საწუთრო
სისხლისა ცრემლი სიკვდიმე ვღვარო.
ეს ხვედრი ჩემი ვერვინ შესცვალოს!...
გულზედა მაწევს ურვა ვით ლოდი,
მისმა მახვილმან მგმიროს და მგმიროს
ოი, სიკვდილო რას ლამი?—მოდი:

(საქ. მუზეუმი № 1262, ან „დროება“ № 259, 1882. 22 აპრილს 1841 წ).

მართალია, სოლ. რაზმაძის ეს ღრმა პესიმიზმი პოეტის პირად მდგომარეობის ფონზე არის ასახული, მაგრამ მისი სოციალური წყარო უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ მაშინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობაში. ს. რაზმაძის პოეზია თავისებურ სახეს წარმოადგენს ქართულ რომანტიზმის ისტორიაში; მისი პესიმიზმი შეთქმულთა კატასტროფის შედეგია და გამომსახველი ბაგრატიონთა მსახური აზნაურის პოლიტიკური განცდებისა.

ს. რაზმაძის შემოქმედება არ არის მოკლებული პოეტურ ღირებულებას. მისი ზოგიერთი ლექსი არ ჩამოუვარდება ზოგიერთ მაშინდელ პოეტების ლექსებს და ბევრად მაღლა დგას ს. დოდაშვილის ლექსებზე. მისი ენა, პოეტური ლექსიკა უფრო დახვეწილია და მარტივი, ვინემ ს. დოდაშვილის ენა, რომელიც ანტონ კათალიკოზის ენითა სწერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე მაჩაბელი

მიმდინარე (1933) წელს 35 წელი შესრულდა ივ. მაჩაბლის გარდაცვალებიდან, უკეთ მისი დაკარგვიდან. რაღაც უცნაური იყო ამ შესანიშნავი პიროვნების ცხოვრების დასასრული: იგი მოულოდნელად გაუჭრა საზოგადოებას ხელიდან და ამ „გაქრობის“ ამბავი დღესაც ვერ გამოურკვევიათ. დაკარგვის მეორე დღესვე გაზ. „ცნობის ფურცელი“ სწერდა: „გუშინწინ, 26 ივნისს, დილით ადრე, თითქმის ოთხ საათზე, თ. ივ. მაჩაბელი გამოვიდა თავის სახლიდან და აღარსად სჩანს. სახლში დაუტოვებია პორტმანე, საათი და ოქროს ღილები პერანგისა. ერთი სიტყვით, არავითარი ძვირფასი თან არ წაუტანია. ამ ამბავმა მომეტებულად ააღელვა მისი ოჯახობა და მაშინვე დაუწყეს ყოველი მხრით ძებნა. აგერ მესამე დღე გადის და კიდევ ვერ უპოვნიათ.“ (იხ. „ცნობის ფურცელი“ № 570, 1898 წ.) ივ. მაჩაბლის ასეთმა მოულოდნელმა დაკარგვამ საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და ათასჯვარ ლეგენდებს მისცა გასავალი, იგივე გაზეთი სწერდა: „დღეს მეშვიდე დღეა, რაც ვერ უპოვნიად თავ. ივ. მაჩაბელი. ამდენი ხნის მოუძებნელობის გამო ტფილისში ათასი ლეგენდა და მითქმა-მოთქმა შეითხზა. ამბობენ, რომ ცოცხალი უნდა იყვესო, სადმე იმალებოდესო, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საბუთი არსად სჩანს, რადგან მთელი კვირა ასეთი ცნობილი კაცი ვერსად დაიმალებოდა“... და სხ. (№ 572). დიდხანს ეძიეს, დიდი ზომები მიიღეს მაჩაბლის აღმოსაჩენად, მაგრამ სულ ამაოდ. „ამდენი ხნის ძებნამ სულ ტყუილად ჩაიარა... ათასგვარი ჭორებისაგან მოსვენება არ არის... ამ ჟამად ახალი ცხელი ამბავი დატრიალებს ქალაქში: ვითომ თავ. მაჩაბელი რომელიმე უდაბნოში, მონასტერში იმალებოდეს“ (№ 587). ერთი წლის შემდეგ „კვალი“ სწერს: „ამ ხნის განმავლობაში ის ბევრი ეძიეს მარა ვერსად ვერავითარი კვალი ვერ ნახეს. თავი მოიკლა? უცხოეთში გადაიხვეწა? ეს და სხვა ასეთი კითხვები იბადებიან და ისევ კითხვებად რჩებიან. საიდუმლოება მისი დაკარგვისა დღემდის ვერ გამოირკვა. სვე-ბედი დაკარგულისა დაბეჯითებით არავინ უწყის“... („კვალი“ № 26, 1899 წ.).

მაგრამ ივ. მაჩაბლის სვე-ბედი და „მისი დაკარგვის საიდუმლოება“ დღესაც, 35 წლის შემდეგაც, არავინ იცის დაბეჯითებით. ეს საკითხის ერთი მხარეა. ხოლო საკითხის მეორე მხარე იმაში გამოიხატება, რომ მისი ღვაწლი, შრომა და აზროვნება სრულიად შეუსწავლელი და გამოურკვეველია. ჩვენში ბევრმა იცის, რომ ივ. მაჩაბელი შექსპირის ტრაგედიების საუცხოვო გადმომთარგმნელია ქართულად, რომ იგი გაცხარებულ ბრძოლას ეწეოდა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ და უკანასკნელ ხანებში მთელი თავისი ენერგია ამ ბრძოლა-ოპოზიციას შეალია, მაგრამ არავინ იცის თუ რა და რა საკითხში ებრძოდა იგი ჭავჭავაძეს, როგორი იყო მისი აზროვნება და სამოღვაწეო პროგრამა? ყოველივე ეს კითხვა, სრულიად გაუშუქებელია ჩვენში და თვით ივ. მაჩაბლის მოღვაწეობა გამოურკვეველია და შეუფასებელი.

მართალს სწერდა „კვალი“ 1899 წ. „ივ. მაჩაბელი პატარა კაცი არ ყოფილა: ის ისეთი მოღვაწე არ ყოფილა, რომ მისი დაკლება არაფრად ჩაეგდო საზოგადოებას.“ ივ. მაჩაბელი მრავალმხრივი მოღვაწე იყო. იგი მთელი 20 წლის განმავლობაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა საზოგადოებრივ საქმეებში: იგი რედაქტორი იყო სამი წლის განმავლობაში გაზ. „დროებისა“ (1883—85), უფრო ადრე, თანა-რედაქტორი ჟურნალ „ი ვ ე რ ი ი ს ა,“ სათავად-აზნაურო ბანკის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, წევრი სხვადასხვა საზოგადოებისა, განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო მისი მოღვაწეობა თეატრალურ კულტურის საქმეში და საერთოდ მწერლობაში. თეატრალურ კულტურის აღორძინებას იგი ხელს უწყობდა, როგორც თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით დრამატიულ საზოგადოებაში, ისე თავისი თარგმნებით. ზედმიწევნით მცოდნე ევროპული ენებისა და ლიტერატურის, მაჩაბელი ამდიდრებს ჩვენს მწერლობას შექსპირის მთელი რიგი ტრაგედიების საუკეთესო თარგმანებით. აღსანიშნავია რომ ივ. მაჩაბელმა, 18 წლის სრულიად ახალგაზრდამ, დაიწყო შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმნა ქართულად 1872 წ. (იხ. „დროება № 1872 წ. ვას. მაჩაბლის წერილი), 1873 წლიდან მას მოეხმარა იმჟამად პეტერბურგში მყოფი უკვე სახელგანთქმული ი. ჭავჭავაძე და ერთად გადმოთარგმნეს ეს ტრაგედია, რომლის პირველი მოქმედება 1873 წ. „კრებულში“ დაიბეჭდა, ხოლო მთლიანად ცალკე წიგნად ორიოდე წლის შემდეგ გამოვიდა. მის კალამს ეკუთვნის სხვა მწერალთა ნაწერების თარგმნა ქართულს ენაზე. მაგრამ ივ. მაჩაბელი არამარტო მთარგმნელი და პრაქტიკული მოღვაწე იყო, იგი ნიჭიერ პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ად ითვლებოდა. სამწუხაროდ, ეს მხარე მისი მოღვაწეობისა სრულიად გაუშუქებელია ჩვენს მწერლობაში.

ამიტომ გვინდა ამ პატარა წერილში მოკლეთ მაინც შევეხოთ მისი მოღვაწეობის ამ საინტერესო მხარეს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ივ. მაჩაბელს თავისი პუბლიცისტური ნიჭის გასაშლელად ნაკლებად უწყობდა ხელს ობიექტური პირობები, უფრო მეტი—დიდი ხნის განმავლობაში იგი სრულიად მოკლებული იყო ასეთ შესაძლებლობას. მისი პუბლიცისტური მოღვაწეობა დაიწყო 70-ანი წლების მიწურულიდან და განსაკუთრებით გაღრმავდა 80-იან წლების დასაწყისში, როდესაც მის ხელში გადავიდა გაზ. „დროება.“ ამ დრომდე იგი გარედან თანამშრომლობდა პრესაში. რაღაც წელიწადნახევრის განმავლობაში (1882—83), ივ. მაჩაბელი ი. ჭავჭავაძემ მიიწვია თავისი „ივერიის“ თანარედაქტორად, მაგრამ, „ივერიაში“ მოთავსებულ წერილებიდან მის კალამს უმნიშვნელო ნაწილი ეკუთვნის და იგი უმთავრესად ტეხნიკურ მუშაობას ეწეოდა, ჟურნალის ტონისა და შინაარსის მიმცემი ი. ჭავჭავაძე იყო. 1883 წ. დაავადმყოფდა ს. მესხი, „დროების“ რედაქტორი, რომელმაც 14 წლის განმავლობაში დიდი მზრუნველობა გაუწია ქართულ პერიოდიკას (იხ. მაჩაბლის წერილი: „სერ. მესხი. გაზ. „დროება“ № 1883 წ.). „დროების“ მემკვიდრეობის შესახებ მეტად ცხარე დიპლომატიური ბრძოლა გაჩაღდა ინტელიგენტთა წრეებს შორის. ი. ჭავჭავაძეს გაზეთის გადაცემა თავის ერთგულ კაცებისათვის უნდოდა და არ იყო მომხრე, რომ მისი რედაქტორობა ივ. მაჩაბელს ჩავარდნოდა ხელში, თუმცა იმ ხანებში მასსა და მაჩაბლის შორის საგრძნობ წინააღმდეგობას არ ჰქონია ადგილი. დავ. სოსლანი (კეზელი) მაშინდელ „დროების“ მდგომარეობის შესახებ სწერდა: „ეს ორი თვეა, რაც „დროება“ დასაკლავ ხარის მდგომარეობაში იყო... რასაკვირველია, ჩვენმა ყლაპიებმა სუნი აისხეს და ცბიერის ღიმილით და ტანის რხევით გაუთამაშ-გამოუთამაშეს დროებას... საქმე მთლად გაჩალხული იყო, მხოლოდ ჯვარის წერის დღე არ დაენიშნათ. საქმრომაც სახლი მორთო, ნამცხვარი დაამზადა და გულის ძგერით ელოდა პირველ ღამეს, მაგრამ საბრალოს ამდენმა სამზადისმა ტყუილად ჩაუარა და მორთულობა წაუხდა. უეცრივ საიდგანღაც მიწის მგელივით გამოტყვრა ერთი ჩათუქესანი ბიჭი (ე. ი. მაჩაბელი—ს. ხ.), პატარძალი თვალწინ მოსტაცა და თავისთვის წაიყვანა“ (დროება“ № 85, 1883 წ.).

შეიძლება ითქვას, რომ „დროების“ საკითხი იყო პირველი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელმაც პირველად გამოიწვია უკმაყოფილება და წინააღმდეგობა ი. ჭავჭავაძესა და ივ. მაჩაბლის შორის. სერ. მესხმა ივ. მაჩაბელს მიანიჭა უპირატესობა და თავისი „14 წლის ნაამაგევი“ მას გადასცა. სერ. მესხი გამოსათხოვარ წერილში სწერ-

და: „ყველანი გაიგებს--თუ რა გულით, რა გრძნობით ვეთხოვებოდი მე გაზეთს, რომელსაც ჩემი ყმაწვილ-კაცობის ძალ-ღონე, [illegible] გონება და, ერთი სიტყვით, მთელი ჩემი არსება შევწირე!.. ერთი რამ მანუგეშებს: ისეთს სანდო კაცების ხელში გადადის გაზეთი, რომელნიც, იმედია, ჩემზე უკეთ თუ არა, უარესად არ წაიყვანენ იმას, რომელნიც უკეთეს პირობებსა და გარემოებაში ჰკიდებენ გაზეთს ხელს და, მაშასადამე, უფრო-გაუადვილდებათ იმის რიგიანად და მართებულად წაყვანა." („დროება" № 85, 1883 წ.) ივ. მაჩაბელმა მესხს მეგობრული ფიცი მისცა: „ჩვენა ვკიდებთ ხელს სერგეი მესხისაგან დატოვებულ გაზეთს, მაგრამ დღეს საზოგადოებასთან სალაპარაკოდ არა გვცალიან. ამ წერილით გვინდა მხოლოდ საზოგადოების წინაშე მივცეთ პატიოსანი სიტყვა სერ. მესხს, რომ მისგან უდროოდ დაობლებულს გაზეთს დედინაცვლობას არ გაუწევთ და შეძლებისაშებრ, ჭირში აღზრდილს, ბოლოს მაინც მხიარულებას ვაჩვენებთ" (იქვე). მაჩაბელმა გაზეთის რედაქტორობას ენერგიულად მოჰკიდა ხელი, მაგრამ 1885 წ. მთავრობის განკარგულებით იგი სამუდამოდ დაჰკეტეს და რედაქტორი სამართალში მისცეს. ი. ჭავჭავაძემ ისარგებლა შემთხვევით და თავისი „ივერია" 1886 წლიდან ყოველდღიურ გაზეთად გადააკეთა. ი. მაჩაბელი დარწმუნებული იყო, რომ ამ ყოველდღიური გაზეთის რედაქტორობა მას ჩაბარდებოდა, მაგრამ ი. ჭავჭავაძემ თვით იკისრა გაზეთის ხელმძღვანელობა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააღრმავა მათ შორის უკმაყოფილება. მაჩაბელს „ივერიაში" მონაწილეობა არ მიუღია. როგორც პუბლიცისტს, სამოღვაწეო ასპარეზი ხელიდან გამოეცალა და გარიყული დარჩა. მხოლოდ 1893 წ. დაიწყო მუშაობა „კვალის" რედაქციაში და ისიც ექვსი თვით. ამრიგად პრესის სარბიელიდან გარიყულმა ი. მაჩაბელმა თავისი ენერგია შექსპირის თარგმანებისაკენ მიჰმართა და განსაკუთრებით, საბანკო საქმეებისაკენ. 90-იანი წლების დასაწყისიდან მაჩაბელსა და ჭავჭავაძეს შორის გაცხარებული ბრძოლა გაჩაღდა, რამაც შეიწირა ამ ნიჭიერი მწერლის მთელი ენერგია. ამ პერიოდში თუ რაიმეს სწერდა („მწყემსში," „კვალში," „ივერიაში," ცალკე წიგნად) უმთავრესად შეეხებოდა ი. ჭავჭავაძესა და საბანკო საკითხებს.

ერთ-ერთი მიზეზი ჭავჭავაძე-მაჩაბლის ბრძოლისა აუცილებლად პრესის ხელმძღვანელობა და რედაქტორობაც იყო. მაჩაბელი უწუნებდა გაზეთს. ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „სრული უნაყოფობა ეტყობა თ. ჭავჭავაძის მოღვაწეობას გაზეთში." 1892 წ. ჭავჭავაძის საწინააღმდეგოდ გამოცემულ თავის ბროშურაში ივ. მაჩაბელი სწერდა: „...1885 წელს ის, (ივერია) ჰგავდა მისუსტებულს მოხუცს, რომელსაც სული ძლივს-ღა შერჩენია და რომლის სიკვდილ „სიცოცხლე არა-

ვისათვის საყურადღებო აღარ არის... მაგრამ გასჭრა „ივერიის“ რედაქტორის იღბალმა, ბედის ვარსკვლავმა გამოუნათა და ამ წელს დაიხურა „დროება,“ ერთად-ერთი ქართული გაზეთი... და აი, ბერმა „ივერიამ“ ერთხელ კიდევ ფერი იცვალა, ბავშვის სახვევებში გაეხვია, არტახები შემოიჭირა და პირველ იანვარს 1886 წლისას წარდგა საზოგადოების წინაშე ახალი შვანდირით — როგორც პირველი ნომერი ყოველდღიური გაზეთისა... რად გარდაჰქმნა (ი. ჭავჭავაძემ) ქართული ყოველ-დღიური გაზეთი უმნიშვნელო, უსიცოცხლო, უსულო ქაღალდის თაბახად, რომელიც მხოლოდ თ. ჭავჭავაძის პირადს ინტერესსა და წადილს ყურმოჭრილ მონასავით ემორჩილება“ (იხ. „ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა“ გვ. 17—18 84, 1892 წ.).

ასეთი სასტიკი განაჩენი გამოუტანა ჭავჭავაძის „ივერიას“ ი. მაჩაბელმა. მკითხველი ხედავდა, რომ იგი ჭავჭავაძეს ებრძვისა და უწუნებს არა პოლიტიკურ მიმართულებასა და სამოღვაწეო პროგრამას, არა იდეოლოგიას, არამედ გაზეთის არა შესაფერისს ხელმძღვანელობას, გაზეთის „უსულო“ ქაღალდის თაბახად გადაქცევას.“

*

ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ივ. მაჩაბელი ნაროდნიკი იყო. ეს მეტად შემცდარი აზრია. შეიძლება ივ. მაჩაბელზე იყო რაიმე გავლენა ნაროდნიკებისა, მაგრამ მისი აზროვნების დამახასიათებელი ძირითადი თვისება ამაში არ გამოიხატება. ჩემი აზრით, ი. მაჩაბელი პროგრესიულად მოაზროვნე თავად-აზნაურობის იდეოლოგი იყო, სწორედ იმ ფენის, რომელმაც შეიგნო კაპიტალისტური ურთიერთობის მნიშვნელობა და ძალა და მოიწადინა თავისი წოდების ცხოვრების შეგუება და შეზრდა ამ ახალ ვითარებასთან, იგი, ამრიგად, გაბურჟუების გზაზე დამდგარ თავად-აზნაურობის იდეოლოგია და მისი სამოღვაწეო პროგრამა კაპიტალიზმის განვითარების, გაზვიადების პრუსიული გზის ამსახველია. აქედან მკითხველი ნათლად დაინახავს, თუ რაში გამოიხატებოდა ი. ჭავჭავაძის და ივ. მაჩაბელის ბოძოლის არსებითი სოციალური საფუძვლები. ეს იყო ბრძოლა ერთი და იმავე კლასის იდეოლოგებისა. ი. მაჩაბელი ბევრად უფრო პროგრესიული იყო ი. ჭავჭავაძეზე, იგი აქტიური და მებრძოლი დამცველი იყო თავისი წოდების ინტერესებისა, იგი უფრო ჩქარის ტემპებით მოითხოვდა ძველი წყობილების გადანაშთების შეგუებას კაპიტალისტურ ურთიერთობასთან. რამდენიმე ნიმუში ამას ნათელს მოფენს.

საინტერესოა ივ. მაჩაბლის სოციოლოგიური შეხედულებანი. ერთ მეთაურში იგი სწერდა: „კაცობრიობის ისტორიის მსვლელობა გვხვდება, რომ ამ მსვლელობის უმთავრესი აზრი, დედა-ძარღვი არის პიროვნების განვითარება, ნამდვილ კაცად გადაქცევა. სრულიად პროგრესი, წინსვლა კაცობრიობისა იმაში გამოიხატება, რომ მის ცნობილ ხარისხზე თქვენ ჰპოვოთ კაცი, პიროვნება, ინდივიდი, განვითარებული კაცთ-მოყვარე... ყოველივე, რაც ისტორიაში, კაცთა ნათესავის წარსულში ჰშველიდა ამ გვარს მუშაობას, კაცის პიროვნების განვითარებისას პროგრესიულ მოვლენად ითვლება“ („დროება“ № 195, 1885 წ.). ეს დებულება ი. მაჩაბელს სუბიექტიური სოციოლოგიის სალაროდან აქვს ნასესხები. თავისთავად პიროვნების განთავისუფლების თეორიის წამოყენება უკვე ნიშნავდა ბურჟუაზიული აზროვნების შექმნას მის იდეოლოგიაში. რასაკვირველია, მას არ ესმის საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარების ძირითადი კანონები და „კრიტიკულად მოაზროვნე“ პიროვნებაში ხედავს საზოგადოების მამოძრავებელ ფაქტორებს. არ ესმის მას არც კლასთა ბრძოლის მნიშვნელობა. იგი ნათლად ხედავს, რომ „შრომასა და კაპიტალს“ შორის ბრძოლაა, მაგრამ ეს შემთხვევით მოვლენად მიაჩნია და მათ მორიგებასა და შეთანხმებაზე ოცნებობს. მაჩაბლის შეხედულებით „საუკეთესო მოწყობილობა საზოგადოებრივის ცხოვრებისა ის იყო და არის, რომელიც კაცის ბოროტსა და მხეცურს ინსტიკტებს გზას უღობავს, ფრთებს ჰკვეცავს და სამაგიეროდ კეთილ მისწრაფებას უღვიძებს“ (იქვე № 195, 1885 წ.). ამ დებულების მიხედვით, მთავარი არის ადამიანის შინაგანი სუბიექტიური გარდაქმნა და არა ობიექტიური გარემოს შეცვლა. მიუხედავად ასეთი შეხედულებისა, მაჩაბელს აქვს წამოყენებული მეორე სოციოლოგიური დებულებაც, რომელიც ევოლუციონიზმის პრინციპს გამოსახავს. „ქვეყნის ცხოვრება იმავე განვითარებისა და წარმატების კანონებს ემორჩილება, რომელნიც ჰსუფევენ მთელს ბუნებაში საზოგადოდ და ორგანოვანს ბუნებაში კერძოდ. ყოველივე ორგანოვანი არსება იზრდება, ივსება, წარმატებაში შედის, უმაღლესს ხარისხს მიაღწევს სისრულისას, შემდეგ უძლურდება და სრულიადაც ისპობა. ასევეა საზოგადოებრივი ცხოვრებაც“ („დროება“ № 191, 1885). მაგრამ მაჩაბელი განსხვავებასაც ხედავს ორგანიულ ბუნებასა და საზოგადოების განვითარების შორის: უკანასკნელი არ კვდება, არამედ კრიზისს განიცდის, დაუძლურებული ცხოვრება კვლავ წარმატებაში შედის, გადახალისდება და წინსვლას იწყებს. არის ისტორიაში ისეთი მომენტები „როცა ერი სხვადასხვა ისტორიულ გარემოებათა გამო იძულებულია შესცვალოს,

ცოტად თუ ბევრად, გზა თავის ისტორიულის ცხოვრებისა.“ ასეთ პერიოდში საჭიროა სიფრთხილე და წინდახედულობა. „ზნე-ჩვეულებანი, სარწმუნოება, ეკონომიური წესნი, სამიწაწყლო და წოდებრივი ურთიერთობანი ამას არ შეიცავდენ ამ დროს მეტად საწინააღმდეგოს წარმატების და პროგრესის იდეიისას“ (იქვე). ავტორი ნათლად ხედავს, რომ ძველი წესი შეიცვალა და ახალი ურთიერთობა დამყარდა მსოფლიოში. „ამ ჟამად ფულმა, კაპიტალმა დაიპყრო ყოველი სფერო ცხოვრებისა. მხოლოდ ფული და კაპიტალი შეიქმნა ძლიერ ფაქტორად ცხოვრების ყოველმხრივი გაუმჯობესებისა და წარმატებისათვის. ეს წესები რუსეთშიაც შემოვიდა და დღეს მის გაძლიერებას ვეღარაფერი ვერ შეაყენებს. იგივე ვითარება, რომელიც გამეფდა რუსეთში ჩვენშიაც ნელ-ნელა შემოვიდა და ამ ჟამად სრული ბატონი შეიქმნა ჩვენს ცხოვრებაში... ამ ახალმა ვითარებამ მალე (?) მოუღო ბოლო ჩვენის ძველი ცხოვრების წესებს. ეს წესები სრულიად აღარ შეეფერებიან იმ ახალ ვითარებას, და თუ მალე არ შევითვისეთ, ეს ახალი ვითარება, ჩვენი ეკონომიური კეთილ-დღეობა, ჩვენი უზრუნველობა ნივთიერი და ამის ჟამო გონებრივიც და ზნეობრივიც საეჭვო საგნად შეიქმნება, საშიშროებაში ჩავარდება. მე ვამბობ ფულებრივის მეურნეობის წესების შეთვისებაზე კაპიტალისტურს წარმოების კანონების შეგნებაზე და ამ შეგნების შესაფერისად მოქმედებაზე.“ (იხ. წერილი, „კარგი ნიშნები,“ „დროება“ 191, 1885). ამრიგად ჩვენს პუბლიცისტსა და მის ორგანოს ესმის ახალი წესების მნიშვნელობა და მასთან შეგუებას მოითხოვს. ბუნებრივი იქნებოდა რომ ავტორს აქედან შესაფერისი დასკვნა გაეკეთებია და ახალი წესის მეთაურად ბურჟუაზია გაეხადა. მაგრამ მაჩაბელი ამ ლოღიკურ დასკვნამდე არ მიდის. ავტორს კვლავ უნდა ძალა-უფლება და მეთაურობა თავად-აზნაურობას შეუნარჩუნოს. იგი სწერდა: „რომელს წოდებას შეუძლიან ჩვენში საზოგადოებას სათავეში ჩაუდგეს და მის წინსვლას ხელი შეუწყოს? ამის პასუხს დიდი თავის-მტვრევა არ მოუნდება: გლეხკაცობას მეტად ბევრი პირადი საზრუნავი აქვს, რომ საზოგადოებაზე იფიქროს, ვაჭრობის წოდება ჯერჯერობით არ არსებობს და ისტორიის მსვლელობამ ჩვენს თავად-აზნაურობას მიუჩინა მეთაურობა, ავად თუ კარგად, ეს წოდება წინამძღოლობდა ჩვენს ერს ომსა და ლაშქრობის დროს და მშვიდობიანობაშიც იმდენი შეძლება და მოცალეობა ჰქონდა, რომ ეს საპატიო უღელი კისრიდან არ გადაეგდო და პირნათლად ეზიდა“ (იხ. მისი წიგნაკი, „ი. ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა“ გვ. 8,

1892 წ.). ამასვე სწერდა ი. ჭავჭავაძეც (იხ. მისი წერილი, „მოვალეობა ჩვენი თავად-აზნაურობისა.“ „ივერია“ № 20, 22, 23, 1893).

* *

ამრიგად, მაჩაბელს თავად-აზნაურობა სრულიად არ მიაჩნია განწირულ წოდებად. იგი ამ წოდებაში ხედავს საზოგადოების „საპატიო უღელის“ მტვირთველსა—მეთაურს. ამ ძირითად დებულებიდან წარმოსდგებოდა მაჩაბლის საბანკო პოლიტიკაც, რამაც გამოიწვია განხეთქილება მასსა და ი. ჭავჭავაძეს შორის. ამ საკითხის შესახებ კამათს მათ შორის პრინციპიალურ-იდეოლოგიური ხასიათი არ ჰქონია. ბანკი მაჩაბელსაც თავისი წოდების გადასარჩენად ჭირდება. იგიც დ. ყიფიანივით ამბობდა: „... თუმცა ბანკი სასარგებლო დაწესებულებაა, მაგრამ იგივე ბანკი ბევრს თავად-აზნაურს მამულს ხელიდამ გამოაცლის, თუ ჩვეულებრივი წესდება არ შეიცვალა, და აი იგი ისე ცდილობს შესცვალოს ეს წესდება, რომ ჩვენის თავად-აზნაურობის ზნესა და გარემოებას შეუფეროს“ (იქვე, გვ. 10). მაჩაბელი ჭავჭავაძეს უწუნებს მოღვაწეობას, რომ ცუდად მუშაობ, საბანკო საქმის არაფერი გესმის და ამიტომ ბანკი და თავად-აზნაურობა ზარალშიაო. ადგილის უქონლობის გამო, ამ კამათის შესახებ მეტის თქმა შეუძლებელია.

ი. მაჩაბლის პუბლიცისტიკის დასახასიათებლად არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იგი, წინააღმდეგი ი. ჭავჭავაძისა, მომხრე იყო ხიზანთა მიწით განთავისუფლებისა გამოყიდვით (იხ. „დროება“ № 1, 106, 1885 წ. № 106, 108, 1884 წ. და სხ.). მაჩაბელი მოითხოვდა დაჩქარებულიყო გლეხობაზე „ნადელების გადაცემა (№ 108, 1885 წ. და სხვა). აღსანიშნავია რომ მაჩაბელი მთელ რიგ წერილებში ხაზს უსვამს ქართველი ერის რუსის ტახტისადმი ერთგულებას.

საინტერესოა მაჩაბლის ესთეტიური თეორია, ცნობილია, რომ იგი საუკეთესო მცოდნე იყო ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხების. ერთს მეთაურში იგი სწერდა: „პოეზია რომ არ იყოსო, აჰბობს ბერნე, ხალხის ცხოვრება ერთს დაუსრულებელს სისხლის ღვრას წარმოადგენდაო, მართლაც, პოეზიის დიდი გავლენა აქვს კაცის გრძნობაზე და ამ მხრივ დიდს სამსახურს უწევს საკაცობრიო პროგრესს. იგი აკეთილშობილებს კაცის გრძნობას, მოქმედებს გულზე, აგრილებს მის ბუნებას, ჰლაგმავს ბოროტს ინსტიკტებს და ხეპრეს ჩვილ არსებად ჰქმნის“ („დროება“ № 125, 1885 წ.). რასაკვირველია, მაჩაბელი პოეზიის კლასიური ბუნების შესახებ არ ლაპარაკობს; მაგ

რამ მისი ესთეტიური თეორიის გამოსავალი წერტილი თავად-აზნაურული ლიბერალიზმია, რომელსაც სურს „პოეზიით გააგრძელოს“ მოწინააღმდეგე კლასის ამბოხებული ბუნება, ამრიგად მისთვის პოეზია იარაღია მოწინააღმდეგე და ამბოხებული წოდების დასამშვიდებლად და დასამორჩილებლად.

დრამატიული ხელოვნების შესახებ ი. მაჩაბელი სწერდა:

„პოეზიის გვირგვინი არის დრამა და დრამატიული მწერლობა და რამდენადაც დრამა მაღლა სდგას სხვა გვარ პოეზიაზედ, როგორც თავის სირთულით, ისე შინაარსით (ეს შინაარსი წარმოადგენს კაცთა პირდაპირ მოქმედებას სხვადასხვა გულის თქმათა და ვნებათა ზედ-მოქმედების გამო), იმდენად მისი მოქმედება უფრო ძლიერია ადამიანის ბუნებაზე, მისი ზედ-გავლენის სფერო უფრო ვრცელია, მისი სახსარი და იარაღნი უფრო მარჯვენი არიან და ამისათვის დრამის სამსახურიც კაცობრიობის წინაშე მისი სულიერის განვითარების შესახებ უფრო დიდია და უფრო საყურადღებო. აი, ეს დედა-აზრი უნდა შეიგნოს და შეითვისოს ყოველმა თეატრის მოღვაწემ, რადგანაც თეატრი და სათეატრო დასი უპირველესი შუამავალია, უპირველესი იარაღია დრამის გავლენის გავრცელებისათვის და მისი კეთილზედმოქმედების სიმტკიცისათვის. დრამა თავის თავად, უდრამატიულ დასოთ, მოკლებულია თავის ძალას... მაგრამ სასურველია რომ თვით დრამატიული მწერლობა შეივსოს და გავრცელდეს, დრამატიული მწერალნი განიმსჭვალონ თავის ხელობის დიდ სარგებლობით და მეტი ყურადღება ათხოვონ დრამას და სადრამო თხზულებათ“ (იქვე).

ასეთს ამოცანებს უყენებდა პოეზიასა და კერძოდ დრამატიულ მწერლობას 80-იან წლებში გაბურჟუების გზაზე შემდგარ საზოგადოების სახელით ივ. მაჩაბელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი

ნარკვევი მისი შემოქმედებიდან და აზროვნებიდან

1

აკაკი წერეთლის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ საინტერესო გონებრივ მოძრობასთან, რომელიც ჩვენში სამოციან წლებში დაიწყო და რომლის მეთაური ახალთაობის ინტელიგენცია იყო; უკეთ რომ ვსთქვათ, რუსეთის უნივერსიტეტებში აღზრდილი და რუსეთის იმ დროინდელ გონებრივ მოძრაობით გაწვრთნილი ქართველი სტუდენტობა. სტუდენტობა და ინტელიგენცია, როგორც თვით აკ. წერეთელიც აღნიშნავს თავის თავგადასავალში, იმ ხანებში ფარავდა ერთი მეორეს; ინტელიგენცია, როგორც საზოგადოებრივი ძალა, როგორც კულტურისა და პროგრესის მეთაური მაშინ ყალიბდებოდა ჩვენი ცხოვრების ფონზე ახალგაზრდა სტუდენტობისაგან. აკაკი წერეთელი ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო ამ ახალი თაობის ინტელიგენციისა. მაგრამ იგი ჩვენში უფრო ცნობილი არის, როგორც პოეტი, ვინემ პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე; თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ იგი ხანგრძლივად ეწეოდა პუბლიცისტურ მოღვაწეობას და ჩვენი ცხოვრების არა ერთსა და ორს მნიშნელოვან საკითხს შეხებია. ისიც უდავოა, რომ აკაკი წერეთლის მხატვრული შემოქმედება გარკვეულ სოფლმხედველობისა და გარკვეულ აზროვნების გამომხატველი არის; აკაკი, როგორც უტილიტარულ-რეალისტური თეორიის მიმდევარი ხელოვნების საკითხში, ყოველთვის ცდილობდა ხელოვნება ცხოვრებისათვის დაეკავშირებია და გარკვეული აზრი და მისწრაფება გამოეხატა თავის პოეზიაში. როგორც უკვე ცნობილია, აკაკიმ თავისი პოეზია ცხოვრების ყოველდღიურ მოთხოვნილებამდე დაახურდავა და მრავალი საჭირბოროტო საკითხი, რომელიც მხოლოდ პუბლიცისტისა და ჟურნალისტის მებრძოლ თემას შეადგენდა, თავისი შემოქმედების თემად გახადა. 1897 წ. თვით აკაკი სწერდა თავისი ნაწერების შესახებ:

„ადრევეც მოვიხსენიე და ახლაც ვიმეორებ, რომ საზოგადოთ მე ხელოვნებას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი და ისე მიმაჩნდა მწერლობა, როგორც ერთი უბრალო იარაღთაგანი დღიურ ავ-კარგიანობის საბრძოლველ-სასამსახუროდ. თუ რამე ხელოვნური გამომსვლია ხელიდან, ეს ძალა-უნებურად და შემთხვევით მომხდარა, თვარა ის ჩემ დღეში არა მქონია ფიქრად, რომ მომავლისათვის ვწერ მეთქი. ამიტომაც უმეტეს ჩემ ნაწერს დღეს იმდენად დაკარგული აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც დრო და ჟამი იცვალა, და მხოლოდ მაშინ იგულისხმება, როცა მოვიხსენიებთ იმ გარემოებას, რასაც გამოუწვევია ჩემის მხრით რომელიმე გვარი მწერლობა. თვითონ ჩემთვის და ჩემი მწერლობისათვის არაფერი სასარგებლო იქნება ესეები ყველა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამითი დახასიათდება ის დრო და მოვლენა, რომელიც მე მსურს მკითხველებს გაუთვალისწინო“. [1]

შეიძლება აკაკის ბევრ რამეში არ დავეთანხმოთ, რასაც ის აქ გვეუბნება თავისი შემოქმედების შესახებ. მაგრამ ერთი უცილოდ მართალია, რომ მან პოეზია „დღიურ ავ-კარგიანობის საბრძოლველ სასამსახურო იარაღადაც“ გახადა და ამით მძლავრად შეიტანა შიგ პოლიტიკურ-პუბლიცისტური ელემენტები.

კ. აბაშიძე მის შესახებ სწერს: „...აკაკი წერეთლის მწერლობა მეტად ერთგვარია. მთელის მისის ლექსების საგალობელი საგანი ერთი და იგივეა, ერთსა და იმავე ჰანგზედა მღერის... ისტორიულად და ფსიქოლოგიურად სრულიად ბუნებრივია და მისახვედრი, რომ ჩვენს მგოსანს მარტო ერთი ფიქრი და აზრი უტრიალებდეს თავში. ეს მწერლის მოქალაქობრივ სიკეთესაც ამტკიცებს, ხოლო ესტეტიკურად, ჩემის აზრით, პოეტის ხელოვნება მით უფრო მაღლად არის დასაყენებელი, რამდენადაც ერთსა და იმავე საგანს ღრმად და ყოვლის მხრივ დაგვისურათებს“. [2] უდაოა რომ ყოველი ხელოვანის შემოქმედებითი ნიჭი და მნიშვნელობა იმითაც განისაზღვრება, თუ რამდენად ღრმად და ყოველი მხრივ დაგვისურათებს საგანს, მაგრამ ისტორიულად სრულიად არ არის სწორი, თითქოს აკაკის „მარტო ერთი ფიქრი და აზრი უტრიალებდა თავში“ და ხოლო ჩვენი ცხოვრების სხვა მხარეები მისთვის არა საინტერესო და გაუგებარი იყო. ეს, სხვა რომ არა ვსთქვათ, აკაკის ლეტერატურული მოღვაწეობისა

---

[1] იხ. ჟურნ. „კრებული“ № 3, 1897; აკაკი წერეთელი, რ ჩ ე უ ლ ი ნ ა წ ე რ ე ბ ი, ტ. I, გვ. 337.

[2] კიტა აბაშიძე, ეტიუდები—XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ. ტ. II, გვ. 4, 1911 წ.

და მნიშვნელობის დამცირებაა. აკაკი მრავალ-მხრივი მწერალია და ისტორიკოსის მოვალეობაა მის მხატვრულ შემოქმედებაში გაბატონებული აზრი, შიგ გახვეული ფიქრები და ოცნებანი პოეტისა, გამოარკვიოს და შეაფასოს საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებასთან შეფარდებით.

აკაკი, უწინარეს ყოვლისა, თავისი ეპოქის შვილია, გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობის ნაყოფი არის, მის შემომქმედებასა და აზროვნებასაც ამ ეპოქის ნიშანი აზის. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აკაკი სამოციანელთა მცირერიცხოვან, მაგრამ მაინც დიდი იდეებით დატვირთულ ქართველ ახალგაზრდა ინტელიგენტთა ჯგუფს ეკუთვნოდა. არა ერთხელ აღგვინიშნავს აგრეთვე ის, თუ როგორ დიდ ეპოქას წარმოადგენს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიაში 50—60-ანი წლები. ეს იყო ეპოქა, როდესაც თითქმის ყველასათვის საგრძნობი გახდა ნატურალური მეურნეობის რღვევის პროცესები ჩვენში და ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების აუცილებლობა; ეს იყო მასთანვე ძველი წოდებრივ-სოციალური ურთიერთობის კრიზისისა და ახალი სოციალური კლასების გამომჟღავნების პერიოდი. ეს იყო ეპოქა ახალი აზროვნებისა და ახალი იდეოლოგიის შემოჭრის დასაწყისისა საქართველოში. საქართველო მე-19-ე საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის დიდი გავლენის ქვეშ მოყვა: იგი არა მარტო პოლიტიკურად დაემორჩილა რუსეთის ბატონობას, არამედ ეკონომიურადაც, რუსეთის კაპიტალის საექსპლოატაციო კოლონიად გადაიქცა და რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის ზეგავლენით ღრმა ხასიათის ცვლილებები მოხდა ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ურთიერთობაში; კიდევ უფრო მეტი, ჩვენი ინტელიგენცია პირუთვნელი მოწაფე გახდა რუსეთის ინტელიგენციისა და ის გონებრივი ცვლილებები და მოძრაობანი, რომელიც ვითარდებოდა რუსეთში, თავისებურ გამოძახილს იწვევდა საქართველოს ნიადაგზედაც.

აი როგორ ახასიათებს 60-იანი წლების ეპოქას თვით აკაკი:

„ყირიმის ომმა თვალი გამოახელინა რუსეთს. პეტრე დიდისაგან გამოჭრილი სარკმელი მაშინ აიხადა და, როგორც იქმნა, ძალაუნებურად შემოაშუქა განათლებამ ბნელეთში. თუ პარიზის ტრაქტატს არა, ბატონ-ყმობა ეგება, დღესაც არ ყოფილიყოს გადავარდნილი რუსეთში. იმ დროს, ე. ი. მესამოცე წლებში, იტალია და უნგრეთი ცდილობდენ განთავისუფლებას და ებრძოდენ ავსტრიას. გარიბალდი, მამინი და კოშუტი გაუხდათ ყველა შეგნებულ მამულიშვილებს იდეალად, სწორედ იმ დროს გამოვიდა სარატოველი სემინარიელი ჩერნიშევსკი, ჩაუდგა სათავეში ჟურნალ „სოვრემენიკს“ და, დობ-

როლიუბოვთან, ანტონოვიჩთან, ნეკრასოვთან და სხვებთან ერთად, დასცა რუსეთს ყიჟინა. ამოძრავდა რუსეთი, მაგრამ, ეროვნული ბიბლიოთეკა გორც ახალმა გამოღვიძებულმა, ჯერ კარგად გამოურკვეველმა, ბაცი დაიწყო. მისი ხელახლა დამონება შეუძლებელი იყო. დააგდო ძველი გზა, დაადგა ახალს და, რასაკვირველია, როგორც ყველაფერს ახალს, ამასაც ზოგი რამ შეცდომა მოჰყვა." [1]

ეს იყო ეპოქა საზოგადოებრივი ძალების გამოცოცხლებისა და ახალ მისწრაფებათა წარმოშობისა; ეპოქა, როდესაც ფართოდ გაშალა ფრთები ჩერნიშევსკის მოღვაწეობამ „სოვრემენიკში" და ჩამოყალიბდა ახალი რევოლუციონური-დემოკრატიული იდეოლოგია და პროგრამა. აკაკი წერეთელი სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად მოწამე და შეიძლება ითქვას, მონაწილეც გახდა რუსეთის გონებრივი მოძრაობის ამ დიდი აღორძინებისა. მაგრამ, როგორც დოკუმენტებით ირკვევა, მან თავისებურად განიცადა ეს დიდი გონებრივი მოძრაობა და თავისებურად შეითვისა ახალი იდეები.

2

თავისი სოციალური წთამომავლობით აკაკი ე. წ. ბრწყინვალე არისტოკრატიის ოჯახიდან იყო წარმოშობილი. მამა მისი, რ ო ს ტ ო მ წ ე რ ე თ ე ლ ი, საკმაოდ მოზრდილი მემამულე იყო; ხოლო დედა მისი, ეკატირინე აბაშიძის ასული, მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის წთამომავალი იყო: იგი იმერეთის ცნობილი აჯანყების (1819—20 წ.) მეთაურის ივანე აბაშიძის ქალი იყო და იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ასულის შვილიშვილი. დიდი ფეოდალი ივანე აბაშიძე 1820 წლის აჯანყების გამო იძულებული შეიქმნა საქართველოდან გაქცეულიყო, ხოლო მისი დიდძალი მამული და ყმები სახაზინოდ იქნა ჩარიცხული. ამ ფეოდალურ არისტოკრატიას თანდათან ნიადაგი ეცლებოდა საქართველოში, მაგრამ მათი სურვილი საქართველოს სამეფოს აღდგენისა კიდევ ცოცხალი იყო. აკაკი ამ არისტოკრატიულ ოჯახის წთამომავალი იყო და როგორც ასეთი თან ატარებდა თავის წოდების ტრადიციულ ჩვეულებებს და მისწრაფებებს. მაგრამ ჩვენ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ აკაკიმ მხოლოდ და მარტო არისტოკრატიის ჩვეულებები და ხასიათი შეითვისა: მისი ბიოგრაფი სწერს: „თუ ამას დავურთავთ მაშინდელი ქართველი ფეოდალური ოჯახების დუხჭირ, ბატონყმურ წყობილებას,

[1] აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწერები. ტ. I. გვ. 71, 1925 წ.

უთაურობასა და მრავალ სასაცილო ადათ-ჩვეულებებსა... აღვიღლად დავასკვნით, რომ უეჭველია, ასეთ ოჯახში აკაკის ბავშვობა და ყმაწვილობითი აღზრდა ძველი ფეოდალური გეზით წარემართებოდა, რომ ერთს ჩვეულებას არ მიეცა მისთვის სხვაგვარი ხასიათი და მიმართულება.“ [1] საქმე ის არის, რომ ძველი ჩვეულების — ძიძაობის მიხედვით პატარა აკაკი ერთი გლეხის ოჯახში გააბარეს და ამ ოჯახში მან დაყო ექვს წლამდე, ხოლო ამ გარემოებას დიდი გავლენა ჰქონდა პოეტის ხასიათისა და მისი შემდეგი სოფლხედველობის შემუშავების საქმეზე. „ამ ექვსი წლის განმავლობაში ჩაეყარა საფუძველი ყოველსავე იმას, რაც ისე ნაზი გრძნობით აკავშირებდა განსვენებული პოეტის გულს მშრომელი ხალხის გლეხკაცობის სულთან და გულთან“, [2] ამბობს განსვენებული ს. გორგაძე და ეს სრული სიმართლე იყო. სწორეთ აქ უნდა ვეძიოთ ერთ-ერთი სათავეთაგანი იმ საინტერესო დემოკრატიული მისწრაფებებისა, რომელიც საგრძნობლად ჩქეფს აკაკი წერეთლის პოეზიაში. აკაკი გლეხობას უშუალოდ გაეცნო, იგი აღიზარდა გლეხის ოჯახში და კიდევაც შეითვისა ამ გლეხის ტკივილები იმდენად, რამდენადაც ეს შეეძლო არისტოკრატიული წრიდან გამოსულ პიროვნებას. თვით პოეტი თავის თავგადასავალში ამბობს: „არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი“. [3]

ერთ თავის ლექსში აკაკი ამბობს:

რადგანაც არ ვიზრდებოდი
მე სხვებთან ბატონურადა,
მიტომაც ჩემზე მდაბალსა
მე შევეტრფოდი ძმურადა“. [4]

მართლაც საინტერესო მომენტებთან გვაქვს საქმე აკაკი წერეთლის ცხოვრების შესწავლის დროს: იგი ერთი მხრივ, როგორც არისტოკრატიულ ოჯახის შვილი, არისტოკრატიულ აღზრდასაც ღებულობს და ძალაუნებურად ითვისებს მაღალ წოდების ზნე-ჩვეულებებს; ტყუილად არ ეუბნებოდა აკაკის მამამისი, როდესაც იგი ექვსი წლის ძიძაობის შემდეგ შინ მოიყვანეს: „შენ ახლა ბატონობა უნდა ისწავლო და ბატონიშვილობას უნდა მიეჩვიოო.“ [5] თავისი ოჯახის ტრადიციების დარღვევა არ შეეძლო სავსებით აკაკისა და ისიც მემკვიდ-

[1] ს. გორგაძე, აკაკი წერეთელი (ბიოგრაფია), იქვე, ტ. III, გვ. 12.
[2] იქვე.
[3] აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 5—6.
[4] იქვე, ტგ. გვ. II. 14.
[5] აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 11.

რეობით ითვისებდა ძველ ჩვეულებებსაც და მისწრაფებებსა; მეორე მხრივ „გაძიძებული“ აკაკი „უშუალოდ გაეცნო გლეხის ყოფა-ცხოვრებას, მის ყოველდღიურ საქმიანობას, შრომასა და გარჯილობას, ჭირსა და ვარამს, ლხინსა და სიამოვნებას.“ [1] აი ამ გაორებულ მდგომარეობიდან წარმოიშვა ის თავისებური შინაარსი და მოტივები აკაკის პოეზიისა, რომლის შესახებაც ქვევით გვექნება საუბარი.

მაგრამ აქ საჭიროა შევჩერდეთ 60-იან წლების რუსეთის ახალი მოძრაობის გავლენაზე თვით აკაკი წერეთელსა და მის ნაწერებზე. როგორც აღვნიშნეთ, აკაკი 60-იან წლების მოღვაწეთა ჯგუფს ეკუთვნოდა და მანაც საგრძნობი გავლენა განიცადა იმ დიდი მოძრაობისა, რომელიც ახალთაობის ინტელიგენციის მეთაურობით დაიწყო რუსეთში. მოვუსმინოთ თვით აკაკის. თავის თავგადასავალში იგი სწერს რუსეთის ახალი მოძრაობისა და ახალი თაობის შესახებ შემდეგს:

„რაღაი კი ზურგი უჩვენა ახლად გამოღვიძებულმა ძველს ყველაფერს, თვალი აახილა, აღარც კარგი და სასარგებლო რამ სწამდა ძველთაგანი, ყველაფერი ბოროტად ეჩვენებოდა, და წინ, მომავალი კი, ყოველიფერი გაურკვევლად კარგი ეგონა. და მაშინ გაჩნდა, ტურგენევისაგან აღნიშნული ნიღილისტობაც. ეს ნიღილისტობა ბევრ რამეს ჰგმობდა წარსულში, გაბედვით ებრძოდა და უშიშრად სდებდა თავს, მაგრამ გადააჭარბა და სამაგიეროდ უწმინდურობა, როგორც გარეგანი ისე შინაგანიც შემოიღო... ამ ახირებულობის (?) დროს გამოსცა ჩერნიშევსკიმ თავისი პატარა კრიტიკული წიგნაკი: „ხელოვნება მარტო ხელოვნებისათვის, თუ ცხოვრებისათვისო“ ? [2] ამან დიდი გავლენა იქონია მკითხველებზე, ბევრს ააღებინა მუსიკაზე ხელი და მხატვრობა-ქანდაკებაც უარაყოფინა. მაშინ ლიტერატურაც ორად გაიყო; უმეტესობა სრულიად უარყოფდა მწერლობაში ხელოვნებას და მეორე ბევრად ნაკლები, ისე გადაჰყვა ხელოვნებას, რომ გარდა კეთილ ხმოვანებისა და მუსიკისა აღარა სწამდა რა მწერლობაში... როდესაც ნიჭიერი პისარევი და მყვირალა ზაიცევი დაუდგენ თავში ხელოვნების უარმყოფელებს, მთელი მკითხველი რუსეთი შეინძრა და მაშინ წარმოითქვა შესანიშნავი სიტყველეც: „შექსპირს ანტონოვიჩის ჩექმები სჯობიაო“ და იმავე დროსვე, რასაკვირველია, სცდილობდენ პუშკინის დედამიწასთან გასწორებას... იმ დროს ქართველი ახალგაზრდობა იზრდებოდა რუსეთის უნივერსიტეტებში. მარტო პეტერბურგში იქნებოდა ოცდაათ სულზე მეტი და თუ მართლა „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყ-

[1] იქვე, ტ. II. ს. გორგაძის წერილი.

[2] ჩერნიშევსკის წიგნის სათაურია, Экономическое отношение искусства к действительности.

ვანს," სტუდენტობაც ქართველებში იმ დროიდან იწყება. ჩვენ ყოველთვის, საუკუნის განმავლობაში, რუსეთის ნასუფრალით ვიკვებებოდით და, რაღა თქმა უნდა, რომ მაშინაც რუსეთის მთავრობა, დრო და ჟამის მიუხედავად, მისი ნიღილისტობით ჩვენშიაც გადმოვიდა... გადაჭარბება გვიყვარს და რუსობნობამაც მისი ნიღილისტობით მაშინ ძალიან მოიკიდა ჩვენში ფეხი. სტუდენტობის რიცხვში მეც ვიყავი... ჩემს რწმენას ვერ უღალატე და, ტოლსტოისა არ იყოს, შუა ადგილი მეჭირა... სხვებსავით წახედულობით უმეტესობის მიმდევარი არ ვყოფილვარ. ზაიცევს არად ვაგდებდი, ნიჭიერ პისარევს თუმცა ვაფასებდი, მაგრამ მისი ბევრი რამ არ მომწონდა და არც ის მეჯერა მეორე პარტიის, რომ მწერლობაში მხოლოდ მუსიკა და კეთილხმოვანება უნდა იყოს და ორთა შუამყოფს, მე ჩემი გზა მქონდა არჩეული და მივდიოდი წყნარად... იმ ხანებში (1861 წ.) მოხდა არეულობა უნივერსიტეტში.[1] ჩვენებმა მიიღეს მონაწილეობა და კიდევაც იგემეს ციხე. მე მათში არ ვრეულვარ... არა იმიტომ რომ ციხის შემშინებოდეს... მაშინაც ის რწმენა მქონდა, რასაც დღესაც ვადგივარ და ვერ ვუღალატე: მოსწავლემ ჯერ უნდა ისწავლოს, დაასრულოს სწავლა და მერე კი—აღარ დაეროდოს არავითარ მსხვერპლს. ჩვენში კი უკუღმა ხდება ეს... ამან სრულიად ჩამომაშორა ამხანაგებს"...[2]

ეს ვრცელი ციტატა ნათლად ამტკიცებს რომ 60-იან წლების რუსეთის გონებრივმა და საზოგადოებრივმა მოძრაობამ აუცილებლად მოახდინა გავლენა აკაკი წერეთლის სოფლმხედველობის შემუშავებაზე, მაგრამ ისიც უდავოდ უნდა ვაღიაროთ, რომ იგი ვერ გაყვა ამ მოძრაობას ბოლომდე, ვერ შეითვისა მისი ძირითადი შინაარსი მთლიანად და თავისი შუა გზა აირჩია სავლელად. შემდეგ თავში ჩვენ დავინახავთ, თუ როგორი ხაზის გამტარებელი იყო აკ. წერეთელი საერთოდ ესთეტიკისა და ხელოვნების საკითხში, ხოლო კერძოდ, როგორ ძირითად მოტივებს ატარებდა თავის პოეზიაში. ახლა ყურადღება მივაპყრათ მის პოლიტიკურ სოფლმხედველობასა და მის ბრძოლას ძველი თაობის წინააღმდეგ.

იმ მნიშვნელოვან შეტაკებაში, რომელიც 60-იანი წლების დასაწყისში მოხდა ჩვენში, და რომელიც ცნობილი არის ძველი და ახალი თაობის შეტაკების სახელწოდებით, აკაკიმაც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ იგი არ სჩანს ამ ბრძოლის სარბიელზე როგორც მებრძოლი პუბლიცისტი—მეთაური. ი. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეში"

[1] ლაპარაკია 1861 წლის სტუდენტა გაფიცვებზე, რომელშიაც დიდ მონაწილეობას ღებულობდენ ქართველი სტუდენტები.

[2] „რჩეული ნაწერები", ტ. I, გვ. 71—76.

(1863), რომელიც ახალი თაობის იდეურ ორგანოდ გადაიქცა, აკაკი წერეთელს მონაწილეობა არ მიუღია. იგი კვლავ „ცისკრის" დარჩა თანამშრომლად; მაგრამ თავის ლექსებით და ამ ლექსებში გატარებულ იდეებით იგი აუცილებლად გამოხატავდა ახალი თაობის ინტელიგენციის სულისკვეთებას. ამ ბრძოლის ერთი ათეული წლის შემდეგ, 1873 წ. იგი სწერდა: „ახალგაზრდებმა პირველად შემოიტანეს ამ ბნელოში სინათლე, და მართალია, მათი ლამპარი საქორწინო ლამპარი არ იყო, მაგრამ მაინც ანათებდა ამ ბნელს იმდენად, რომ ერთმანეთის დანახვა შეიძლეს ჩვენმა მამებმა. შეიძლეს და რა მოხდა, ის რომ, როდესაც თავისი დატიტკნად-დასისხლიანებული ცხვირპირი დაინახეს, იუცხოვეს და ნაცვლად იმისა, რომ მაშინ გაწმენდას შესდგომოდნენ, გულის შეზარის ამოყრა იმ ნათლის მჭირველ ახალგაზრდობაზე მოინდომეს... ეს ასეა ყოველთვის... მახინჯს სარკე ეზარება"...[1] საინტერესო არის ის საკითხებიც თუ რას ეძახოდა და როგორ შინაარსს სდებდა აკაკი ძველი და ახალი თაობის ცნებაში, ე. ი. როგორ პოლიტიკურ-სოციალურ გაგებას უდებდა სარჩულად ამ თაობათა ბრძოლას. იმავე წერილში აკაკი სწერდა:

„სხუმისაც ბევრჯელ გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ, თუ რას ვეძახით ჩვენ ძველსა და ახალ თაობას. წლოვანება არ მოგვყავს ანგარიშში. ყოველი კაცი, რომელიც დროს ჩამოურჩენლად მიზდევს, საზოგადო კეთილ დღეობის წარმატებას ემსახურება, კეთილ სინდისიერად მუშაობს და მოღვაწეობს მისთვის, ეკუთვნის ახალ თაობას, და ის კაცი, რომელიც მხოლოდ თავის თავზე ჰფიქრობს და ჰსურს, რომ საზოგადო ინტერესი მისმა პირადმა სარგებლობამ ჩაყლაპოს, ის რომელიც იძახის: „თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუღარ იქნებაო" ეკუთვნის ძველ თაობის კაცს. ერთი სიტყვით, ძველი თაობის კაცად ის მიგვაჩნია, ვისაც თავში აზრები დამპალი აქვს და გულში გრძნობა აყროლებული, გინდ ოცი წლისა იყოს ამგვარი კაცი და გინდ სამოცისა, სულ ერთია".[2] (ხაზი ჩვენია.—ს. ხ.)

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ აკაკის აღნიშნულ საკითხის განმარტება ზოგადად არის გამოთქმული, მისი ფორმულა არ იძლევა კონკრეტულ შინაარსს, არ იძლევა საკითხის დეტალიზაციას; მაგრამ აქ მაინც ხაზგასმით არის აღნიშნული ახალი ინტელიგენციის როლი და მნიშვნელობა ჩვენი ცხოვრების ვითარებაში. მართლაც, აკაკის

[1] ა. წერეთელი, ერთი მეც მერგოს ბანკზე—„დროება" №13, 1873 წ.
[2] იქვე.

ტერმინოლოგიით „ახალ თაობას ეკუთვნის ის, ვინც დროს ჩამოურჩენლად მიზდევს საზოგადო კეთილდღეობის წარმატებას". ძველ თაობას ეკუთვნის ის „ვისაც თავში აზრები დამპალი აქვს და გულში გრძნობა აყროლებული" — ამ ფორმულით ბევრიც არის ნათქვამი და ცოტაც. ბ ე ვ რ ი — იმდენად, რამდენადაც იგი ზოგად ფორმულას იძლევა და საერთოდ ახასიათებს ძველი თაობის აზრებს; ც ო ტ ა — იმდენად, რამდენადაც იგი თითქმის არაფერს იძლევა კონკრეტულად თაობათა შორის წარმოებულ ბრძოლის არსებით შინაარსზე. მაგრამ ამ ბრძოლის შინაარსი ჩვენთვის შემდეგ შეიქმნება ნათელი.

საინტერესო არის კიდევ შემდეგი ციტატა იმავე წერილიდან, საიდანაც ნათელი ხდება აკაკი წერეთლის პოლიტიკური ფიზიონომია. ავტორი აღნიშნავს რა ძველი თაობის ბრძოლას ახალ ინტელიგენციის წინააღმდეგ, სწერს: „ძველები სცდილობენ ბოროტ-განზრახულობით ახალ თაობის მოქმედებას პოლიტიკური მოქმედება უწოდონ და ყოველი მათი უმანკო მოქმედება, პოლიტიკურ მოქმედებად გამოხატონ. მაგრამ ვერც არას აქ მოიგებენ — არა რაი არს დაფარული, რომელი არა გამოცხადდესო. ადრე თუ გვიან, მათი შავი საქმეები უფრო უშვერად გამოჩნდებიან. და ისინი კი, ვისაც ეს ვეშაპები ცუდმნიშვნელობით პატრიოტებს ეძახიან, პ ა ტ ი ო ს ა ნ პ ა ტ რ ი ო ტ ე ბ ა თ დ ა რ ჩ ე ბ ი ა ნ და მ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შ ი ა რ ა ფ ე რ ი ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ა რ ი ქ ნ ე ბ ა შ ე ნ ი შ ნ უ ლ ი... განა პატრიოტობა პოლიტიკურად საწინააღმდეგო არის? აბა დავფიქრდეთ კარგად. პატრიოტობა ნიშნავს სამშობლოს სიყვარულს და პატრიოტი იმ კაცს, ვისაც თავის სამშობლო, მამული უყვარს — მიუხედავად პირადი სარგებლობისა. ჩვენი ახალი თაობა სწორედ ამგვარი პატრიოტია... ახალი თაობა ეძებს ქვეყნისათვის ბედნიერების მოპოვებას და დაჩქარებას; მაგრამ როგორ ესმის მას ეს ბედნიერება? რაში მდგომარეობს ჩვენი ხალხის ბედნიერება? მხოლოდ ერის განათლებაში, რომ ჩვენი ხალხი ზნეობით ამაღლდეს... სრულიად დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ უმაღლესი მმართველობაც ამ აზრის უნდა იყოს და როდესაც დაუკვირდება ახალ თაობის მოქმედებას, მაშინ მიხვდება, რომ ა ხ ა ლ ი თ ა ო ბ ა ა რ ი ს კ ა ვ შ ი რ ი ჩ ვ ე ნ ს ხ ა ლ ხ ს ა დ ა მ ა თ შ უ ა, მ ხ ო ლ ო დ ა ხ ა ლ თ ა ო ბ ა ს გ ა ჰ ყ ა ვ ს ხ ა ლ ხ შ ი ი ს ჰ ა ზ რ ე ბ ი, რ ო მ ე ლ ი ც მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა ს ა ქ ვ ს დ ა ა რ ა ძ ვ ე ლ თ ა ო ბ ა ს"[1] (ხაზი ჩვენია — ს. ხ.).

[1] იქვე. ამავე აზრს ატარებს იგი 1875 წ. თავის პუბლიცისტურ წერილში ახალ თაობის დახასიათების შესახებ. (იხ. „დროება" № 36, 1875 წ.)

მკითხველი აქაც უნდა დაგვეთანხმოს, რომ ასეთი ენით 60-იანი წლების რუსეთის რადიკალური ინტელიგენცია არ ლაპარაკობდა. იმ ხანებში რუსეთის მოწინავე ინტელიგენციასა და მთავრობის შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო გაჩაღებული, ისინი თვითმპყრობელობის აზრების გატარებას კი არ ცდილობდენ ხალხში, არამედ თავიანთი საკუთარი რადიკალური პროგრამის განხორციელებისათვის იბრძოდენ. ამ მხრივ, აკაკის პოლიტიკურ სოფლმხედველობასა და რუსეთის რადიკალური ინტელიგენციის შორის დიდი განსხვავებაა. იმ ხანებში არც ჩვენი მოწინავე რადიკალური ინტელიგენცია ლაპარაკობდა ასეთი ენით. მეორე მხრივ, აკაკი სცდილობდა პატრიოტიზმისათვის წმინდა პოლიტიკური შინაარსი გამოეცლია, და მხოლოდ კულტურულ-განმანათლებელი მნიშვნელობა მიეცა. ამ საკითხშიაც აკაკი დასცილდა ჩვენი რადიკალური ინტელიგენციის მისწრაფებებს: იმ ინტელიგენციის, რომელმაც პატრიოტიზმი პოლიტიკურ საფუძველზედ ააგო და ამიერ-კავკასიის დემოკრატულ რესპუბლიკის პროგრამასაც აყენებდა. 1874 წლ. კონგრესი, რომელიც ჩვენი ინტელიგენციის მეთაუროობით იყო მოწვეული ციურიხში, სწორედ ამ მხრივ არის დამახასიათებელი. აკაკი ამ პროგრამას თითქოს ვერ იცნობს და ინტელიგენციას მოუწოდებს „მართველობის აზრები გაატაროს ხალხში“, აღსანიშნავია აგრეთვე აკაკის ერთი ლექსი, რომელიც 1863 წლ. „ცისკარში“ არის დაბეჭდილი. ამ ლექსს სათაურად აქვს: „დიდი კნიაზის მიხაილ ნიკოლოზის ძის მობრძანების დროს, ახალი შთამომავლობა უმღერის საქართველოს“. უკვე სათაური ლაპარაკობს ლექსის პოლიტიკური აზრის შესახებ. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ იმ ხანებში მეფის მოადგილედ კავკასიაში ბარიატინსკის ნაცვლად დაინიშნა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და სწორედ ამ ფაქტს გამოუწვევია ა. წერეთლის ლექსიც. მაგრამ მოუსმინოთ ახალგაზრდა აკაკის:

სამეფოვო, ძველთა ძველო,
დღეს სნეულო გულის მწველო,
დამჭკნარი გაქვს ძველი ქება,
ვით ზაფხულში მზისგან მდელო...

მაგრამ აწ-კი დრო მოგიდის,
გაცოცხლდები საქართველო...

დავივიწყოთ ის ნანინა,
რამაც დღემდის დაგაძინა...
დავსძახოთ ჰარი არალო!..
ხედავ? ბედმაც გაგვიცინა!..

აწ ვიხაროთ ბერო, ქართლო,
კმარა რაც ცრემლი გვედინა.

ამდენი ხნის მწუხარება,
ნახავ, მალე გაგეყრება...
დრო მოგელის გაიღვიძე,
თუ რომ გინდა ნეტარება!..

კმარა ამდენი ხნის ძილი,
გაიღვიძე გვეჩქარება!..

. . . . . .

მიეგება, ახალი დრო,
შენთვის ვაზის გვირგვინსა სწნავს...

წინა წავალთ შენნი ძენი,
გვსურს ახალ დროს უღოთ ბჭენი,
და დავნსთხიოთ წმინდა სისხლი,
რომ გაგბანოთ ძველი სენი!..

მზა ვართ, მსხვერპლად შეგვიწირე,
აღსდექ, შემოირტყი წენი... [1]

ასე სწერს თავის ლექსში აკაკი და ეს მოტივი აუცილებლად გაგრძელებაა იმ ეროვნული მოტივისა, რომელიც გამეფებული იყო 19-ე საუკუნის პირველ ნახევრის პოეზიაში და რომლის საუკეთესო გამომხატველი იყო გრიგოლ ორბელიანი. ამ მოტივების მთავარი შინაარსი იმ შეხედულებიდან მომდინარეობდა, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა არის ერთად ერთი საფუძველი საქართველოს აღორძინებისა; ტახტი და საქართველო ხდებოდა განუყრელ მეგობრებად: ტახტი იფარავდა საქართველოს, ხოლო უკანასკნელი ტახტის ერთგული მონა ხდებოდა. ასეთი პოლიტიკური კრედოს მაღიარებელი იყო ძველი თავად-აზნაურული ინტელიგენცია და თითქოს აკაკი წერეთელიც ამ რომანტიულ პოლიტიკის მიმდევარი ხდება პირველ ხანებში, მაგრამ განმასხვავებელი შტრიხები მაინც მოსჩანს; ძველი თავად-აზნაურული ინტელიგენცია თავად-აზნაურობას ეყრდნობოდა და ვიწრო წოდებრივ იდეოლოგიის მატარებელი იყო; იგი მთავრობის დასაყრდენ ძალას თავად-აზნაურობაში ხედავდა. უკეთ, თავად-აზნაურული წოდება იყო მისთვის საქართველოს ბურჯი და მისი წარმომადგენელი. აკაკი მაინც ახალი ენით მეტყველებს: მისთვის ცხოვრების მამოძრავებელი ახალი თაობის ინტელიგენციაა, რომელსაც „სურს ახალ დროს უღოს ბჭენი".

მაგრამ ჩვენ ძლიერ შევცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ აკაკი ბოლომდე შერჩა ამ თავის პოლიტიკურ რომანტიზმსა და თავად-აზ-

[1] იხ. ჟურნ. „ცისკარი" № 2, გვ. 236-7. 1863 წ.

ნაურული ინტელიგენციის პოლიტიკური ხაზის გაგრძელებას. როგორც ქვევით დავინახავთ, შემდეგში მან საგრძნობლად შეცვალა თავისი პოლიტიკური ხაზი და სხვა ენით დაიწყო ლაპარაკი. შემდეგში იგი უკვე დარწმუნებული იყო, რომ მისი „სატრფო ქაჯებს ყავს, მოელის ტურფა გამომხსნელს“ და ამ ტურფას განსათავისუფლებლად „გმირებს უყოვოდა და ეძებდა მისი დაფი და ნაღარა“. მაგრამ დამთავრებული პოლიტიკური პროგრამა მაინც ვერ მოგვცა. ძველი პოლიტიკური იდეოლოგიის ნაშთები მაინც დარჩა მასში.

3

საინტერესო საკითხს წარმოადგენს ის, თუ როგორ უყურებდა აკაკი წერეთელი ხელოვნებასა და როგორ დანიშნულებას ანიჭებდა მას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ კითხვაზე ჩვენ ნაწილობრივ უკვე გავეცით ზევით პასუხი, როდესაც მოვიყვანეთ თვით აკაკის ციტატები 60-იანი წლების შესახებ მოგონებებიდან. მიუხედავად იმ საგრძნობი დეფექტისა, რომელიც აკაკის პოლიტიკურ სოფლმხედველობაში დავინახეთ ჩვენ თავადაზნაურულ პოლიტიკურ რომანტიზმის შენარჩუნების სახით, იგი მაინც თავისი ესთეტიკური პრინციპებითა და საერთო მისწრაფებით 60-იანთა ჯგუფს ეკუთვნის. ცნობილია რომ ჩვენი 60-იანი წლების ახალთაობის ინტელიგენციამ ხელოვნებისა და ესთეტიკის საკითხში უცილოდ შეითვისეს უტილიტარიზმისა და რეალიზმის პრინციპები. ძველი თაობის ქართველი ინტელიგენციის შეხედულება ხელოვნებაზე, როგორც გართობის საშუალებაზე, ახალმა ინტელიგენციამ ძირშივე უარყო და პოეზიისა და საერთოდ ხელოვნების საკითხის გაგებას ახალი პრინციპიალური საფუძვლები დაუდვა სარჩულად. ეს ახალი შეხედულებანი რუსეთის 60-იანი წლების ძოღვაწეობიდან და მოაზროვნეებიდან მომდინარეობდა: უტილიტარიზმისა და რეალიზმის პრინციპი ხელოვნების საკითხში ამ ინტელიგენციამ ჩერნიშევსკისა და მისი ჯგუფის ზეგავლენით შეითვისა და შემდეგ გადმოწერგა საქართველოს ნიადაგზე. ჩვენს ახალთაობას ღრმად სწამდა ის ურყევი პრინციპი, რომ ხელოვნებამ რეალური სინამდვილე უნდა გამოხატოს, რომ იგი უნდა შეიჭრეს ცხოვრების სიღრმეში და გადმოსცეს მის შიგნით არსებული მდგომარეობა. ცხოვრება არის მასაზრდოვებელი წყარო ხელოვნებისა, იგი არის უდიდესი მასალა ყოველი მხატვრული შემოქმედებისათვის. აქედან წარმოსდგა ჯანსაღი რეალისტური მიმდინარეობის განმტკიცება ჩვენს ლიტერატურაში. ამ რეალისტურმა მიმდინარეობამ დაამარცხა ჩვენს ლიტერატურაში განმტკიცებული რომანტიზმი

და სულ სხვა განვითარება მისცა ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობას. მეორე მხრივ, ამ ახალი თაობის შეხედულებით, ხელოვნება არა მარტო რეალურ სინამდვილეს უნდა სახავდეს, არა მარტო ცხოვრებიდან უნდა კრებდეს თავის მასალას, არამედ იგი უნდა გახდეს წინმსვლელობის ერთ-ერთ ფაქტორად; მან უნდა შეიტანოს საზოგადოებაში ახალი აზრები და უხელმძღვანელოს საზოგადოებას წინმსვლელობისა და წარმატების საქმეში. ხელოვნება არა ხელოვნებისათვის, არამედ ცხოვრებისათვის,—ასეთი იყო ამ ახალი შეხედულების მარტივი ფორმულა. „ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარებსა და გამოსადეგსა... ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმოდგენილი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ... ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია.“—ასე სწერდა 1863 წ. ი. ჭავჭავაძე ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ [1] და ამით თითქმის გამოხატავდა მაშინდელი ახალი თაობის შეხედულებას ხელოვნების დანიშნულებაზე. ეს უტილიტარული პრინციპი, შემოჭრილი ჩვენს ლიტერატურაში 60-იან წლებში, დიდი ხნის განმავლობაში იყო გაბატონებული მწერლობაში და ამ პრინციპის საშუალებით, ახალმა ხელოვნებამ დიდი სამსახური გაუწია ჩვენი პროგრესის საქმეს.

აკაკიც ამ პრინციპზედ იყო აღზრდილი და იგიც დაუზოგველად ატარებდა თავის სიტყვა-კაზმულ ნაწერებში უტილიტარულ-რეალისტურ შეხედულებას. როგორც თვით აკაკი ამბობდა, მას „ისე მიაჩნდა მწერლობა, როგორც ერთი უბრალო იარაღთაგანი დღიურ ავკარგიანობის საბრძოლველ-სასამსახუროთ“. მაგრამ შევცდებით თუ ვიფიქრებთ, რომ იგი ნიღილისტური თეორიის მიმდევარი იყო ხელოვნებისა და ესთეტიკის საკითხში. პოეტი ბაზაროვისებურ კილოს, უკეთ, პისარევის ნიღილისტურ თეორიას თავიდანვე უარყოფდა და არ იზიარებდა. ცნობილია, რომ ნ. ჩერნიშევსკის ესთეტიკური თეორია პისარევმა განავითარა და მოინდომა თვით ესთეტიკის დამსხვრევა. აკაკი არასოდეს არ მისულა ესთეტიკის თეორიის დამსხვრევამდე და არც ხელოვნების უარყოფამდე. მისთვის ხელოვნება საბრძოლველი იარაღი იყო და ამიტომ მისი შეხედულება სავსებით ეთანხმება ჩერნიშევსკის ესთეტიურ პრინციპებს.

---

[1] იხ. წერილი, საქართველოს მოამბეზე — ჟურნ. „საქართველოს მოამბე“ № 1, გვ. 121—23 1863 წ.

1884 წ. აკაკი შემდეგს სწერდა მწერლისა და მწერლობის დანიშნულების შესახებ:

„...მწერლობა არის უძლიერესი და უპირველესი იარაღი, რომელიც სიმართლით უნდა ილესებოდეს და უსუსტრად იხმარებოდეს სამშობლოს საკეთილდღეოთ... მწერლობა ზნეობითი და გონებითი მესარკეობაა. ნაწერში, როგორც სარკეში, ნათლად უნდა ისახებოდეს მწერლის თანადროება მისი სასწორ-სიმრუდით, რომ საისტორიო სურათებათ გადაეცეს მომავალ დროებს. და როგორც სარკეში ის იხატება, რაც მხოლოდ მის გარეშემოა და რაც მის გულში ჩაჰყურებს, ისე, პოეტის ნაწერშიაც იმას უნდა ვხედავდეთ, რაც მის გულს, როგორც ხალხის თანაზიარს, მოხვედრია. და მაშასადამე მწერალს ნება არ აქვს, რომ ყოველ-დღიურ საერთო მოვლინებას, რაგინდ წვრილმანიც იყოს, თვალი აარიდოს, — რაც უფრო ნიჭიერია პოეტი, უფრო ძლიერად ექვემდებარება ამ ზემომოყვანილ პირობებს. მწერლობის მიზანი ერთა მხილებაა“ [1].

ასე სწერდა აკაკი მწერლისა და მწერლობის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე და ამით იგი ნათლად და გარკვევით გამოხატავდა რეალისტურ და უტილიტარულ თვალსაზრისს; ლიტერატურა აკაკიმ საზოგადოებრივ ურთიერთობის წარმატების ერთ-ერთ იარაღად დასახა და ამით მას უდიდესი სოციალური ფუნქცია დააკისრა. ასე სწერდა აკაკი თავის პუბლიცისტურ-კრიტიკულ წერილებში ხელოვნების შესახებ. ამავე აზრს ატარებდა თავის მხატვრულ შემოქმედებაშიაც.

აკაკისათვის პოეტი არის „გარემოების საყვირი, არც მიწისაა, არც ცისა“. იგი ამბობს:

ეს გული, სარკედ ქცეული,
ბუნების ნათავხედია;
მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ,
რასაც შიგ ჩაუხედია;

ენაც მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუჯონია,
ან თვალს უნახავს, ან ჭკუას
გაუზომ-აუწონია! [2]

ამით პოეტმა ღრმა ფილოსოფიური აზრი გამოსთქვა იმდენად, რამდენადაც პოეტის შინაგანი ემოციები, განცდები და მისწრაფებანი მის გარეშე არსებულ ობიექტიურ პირობებიდან გამოიყვანა,

[1] იხ. გ. ერისთავის თხზულება, 1884 წ. გამოცემა აკაკის წინასიტყვაობით გვ. VII-VIII.

[2] იქვე, გვ. 142. ლექსი, პოეტი.

იგი „გარემოების საყვირად“ გახადა, ასეთი გაგებით აკაკი თითქმის ამბობდა: გარემოება ქმნის შეგნებასო; მაგრამ ასეთი შეხედულება დამახასიათებელი არის რეალისტი მწერლისათვის, რომელსაც სურს ობიექტიური სინამდვილე ასახოს და საზოგადოებრივი განწყობილება გამოხატოს. ამ გზით პოეტსა და ობიექტიური გარემოს შორის, პიროვნებასა და საზოგადოებას შორის განუყრელი კავშირი მტკიცდება და პოეტი სახავს მას რაც რეალურ სინამდვილეში არსებობს.

მაგრამ აკაკისათვის პოეტი არ არის მხოლოდ და მარტო „გარემოების საყვირი“, იგი ახალი აზრებისა და მისწრაფებათა „საყვირიც“ არის.

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმინდით ახურებდეს!..

რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს!..

მეორე ადგილას პოეტი ამბობს:

მისთვის მომცა ღმერთმა ენა,
სიმართლისთვის გავიწირო,
ჩაგრულ მოძმეს მოვეხმარო,
თუნდა ქვითაც დავიკირო:
მოძმის ვიყო შემწე ჭირში,
ვიხარო და გავახარო;
რაც-კი ვნახო მასში ცუდი,
გამოვთქვა და არ დავფარო.

პოეტი აცნობს საზოგადოებრივ ცხოვრების იმ პირობებს, რომელიც შექმნილი არის მის სამშობლოში. მისთვის არ იყო დაფარული ის უმსგავსოება, რომელიც გამეფებული იყო ჩვენს საზოგადოებაში. პოეტის დაფი და ნაღარაც ამ უმსგავსოებათა წინააღმდეგ ბრძოლის მოწოდებას წარმოადგენდა.

ჩემს სამშობლოს კარგად ვიცნობ,
მომივლია კიდით-კიდე;
მართლის თქმით და გულწრფელობით
ჭირი ჭირზე გადვიკიდე.

აქ მონება ჭკუა არის,
ორპირობა სიბრძნე დიდი,
და მას რჩება მოედანი,
ვინც კი არის მეტად ფლიდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა მაღლა ასასვლელად
ძმა ძმას იხდის კიბე-ხიდად,
მწოხელს შვილი, შვილს მწობელი,
ქმარს ცოლი ჰსურს გასასყიდლად

აქ თვით სჯული ფარისევლებს
ხელთ უპყრიათ ბადე-ქსელად,
ძლიერების საპირფეროდ,
უძლურების მოსაწველად!
. . . . . [1]

მხოლოდ საწყალ მიწისმუშას
არავინ ჰყავს გამკითხავი,
მისის ოფლით თავს იკვებენ,
ჭურჭად მიდის მისი ტყავი!

მაგრამ ვინ რას გვათქმევინებს,
ჩემო მუზავ? ტყვილა ელი!..
დროა, სიტყვა უკუვაგდოთ.
სხვებ მოვკიდოთ საქმეს ხელი.

თორემ ისე ჩვენი შრომა
ემსგავსება ბებრის ბუქნას!
რაც ყოფილა, დღეს არ არის,
რაც დღეს არის, ხვალ ის ნუ ჰქნას! [2]

აკაკი აუცილებლად თავისებური ბრძოლის პოეტი არის. ის ნათლად ხედავდა ჩვენი ცხოვრების სიდუხჭირესა და სოციალურ უსამართლობას და ამათ წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა იგი თავგამოდებით. „ძილის დროს ქუხილს ნუ მოშლი და სიბნელის დროს ელვასა“—ეუბნება აკაკი პოეტს და ამ მოწოდებით აღვიძებს საზოგადოებრივ აზრსა და შეგნებას.

გმირებს დაეძებს, უყივის,
ჩემი დაფი და ნაღარა—

ამბობდა პოეტი. ეს გმირი უნდა ყოფილიყო, მხსნელი, განმანთავისუფლებელი „დატყვევებული სატრფოსი“ და მომსპობი ყოველგვარ უსამართლობისა. და აკაკიც ასეთ გმირს ახალგაზრდობაში, ახალთაობაში ეძებდა.

ახალგაზრდობის მას აქვს იმედი
და იმას უმღერს მარად და მარად. [3]

---

[1] აქ ცენზორის მიერ ამოღებული ტაეპია.
[2] რჩეული ნაწერები, ტ. IV, გვ. 135-6.
[3] იქვე. გვ. 132.

ამბობდა აკაკი და ამით ის სისწორით გამოხატავდა 60-იან წლების ახალთაობის შეხედულებასაც; ეს თაობა ჯერ კიდევ ვერ ამჩნევდა და არ შეეძლო შემჩნევა ჩვენში სხვა მებრძოლი ძალისა, გარდა მოწინავე ახალგაზრდობისა. ეს იყო ცხოვრების უკარგესი, ახალ პირობებისათვის მებრძოლი ძალა და სწორედ ამ ახალთაობის ჯგუფის გაძლიერებაში და გამოსახულებაში ხედავდა აკაკი ჩვენი ცხოვრების წარმატების უდიდეს ძალას. აკაკისა და მთელი მაშინდელი ახალთაობის ინტელიგენციის გაგებით „კრიტიკულადმოაზროვნე პირები“ ქმნიან ისტორიასა და პროგრესს. მასა, მშრომელი ხალხი მხოლოდ მასალა არის, რომლისაგანაც „მოაზროვნე“ პიროვნებას შეუძლია თავისი დამხმარე ძალა გამოიყვანოს. ასე ფიქრობდა იმ პერიოდში აკაკი წერეთელი. მაგრამ, როდესაც 1905 წლის რევოლიუციის პერიოდში ეს მასა ამოძრავდა, აკაკის ჩანგმაც სხვა კილოზე დაიწყო ჟღერა: მან იგრძნო ამ ამოძრავებული მასის რეალური ძალა და მის მეხოტბედ გახდა, მაგრამ ამაზე ქვევით.

4

როგორც უკვე აღვნიშნეთ შემცდარი არის ის აზრი, თითქოს აკაკის ჩანგი ერთ ხმაზე ჟღერდეს და პატრიოტიკა შეადგენდეს მისი პოეზიის ერთადერთ მოტივს. წინააღმდეგ, აკაკი წერეთელი მრავალმხრივი მწერალია და რაც აღსანიშნავია, მის ნაწერებში საგრძნობი სიძლიერით გატარებული არის დემოკრატიული პრინციპები. კ. აბაშიძემ ეს დემოკრატიული მოტივები აკაკის შემოქმედებაში სრულიად ვერ შეამჩნია; მისთვის აკაკი მხოლოდ და მარტო ეროვნულ ჰანგზე მომღერალი იყო, ეროვნული მოტივი რომ მძლავრად სცემს აკაკის პოეზიაში ეს უდავო არის, მაგრამ მარტო ამით რომ არ ამოიწურება მისი შემოქმედება, ესეც არ უნდა იწვევდეს დავას.

აკაკი იმ თავითვე ახალთაობის რიგებში იდგა და მასაც უხდებოდა ერთი მხრივ, გაცხარებული ბრძოლის წარმოება ძველი თაობის წინააღმდეგ ახალ მიმდინარეობის დასაცავად და, მეორე მხრივ, დემოკრატიული იდეებისა და მიმდინარეობის განმტკიცება ჩვენს მწერლობაში. თავის მ ო გ ო ნ ე ბ ა ში აკაკი სწერდა: „რუსეთი რომ მივატოვე და ცოლშვილით დავბრუნდი სამშობლოში, მაშინ ძალიან არეული და გამოუკვეველი დრო იყო, ბატონყმობა უნდა გადავარდნილიყო, ახალი რეფორმები შემოდიოდა და, რასაც ჩვენ ისე შევხაროდით, ისიც თავისთვის კუდს იტოვებდა. სახელით ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ სახრავად კი არ ვარგოდა. მაგალითად, რა ბატონყმობის მოსპობა იყო ის მოსპობა, როცა ბატონი და ყმა ჯაჭვით

ერთმანეთზე გადაბმული ჩინოვნიკს ეჭირა ხელში და ორიეს აღრჩობდა, — ღლეტდა. რაღა ნაყოფს გამოიტანდა ის სამსჯავრო, სადაც ხალხის ენა აკრძალული იყო და ენის უცოდინელობის გამო ხალხი უნდა გამღლეტ-გამცვეთელებს ჩავარდნოდა ხელში? ამაებს ყველას ვხედავდი და მიტომაც სრული ჩემი თანაგრძნობა ვერ მოიპოვეს რეფორმებმა და მაშინ დაიწერა: „ადვოკატი“, „კატა და ძაღლი“, „ვაის უნდა შევეყარო“ და სხვანი... ერთი მხრით მაღლიდან რისხვა, მეორე მხრით თავად-აზნაურობის გაწყოომა და მესამე მხრით — სტუდენტების (მაშინ ინტელიგენციას სტუდენტობას ეძახდენ) ენის წაგრძელება მოსვენებას არ მაძლევდა“.[1]

60-იანი წლების აკაკის ნაწერებში განსაკუთრებით აღსანიშნავი არის ორი დიდი მომენტი: ბრძოლა ძველი თაობის აზროვნებისა და მისწრაფებების წინააღმდეგ და ბატონყმური ურთიერთობის დაგმობა და გლეხის განთავისუფლების მოთხოვნა მონობის უღლისაგან. ჩვენს მწერლობაში საკმაოდ ცნობილი არის ის დიდი ისტორიული ფაქტი, რომელიც ძველ და ახალ თაობის ბრძოლის საკითხს შეეხება 60-იან წლებში. იმ ხანებში რუსეთის 60-იანი წლების აზროვნებაზე აღზრდილმა ახალმა ინტელიგენციამ მოინდომა ახალი იდეების გადმონერგვა ჩვენ ნიადაგზე და გაცხარებული ბრძოლა გამოუცხადა ყოველივე დახავსებულსა და ჩამორჩენილს. აკაკი საგრძნობ მონაწილეობას ღებულობდა ამ ბრძოლაში თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით, თავისი ლექსებით. ჩვენ უკვე გავიცანით აკაკის შეხედულება ამ ახალი თაობის ინტელიგენციაზე და მათ მიერ წარმოებულ ბრძოლის მნიშვნელობაზე. იგი მთელ რიგ თავის მხატვრულ ნაწერებში ეხება ამ ბრძოლას ორ თაობათა შორის. 1875 წ. თავის დაუმთავრებელ რომანში „იმერლები“ იგი კვლავ შეეხო ამ კითხვას. რომანის ერთერთი გმირი სტუდენტი, რომელმაც 1862 წ. დაამთავრა უნივერსიტეტი და მოემგზავრებოდა საქართველოში, ქართველ სტუდენტთა საერთო კრებაზე შემდეგ საპროგრამო სიტყვას ამბობდა მომავალი მოღვაწეობის შესახებ:

„ყმაწვილებო! თვითეულმა ჩვენგანმა კარგათ იცის, თუ რას ემსგავსება დღეს ჩვენი სამშობლო, ის ემსგავსება ერთს დიდს და ბნელს აკლდამას, სადაც ძველი აზრების კაცნი დაბოდიალობენ, უნდათ გარეთ სინათლეში გამოსვლა, მაგრამ კარების ვერ მპოვნელნი ეხლებიან ერთმანეთს. თვითონაც ეცემიან და სხვებსაც აქეთ-იქით ახლიან. ჩვენ უნდა დღეს ჩავიტანოთ იმ სიბნელეში ანთებული ლამპარი. უეჭველია, ძველი აზრების კაცნი რომ სინათლეში თავის თა-

[1] აკ. წერეთელი. ტ. I. გვ. 78-9.

ვებს დასისხლიანებულად და დაჩირქიანებულად დაინახავენ, მოინდომებენ ჩვენზედვე თავიანთ გულის შუხსის ამოყრას; ეცდებიან, რომ ხელიდან გამოგვიქრონ ის ლამპარი და ჩვენც გაგვგმირონ. ეს ბუნების წესია, ხშირათ დედაბერი უცხარდება და ამსხვრევს იმ სარკეს, რომელიც აჩენს მის უსახობას; მაგრამ ნუ შევშინდებით. მართალია, ძველი კაცები მიჩვეულნი არიან და არ გამოვლენ იმ სიბნელიდან, მაგრამ ჩვენ უნდა ვიქონიოთ სახეში მათი შვილები და ისინი გამოვიყვანოთ სინათლეში. ვიწყოთ სიმართლით მოძღვრება ახალგაზრდობისა და ეს იქნება ჩვენი კეთილი შრომა. ჩვენ უნდა წინდაწინვე გადავწყვიტოთ და მოვამზადოთ ჩვენი თავი სამსხვერპლოდ! მსხვერპლი არის ბეჭედი და გვირგვინი კეთილ წარმატებისა, მხოლოდ ის ამაგრებს ქვეყნად ჭეშმარიტებას! და მაშ ჩვენც ვიყოთ მსხვერპლი ჩვენის სამშობლოს კეთილ-დღეობისა! ვიღვაწოთ მამულის გულისათვის და ეს მოღვაწეობა დაჰბადებს ათს ჩვენხედ უკეთეს მომავალ მუშაკს.[1]

ასეთი აღფრთოვანებული ენითა და აღტაცებული გრძნობით ლაპარაკობდა რუსეთში კურს დამთავრებული ახალი თაობის ინტელიგენცია თავისი მომავალ მოღვაწეობის შესახებ საქართველოში. მართალია, საქართველოს სინამდვილემ მის აღფრთოვანებას ფრთები შეაჭრა, დიდი ოცნება ფერფლად აქცია, მაგრამ ეს სრულიად არ შლის და არ უარყოფს იმას, რომ ახალი თაობა ცდილობდა ცხარე ბრძოლა ეწარმოებია ჩვენი ძველი აზროვნებისა და საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ.

ძველი და ახალი თაობათა ბრძოლის საკითხებს აკაკი ეხება „პირუტყვების არჩევაში“ (1860 წ.), „რუსეთუმეში“ (1861 წ.), „ძველსა და ახალ შუა“ (1868 წ.) და სხვა ნაწერებში. პირველ ნაწარმოებში ავტორს აუწერია ისტორიული ფაქტი, „მარშლის არჩევნებში“, რომელშიაც გამოყვანილი ყავს გიორგი ღოღობერიძე, „მაშინდელი ინტელიგენტი და ოპოზიციის მეთაური“ (აკაკის სიტყვებია), ახალი თაობის წარმომადგენელი და მეორე მხრივ, ძველი თაობის წარმომადგენელი — თავადაზნაურობა. ამ ნაწარმოების შესახებ დაწერილ შენიშვნაში 1912 წ. აკაკი სწერდა, რომ ვოდევილმა დიდი უსიამოვნება მომაყენა და დიდი ხნის განმავლობაში სენაკში ვიმალებოდი, რომ ზოგიერთ პირთა რისხვას გადავრჩენოდიო; აკაკი დასძენს: „დაბალი ხალხი ჩუმად ყველა ჩემი თანამგრძნობი იყო, მაგრამ ცხადათ გამოსარჩლების ეშინოდათ, მე კი ვინც შესაფერი იყო, უშიშრად ვუყეფდი, აღარავის და აღარაფერს ვერიდებოდი“.[2] ახალი თაობის წარმომადგენლის სახით ავტორი ამბობდა, რომ „ჩვენ წინამძღვარს“

---

[1] აკაკი, „იმერლები“ (რომანი), „დროება“ № 23, 1875 წ.
[2] იხ. „ჩემი ნაწერები“ ტ. I. 1912 წ.

კარგად უნდა ესმოდეს ახლანდელი დროება,
რომ გამოიკვლიოს მან ხალხის საჭიროება,
მის სიკეთეს შესწიროს მან თვისი მყუდროება
და მსხვერპლად კი არ ჰქონდეს ქვეყნის შევიწროება!.. [1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოემა „რუსეთუმეში“ ავტორს ვრცლად დაუპირისპირებია ერთი მეორესათვის ძველი და ახალი თაობა. სამწუხაროდ, ამ პოემიდან მხოლოდ რამოდენიმე თავი არის გადარჩენილი, რომელიც ჟურნ. „ცისკარში“ დაიბეჭდა. ხოლო დანარჩენი თავები, როგორც აკაკი გადმოგვცემს, მოუპარავთ მისთვის და დღეს უკვე დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. თავისი პოემის მასალად ავტორს თავისი ოჯახი აუღია. 1912 წ. ავტორი შენიშვნაში სწერდა: „ახალი თაობის ტიპად ჩემი თავი მყავდა გამოხატული და ძველი თაობის ტიპად ჩემივე ოჯახიო.“ [2] ძველი და ახალი თაობის ბრძოლის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ რამოდენიმე ადგილი ამ პოემიდან.

მ ა მ ა (ძველი თაობის წარმომადგენელი)

რას მოვესწარი, როგორ ეცემა
ძველი ზრდილობა საქართველოში!
ვიღას აქვს ჩვენი პატივის ცემა?
მოხუცის ფასი შეიქმნა გროშში.

რაებს ჩადიხარ დროვო ახალო!
ველარ გაგიგე შენ გზა და კვალი,
მადლობას გწირავ, ღმერთო მაღალო,
რომ არ შემასვი მე თერგის წყალი.

რაებს ჩადიან ჩვენი შვილები?
რასაც ჩვენ ვსწუნობთ ის უჩნთ საქებლად;
ჩვენ დაგვცინიან დალოცვილები
და თვით ბევრი არ გაეგებათ.

მარხვას და ლოცვას არ ახსენებენ,
ძველი წესები აღარ ეძიეს,
ღამე არ სძინავთ, სულ თამაშობენ
და დღე კი ღამეთ გადააქციეს.

რა ცეცხლშიდა ვართ? თუ არ გავზარდეთ,
ვიღა დაგვიწერს მაშინ არზასა?
და თუ გავზარდეთ, სულ დავიღუპეთ
ვხედავთ, გვიბნევენ კვალსა და გზასა.

რ უ ს ე თ უ მ ე (ახალი თაობის წარმომადგენელი)

აბა მეც ვიტყვი ნუ გეწყინება,
თქვენი ძველი დრო როგორ ატარეთ.
ძველი კაცები რომ ადგებოდით,
დილას ხელს და პირს რო დაიბანდით,

[1] „რჩეული ნაწერები“, III. გვ. 4.
[2] „ჩემი ნაწერები“, ტ. I, გვ. 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ წამს საუზმეს მივარდებოდით,
გამოძღებოდით, ისევ წვებოდით,
სადილობამდინ არ ადგებოდით,
მანამდი აბა რა გაგანძრევდათ?

სადილათ ისევ გამოძღებოდით
რომ თითქმის გული აგერეოდათ.
გამოძღებოდით რა უმოწყალოთ
ისევ ლოგინზე გაგორდებოდით.

უსაძრაოთა, თითქოს უსულოთ
სანამდი ვახშმათ არ დაჯდებოდით[1]...

ასე გამოხატა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა აკაკიმ ის ღრმამნიშვნელოვანი ბრძოლა, რომელიც დაიწყო ჩვენს საზოგადოებაში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ძველსა და ახალ თაობათა შორის. [2] ეს ბრძოლა არ იყო შემთხვევითი მოვლენა; იგი ანარეკლი იყო იმ დიფერენციაციისა და ცვლილებების, რომელიც ხდებოდა ჩვენს სოციალურსა და ეკონომიურს ცხოვრებაში; ერთი მხრივ ძველი ნატურალურ ბატონყმური წესი წარმოებისა და მეურნეობისა, მეორე მხრივ, ახალი კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტები სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეტაკა ერთიმეორეს და ამ ძველის რღვევა-განადგურებასა და ახალის განვითარება-მშენებლობას ასახავდა სწორეთ ის ბრძოლა, რომელიც თაობათა შორის დაიწყო 50—60-იანი წლების ჩვენს საზოგადოებასა და ლიტერატურაში. ძველი თაობა (აკაკის პოემაში—„მამა“) მთელი თავისი ენერგიით ცდილობდა დაეცვა ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობა და ძველი წესები, მას შიშის ზარს ჰგვრიდა ის ახალი, რომელიც შემოდიოდა ჩვენს ცხოვრებაში ისტორიული აუცილებლობის გამო და რომელიც „დაღუპვით, გზაკვალის დაბნევით“ ემუქრებოდა ძველ წესებსა და ძველ წოდებას. ახალი თაობა გრძნობდა ძველი წესების მიუღებლობას, ნათლად ხედავდა რომ ყმის უფასო შრომამ, უკეთ ბატონყმურმა წესწყობილებამ დასცა ძველი თაობა და მხოლოდ „გამოძღომა და ლოგინზედ გაგორება“ გადაიქცა მათ სამოღვაწრო პროგრამათ. ბრძოლა ამ წესის წინააღმდეგ ახალი თაობის ინტელიგენციის საზრუნავი საგანი შეიქმნა. ისტორიულ აუცილებლობისა და ობიექტურ პირობების მიხედვით, ეს ახალი თაობის ინტელიგენცია თავისი ახალი ჩვეულებებით, ცხოვრების წესით, მისწრაფებებით და იდეოლოგიით, უკვე გამოხატავდა ბურჟუაზიული ელემენტების შეჭრას ძველ საზოგადო-

---

[1] აკ. წერეთელი, „მ ა მ ი ს ს ა ყ ვ ე დ უ რ ი“ რ უ ს ე თ უ მ ე ზ ე, „ცისკარი“ № 4 გვ. 331-38, 1863 წ.

[2] „ახალ ცხოვრებისკენ პირველი ბიჯი იმათ (მესამოცე წლების მოღვაწეებმა.—ს. ხ.) წარსდგეს—სწერდა 1903 წ. აკაკი—და ერთხანად მათი შრომა-მოღვაწეობაც სწორედ მოციქულებრივი იყო“ (აკაკი წერეთელი, „ორი პუბლიცისტის სტატია“ გვ. 11, 1903 წ.).

ებრივ ურთიერთობაში. იმდენად, რამდენადაც ეს ინტელიგენცია ებრძოდა ძველ დახავსებულ წესებს, ებრძოდა ბატონყმურ ურთიერთობას, ძველს შეხედულებებს და შემოქონდა ჩვენს საზოგადოებაში ახალი განწყობილება და მისწრაფებანი, იმდენად ეს ინტელიგენცია ობიექტურად, სურდა მას თუ არ სურდა ახალი წესწყობილების, კაპიტალისტური ურთიერთობის სასარგებლო საქმეს აკეთებდა, რადგან ისტორიული აუცილებლობით ძველ, ნატურალურ-ბატონყმურ წყობილებას მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტური წყობილება სცვლიდა, ამრიგად ინტელიგენციის მიერ მიტანილი იერიში ძველ წყობილებაზე, ისტორიულად ხელს უწყობდა ახალი კაპიტალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის მშობიარობის პროცესს.

აკაკი წერეთელი კარგად გრძნობდა, რომ ახალი თაობის ინტელიგენცია დიდ ისტორიულ საქმეს აკეთებდა, რომ მას შეექონდა ბნელით მოცულ საზოგადოებაში ახალი აზრი და განათლება. მისი აზრი უკვე გარკვეული იყო, რომ ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობა აღარ შეესაბამებოდა ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებსა და წინმსვლელობის პირობებს, რომ საუკუნოებით განმტკიცებულ ძველ დახავსებულ წოდებრივ აზროვნებასა და სოფლმხედველობას ადგილი უნდა დაეთმო ახალისათვის, რომ ცხოვრების გადახალისება, მისი განახლება ვალად ედვა ახალთაობას. მეორე მხრივ, აკაკი უფრო ნათლად ხედავდა, რომ ახალ თაობის ინტილიგენცია არ წარმოადგენდა ერთ ბანაკს, ერთი იდეებით ამოძრავებულ დასს. აკაკი თავისი აზრის ისტორიული მისიის და საქმიანობის მიხედვით ჩვენ „ახალდგმას“, ახალგაზრდობას სამ გუნდათ ყოფდა: 1) „გაიძვერები“, რომელთაც საზოგადო საქმე და ახალ თაობაში თავის ჩაწერა საპირადო ხიდათ და მახეთ გადაუქცევიათ; 2) „ნაცარქექიები“, ე. ი. მისთანები, რომელთაც არ იციან რას შვრებიან და არც მოეთხოვებათ; და 3) მუშა ახალგაზრდები“[1] —აი, ამ უკანასკნელში ხედავდა აკაკი ცხოვრების მამოძრავებელ ძალას, ჩვენს საზოგადოებაში ახალი იდეების შემტანსა და მის მეთაურს. 1875 წ. ერთ თავის პუბლიცისტურ წერილში ამ მუშა-ინტელიგენციის შესახებ იგი სწერდა:

„როგორც ყოველი დასაწყისი, აგრეთვე ხალხის განათლების დასაწყისი ძნელია. საქმე ახოს აღებაა, ე. ი. ყანის გატეხა, დახვნა და დათესვაა, თორემ შემოსულის პურის მომკა რა ძნელია?.. დღევანდელი ჩვენი მუშა სტუდენტები სწორეთ ამ მდგომარეობაში არიან

---

[1] აკაკის წერილი, „დროება“ № 69, 1879 წ. აგრეთვე მისივე წერილი, მცირე რამ ახალდგმაზე, „დროება“ № 35, 36, 37, 1875 წ.

და შემოდგომის მუშებსა ჰგვანან. იმათ დაინახეს რომ ჩვენი ქვეყანა ღრმა უმეცრებაშია, რომ იმისი ზნეობის ნიადაგს შამბი გადაჰკრავს, გაეკლულა და ძნელიღაა, რომ გაუმარგლავათ და გაუწმენდელათ თესლი მიიღოს. ამისთვის ჩუმათ, თავდახრით ჰმარგლავენ შამბს და ეკალსა და იმ დროს თუ უნასვი, ე. ი. გველ-ბაყაყ-მორიელი შეხვდათ თავს გაუჩეჩქვენ ხოლმე და ეს შესანდობი საქმეა. დიახ, მათი მუშაობა დღეს თუმცა ერთის შეხედვით კი არ მოსჩანს, მაგრამ მაინც გმირული მუშაობაა და ამ მუშაობით მომავალ დგმას უმზადებენ საქმეს და უადვილებენ... არა, ჩვენის ჰაზრით, ის, რომელიც საკუთრათ ჩვენი ხალხისათვის არ მუშაობს და მასზედ დაშორებულია, კეთილი მუშაც რომ იყოს, არ მიგვაჩნია იმ ჩვენგან დასახულ მუშათაგანად და ეს მიზეზია, რომ მუშა-სტუდენტებათ ჩვენ მიგვაჩნია არა მრავალი... ჩვენ იმ ჰაზრისა ვართ, რომ ამ მუშა-ახალგაზრდებმა უნდა მისცენ ხელი ერთმანეთს, კერძოობას ერთმანეთში თავი დაანებონ და მაშინ ვნახავთ, თუ როგორ კეთილად წავა მათი საქმე" [1].

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ საიდან წარმოსდგა აკაკისა და საერთოდ მაშინდელი ახალთაობის ასეთი შეხედულება ინტელიგენციისა და კრიტიკულად მოაზროვნე პირების ყოვლად შემძლებლობაზე. ეს თაობა ვერ ხედავდა ჩვენი საზოგადოების სინამდვილეში სხვა აქტიურ მომქმედ ძალას, გარდა ინტელიგენციისა. და ისიც სრულიად შეგნებულად მასში, ე. ი. თავის წრეში, ინტელიგენციაში ხედავდა ჩვენი ცხოვრების მამოძრავებელ ფაქტორს.

ასეთი იდეალისტური შეხედულება ცხოვრების განვითარებაზე, და განსაკუთრებით, ინტელიგენციაზე, კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნების მნიშვნელობაზე ცხოვრების განახლების საქმეში აუცილებლად რუსეთის სუბიექტური სოციოლოგიის ზეგავლენით იყო შემუშავებული ჩვენი ინტელიგენციის მიერ, მაგრამ ასეთი სოფლმხედველობის შეთვისებისა და გავრცელებისათვის საკმაოდ ხაყოფიერი ნიადაგი არსებობდა თვით საქართველოში. თავისი მეცნიერული საფუძვლებით ეს შეხედულება ყალბ ნიადაგზე იყო აღმოცენებული. მაგრამ ამ ყალბ საფუძვლებზე აღმოცენებულ შეხედულებასაც თავისი დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საერთო ცხოვრების განვითარების საქმეში. მართლაც ეს ახალი თაობის ინტელიგენცია აღვიძებდა ჩვენ საზოგადოებრივ აზროვნებას, ნერგავდა ჩვენს ნიადაგზე ახალ იდეებს, ამუშავებდა ჩვენი ცხოვრების მაშინდელ კარდინალურ პრობლემებს და ხელს უწყობდა კულტურული ცხოვრების გაჩაღებას. მაგრამ რაც მთავარია იგი ხელს უწყობდა ჩვენი ცხოვრების

---

[1] აკაკი, მცირე რამ ახალდგმაზე,—„დროება" № 37, 1875 წ.

დემოკრატიზაციას, ძველი წოდებრივი ზღუდეების დარღვევასა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას. 60-იანი და 70-იანი წლების ინტელიგენციას უფლება ჰქონდა გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონოდა თავის თავზე, რადგან იმ პერიოდში ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლი სხვა საზოგადოებრივი აქტუალური ძალა ჩვენში არ არსებობდა. ახალი თაობის ინტელიგენცია ისტორიულ-ობიექტურ პირობების გამო შედარებით პროგრესიულ როლს თამაშობდა ჩვენში:

აკაკიც ბუნებრივად ასახავდა ამ საერთო განწყობილებას და შეხედულებას ინტელიგენციის როლსა და მნიშვნელობაზე ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავი არის აკაკის შეხედულება ბატონყმურ წყობილებაზე და გლეხთა საკითხებზე. ამ საკითხში გაუმართა ჩვენმა პოეტმა ძველ თაობასა და ძველ წოდებას მნიშვნელოვანი ისტორიული ბრძოლა, ეს ერთ-ერთი მთავარი საკითხთაგანი იყო, რომელიც დიდ დავას იწვევდა ორ თაობათა შორის. ერთი პიროვნებისა და შრომის თავისუფლების თვალსაზრისით იხილავდა საკითხს, მეორე ვიწრო წოდებრივი საზომით. ერთი წინ მიისწრაფოდა ცხოვრების განახლებისაკენ, მეორე არსებულ წესების დაცვას მოითხოვდა.

აკაკის შემოქმედებასა და აზროვნებაში აუცილებლად გამოხატულია დემოკრატიული მისწრაფებანი. ჩვენში გავრცელებული არის ყალბი შეხედულება, თითქოს ჩვენი 60-იანი წლების ინტელიგენცია არავითარ ბრძოლას არ აწარმოებდა ბატონყმურ წყობილების წინააღმდეგ, რომ ისინი ბატონყმობის მოსპობას კი არ მოითხოვდნენ. არამედ მის შეკეთებას და სხვ. უნდა ვსთქვათ, რომ ასეთი მოსაზრებანი გაუგებრობაზედ არის აღმოცენებული: იგი საკითხის უცოდინარეობის ნაყოფი არის, ვინემ ობიექტური მსჯელობის. ვინც ამ საკითხს სისწორით და სავსებით შეისწავლის, იგი აუცილებლად დაგვეთანხმება იმაში, რომ სამოციანი წლების ჩვენი ახალი თაობის ინტელიგენცია, რამდენადაც ამისათვის ობიექტური გარემოება და ცენზურული პირობები იძლეოდა შესაძლებლობას, მწვავე ბრძოლას აწარმოებდა გლეხთა განთავისუფლებისათვის და ბატონყმურ ურთიერთობის წინააღმდეგ. კერძოდ, აკაკიმ ენერგიულად განაგრძო დ. ჭონქაძის მიერ დაწყებული დიდი საქმე ბატონყმობის მოსასპობად, და მთელ რიგ ლექსებში გამოხატა გლეხთა მდგომარეობა და მათი ინტერესები. ზევით ჩვენ მიერ მოყვანილ ციტატაში აკაკის მოგონებები დან ნათლად არის ხაზგასმული ის გარემოება, რომ იგი უკმაყოფილო იყო საქართველოში გატარებულ რეფორმის (1864 წ.) შინაარსით,

და რადგან ბატონი და ყმა ჯაჭვით გადაბმული რჩებოდა ერთმანეთზე, ცხადია, აკაკის არ აკმაყოფილებდა მთავრობის მიერ გატარებული რეფორმა. იგი უფრო მეტს შესტრფოდა და მოითხოვდა რეფორმისაგან. მაგრამ ბატონყმობის მოსპობამდე გამოქვეყნებულ ლექსებშიაც აკაკი ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს გლეხთა ინტერესების დასაცავად, 1861 წელს თავის პირველ ლექსში გლეხთა შესახებ, რომელსაც „მ უ შ უ რ ი“ ეწოდება, აკაკი ხაზგასმით აღნიშნავს გლეხთა უმწეო მდგომარეობას და ნათლად გამოხატავს თავის დემოკრატიულ მისწრაფებებს. აი როგორ კიღოზე მღეროდეს აკაკის გლეხები:

მარტო ჩვენთვის არ ვმუშაობთ,
სხვისიც გვმართებს სამსახური:
ბატონი გვყავს, ვართ საწყალი,
უპატრონო, უბედური!

ყველა თავში გვიჩაჩქუნებს,
გარეშე და შინაური;
ცხელსა მიწას უხვად ალბობს
ოფლი, ჩვენგან მონაწური.

ჩვენი ჯაფით მონაყვანი,
სხვასთან მიდის საზრდო-პური,
შინ ცოლშვილს შიმშილი გვიკლავს,
მაგრამ ვინ მიუგდოს ყური?

მათსა საზრდოს სხვა იტაცებს,
სტირის ქალი მეძუძური,
შიმშილისგან რძე უშრება,
წივის შვილი უსუსური!

მაშინ ყველა ბატონია!
გამკითხავი სადღა არი!..
მდივანბეგის ბოქაულებს
გაეღებათ სახლის კარი.

სულ მათ ნიაქვთ რაც ღომა გვაქვს
ქათამი, თხა, ძროხა, ცხვარი.
ჩვენც ყოველდღე ტანჯვას ველით!..
გლეხებს რა გვაქვს გასახარი? [1]

ეს პირველი ლექსი, დაწერილი გლეხთა დასაცავად აკაკის მიერ, მეტად საინტერესო არის. ეს ლექსი მძლავრი პროტესტი იყო,

[1] აკაკი წერეთელი, მუშური—„ცისკარი“— № 1, გვ. 53—4, 1863 წ. რჩეული ნაწერები, ტ. 4, გვ. 101—2. რაღაც მიზეზების გამო აქ სრულად არ არის ლექსი მოყვანილი, ორი უკანასკნელი ტაეპი აკლია.

ბატონყმურ მონობის წინააღმდეგ მიმართული. ავტორი აქ ნათლად აღნიშნავს გლეხთა ეკონომიურ გაჭირვებასა და მათ სიბეჩავეს. ერთის მხრივ, მებატონე, მეორეს მხრივ — მდივან-ბეგები და ბოქაულები, მესამე მხრივ—ვაჭარ-ჩარჩები — აი ვინ ცარცვავენ გლეხობას, ვინ იკვებებოდა მათი შრომით. აკაკის მეორე ლექსში „სიმღერა მკის დროს“—გლეხები ამბობენ:

უხვად მოვიდა წელს პური,
მაგრამ ბედს მაინც ვემდური,
რომ მას სულ სხვა წამართმევს,
და მე კი ოფლსა ტყუილა ვღვრი.[1]

აქ მოყვანილ ტაეპთან დაკავშირებით აკაკი თავის თავგადასავალში შემდეგ გარემოებას იგონებს: „იმ ხანებში მე ერთი ლექსი დავწერე („სიმღერა მკის დროს“)... კირილე ლორთქიფანიძემ და ნ. ნიკოლაძემ სთქვეს რომ კარგი რამ არის როგორც ხელოვნებაო, და მირჩიეს ერთი რამ მისთანა მიმემატებია, რომ ცხოვრებაში გამოსადეგი ყოფილიყო... მეც ავდექი და ბოლოში ერთი ხანა ჩავაკერე... ეს რომ ნახეს მიწერილი, მომიწონეს და კიდეც ამ მიკერებული ნაძალადევი ლექსით დაიბეჭდა“.[2] როგორც ამ ძოგონებიდან სჩანს, ეს ტაეპი გამოხატავდა მაშინდელი მოწინავე სტუდენტობის შეხედულებას გლეხობის მდგომარეობაზე. ეს აღსანიშნავია იმდენად, რამდენადაც ახალთაობის ინტელიგენცია ცდილობდა გამოეთქვა თავის გულის ნადები გლეხთა საკითხში, თუ გინდ ლექსის სახით. „გლეხის ახსარებაში“ (1861 წ.) აკაკი ხალხური, გლეხური ენითვე გადმოგვცემს იმავე გლეხის ჩივილსა და მდგომარეობას ბატონყმურ ურთიერთობის პირობებში: „თავდახრილი მიტომ ვარ, რომ კისერზედ მაზიხარ—პირუტყვივით მიმონებ, მფლობ და არ გეცოდები“—ეუბნება ბატონს გლეხი. მაგრამ ეს „პირუტყვივით დამონებული“ გლეხი უკვე მოელის ახალ დროს, მის ყურამდე უკვე მიახწია ხმამ გლეხთა განთავისუფლების შესახებ და იგიც დაცინვით მიმართავს თავის ბატონს: „მაშ ახლა რაღად სწუხარ, ახალს დროს რომ მოელი?“[3]

აკაკის ლექსი „მოგონება“ გვისურათებს ერთი „ჭაბუკის“ ბრძოლას უსამართლობის წინააღმდეგ; შესაძლებელია აკაკი ამ ლექსში დანიელ ჭონქაძეს იგონებდა, მით უფრო, რომ იგი გამოყავს გლეხთა დამცველად და თავადაზნაურობისაგან დევნილად.

---

[1] აკაკი წერეთელი, „სიმღერა მკის დროს“—„ცისკარი“ № 7, გვ. 274, 1863 წ. ეს ტაეპიც გამოშვებულია „რჩეულ ნაწერებში“.

[2] რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 74.

[3] აკაკი წერეთელი, გლეხის აღსარება—„ცისკარი“ № 5, გვ. 59, 60, 1863 წ.

„გამოახილეთ, ამბობდა, თვალი,
შეიტყეთ გლეხიც თქვენი ძმა არი!“
და რას ისმენდა ნაცვლად საწყალი?
— „ჩუ, თორემ ცხვირში წაგსკდება ძმარი!“

დაჩაგრულს გლეხებს ეჟერებოდა,
დიდკაცებს ჰგმობდა პირუთმნეველად,
მისთვის მას ყველა ემტერებოდა...
ყველას მიაჩნდა საზიზღარ გველად.

მაგრამ მაინცა თავს არ იხრიდა
უფროსების წინ, იმათი მტერი.[1]

ბატონყმობის მოსპობას საქართველოში აკაკი აღფრთოვანებით შეეგება. 1884 წ. იგი სწერდა: „ბატონყმობის გაყრაზე მოსწრებულმა ხმებმა სადღესასწაულოთ გამოიხმო ახალგაზრდობა და ყველა მოწინავე პირები“.[2] და ამ დიდი ფაქტის აღსანიშნავად აკაკიმ „საბატონო გლეხის ახლად შობილ შვილებს“ იმერული ნანინა უძღვნა 1864 წ.[3]

უდავო ფაქტია რომ აკაკი მთელი თავისი ენერგიით იბრძოდა დახავსებულ წესწყობილებისა და ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ; იგი შეიარაღებული 60-იანი წლების რუსეთის მოაზროვნეთა განმანთავისუფლებელი იდეებით, მთელი თავისი არსებით გლეხთა ინტერესებს იცავდა და მისი განთავისუფლების მოტრფიალე იყო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აკაკიმ თითქმის პირველად მიმართა ამ შემთხვევაში ხალხურ კილოს და თვით გლეხები აამეტყველა უმთავრესად თავიანთი უმწეო მდგომარეობის შესახებ. აკაკის გლეხობა მძიმე მუშაობის დროს ნაღვლიანად დამღერის თავიანთ უბედურ მდგომარეობას და გამოთქვამს უკმაყოფილებას არსებულ პირობების გამო; მათ საკმაოდ შეგნებული აქვთ, რომ მათი შრომით სხვა ძღება უსამართლოდ, რომ მათი ოჯახის საზრდოს ბატონი იტაცებს: გლეხობამ უკვე იცის, რომ უკუღმართმა წყობილებამ მათ ტვირთად დააკისრა მხოლოდ შრომა. ხოლო მის ბატონს ამ შრომის ნაყოფის მითვისება, მუქთა სმა-ჭამა და ცხოვრება.[4] გლეხში უკვე იღვიძებს კლასიურ წოდებრივი შეგნება, ბატონყმური წყობილების მოსპობის აუცილებლობა, წოდებათა გათანასწორების იდეა „იმერული ნანინა“-ში გლეხი მღერის:

დიდ-კაცის შვილს სკოლაში გვერდთ მოვუჯდებიო,
აბა, შენ იცი, ბიჭო-ჯან, როგორ ეცდებიო;
ძველ ბატონიშვილს სწავლაში ნუ ჩამორჩებიო,
გლეხსა ნიჭი არა აქვსო, არ აფიქრებიო.[5]

---

[1] იგივე, მოგონება—„ცისკარი“ № 6, გვ. 23[3]. 1863 წ.
[2] იხ. გ. ერისთავის თხზულება, აკაკის წინასიტყვაობა, 1884 წ.
[3] ა კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, იმერული ნანინა—„ცისკარი“ № 5. 1864 წ.
[4] იხ. აკაკის ლექსი „დიდების მებატონეს“—„ცისკარი“ № 10, 1862 წ.
[5] „ცისკარი“ № 5. 1864.

აკაკის ბრძოლის ხერხი ამ მხრივ აუცილებლად აღსანიშნავია, მან შესძლო მხატვრული ფორმების საშუალებით მთელი გლეხური მასის პროტესტი გამოეტანა სააშკარაოზე ბატონყმობის წინააღმდეგ. კოლექტიური პროტესტი იყო მთელი საქართველოს გლეხობისა; აკაკი, როგორც ავტორი თითქოს გვერდზე სდგას და თვით გლეხობა მეტყველობს თავისი მდგომარეობის შესახებ. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ აკაკის გლეხები პასიურ პროტესტს აცხადებენ, სიტყვიერი უკმაყოფილებით კმაყოფილდებიან და მათი სიტყვა აქტიურ მოქმედებაში ჯერ არ გადადის. ისინი მკვნესარე ღიღინით იქარვებენ გულის დარდებს, თითქოს თავს აბრალებენ თავიანთ მყვლეფელებს. „გლეხის ღსარებაში“ ავტორი თხოვნის კილოთი ალაპარაკებს გლეხს: „რათ არ მეტყვი ძმები ვართ, მოდი მომხვიე ხელი“—ეუბნება იგი მებატონეს. ასეთი განწყობილება გლეხობისა და მათი ბრძოლის მშვიდობიანი საშუალება არსებითად თვით აკაკის სოფლმხედველობიდან გამომდინარეობდა იმ პერიოდში: მისთვის ძალდატანება მიუღებელი საშუალება იყო ბრძოლისა. საინტერესოა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთელის გლეხთა ტიპების შედარება; რასაკვირველია, ჩვენ მხედველობაში მივიღებთ მათ დახასიათებას ბრძოლის საშუალებათა მიხედვით: აკაკიმ არ იცის კაკოს, ზაქროსა და გაბროსავით აქტუალურად მებრძოლი გლეხები და არც სურდა მაშინ ასეთი გლეხები დაენახა. აკაკი პასიურ პროტესტანტებს ეძებდა გლეხობაში, მაშინ როდესაც ილია აქტუალურად მებრძოლ ტიპებს კრებდა რეალურ სინამდვილიდან; მისი ყაჩაღად გაჭრილი კაკო, ტერორისტი გაბრო და ზაქრო ნამდვილი გლეხების ტიპები იყვენ: ბატონყმურ წყობილების სიმწვავემ, არა მარტო პასიური პროტესტი გამოიწვია გლეხობაში, არამედ აჯანყებები და ყაჩაღად გაჭრა. აკაკის სიმპატიები პასიურ პროტესტანტებისაკენ იყო მიმართული. შემდეგში, 1905 წლის პერიოდში, მისი განწყობილება მეორეს სასარგებლოდაც შეიცვალა, მაგრამ ამაზე ქვევით.

ბატონყმობის მოსპობის შემდგომ პერიოდში, როდესაც აშკარა შეიქნა ყველასათვის „რეფორმის“ მწვავე შედეგები და გლეხობა უფრო უარეს მატერიალურ შევიწროებას განიცდიდა, აკაკის ქნარი უფრო მძლავრად ამეტყველდა „დაჩაგრული ძმების დასახსნელად“ და გლეხთა განსათავისუფლებლად ახალ მონობისაგან. ამ ხანებში აკაკის შეხედულება უფრო მარცხნივ იხრება, მისი სიმები ბრძოლის ჰანგებს აჟღერებენ და 1905 წლის ხალხურ მოძრაობას უკვე მოხუცი მგოსანი აღტაცებით ეგებება. 1880 წ. ლექსში—„მუშებს“—აკაკი ამბობდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმხვდარი არის ეგ თქვენი
შეუბღალავი გონება,
რომ პირუტყვსავით არ ჰშვენის
მშრომელ კაცს სხვისი მონება!

. . . . . .

დიაღ!.. იმედი გირჩევსთ თქვენ:
ჯერ გქონდეთ მოთმინებაო
და, როს საერთოდ, თანსწორად
სურვილი აღიგზნებაო

. . . . . .
. . . . . .
. . . . . .
. . . . . [1]

ნუ გამოილევთ მაგ იმედს,
ეგ იყოს თქვენი საგანი...
მუშებო, თქვენი მარჯვენა
იკურთხოს, ოფლით ნაბანი!.. [2]

ცენზორის მიერ წაშლილი ხანა, უნდა ვიფიქროთ, მოწოდებას წარმოადგენდა მშრომელებისადმი საერთო უკმაყოფილებისაკენო. აკაკის ამ ლექსის კილო აღარ ეთანხმება 60-იანი წლების დასაწყისის ლექსებს. მაგრამ ეს ახალი რევოლუციონური ბრძოლის განწყობილება განსაკუთრებული სიძლიერით ამეტყველდა აკაკის შემოქმედებაში 1905 წ. რევოლუციონურ მოძრაობის პერიოდში. მოხუცმა პოეტმა რაღაც თავისებური განსაკუთრებული სიძლიერით განიცადა ეს რევოლუცია: მან პირველად იხილა ქართული მშრომელი მასა რევოლუციონურად ამოძრავებული, სოლიდარული იდეებით ამეტყველებული და მისმა ჩანგმა სხვა სიძლიერით დაიწყო ჟღერა. მაგრამ მოვუსმინოთ თვით პოეტს:

ასრულდა თითქმის, რასაც ვნატრობდით
ჩვენ ამ ნახევარ საუკუნეში
და, როგორც სვიმონ მოხუცებულსა,
მეც მომეფინა, მოხუცს ნუგეში.

გამოიღვიძა ხალხმა მძინარმა,
რომ მოიპოვოს თავისუფლება
სიტყვის, მწერლობის, კრება-ერთობის
და აასრულოს საერთო ნება!..

---

[1] აქ მთელი ტაეპი ამოღებულია ცენზორის მიერ.

[2] აკაკი, „მუშებს", „დროება" № 88, 1880.

მადლობა უფალს! მოვიდა წარღვნა,
რომ წაილეკოს უსამართლობა
და დაემკვიდროს ამიერიდან
შვება, თანხმობა, ძმობა, ერთობა!..

შრომა ხალხისა შეერთებული
ძალთა-ძალია სტიქიონური;
ვერ შეაჩერებს მას ვერაფერი,
გინდა ბრძანებაც იყოს მეფური!..

ესეც პირველი ნაბიჯი არის,
ჩვენი ხალხისგან დღეს გადადგმული,—
ჯერ იბარბაცოს!.. რომ გამაგრდება,
მაშინ წინ წავა გამხნევებული.

ბედმა გვარგუნა ჩვენ ხვნა და თესვა,
რაც კი მოითხოვს ხანდახან გასვრას!
თქვენ მომკლები ხართ! ხელს ნუ გაიჭრით,
ნუ ერიდებით ცოტა სისხლის ღვრას!

თუმცა მოვხუცდი, არ შემიძლია
დავატრიალო თქვენებრ ნამგალი,—
მაგრამ მაინც კი გადაბმული ვართ
და თქვენ შეგყურებსთ სიამით თვალი![1]

იმდენად, რამდენადაც რევოლუცია წინ მიდიოდა, რამდენადაც მშრომელი მასები აქტიურად ებმებოდნენ ბრძოლის პროცესში, აკაკის აღფრთოვანება უფრო ლაღად შლიდა ფრთებს. მისი რევოლუციონური ენტუზიაზმი დაუცხრომელი ხდებოდა. 1905 წლის 4 დეკემბერს აკაკი სწერს ლექსს: „ძ ი რ ს“, რომელიც მთელი ხალხის გამოძახილს წარმოადგენდა.

ხალხი იბრძვის!.. ხალხი ღელავს!..
ვეღარ ასდებ აწ აღვირსო!..
ყოველის მხრივ გვეძახიან:
„ძირს, მთავრობავ, ძირს და ძირსო!“[2]

1906 წ. აკაკის შემოქმედების ისტორია შესანიშნავი „ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი თ“ იხსნება.

ეს ლექსი შესანიშნავია არა თავისი გარეგნული ფორმით, ამ მხრივ იგი არაფრით განსხვავდება აკაკის სხვა ჩვეულებრივ ლექსე-

[1] ლექსი „ნატვრა“;—„ივერია“ № 202, 1905 წ. „რჩეული ნაწერები“, ტ. IV. გვ. 121.

[2] „ძირს“—„ივერია“ № 219, 1905 წ. „რჩეული ნაწერები“, ტომი IV. გვ. 125.

ბისაგან, — არამედ თავისი შინაარსით, პოეტის დამოკიდებულებით მუშათა მოძრაობასთან და რევოლუციონურ ბრძოლებთან, აკაკი სწერს:

აღზდეგ, ყოველი მხრის მუშავ!
გაიღვიძე, პროლეტარო!..
ჩვენვე უნდა მოვუპოვოთ
ჩვენს თავს აწ დრო სანეტარო.

უნდა მტერი დავამარცხოთ,
ძალმომრევი, უსამართლო!
რა გვაქვს მასთან ჩვენ საერთო,
საპირადო ან სამადლო.

სხვა სულყველა ტყუილია:
ღმერთი, მეფე, ვინმე გმირი!..
ძალა არის შეერთება,
ერთი ლხინი ერთი ჭირი!

მოცლილ ხალხის მუქთა ხორას,
ამ ქვეყნად რომ დაწანწალებს,
ნამუშევარს სტაცებს ღარიბს
და უკიდებს გულში ალებს.

უნდა დავსცეთ თავზე მეხი,
გაურჯელად ვინც ნეტარებს...
გაუმარჯოს მხოლოდ შრომას,
მუშებსა და პროლეტარებს.

ეს იქნება საბოლოო
მშრომელ ხალხის მწარე ომი!
ეს დაგვიხსნის მხოლოდ და მით
გაიხარებს ყველა ტომი. [1]

ეს ლექსი „მარსელიოზის ხმაზედ“ არის დაწერილი და იმ დიდი მოძრაობის ნაყოფი არის, რომელსაც გულით შეტრფოდა ძოხუცი პოეტი. კიდევ ერთი შესანიშნავი ნიმუში აკაკის დემოკრატიული მისწრაფებისა; 1911 წ. ამ სტრიქონების ავტორი, მაშინ ახალგაზრდა მოწაფე, მოწამე იყო იმ მქუხარე ტაშისა, რომლითაც ჭაღარით მოვერცხლილ პოეტს შეხვდა ქუთაისის საზოგადოება, როდესაც მან ქუთაისის თეატრში სალიტერატურო საღამოზე წაიკითხა თავისი ახალი ლექსი: „ძ მ ო ბ ა, ე რ თ ო ბ ა დ ა ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი“.

მთელ ქვეყანაზე და კაცთა შორის
იყოს წყეული... ის იყოს კრული,
ვინც მხოლოდ სიტყვით გაიმეოროს:
ვისაც არ სწამდეს და არ უნდოდეს
„ძმობა, ერთობა და სიყვარული.[2]

---

[1] „რჩეული ნაწერები“, ტ. IV. გვ. 126—7; დაბეჭდილი იყო „პატარა გაზეთში“ № 1, 1906 წ.

[2] იხ. გაზ. „თემი“ № 42, 1911 წ. „რჩეული ნაწერები“ ტ. IV, გვ. 128.

ამბობდა დიდი პოეტი და რაღაც ნეტარი სიტკბოებით ისმენდა საზოგადოება ამ ყველასათვის ცნობილ და შაბლონურ მოწოდებას, მაგრამ მოხუცი პოეტის მიერ რაღაც თავისებური ელფერითა და მიმზიდველობით წარმოთქმულს. შეიძლება ითქვას, რომ „ძმობა, ერთობა და სიყვარული“ თავიდანვე აკაკის ძირითადი დევიზი იყო და ამ დიდი და ფართო სამსიტყვიანი ფორმულის ქვეშ ატარებდა იგი თავის დემოკრატიულ მისწრაფებებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თანაგრძნობა 1905 წლ. ხალხური მოძრაობისადმი, არც რევოლუციის დამარცხების შემდეგ აღმოუფხვრილია აკაკიში. რეაქციამ სავსებით ვერ გატეხა მისი გული და იგიც რაღაც ნეტარებით იგონებდა განვლილ თავისუფლების დღეებს. 1910 წელს პარიზში დაწერილ პიესაში, რომელსაც „რეაქცია“ ეწოდება, აკაკი ეხება რეაქციის ხანას, ჩვენი ისტორიული ცხოვრების იმ მწვავე პერიოდს, როდესაც თვითმპყრობელობის შავი ძალები ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდენ ქართველ ხალხს, სახრჩობელასა და ციმბირში აგზავნიდენ გლეხთა მოძრაობის მეთაურებს. აი ეს შავი ხანა აიღო თავის პიესის მასალად აკაკიმ. მაგრამ მოვუსმინოთ პიესის გმირებს:

იოსები (რეაქციის მიერ დარბეული გლეხი) იმ ახალთაობის დროს, პოლიცია რომ აღარ იყო, სუდია და პოსრედნიკი გააუქმეს და ღუბერნატორიც გადადგა, ჩვენ გამოგვიცხადეს: ახალი დრო დადგა და ახლა თქვენ უპატრონეთ თქვენ თავსაო. ჩვენც, თქვენი ჭირიმე, რაღა გზა გვქონდა, ავდექით და შევუდექით საქმეს. პოლიციაც ჩვენ ხელში გადმოვიდა და სამართალიც. სოფელმა თავისი სუდიები აირჩია და მათ რიცხვში მეც მოვყევი... მაინც ჩვენი სუდიობით რა წავახდინეთ, რაც არა გავაკეთეთ რა! იმ ცოტა ხანში სანამდი ჩვენ ვიყავით, ჩვენ სოფელში ცუდი არა გაგონილარა.

ალექსან. (ინტელიგენტი—თავადი, მოძრაობის თანამგრძნობელი) კი, მაგრამ სამართალს როგორ სჭრიდით, რომ კანონების არა გაგეგებათ-რა.

იოსები კიდეც იმიტომ. ადამიანი დაიბადება თუ არა, ავკარგის გარჩევა თანვე დაყვება, ღვთით. კანონები გულშია, თუ კი სინდისზე გაივლის კაცი. და ჩვენც არ დაგვიკლია რა ღვთით.

ალექსან. ხალხიც გემორჩილებოდათ?

იოსები ერთობა იყო და მაშ რა იქნებოდა! იმ ორ სამ თვეში ამ ჩვენ სოფელში ცუდი არა გაგონილა-რა! ყოველიფერი უკუღმართობა მოისპოვო, იტყოდა კაცი... ეჰ, ღმერთი ინებებდეს, კიდევ დაგვიბრუნებდეს იმ დროს და მეც სუდათ ამომირჩევდენ. ახლა ხომ ვიცი, რომ არ შემარჩენენ, მომკითხავენ, მაინც იმ გზაზე გავივლი... აგერ ორმოცდაათი წლის გავხდი და მაშინდელის მეტად ერთხელაც არ მიგრძვნია, რომ მეც კაცი ვიყავი! წამათრევენ იმ დასაქცევ სუდში; იქ შენი არავის ეყურება და შენ სხვისი... უნდა წამოუყენო შენ მაგიერი და, ის რას ამბობს, ღმერთმა იცის. კაცად კი არა, ძაღლადაც არა-

ვინ გაგდებს და ამის შემდეგ... თვითონვე შენ ხდები სუდიათ. შენ ასამართლებ სხვებს! მოდით და ნუ იტყვი: ახალ თაობის პერიმეტრ
ვახუშტი (სოფლელი თავადი) ჰირიმე და.. მაგრე იცის იმ „ჰირიმემ“ სახლი რომ დაგიწვეს მაგერ!
იოსები თქვენი ჰირი წაიღოს! იმას ხომ მაინც ვეღარ ვიტყვით, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე პირუტყვად გავატარე და ადამიანური არა მიგრძვნია რა-თქო?
ალექსან. აი, ხალხის ფსიხოლოგია. [1]

ასეთი ენით ამეტყველებდა აკაკი თავის გმირ-გლეხს. აკაკის მთელი სიმპატიები და გულისყური ამ გლეხისაკენ არის მიპყრობილი რეაქციის პერიოდში. მოძრაობის დამარცხების შემდეგ ასეთი ენით არ სწერდენ განვლილ მოძრაობის შესახებ ბურჟუაზიის და ნაციონალისტების ბანაკიდან. აკაკი არ აყვა ცნობილ ხეობელებს თავდასხმებს და ბოლომდე შეინარჩუნა თავისი სიმპატიები ხალხურ მოძრაობისადმი. ცოტა ქვევით ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ უყურებდა აკაკი მოძრაობის მეთაურ ახალგაზრდობასა და ს. დემოკრატიულ პარტიას. ახლა დრო არის ერთგვარი დასკვნა გავუკეთოთ ამ თავს.

ჩვენ განვიხილეთ, რასაკვირველია, კონსპექტურად და ზოგადად აკაკის შემოქმედებაში დემოკრატიული მოტივებისა და მისწრაფებების განვითარება მთელი ორმოცდახუთმეტი წლის მანძილზე და მეტად საინტერესო ლიტერატურული მოვლენა დავინახეთ: აკაკიმ უკვე თავიდანვე—ყოველ შემთხვევაში გადაჭრითა და გარკვევით 1861 წ.—მედგრად აიღო ხელში პროტესტანტის მახვილი და ენერგიული ენით შეუდგა დაჩაგრული წოდების—გლეხობის და საერთოდ მშრომელი დემოკრატიის დაცვას. პირველად — ბატონ-ყმური წყობილების ხანაში — აკაკი ენერგიულად ებრძოდა ბატონყმურ წყობილებას და მოითხოვდა გლეხის განთავისუფლებას ბატონის უღლიდან; შემდეგ პერიოდში აკაკის ბრძოლა უფრო მძაფრი და შეუპოვარი ხდება: კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების მძიმე პერიოდში, როდესაც „რეფორმის“ მიერ გაძვალტყავებული გლეხობა უფრო გაღატაკდა და გაიყვლიფა, ყოველის მხრივ საექსპლოტაციო ობიექტად გახდა ჩარჩ-კაპიტალისტებისა, მემამულეებისა, სოფლის წურბელების და ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის — აკაკიმ მარცხნით გადახარა თავის სოფლმხედველობა და უფრო ენერგიულად შეუდგა გლეხთა ინტერესების დაცვას; ხოლო 1905 წლის პერიოდში მისი რადიკალიზმი და დემოკრატიზმი უდაოა აკაკიმ, როგორც თვითონ ამბობს, ერთ ლექსში, თავის ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში პირველად იხილა ამოძრავებული ქართველი მშრომელი გლეხობა და პროლეტარი, პირვე-

[1] „რჩეული ნაწერები“ ტ. III, გვ. 382—4.

ლად დაინახა მასიური რევოლიუციონური მოძრაობა და კვლავ რაღაც ჭაბუკური აღფრთოვანებით ამეტყველდა 65 წლის მოხუცი. ერთ აუცილებლად საინტერესო ფაქტს წარმოადგენს მისი ლიტერატურული მოღვაწეობიდან. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ჩვენ ოფიციალურ კრიტიკასა და ლიტერატურის ისტორიკოსებს ბურჟუაზიული ბანაკიდან არამც თუ ყურადღება არ მიუქცევიათ აკაკის ამ გლეხურ-დემოკრატიული მისწრაფების ევოლუციისათვის მარცხნით რადიკალიზმისაკენ, არამედ საერთოდ ისინი გაურბოდენ აკაკის პოეზიის ამ მნიშვნელოვანი მოტივის აღნიშვნას: ზოგიერთებს აკაკის პატრიოტიკა მიაჩნდა მისი პოეზიის მთავარ და ძირეულ მოტივათ; დანარჩენები ამჩნევდენ აკაკის ხალხურ მისწრაფებას, მაგრამ მათთვის უცნობი დარჩა აკაკის ევოლუცია ამ საკითხში და მისი საგულისხმიერო რევოლუციონური აფეთქება 1905 წლის ხალხურ მოძრაობის პერიოდში. ვიმეორებთ ეს საკითხი ერთობ სერიოზული და საინტერესო საკითხია და იგი მოითხოვს სპეციალურ შესწავლას და გამოკვლევას.

ერთგვარი საინტერესო პარალელი შეიძლება გატარებული იქნეს აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა განვითარების დროს გლეხთა საკითხში: მე-19-ე საუკუნის ეს ორი დიდი მწერალი 60-იანი წლების განმანთავისუფლებელ იდეებზედ არიან აღზრდილნი. ერთიც და მეორეც „სამოციანელთა“ მოწაფეთა ჯგუფს ეკუთვნიან, მაგრამ სამოციან წლებში ილიას დემოკრატიზმი და „ხალხოსნობა“ უფრო რადიკალური და ღრმაა, ვინემ აკაკის; მისი დასურათება წოდებრივი ურთიერთობისა ბატონყმობის დროს ყოველმხრივია და მძაფრი; მისი ვლეხის ტიპები აქტიური და შეუპოვარნი არიან, თითქოს ილიას ხიბლავს გლეხთა ეს რევოლუციონურ-პროტესტანტული მეთოდები. აკაკი სხვა სახით გამოიყურება 60-იან წლებში: იგი ალმაცერად უყურებს სტუდენტთა მოძრაობას 60-იანი წლების დასაწყისში დაწყებულს; მას არაფერი გაეგება გლეხთა აქტუალურ ბრძოლას მებატონეთა და საერთოდ ბატონყმობის წინააღმდეგ: აკაკის გლეხი პასიური პროტესტის მეთოდს მიმართავს. ბატონყმობის მოსპობის შემდეგ პერიოდში აკაკის და ილიას როლები საგრძნობლად იცვლება გლეხთა საკითხში: აკაკი მიდის სწორი დემოკრატიზმის გზით მარცხნით და 1905 წ. უმაღლეს ზენიტამდე აღწევს; ილია მიეჭანება მარჯვნით, იგი თითქოს ვერ ამჩნევს იმ ღრმა ეკონომიურ ტკივილებს, რომელსაც განიცდის გაღატაკებული გლეხობა რეფორმის შემდეგ პერიოდში, მისი იდეალია წოდებათა შერიგება, ჩატეხილ ხიდის აღდგენა, მას არ ესმის არც გლეხთა უკმაყოფილების შინაარსი და არც მათი მოძრაობის აზრი; ილიასთვის 1905 წლის მოძრაობა სრულიად გაუგებარი იყო, ილია

ამ ხალხური მოძრაობის საწინააღმდეგო ბანაკში მოხვდა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი კლასიკოსებიდან (რასაკვირველია, მხედველობაში გვყავს ისინი ვინც მოესწრენ), ისე მძლავრად 1905 წ. რევოლუცია არავის არ განუცდია, როგორც აკაკიმ განიცადა. მოყვანილი მასალების მიხედვით, აკაკიმ მეტი სთქვა, ვინემ მოსალოდნელი იყო მისგან.

სად უნდა ვეძიოთ აკაკის ამ დემოკრატიული მისწრაფების საფუძვლები? როგორმა ობიექტურ-ისტორიულ პირობებმა და სუბიექტურმა განწყობილებამ გამოიწვია იგი? როგორც უკვე აღვნიშნეთ, აკაკი რუსეთის 60-იანი წლების მოღვაწეთა მოძღვრებაზედ აღიზარდა; ისიც ვიცით, რომ მან ეს მოძღვრება თავისებურად განიცადა და შეითვისა. მაგრამ ერთი მაინც ურყევი დარჩა მის შეგნებაში: სამოციანელთა მოძღვრების ერთ-ერთ ცენტრალურ დებულებას წარმოადგენდა პიროვნების განთავისუფლება ტრადიციულ წოდებრივ ზღუდეებიდან და შრომის განთავისუფლება მონობისაგან. უკეთ რომ ვსთქვათ, პიროვნების განთავისუფლების იდეა ლოღიკურად მოითხოვდა შრომის განთავისუფლებასაც, ვინაიდან დამონებული შრომა ამონებდა თვით მშრომელსაც ე. ი. პიროვნებას.

ეს პიროვნებისა და შრომის თავისუფლების იდეა საფუძვლად დაედვა აკ. წერეთლის შემოქმედებასა და აზროვნებას. ჩვენ შევცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ ამ შრომისა და პიროვნების თავისუფლების იდეას აკაკი წერეთელი და მისი თანამებრძოლი თაობა რაიმე სოციალისტურ გაგებას აძლევდა. ეს, რასაკვირველია, ისტორიული სინამდვილის დამახინჯება იქნება, სოციალურ მოძღვრებათა ისტორიიდან ჩვენ კარგად ვიცით, რომ შრომისა და პიროვნების თავისუფლების იდეიდან მუშავდებოდა როგორც დემოკრატიულ-ბურჟუაზიული მოძღვრება, ისე სოციალისტური თეორიები უტოპიური შინაარსისა. ერთი ამ იდეების გამოხატულებას ინდივიდუალიზმის და ინდივიდუალურ მეურნეობაში ხედავდა, მეორე — კოლექტიურ სოციალისტურ წარმოებაში. აკაკი შეგნებულად მხარს უჭერდა პირველს და ამით ისტორიულ-ობიექტურ პირობების გამო ჩვენი ცხოვრების ახალი ტენდენციების კაპიტალისტური ურთიერთობის გამომხატველი ხდებოდა. მართლაც, ეს ახალი ბურჟუაზიული წყობილება თავისებურ ისტორიულ პირობებში ვითარდებოდა საქართველოში: მაგრამ მისი სწრაფი განვითარებისათვის, ისე როგორც ყველგან, საჭირო იყო ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის ზღუდეების დარღვევა და პიროვნების და შრომის განთავისუფლება ძველი წყობილების არტახებისაგან. კაპიტალისტური წარმოება პიროვნების აქტიობას მოითხოვს, მის ინიციატივასა და შემოქმედებას ეყრდნობა. ბატონყმურმა წყობილებამ ერთი მხრივ, უსიცოცხლო მუქთამჭამელა, უმოქმედო თათქარიძეები განავი-

თარა; მეორე მხრივ, ცალკე პიროვნებებს მოუსპო აქტიური მოქმედების შესაძლებლობა, შეზღუდა მისი ინიციატივა და თავისუფალი მოღვაწეობა. აქედან ცხადია, რომ ახალი წყობილების — კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება ვერ თავსდებოდა ბატონყმურ წყობილების ჩარჩოებში, იგი ამ ჩარჩოების დარღვევას მოითხოვდა და პიროვნებისათვის თავისუფალი სარბიელის მინიჭებას სამოღვაწეოდ. ამრიგად პიროვნების განთავისუფლების იდეა ისტორიულ-ობიექტურ პირობების გამო უკვე გამოხატავდა კაპიტალისტურ ტენდენციას და კაპიტალისტურ მისწრაფებებს. მაგრამ ახალი ურთიერთობა მოითხოვდა, არა მარტო პიროვნების განთავისუფლებას, არამედ შრომის განთავისუფლებას ბატონყმურ მონობისაგან. მიწაზე მიჯაჭული შრომა, ბატონის უღელში გაბმული ყმა მისთვის სასარგებლო და მისაღები არ იყო: ერთი იმიტომ, რომ მისი შრომის ზედმეტნაყოფს მუქთა-ხორა და ზარმაცი მებატონე ითვისებდა, ე. ი. მის ექსპლოტაციას ეწეოდა არა ბურჟუაზია, არამედ მემამულე, და მეორე იმიტომ, რომ კაპიტალისტური ურთიერთობისათვის საჭირო იყო „თავისუფალი“ მუშახელი. ამრიგად ისტორიულად გაგებული პირობებისა და შრომის თავისუფლების ლოზუნგი თავისი შინაარსითა და ობიექტური-ისტორიული მნიშვნელობით, თავისი საზოგადოებრივ-ეკონომიური ტენდენციებით ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ძირეულ მოთხოვნილებას წარმოადგენდა. და ჩვენი სამოციანელებიც, და მათ შორის აკაკი წერეთელიც — შეგნებითა თუ შეუგნებლად, ამ ახალი ურთიერთობის ამსახველნი იყვნენ, ამ ახალ ტენდენციას გამოხატავდენ! ეს ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი ჩვენი ძველი საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილების რღვევის პროცესს გამოხატავდა. დახავსებული ეკონომიური წესწყობილება და სოციალური შენობა ვეღარ უძლებდა „განახლების ეპოქის გრიგალს“ და მისი საფუძვლები ილეწებოდა შეუჩერებლივ. დიდი პოეტი ნათლად ხედავდა ამას და იგიც ახალ პროექტებსა და პროგრამას ამუშავებდა ცხოვრების მოსაწყობად და გასაახლებლად „დღეს ძველი დრო გადასულია,—ამბობს აკაკი,—თავად-აზნაურობამ თავისი პური შესჭამა და მაშინდელი გვართა ბრძოლაც თან გაჰყვა,—სხვანაირმა ცხოვრებამ, სხვაგვარმა მოთხოვნილებამ და სულ სხვა კაცებმა იჩინეს თავი. თავად-აზნაურების ადგილი ახალთაობამ დაიჭირა და ერისთავ-დიდებულებათაც მათი წარმომადგენელი არიან. ჩამომავლობით ერისთავობა გათავდა... დღეს ის უნდა მეთაურობდეს, ვინც მართლა თავიანია, კეთილი და პატიოსანი.!!![1] როგორც ილია ჭავჭავაძემ, ისე აკაკი წერეთელმაც გარ-

[1] აკ. წერეთელი, ორი პუბლიცისტური სტატია, გვ. 10. 1903 წ.

კვევით დაინახეს, რომ ძველი თავად-აზნაურობა დაეცა, რომ საჯაძის რაინდული ხმალი თათქარიძის ლოგინზე კოტრიალით შეიცვალა და ისტორიული ცხოვრების დენამ ეკონომიურადაც და მორალურადაც დაც დასცა ძველი წოდება, ერთ დროს ერის მეთაური და მესაჭე. როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პოეტი ნათლად ამჩნევდა ჩვენი ცხოვრების ფონზე იმ ტიპებს, რომელიც ილ. ჭავჭავაძის უკვდავ თათქარიძის სახით იქნა განსახიერებული. 1862 წ. აკაკიმ უკვე აღნიშნა „მებატონეთა“ დაცემა; ის უკვე გარკვევით ამჩნევდა, რომ დიდი კაცები

წლიდან წლამდის მხოლოდ მის კუჭს ემსახურება:
ღორის ქონით გაძღება, მერე ღვინით ჩაჰფერავს
და იქვე გაჰგორდება, თუ მუცელზე გაბერავს;
კოტრიალობს ლოგინზე, ბედს წყევლის, იგინება
და მუცელზე ხელს ისვამს — უკეთ დაეძინება. [1]

ასეთი წოდება — ზნეობრივად და გონებრივად დაცემული,— ვერ გამოდგებოდა ახალი ცხოვრების მესაჭედ, მის მეთაურად. ამ წოდებამ უკვე მოსჭამა თავისი დრო აკაკის გაგებით და მან ადგილი უნდა დაუთმოს ჯანსაღსა და ენერგიით აღსავსე ფართო მ შ რ ო მ ე ლ დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა ს გლეხობის სახით. ამ წრეში ხედავს აკაკი ერის მხსნელსა და მისი არსებობის საფუძველს. ამ რიგად მაღალი წოდების დაცემამ, მისმა გონებრივმა და ზნეობრივმა გახრწნამ აკაკის დემოკრატიზმი გააძლიერა. უფრო მეტი, აკაკისათვის არ იყო საიდუმლო არც ის ფაქტი, რომ თავადაზნაურობას დაკარგული ჰქონდა ეროვნული შეგნება და მოვალეობა.

დიდ-დიდი მებატონენი,
დიდ-დიდ მამულებს ჰყიდიან,
ქართველობაზე გულმრუდად
ხელსაც იღებენ... მიდიან.
რა ენაღვლებათ? მათ ჩვენთან
რაღა ექნებათ კავშირი?
უნდა ჩაგვყაროს სხვის ხელში,
გამოგვითხაროს მით ძირი.

აკაკი უდიდესი პატრიოტი იყო. მისი შეგნება და სოფლმხედველობა პატრიოტული შინაარსით იყო გაჟღენთილი. მაგრამ აკაკი არ იყო მეოცნებე პატრიოტი, იგი მებრძოლი პატრიოტი იყო, რომელიც ეძებდა არსებულ პირობებიდან გამოსავალ საშუალებასა და ძალას, სოციალურ წრეს — ახალი ცხოვრების მეთაურს.

იგი ამ წრეს ხან ახალთაობაში ხედავდა და მღეროდა: „ახალგაზრდებო, ახლა თქვენ გამოდით თქვენი ჭირიმეო“; ხან გლეხობას

[1] აკ. წერეთელი, ხღაპარი— „ცისკარი“ № 10, 1862 წ.

უმღერდა, ხან მუშათა მასებისაკენ იცქირებოდა და იგი სურდა გამოეყენებია, ერის მეთაურად.

„ვაი“ და „უი“ წარსულსა,
„უი“ და „ვაი“ აწმყოსა,
თუ მომავალმა იმედი
მალამოდ გულს არ აცხოსა!

გაუშარჯოს ნამდვილ მუშებს!
ვაშა, ვაშა მომავალსა!..
ის ასწორებს დღევანდლების
გამრუდებულ გზა და კვალსა. [1]

ასე ღრმად გრძნობდა აკაკი წერეთელი ძველი საზოგადოებრივი ცხოვრების რღვევასა და მისი ახალი ცხოვრებით შეცვლის აუცილებლობას. მაგრამ შევცდებით, თუ ვიფიქრებთ რომ აკაკი რევოლუციონერი იყო და მას ესმოდა მუშათა მოძრაობის შინაარსი და მისი მნიშვნელობა. აკაკი რევოლუციის, მხოლოდ დროებითი თანამგრძნობი გახდა 1905 წელში, მაგრამ მისი, რევოლუციის, პრინციპიალური მომხრე არ შეიძლებოდა იგი ყოფილიყო; მუშათა მოძრაობამ მხოლოდ ერთხელ აამეტყველა აკაკი, მაგრამ მისი მგალობელი იგი მაინც ვერ გახდებოდა. როგორც 1905 წ. რევოლუციას, ისე მუშათა მოძრაობას, აკაკიმ ლიბერალურ-დემოკრატიული თვალსაზრისით შეხედა და მოინდომა ორივე ეს ფაქტორი თავისი მიზნებისათვის გამოეყენებია. აკაკი პროგრესისტი მწერალი იყო, ხშირად რადიკალიზმის მიმდევარი, მაგრამ მისი „ძმობის, ერთობის და თანასწორობის“ პრინციპი ბურჟუაზიული იდეოლოგიის თავისებური გამოხატულება იყო და ახალ პირობებთან შეგუება მისი შეგნებით აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. 1908 წ. იგი სწერდა: „ყველაფერს თავისი სასწორ-საზომი აქვს. ერთი საუკუნე მეორეს არა ჰგავს. თვითეულ მათგანს თავისი საკუთარი ფერხორცი და ცხოვრების შესაფერისი წეს-წყობილება აქვს, ბევრი რამ, რაც წინეთ აუცილებლად საჭირო ყოფილა, დღეს აღარ გამოდგება. ძველათ, ალბათ, ცხოვრებას გამოუწვევია მეფობაც, ბატონ-ყმობაც და სხვადასხვა წოდებაც, რაც დღეს აღარ არიან საჭირო, მაგრამ აქ წარსულის რა ბრალია და დღევანდელის თვალით რათ უნდა შევხედოთ მრისხანედ? ძველთაგან დიახ ბევრი რამ დაგვრჩენია მისთანა, რომელიც დღესაც კიდევ დვრიტად დაედება აწმყოს და მომავალსაც, ქვა-კუთხედად და რად უნდა მივაჩციოთ მათ ზურგი. წარსულის დავიწყება და

[1] „საქართველოს დღევანდელი სახე“.—იხ.. „ჩემი ნაწერები,“ ტ. II, გვ. 7—11, 1913 წ.

უარყოფა ნახევარი სიკვდილია. რაც კი კარგი რამ, დღეისათვის კიდევ გამოსადეგი გადმოუცია ჩვენთვის წარსულს, ის „წმინდა-წმინდათა“ უნდა დარჩეს, და რაც აღარ გამოდგება სადღეისოდ ის ვისთვის-ღა რა ხელსაყრელი იქნება“...[1] (ხაზი ჩემია—ს. ხ.).

აი ამ ახალი ეპოქის თვალსაზრისით უყურებდა აკაკი ახალ მოვლენებსა და მათ შორის მუშათა მოძრაობასაც, მაგრამ ამ მოძრაობის არსებითი შინაარსი, მისი ისტორიული მნიშვნელობა, რასაკვირველია, მას არ ესმოდა და ვერც გაიგებდა. აკაკის სურდა ახალი მომქმედი ძალები თავისი მიზნებისათვის გამოეყენებია: მუშათა და რევოლუციონურ მოძრაობისათვის თავისებური შინაარსი მიეცა—ერთგვარ ლიბერალურ-დემოკრატიულ ფარგლებში მოექცია. ეს ნათელი გახდება შემდეგი ფაქტებიდანაც.

იმავე 1908 წ. აკაკი სწერდა: „მე ვეკუთვნი მესამოცე წლების გუნდს. ვინც მომსწრე არ არის და არ ახსოვს, იმას შეუძლია ჩემი ნაწერებიდან გაიგოს, რომ ბევრი რამ არ მომწონდა იმ მესამოცე წლების მოღვაწეობიდან და წინააღმდეგიც ვიყავ და რაც მომწონდა მისთვის კი თავსაც ვსდებდი. დღევანდელი მოძრაობა, რასაკვირველია, არა ჰგავს მაშინდელს, მაგრამ მე ვერც დღევანდელ მოძრაობას ვეთანხმები სავსებით... ბევრი რამ მომწონს თვითეულ დასში და არ შემიძლია, არ თანაუგრძნო... და ბევრი რამ ჩემთვის მიუწვდომელია და ვერც ვეთანხმები. აი სწორეთ ამიტომ არც ერთ დასს არ ვეკუთვნი, რომ სავსებით მიუდგე... ჩემი გრძნობა-გონება დამოუკიდებლად მინდა შევინარჩუნო, ვიმოქმედო ისე, როგორც თვითონ განვსჯი და არა ბრძანებით... ქართველები „ასი წლის“ მეოხებით სხვა ხალხებზე ჩამორჩენილი ვართ და ამიტომაც უფრო შორი გზა გვაქვს გასავლელი. და ვინც შორს მიდის იმან ის უნდა იფიქროს, თუ როგორ მომარჯვებით გადადგას ბიჯი-ბიჯზე, რომ მიზანს მიაღწიოს, თორემ ხტუნვით ვერ გაივლის. და ამიტომაც უთქვამთ ჩვენ ძველებს: „აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო“. აი ამ აზრის მიმდევარი ვიყავ ჩემ სიცოცხლეში და ესევე უნდა ჩავიტანო საფლავშიაც... სახალხოდ გავრცელებულია ხმა, ვითომც, მესამოცე წლების მოღვაწეები, აღარაფერში ერეოდენ, არ თანაუგრძნობდენ თანამედროვე მოძრაობას და ყველაფერზე ხელი აეღოსთ... ეს ტყუილია.“ [2]

აქ საინტერესო განმარტება არის მოცემული. ცნობილი ისტორიული ფაქტია, რომ აკაკი ვერც ერთ პარტიასა და პოლიტიკურ

---

[1] აკაკი, სიტყვა თქმული ერთ არჩევნებზე და საუბარი მამა შვილს შუა, გვ. 10. 1908 წ.

[2] აკაკი, სიტყვა თქმ. ერთ არჩ. და საუბარი მამა შვილს შუა, გვ. 3—5 1908 წ.

დაჯგუფებათა ფარგლებში ვერ თავსდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავიდანვე აღფრთოვანებით მოელოდა მომქმედსა და მეუღლი თაურ ახალგაზრდობას ცხოვრების განახლებისა და წინმსვლელობი სათვის, მაინც არც ერთი ჯგუფი თუ პარტია აღმოცენებული ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში მას არ შეუწყნარებია სავსებით და ყველასთან აწარმოებდა ამა თუ იმ შინაარსის ბრძოლას. 60—70-იანი წლების ჯგუფებთან აკაკის დამოკიდებულება ჩვენ უკვე ვიცით თვით აკაკის ნათქვამიდან. მაგრამ ყველაზე უფრო უხეშად და ტლანქად მოეპყრა აკაკი 80-იან წლებში აღმოცენებულ ნაროდნიკულ მიმდინარეობის წარმომადგენელ — ჟურ. „იმედის“ ჯგუფს. ამ ჯგუფის წინააღმდეგ მიმართულ წერილში აკაკი[1] ისინი დაცინვით „დიაკვნის შვილებად“ მონათლა.[1] მიხ. გურგენიძე, რედაქტორი ჟურნ. „იმედისა“ და ერთერთი ხელმძღვანელი ახალი მიმდინარეობის, აკაკის საპასუხოთ სწერდა: „რატომ უკვირს აკაკის, რომ „მღვდლის შვილები“, —„დიაკვნები“ სალიტერატურო ასპარეზზე გამოსულან? ეს ხომ უეჭველად ასე უნდა ყოფილიყო. მაშ ვის შეეძლო აკაკის და მის ამხანაგების მწერლობის ანდერძის აგება? ყოველივე წესის აგება მხოლოდ მღვდელ-დიაკვნებს შეუძლიათ და ბედის-წერამაც საქმე ისე მოიყვანა, რომ „იმედში“, რომლის დანიშნულებაც არის — დასთურგნოს ყოველგვარი გონებითი, ზნეობითი და მოქმედებითი მახინჯობა, მაშასადამე მწერლობისაც, მიიღებდა მონაწილეობას „დროება-ივერიისაგან“ მოძულებული დიაკვნები.“[2] ამრიგად, აკაკიმ თითქმის ვერავითარი საერთო ენა ვერ ჰპოვა ისეთს დემოკრატიულ-სოციალისტურ მიმდინარეობასთან, როგორიც ნაროდნიკობა და მისი ორგანო „იმედი“ იყო.

მეტად საინტერესოა აკაკის დამოკიდებულება მესამე დასელებთან, მარქსისტულ მიმდინარეობასთან. 1903 წ. იგი სწერს: „ამ ცოდვების გასაწმენდათ მსხვერპლი არის საჭირო და ზვარაკად მომავალი ახალთაობა. მის მოსვლამდის კი ქვეყანა თვალ-ახვეულია, როგორც ებრაელები მოელოდნენ მესიას, ისე ზოგიერთი მესამოცე წლების მოღვაწენიც მოელოდნენ ახალდგმას. მათ რიცხვში გიორგი წერეთელიც, რომელმაც მეტის სულწასულობით კარლ მარქსის მოძღვრების ფეხის ამყოლები მიიღო“ „მომავლად“, უწოდა „მესამე დასად“ და სიმონ მოციქულსაებ სთქვა: აწ განმიტევეო, მაგრამ ვერ მოუვიდა ნამდვილი მიმრქმელობა. რა იქნებოდა ახალი აღთქმა, რომ ძველი აღთქმა სრულიად უარეყო და მის საფუძვე-

---

[1] აკაკი, ცხელ-ცხელი ამბები—„დროება“ № 44, 1881 წ.

[2] მიხ. გურგენიძე. ერთი ჩვენი მწერლობის სენი—„იმედი“ № 2, გვ. 100, 1881 წ.

ლზე არ აეგო ქრისტიანობა.—მესამე დასელებს ბევრი სიმართლე უჭირავთ ხელში, როცა პირდაპირ ჰგმობენ ფარისეველობასა და მეზვერობას და ჩვენი თანაგრძნობაც მათკენ იქნებოდა, რომ ამ დროს სრულიად უარს არ ჰყოფდნენ წარსულს და ავსა და კარგს ერთისა და იმავე გოდრით არ აგორებდნენ უფსკრულისაკენ... ის გზა, რომელსაც დღეს ისინი ადგიან, არა თუ გამოსადეგია ცხოვრებაში, აუცილებლად საჭიროა ჩვენთვის. მაგრამ გზაზე დადგომასაც და წინსვლასაც სიფრთხილე და წინდახედულობა ესაჭიროება... ამათი შეცდომა ის არის, რომ ცხოვრების ყოველგვარ საჭიროებას და მოვლინებას: სარწმუნოებას, ხელოვნებას, მეცნიერებას და სხვათ მარტო მხოლოდ მატერიალისტურ სარჩულს უდებენ და ავიწყდებათ დიდი მოძღვარის სიტყვა: „არა პურითა მხოლოდ სცხოვრობს კაციო“;—„აწმყო, ნაშობი წარსულის, მშობელია მომავლისა“. ვინც წარსულს ივიწყებს, ის მომავალზედაც ხელს იღებს და, მარტო აწმყოზე შეჩერებულა, უსულდგმულო, საპირუტყვო ფარგალში რჩება. და ჩვენ კი გვინდა მისთანა მომავალი თაობა, რომელიც უარისმყოფელი კი არ არის წარსულის, მკვლევარია და მამა-პაპის ანდერძს დღესაც კიდევ გამოსადეგ საფუძვლად უდებს მომავალს, რომ კავშირ-გაუწყვეტლად განაგრძონ ისტორიული ცხოვრება. მათ მოქმედებაში კაჭკაჭ-მაიმუნური მიმბაძველობა კი არ უნდა სჩანდეს, მოფიქრებული, აწონ-გაზომილი თავისთაობითი შრომა უნდა იხატებოდეს.“[1]

ასე აფასებდა აკაკი 900-იანი წლების დასაწყისში იმ დიდ გონებრივ მოძრაობას, რომელიც მარქსიზმის დროშით მიმდინარეობდა ჩვენში. ერთი მხრივ, აკაკის ეს მიმდინარეობა თითქოს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა, მეორე მხრივ, უარყოფდა მის სოფლმხედველობას და განსაკუთრებით ეროვნულ პოლიტიკას. შემდეგ პერიოდში, როდესაც საქართველოში რევოლუციონური მოძრაობა დაიწყო და ამ მოძრაობას სათავეში ს.-დემოკრატია მოექცა, როდესაც პოეტიც აღფრთოვანდა ხალხური მოძრაობით და ახალგაზრდობას მიჰმართა:

ამას ველოდი, მოვესწარ
ვიცინი, აღარ ვსტირი მე,
ახალგაზრდებო, ახლა თქვენ
გამოდით, თქვენი ჟირიმე-ო.—

აკაკის სიმპატიები გადაიხარა ს.-დემოკრატიისაკენ, მაგრამ მისი შიმდევარი და სრული პატივისმცემელი მაინც არ გამხდარა და ვერც

[1] აკაკი წერეთელი, ორი პუბლიცისტური სტატია, გვ. 12—15, 1903 წ.

გახდებოდა. ეს არც გასაკვირი არის. აკაკისათვის მარქსიზმი და მარქსისტული მოძღვრება გაუგებარი იყო, პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და კლასთა ბრძოლის პრინციპი სრულიად მიუღებელი, და თუ მაინც თავისებური სიმპატიით მოეპყრა ს.-დემოკრატიას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პარტიაში ხალხური მოძრაობის ერთგვარი ხელმძღვანელი ძალა დაინახა, აქტიურად მომქმედი ორგანიზაცია იგრძნო. საინტერესო არის აკაკის ლექსი, მიძღვნილი ს.-დემოკრატიისადმი და დაწერილი 1906 წ. მოუსმინოთ პოეტს:

ზოგი არ მომწონს რამ შენში,
მაგრამ საერთოდ კარგი ხარ!..
ერთ დროს მეც გამომადგები,
თუმც ჯერ კი სხვისი ბარგი ხარ!

შენი შეცდომა სჯობიან
მძინარის შეუცდენასა,
გიწუნებ, მაგრამ შენს ძვირს კი
ვერ ვათქმევინებ ენასა!..

მოვა დრო, შენც გასწორდები,
დასდგები შენს დონეზედა
და ბაიათებს დასძახებ
სხვა კილო და სხვა ხმაზედა...[1]

ასეთი იყო აკაკის დამოკიდებულება ს.-დემოკრატიულ პარტიისადმი, რომელიც ისტორიის ნებისყოფამ დიდი ხალხური მოძრაობის მეთაურად გახადა ჩვენში.

ჩვენ საკმაო ფაქტებით ნათელვყავით, თუ როგორი აღფრთოვანებით შეხვდა აკაკი 1905 წლ. რევოლუციას; მაგრამ, ვიმეორებ, შეცდომა იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ მისთვის სავსებით ნათელი იყო ამ მოძრაობის შინაარსი და იგი პრინციპიალური მომხრე იყო რევოლუციონური მეთოდის. რასაკვირველია, აკაკი არც რევოლუციონერი იყო და არც სოციალისტი, ამიტომ ვერც ერთისა და ვერც მეორესი პრინციპიალური თანამოზიარე იგი ვერ გახდებოდა. 1908 წ. თავის ნახევრად პუბლიცისტურ წერილში: „საუბარი მამაშვილს შუა“ აკაკი ამბობდა: „სიყვარული, ერთობა და თანასწორობა მხოლოდ სწავლა-განათლებას შემოაქვს და არა ძალმომრეობას. მხოლოდ სწავლა-განათლებაა ერთად-ერთი გზა—სწორი მოკლე და ადვილი, რომელსაც მოყავს ხალხი შვების სადგურისაკენ... და ჩვენც ვისაც ქვეყანა გვიყვარს და კაცობრიობაცა გვწამს, იმას უნდა მივაწვეთ. განურჩევლად წოდებისა და სქესისა ყველას უნდა

[1] აკაკი, ს.-დ-ს „ივერია“ №, 17 გვ. 9. 1906 წ.

ჰქონდეს გზა ხსნილი და ყველამ მიიღოს სწავლა-განათლება და ვინც კი ამ ჭეშმარიტ მისწრაფებას ეწინააღმდეგება... წინ ეღობება, ბრძოლა მივიტანოთ იერიში.

— მაშ თქვენ არ გწამსთ დღევანდელი მოძრაობა და გაურბით?— ეკითხება შვილი.

— არა. ისე შევხარით, როგორც დედა შეჰხარის შვილის პირველ ბიჯის ადგმას. ახალი ფეხადგმული ბარბაცებს, მაგრამ დედა გაორკეცებულის სიფრთხილით ადევნებს თვალყურს, რომ არსად გადაეჩეხოსო, სიხარულით უხარია კი რადგანაც დარწმუნებულია, რომ მისი შვილი კუტი არ არის და რომ წამოიზრდება, მაშინ უდედოთაც სწორე გაივლის. ჩვენც ველით იმ დროს და სიხარულით შევეჰყურებთ დღევანდელ დღეს. შინაური შეხლა-შემოხლა შეცდომად მიგვაჩნია, მაგრამ აუცილებელი კია... მეცხვარის ძაღლებს რომ ერთმანეთში ჩხუბი მოუვათ, იმ დროს რომ სადმე მგლები გამოჩნდეს შინაურ ჩხუპს თავს დაანებებენ და ყველა ერთად გაუდგებიან ხოლმე მგელს, გარეულ მტერს, რომ მოიგერიონ, და ნუ თუ ჩვენ ოთხფეხის ოდენი შეგნებაც არა გვაქვს, რომ ერთმანეთს დავრევივართ.“[1]

ასეთი იყო აკაკის ნამდვილი და უტყუარი შეხედულება 1905 წლის მოძრაობასა, რევოლუციონურ მეთოდზე და ახალი თაობის მოვალეობაზე. აკაკის სწავლა-განათლებით კულტურით, ინტელიგენციის მშვიდობიანი საქმიანობით სურდა ცხოვრების განახლება და წინ წაწევა. ძალდატანება, რევოლუციონური მეთოდი მისთვის მიუღებელი იარაღი იყო, და თუ მხარი დაუჭირა ეს მხოლოდ დროებითი დათმობა იყო უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე, რომლის გამოყენებასაც იგი მხოლოდ დროულად ცდილობდა. ეს ქართველი ლიბერალ-დემოკრატიისა და ქართველი პატრიოტის დროებითი დათმობა იყო, დიდი ხალხური მოძრაობის წინაშე. როგორც ზევითაც იყო აღნიშნული, აკაკიმ თავისებურად შეაფასა ხალხური მოძრაობა და აღნიშნა მისი დადებითი მხარეები და არც ერთხელ არ უცდია ეს მოძრაობა და მისი მეთაურები დაემცირებია. წინააღმდეგ, მათდამი თავისებური სიმპატიები ბოლომდე შეინარჩუნა აკაკიმ. პიესა „რ ე ა ქ ც ი ა შ ი“ აკაკის ერთი გმირი ამბობს:

„წყალი რომ აიმღვრევა და მოვარდება, თევზები ნაპირზე გამოჰყავს და ამ თევზებს გველ-ბაყაყებიც თან მოჰყვებიან ხოლმე. ნამდვილ ახალთაობას რა წილი უძევს კაცის კვლაში და ცარცვა-გლეჯაში? ისინი თავსა სდებენ სამართლისათვის. ზოგნი კვდებიან და ზოგნი ციხეში ლპებიან. სხვები კი სარგებლობენ დროთი საპირადოდ და, ვინ იცის, რას არ სჩადიან ახალთაობის სახელით...

[1] აკაკი, საუბარი მამა-შვილს შუა გვ. 15—16, 1908 წ.

დიახ... საუკუნეზე მეტია რაც (ხალხს) სძინავს... მკვდრის ძილმა წაიღო. „რაღა მკვდარი და რაღა შინ მოუსვლელიო“, იტყვიან, „გაღა მკვდარი და რაღა მძინარი“ —ვამბობ მეც. მძინარს როგორც გინდა, ისე დაიმორჩილებ, დღეს ძლივს თვალი გამოახილა ხალხმა, ხალხი ჰკვიანია და მალე შეიგნებს, რაც შესაგნებელია“.[1]

ასეთი იყო აკაკის დამოკიდებულება ხალხურ მოძრაობასა და მის მეთაურებისადმი. აკაკი პროგრესისტი მწერალი იყო და იგი გულმოდგინეთ მოყვებოდა ცხოვრებას ფეხდაფეხ. მისი სიმპატიები 1905 წლის რევოლუციისადმი და მისი აღფრთოვანება ხალხური მოძრაობით არ იყო შემთხვევითი მომენტი, იგი აუცილებლად გამომდინარეობდა თვით აკაკის სულიერ განწყობილებიდან და მისი მდგომარეობიდან. პოეტმა უკვე დიდიხნიდან ნათლად შეიგნო, რომ ძველი ცხოვრების საფუძვლები დაირღვა, ძველ სოციალურ-წოდებრივ დამოკიდებულებას ნიადაგი გამოეცალა და ძველი ბრწყინვალე წოდება, თავად-აზნაურობა დაეცა ეკონომიურად და ზნეობრივ-გონებრივად. ეს მძიმე ისტორიული პროცესი ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის რღვევისა პოეტის თვალწინაც ვითარდებოდა და იგი ღრმად გრძნობდა, რომ ძველმა თავისი დრო მოსჭამა და მისი ღრვევის პროცესის შეჩერება ძველის აღდგენა და განახლება უკვე შეუძლებელია; აკაკი თითქოს გრძნობს ამ პროცესის ისტორიულ აუცილებლობას და ძალაუნებურად ემორჩილება მას. მაშინ როდესაც ილია ჭავჭავაძე, როგორც აგრარული კაპიტალიზმის იდეოლოგი ჩვენში, 70-იან წლებიდან სულ იმის ცდაში იყო თავად-აზნაურობა გადაერჩინა განადგურებას და შეენარჩუნებინა მისთვის ძველი პრივილეგიები და წოდებათა შორის ჩატეხილი ხიდი აღედგინა,—აკაკი წერეთელი ასეთ სოციალურ უტოპიამდე არ მისულა. სწორეთ ეს არის დამახასიათებელი თვისება აკაკის სოფლმხედველობისა, სწორედ აქ სჩანს მისი პროგრესიული მისწრაფებანი. იგი აღარ ცდილობდა ცხოვრების ჩარხის უკუღმა შემოტრიალებას, ისტორიულ მიმდინარეობის შეჩერებას, იგი ახალ სოციალურ წრეებში ეძებდა ახალი ცხოვრების მეთაურსა და მის ძალას.

6

აკაკის შემოქმედებისა და მისი პოეზიის ერთ მთავარ დამახასიათებელ და ძირეულ მოტივს შეადგენს პატრიოტიკა. ეს თემა აინტერესებდა უმთავრესად ქართულ კრიტიკას აკაკის შემოქმედების განხილვის დროს და ამ მხრივ იყო ყველასათვის ცნობილი.

[1] აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწერები ტომი III, გვ. 386—7 1927 წ.. აკაკი, „საუბარი მამა-შვილს შუა“ გვ. 15-16, 1908 წ.

60-იანი წლები არა მარტო დემოკრატიული შეგნების დასაწყისად უნდა ჩაითვალოს ჩვენი აზროვნების ისტორიაში, არამედ ეროვნული შეგნების რენესანსის პერიოდათაც. ახალი თაობის ინტელიგენციამ დემოკრატიზმთან ერთად ჩვენ ლიტერატურაში შემოიტანა ეროვნული მოტივი, ახალი შინაარსით განმარტებული ნაციონალური პროგრამა. საქმე ის არის, რომ 1831—32 წლების შეთქმულების დამარცხებამ ერთგვარი გარდატეხა მოახდინა ქართველ ინტელიგენციაში, ჩვენი გონებრივი ცხოვრების საუკეთესო ნაწილმა თითქოს შეიგნო თავისი შეცდომა და ქედი მოხარა რუსეთის თვითმპყრობელობის წინაშე. ინტელიგენციის სურვილი, აღედგინათ საქართველოს სახელმწიფოებრივობა და დაეცვათ მისი დამოუკიდებლობა, ან ეროვნული თვითარსებობა შეთქმულების დამარცხების შემდეგ, ძირიანად შეიცვალა, ინტელიგენციამ ამ ფაქტის შემდეგ თავისი ეროვნული პოლიტიკის შინაარსი რადიკალურად შესცვალა: იგი ერთდაიმავე დროს გულმოდგინებით უმღერდა როგორც რუსეთის თვითმპყრობელობას, ის თავის სამშობლოსაც. ასეთი მიმდინარეობის საუკეთესო გამომხატველი იყო პოეზიაში გრიგოლ ორბელიანი, ხოლო პუბლიცისტიკაში—დიმ. ყიფიანი. ერთიც და მეორეც ქედს იხრიდა რუსეთის ტახტის წინაშე და ამ ტახტის ერთ—გულებაში ხედავდა საქართველოს ხსნას. ასეთი იყო თავად-აზნაურული ინტელიგენციის ეროვნული პოლიტიკა და მიმართულება 30-იან წლებიდან მოყოლებული. აქ თითქოს გამონაკლისის სახით ნ. ბარათაშვილი გვევლინება, მაგრამ ბოლოს იგიც ვერ ასცდა საერთო მიმდინარეობას.

60-იან წლებში იწყება ნაციონალური შეგნების გამოცოცხლება ჩვენში. სხვათა შორის, ამ გარემოებას ხელი შეუწყო, როგორც რუსეთის დემოკრატიულ-რევოლუციონურმა მოძრაობამ, ისე დასავლეთ-ევროპაში დაწყებულმა დიდმა ნაციონალურმა მოძრაობამ პოლონელების, ჰუნგრელების, იტალიელების და სხვათა ეროვნულმა ბრძოლამ თავისუფლებისათვის. გარიბალდისა და მაძინის თავდადებულმა მუშაობამ თავისი ერის განსათავისუფლებად დიდი გავლენა მოახდინა ახალთაობის ქართველ ინტელიგენციაზე და რადიკალურად შესცვალა მათი ეროვნული შეგნება.[1] ინტელიგენცია უკვე გრძნობდა რომ

---

[1] ამ ეროვნულ შეგნების აღორძინებას 60-იან წლებში ხაზგასმით აღნიშნავდა ნ. ნიკოლაძე თავის წერილებში „კოლოკოლის“ ფურცლებზე. (იხ. „Колокол“ № 199, 1865 წ.) ამასვე ამტკიცებს იმავე, „კოლოკოლის“ ფურცლებზე მოთავსებული რამოდენიმე წერილი საქართველოს საკითხის შესახებ. ცალკე წერილში „კოლოკოლი და საქართველო“ მე შევეცდები ამ საკითხის უფრო ვრცლად გაშუქებას.

რუსეთის თვითმპყრობელობის ფარგლებში და მისი ბატონობის ქვეშ საქართველოს არ შეეძლო თავისუფლად ფრთების გაშლა და წინ მსვლელობა. აქედან უკვე დაიბადა ახალი თაობის ინტელიგენციის ლოზუნგი: „ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეკუთვნოდესო“. ასეთი ლოზუნგის წამოყენება უკვე ნიშნავდა იმას, რომ ახალთაობის ინტელიგენცია უკვე დასცილდა ეროვნულ საკითხის გაგებაში ძველი თაობის ინტელიგენციას, რომელიც ტახტის ერთგულებაში ხედავდა საქართველოს ბედნიერებას. ეს ერთ-ერთი შესანიშნავი საკითხი იყო იმ ბრძოლის დროს წამოჭრილი, რომელიც ძველსა და ახალ ინტელიგენციის შორის წარმოებდა 60-იან წლებში. რასაკვირველია, აშკარად ეროვნული მომენტის დასმა და მისი სავსებით გაშლა შეუძლებელი იყო, მაგრამ ფარულად ეს ბრძოლა სხვადასხვაგვარ ეროვნული პოლიტიკის გარშემო უკვე სწარმოებდა.

როგორც პირველ წერილში დავინახეთ, აკაკი ამ საკითხში თითქმის ჩამორჩა თავის თანამებრძოლებს და თანამეკალმეებს. მისი ეროვნული პოლიტიკა და შეგნება იმ ხანებში ჯერ კიდევ ვერ იყო განთავისუფლებული ძველი თავად-აზნაურული პოლიტიკის გავლენისაგან, ავტორი თითქოს გაურბოდა ეროვნული საკითხის პოლიტიკურ ნიადაგზე დაყენებას და ცდილობდა „პატიოსანი პატრიოტიზმის“ წარმომადგენლად დარჩენილიყო ჩვენს ლიტერატურაში. [1] მაგრამ პოეტი უკვე თავიდან ატარებდა ბოლმას სამშობლოს სიყვარულით გამოწვეულს. ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში იგი ამბობდა:

ნურვინ ცდილობს, იმ ცრემლებში
რომ გამოსცნოს სიყვარული,
იქ იქნება საიდუმლო,
გულ გამხეთქი, დაფარული:
ყოველ წუთში რუქას ნახავს
ქართლის ტანჯვის გამომხატველს
და მწარესა ნაკადულში
უიმედობას გულის მწყვლელს. [2]

მაგრამ არა მარტო მწუხარებას გამოსთქვამს პოეტი, არამედ მეტის-მეტად შავი ფერადებით ასწერს იმ პირობებს, რომელშიაც იმყოფებოდა ქართველი ერი. 1876 წ. „აღმართ-აღმართ მიმავალი“ პოეტი უკვე მღეროდა:

---

[1] იხ. აკაკი წერეთელი, „დროება“ № 13, 1873 წ.

[2] აკ. წერეთელი, შიქასტა, „ცისკარი“ № 3, გვ. 400, 1863 წ.

გავიხედე, ვნახე, რომ სხვას „მონებდა!
გამიკვირდა! თქვი: „მტერს როგორ მონებდა?
მოხიბლული, შემცდარია, ის არი!..
ალერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი“.
მივაძახე: „ჭინჭარში ნუ ვარდები!..
ნუ გგონია იქ ია და ვარდები,
შეიბრალე თავი შენი, იცოდე!
მაგ შარბათში საწამლავს სვამ, იცოდე.“ [1]

საინტერესო მოვლენა არის; ერთი მხრივ, პოეტი ცდილობს დაიცვას „პატიოსანი პატრიოტიზმი“, მოკლებული ყოველგვარ პოლიტიკურ შინაარსს, და მოწადინებულია ახალთაობასა და მართველობას შორის საერთო სამოღვაწო ასპარეზი გამონახოს სწავლა-განათლების გავრცელების მიზნით ხალხში; [2] მეორე მხრივ კი პოეტი „ერის საწამლავისაგან“ გადარჩენას ფიქრობს. ასეთს გაორებულ მდგომარეობაში პოეტს არ შეეძლო დიდხანს დარჩენილიყო და მას ნათლად უნდა გაერკვია თავისი ეროვნულ-პოლიტიკური ხაზი. შემდეგ პერიოდებში აკაკი უკვე გარკვეული ენით ლაპარაკობს, იგი ბრძოლის ტემპერამენტით ივსება და შეუპოვარი მტერი ხდება თვითმპყრობელობის, მაგრამ არც იგი უნდა დავივიწყოთ, რომ თავისი მოღვაწეობის ბოლო ხანებში აკაკი კვლავ დაუბრუნდა თავის ძველ შერიგების პოლიტიკას. მაგრამ ამაზე ქვევით.

1892 წ. აკაკი „თავისი სატრფოს“ მდგომარეობის შესახებ ამბობდა:

მეგულები ციხეში
ცხრაკლიტულში მჯდომარე...
შეთვისებას გიპირებს
გაიძვერა მოყვარე!

გაუფრთხილდი, ნუ გჯერა
მაგის ტკბილი „ნანინა“,
შენზე წინათ სხვაც ბევრი
მოხიბლა, შეაცდინა!

გაუმაგრდი განსაცდელს,
აიტანე ტყვეობა!
გშვენის ნესტან-დარეჯანს
მაგალითი... მზნეობა.

ტარიელიც დაგეძებს,
გავარდნილი დღეს ველად.
ავთანდილიც ფრიდონით
მოდის გამოსახსნელად! [3]

[1] „დროება“ № 2, 1876 წ.
[2] იხ. მისი წერილი „დროებაში“ № 35. 1875 წ.
[3] „რჩეული ნაწერები“, ტ. IV, გვ. 71.

და პოეტიც გმირებს „დაეძებდა და ჰყიოდა“ საქაჯეთიდან ნესტან-დარეჯანის დასახსნელად. 90-იან წლებში დაწერილ ლექსში „თვითმპყრობელობას“ აკაკი ენერგიული პროტესტით ილაშქრებს რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ.

დამეხსენი, ჩრდილოელო!..
რა მაქვს შენთან საზიარო?
თვით ოხერო, მოუელელო,
როგორ გინდა მომიარო?

ვერ მომსიბლავ, ცრუ მოყვარე
ვერც ენით, ვერც თვალადობით...
შეგიპყრივარ, როგორც მთვარე
გველეშაპსა ძალადობით...

შენი ტყვე ვარ, მაგრამ ჩემ გულს
ანუგეშებს ის იმედი,
რომ ოდესმე შენს ცხრაკლიტულს
მთლად დალეწავს ჩემი ბედი!

დამხსნის შენსა მონებასა,
ცბიერებას გაგიწბილებს,
გამომტკიცებს გონებასა,
თავისუფლად მაქორწილებს!..[1]

მაგრამ აქ აღსანიშნავი არის არა მარტო ის, რომ პოეტი თვითმპყრობელობას უცხადებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, არამედ ისიც, რომ მისი ეროვნული შეგნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, დემოკრატიზაციის გზით მიდის. როგორც „საქართველოს დღევანდელი სახიდან“ და ზემოდ მოყვანილი ადგილებიდანაც ნათლად სჩანს, აკაკი ერის ქვა-კუთხედს, ძის მხსნელ ძალას მშრომელ გლეხობაში ხედავდა. პოეტი ფიქრობდა, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის ბატონობამ გახრწნა და დააძაბუნა ერი, გაანადგურა მისი არსებობის ძველი სოციალური წრეები: მხოლოდ ახალი ძალა გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე, რომელსაც შეუძლია ერი იხსნას გასაჭირისაგან. ეს ძალაა მშრომელი დემოკრატია, ხოლო მისი მეთაური ახალთაობის ინტელიგენცია. პოეტს, ერთი მხრივ, გულს უკლავდა და ტანჯავდა საქართველოს მაშინდელი დაცემა და დაძაბუნება, მეორე მხრივ, მასში იბადებოდა ახალი ბრწყინვალე იმედი ცხოვრების განახლებისა და ერის განთავისუფლებისა.

[1] „რჩეული ნაწერები“ ტ. IV, გვ. 90—91.

ძნელია, როცა მოყვრულათ
მტერი კაცს შეეპარება.
უქმია მაშინ ტირილი
და უნაყოფო გოდება!
იბრწყინება ფარისევლობით
თანასწორ ყველა წოდება:
თავადი აღარ თავადობს,
არც სადმე აზნაურია.
აღარც მღვდელია, არც ერი...
ყველა ღვთის უმადურია.
მეზარევ, ზარი აუშვი
ამირან გმირის კვნესითა!
ხმა, გრძნობას შეუთანახმე
ძველ ჩვეულება-წესითა.
და ნაღველ-ქაფით გამულვე
ეს მძიმე ტვირთი გულისა,
რომ ნიშნათ გადმოვანთხიო,
მომავალ სიხარულისა. [1]

პოეტი არ მიდის სასოწარკვეთილებამდე, მისი პესიმიზმი არ არის უიმედო ოპტიმიზმს მოკლებული: პოეტი უკვე გრძნობს, რომ ძველი წყობილება ირღვევა, რომ მომავლისათვის მებრძოლი ძალები უკვე გამოდიან ცხოვრების სარბიელზე.

მეც ცისარტყელად მესახვის
იმედი მომავალისა!..
იქ ვხედავ მეთაურებსა
კან გამოცვლილათ სუყველას.
როგორც ყოფილსა მყრალ ჭიათ
აბრეშუმისა პეპელას.
მათ ნაცვლათ სხვები ჩამბულან
მეთაურ-მოწინავეთა.
გზა დაბნეული ხალხისთვის
მოსეთ და ისუნავეთა
შრომობენ მოციქულებრივ.
თავი არ მოაქვსთ დიდათა.
და კერძო საზოგადოსთვის
აგებენ გზათ და ხალათა!..
ეს არის მსხვერპლი საერო,
ეს არის აღთქმა და შველა!..
და ერიც „აღთქმულ ქვეყანას“
უახლოვდება ნელ-ნელა. [2]

---

[1] აკაკი, ჩემი ნაწერები. ნაწ. II, გვ. 3—6, 1913 წ.
[2] იქვე, გვ. 7—8.

აკაკის იმედი მტკიცე და შეურყეველია. პოეტს სწამს, რომ:

მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი!
სიხარულათ შეიცვლება,
ამდენი ხნის გასაჭირი....

მაგრამ პოეტს სურდა თავისი ოპტიმიზმი რეალურ ძალთა განწყობილებაზე დაეყრდნო; მართლა გამოეძებნა საქართველოში ერის მხსნელი და ცხოვრების განმაახლებელი ძალა და იგიც კითხულობს: მებრძოლი გმირი, რომელიც „წარსულმა ვერ დაბადა, მომავალი წარმოშობსო?“ — დიახ, — უპასუხებს მგოსანი — ასეთი ძალა უკვე სჩანს:

მაგრამ ვხედავ „მომავალში“
გამოსულა მუშათ ერი,
ერთმანეთთან შეთანხმებით
ძლიერი და ბედნიერი.

გზა გაყავს და ხიდსაც აგებს,
სისხლითა და ოფლით რწყულსა;
და მამულის მოიმედე,
აღარ იმჩნევს წყლულათ წყლულსა.

გამარჯვება ნამდვილ მუშებს!
ვაშა, ვაშა მომავალსა!..
ის ასწორებს დღევანდლების
გამრუდებულ გზა და კვალსა.

გაასწორებს და გზას მისცემს
ტარიელს და ავთანდილსა,
ამირანის სისხლ-ცრემლებით
ქართველებათ გამოზრდილსა.

ნეტავ იმ დროს და მის დამსწრეს,
ზეზეულ გრძნობს ცხონებასა:
არც ისურვებს ბატონობას
და არც ვისმე მონობასა.

აღიარებს მხოლოდ ძმობას,
თანსწორობას, სიყვარულსა
და საზღვარი არ ექნება
მის უმანკო სიხარულსა.[1]

აკაკი დიდი წინათგრძნობის პოეტი სჩანს, მისი შორს მხედველობა აღსანიშნავი და საყურადღებოა. სრულიად ბუნებრივია და პრინციპიალურად გამართლებული პოეტის ის მოსაზრება, როდესაც იგი ეროვნული ჩაგვრის მოსპობას ხალხის, მშრომელ დემოკრატიის

[1] აკაკი, ჩემი ნაწერები. წიგნი მეორე, 1913 წ.

შეერთებულ ბრძოლას უკავშირებს. ისტორიულად უკვე ცნობილია, რომ ჩვენში ვერც ერთი წოდებიანი კლასი ვერ შესძლებდა დამოუკიდებლად მოინდომებდა თვითმართველობის მოსპობასა და ეროვნული თავისუფლების აღდგენას, გარდა მუშათა კლასისა. თავად-აზნაურობის წოდებრივი ინტერესები ღრმად იყო შეჭსოვილი რუსეთის თვითმპყრობელობის ინტერესებთან და იგიც რუსეთის ტახტის ერთგულ დარაჯს წარმოადგენდა საქართველოში. ტახტი იცავდა ამ წოდების ინტერესებს, სამაგიეროთ ქართველი თავად-აზნაურობაც ენერგიულად იცავდა ტახტის ბატონობას საქართველოში. ამ წოდებისათვის უკვე აღარ არსებობდა რუსეთის თვითმპყრობელობისაგან განმაცალკევებელი ინტერესები. ჩვენი „ბრწყინვალე“ წოდება ენერგიულად იცავდა იმ ეროვნულ-პოლიტიკურ პროგრამას, რომელიც შეიმუშავეს გრ. ორბელიანმა, დიმ. ყიფიანმა და სხვებმა და რომელსაც საფუძვლად ედვა ტახტის ერთგულება და სამშობლოს სიყვარული. არ შეეძლო რაიმე აქტუალური როლი ეთამაშა ახალგაზრდა ქართველ ბურჟუაზიულ კლასსაც. იგი თითქოს გრძნობდა რუსეთის სამრეწველო კაპიტალის კოლონიალურ-იმპერიალისტურ პოლიტიკის არტახებს. მაგრამ თავის შიგნით მას არ გააჩნდა ენერგია დამოუკიდებელი ბრძოლის საწარმოებლად; ხოლო მეორე მხრივ საქართველოში დაწყებულ მძლავრ მუშათა მოძრაობის საწინააღმდეგოდ ბურჟუაზია რუსეთის თვითმპყრობელობაში ხედავდა ერთად-ერთ ძალას. სრულიად საფუძვლიანად აკაკიმ მუშათა კლასში, უკეთ, მშრომელ დემოკრატიაში დაინახა ერის განმანთავისუფლებელი ძალა. ისტორიამ აკაკის ეს წინასწარმეტყველება სავსებით გაამართლა: მხოლოდ მუშათა კლასმა დაამსხვრია თვითმპყრობელობის მძიმე ბორკილები და დამონებულ ერებს მისცა თავისუფალი არსებობის განვითარების შესაძლებლობა.

ზევით უკვე აღნიშნული იყო აკაკის განწყობილება და მისი პოეზიის ძირითადი მოტივები 1905 წლის რევოლუციის პერიოდში. აქ იმისი ვრცლად განმეორება აღარ დაგვჭირდება: პოეტმა ღრმად განიცადა ხალხის მოძრაობა და თვითონაც რევოლუციონური ენით ამეტყველდა. აღსანიშნავია მისი არალეგალური ლექსი: „ხ ა ნ ჯ ა ლ ს“.

შენი ჭირიმე, ხანჯალო,
რკინაო ხვარასნისაო,
შენ ერთად ერთო იმედო
მტრისაგან გამოხსნისაო.

ბევრი ნაღველი შეასვა
ურჯულოს ამ ჩემ გულსაო,
შენ მომკურნალე, მახვილო,
უმართლოდ დაჩაგრულსაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმოციქულე მის გულთან,
მიუძღვენ ჩემი სალამი.
ის ვითომ საწერელია,
ჩაერჭვე როგორც კალამი!

მისი წითელი მელნითა
შემაღებინე ჭაღარა,
იმისი კვნესა იქნება
ჩემთვის დაფი და ნაღარა.[1]

აკაკის ეს ლექსი ერთი საუკეთესო ნიშანთაგანია საერთოდ მისი პოეზიისა და კერძოდ მისი დემოკრატიული მისწრაფების დამახასიათებლად. აკაკიმ შესძლო დემოკრატიული მისწრაფებებისა და ეროვნული თავისუფლების იდეის შეუღლება, შეთანხმება: ეროვნული განთავისუფლების საქმე საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განთავისუფლების საქმეს დაუკავშირა. მაგრამ სამწუხაროთ ამ სწორ პრინციპიალურ ნიადაგზე დგომა მან ვერ შესძლო ბოლომდე. როგორც ქვევით დავინახავთ, მისი ეროვნულ-პოლიტიკური ხაზი კვლავ გაიღუნა და კვლავ მოინდომა ძველი თავად-აზნაურული პოლიტიკური შეხედულების რესტავრაცია. მაგრამ აქ ერთი ნიმუში კიდევ მოვიყვანოთ 1905 წლის მისი ეროვნულ-დემოკრატიული მისწრაფებებიდან:

ძირს, მთავრობავ უსამართლო!
„ვეღარ ვიტანთ გასაჭირსო",—
ყოველი მხრით გეძახიან:
„ძირს, მთავრობავ! . აწ კი ძირსო"

კმარა ისიც, რაც ვითმინეთ,
გვიმატებდი ჭირზე ჭირსო!
ის აღარ ვართ, რაც ვიყავით
გავიღვიძეთ და აწ—„ძირსო."

ბნელს ნათელმა მოაშუქა
და ერთ რამედ ესეც ღირსო!..
ძველი წესი-წყობილება
ბნელს გაჰყვება და შენ—„ძირსო"!

შენგან, ძალაუნებურად,
არ მოველით დანაპირსო;
ჩვენ მოვუვლით ისევ ჩვენს თავს;
არ გვინდიხარ, „ძირს და ძირსო"![2]

ვფიქრობთ, მოყვანილი ნიმუშები საკმაოდ დამაკმაყოფილებელია იმისათვის, რომ უდავოდ დამტკიცებულად ჩაითვალოს აკაკის ეროვნულ-პოლიტიკური სოფლმხედველობის ევოლუცია რადიკალურ-დემოკრატიულ მისწრაფებისაკენ. თითქოს მრავალი წლების გამოცდილებამ პოეტი დაარწმუნა იმაში, რომ

[1] „რჩეული ნაწერები", ტ. IV, გვ. 123—24,—„ივერია" № 20, 1905 წ.
[2] „ივერია", № 21°, 1905 წ. „რჩეული ნაწერები" ტ. IV, 125 გვ.

ერთად-ერთი ხსნა ერის განთავისუფლებისა და მისი აღორძინებისათვის თვითმპყრობელობის დამხობაშია და იგიც თავისებურად უკავშირებს ერთი მეორეს დემოკრატიულ მოძრაობას და ეროვნულ განთავისუფლების იდეას. ამ შემთხვევაში აკაკის დემოკრატიზმი და მისი ეროვნულ-პოლიტიკური მისწრაფება ბუნებრივად შეხვდა ერთი მეორეს. ეს მომენტი ხაზ-გასმით უნდა იქნეს აღნიშნული.

აქაც შეიძლება ერთგვარი პარალელი გავიყვანოთ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ეროვნულ-პოლიტიკური სოფლმხედველობათა ევოლუციის საკითხში: ილია სამოციან წლებში აუცილებლად ეროვნული რადიკალიზმის ნიადაგზე სდგას; მის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი: „ჩვენი თავი, ჩვენ უნდა გვეკუთნოდესო“ ნაყოფი იყო იმ დიდი ეროვნული მოძრაობისა, რომელიც დასავლეთ ევროპაში ღვივოდა: ილიამ მძლავრად განიცადა პოლონელების, უნგრელების, იტალიელებისა და სხვათა ეროვნული მოძრაობის შინაარსი და ამიტომ გარკვევით შეითვისა ეროვნულ რადიკალიზმის პროგრამა. მას იმ ხანებში არ სწამდა, რომ რუსეთის რომელიმე მონარჩი ან მისი წარმომადგენელი ხელს შეუწყობდა საქართველოს აღორძინებასა და აყვავებას; მას არც ის სწამდა, რომ ახალი თაობის ინტელიგენცია „მართველობასა და ხალხს შორის შუამავალ ხიდათ გადებულიყო“. ამით ილია ჭავჭავაძეს კავშირი ქონდა გაწყვეტილი იმ პოლიტიკურ რომანტიზმის პროგრამასთან, რომელიც ტახტის ერთგულებასა და სამშობლოს სიყვარულში გამოიხატებოდა, და რომელიც თავად-აზნაურობის ეროვნულ-პოლიტიკურ კრედოს შეადგენდა. როგორც დავინახეთ, 60-იან წლებში აკაკი წერეთელმა ვერ შესძლო განთავისუფლება ძველი თავად-აზნაურული პოლიტიკისაგან და სწორედ აქ არის პირველი დიდი განსხვავება აკაკისა და ილიას ეროვნულ პოლიტიკის შორის. შემდეგ იწყება მათი როლების შეცვლა: ილიას სოფლმხედველობის საერთო გადახრა მარჯვნით — თავად-აზნაურული ლიბერალიზმისაკენ; აკაკის გადახრა მარცხნით — რადიკალურ-დემოკრატიზმისაკენ; შემდეგი პერიოდის ილიას აზროვნება ხასიათდება თავად-აზნაურული ლიბერალიზმით: იგი ცდილობს თავად-აზნაურობა გადაარჩინოს განადგურებას და შეუთანაბროს მისი ინტერესები ახალ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ვითარებას. ამ ფონზედ აღმოცენდა მისი ეროვნულ-პოლიტიკური პროგრამაც.

არ. ჯორჯაძე მის შესახებ სწერდა: „ილია ჭავჭავაძე, ამაყობდა თავის ერთგულებით და საჯაროთაც ამჟღავნებდა თავის ლოიალურ გრძნობებს. ამ სტრიქონების დამწერს (ე. ი. თვით არ. ჯორჯაძეს— ს. ხ.) ერთ საუბრის დროს ეუბნებოდა განსვენებული ილია: „ახალმა

თაობამ კარგად უნდა დაიმახსოვროს ერთი რამ. ჩვენ უნდა ვიყვნეთ მომხრენი მონარქიული პრინციპისა. რუსეთის იმპერატორი ამავე დროს ქართველთა მეფეა. 1783 წლის ხელშეკრულება, რომლის ძალით საქართველო რუსეთს შეუერთდა, რუსეთის მონარქთან გვაქვს დადებული. თუ გინდათ რომ ჩვენს უფლებას ისტორიული მნიშვნელობა არ დაეკარგოსო, ხელუხლებელი და პატივსაცემი უნდა იყოს თქვენთვის მონარქიული პრინციპიო.[1] ამ თვალსაზრისის წყალობით ილია ჭავჭავაძე, მართალია, მომხრე იყო საქართველოს ავტონომიისა, ხოლო ამ ავტონომიის დამკვიდრებას ტახტისაგან მოელოდებოდა",. ნუ დავივიწყებთ, რომ ასეთი ეროვნულ-პოლიტიკური სოფლმხედველობა, აშენებული ტახტის ერთგულებისა და სამშობლოს სიყვარულზე ძველი თავად-აზნაურული ინტელიგენციის სოფლმხედველობას წარმოადგენდა. ამ პოლიტიკურ ეროვნულ პროგრამას ემსახურებოდა დიმიტრი ყიფიანი, რომელიც მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში ერთხელაც არ დაეჭვებულა ასეთი ხაზის სისწორეში[2]. მაგრამ ვერც დიმ. ყიფიანის ტრაღიკულად დაღუპვამ 1887 წ.[3] დააეჭვიანა სავსებით თავად-აზნაურობა და მისი ინტელიგენცია ამ ფორმულის სისწორეში. მან ვერ იგრძნო, რომ დიმიტრი ყიფიანის ტრაღიკულად დაღუპვა შედეგი იყო იმ რადიკალური წინააღმდეგობისა, რომელიც ტახტის ერთგულების პოლიტიკასა და სამშობლოს სიყვარულის—პატრიოტიკას შორის არსებობდა. 1887 წ. თავად-აზნაურთა წინამძღოლი კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი ამბობდა: „ანდერძი ჩვენთა მამა-პაპათა, ჩვენის ისტორიისა ერთგულებაა ღმერთისა, ერთგული ქვეშევრდომობაა ხელმწიფე იმპერატორისა და გულმოდგინეობა მამულისათვის".[4]

90-იან წლებში ასეთი პოლიტიკურ-ეროვნული კრედოს გამტარებელი და მეთაური შეიქმნა ილია ჭავჭავაძე. მე-20-ე საუკუნის დასაწყისში იგი, მართალია, როგორც არჩ. ჯორჯაძეც აღნიშნავს, მომხრე გახდა საქართველოს ავტონომიისა, მაგრამ ამ ავტონომიის დამკვიდრებას ტახტისაგან მოელოდა[5]. ასეთი ხაზით განვითარდა ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური და ეროვნული სამოღვაწეო პროგრამა.

---

[1] არ. ჯორჯაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 223—4, 1911 წ. შეადარეთ: ილია ჭავჭავაძე, ასის წლის წინად — „ივერია" № 255, 1898 წ.

[2] იხ. ამის შესახებ დიმ. ყიფიანის „მემუარები"—სიმ. ხუნდაძის წინასიტყვაობით.

[3] 72 წლის მოხუცი დიმიტრი ყიფიანი 1887 წ. კავკასიის ხელისუფლებამ გადაასახლა ადმინისტრატიული წესით სტავროპოლში, სადაც ის მოჰკლა მთავრობის აგენტმა.—რედ.

[4] „ივერია" № 274, 1887 წ.

[5] ჯორჯაძე, ტ. II, გვ. 224.

აკაკი წერეთლის პროგრამამ სხვა შინაარსი მიიღო. მისი პოლიტიკურ-ეროვნული პროგრამა უფრო რადიკალური შეიქნა. აკაკი თითქოს შეიგნო, რომ ტახტსა და სამშობლოს შორის შეუძლებელი არის რაიმე კონტაქტის დამკვიდრება, რომ ეს ორი ცნება ერთი მეორეს საწინააღმდეგო პოზიციებზედ იმყოფებიან; აკაკი უკვე გრძნობს, რომ ტახტის ინტერესი მოითხოვს გაანადგუროს „ერი", მოსპოს მისი ინდივიდუალობა და თავის საექსპლოატაციო ობიექტათ გადააქციოს იგი. ამ მიზნებს ემსახურებოდა „ტახტის იმპერიალისტური და რუსიფიკატორული პოლიტიკა. მეორე მხრივ აკაკისათვის უკვე ნათელი ხდება, რომ „სამშობლოს" კეთილდღეობა და მისი წარმატება შესაფერისი გზით შესაძლებელია ორ-თავიან არწივის მფარველობის ქვეშ. აქედან წარმოსდგა აკაკის ეროვნული რადიკალიზმი და მისი ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. აკაკიმ შესძლო 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ხალხური მოძრაობის დაკავშირება ეროვნულ თავისუფლების იდეასთან და ორივე — ეროვნულ-პოლიტიკური და დემოკრატიული — ფრონტით სასტიკი ბრძოლის გაჩაღება, ცარიზმის წინააღმდეგ. მაგრამ აკაკიმ ვერ შესძლო ამ საპატიო სიმაღლეზე ბოლომდე დგომა და თავისი ცხოვრების უკანასკნელ ხანებში პოეტმა კვლავ მოიწადინა თავისი ძველი, 60-იან წლებში შემუშავებული პოლიტიკურ-ეროვნულ მრწამსის რესტავრაცია, უკეთ რომ ვსთქვათ, ძველი თავად-აზნაურული ინტელიგენციისა და მისი წოდების პოლიტიკური სოფლმხედველობის გამოცოცხლება. ამ მხრივ, აღსანიშნავია მისი ორი პოემა: „ვორონცოვი" და „ომი". პირველი პოემა დაწერილი არის დიალოგების სახით და შიგ მთავარ გმირებათ გამოყვანილი არიან ისტორიული პირები — ცნობილი საზოგადო მოღვაწენი და პოეტები: ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანები, დიმ. ყიფიანი, ნ. ბარათაშვილი, მიხ. სიმ. ვორონცოვი — მეფის მოადგილე კავკასიაში და სხვ. პოეტს აუღია ერთ-ერთი საინტერესო პერიოდი ქართული საზოგადოებრივი ისტორიიდან: ხანა, როდესაც მოხდა ძირითადი გარდატეხა ქართველ თავად-აზნაურობაში, რაც გამოწვეული იყო ვორონცოვის დიპლომატიური ლიბერალიზმით. როგორც უკვე ამჟამად ცნობილი არის, ვორონცოვი (1844—54) რუსეთის სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელი იყო ამიერ-კავკასიაში, ხოლო ამ კაპიტალის ინტერესი მოითხოვდა ამიერ-კავკასია გადაექცია თავის საექსპლოტაციო ობიექტად და ფართო აღებ-მიცემობა განევითარებია აქ. ვორონცოვმა თავის ეკონომიური პოლიტიკითა და „ლიბერალურ-კულტურული" საქმიანობით დიდ შედეგებს მიაღწია: მხარე დაამშვიდა და ქართველი თავად-აზნაურობა რუსეთის ტახტის სრული ერთგული

გახადა[1]. აკაკის თავის პოემაში ერთგვარი პარალელი გაყავს ვორონცოვის პერიოდსა და ნიკოლოზ მეორის მეფობის შორის. პირველი იტაცებს პოეტს, აღფრთოვანებს მის შეგნებას და იმედებს ავსებს, ვიძებს გულში, მეორე მწუხარებითა და ბოლმით ავსებს; პირველი, ეროვნული თავისუფლების გამომხატველად მიაჩნია, მეორე—ეროვნული მონობის; პირველს—მთელი თავისი არსებით უჭერს იგი მხარს; მეორეს წინააღმდეგ—პროტესტს უცხადებს. მაგრამ მოვუსმინოთ პოეტს. დიმ. ყიფიანთან საუბრის დროს ვორონცოვი შემდეგ სამოღვაწეო პროგრამას იძლევა:

მინდა ქართველი დარჩეს ქართველად
ისე, როგორიც ყოფილა ძველად,
მისი წარსული მომავლისათვის
ვიხმარო მხოლოდ მე საფუძველად.

არც რჯულს შევეხო, არც ეროვნებას,
არც მის სიწმინდეს, მის დედა-ენას,
რომ არ უშლიდეს მომავლისათვის
სწორსა მსვლელობას და აღმაფრენას!

მივაწვდენ მხოლოდ იმ საზრდოს, სულის,
რაც მომავალ დროს შეეფერება,
რომ არ ჩამორჩეს სხვა ხალხებს ზრდაში!..
თვის არსებაში გრძნოს ნეტარება.

მხოლოდ მსურს მარტო გულის მოგება,
არ ჩამოვართმევ რუსთა უფლებას
და შემოვიტან დროს შესაფერად
მაღალ სწავლასა და განათლებას.

ყოველ მხარეში, ყოველ ქალაქში
გავმართავ სკოლებს და გიმნაზიას,
რომ განათლება მისწვდეს აქედან,
დღეს ჩამორჩენილ და ბნელ აზიას.

ვით მართალ-მორწმუნე და ქრისტიანი,
მე შეუდგები ჩემსა განძრახვას
და ხალხის გრძნობაც ჩემს აზრს და სურვილს
შეუერთდება ვით მდინარე ზღვას.[2]

პოეტი პირდაპირ ქედს იხრის ვორონცოვის პოლიტიკის წინაშე: მეფის მოადგილის პროგრამაში ხედავს აკაკი თავის ეროვნულ იდეალების განხორციელებას. და არ არის სრულიად შემთხვევითი, არც ის მომენტი, რომ პოეტმა ვორონცოვის ეხოტბედ გამოიყვანა მაშინ-

[1] შეადარეთ В. С. Толстой, М. С. Воронцов—„Русский Архив" № 11. 1877 წ.

[2] აკაკის პოემა „ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი" მკითხველ საზოგადოებისათვის უცნობია: იგი 1912 წ. უნდა დაბეჭდილიყო აკაკის ნაწერების პირველ ტომში, მაგრამ ცენზურამ აკრძალა. ამჟამად ჩემ ხელთ არის ცენზორის მიერ აკრძალულ პოემის ამონაბეჭდი და ციტატებიც აქედან მომყავს.

დელი ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები; მართლაც, ვორონცოვმა შესძლო ქართველი ინტელიგენციის და ქართველი თავად-აზნაურობის გულის მოგება, მათი დაახლოება ხელისუფლებასთან და თვითმპყრობელობის ერთგულ დარაჯად გადაქცევა. მაგრამ დრო შეიცვალა; ვორონცოვის „ლიბერალური“ პოლიტიკა სუსხიანი რუსიფიკატორული პოლიტიკამ შესცვალა და აი „ნახევარ საუკუნის შემდეგ“ მძინარი მგოსანი სიზმრად ხედავს „დიდი მოხუცის“—ვორონცოვის აჩრდილს. აღფრთოვანებული პოეტი მიმართავს მას და ამბობს:

შენ ხომ არა ხარ ცისკრის სხივებათ
ჩამონაყოლი, ცით მოვლენილი,
მარად-სახსოვარ-დაუვიწყარი
დიდ ვორონცოვის უკვდავი სული?

თავს მიქნევ? ის ხარ? მაშ ნება მომეც,
დავემხო მის წინ და ვსცე თაყვანი
იმას, რომელსაც შეთვისებია,
ჩემი გულის თქმა, ჩემი ზრახვანი.

მაგრამ ვაი, რომ მისი განზრახვა
აღარ ასრულდა... გადასხვაფერდა
და აღარა სძგერს ქართველის გული,
ისე, როგორაც მის ხელში სძგერდა!

რა მიზეზია? ის რომ მის შემდეგ
აქ ყეელაფერი გამოიცვალა,
და პატივ-ახდილ ქართველობასაც
ძალმომრეობის დააწვა ძალა.

მას უყენებენ სხვადა-სხვა მიზეზს,
ჩასცივებიან უმიზეზოთ მტრად,
რომ გააძევონ საქართველოდან
და მათ ნაცვლად თვით ჩადგენ მკვიდრად.

არ გჯერა? ამბობ, შეცდომააო?
ჩვენ სამწუხაროდ, მაგას ჩვენც ვხედავთ,
მაგრამ რომ არას გვათქმევინებენ
ჩვენც სიმართლის თქმას ვეღარა ვბედავთ!

ას [illegible]ად ღონე მიხდილი
ვართ ქართველები, დღეს ცოცხალ-მკვდარი.
და სანუგეშო რომ რამე გვითხრას
მომავლისათვის, არავინ არი!

შენახარ, განა, ცით მოვლენილი,
წინამორბედი და მოციქული,
რომ ნაწამები და გატეხილი
გამოამთელო ისევე გული?

დიდო მოხუცო! მე წინდაწინვე
ვეთაყვანები მაგ შენ ციურ ხმებს,
რომ სიტყვა-სიტყვით მეცა გადავსცე,
შენგან სულ ჩადგეულ ჩემსა მრძმეებს.

ასეთი არის პოეტის განწყობილება და შეხედულება. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ აკაკის ეროვნულ-პოლიტიკურ აზროვნებაში კვლავ საყურადღებო გარდატეხა მოხდა: პოეტს თითქოს ბრძოლის საშუალებანი და იარაღი გამოეცალა და იგიც მოუწოდებს მთავრობას „შემცდარი“ პოლიტიკის გამოსწორებას და ვორონცოვის სამოღვაწეო პროგრამის აღდგენას: აკაკი კვლავ დარწმუნებულია, რომ ხელისუფლებას შეუძლია შესცვალოს თავისი პოლიტიკა და კვლავ აღადგინოს „ტახტსა და ერს“ შორის ნორმალური ურთიერთობა. როგორც ვთქვით, აკაკი კვლავ დაუბრუნდა ძველ თავად-აზნაურულ ეროვნულ პოლიტიკურ ხაზს, მაგრამ მათსავით აკაკი აღარ მალავდა თანამედროვე საქართველოს ტრაღიკულ მდგომარეობას და ცდილობდა დარწმუნებით, პროპაგანდით მოეხდინა გავლენა მართველობაზე პოლიტიკის შეცვლის მიზნით. მაგრამ ამ მხრით განსაკუთრებით აღსანიშნავი არის აკაკის უკანასკნელი პოემა — „ომი“, რომელიც საერთაშორისო ომის ამბებს შეეხება. აკაკი ცდილობს ის მსხვერპლი, რომელიც გაიღო ამ ომში საქართველომ რუსეთის დასაცავად, გამოიყენოს როგორც მთავარი არგუმენტი ნიკოლოზ მეორის დასარწმუნებლად, რომ საქართველო ღირსი არის თავისუფლებისა და სიყვარულისა. რასაკვირველია, ეს არგუმენტი ვერავის დაარწმუნებდა წინააღმდეგ, პოეტის ასეთი შეხედულება, თავის-თავად გამოიწვევდა მკითხველში დიდ გაუგებრობას და უკმაყოფილებას: არავის არ სურდა და არც სურთ დაინახონ დიდი პოეტი ჯალათი მეფის წინაშე მთხოვნელი, თუგინდ იმ სისხლის გასანაღდებლად, რომელიც რუსეთის თვითმპყრობელობის მიზნებისათვის დაიღვარა. მაგრამ აკაკის ასეთი საყვედურის საპასუხოდ თავის გასამართლებლად შეუძლია თქვას: „ამდენხანს სულ ვებრძოდი თვითმპყრობელობას, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ახლა თხოვნით მივმართავ, ეგება ამან მაინც გასჭრასო“, ასე უთქვამს ავადმყოფ პოეტს დამსწრე საზოგადოებისათვის, რომელთაც მისი ახალი პოემა მოისმინეს.[1]

საინტერესო თავის მართლებაა. პოეტი თითქოს გრძნობდა, რომ იგი არა სწორი გზით წავიდა; იგი თითქოს ხედავს რომ ასეთ პოლიტიკურ ხაზს ვერ გაიზიარებს ახალი მებრძოლი თაობა. მაგრამ მაინც ცდილობს სცადოს ეს ჩვენში არა ერთხელ ნაცადი მეთოდი, ცდილობს ამ გზით წავიდეს, რადგან მას სხვა გზა აღარ დარჩა, და სწორეთ აქ სჩანს მისი საზოგადოებრივ-ისტორიული მდგომარეობაც.

---

[1] იხ. ვარ. რუხაძის მოგონება აკაკიზე, — „ქართული მწერლობა“ № 1,—გვ. 33, 1930 წ.

აკაკის არ შეეძლო ნამდვილი თანმიმდევნო-დემოკრატი ყოფილიყო; რასაკვირველია, მისი დემოკრატიზმი არ არის შემთხვევითი მოვლენა: იგი გამომდინარეობს აკაკის საერთო სოფლმხედველობიდან, მაგრამ აკაკი ზევიდან მიდის დემოკრატიასთან; იგი შეგნებითა და სიმპატიებით უკავშირდება დემოკრატიას, მაგრამ მისთვის საკუთარი გასაგები არ იყო ლოზუნგი: ყოველივე ხალხისათვის, ხალხისავე საშუალებით; მისთვის ყოველთვის მასალები არ იყო რევოლუციონური ბრძოლის მეთოდი. აკაკი მაშინ გრძნობდა დემოკრატიის ძალას, როცა ეს დემოკრატია მოძრაობაში იყო მოსული, როდესაც იგი რევოლუციონურ ბრძოლას აწარმოებდა; აქ აკაკი თითქოს ეჭვობდა ხალხის მოძრაობას და სურს მისი უდრეკი ძალა გამოიყენოს თავისი დიდი პროგრამისათვის. მაგრამ როდესაც დემოკრატია ჩაჩუმებულია, როდესაც მასა ბორკილ-დადებულია და სდუმს, აკაკის ნიადაგი ეცლება ქვეშიდან, იგი თავგამოდებით გამოსავალს ეძებს და ხან ახალთაობას მიმართავს ხან კი მართველობას ემუდარება. ამრიგად მას თითქოს აღარ სწამს დემოკრატიის კვლავ ამოძრავება და ზედა ფენებში ეძებს გამოსავალს: მისი დემოკრატიზმიც ლიბერალური სამოსელით იმოსება. და სწორედ აქ მჟღავნდება ის, რაზედაც მიუთითებდა ზევით; აკაკის არ შეეძლო საკუთარი გაეწყვიტა კავშირი ძველ თავად-აზნაურულ ინტელიგენციის იდეოლოგიასთან: ძველი აზროვნების ელემენტები კვლავ დარჩა მასში და დროგამოშვებით არ შეეძლო თავის სახე არ გამოემჟღავნებია. თავისი ასეთი პოემებით: „ვორონცოვითა“ და „ომით“. აკაკიმ კვლავ მოინდომა გრ. ორბელიანის, დიმ. ყიფიანისა და სხვათა პოლიტიკურ-ეროვნული კრედოს აღდგენა, მაგრამ 1905 წ. რევოლუციის შემდეგ პერიოდში ეს ტაქტიკა უკვე დიდათ დაგვიანებული და უნიადაგო იყო. აკაკი ამ შემთხვევაში დაგვიანებული ყალბი მოციქული იყო უფრო დიდი და მძლავრი რევოლუციის წინა ხანაში. რასაკვირველია, იმ დიდ აღფრთოვანებასთან და რევოლუციონურ ენტუზიაზმთან, რომელიც პოეტმა გამოამჟღავნა 1905 წ. რევოლუციის ზეგავლენით, უკანასკნელ მის ლიტერატურულ დოკუმენტებში გატარებული აზრი სამწუხარო მოვლენას წარმოადგენს. მაგრამ იგი ისტორიულად აუცილებელიც იყო: აკაკი თავისი შემოქმედებითა და აზროვნებით გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა თავად-აზნაურულ ლიბერალიზმიდან ნამდვილ დემოკრატიზმისაკენ და როგორც ასეთი, ქანაობდა თავად-აზნაურული და დემოკრატიულ სოფლმხედველობათა შორის. ამიტომ მას არ შეეძლო საკუთარი თავისუფელი ყოფილიყო თავად-აზნაურულ ტენდენციებისაგან.

აკაკის პოეზიისა და აზროვნების ამ თავად-აზნაურულ ტენდენციას გამოხატავს აგრეთვე ის იდეალიზაცია ჩვენი ისტორიული წარსული ცხოვრებისა, რომელიც შეადგენდა ძველი ინტელიგენციის დამახასიათებელ თვისებას. აკაკის ისტორიული დრამები, პოემები, მოთხრობები, მიუხედავათ იმისა, რომ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს ეხებიან ჩვენი წარსული ცხოვრების იდეალიზაციას წარმოადგენს: პოეტი ცდილობს, რაც შეიძლება მიმზიდველი ფერადებით დაგვისურათოს ჩვენი ისტორიული, რაც წარსული, შეიძლება მაღლა დააყენოს იგი შედარებით მისი დროის საქართველოსთან. პოეტს სრულიად არ სურს წარსულში დაინახოს ცუდი მოვლენები, წოდებათა ბრძოლა, გლეხობის ეკონომიური დაბეჩავება, მონობა და სხვა. კ. აბაშიძე სამართლიანად სწერს აკაკის ისტორიულ პოემების შესახებ, რომ ისინი „სულ სამშობლო ისტორიის იდეალიზაციაა და ამ ხრივ ისინი ნამდვილი რომანტიული ნაწარმოებნი არიან და მარტო პოეტის პირადი შეხედულების გამომხატველნი. ეს პოემები და დრამები გვარწმუნებს, რომ ძველ საქართველოს მზეზედ არც ერთი შავი ლაქა არა ყოფილა, ყველანი მხნენი იყვნენ—გულადნი, მამაცნი, ყოვლის სიკეთითა და მშვენებით აღსავსენი. ბერი ბერობას არ კმარობს, პოლიტიკური მოწამეა და თავგანწირული მოწამე, მეფე ისე ადვილად სწირავს თავის გვირგვინთან ერთად თავისს თავს და სკიპტრასთან ერთად სულს სამშობლოსთვის, თითქო ფლავის ჭამა გადაეწყვიტოს... ომში ყოველთვის ერთი ქართველი ათასზე იმარჯვებს, სიბრძნეში და ომის ტაქტიკაში ქართველები სჯობიან, ეს ყველა გაზვიადებული და პოეტის ოცნებით შეფერადებული წარმოდგენაა სინამდვილისა“. [1]

საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ აქ ერთი ადგილი მისი პოემიდან „თორნიკე ერისთავი“. პოეტი აგვიწერს „მეფე დავით კურაპალატის“ წვეულებას და ამბობს:

და მართლადაც რომ ჰშვენოდათ
მაშინ იმათ ეს მოლხენა,
რადგან იმ დროს გადმოსული
იყო ქართლზე მადლი ზენა:
გარე მტერი დათრგუნვილი
შიგნეულს მათ ვეღარ უბედავდა
და შინაგან მშვიდობასაც,
ვინ იყო, რომ ვერ ხედავდა!..

ამით გული უხაროდათ
ბატონს და ყმას, ყველას ერთად,
კაცსა კაცად აფასებდენ,
ადიდებდენ ღმერთსა ღმერთად;

[1] კ. აბაშიძე, ეტიუდები ტ. II, გვ. 33, 1911.

საქმეს დროზე მუშაობდენ
უქმე დღეზე მოილხენდენ,
მეფე ხალხს და ხალხი მეფეს
სიამესა გულს მოჰფენდენ. [1]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს წარსული ცხოვრების სურათის დახატვის დროს პოეტი გრძნობებმა გაიტაცა და ამით ზომას გადაუხვია ფერადების შერჩევაში, წინააღმდეგ, წარსულის იდეალურად წარმოდგენა აკაკის აზროვნების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა. ეს აზრი გატარებული მთელ რიგ მის პუბლიცისტურ წერილებშიაც. 1895 წ. იგი სწერდა: „შესანიშნავი ის არის, რომ იმ დროს, როდესაც სხვა ქვეყნებში დაბალ წოდებას არაფერი ფასი არ ედვა, ჩვენში, როგორც ეს საბუთები გვიმტკიცებენ, ადამიანის პირადობა მაღალ წერტილზე მდგარა და ხელშეუხებელი ყოფილა... უძველეს დროიდან ამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე ჩვენი ერი უმთავრესად ორ რაზმათ იყო გაყოფილი: ერთი იყო სამხედრო და მეორე კი მეურნე: პირველი ფარ-ხმალით დღე და ღამ უსუსტრად ბრძოლის ველზე იდგა, იგერიებდა შემომსევ მტერს, სისხლს ანთხევდა, ყოველ წელს სამსხვერპლოთ მზათ იყო. მეორე შიგნით ტრიალებდა, მიწის მომქმედი იყო, მოჰყავდა საზრდო, თვითონაც რჩებოდა და მეომრებს საკვებს აწვდენდა. ერთი სისხლს აქცევდა,—მეორე—ოფლს. ერთი მეორეს ათავსებდა და ერთმანეთს ვერას დააყვედრიდენ. ეს კია მხოლოდ, რომ საზოგადო ცხოვრებაში საგანი რაც უფრო საძნელო და დიდია, იმას მეტი ფასი აქვს და ძველათაც იმ პირველ რაზმს, ე. ი. თავად-აზნაურობას მეტი ფასი ედვა და ითვლებოდა უმაღლეს წოდებათ... ძველათ ჩვენში როგორც ბატონობა ისე თავადობაც პირობითი ყოფილა, ამას ის ზემოხსენებული საბუთები გვიმტკიცებენ და შემცდარი არიან ისინი, ვინც დღევანდელი შეხედულებით ცილსა წამებენ ჩვენს გონივრულს წარსულს. შემცდარი არიან და დიდი დამნაშავეც ის ყვინჩილა ვითომ მეცნიერები, ანუ ლიბერალები, რომელნიც დღეს წამომდგარან და რაღაც სხვადასხვა წოდებას ესარჩლებ-ეკამათებიან. ეს თავადიო, ეს აზნაურიო, ეს გლეხიო და სხვ. მაშინ როდესაც წოდებათა განსხვავება ძველათ საფუძვლიანათ იყო შეგნებული და დღეს კი შეუგნებელია". [2]

ასე სწერდა ისტორიული წარსულის შესახებ აკაკი წერეთელი. ასეთი იდეალიზაცია ჩვენი ცხოვრების წარსულისა მარტო აკაკის აზროვნების დამახასიათებელ თვისებას არ შეადგენს. ასეთივე შეხედულების იყო წარსულზე ილია ჭავჭავაძეც, და საერთოდ იგი ახა-

[1] აკაკი წერეთელი, „რ ჩ ე უ ლ ი ნ ა წ ე რ ე ბ ი" ტ. II, გვ. 22.
[2] აკაკი, მცირე რამ, „კვალი" № 22, 1895 წ.

სიათებდა ძველი თავად-აზნაურული ინტელიგენციის შეხედულებას. აკაკიც და ილიაც ამ ძველსაგან გატკეპნილი გზით მოდიოდენ: მათ ვერ შესძლეს განმტკიცებული ტრადიციის გადალახვა, პოეტური ფანტაზიისა და ისტორიული სინამდვილის ერთი მეორისაგან განსხვავება. მაგრამ ჩვენ შევცდებით თუ ვიფიქრებთ, რომ აკაკის ძველი წესწყობილების და წოდებათა შორის დამყარებული ურთიერთობის აღდგენა სურდა. პოეტი წინ იყურებოდა, იგი პროგრესის მომხრე იყო და „წარსულის“ სისწორით გაგება ესაჭიროებოდა „მომავლისათვის“. იმავე წერილში აკაკი განაგრძობდა: „დღევანდელი წოდებანი ჩვენ ისტორიულ ნიადაგზე არ არიან ამოცენებული. იმათ მხოლოდ ძალდატანებით ასკეკუკუსავით იჩინეს თავი; მაგრამ თავადობა კი ჩვენი ცხოვრების ნაყოფია, იყო და კიდეც იქნება.[1] იმ კანონითვე მოვა და იმავე კვალს დადებს, როგორც ძველათ ყოფილა. მხოლოდ დრო და ვითარების შესაფერათ, ფერ-ხორცი კი სხვა ექნება. ძველებური წეს-წყობილება დაირღვა, დღეს ახალი საისტორიო დროება შემოდის, მისთვის ახალი გზის გაკაფვაა საჭირო, მუშები გამოვლენრაზმათ და ვინცმათში უფრო ძლიერი იქნება, საქმეს თავში დაუდგება, სხვებს წინ წაუძღვება, მეთაურობას გაუწევს, თავადათაც იმას იწამებს ქვეყანადა არ კითხავს თუ საიდან მოსულხარ და რომელი წოდების ნაშთი ხარ, მაღალის და დაბალისო. ამ ჭეშმარიტებისათვის არც ძველ დროს აუხვევია გვერდი და ვერც ჩვენ ავუხვევთ. ეს ჭეშმარიტება უძველეს დროიდანვე ჩვენ ქვეყანას ძვალში დარბილში აქვს გამჯდარი“.[2]

აკაკი კარგად ხედავს, რომ „ძველებური წეს-წყობილება დაირღვა და ახალი საისტორიო დროება შემოვიდა“. მასაც სურს ამ ახალ დროებას შეუთანხმდეს, საქართველოს საზოგადოებრივი წყობილება ამ ახალი პირობების მიხედვით ააგოს. მაგრამ აკაკი ამ შემთხვევაში არც წარსულს ივიწყებს: იგი „ამ გონივრულ წარსულში“ ისეთ მომენტებს ამჩნევს, რომელიც მისი აზრით გამოსაყენებელი იქნება მომავალ წყობილების დროსაც. რასაკვირველია,

---

[1] აკაკის თავადობა ესმის როგორც მოვალეობა. „თავადი მხოლოდ ის იყო —სწერს აკაკი,—ვისაც საქმის წინ წაძღოლა შეეძლო, საჭიროებას თავში უდგა და მეთაურობდა“ (იქვე).

[2] იქვე. ხაზი ჩემია.—ს. ხ.

აქ მეცნიერულად ყალბი და ისტორიულად გაუმართლებელი დებულება იყო აკაკის მიერ წამოყენებული: ფეოდალური წყობილების ფორმები ვერ გამოდგებოდა, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის და მასთანავე იგი სრულიად არ იყო იმ საფუძველზედ აშენებული, როგორათაც ამას გვისურათებდა აკაკი წერეთელი. საქართველოს წარსულ საზოგადოებრივ წყობილებაში ისეთივე წოდებათა ბრძოლა ბატონყმობა არსებობდა, როგორც სხვა ქვეყნებში; აქაც მაღალი ფეოდალური არისტოკრატია და მებატონეები განუსაზღვრელი უფლებით სარგებლობდენ თავიანთ ყმებზე და ვახტანგ VI კანონის ერთი მუხლი: ყოველივე ყმისა ბატონს ეკუთვნისო, – უბრალო იურიდიული ნორმა კი არ იყო, არამედ რეალური სინამდვილის გამომსახველი. აკაკი ვერ ხედავდა წოდებათა შორის წინააღმდეგობას ძველ საქართველოში. აქ, მისი განმარტებით, ბატონყმობა კი არ არსებობდა, არამედ მამაშვილური დამოკიდებულება, ძველი საქართველოს სოციალური მონობა, პოეტის წარმოდგენით, სოლიდარობის საფუძველზედ იყო აშენებული. რასაკვირველია, ასეთი დახასიათება საქართველოს წარსულისა სრულიად არ შეესაბამებოდა ისტორიულ სინამდვილეს. აკაკი ამ შემთხვევაში უფრო ფანტაზიას ამუშავებს, ვინემ ისტორიულ ფაქტებს. მეორე მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, ისტორიული ცხოვრების პროგრესისათვის ფეოდალური წყობილების ფორმები და საფუძვლები სრულიად გამოსადეგარი და მიუღებელი იყო.

ასეთი იყო აკაკის შეხედულება საქართველოს წარსულზე და მის ძველ წესწყობილებაზე.

შეუძლებელია აქ გვერდი აუაროთ აკაკის პოეზიის და აზროვნების ერთერთ დამახასიათებელ თვისებას: ჩვენი პოეტი აუცილებლად ერთა სოლიდარობისა და ძმობის მქადაგებელი იყო; მის პოეზიასა და პუბლიცისტურ წერილებში საგრძნობლად სჩანდა ინტერნაციონალური სული და მისწრაფება. მაგრამ პოეტმა აქაც ვერ შესძლო ბოლომდე ამ მძიმე ტვირთის ზიდვა. ეს ერთაშორისი სოლიდარობა და ერთა თავისუფლების იდეა აკაკიმ, ისე როგორც სხვა მისმა თანამოკალმე ქართველმა მწერლებმა, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ მოძრაობიდან შეითვისეს. როგორც აღვნიშნე, იმ პერიოდში არა მარტო სოციალური თავისუფლების იდეა განმტკიცდა, არამედ ეროვნული თავისუფლებისა და ერთა სოლიდარობის იდეაც: მთელი რიგი დაჩაგრული ერებისა იბრძოდენ თავისუფლებისათვის და ერთა შორის ძმობის განმტკიცებისათვის. ჩვენი 60-იანი მწერლებიც ხარბად დაეწაფენ ამ მოძრაობას და ზოგადათ შეითვისეს ერთა თანასწორობისა და ძმობის იდეა. ამის შესახებ

თვით აკაკიც სწერდა 1903 წ.: „მესამოცე წლებშივე ჩვენი საერთა-შორისო მცნება ძმობა და სიყვარული იყო და სხვა არა გვიმრძოლ-ვრია-რა. განსვენებულმა გ. წერეთელმა ეს სამოყვარო სურვილი საფლავში თან ჩაიტანა. აგრეთვე სერგეი მესხმაც. თვით ის ილია ჭავჭავაძე, რომელიც ბოლოს დროს იძულებული გახდა „ქვათა ღაღადი“ დაეწერა და რისთვისაც დღეს აღარ წყალობენ „მშა-ველები“, ამავე სურვილით იყო გამსჭვალული და დიდხანს ღა-ღადებდა სომხის ახალგაზრდობას, რომ ეგებ როგორმე დავიყოლიო და შევაგონო მათ ის, რაც ჩვენ ორივესათვის სასარგებლო და საკეთილდღეო არისო... თვით მე... მოსურნე არ ვყოფილვარ ყოველთვის „ძმობისა და ერთობისა?“[1] აკაკი სრულ სიმართლეს სწერდა: 60—70-იან წლებში ქართული პუბლიცისტიკის მთავარი მოტივი იყო, ერთა შორის სოლიდარობის გამტკიცება და განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის სამი მეზობელი ერის დაკავშირება. როგორც სომეხის, ისე ქართველი ახალი თაობის ინტელიგენცია არსებით ყურადღებას აქცევდა ამ საკითხს და ცდილობდა არავითარ გაუგებრობას არ ქონოდა ადგილი აქაურ მკვიდრ ერთა შორის. თვით ახალი თაობის ინტელიგენ-ცია უაღრესად მოწადინებული იყო თავიანთ შორის განემტკიცებიათ სო ლიდარობა და ამით მაგალითი მიეცათ სხვა წრეებისათვისაც, სოლიდა-რული ცხოვრების შესახებ. გაზ. „დროებამ“ თავის დროზე შესძლო ერთა სოლიდარობის პრინციპის დაცვა.[2] იმ ხანებში აკაკიც არ გასცილებია ამ ფარგლებს და მხნედ იცავდა ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარო-ბას. 60—70-იან წლებში უკვე საგრძნობი შეიქნა სომხის კაპიტალისა და ბურჟუაზიის როლი და მნიშვნელობა ამიერ-კავკასიაში; უკვე თვალ-საჩინო გახდა, რომ ნატურალურ მეურნეობისა და ძველი საზოგა-დოებრივი წყობილების რღვევის პირობებში გაბატონებულ მდგომა-რეობას ბურჟუაზია იპყრობდა და მათ შორის საპატიო ადგილი უნდა დაეჭირა, ან იჭერდა, სომხის კაპიტალი. უკმაყოფილებისათვის უკვე მზად იყო ნიადაგი, მაგრამ ინტელიგენცია სცდილობდა ეს უკმაყო-ფილება მოესპო და არ ჩამოეგდო ერთა შორის შუღლი და მტრობა. 1874 წ. აკაკის მიერ დაწერილი სტატია—„ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს“—სწორეთ ამ მიზნით არის დაწერილი. ავტო-რი სწერდა:

„ჩვენი სატახტო თბილისი წაგვართვეს, ჩაიგდეს ხელში სომხებ-მაო! ამან კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს, მაგრამ საქართველოში შიგა-

---

[1] აკაკი წერეთელი, ორი პუბლიცისტური სტატია, გვ. 23—4, 1903 წ.

[2] მაგალითისათვის იხ. ს. მესხის წერილი „დროებაში“ № 13, 1875 წ. გ. წერეთლის წერილი „ჩვენ და ჩვენი დროება“, გაზ. „დროება“ № 13—16, 1879 წ.

დაშიგ, რაც უპირველესი მამულები იყო, დაისაკუთრესო და სხვა... აი საყვედური, რომელიც ხშირად შეგიძლიათ გაიგონოთ გულდამწყვარ ქართველებისაგან. მაგრამ არის ამ საყვედურში რაიმე საფუძველი ძველი? არავითარი. თუ კი გავიხსენებთ ერთ ჩვენებურ ანდაზას: ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო. რაც კი ჩვენი უხეიროებითა და ხელმოშვებით ჩვენგან დაიკარგება, უმჯობესია, რომ ძველმა ბედმა ისევ სომხებს ჩაუგდოს ხელში. რაინდული დრო თუმცა დიდი ხანია წავიდა, მაგრამ ჩვენ, ქართველები, მაინც არ ვიშლით რაინდობას, შრომას, მუშაობას ვერიდებით და ისიც აღარ გვინდა, რომ სხვები რამეს იძენდნენ და ჩვენ დანაკარგსაც ხელთ იგდებდენ. ბატონობა არ არის ეს, მაშ რა არის? და მერე როგორი უსამართლო და უსაფუძვლო ბატონობა! ქართველ ხალხს ჯერ სძინავს, გამოღვიძებას არ აპირებს, და იმერელი თუმცა ფხიზლობს და მუშაობს, მაგრამ შეძენისათვის კი არა, სხვისი დაკლებისათვის. ასე რომ თითო ყველას მდევნელი და მტერია და ყველა ერთად კი თითოსი. გურული კოხტაობას უნდება და ჩანგურს მისას ღიღინ-მრავალჟამიერებით! მეგრელი თავის მაღალსა და ხერხიან ნიჭს წვრილმანობაზე ხარჯავს და სვანს ჯერ კიდევ კომბალი არ გაუგდია ხელიდან. ამ გვარ მდგომარეობაში რომ სომხებმა ერთმანეთს ძმურათ ხელი მოჰკიდონ და ერთმანეთს დაეხმარონ, და არა თუ თავისი რამე დაჰკარგონ, ჩვენი დანაკარგიც მონახონ, საყვედურს ვემართლებით?“ [1]

აკაკის აზრით, სომხობა კი არ არის დამნაშავე, არამედ ქართველობა, რომელმაც დროს ვერ აართვა ალღო და შესაფერის მუშაობას ვერ ეწევაო. გაისაჯონ ქართველებიც, აამოძრავონ თავისი ენერგია და საერთო ბრძოლის მოედანზე არც ის დაიჩაგრება, მხარში ამოუდგება სომხობას და არავითარ გაუგებრობას ადგილი არ ექნებაო. როდესაც 60—70-იანი წლების ქართველი პუბლიცისტების წერილებს აკვირდებით აღნიშნულ საკითხის შესახებ, ნათელი ხდება, რომ ჩვენი პუბლიცისტები მაშინაც გრძნობდენ რაღაც უკმაყოფილებას, მაგრამ მასთანავე ღრმად ჰქონდათ შეგნებული ამიერ-კავკასიის ერთა შორის სოლიდარობისა და ძმობის დაცვის აუცილებლობა. ახალი თაობის ინტელიგენცია, როგორც გამომსახველი ახალი საზოგადოებრივი ურთი-ერთობისა, თითქოს გრძნობდა სომხის კაპიტალის პროგრესიულ მნიშვნელობას და სურდა სოლიდირობა დაემყარებია სომხის ბურჟუაზიასა და ამომავალ ქართველ ბურჟუაზიის შორის. ეს უკანასკნელი, როგორც ნორჩი, ჯერ კიდევ განუვითარებელი, დამხმარე ძალას ეძებდა და ინტელიგენციაც შეგნებულად თუ შეუგნებ-

[1] „დროება“ № 450, 1874 წ. აკაკის წერილი.

ლად ასახავდა ქართული კაპიტალის ამ ინტერესებს. მაგრამ ასეთი მდგომარეობის დიდი ხნით გაგრძელება შეუძლებელი იყო: კაპიტალისტური განვითარება თან იწვევს თავის შიგნით წინააღმდეგობებს და სოციალურ წრეებს შორის ბრძოლას. კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილება, აგებულია ანტაგონისტურ საფუძვლებზე: აქ ბრძოლა ხდება არა მარტო ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, არამედ თვით ბურჟუაზიის შიგნითაც. იმდენად, რამდენადაც ჩვენში ჩქარის ტემპით ვითარდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობა და საფუძვლები ეყრებოდა ახალი პერიოდის კლასთა ბრძოლას, იმდენადვე საგრძნობი ხდება სოციალური კლასების დაპირისპირება და მათი შეურიგებლობა. 90-იან წლებში ღრმად გაიდგა ჩვენში ფესვები ნაციონალიზმმა და სომეხ-ქართველთა შორის ბრძოლამ. რასაკვირველია, ამ ბრძოლაში ქართველ სომეხთა გლეხობა და პროლეტარიატი არაფერ შუაში იყო, ამ ბრძოლის მეთაური იყო ერთის მხრივ ქართველი თავად-აზნაურობა და ნორჩი ბურჟუაზია, მეორე მხრივ—სომხის ბურჟუაზია. ისტორიულ პირობების გამო ეს კონფლიქტი აუცილებელი შეიქმნა. სომხის კაპიტალმა შეავიწროვა არა მარტო ქართველი მემამულეები, არამედ ქართველი ბურჟუაზიაც და ბრძოლამაც ჩვენში მწვავე ხასიათი მიიღო. თავისი სოციალ-კლასიური მდგომარეობით ბურჟუაზია არასოდეს არ ყოფილა მტკიცე ეროვნული სოლიდარობის მატარებელი: თუ ერთ რომელიმე პირობებში იგი გამოდის ინტერნაციონალური დროშით, მეორე პერიოდში იგი შოვინიზმის დროშას აფრიალებს. ნამდვილი ინტერნაციონალობის მატარებელი რევოლუციონური პროლეტარიატი არის, ამ სოციალურ ფენაში პოულობს ინტერნაციონალობის იდეას ნამდვილ რეალურ დამცველ ძალას.

აკაკი წერეთელიც ვერ ასცდა იმ საერთო ბრძოლას, რომელიც 90-იან წლებში გაჩაღდა, ორივე ერის გაბატონებულ კლასების წარმომადგენელთა შორის. ერთ თავის წერილში—„გამოწვეული პასუხი“—იგი ეხება ამ საკითხსა და ერთობ მწვავედ ილაშქრებს სომხების წინააღმდეგ. ავტორი სწერდა:

„ჩვენ გვეგონა, რომ დღევანდელი სომხობა მაინც გამოიყიდდა მამა-პაპათა შეცდომას, გაასწორებდა მათგან გადანახევ გზას და ქართველობის შესახებ საჭირ-ბოროტო მცნებას სამოყვროდ გადააკეთებდა. მაგრამ მოგვიცდა მოლოდინი, აგერ ორმოც წელზე მეტია, სამტრო ნიშნების მეტს ვერასა ვხედავთ მათის მხრივ. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მამები უფრო ფრთხილად მოქმედებდენ და ესენი კი თავს აღარ იმალავენ, ალბათ იმიტომ, რომ გარემოება შეიცვალა: ძველად, როცა ხმალი სჭრიდა, ძალა ქართველების ხელში იყო და,

რასაკვირველია, რომ ჩვენი გული მოეგოთ მოტყუებით, სიცრუით, თვალის ახვევით (?) და ახალა კი, როდესაც მისი ადგილი ნებამ დაიჭირა და ფული სჭრის... აშკარაზე ფოცხვერივით გამოდიან და მუქარით გვიწვევენ: მადლობა ღმერთს, თქვენი შესახვეწარი და თქვენთან საპოდიშო აღარა გვაქვს რაო... მობრძანდით და ვიბრძოლოთ... ა ბურთი და ა მოედანიო. აბა სამაგიეროს გადახდაც ამას ქვიან! ადრინდელი ჩვენი ძმური დახმარება და ლმობიერად შეწყნარება ჩვენი მამა-პაპის უჭკუობისა და პოლიტიკური დაბრმავების ნაყოფი ჰგონიათ და დღევანდელი მათი მედიდურობა და უსამართლოდ მოპყრობა და სამტრო იერიში კი სიბრძნისა და შორს მჭვრეტელობის ნიშანია. რაღა გვეთქმის... მჭედელმა უთხრა მოპირდაპირე მტერს: მე ის კი არა მწყინს, რომ მოკვლას მიპირებ, ის უფრო მაწუხებს, რომ იარაღათ ხელში ჩემივე გაჭედილი ხანჯალი გიჭირავსო." [1]

დიახ, აღნიშნული ნაციონალისტური ბრძოლის მეთაურები ქართველ-სომეხთა გაბატონებული კლასები იყვნენ,—ეს ნათლად გამოსჭვივის აკაკის წერილიდანაც; მხოლოდ სამწუხარო ის იყო, რომ აკაკის არ სურდა დაენახა, რომ ამ ბრძოლაში არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა სომხის მშრომელ ხალხსა. ამ რიგად, ისტორიულმა პირობებმა აკაკიც აამეტყველა ნაციონალისტურად. მიუხედავად ამისა, უნდა ვსთქვათ, რომ იგი პრინციპში მაინც ცდილობდა ბოლომდე დაეცვა 60-იან წლებში შემუშავებული და შეთვისებული ერთა სოლიდარობის იდეია. 1908 წ. წარმოთქმულ ერთ სიტყვაში იგი ამბობდა: „სხვა ხალხის უბედურობით, რომ ჩვენი ხალხი იყოს ბედნიერი ეს არ მინდა და არც ჩემ ხალხს შევწირავ მსხვერპლად რომელიმე ერს. „ჩემი სურვილია, რომ ყველა თავთავისად ბედნიერი იყოს ერთი მეორის გადაუკიდებლად." [2] ამავე წელს „მამა-შვილის საუბარში" იგი ამბობდა:

„ერთ დროს, ძველად ოდესმე, ბერძნები ჰარმონიას ღმერთად აღიარებდენ და მართლაც, ის დიადი ძალაა. ბუკის ძახილი, საყვირის კივილი და ბობღანის ბღავილი ცალ-ცალკე ყურს უსიამოდ ესმის, მაგრამ როცა იმათ წინწილებიც შეუერთდებიან, ყველა ერთად შეკავშირ-შეხმატკბილდება, მაშინ გამოდის სამუსიკო გარმონიული ხმა, რომელიც სმენასა ხიბლავს. აგრეთვე ერთფერობაც თვალს ეჩხირებოდა, მაგრამ სხვადასხვა ფერი კეთილად შეხამებული ერთმანეთში, ნთლიანად იტაცებს მხედველობას და გულს ესიამოვნება. ქვეყანა ფერადოვანია. იმას აქვს ოთხი კუთხე, ოთხივე გან-

[1] აკაკი წერეთელი, „ორი პუბლიცისტური სტატია" გვ. 24—5.

[2] აკაკი, „სიტყვა თქმული ერთ არჩევნებზე".

საკუთრებულის სახით. ჰაერიც სხვადასხვანაირია, მცენარეც და ცხოველიც. ფერადოვან, სამოთხისებურ მთლიანს ცალ-ცალკე ვერც ერთი ვერ შეადგენს, მაგრამ ერთი მეორის ნაკლს ავსებს, ერთმანეთს უერთდებიან და ყველა ერთად კი ერთს მთლიან მსოფლიოს ადგენენ, რომელსაც დედა მიწა ჰქვიან და რაც ასე გვიზიდავს ჩვენ, ამავე კანონს ექვემდებარება მთელი კაცობრიობაც! ფეროვნებას ვერ გაუსხლტება ხელიდან. ყოველ კუთხეს თავისი შესაფერისი ხალხი ასხია—აღმოსავლეთელი არა ჰგავს დასავლეთელს და ჩრდილოელი—სამხრეთელს. ძათი გათანასწორება შეუძლებელია!.. საკუთარ ელფერს დააკარგვინებ და სხვას ვერ მიაღებინებ ხორციელად! ყველა თავთავისის განშვენებულის ხორცით უნდა იყოს და სული კი ყველას ერთი უნდა ედგას... სული კაცობრიული!.. აი ამას უნდა ცდილობდეს ყველა შეგნებული, ვინც კი ქვეყნისათვის ზრუნავს.—ასევე ვფიქრობდით ჩვენც (სამოციანელები—ს. ხ.) და„ შვების-სადგურისაკენ“ ცხოვრების გზა შეძლების დაგვარად, გაგვყავდა, რომ ჩვენ მოძმეებს გავლა გაადვილებოდათ. ვტკეპნიდით, ვჰკაფავდით ეკლიან გზას; მის კეთებაში ოფლთან ერთად სისხლის ცრემლებიც ბევრჯერ დაგვიღვრია. დიდი გზა გავიყვანეთ და ახლა სიბერემ მოგვისწრო. დღეს თქვენი ვალია, რომ გააგრძოთ...“ [1]

ამ სიტყვებით მიმართავს აკაკი ახალ თაობის წარმომადგენელს და სთხოვს მას გააგრძოს ახალ თაობამ 60-იანი წლების მოღვაწეთა მიერ დაწყებული პროგრამა ერთა სოლიდარობის საქმეში. პრინციპიალურად აკაკი სწორ ნიადაგზე იდგა, იმდენად, რამდენადაც იგი მოითხოვდა ერთა „კაცობრიული სულის“ განმტკიცებას ყველა ერში. მაგრამ ამ იდეიის განმახორციელებელი გზა და საშუალება აკაკისათვის უცნობი იყო: მისთვის გაუგებარი იყო ის დებულება, რომ ნამდვილი „კაცობრიული სულის,“ ინტერნაციონალიზმის მატარებელი პროლეტარიატი არის და რომ მხოლოდ პროლეტარული ბრძოლით, პროლეტარიატის მოძრაობით არის შესაძლებელი, ერთა შორის სრული ჰარმონიის დამყარება. აკაკი, მოკლებული ასეთ სოციალურ მიზანს, ეროვნულ საკითხში ხშირად განიცდიდა მერყეობას, ხან მარჯვნით, ხან მარცხნით და პრაქტიკულად მისი ინტერნაციონალიზმიც ხშირად მახინჯდებოდა ნაციონალიზმის სენით.

მაგრამ ეხლა დრო არის ერთგვარი დასკვნა გავუკეთოთ ამ თავსაც. როგორც დავინახეთ ეროვნულ მომენტს აკაკის შემოქმედებასა და პუბლიცისტიკაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს. ეს არ არის არც გასაკვირველი და არც მოულოდნელი, იგი არც აკაკის პოე-

[1] აკაკი, „საუბარი მამაშვილს შუა,“ გვ. 11—16, 1908 წ.

ზიის განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს: იქ სადაც ეროვნულ ჩაგვრას და შევიწროვებას ჰქონდა ადგილი, სადაც თვითმართველობის და მძიმე ბიუროკრატიული აპარატი სპობდა ყოველგვარ თავისუფლებას დარუსიფიკატორული პოლიტიკის საშუალებით მოსპობას უქადდა ყოველგვარ ნაციონალურს, ბუნებრივად უნდა დაბადებულიყო თავდაცვითი გრძნობა და შეგნება. ეს პატრიოტიზმიც ერთგვარი ბრძოლის იარაღი იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. იმდენად, რამდენადაც პოეტი მოუწოდებდა საზოგადოებას „ქაჯეთის ტყვეობიდან“ თავისი სატრფოს დასახსნელად, რამდენადაც იგი აღნიშნავდა თავისი ერის შევიწროვებულ მდგომარეობას და ებრძოდა თვითმპყრობელობას,—იმდენადვე პოეტი ხელს უწყობდა საზოგადოების გამოფხიზლებასა და „საზოგადოებისა“ და „ტახტს“ შორის წინააღმდეგობას ბადებდა. ამ მიმართულებით გაგებული აკაკის პატრიოტიკა იმ პერიოდისათვის პროგრესიულ როლს ასრულებდა, ერთგვარი საყვირი იყო, რომელიც ხალხს ამხნევებდა, აფხიზლებდა და მჩაგვრელის წინააღმდეგ მოუწოდებდა. სრულიად სამართლიანად ამბობს თვით პოეტი თავის მოღვაწეობის შესახებ: „ჩვენ მხოლოდ ვამხნევებდით ხალხს... გულს უგულებდით... საქებს ვაქებდით და წუნსადებს ვაძაგებდით. აგრეთვე სხვა ერებთანაც ვიქცეოდით, ვეძებდით მასთან ძმობა-ერთობას, სიყვარულს და უყეფთით მხოლოდ იმათ, ვინც ჩვენ ხალხზე სამტროდ მოდიოდა“. მაგრამ აკაკის ჰქონდა გადახრები მარჯვნით და სწორეთ აქ გამოჩნდა მისი ძველი თავადაზნაურული განწყობილება, ძველი აზროვნების ელემენტებიც. იმდენად, რამდენადაც პოეტი ხშირად იყურებოდა წარსულისაკენ, ახდენდა ამ წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალიზაციას, რამდენადაც იგი „ტახტიდან“ მოელოდა ბედნიერებას, იმდენად აკაკიში კვლავ მეტყველებდა ძველი თავადაზნაურული განწყობილება. გ. ორბელიანის, ვ. ორბელიანის, ალ. ჭავჭავაძის და სხვ. პატრიოტიკა კონსერვატიული თავად-აზნაურობის სულიერ განწყობილებას გამოხატავდა: ფეოდალური საქართველოს დიდება, წარსულზე გოდება და ტახტის ერთგულებაზე ფიცი ადუნებდა საზოგადოებრივ შეგნებას და უსპობდა მას ბრძოლის პერსპექტივებს. როგორც დავინახეთ, აკაკიც ვერ ასცდა ასეთ მოტივებს; „ძველმა“, ტრადიციულად კვლავ გაიღვიძა აკაკის შემოქმედებაში, მაგრამ ვერ განმტკიცდა და ვერ გაბატონდა: იგი მომენტებში იღვიძებდა და ამიტომ არ შეადგენდა აკაკის შემოქმედებისა და აზროვნების დამახისიათებელ ძირითად თვისებას: აკაკი მაინც მებრძოლი გმირების მაძიებელი მგოსანი იყო.

* *

ასეთი იყო საერთოდ აკაკის აზროვნება და შემოქმედება. ამ წერილის მიზანი იყო გვერდი აეარა აკაკის შემოქმედების ტრადიციულ დაფასებისათვის და მარქსისტული სოციოლოგიის თვალსაზრისით გაეშუქებია იგი. რასაკვირველია, ამ თემის სავსებით დაძლევა შეუძლებელი არის საჟურნალო წერილში: აკაკის ლიტერატურული მემკვიდრეობა ერთობ მდიდარია და მისი შეფასებისათვის უფრო მეტი ფარგლებია საჭირო, ვინემ ამას ჟურნალის ჩარჩოები იძლევა: ეს წერილი მხოლოდ შტრიხებს იძლევა აკაკის შემოქმედებისა და აზროვნების დასახასიათებლად, უფრო ვრცელი და საფუძვლიანი დახასიათება ეს მომავლის საქმეა. მაგრამ დიდი პოეტის 90-წ. დაბადების თავზე დრო არის ამ დიდსა და აუცილებელ საქმესაც ჩაეყაროს საფუძველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი წერეთელი

1

წელს გიორგი წერეთლის გარდაცვალებიდან ოცდაათი წელი (1900—1930) შესრულდა, ხოლო მისი — დაბადებიდან ოთხმოცდაათი წელი (1840—1930).

გ. წერეთელი მე-19-ე საუკუნის ჩვენ მოღვაწეთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში სამოციანელთა სახელწოდებით არის ცნობილი. ეს სამოციანელები ჩვენი საზოგადოების მაშინდელმა რეაქციონურმა ნაწილმა „თერგდალეულთა“ სახელწოდებით მონათლა: ისტორიამ ეს სახელწოდება დააკანონა, მაგრამ არა იმ გაგებით, რომელსაც მაშინდელი რეაქციონური ნაწილი აძლევდა ამ ტერმინს, არამედ სხვა შინაარსითა და სხვა მნიშვნელობით. ჩვენი თერგდალეულები აღიზარდენ 60-იანი წლების რუსეთის ახალ აზროვნების გავლენის ქვეშ და მათ მოინდომეს ამ ახალი იდეების გადმონერგვა და დამყნა საქართველოს ნიადაგზე. ამრიგად, თერგდალეულობა თავისი ისტორიული მნიშვნელობით არსებითად ნიშნავს ახალი იდეებისა და ახალი საზოგადოებრივი აზროვნების შემოტანას საქართველოში: თერგდალეულებმა ჩვენში განამტკიცა ეს ახალი საზოგადოებრივი მიმდინარეობა.

გ. წერეთელი ერთი იმ თერგდალეულთაგანი იყო, რომელმაც ღრმად შეითვისა რუსეთის 60-იან წლების ახალი აზროვნება და მთელი ორმოცი წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა მას.

გ. წერეთელმა თავისი ნიჭი და ცოდნა მრავალ დარგში გამოიჩინა. პროფესიის მრავალსახიანობა დამახასიათებელი თვისება იყო მისი ხანგრძლივი მოღვაწეობისა ჩვენს საზოგადოებრივ ასპარეზზე. მაგრამ ეს მარტო გ. წერეთელს არ ახასიათებდა, იგი ჩვეულებრივი მოვლენა იყო მე-19-ე საუკუნის საქართველოში: ვერ დავასახელებთ ვერც ერთ ჩვენ მოღვაწეს, რომელსაც მრავალ დარგში არ ეცადოს თავისი საქმიანობა, არ დაეჭსაქსოს თავის ნიჭი. ეს არსებითად გამოხატავდა ჩვენი ცხოვრების განუვითარებლობას. ჩვენს სოციალურს ურთიერთობაში, ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო

ვერ მოხდა ის ღრმამნიშვნელობის დიფერენციაცია, რომელიც ბუნებრივად იწვევს საზოგადო მოღვაწის დასპეციალებას გარკვეულ მიმართულებით. დიდი ბანკირი და დიდი პოეტი ი. ჭავჭავაძე ურწარმომადგენელი იყო ამ მხრივ გასული საუკუნის ჩვენი ინტელიგენციისა.

გ. წერეთელიც ვერ ასცდა ამ საერთო, შეიძლება ითქვას, სენს და მანაც დაუზოგველად დაქსაქსა თავისი ნიჭი სხვადასხვა საქმიანობაში: რედაქტორი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, ფილოლოგი, დრამატურგი, ბუნებისმეტყველი, პოეტი, მრეწველი და საზოგადო მოღვაწე—აი როგორი „საქმიანობით“ ხასიათდებოდა გ. წერეთლის მოღვაწეობა. რასაკვირველია, ნიჭისა და ცოდნის ასე დაქსაქსვა თვით პროდუქტის ღირებულებაზე მოახდენდა გავლენას,—გ. წერეთლის ზოგიერთ ნაწერს ეს აუცილებლად ამჩნევია.

ჩვენდა სამწუხაროდ გ. წერეთელი დღესაც არ არის სათანადოთ შესწავლილი. მას როგორც ბელეტრისტს უფრო იცნობენ, ვინემ როგორც პუბლიცისტს და მოაზროვნეს, მაგრამ მისი მხატვრული ნაწერებიც არ არის სათანადოთ შესწავლილი და ამ დარგშიაც იგი ყალბად არის გაშუქებული. რაც შეეხება მის მოღვაწეობის სხვა მხარეებს და განსაკუთრებით მისი აზროვნების განვითარებას და სოციალ-პოლიტიკურ სოფლმხედველობას—ამ მხრივ გ. წერეთელი სრულიად არ არის შესწავლილი. და უნდა ვსთქვათ, რომ ეს ერთობ ძნელი საქმეც არის მანამ, სანამ არ იქნება სისრულეში მოყვანილი და გამოცემული აკადემიური წესით მთელი მისი ნაწერები.

როგორც ვთქვით, გ. წერეთელმა თავისი მოღვაწეობა დაიწყო, 60-იან წლებში. თუ გვინდა გავიცნოთ მისი აზროვნების ხასიათი, უნდა გამოვარკვიოთ მაშინდელი ეპოქის შინაარსი, მისი ეკონომიური სტრუქტურა, საწარმოო ძალთა განვითარების დონე და სოციალურ ფენათა ურთიერთობანი, ერთი მხრივ, და ის იდეოლოგიური ბრძოლა, რომელსაც ენერგიულად აწარმოებდა მაშინდელი ახალთაობის ინტელიგენცია დახავსებული აზროვნების წინააღმდეგ, მეორე მხრივ.

მე-19-ე საუკუნის 50—60-იანი წლების ჩვენ ეპოქას სამი დიდი მომენტი ახასიათებდა: 1) ეკონომიურად—კრიზისი ნატურალური მეურნეობისა და კაპიტალისტური ურთიერთობის მშობიარობის პროცესები; 2) სოციალურად—ძველი წოდებრივ საზოგადოებრივ ურთიერთობის რღვევა და ახალი სოციალური ფენების კონსოლიდაციის დასაწყისი; 3) იდეოლოგიურად—60-იან წლების რუსეთის ახალ მიმდინარეობისა და პროგრესიულ-დემოკრატიული და რევოლუციონური აზროვნების გავლენით ჩვენს ინტელიგენციაში დაიწყო დიფერენციაცია, ძველი პატრიარქალური ოჯახი ქართული კულტურის

მესვეურთა დაირღვა და ცხოვრების ახალ მოთხოვნილებათა ნიადაგზედ ახალი მიმდინარეობანი ჩამოყალიბდა სხვაგვარი იდეოლოგიით და ზრახვებით; არსებითად ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების სფეროში მომხდარი დიფერენციაცია გამოწვეული იყო საზოგადოებრივ ურთიერთობაში მომხდარი ცვლილებებით, კლასთა დამოკიდებულების გადაჯგუფებით, ახალი სოციალური მოთხოვნილებებით.

მე-19-ე საუკუნის ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ისტორიული ვითარების შესწავლა შეუძლებელია ამიერ-კავკასიის და უმთავრესად რუსეთის ეკონომიური ვითარების შესწავლის გარეშე. 1801 წლის აქტით რუსეთის თვითმპყრობელობამ არა მარტო პოლიტიკურად დაიპყრო ამიერ-კავკასია, არამედ ეკონომიურადაც იგი თავის კოლონიად გადააქცია. რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის მთავარი მომაძრავებელი ფაქტორი იმ პერიოდში სავაჭრო კაპიტალი იყო და ამიერ-კავკასიის დაპყრობით რუსეთის სამხედრო ძალამ ეკონომიურად გზა გაუხსნა რუსეთის სავაჭრო კაპიტალს და ფართო სარბიელი გადაუშალა ჩვენში სამოღვაწეოდ. ამრიგად რუსეთის პოლიტიკური ბატონობის განმტკიცებით საქართველოში, მთელი ჩვენი მხარე და ამიერკავკასია რუსეთის ბურჟუაზიის საექსპლოატაციო ობიექტად გადაიქცა: ამ სამეურნეო რაიონებს უნდა დაეკმაყოფილებია ადორძინების და სწრაფი განვითარების გზაზე შემდგარ რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის ინტერესები.

მაგრამ რუსეთის კაპიტალსა და რუსეთის ბურჟუაზიას ყოველ პერიოდში ერთი და იგივე კოლონიალური მოთხოვნილებანი არ ჰქონია. რამდენადაც რუსეთში ვითარდებოდა კაპიტალიზმი და იცვლებოდა მისი კოლონიალური მოთხოვნილებანი, იმდენადვე მისი პოლიტიკაც ამიერ-კავკასიისადმი განიცდიდა საგრძნობ ცვლილებებს.

საქართველოს დაპყრობის პირველ პერიოდში რუსეთის სავაჭრო კაპიტალი უხეში და ტლანქი ფორმებით იჭრებოდა ამიერ-კავკასიის ცხოვრებაში და პირველადი კაპიტალისტური დაგროვების სარბიელად გადააქცია იგი. 30-იან წლებში რუსეთის კაპიტალი დაინტერესებული იყო საქონლის გასასაღებელ ბაზრის მოპოებით და მთავარმართებელი ბარ. როზენის მთელი ეკონომიური პოლიტიკა რუსეთის კაპიტალის ამ ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ იყო მიმართული. მაგრამ 40-იან წლებში რუსეთში სამრეწველო კაპიტალიზმის განმტკიცებით ამიერ-კავკასიასა და საქართველოსადმი ინტერესი უფრო გაფართოვდა: ა-კავკასია უნდა გადაქცეულიყო არა მარტო რუსეთის ბურჟუაზიის საქონლის გასაღებელ ბაზრად, არამედ მას უნდა მიეწოდებია ნედლი მასალაც რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებისათვის.

რუსეთის ბურჟუაზიის ეკონომიურ ინტერესების საფუძვლებზედ აღმოცენდა მეფის მოადგილის მ. ს. ვორონცოვის სამეურნეო პროგრამაც 40-იან და 50-იან წლებში. ერთი მხრივ, თუ მან გააგრძელა ჯობესა მიმოსვლის საშუალება და ამ რიგად როგორც ამიერკავკასიაში სხვადასხვა ცენტრები დაუახლოვა ერთიმეორეს, ისე მთელი ამიერკავკასია მაგრად გადააჯაჭვა რუსეთს და ფართო საშუალება მისცა რუსეთის ბურჟუაზიას მოღვაწეობისათვის, მეორე მხრივ, თავისი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკით ვორონცოვი ხელს უწყობდა სოფლის კაპიტალიზაციის პროცესს და რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებისათვის საჭირო ნედლი მასალის დამზადებას; მესამე მხრივ, ცნობილ „პრიკაზის“ დაარსებით ვორონცოვმა ადგილობრივ მემამულეებს მისცა საშუალება ფულის შოვნის და ამით გზა გაუხსნა რუსეთის საქონელს გასასაღებლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვორონცოვის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა ამიერ-კავკასიის სასოფლო-მეურნეობის რაციონალურ საფუძვლებზე გადაყვანას: მის მიერ დაარსებულ „ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ მთავარ ამოცანას შეადგენდა ხელი შეეწყო სოფლის მეურნეობის რაციონალურად დამუშავებისათვის, ახალი სასოფლო იარაღების მიწოდებით, კარგი თესლის გამოწერით და გამოცდილი აგრონომების დახმარებით [1].

ამრიგად საზოგადოებამ ძლიერ წაახალისა მემამულეები და ისინიც შეუდგნენ სოფლის მეურნეობის ახალ საფუძველზე მოწყობას; განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საფაბრიკო ნედლი მასალის დამზადებას (თუთუნი, ბამბა, მარენა, შაფრანი და სხვა), მაგრამ ამით არ ამოიწურებოდა ამ საზოგადოების მიზანი.

მის ამოცანას შეადგენდა ისიც, რომ მიეწოდებია ნედლი მასალა რუსეთის ბურჟუაზიისათვის: „посредничество между производителями сельских произведений и фабрикантами для открытия и усиления сбыта местных произведений“ — ასე მეტყველებს წესდების ერთი მუხლი [2]. „Если дух промышленности—სწერს კოლოდეევი 1851 წელს, — этот могучий рычаг народной деятельности, при содействии заботливого правительства более развовьется в производителях Закавказского края, то эта страна, снабжая Россию многими колониальными произведениями, может сделаться богатейшим уголком нашей империй“ [3].

---

[1] Колодеев, Обзор действий наместника кавказского для развития сельского хозяйства“ 1851 წ.

[2] იხ. იქვე, გვ. 101.

[3] იქვე გვ. 95.

ამ პოლიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიღო. 50-იან წლებიდან საქართველოში უკვე იწყება ნელი პროცესი სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებისა, რაც ბატონყმობის მოსპობის შემდეგ უფრო ჩქარი ტემპით განვითარდა. მართლაც, აღსანიშნავი არის ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განვითარების ტემპი მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში. ა/კავკასიის სავაჭრო ურთიერთობის დამოკიდებულება რუსეთსა და უცხოეთის ქვეყნებთან ნათლად გვიჩვენებს, ერთი მხრივ, ჩვენი ეკონომიური განვითარების ტემპს, მეორე მხრივ, იმას თუ როგორ გადაიქცა ჩვენი მხარე უცხო კაპიტალის საექსპლოატაციო ობიექტად. მაგ. მთელი ამიერ-კავკასიის სავაჭრო ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნებთან შემდეგნაირად ვითარდებოდა: 1822 წ. შემოტანილი და გატანილი იყო— 1.289. 108 მან, საქონელი; 1840 წ.— 4.426.724 მ.; 1851 წ. — 5.298.233 მ.; 1860 წ. — 7.368.084 მან.; 1865 წ.—13.193.198 მან.; 1870 წ.— 15.388.718 მან.[1] ეს მხოლოდ უცხოეთთან სავაჭრო ურთიერთობის ხაზით.

50-იან წლებიდან უკვე იწყება ჩვენში საფაბრიკო ცხოვრების გამოცოცხლების ნიშნები, — 1852 წ. ტფილისში იხსნება პირველი თუთუნის ფაბრიკა, მეორე — 1858 წ. იმავე წელს ტფილისის გუბერნიაში 239 წვრილი ტიპის ფაბრიკა ქარხანა-იყო.[2]

„მამულის პატრონობისა და ვაჭრობის გაზეთი“ „გ უ თ ნ ი ს დ ე დ ა“ სწერდა: „თავის დღეში არ ყოფილა ამთენი მსურველი ახალის მაშინების ანუ ახალი თესლების დაბარებისა, არც ამთენი მოთხოვნილება სხვადასხვა ხვნა-თესვის ნაწილებზედა გარიგებისა, არც მომხმარები მამულზე ამთენი ფულისა; ბოლოს დროს ტფილისში და გარეშე აშენდა რამთენიმე ქარხნები, რომელიც არ შეარცხვენდნენ თვით ევროპის მხარესა და გამოჩნდენ მზომულის მკეთებელნი სოფელშიაც, სადაც მოაწყვეს თავიანთი მამულები მშვენიერს და ანგარიშიანს წესებზედ“.[3] ასეთი არის ჩვენი ეკონომიური ცხორების განვითარების მოკლე სურათი იმ პერიოდში, როდესაც ჩვენში ჯერ კიდევ არსებობდა ბატონყმური წყობილება, რომელიც კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების უდიდეს შემფერხებელ ძალას წარმოადგენდა.

მაგრამ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება აუცილებლად იწვევს ძველი, დახავსებული წყობილების რღვევის პროცესებს, მის საფუძვლებზედ აღმოცენებულ სოციალური ურთიერთობის

[1] „Кавказский календарь за 1879 г.“ გვ. 3—42—5

[2] Сборник материалов для описания Тифлисской губер. ტ. I. ნაწ. I, გვ. 72—74, 1870 წ.

[3] იხ. „გუთნის დედა“ №1, 1863 წ.

შერყევას. მართლაც რუსეთის კაპიტალიზმის ზეგავლენით განვითარებულმა ახალმა ეკონომიურმა ფაქტორებმა გამოიწვია ჩვენში, ერთი მხრივ, ნატურალური მეურნეობის და ბატონყმური წყობილების რღვევის პროცესი და, მეორე მხრივ, სოციალურ ურთიერთობათა გამძაფრება, რაც გამოიხატება მემამულეთა და გლეხთა შორის გამწვავებულ ბრძოლაში და ახალი სოციალური ფენების წარმოშობაში.

მაგრამ საქართველოში ბატონყმობის გაუქმების ერთ-ერთი მთავარი ეკონომიური მიზეზი რუსეთის სამრეწველო კაპიტალის ინტერესებში უნდა ვეძიოთ. ეს კაპიტალი ვეღარ ეგუებოდა ბატონყმურ წყობილების ფორმებს თავის კოლონიებში; ახალი კაპიტალისტური ეკონომიკა ვეღარ ეტეოდა ნატურალურ-ბატონყმურ მეურნეობის ჩარჩოებში, ახალი საწარმოო ძალთა განვითარების აუცილებლობა მოითხოვდა ამ უკანასკნელის მოსპობასა და კაპიტალისათვის თავისუფალი სარბიელის შექმნას. ამრიგად ნატურალურ-ბატონყმურ წყობილების დარღვევა ეკონომიურად აუცილებელი ხდებოდა ჩვენშიაც.

აღსანიშნავია ერთი საინტერესო ფაქტი: ის მემამულეები, რომელნიც შეუდგნენ ვორონცოვის პოლიტიკის ზეგავლენით სოფლის მეურნეობის აღორძინებას, რაციონალურად მოწყობას და სავაჭრო მიზნებით სასოფლო პროდუქტების დამზადებას, ნათლად დარწმუნდენ, რომ დაქირავებული შრომა უფრო იაფი ჯდება, ვინემ თავისი ყმის შრომა. 1857 წ. ბარ. ნიკოლაი, რომელსაც ტფილისის გუბერნიაში ფერმაც ჰქონდა მოწყობილი, სწერდა: — „Крестьянин на господской работе ест много, а работает мало... потребляет столько, что его работа оказывается очень дорогою; она не только не обходится менее наемной, но в сущности чуть-ли не дороже... И есть такие (помещики), которые желали бы и даже пытались заменить эту повыиность денежным оброком, —явное доказательство того, что эта работа дорога, и может быть дороже работы посредством наемных рук.“ [1]

ეს ციტატა მეტისმეტად საინტერესოა და მრავლის ამხსნელი. იგი ნათლად გვიმტკიცებს, რომ ჩვენში წამოწყებული ახალი ეკონომიური ურთიერთობა, მისი საწარმოო ძალთა განვითარების აუცილებლობა, ვეღარ ეტეოდა ძველი წყობილების ფორმებში და მისი ინტერესი მოითხოვდა ამა თუ იმ სახით ამ ძველი ჩარჩოების დაშლას.

---

[1] იხ. Записки кавказского общества сельского хозяйства, გვ. 13—15; 1857.

ეს გარემოება საუცხოო გასაღებს გვაძლევს იმისათვის, თუ სად უნდა ვეძიოთ ჩვენ სოციალ-ეკონომიური მიზეზები, იმ თავადაზნაურულ-ლიბერალური პროგრამისა, რომლის წარმომადგენლები 60-იან წლებში კ. მამაცაშვილი, მ. თუმანიშვილი, ი. კერესელიძე, ნ. ჭავჭავაძე და სხვ. იყვნენ და რომელნიც გლეხთა განთავისუფლებას მოითხოვდენ.

უკვე 50—60-იან წლებში ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები ნათლად გრძნობენ, რომ საქართველოში ახალი ეპოქა დაიწყო, ეპოქა ევროპის ცივილიზაციის განვითარებისა.

მაგრამ ამ ახალი სამეურნეო ფაქტორის შემოჭრა ჩვენს ქვეყანაში ყველაზე უფრო ნათელი შეიქნა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, როდესაც გაიყვანეს ჩვენში რკინისგზები, გაცხოველდა წარმოება, გამრავლდა ფაბრიკა-ქარხნები, ფართო მასშტაბით დაიწყო სამთომადნო მრეწველობის განვითარება (ნავთი, მარგანეცი, ქვანახშირი).

ეს იყო პერიოდი, როდესაც რუსეთსა და ევროპის სამრეწველო კაპიტალი მჭიდროდ შემოიჭრა ამიერკავკასიაში, რომელსაც აინტერესებდა არა მარტო ადგილობრივი ბაზარი თავისი საქონლის გასასაღებლად და ჩვენი ნედლი მასალა, არამედ იგი დაინტერესებული იყო აგრეთვე თავისი კაპიტალის ადგილობრივად ამოძრავებით.

ეს ეკონომიური ფაქტორები თავიდანვე ნათლად შეამჩნია გ. წერეთელმა და არა ერთ ნაწარმოებში დაუსაბუთებია ჩვენში ნატურალური მეურნეობის რღვევისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესები.[1]

2

მაგრამ კაპიტალიზმის განვითარება თავისთავად ნიშნავს ძველ სოციალურ ურთიერთობაში ღრმა ცვლილების შეტანასა და ახალი კლასების წარმოშობას. ამ პროცესსაც ვერ ასცდა საქართველო და არც შეიძლებოდა ასცდენოდა: იქ სადაც კაპიტალისტური წყობილება ვითარდება, ბუნებრივად ხდება წვრილი ბურჟუაზიის გაკოტრება, მათი გაღატაკება და მათი წრიდან პროლეტარული კლასის წარმოშობა; მეორე მხრივ სოციალური ცხოვრების ზედა ფონზე ეცემა ძველი წოდება და მტკიცდება ახალი მებატონე ბურჟუაზიის სახით. აქაც გ. წერეთლის კალამი მახვილი გამოდგა, ხოლო მისი პუბლიცისტური ნიჭი უფრო რეალური ალღოს მატარებელი: მან 60-იან წლებშივე შეამჩნია ჩვენი ძველი სოციალური

[1] იხ. მაგ. „გულქანი“ და „პირველი ნაბიჯი“.

შენობის რღვევის პროცესი და ახალი საზოგადოებრივი კლასების განვითარება.[1]

მაგრამ ამ ღრმა ეკონომიურ-სოციალური ხასიათის ცვლილებებს არ შეიძლებოდა თავისი შესაფერისი ცვლილება არ გამოეწვია იდეოლოგიის სფეროშიაც და სწორედ ამ ცვლილებების შედეგი იყო ის მნიშვნელოვანი გონებრივი მოძრაობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 60-იან წლების საქართველოში. ამ აზროვნების გამოცოცხლებისა და აყვავების საქმეზე აუცილებლად დიდი გავლენა მოახდინა 60-იანი წლების რუსეთის რადიკალურ-დემოკრატიულმა მიმდინარეობამ. ჩვენი ახალთაობის ინტელიგენცია აღიზარდა რუსეთის იდეოლოგიური მოძრაობის ზეგავლენით: ამ ინტელიგენციამ გადმოიტანა ჩვენში რუსეთის 60-იან წლების პროგრესიულ-დემოკრატიული მისწრაფებანი. ამრიგად რუსეთის ინტელიგენციის დახმარებით შესძლო ჩვენმა ინტელიგენციამ ახალ პირობებში ახალ იდეოლოგიის გამომუშავება.[2]

ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების დიფერენციაცია 60-იან წლებში უდაო ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს. წინად, 60-იან წლებამდე, თუ ჩვენ აზროვნებაში გაბატონებული იყო თავად-აზნაურული იდეოლოგია და მხოლოდ კანტი-კუნტად მოსჩანდა ახალ ლიბერალურ მისწრაფებათა ჩანასახი, 60-იან წლებში ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების აღორძინებასთან ერთად დაიწყო მისი დიფერენციაციის საგრძნობი პროცესი, რაც აუცილებელი შედეგი იყო ჩვენში დაწყებულ სოციალურ-ეკონომიურ ცვლილებებისა.

ამ მხრივ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ოთხი უმთავრესი მიმდინარეობა 60—70-იან წლების ჩვენს ინტელიგენციაში: 1. კონსერვატიული—დამცველი არსებული საზოგადოებრივ ურთიერთობისა და გამომხატველი თ-აზნაურთა წოდების დიდი უმეტესობის მისწრაფებათა. რეფორმის დასაწყისში ეს მიმდინარეობა მთელი თავისი ენერგიით იბრძოდა ბატონყმობის გაუქმების წინააღმდეგ, მაგრამ როდესაც ეს შეუძლებელი შეიქმნა, მაშინ მან წამოაყენა გლეხების ხიზანთა მდგომარეობაში გადაყვანის პროექტი. ამ კონსერვატიული აზროვნების საუკეთესო წარმომადგენელი იყო დიმ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი და საერთოდ ჟურნ. „ცისკარი;“ 2. თავადაზნაურულ-ლიბერა-

---

[1] მაგ. შეადარეთ გ. წერეთელი, ამ დროის მოძრაობა, ჟურნ. „კრებული“ № 3. 1873 წ. და მისივე, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი და ინტელიგენტთა პარტიები“ „კვალი“ № 11. 1899 წ.

[2] რუსეთის აზროვნების გავლენა ქართულ ინტელიგენციაზე მთელ რიგ წერილებში აღნიშნა გ. წერეთელმა; საგულისხმიერო ფაქტებს „მგზავრის წერილებშიაც“ ვპოულობთ (იხ. მეორე ნაწილის დასაწყისი).

ლური მიმდინარეობა, რომელიც გამოხატავდა მაღალი წრეების მცირეოდენი ჯგუფის პროგრესიულ მისწრაფებას. ამ ჯგუფმა ვერ იგნო ბატონყმობის გაუქმების აუცილებლობა; იგი ფიქრობდა ევროპის ცხოვრების ახალი ვითარება დაემყნა საქართველოს მაშინდელ ნიადაგზე, მაგრამ იგი არ სცილდებოდა თავის წოდებრივ თვალსაზრისს. უკეთ რომ ვსთქვათ, იგი სცდილობდა თავად-აზნაურული წოდება შეეგუებია ახალი ეკონომიური ვითარებისათვის (კ. მამაცაშვილი, მ. თუმანიშვილი და სხვ.); 3. ლიბერალურ და რადიკალ-დემოკრატიული მიმდინარეობა, რომელიც ებრძოდა რა ბატონყმურ წყობილებას, პოტენციაში გამოხატავდა ახალთაობის ინტელიგენციის ბურჟუაზიულ დემოკრატიულ მისწრაფებებს. ამ მიმდინარეობის გამომხატველი იყო ჟურ. „საქართველოს მოამბე“ (1863 წ.), გაზ. „დროება“ (დაარსდა 1866 წ.) და მთელი ის წყება ახალგაზრდა ინტელიგენტებისა, რომელნიც აღიზარდენ რუსეთის 60-იან წლების აზროვნებაზე. შემდეგში ეს თერგდალეულთა ჯგუფი გაიყო ორ საწინააღმდეგო ბანაკად, რომლის შესახებაც ქვევით გვექნება საუბარი. ამ ჯგუფს ეკუთვნოდა თავიდანვე გ. წერეთელიც; 4. ნაროდნიკულ-სოციალისტური მიმდინარეობა, რომელმაც 60-იანი წლებში შეითვისა რუსეთის რადიკალური აზროვნება და ნაროდნიკული სოციალიზმის საფუძვლები. შემდეგში ამ მიმდინარეობამ ფართო ხასიათი მიიღო ჩვენში, და 1872 წელს უკვე ჩამოყალიბდა ნაროდნიკულ-რევოლუციონური ორგანიზაცია, ხოლო 60-იან წლებში ამ იდეების საქართველოში შემომტანი იყვნენ: ან ფურცელაძე, ნ. ნიკოლაძე და სხვ.

როგორც ავღნიშნეთ, გ. წერეთელი 60-იან წლების რუსეთის რადიკალურ-დემოკრატიულ მიმდინარეობაზე აღიზარდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა 19—20 წლისა, იგი ითვლებოდა „პაწაწა კავკასიელების წრის“ წევრად პეტერბურგში. 1861 წ. მან სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად მხურვალე მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა არეულობაში[1] და შემდეგ, როდესაც ამ არეულობის მეთაურები დააპატიმრეს, იგიც სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად რამოდენიმე თვე იჯდა კრონშტადტის საპატიმროში[2].

---

[1] თავის „ჩვენი ცხოვრების ყვავილში“, გ. წერეთელი შეეხო სტუდენტთა ამ არეულობას, მაგრამ ცენზურას ზოგიერთი ადგილები ამოუღია. აქ ვკითხულობთ, „1861... წელს ოქტომბრის 27-ს ის (დიტო) გულმოდგინეთ ისმენდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ზალაში ერთი მშვენიერი ახალგაზრდა სტუდენტის აღელვებულს სიტყვას, ამ ზალაში იმ დროს ორას სტუდენტამდე იყო მოგროვილი და ყველას დიდად აღელვებდა კათედრიდან მოლაპარაკე ახალგახრდა“.. (იხ. „კრებული“ № 2, გვ. 71; 1873 წ.) როგორც სჩანს, გ. წერეთელს „ჩვენი ცხოვრების ყვავილის“ მეორე ნაწილის დაწერაც სდომებია.

[2] ამის შესახებ ცნობა გერცენის „კოლოკოლშიაც“ არის მოთავსებული (იხ. 1861 წ. „კოლოკოლი“ № 114).

ასე ჩაება გ. წერეთელი ახალ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მან არა მარტო შეითვისა ახალი მოძღვრების შინაარსი, არამედ მთელი თავისი ენერგიით სცდილობდა ამ იდეების საქართველოში გავრცელებას და რეალურ სინამდვილეში განხორციელებას.

60-იან წლების რუსეთის მოაზროვნე ხალხისადმი სიყვარული და ხალხთან დაახლოება გ. წერეთელმა უყოყმანოდ შეითვისა. ჩვენ ვფიქრობთ, ავტობიოგრაფიულ ცნობას გადმოგვცემს გ. წერეთელი, როდესაც იგი თავის „მგზავრის წერილში“ ავიწერს ერთ საინტერესო ფაქტს ქართველი ინტელიგენტის ცხოვრებიდან: აქ ჩვენ ვკითხულობთ: „საღათა (ამ ტიპში თავისი თავი ჰყავს გამოყვანილი გ. წერეთელს) ერთი წელწადია, რაც დაბრუნებულიყო უნივერსიტეტიდან შეუძლებლობის გამო (თვითონ გიორგი წერეთელი პეტერბურგიდან დაბრუნდა 1864 წ.), რადგან სამსახურის სურვილი არ ჰქონდა და არც უნდოდა შინ ტყუილად პური ეჭამა, ამისათვის იწყო სიარული სოფლად და ქ...ს (ქუთაისის) მახლობლად გახსნა გლეხებისათვის სკოლა. პირველად სკოლაში სწავლა ძალიან კარგად წავიდა, გლეხებიც ძალიან კმაყოფილნი იყვნენ ახალი მასწავლებლისა, სახლი უშოვეს, სკამები. პაწაწინა წიგნის საკითხავი ტაბაკებიც და ბოლოს სამსამი შაურიც მოაგროვეს გლეხების თავზე, რომ წიგნები ეყიდნათ. თვითონ მას გლეხები არჩენდენ თავის პურღვინით. ცოტა ხანს იქით სოფლელს მოჩივარაში გავარდა ხმა წვრილმან აზნაურობაში, რომ ერთი ვიღაც რუსეთელი ახალგაზრდა მოსულა და გლეხებს ავონებს: „თქვენ ბატონებს ნუ ემსახურებით, თქვენ და თქვენი ბატონები სულ ერთი ხართო“. ბოლოს აზნაურებმა კაი-კაი მოსცხეს „ამ თავხედ რუსეთელ ინტელიგენტს.“ [1]

ასეთი აღტაცებისა და აღფრთოვანების მატარებელი პიროვნება იყო გ. წერეთელი. მან არსებითად შეითვისა 60-იან წლების რუსეთის გონებრივ მოძრაობის ნაყოფი და მთელი თავისი ძალღონით სცდილობდა გადმოეტანა ეს იდეები საქართველოში. ჯერ კიდევ 60-იან წლების დასაწყისში, როდესაც ილ. ჭავჭავაძემ ცხარე ბრძოლა გააჩაღა ჟურნ. „ცისკრის“ წინააღმდეგ, გ. წერეთელი ენტუზიაზმით მიეგება ამ ბრძოლას და თვითონაც მიიღო მონაწილეობა „ცისკრის“ წინააღმდეგ წარმოებულ კამათში. გ. წერეთლისათვის უკვე გარკვეული იყო, რომ ეს ახლად გაჩაღებული ბრძოლა ქართულ ლიტერატურაში ძველსა და ახალ თაობას შორის არსებითად გამოხატავდა ბრძოლას პროგრესიულ და კონსერვატიულ მიმდინარეობათა შორის; რომ ილ. ჭავჭავიძისა და მისი ჯგუფის მიერ წარმოებული

[1] გ. წერეთელი, თხზულებანი, გვ. 315 — 17, 1926 წ.

ბრძოლით იწყებოდა ახალი პერიოდი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, რომ ახალმა თაობამ, რუსეთის 60-იანი წლების იდეებით შეიარაღებულმა, უკვე ჩაუყარა საფუძველი იმ მოძრაობას, რომელსაც უნდა გაერღვია საქართველოს საუკუნოებით დახავსებული საზოგადოებრივი ურთიერთობა.

ამაში დარწმუნებული იყო გ. წერეთელი და ამიტომ სხვა თერგდალეულებთან ერთად იგიც, 20 წლის ახალგაზრდა სტუდენტი, ჭაბუკური აღფრთოვანებით ესალმებოდა ძველი წყობილებისა და დახავსებულ აზროვნების წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ კოლონებს.

ჩვენ აქა ვართ სამნი ძმანი,
სამნივ თერგდალეულთგანი,
მე გახლავარ გორისელი,
ერთი ამ სამ ძმათაგანი[1]...

ასე ათავებდა თავის წერილს ერთ-ერთ თერგდალეული,[2] რომელიც იცავდა ილ. ჭავჭავაძეს კონსერვატიულ მოაზროვნეთა თავდასხმისაგან, და რომელიც პეტერბურგის ქართველ სტუდენტების სახელით ლაპარაკობდა.

მაგრამ გ. წერეთელი არა მარტო ძველსა და ახალთაობათა შორის დაწყებულ ბრძოლას ხედავდა და თვითონაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა შიგ, არამედ მისთვის უკვე ცხადი იყო, რომ ჩვენი ძველი დახავსებული საზოგადოებრივი წყობილება დაიძრა ძველი კალაპოტიდან და ახალი ურთიერთობის ფორმებს ჩაეყარა საფუძვლები. 1863 წ. ჟურნ. „ცისკრის“ წინააღმდეგ მიმართულ წერილში გ. წერეთელი სწერდა: „მთელი კაცობრიობის ცხოვრება... თავის თავად არც ძველდება და არც წარმავალია; ძველდება მხოლოდ მისგან გამონაკვლევი ფორმა, მისგან შემუშავებული საზოგადო წყობილება, რომელიც იმდროში ამ ცხოვრების მოთხოვნილებას მხოლოდ აკმაყოფილებდა. თანდათან ხალხის განათლებით, რასაკვირველია, თავად ცხოვრების მოთხოვნილებაც, მის კეთილ მდგომარეობისამებრ, უფრო და უფრო ვრცელდება და მრავლდება სხვადასხვაობით; მაშასადამე რამოდენიმე საუკუნის წინ დაარსებული საზოგადო წყობილება და მისგან მონაპოვარი საშუალებაც ვეღარ აკმაყოფილებს ამ ცხოვრების მოთხოვნილებას. აშკარაა რომ საზოგადო ფორმამ განვლო თავისი საუკუნე, დაძველდა და ამის გამო ან სულ უნდა მოისპოს და ან გადაკეთდეს ახლად შემოსულ მოთხოვნილებისამებრ...

---

[1] იხ. „ცისკარი“, № 4 გვ. 365, 186?, წ.

[2] ამ წერილის ავტორი პოეტი აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი იყო.

„რადგან კაცის გონიერებას მოსდგამს მუდამ სისრულეში მომავალობა, არაოდეს არც ხალხის ცხოვრება არ დარჩება მუდამ ერთ და იგივე მდგომარეობაში. აღიძვრის თუ არა ცხოვრებაში მეტი ძალა, რომ საკმაო იქნებაახალ საშუალების მოსაპოებლად და ძველი ფორმის გადასაგდებად, იმავე წამს ცხოვრების წინმსვლელობაც დაიძვრის და ატყდება გამწარებული ბრძოლა ძველი წყობილების და ახალ მოთხოვნილების შუა“ [1].

ასე სწერდა გ. წერეთელი 1863 წ. და ამით იგი ნათლად აყენებდა იმ სოციოლოგიურ დებულებას, რომ საზოგადოებრივი წყობილება არ ჩერდება ერთ წერტილზე, რომ იბადება ახალი მოთხოვნილებანი, რომელიც მოითხოვს ძველის მოსპობასა და ახალი ურთიერთობის დამყარებას; გ. წერეთლის აზრით, ახალი თაობის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ამ ახალი წყობილების მშობიარობის პროცესს, გახდეს მისი მეთაური და გამომხატველი. „ცისკრის“ საყურადღებოდ იგი სწერდა: „ჩვენ საზოგადოებაში დაიძრა ცხოველისული, იმას უნდა ცხოველი სიტყვა; მაშასადამე „ცისკარს“ თუ თავის სიკვდილი არ უნდა უსათუოდ უნდა დასტოვოს ის გზა, რომელზედაც აქამდინ მიდიოდა, გააგდოს მიშურა, გარეგანი სიბრკიალე და ჩაღრძავდეს სიცოცხლის მორევაში მარგალიტების მოსაბოვად“. [2]

„ცისკარს“ არც შეეძლო და ვერც შესძლო ახალი ცხოვრებისა და ახალი აზროვნების გამომხატველ ორგანოდ გადაქცეულიყო. სამაგიეროთ გ. წერეთელი გახდა ამ ახალი ცხოვრებისა და მისწრაფების გამომსახველი: 60-იან წლებში იმის მიერ დაარსებული ლიტერატურული ორგანოები ახალი ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა ქართველ საზოგადოებას.

როგორც ვწერდით, რეფორმის შემდეგი პერიოდი ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფი განვითარებით ხასიათდება. მაგრამ რეფორმამ ვერ აღმოფხვრა ძველი წყობილების ნაშთები, ვერ გაანთავისუფლა გლეხი მემამულის ბატონობისაგან და ამით კაპიტალიზმის განვითარებას ჩვენში შემაფერხებელი ზღუდეები აღემართა. ეპოქის მორიგ ამოცანად გადაიქცა დარღვევა ამ შემაფერხებელი ზღუდეებისა, აღმოფხვრა ფეოდალური წყობილების ნაშთების და გლეხის სავსებით განთავისუფლება მემამულის ბატონობისაგან, ეს იყო კაპიტალისტური წყობილების განვითარებისა და მისი განმტკიცების

[1] გ.-თელი (გ. წერეთელი), „ცისკარ“-ს რა აკაკანებდა?—„საქართველოს მოამბე“ № 5, 1863 წ.

[2] იქვე.

აუცილებელი ეკონომიური პირობა. მაგრამ კაპიტალიზმის განვითარებას აფერხებდა არა მარტო ძველი წყობილების სოციალ-ეკონომიური ხასიათის ნაშთები, არამედ თვითმპყრობელობის სახელმწიფოებრივი აპარატიც, რომელსაც სურდა ახალ პერიოდშიაც დაეცვა მემამულეთა ინტერესები და ეს წოდება გაეხადა ცხოვრების მეთაურად. აქედან წარმოსდგა ბრძოლის აუცილებლობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რომელიც ხელოვნურად აფერხებდა საერთოდ მთელს რუსეთსა და კერძოდ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების საქმეს და სასტიკი რეჟიმის განმტკიცებით ძირშივე სპობდა ყოველგვარ ახალ მოძრაობას ცხოვრების განახლებისაკენ მიმართულს.

ამრიგად ახალმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ მორიგ ამოცანად წამოაყენა ბრძოლა ძველი ბატონყმური ნაშთების წინააღმდეგ, კაპიტალისტური ურთიერთობის შემდეგი სწრაფი განვითარებისათვის,—ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ცხოვრების დემოკრატიზაციისათვის და ბურჟუაზიის ბატონობის გასამტკიცებლად. ასეთი სამოღვაწეო პროგრამა, ასეთი შეუღლება დემოკრატიზმისა ახალ ეკონომიკასთან, არსებითად კაპიტალისტური ურთიერთობისა და ბურჟუაზიის სასიცოცხლო ინტერესებიდან იყო წარმოშობილი. ე. წ. დროებით ვალდებულთა ინსტიტუტმა ჩვენში გლეხი კვლავ დასტოვა მებატონის სრულს მორჩილებაში, იგი კვლავ ყოფილი მებატონის საექსპლოატაციო ობიექტად გადააქცია. ბურჟუაზიის ინტერესი მოითხოვდა ,გაერღვია ასეთი ურთიერთობა მემამულესა და გლეხობას შორის და უკანასკნელი თავისუფალ მწარმოებლად გაეხადა; ამით ბურჟუაზიას სურდა ფართო ბაზარი შეექმნა თავისი საქონლის გასასაღებლად და მარაგში თავისუფალი მუშა ხელი ყოლოდა თავისი ფაბრიკა-ქარხნებისათვის. გლეხობის საკითხი არსებითად, ისტორიულ-ობიექტურ პირობების გამო, გამოიხატებოდა იმაში, თუ ვინ უნდა ყოფილიყო გლეხობის ექსპლოატატორი: ძველი მემამულე, რომელიც დროებით-ვალდებულთა ინსტიტუტის წყალობით წინანდებურად სრული ბატონ-პატრონი დარჩა და ათასგვარი გადასახადებით უკანასკნელ ძალღონეს აცლიდა მას, თუ ახალი ბურჟუაზია, რომლის ინტერესიც მოითხოვდა გლეხობა კაპიტალისტური ურთიერთობის მორევში ჩაეთრია, თავის საექსპლოატაციო ობიექტად გაეხადა იგი და ამრიგად ის, რაც მემამულეს მიჰქონდა რენტის სახით, უშუალოდ თავის შემოსავლის წყაროდ გადაექცია.

ასეთი მორიგი ამოცანები წამოაყენა ახალმა ეპოქამ და ის ინტელიგენტთა ჯგუფი, რომელიც შესძლებდა თავისი სამოღვაწეო პროგრამა შეეფარდებია ეპოქის მოთხოვნილებისათვის, არსებითად ბურჟუაზიის სასარგებლო საქმეს აკეთებდა, სურდა მას თუ არ სურ-

და, ისტორიულად ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცებისათვის იბრძოდა.

ჩვენში ზოგიერთი მკვლევარი ჰფიქრობს, რომ 60-იან წლების დასაწყისში სამოღვაწეოდ გამოსული ახალი თაობა ერთ მთლიან ოჯახს წარმოადგენდა და მათში არავითარ წინააღმდეგობას არ ჰქონდა ადგილი 1877 წლამდე. მაგრამ ასეთი დებულება ფაქტიურად არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. ისტორიული ფაქტია, რომ 60-იან წლებში გამოსული ჩვენი ახალი თაობა ვერ დადგა ბოლომდე თავის სიმაღლეზე და მალე დაიწყო მისი რღვევის პროცესები. თუ პირველ პერიოდში ამ ინტელიგენციას უაღრესად აინტერესებდა ბატონყმობის მოსპობის საკითხი და ჩვენი ცხოვრების ახალი ფორმებით განვითარება, მეორე პერიოდში, როდესაც ფორმალურად მოისპო ბატონყმობა და გლეხი განთავისუფლდა მონურ მდგომარეობისაგან, როდესაც ჩვენში სხვა დარგებშიაც შეუდგენ „რეფორმების“ გატარებას,—თერგდალეულთა ბანაკში დაიწყო წინააღმდეგობა და რღვევა. თუ პირველ პერიოდში მათ აერთიანებდათ ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლა, სამაგიეროთ ახალ პერიოდში მათი გეგმები ახალი წყობილების შექმნის საქმეში საგრძნობლად დაუპირისპირდა ერთი მეორეს: ნაწილი მარჯვნივ თავად-აზნაურულ ლიბერალიზმისაკენ გადაიხარა, ხოლო მეორე ნაწილი დემოკრატიულ-რადიკალური იდეოლოგიის გაღრმავების გზას დაადგა.

„სამოციანელთა“ ამ დიფერენციაციის მაჩვენებელი იყო სწორედ ის ისტორიული ფაქტი, რომ 1869 წ. ჩვენში ახალი ჯგუფი შესდგა, რომელსაც „ახალი ახალგაზრდობის“ სახელწოდება დაერქვა და რომელიც კრიტიკულად აფასებდა 1861 წლის ჯგუფის მოღვაწეობას. თვით გ. წერეთელი არა ერთხელ შეხებია 60-იან წლების თერგდალეულთა დიფერენციაციის პროცესს, როგორც თავის მხატვრულ ნაწერებში,[1] აგრეთვე პუბლიცისტურ წერილებშიაც. აი რას სწერდა იგი 1897 წელს 60-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის ორ ბანაკად დაყოფის შესახებ; აღნიშნავს რა 1861 წლის ჯგუფის გამოსვლას სამოღვაწეო ასპარეზზე და მის როლს ჩვენს ცხოვრებაში, იგი განაგრძობს:

„სამწუხაროდ ამ ცოცხალმა მოძრაობამ მხოლოთ ერთი წელიწადი გაატანა. „საქართველოს მოამბე“, როგორც მაშინდელი ახალი თაობის ჟურნალი, გამოდგა დღენაკლული. ერთი წელის შემდეგ მასთან ერთად დალია სული თვით ილ. ჭავჭავაძის ახალთაობის წრემაც.

---

[1] ამ მხრივ მეტად საინტერესოა მისი რომანი „გულქანი“ (იხ. გვ. 364, 368 და სხვ.) და „მგზავრის წერილების“ მეორე ნაწილი.

ჟურნალის მოსპობასთან ერთად ილ. ჭავჭავაძის წრეც უცბათ დაიშალა. ყველამ მოძებნა თავთავის შესაფერი სახელწიფო სამსახური თვითონ თ. ილ. ჭავჭავაძე ჯერ გახდა განსაკუთრებულ საქმეთა მინდობილობის მოხელეთ, მერე მომრიგებელ შუამავლათ და ბოლოს მომრიგებელ მოსამართლეთ; პეტრე ნაკაშიძეც აგრეთვე მოიქცა, ივ. პოლტარაცკი შევიდა უმთავრეს გამგეობის კანცელარიის მოხელეთ, გ. ჩიქოვანი მომრიგებელ შუამავლის კანდიტატათ, სავანელმაც აგრეთვე იმავ თანამდებობაში შერგო თავი, ილ. წინამძღვრიშვილმა, მიხეილ ყიფიანმა და ვახ. თულაშვილმა კი გასამიჯნავ დაწესებულებაში იშოვეს კარგი ადგილები. რაკი მეთაური და მისი წრე ახალი მოძრაობისა მოხერხებულათ დაბინავდენ სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში, ქართველ საზოგადოებაში ისევ ჩამოვარდა ჩვეულებრივი მყუდროება. იმ დროს მთავრობის სფეროში დიდი მითქმა-მოთქმა იყო ამ წრის შესახებ, რომლის წევრებსაც მაშინ საშიშ ლიბერალებათ იხსენიებდენ.“ [1]

აქ დახასიათებულია იმ დასის წევრთა მოღვაწეობა, რომელნიც 1861 წლის დასს ეკუთვნოდენ და რომელთა ბელადი ილ. ჭავჭავაძე იყო. თერგდალეულთა დარღვევის გამომსახველი სწორედ ის იყო, რომ ამ დასმა „რეფორმები“ მიიღო, თითქოს დაკმაყოფილდა მით და იგი აღარ ცდილობდა მის გაღრმავებასა და გაფართოებას დემოკრატიულ-რადიკალური პროგრამის მიმართულებით. მაგრამ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარება ამ წერტილზე ვერ შეჩერდებოდა; ცხოვრების რეალური მოთხოვნილება უფრო რადიკალურისა და დემოკრატიული დასის მოღვაწეობას მოითხოვდა. იმავე წერილში იგივე წერეთელი განაგრძობს:

„... 1866 წლიდან გამოჩნდა ახალი, უფრო პროგრესიული მოძრაობა ქართულ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ სფეროში. ამ დროს გამოჩდა მეორე დასი. განსაკუთრებით თავი იჩინა ამ მეორე დასმა 1869 დან—1877-დე. ეს დასი შეჯგუფდა და შეკავშირდა „დროება“—„კრებულის“ რედაქციაში. ამ დასის ნამდვილი წარმომადგენლები იყვენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, კირილე ლორთქიფანიძე და პეტრე უმიკაშვილი. ამათვე შემოუერთდა განკერძოვებულათ მოღვაწე აკაკი წერეთელი. ეს მეორე დასი იყო პროგრესიულ-დემოკრატიული მიმართულების მიმდევარი. ამ დასმა განუწყვეტლათ იშრომა ერთათ მთელი ათი წელიწადი—1877 წლამდის. შემდეგ კი განაწილდენ და მოხდა მათ შორის დიფერენციაცია... ამ მეორე დასს

[1] იხ. წერილი, კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა—„კვალი“ № 46, გვ. 815, 1897 წ.

სულ სხვა იდეალი შეჰქონდა ცხოვრებაში და ლიტერატურაში, ვიდრე დასს ღუმანიტარულ მიმართულებისას...

როგორც ხედავს მკითხველი, თუმცა ეს ორი დასი ორივე ძველ სამოცე წლებში გამოვიდენ ლიტერატურის და ცხოვრების ასპარეზზე, მაგრამ ისინი ერთმანეთში ისე განირჩევოდენ, როგორც ცეცხლი და წყალი. და ლიტერატურაში მუდამ პრინციპიალურათ იბრძოდენ. ხანდახან პრაქტიკულ ასპარეზზედაც მოსვლიათ ხოლმე იმათ გამწვავებული შეჯახება" [1]

მკითხველისათვის რომ ნათელი გახდეს 60-იანი წლების ახალი თაობის დიფერენციაციის სურათი, ჩვენ აქ მას მოვაგონებთ რომ 1869წ. დაარსებულ „ახალი ახალგაზრდობის" წარმომადგენელმა ნ. ნიკოლაძემ მკაცრად გააკრიტიკა 1861 წლის დასი და მასთანვე ფართოდ მოხაზა ის პროგრამა, რომელიც სამოღვაწეოდ წამოაყენა ახალმა დასმა. ნიკოლაძე სწერდა: „...1861 წლის ახალი თაობა ჩვენ ცხოვრებაში პატიოსანი გრძნობით აღვსებული შემოვიდა, იმას კეთილი მიზანი ჰქონდა, პატივსაცემი მიმართულება, შრომისა და ბრძოლის სურვილი და ახალგაზრდული აღტაცება... თვითონ ეს თაობა დამზადებული როდი იყო ძველ თაობასთან ბრძოლაში შესამბელათ. იმას გაცნობილი არ ჰქონდა პრაქტიკული ცხოვრება, საზოგადოებრივი წესის კანონები და საჭიროებები, იმან არ იცოდა თუ რადარა ცვლილებას თხოულობდა ხალხის მდგომარეობა, რანაირ მოქმედებას და დისციპლინას ბრძოლისას საჭიროებდა, ის ერიდებოდა ძველ თაობას ან, მართალი ვთქვათ, ეშინოდა მისი".[2] აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ნ. ნიკოლაძის შეტაკება სამანკო საკითხებში პირველად 1873 წ. ბეს. ღოღობერიძესთან[3] და მეორეთ 1876 წ. ილ. ჭავჭავაძესთან[4] არსებითად გამოხატავდა ამ ორი დასის საწინააღმდეგო შეხედულებას ბანკის საკითხში.

როგორც ვხედავთ, 60-იანი წლების ახალი თაობის ინტელიგენციაშიაც ჰქონია ადგილი დაჯგუფებას, დასებათ დაყოფასა და პრინციპიალურ ბრძოლებს. როგორი კლასიური საფუძვლები ედვა სარჩულად ამ დასებად დაყოფასა და ბრძოლას?

უდავოა, რომ 60-იანი წლების დასაწყისში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ თერგდალეულთა ჯგუფის დაშლა და მის ბანაკიდან წარმოშობა „ახალი ახალგაზრდობის" ჯგუფისა გამოწვეული იყო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შემდეგი განვითარებითა და დიფე-

[1] იხ. წერეთელი. კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა. „კვალი" № 46, გვ. 815. 1887 წ.

[2] ნ. სკანდელი, ახალი ახალგაზრდობა —„კრებული" №1, გვ. 285-ე—1873 წ.

[3] იხ. „დროება" № 28, 29, 1873 წ.

[4] იხ. „დროება" № 35, 40, 47, 1876 წ. აგრეთვე „ტფილისის უწყება" იმავე წლისა.

რენციაციით, სოციალური წინააღმდეგობათა შემდეგი გამწვავებით, ბურჟუაზიული და თავად-აზნაურული ინტერესები ამ პერიოდში გარკვეით დაუპირისპირდა ერთი მეორეს; მეორე მხრივ, საქართველოს გლეხთა ფართო მასების მისწრაფება რეფორმის შემდეგ პერიოდში, აშკარად მიმართული იყო ძველი ბატონყმური ნაშთების მოსპობისა და თავისი დამოუკიდებელი ეკონომიური არსებობის განმტკიცებისაკენ, რაც არსებითად გამოიხატებოდა მიწის შეძენასა და წვრილი წარმოების განმტკიცებაში. ამ საზოგადოებრივ-კლასიურ ნიადაგზედ აღმოცენდა ჩვენში რეფორმის შემდეგ დიდი პრობლემა: რომელი გზით უნდა განვითარებულიყო საქართველო; უკეთ რომ ვსთქვათ, რომელი კლასი უნდა გადაქცეულიყო ახალი ცხოვრების მესაჭედ და მის მეთაურად. სწორედ ამ სოციალ-კლასიურ საფუძვლებზე მოხდა თერგდალეულთა ჯგუფის დანაწილება ორ მოწინააღმდეგე ბანაკად.

ილ. ჭავჭავაძის სამოღვაწეო პროგრამა 70-იან წლებში არსებითად გამოხატავდა თავად-აზნაურულ ლიბერალიზმის მიმდინარეობას, იგი პროგრესიული თავად-აზნაურობის თვალსაზრისზე დადგა. ილ. ჭავჭავაძე ამ პერიოდში ცდილობდა არა წოდებათა მოსპობას, არამედ თავად-აზნაურობის გადარჩენას განადგურებისაგან, მის შეგუებას ახალი ცხოვრების ვითარებასთან. 70-იან წლებიდან ილ. ჭავჭავაძის სამოღვაწეო გეგმების ცენტრში იდგა არა გლეხობა, არამედ თავად-აზნაურობა. მას სურდა წოდებათა შორის დაემყარებია მშვიდობიანი ურთიერთობა თავად-აზნაურობის პრივილეგიების დაცვით. იგი ცდილობდა ბანკი თავად-აზნაურობის სასოფლო-მეურნეობისა და წარმოების აღორძინების მთავარ ცენტრად გადაექცია; მისი გეგმით სოფლის მეურნეობის მოწყობა ახალ რაციონალურს საფუძვლებზე და მისი საწარმოო იარაღების გაუმჯობესება ერთ-ერთი პირობა იყო თავად-აზნაურობის გადასარჩენად. აქედან წარმოსდგა მისი ეკონომიური პოლიტიკაც, რომელიც მოითხოვდა წარმოების ევროპიული სისტემის შემოღებას სოფლის მეურნეობაში და სოფლის პროდუქტების გასასაღებლად გზების მოწესრიგებასა და ბაზრების გამოძებნას. ამაში გამოიხატებოდა სწორედ მისი თავისებური აგრარული კაპიტალიზმის იდეოლოგობა. 1893 წ. ილ. ჭავჭავაძე სწერდა „თუ ჩვენ თავად-აზნაურობას უნდა კვლავ ეჭიროს ხელში პირველობა, მთავარი ადგილი, ცხადია, რომ სამრეწველოდ აღძრულს ახალსა და ნორჩს ძალღონეს მოთავეობა უნდა გაუწიოს. მძიმე სამრეწველო ურმის თავში თვითონვე უნდა შეებას.“ [1]

[1] იხ. წერილი მოვალეობა ჩვენი თავად-აზნაურობისა — „ივერია“ № 23 1893 წ.

სულ სხვა მიმდინარეობასა და სოციალურ ფენას გამოხატავდა გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფი. ეს იყო რადიკალური ბურჟუაზიის სოფლმხედველობის და ინტერესების გამომხატველი. ეს რადიკალური ბურჟუაზიული ინტელიგენცია ვეღარ ეტეოდა „რეფორმების“ ფარგლებში და მის გაღრმავებას მოითხოვდა; იგი ცდილობდა გლეხი გაეთავისუფლებია მემამულეთა ბატონობისაგან და ხელი შეეწყო ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის ჩვენში; მისი იდეალი იყო საზოგადოებრივი წყობილების დემოკრატიზაცია. როგორც ზევით დავინახეთ, ასეთი პროგრამა არსებითად გამომდინარეობდა ეპოქის მოთხოვნილებიდან და სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების ინტერესებზედ იყო აგებული. ჩვენი ინტელიგენციაც, ისტორიულ-ობიექტიურ პირობების გამო უნდოდა მას თუ არ უნდოდა, რადიკალური ბურჟუაზიის თვალთახედვით იხილავდა იმ ეპოქაში წამოჭრილ პრობლემებს. როგორც ვხედავთ, 70-იან წლებში ი. ჭავჭავაძისა და გ. წერეთლის სახით ერთიმეორეს დაუპირისპირდა თავად-აზნაურობის ლიბერალური სოფლმხედველობა და ბურჟუაზიის რადიკალურ-დემოკრატიული მისწრაფებანი.

აღსანიშნავია სწორედ ის გარემოებაც, რომ გ. წერეთელი ბოლომდე შერჩა ამ თავის ძველ პროგრამას და რადიკალურ-დემოკრატიულ აზროვნებას. მისი ცდა 90-იან წლებში დაახლოვებოდა მარქსიზმსა და მუშათა მოძრაობას, არსებითად გამოხატავდა მის დემოკრატიულ-რადიკალურ მისწრაფებებს—გამოეყენებია ახალი საზოგადოებრივი ძალა ბურჟუაზიული წყობილების გასამტკიცებლად. ამ დემოკრატიზმისა და რადიკალიზმის გზას 80-იანი წლებიდან საბოლოოდ ასცდა და გამოეთხოვა ნ. ნიკოლაძე და იგი ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ტაქტიკას დაადგა.[1] ამრიგად 80—90-იან წლებში გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის სამოღვაწეო გეგმებს შორის საგრძნობი განსხვავება იყო, თუმცა ორივენი ბურჟუაზიული აზროვნების და ინტერესების გამომხატველნი იყვნენ ჩვენში. მაგრამ აღნიშნულ პერიოდში. ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლის სამოღვაწეო გეგმების დაპირისპირებაში არსებითად გამოიხატებოდა თვით ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენების ინტერესები:—მსხვილი ბურჟუაზიის შეგუება თვითმპყრობელობასთან, საშუალო ბურჟუაზიისა და მისი ინტელიგენციის შეურიგებლობა და ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ამრიგად ეს წინააღმდეგობა ნიკოლაძესა და გ. წერეთელს შორის გამოწვეული იყო ჩვენი სოციალ-ეკონომიური ცხოვრების შემ-

[1] იხ. ჩემი ნარკვევი, ნ. ნიკოლაძე—1931 წ.

დეგი ევოლუციითა და დიფერენციაციით. აღსანიშნავია ის ისტორიული ფაქტიც, რომ, მაშინ როდესაც ნიკო ნიკოლაძის სამრევლო წეო პროგრამა 80—90-იანი წლებში მიმართული იყო რუსეთისაკენ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთის კაპიტალის განვითარებას ა-კავკასიაში,—უკეთ რომ ვსთქვათ ნიკოლაძე მატარებელი იყო რუსეთის კაპიტალიზმის ორიენტაციისა, გ. წერეთელი დასავლეთ ევროპის ორიენტაციის ნიადაგზე იდგა; იგი კარგად გრძნობდა რუსეთის კაპიტალიზმის კოლონიალური პოლიტიკით როგორ იჩაგრებოდა ადგილობრივი ნაციონალური კაპიტალიზმის განვითარებისა და წარმატების საქმე და ამიტომ თავისი გეგმები დასავლეთის კაპიტალისაკენ მიმართა. აქედან წარმოსდგა მისი პოლიტიკური ხასიათის ნაბიჯები: ცდები, 1877-სა და 1885 წელში პოლიტიკური კავშირი გაება ევროპის სახელმწიფოებთან, როგორც მტკიცდება, 1885 წელს გ. წერეთელმა სხვებთან ერთად მემორანდუმით მიჰმართა გლადსტონს[1] და მოუწოდა საქართველოს დაპყრობისაკენ. ასე გამოიწვია ნაციონალური კაპიტალისა და ნაციონალური ბურჟუაზიის ინტერესებმა გ. წერეთლის ორიენტაციის დასავლეთ ევროპის ბურჟუაზისაკენ მიმართვა.

ეს იყო რადიკალურად მოაზროვნე ბურჟუაზიული ინტელიგენციის ცდა, რომლითაც იგი ჰფიქრობდა ნაციონალური კაპიტალისა და ნაციონალური ბურჟუაზიის საქმის განმტკიცებას საქართველოში.

კიდევ ერთი მომენტი. 90-იან წლებში გ. წერეთელი შეეცადა თავისი ბურჟუაზიული პროგრამა მარქსიზმის ფორმაში გამოეხვია. XX-ე საუკუნის დასაწყისში არჩ. ჯორჯაძემ ესევე პროგრამა სოციალ-ფედერალიზმის ფორმებში წარმოადგინა. მაგრამ საკმარისია ეს გარეგანი ფორმები მოაცილოთ მათ პროგრამებს, რომ მათ შორის თითქმის სრული იდენტივობა დაინახოთ არა მარტო ეკონომიურ საკითხებში, არამედ ეროვნულსა და ფედერაციის საკითხებშიაც. ერთისაც და მეორეს სახითაც რადიკალური ბურჟუაზია მეტყველებდა. გ. წერეთელს უშუალოდ არ. ჯორჯაძეზე არა ჰქონია გავლენა. მაგრამ ისტორიულად გ. წერეთელმა და ნ. ნიკოლაძემ ჯერ კიდევ 70-იან წლებში მოხაზეს ის ძირითადი დებულებანი, რომელიც შემდეგში არჩ. ჯორჯაძის მოძღვრების მთავარ შინაარსს შეადგენდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ გ. წერეთელს და უფრო ახლო გავიცნოთ მისი 70—90-იანი წლების სამოღვაწეო პროგრამა.

---

[1] ვილიამ იუარტ გლადსტონი — მე-19 საუკ. ცნობილი ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე, ლიბერალური პარტიის ბელადი და დიდიბრიტანეთის პრემიერმინისტრი.—რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. წერეთლის მიერ დაარსებული „დროება“ (1866 წ.), „სასოფლო გაზეთი“ (1868 წ.) და „კრებული“ (1871 წ.) აუცილებლად გამომხატველი იყო რადიკალურად და დემოკრატიულად მოაზროვნე ინტელიგენციის მისწრაფებისა. როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდში ინტელიგენციის წინაშე მეტის-მეტად რთული და ღრმადმნიშვნელოვანი სოციალ-ეკონომიური ხასიათის პრობლემები წამოიჭრა გადასაწყვეტად. ინტელიგენციამ თავისებური საზომით გააშუქა ყველა ეს საკითხი და გარკვეული პროგრამაც წამოაყენა განსახორციელებლად. როდესაც ამ პროგრამის შინაარსს ითვალისწინებთ, რწმუნდებით, რომ ამ ინტელიგენციის სახით ჩვენში ახალი პროგრესიული ბურჟუაზია მეტყველებდა, ბურჟუაზია, რომელსაც სურდა გაერღვია ძველი დახავსებული ცხოვრების ზღუდეები და ევროპის გზით მიემართა ჩვენი ცხოვრება. ამ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ მწვავედ სწარმოებდა კაპიტალისტური ურთიერთობის მშობიაროობა ქართულ ნიადაგზე, ისტორიულად შეუძლებელი იყო ინტელიგენციის ბურჟუაზიული პროგრამა რადიკალურსა და დემოკრატიულს ფორმებში არ გამოხვეულიყო; უკეთ რომ ვსთქვათ, დემოკრატიზმი და ბურჟუაზიული აზროვნება ერთ მთლიან მოძღვრებაში ერთდებოდა; მათ შორის კიდევ შეუძლებელი იყო რადიკალური წინააღმდეგობის აღმოჩენა; დემოკრატიზმი და რადიკალიზმი ბურჟუაზიულად განწყობილი ინტელიგენციის საოცნებო ლოზუნგი იყო იმ პერიოდში.

გ. წერეთელი საუკეთესო გამომხატველი იყო მაშინდელი ისტორიულ-ობიექტური ვითარებისა: მისი სამოღვაწეო პროგრამა, მისი თეორია და პრაქტიკა იდეოლოგიურად ასახავდა კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების პროცესს საქართველოში, იგი ბურჟუაზიული ფენების სოფლმხედველობას და მისწრაფებებს გამოხატავდა ჩვენს ისტორიულ სინამდვილეში.

მაგრამ ვიკითხოთ, კონკრეტულად რაში გამოიხატა მისი სამოღვაწეო პროგრამა და როგორი იყო მისი თეორიული სოფლმხედველობა? ამ მხრივ ჩვენ საინტერესო ცნობები გვაქვს მოცემული თვით გ. წერეთლის მიერ. 1897 წ. კიტა აბაშიძესთან კამათის დროს მან გააშუქა „დროების“ ახალი ჯგუფის პროგრამა და სამოღვაწეო ხაზი. ამ წერილში ჩვენ ვკითხულობთ:

„1. ხელოვნურ ან სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში მან (ახალმა ჯგუფმა) დაარსა ნამდვილი, შეუფერავი, შეუკეთებელი რეალიზმი.

2. პოლიტიკო-ეკონომიურ შეხედულებაში ის ემხრობოდა უფრო პოლიტიკო-ეკონომისტის მილლის თეორიას, მაგრამ ცხოვრებაში, ეს პროგრესილ-დემოკრატიული დასი ბურჟუაზიასა და მუშა ხალხს შორის გამწვავებულ ბრძოლის დროს უფრო იმ თეორიას ადგა, რომ სახელმწიფო კანონმდებლობითი ძალა უნდა შეერიოს ამ ბრძოლაში მუშათა კლასის სასარგებლოთ, რომ მან ალაგმოს ძალმომრეობა ბურჟუაზიისაო.

3. საზოგადოებრივ წყობილების განვითარებაში ეს დასი უარს ჰყოფდა, როგორც თავად-აზნაურობას, ისე დაბალი ხალხის განკერძოვებით ყოფნას. მან წამოაყენა ნამდვილი ერი, რომელშიაც თანასწორი უფლებით შედიოდენ ყველა წოდებები, არც ერთისკენ სასწორს არ ხრიდა, ხოლო დემოკრატიული, წოდებათა განურჩევლათ, საზოგადო წესწყობილება მიაჩნდა ასეთი ერის შესაფერად.

4. საკრედიტო დაწესებულებათა შორის ის ეწინააღმდეგებოდა თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის დაარსებას. ამის მაგიერათ ის ურჩევდა მოკლე ვადიან სამრეწველო ბანკების წეს-წყობილებას. ამასთან ამ დასმა წამოაყენა წინ სასოფლო და საქალაქო სამრეწველო კრედიტი და ერთი ამგვარი წვრილმანი ბანკი კიდეც დაარსა იმ დროს ტფილისში წვრილმან მოვაჭრეთათვის.[1]

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ აქ დახასიათებული პროგრამა წმინდა წყლის ბურჟუაზიული პროგრამა არის. ეს უფრო ნათელი გახდება ქვევით, როდესაც ჩვენ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ მის შინაარსს. ახლა საჭიროა აღინიშნოს კიდევ შემდეგი მომენტები.

60-იანი წლების რუსეთის აზროვნების ზეგავლენით გ. წერეთელს წილად ხვდა ჩვენში შემოეტანა, ერთი მხრივ, ბუნების მეცნიერების მატერიალიზმი და, მეორეს მხრივ, რაციონალიზმი. საქმე ის არის, რომ 60-იანი წლების რუსეთის აზროვნებამ გადმოიღო ეს მატერიალიზმი ევროპიდან, მაგრამ მისი განვითარება მას არ შეეძლო დიალექტიურ მატერიალიზმამდე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამავე ხანებში ბუნებისმეცნიერებამ და მისი შესწავლის საქმემ ფართოდ გაიდგა ფესვები რუსეთში. გ. წერეთელმა და ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა ამ მხრივაც განიცადეს გავლენა. თვით გ. წერეთელი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლობდა და არა ერთი წერილი მოუთავსებია „დროების“ ფურცლებზე ბუნებისმეტყველებიდან. ამ გზით გ. წერეთელი აუცილებლად მიეიდა ბუნებისმეტყველების მატერიალიზმამდე. ერთ თავის წერილში „მ ო ლ ე შ ო ტ ი ს“ შესახებ იგი სწერდა:

[1] გ. წერეთელი, კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა, „კვალი“ № 46 გვ. 816, 1897 წ.

„მოლეშოტი ეს ის მეცნიერია, რომლის წიგნებითაც აღიზარდა ახალ გაძოღვიძებული გონება რუსეთის საზოგადოებისა და ჩვენი ახალთაობა მესამოცე და მესამოცდაათე წლებისა. მას ევროპის განათლებისათვის იგივე მნიშვნელობა აქვს ბუნების წარმატებაში, როგორც ფეიერბახს, ბიუხნერს და ფოხტს ახალი ფილოსოფიისა და ანტროპოლოგიის მეცნიერებაში. ამათ შეიტანეს სარწმუნოების მცნებაში ახალი გზა და შეუთანხმეს მას ახალი მიმართულება ბუნების მეცნიერებისა. უწინ ქრისტეს მცნებას პლატონის ფილოსოფია ჰქონდა საფუძვლად დადებული, ამ ფილოსოფიის მასალად იყო უკვდავი სული, ცხოვრება და საქმე, რომელთა ურთიერთშორისი დამოკიდებულების განხილვა და გამოძიება შეადგენდა მთელს ქრისტიანულის ფილოსოფიის შინაარსს, მოლეშოტისა და ფოხტის მეცნიერებისამებრ ბუნებაში უკვდავნი არიან ორნი საგანნი: უკვდავია მატერია და უკვდავია მასთან თანდაყოლილი ძალა, რომელნიც ერთმანეთის ზედმოქმედებით წარმოშობენ ყოველის ტიპისა და გვარის ცხოვრებას და არსებას — სულიერსა და უსულოს. ცხოვრება არის გამუდმებული ცვლა სიკვდილისა და სიცოცხლისა... მატერია იცვლება და არ ისპობა. მაშასადამე ბუნება და ქვეყნიერება არის ერთი განუწყვეტელი ბაწარი ცხოვრებისა, საცა ყოველი წარმოებული, შემდგარი, ან გაჩენილი არსება იცვლება. მაშასადამე, ყოველი კერძო ცხოვრება ცვალებადია; მაგრამ მისი მწარმოებელი ძალა და მატერია კი უკვდავნი არიან". [1]

ასეთი მატერიალისტური აზრი გ. წერეთელს მრავალ წერილში აქვს გატარებული. ჯერ კიდევ 1870 წელს გაზ. „სასოფლო გაზეთში" მოთავსებული სამეცნიერო-პოპულარულ წერილებში ბუნებისმეცნიერებიდან იგი ამბობდა: „ბუნებაში ყოველი ქმნილება იბადება, ცხოვრობს როგორც შეხვდება და შემდეგ კვდება,—სჩანს დაიშლება იმ ნაწილებად, რომლებისაგანაც იყო შედგენილი. ჩვენ ვიცით, რომ ამ ნაწილებს ელემენტები ჰქვია. ამ ნაწილებისაგან კიდევ რაიმე დაიბადება ბუნებაში, ისევ ცხოვრობს და ხელმეორედ დაიშლება. მაშ როცა ან კაცი, ან ცხოველი მოკვდება, ან მცენარე დაჭკნება, ე. ი., როცა იმასაც სიკვდილი მოუვა, ამის შემდეგ არაფერი არ იკარგება. როდესაც რაიმე აღარ სცხოვრობს —კვდება—ეს იმას ნიშნავს, რომ ელემენტების შედგენილობა გადასხვაფერდება. [2]

---

[1] X—ლი (გ. წერეთელი), მოლეშოტი—„კვალი" № 25, 1893 წ.

[2] გ. წერეთელი, საუკეთესო ცოდნა გვ. 38. პირველი გამოცემა გამოვიდა 1870 წ. მეორე—1888 წ.

აქ უკვე სავსებით გატარებული არის მატერიალისტური შეხედულება ბუნებაში. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბუნებაში გატარებული მატერიალისტური შეხედულება გ. წერეთელს არ გადმოუტანია საზოგადოებრივ ურთიერთობასა და ისტორიის ვითარებაში. უკეთ რომ ვსთქვათ, მან ვერ შესძლო მატერიალისტურად ახსნა საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა. ბუნების მეცნიერებაში მატერიალისტი, იგი სოციოლოგიაში იდეალისტი დარჩა; მისთვის საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარების ფაქტორები არა ობიექტურ-ეკონომიურ ურთიერთობაში არსებობდა, არამედ იდეაში, აზროვნებაში; გონება, აზროვნება—ეს არის ისტორიის მამოძრავებელი ძალა. „ისტორიას ქმნიან კრიტიკულად მოაზროვნე პირები", ასე ფიქრობს სოციოლოგიაში გ. წერეთელი. ეს „ყოვლად შემძლეობა ადამიანის გონებისა"—ეს რაციონალისტური სოფლმხედველობა — გ. წერეთელმა იმავე 60-იან წლების რუსეთის მოაზროვნეებიდან ისესხა. ამ სუბიექტურ სოციოლოგიის ნაყოფი იყო ის აზრები, რომელსაც თავიდანვე ატარებდა გ. წერეთელი ქართულ ლიტერატურაში; მისი შეხედულებით განათლება, ცოდნა, შეგნება უპირველესი პირობაა ხალხის წარმატების საქმეში; აქედან იტელიგენციის მოვალეობაც გ. წერეთლის პროგრამით გარკვეული არის. 1868 წ. იგი სწერდა:

„ევროპაში დიდი ხანია დარწმუნდნენ იმ აზრზე, რომ მინამ საზოგადოთ თვითონ ხალხი არ განათლდება, სწავლით, რაც უნდა კარგი გამგეობა და სამართალი მისცე, მაინც არა გაძლო რა; ხალხის უგუნურობით კარგი სამართალიც უკუღმართად მიდის და კარგს გამგეობასაც ეკარგება თავისი ძალა, კარგი სამართალი და გამგეობა მაშინ მოუტანს ხალხს სარგებლობას, როცა თვითონ ხალხს შეუძლიან იმის მოხმარება, ამისათვის საჭიროა ხალხის ზრდა, იმის ჭკუაგონების გამდიდრება სწავლითა. ახლა საქმე ის არის, რა საშუალება უნდა იხმაროს კაცმა ამისათვის.[1]

განათლების გავრცელება ხალხში ეს არის უპირველესი მოვალეობა წოწინავე ინტელიგენციისა; იგი უნდა დაუახლოვდეს ხალხს, შეიტანოს მასში განათლება, აამაღლოს გონებრივად. „ჩვენ უნდა ვიყოთ მხოლოდ მოწინავე კაცები. ჩვენს ქვეყანაში, ჩვენ უნდა ვიყოთ გაზაფხულის მომასწავებელი მერცხლები და მანამ ვიჭიკჭიკოთ, სანამ ეს გაზაფხული კარზედ არ მოგვადგეს, სანამდის ჩვენი დედაკაცობა არ შეესძრათ უმაღლეს განათლების მისაღებად. თუ ჩვენ ამას შევასრულებთ, ჩვენი უმთავრესი ბედნიერებაც ეს უნდა იყოს".—ამბობს გ. წერეთელი თავის „მ გ ზ ა ვ რ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ შ ი".

[1] X—ელი (გ. წერეთელი), ჩვენი ცხოვრების ქრონიკა,—„დროება" № 6 1868 წ.

გ. წერეთლის ამ იდეალისტურ-სოციოლოგიურ სოფლმხედველობიდან გამომდინარეობდა მისი სამოღვაწეო პროგრამის მუხლებიც: ხალხის განათლებისა და ცოდნის გავრცელების საქმეში. როგორც იდეალისტი და რაციონალისტი გ. წერეთელი ჰფიქრობდა, რომ შესაძლებელია აზროვნების და განათლების გავრცელების საშუალებით ისტორიული ცხოვრების ამათუიმ გზით განვითარება. რომელიმე პროგრამის განხორციელება ცხოვრებაში ყოველ პირობებში არის შესაძლებელი, თუ კი ამ პროგრამის შინაარსს შეიგნებს და შეითვისებს ხალხი ინტილიგენციის დახმარებითა და მეთაურობით. ამრიგად გ. წერეთელი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების უმთავრეს ფაქტორად სუბიექტურ მომენტს—შეგნებას, და ინტილიგენციის იდეურ ხელმძღვანელობას სთვლიდა; ხოლო ობიექტურ-ეკონომიური პირობები პირველ მომენტის შედეგად მიაჩნდა. ამ სუბიექტური სოციოლოგიის ერთგული დარჩა გ. წერეთელი ბოლომდე: მან ვერ შესძლო თავი გაეთავისუფლებია ამ აზროვნებისაგან იმ პერიოდშიაც კი, როდესაც იგი სცდილობდა მარქსის მატერიალისტური სოფლმხედველობის შეთვისებას. რაციონალიზმი და იდეალიზმი ბოლომდე დარჩა გ. წერეთლის სოფლმხედველობის დამახასიათებელ თვისებად. ამრიგად ძველმა მატერიალისტმა, 60-იან წლების ქართველმა ბუნებისმეცნიერების მატერიალისტმა ვერ შესძლო თავისი ფილოსოფიური და სოციოლოგიური აზროვნების დიალექტიური მატერიალიზმის გზით განვითარება და შერჩა ძველ აზროვნებასა და მეთოდებს. გ. წერეთლის მიერ 90-იან წლებში მარქსიზმის მოძღვრების ვითომდა შეთვისება უფრო მექანიკური იყო, ვინემ არსებითი, როგორც ამას ქვევით დავინახავთ. ამ დარგშიაც იგი ვერ გასცდა პრობლემების უბრალო მექანიკურ გაგებას: 90-იან წლებში „მარქსისტ“ გ. წერეთლის სახით კვლავ ძველი იდეალისტი და ბუნებისმეცნიერების მატერიალისტი მეტყველებდა ჩვენში.

4

გ. წერეთელს ჩვენი საზოგადოება უმთავრესად იცნობს როგორც ბელეტრისტს. მისი მხატვრული შემოქმედება უფრო ცნობილი არის საქართველოში, ვინემ მისი პუბლიცისტური მოღვაწეობა და სოციალ-პოლიტიკური იდეალები. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედების შეფასება, მოცემული ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში, ზოგან ყალბია და ამასთანავე ზოგიერთ შემთხვევაში—მიკერძოებითი. კ. აბაშიძისათვის გ. წერეთელი ქარ-

თული რეალიზმის დეკადანსის გამომხატველი იყო და ამასთანავე მას არც მხატვრული ნიჭი უწყობდა თურმე ხელს; აბაშიძის აზრით, როგორც მხატვარი გ. წერეთელი ბევრად დაბლა იდგა მე-19 საუკუნის სხვა ცნობილ ქართველ მწერლებთან შედარებით.[1]

მაგრამ მარტო კ. აბაშიძის აზრით არ ამოიწურება გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედების შეფასება. ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში ნ. ნიკოლაძემ თავიდანვე საკმაოდ მაღლა დააყენა გ. წერეთლის მხატვრული ნიჭი და შემოქმედება.[2]

მაგრამ ნ. ნიკოლაძის შეხედულებამ გ. წერეთელის ბელეტრისტულ ნაწერების შესახებ ჩვენს ლიტერატურაში ვერ ჰპოვა შესაფერისი გასავალი და უმთავრესად კიტა აბაშიძის შეხედულება გაბატონდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 60-იან წლებში, როდესაც გ. წერეთელმა გამოაქვეყნა თავისი პირველი ბელეტრისტული ნაწერები „დროებისა“ და „კრებულის“-ფურცელზე, მაშინდელი ქართველი საზოგადოება მას აღფრთოვანებით შეხვდა. ნ. ნიკოლაძე გადმოგვცემს:

„როცა, ამ ოც-და-ხუთი წლის წინად „დროებამ“ პირველი ხანების ბეჭდვა დაიწყო ბ-ნ წერეთლის „მგზავრის წიგნისა“ მკითხველებში თითქმის იმგვარივე მოძრაობა შეიქმნა, როგორც ცოტათი უწინ ბ-ნ ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანმა“ მოახდინა. მგონია ცოტა არ არის ამით ნათქვამი. მთელმა საზოგადოებამ მიაქცია ყურადღება დამწყები ავტორის ნიჭს. მისი ცხოველი სურათები, მისი იუმორი, მისი ტიპები ყველას მოსწონდა და თვალწინ უდგა. უცნობი რამ გაგვაცნო ამ კაცმაო“, ამბობდა თუ გრძნობდა მკითხველი. დიდი იმედებიც დაბადა ყველაში ამ ბედნიერმა დასაწყისმა. ყველა ელოდა, აი ახალი ბელეტრისტი გაუჩდა ჩვენ მწერლობასო, ფხიზლად და ცხოველად მხატველი ჩვენი ქვეყნის და ცხოვრების „უცნობ მხარეებისაო, და სხვ... მით უფრო საამო შეიქმნა ქვეყნისათვის ამ ახალი ტალანტის ასპარეზზე გამოსვლა. ყოველი ახალი ხანა მისი „მგზავრის წიგნისა“ ახალ აღტაცებას, ახალ უმაღლეს ლოდინს და იმედებს ჰბადებდა.“[3]

ასეთი გავლენა მოახდინა 60—70-იან წლებში გ. წერეთლის ბელეტრისტული ნაწერების გამოქვეყნებამ. როგორც ვხედავთ, ამ ნაწერებს დიდი გავლენა ჰქონია „ჩვენს ლიტერატურულ მოძრაობაზე“ და თუ შემდეგში დაჰკარგა თავისი გავლენა — ეს მოხდა განსაკუთრებით იმ ფენაში, რომელიც გ. წერეთელს მტრულად უცქერდა და არ იზიარებდა მის პოლიტიკურ სოფლმხედველობას.

---

[1] კიტა აბაშიძე. ეტიუდები ტ. II.

[2] ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთლის პირველი შრომა—„მოამბე“ № 3 1894 წ.

[3] იხ. ნ. ნიკოლაძის დასახელებული წერილი, გვ. 141—42.

ამ ნარკვევში, რასაკვირველია, გ. წერეთლის ბელეტრისტულ ნაწერებს მთლიანად ჩვენ ვერ განვიხილავთ. ჩვენი ნარკვევისათვის საჭირო არის შევეხოთ მხოლოდ ორ მომენტს: გ. წერეთლის ლიტერატურულ-ესთეტიურ სოფლმხედველობას და მისი მხატვრული ნაწერების თემატიკას.

გ. წერეთლის ლიტერატურულ-ესთეტიური შეხედულება შემუშავდა იმავე 60-იან წლების რუსეთის მოღვაწეთა ესთეტიურ აზროვნების ზეგავლენით. ამ მხრივ აღსანიშნავია ნ. გ. ჩერნიშევსკის ესთეტიური თეორიის გავლენა არა მარტო გ. წერეთელზე, არამედ 60-ან წლების ჩვენი ახალთაობის ლიტერატურულ-ესთეტიურ აზროვნების შეხედულებაზე საერთოდ. ჩერნიშევსკიმ 60-იან წლებში პრინციპიალურად უარყო ყალბი თეორია „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და თავის ესთეტიურ თეორიას რეალიზმისა და უტილიტარიზმის პრინციპი დაუდვა საფუძვლად. ხელოვნება – ჩერნიშევსკის განმარტებით—რაიმე საზოგადოებრივ ფუნქციას უნდა ასრულებდეს ცხოვრებაში: მისი მოვალეობაა ასახოს რეალური სინამდვილე და ემსახუროს საზოგადოების წინმსვლელობის საქმეს. [1]

ეს უტილიტარულ-რეალისტური ესთეტიური თეორია, როგორც ვიცით, შემდებში ესთეტიკის უარყოფამდე განავითარა დ. პისარევმა. გ. წერეთელმა 60-იან წლებიდანვე გარკვევით შეითვისა ეს თეორია და შეგნებულად ემსახურებოდა მას თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ წუთამდე. მაგრამ თუ გიორგი წერეთელმა სხვებთან ერთად განავითარა უტილიტარული პრინციპი ესთეტიკაში, სამაგიეროდ 60-იან წლებში ანტ. ფურცელაძეს წილად ხვდა დ. პისარევის ნიჰილისტური ხელოვნების თეორია გადმოეწერგა ქართულ ლიტერატურაში. ერთი, ჩერნიშევსკის გავლენით, გარკვეული რეალისტურ-უტილიტარულ თეორიის გზას დაადგა, მეორემ პისარევის გავლენით ესთეტიკის დამსხვრევა მოინდომა ჩვენში.

უკვე თავის პირველ წერილში 1863 წ. ჟურნ. „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე გ. წერეთელი მწერლის დანიშნულებას და მოვალეობას შემდეგნაირად ახასიათებდა: „მწერალი არის ერთი თავის საზოგადოების წევრთაგანი, ერთი იმ პირთაგანი, რომლების კრებაც შეადგენს საზოგადოებას. ეს არის საზოგადოების ტანჯვის და შვების თანამგრძნობელი. რაში მდგომარეობს მისი ღვაწლი საზოგადოების წინ?—აჩვენოს საზოგადოებას თავისი აზრი ამ ნაკლულევანების შესახებ, უჩვენოს იმგვარი საშუალებანი, რომლებიც მისი ფიქრით საუკეთესო არიან ამ ნაკლულევანების მოსასპობლად.“ [2]

[1] სიმ. ხუნდაძე, ნ. გ. ჩერნიშევსკი. 1929 წ.

[2] გ.—თელი (გ. წერეთელი), „ცისკარს“ რა აკაკანებდა? ჟურნ. „საქართველოს მოამბე“ № 5, გვ. 55, 1863 წ.

ამ პრინციპს ატარებდა გ. წერეთელი არა მარტო თავის კრიტიკულ წერილებში, არამედ ამავე პრინციპიალური საფუძვლებზე იყო აშენებული მისი მხატვრული შემოქმედებაც. გ. წერეთელი დარწმუნებული იყო იმაში, რომ მხატვრულ ლიტერატურას და საერთოდ ხელოვნების დარგს დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ქართული საზოგადოების წარმატების საქმისათვის; ხელოვნებისა და ლიტერატურის საზოგადოებრივი ფუნქცია ამ მხრივ გ. წერეთლისათვის გარკვეული იყო. ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებას, მას უნდა შეჰქონდეს ხალხში ცოცხალი აზრები და მოწინავე იდეები, იგი უნდა უნათებდეს საზოგადოებას გზას მომავალისაკენ. და მოუწოდებდეს არსებული ცხოვრების გარდაქმნისაკენ. ის რაც შეიძლება პუბლიცისტის მიერ დამტკიცებული და ნაჩვენები იქნეს ლოღიკურ არგუმენტაციებით, ხელოვნებამ უნდა გამოსახოს მიმზიდველი ფერადებით. აქ პოლიტიკასა და ხელოვნებას, პუბლიცისტიკასა და ესთეტიკის შორის შესაძლებელი არის ნათესაური კავშირი გაიდვას: ერთიც და მეორეც ერთ და იმავე იდეებს ემსახურება, მხოლოდ სხვადასხვა საშუალებებითა და მეთოდებით. ამრიგად გ. წერეთელმა გარკვევით შეიტანა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მომენტი ხელოვნებისა და ესთეტიკის დარგში. და უნდა ითქვას, რომ თვით გ. წერეთლის ლიტერატურული პროდუქციის ორი დარგი: პუბლიცისტიკა და ხელოვნება ერთნაირი იდეებით სულდგმულობდა, ერთი და იმავე მისწრაფებით იყო გაჟღენთილი. გ. წერეთელმა ამ მხრივ გაორება არ იცოდა: მისი იდეები და აზრები წითელი ზოლივით არის გატარებული ყველა მის ნაწერში; ხელოვნება და პუბლიცისტიკა ერთნაირად ემსახურებოდა ავტორის მთავარ მისწრაფებებსა და პროგრამას.

„მგზავრის წერილებში“ გ. წერეთელი ამბობდა: „ჩვენ არ უნდა ვამცირებდეთ უმაღლესს ჩვენს ამ სოფლად მოვლენასა ეგრეთის გულის განაზებითა და სისუსტით. რათ დავივიწყეთ ჩვენი მოვალეობა და მიზანი ჩვენისა სიცოცხლისა? განა ახლა ისეთი დრო არის, რომ ჩვენისთანა ახალგაზრდამ ეძიოს ბედნიერება თბილ საწოლში? ჯერ ხომ ერთი ნაბიჯი წინ არ წაგვიდგამს საწინააღმდეგოთ ქვეყნის დამაბრკოლებელ მიზნებისათვის? ჩვენ მხოლოდ ჯერ უნდა ვიბრძოდეთ პირისპირ ყოვლისა სიბოროტისა, უსამართლობისა და დაჩაგვრისა, ვიდრემდის არ ამოვთხრით ქვეყნათ ყოველსა ამა უწმინდურებასა ძირიანად. ვიდრემდის არ მიჰვფენთ მთლად საქართველოსა სწავლისა ნათელსა, არ განვაბნევთ ბნელსა და არ აღვადგენთ ჩვენს საზოგადოებასა, ესრეთ მწარეთ დაცემულსა“.

აქ გამოთქმული არის გ. წერეთლის საერთო მისწრაფებანი, რომელსაც იგი ხაზგასმით ატარებდა თავის პუბლიცისტურ ნაწერებშიაც.

ამრიგად მხატვრული ცხოვრების დანიშნულება და პუბლიცისტიკის მოვალეობა გ. წერეთლის განმარტებით, აუცილებლად ხვდება ერთი მეორეს. მაგრამ აქედან სრულიად არ გამომდინარეობს ის, რომ მხატვრული ლიტერატურა გაუთანასწორდეს პუბლიცისტიკას თავისი ფორმითაც: იდეური და მიზნობრივი ნათესაობა სრულიად არ ნიშნავს მათი ფორმების, მეთოდებისა და ხერხების იდენტივობასაც. ეს კარგად ესმოდა გ. წერეთელს და ყოველთვის ცდილობდა მხატვრული ხელოვნების პრინციპისათვის არ ეღალატნა. მისი უმეტესი მხატვრული ნაწერი საკმაოდ გამართლებული არის ესთეტიური საზომითაც.

ამბობენ, გ. წერეთელი ღარიბი არის თემების მხრითო. ასეთი სიღარიბე დამახასიათებელია ყველა ჩვენი მაშინდელი მწერლისათვის, იმიტომ, რომ თვით ჩვენი სოციალური ცხოვრების სიღარიბე არ იძლეოდა ფართო გასაქანს მწერლისათვის; მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტურმა ურთიერთობამ შეანგრია ნატურალისტური მეურნეობის ფარგლები, ჩვენში ქალაქური წარმოება, მანქანური კულტურა და მასზედ აღმოცენებული მთელი საზოგადოებრივი შედეგები, ვერ განვითარდა თავისი შესაფერისი მრავალფეროვანების სახით. ამრიგად ჩვენმა ცხოვრებამ ვერ განიცადა ევროპიული ტემპი და სიმძაფრე განვითარებისა, ვერ განიცადა მისი მრავალფეროვანება და დიფერენციაცია. ცხადია ეს გარემოება თავის დაღს ასვამდა მწერლის ნაწარმოებს მასალის შერჩევის საქმეშიაც.

მაგრამ მაშინდელ ობიექტურ-ისტორიულ პირობების მიხედვით გ. წერეთლის მიმართ თემების სიღარიბეზე ლაპარაკი, უსაფუძვლოა: გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მე-19-ე საუკუნის არც ერთ ჩვენ მწერალს იმდენი თემა არ დაუმუშავებია, როგორც ეს შესძლო გ. წერეთელმა.

ამ მწერალს ახასიათებდა სოციოლოგიური პრინციპის შეტანა ლიტერატურაში. მან, როგორც მოაზროვნე მწერალმა, ღრმად გაითვალისწინა ჩვენი საზოგადოების ისტორიული განვითარების გზები და თავისი მხატვრული შემოქმედების შინაარსიც ამ ვითარებას შეუწონა. მან ნათლად შეიგნო, რომ ძველი ნატურალური მეურნეობის რღვევით საქართველოში უკვე დაიწყო კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება, რომ ამ დიდ საზოგადოებრივ-ეკონომიურ პროცესს თან მოსდევდა ღრმა ცვლილებები სოციალურ ურთიერთობაში, წოდებათა დამოკიდებულებაში, რომ ეს პროცესი იწვევდა ახალი კლასების წარმოშობასა და იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავებას სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის. აი ჩვენი ცხოვრების ის მოვლენები, რომელიც გ. წერეთელის მხატვრული შემოქმედების თემებად გადაიქცა; ეს იყო ჩვენი ისტორიული ცხოვრების აქტუალური

საკითხები, მისი შინაგანი განვითარების ძირეული მოვლენები; ამ ძირეულ ისტორიულ პრობლემებიდან წარმოსდგა გ. წერეთლის შემოქმედების თემატიკაც. ერთი მხრივ, რღვევა ნატურალურ პატრონყმური მეურნეობისა, და მეორე მხრივ კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილების განვითარება—აი ამ ისტორიულ-საზოგადოებრივ ფონზედ არის აშენებული გ. წერეთლის მთელი მხატვრული ნაწერები. მაგრამ იგი ნატურალური მეურნეობისა და პატრონყმური ურთიერთობის რღვევას ასურათებს არა ერთი რომელიმე მომენტის აღებით, არამედ მთელი თავისი ისტორიული შინაარსით: ეკონომიური, სოციალური და იდეოლოგიური ვითარების დახასიათებით. ასევე იქცევა კაპიტალიზმის განვითარების შესახებაც: აქ იგი მხატვრულ ფონზე გვიშლის ძველი წყობილების რღვევის პროცესთან ერთად ახალი ურთიერთობის გახვითარების პროცესსაც მთელი თავისი საზოგადოებრივ-იდეოლოგიური სახეებით.

გ. წერეთელი ისტორიულ ცხოვრებას გვისურათებს დინამიკაში: მის მხატვრულ ტილოზე გადატანილი არის ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობიდან ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის წარმოშობის პროცესი. აქ არის გ. წერეთლის როგორც მხატვარის სიძლიერეც, ისე მისი სისუსტეც; სიძლიერე იმიტომ, რომ იგი სოციოლოგიური მეთოდით არის შეიარაღებული და საზოგადოებრივ ცხოვრებას ასახავს თავის ისტორიულ განვითარების პროცესში—საზოგადოებას მთლიანად აღებულს ყველა თავისი მოვლენებითა და შინაარსით, სისუსტე—იმიტომ, რომ ასეთი გრანდიოზული, მრავალსახიანი თემის დამუშავება და მხატვრულ ფერადებში ასახვა ხანგრძლივ დროსა და დიდ დაკვირვებას მოითხოვს.—მხატვრულად გადმოცემა საზოგადოების მთელი ისტორიული ვითარებისა, მისი გადასვლა ერთი სამეურნეო საზოგადოებრივ ფორმაციიდან მეორეში—დიდ ენერგიასა და ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს. გ. წერეთელი, დატვირთული მრავალგვარ საზოგადოებრივ და კერძო საქმეებით, ხშირად ვერ ახერხებდა სათანადო ყურადღების მიქცევას მხატვრულ მხარისათვის,—აქედან წარმოსდგა საფრთხე გ. წერეთლის მხატვრულ ნაწერებში პუბლიცისტიკის შეჭრისა: უკეთ რომ ვსთქვათ, ხელოვნების პუბლიცისტიკამდე დაყვანისა. უნდა ვსთქვათ, რომ ზოგ ნაწერში გ. წერეთელმა შესძლო ამ საფრთხის თავიდან აცილება. აკაკი წერეთელი სრულიად საფუძვლიანად სწერს თავის მოგონებებში; „მის (გ. წერეთლის) შრომას ორგვარი ბეჭედი აზის: ზოგს ნიჭისა და ზოგს მოქანცვის.“ [1]

[1] აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწერები. ტ. I.

შეიძლება აქ ერთგვარი შედარება გავიყვანოთ გ. წერეთლისა და ილ. ჭავჭავაძის მხატვრული პროდუქციის შორის.

ილია ჭავჭავაძე აუცილებლად დიდი მხატვარია და იმავე დროს რეალისტური სკოლის მიმდევარიც, მაგრამ მას აკლია ის, რაც ახასიათებს გ. წერეთელს—თემების ისტორიული პერსპექტივის ფონზე გაშლა. ილია ჭავჭავაძეს ახასიათებს თემის ან მასალის შემოფარგვლა, მაგრამ იმავე დროს მისი სიღრმით გაქანება; გიორგი წერეთელი ხასიათდება თემის ფართოდ გაშლითა და შინაარსის მრავალფეროვანებით. ილია ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაში უფრო ფართოდ და სიღრმით არის გაშლილი ბატონყმური საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება, მაგრამ შემდეგი ეპოქა ჩვენი საზოგადოებრივი წყობილებისა ერთობ მკრთალად არის გადმოცემული მის ნაწერებში. ამ მხრივ გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედების შინაარსი უფრო მდიდარია, მის მიერ მხატვრულ ტილოზე გადატანილი ქართული ცხოვრება მრავალფეროვანია.

მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება მათ შორის არსებული განსხვავება. ილ. ჭავჭავაძეს აკლია ისტორიულ-სოციოლოგიური მეთოდი ხელოვნებაში, გ. წერეთლის სიძლიერე სწორედ ამ მეთოდის შეთვისებაში და გამოყენებაშია. ილ. ჭავჭავაძე იღებს მთელ საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ რომელიმე კუთხეს, ან, თუ გნებავთ, მხარეს და მას შლის თავისი მხატვრული შემოქმედების ფონზე; ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების ტილოზე ვერ ხედავთ გადატანილს ცხოვრებას დინამიურ განვითარებაში; მის მიერ დასურათებული ცხოვრება სტატიკაში არის მოცემული და მისი ისტორიული პერსპექტივით გაშლა მას არ ეხერხება: მაგ. ილ. ჭავჭავაძემ დაგვისურათა ბატონყმური საქართველო: თქვენ აქ გრძნობთ მაგარი ხელით დახატულ ბატონყმურ საზოგადოებრივ ურთიერთობას უკვე თავის დაცემის პროცესში შესულს. ილიამ ეს ყოფა ასახა სიღრმითაც და მხატვრული სიძლიერითაც, მაგრამ ცხოვრება ხომ განუწყვეტელი მსვლელობაა წინ, იგი ხომ პროცესში იმყოფება! ბატონყმურ საქართველოს გვერდით და მის შიგნით ხომ არსებობდა ახალი ეკონომიური ფაქტორი და ახალი სოციალური ძალა, რომელიც ძირს უთხრიდა ბატონყმურ საქართველოს და გზას იკაფავდა მომავალისათვის. ი. ჭავჭავაძე თითქოს ვერ გრძნობს ცხოვრების ამ პროცესს: მის ნაწარმოებში არსად არ სჩანს, თუ რღვევის პროცესში მყოფი ბატონყმური საქართველო როგორ გადადის სხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობაში. ჩვენი ცხოვრების ეს ღრმა მნიშვნელობის პროცესი შეუმჩნეველი დარჩა ილია ჭავჭავაძის მხატვრული ინსტინქტისათვის. თუ ერთი მხრივ თქვენ გრძნობთ ილიას

ნაწერში სიძლიერით დახატულ დაცემულ ბატონყმურ საქართველოს, მეორე მხრივ, არსად სჩანს საქართველო ძველი წყობილების შემცვლელი, საქართველო მშობიარობის, ზრდისა და განვითარების პროცესში მყოფი, საქართველო ძველი წყობილებიდან ამომავალი: ეს მეორე საქართველო—საქართველო კაპიტალისტურ ურთიერთობის განვითარების გზაზე მდგარი—ი. ჭავჭავაძემ ვერ დაინახა და შეიძლება არც უნდოდა დაენახა. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ ილია ჭავჭავაძე საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ ერთ კუთხეს იღებს და მას გვისურათებს მხოლოდ სტატიკაში. ეს უმთავრესად აიხსნება მით, რომ ილ. ჭავჭავაძეს არა აქვს ისტორიულ-სოციოლოგიური მეთოდი შემუშავებული, იგი ისტორიულ ფაქტიდან კი არ გამოდის, არამედ წინასწარ განსაზღვრული იდეით მიდის ისტორიულ ფაქტთან; ამიტომ ფაქტი კი არ იშლება ისტორიულ განვითარების ფონზე, არამედ—წინასწარ შემუშავებული გეგმების მიხედვით ისახება მის შემოქმედებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია „ოთარაანთ ქვრივი.“ ეს ნაწარმოები რეალისტური ხასიათისაა, მაგრამ უაღრესად ტენდენციური. ილ. ჭავჭავაძის მხატვრული დიდი ნიჭი თითქოს ფარავს ამ ტენდენციას და ამ ნაწარმოებს გვიდგენს როგორც ჩვენი ცხოვრების რეალურად ამსახველს. მაგრამ ეს სწორი არ არის. ილ. ჭავჭავაძე 80-იან წლებში გარკვეული სოციალური სოფლმხედველობის მატარებელი იყო; მან უკვე შეიმუშავა წოდებათა შორის თანამშრომლობისა და „ჩატეხილ ხიდის“ გამართელების თეორია. იმ წინასწარი შემუშავებული სოციალური თეორიით შეუდგა იგი ჩვენი ცხოვრების ასახვას და გამოცდილი ოსტატის ხელით ააშენა ამ თეორიის გამამართლებელი სურათები. მაგრამ მის მიერ დასურათებული „ცხოვრება“ არ შეესაბამებოდა რეალურ სინამდვილეს. ეს გარკვეული იდეების მიხედვით ასახული ცხოვრება იყო, მაგრამ არა რეალური ცხოვრება თავისი დინამიური განვითარებითა და სოციალური ურთიერთობით. მართლაც, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ პერიოდში წოდებათა შორის დამოკიდებულება უფრო გამწვავდა, გლეხისა და მემამულეების ინტერესები რეალურად დაუპირისპირდა ერთი მეორეს რაც ხშირად ხელჩართულ ბრძოლის ხასიათსაც ღებულობდა: ისტორიული სინამდვილე „ჩატეხილ ხიდის“ გამართელების გზით კი არ მიდიოდა, არამედ მისი გაღრმავებისა და წოდებათა წინააღმდეგობის გამწვავებით. „ოთარაანთ ქვრივი“ ილ. ჭავჭავაძის სოციალურ ფილოსოფიას უფრო გამოხატავდა. ვინემ ჩვენი რეალური ცხოვრების ისტორიულ ვითარებას. მაგრამ სად არის ი. ჭავჭავაძის ნაწერებში ასახული ის საზოგადოებრივი ურთიერთობა და ეკონომიური ცვლილებანი, რომელიც

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ პერიოდში განიცადა საქართველომ? იგი არსად სჩანს და მისი გადმოცემისათვის არც უზრუნვია ავტორს იმიტომ, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა ავტორის მისწრაფებებს.

სულ სხვა მეთოდი აქვს მხატვრულ ლიტერატურაში გამომუშავებული გ. წერეთელს. ისტორიულ-სოციოლოგიური მეთოდი გ. წერეთელს საშუალებას აძლევდა „ცხოვრება“ დინამიურობაში გაეშალა: ის უაღრესად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ბატონყმურ მეურნეობის რღვევით ნიადაგი ეყრებოდა კაპიტალისტურ საქართველოს; უკეთ რომ ვსთქვათ, კაპიტალისტურ ურთიერთობის განვითარების პროცესებით იყო გამოწვეული ბატონყმური საქართველოს რღვევის აუცილებლობა. აქ ჩვენი ცხოვრება ნათლად ისახება ისტორიულ ფონზე გადაშლილი; ძველი საზოგადოებრივი ფორმების სიკვდილისა და დაშლის პროცესთან ერთად ისახება და ვითარდება ახალი ფორმები, ახალი საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი: ძველ სამეურნეო ცხოვრებიდან ახალი ეკონომიკა ვითარდება, ძველ სოციალურ კლასებს ახალი კლასები უპირისპირდება; ძველი იდეოლოგია—ახალი იდეოლოგიით იდენება. ეს ძველი და ახალი საქართველოს სურათები თავის დაშლისა და განვითარების ფონზედაა ასახული.

ჩვენ ვიტყოდით უფრო მეტს—გ. წერეთლის მხატვრული ნაწერების მიხედვით შესაძლებელი არის მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიული ცხოვრების გადმოცემა. ბევრს, ალბად, ეს ჩვენი მოსაზრება გადაჭარბებულად ეჩვენება; მაგრამ ვინც გულდასმით და ობიექტურად გაეცნობა საკითხს, იგი არ შეიძლება არ დაეთანხმოს ჩვენს მოსაზრებებს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ მისი ნაწერების მთავარი „მასალა,“ რომელიც ჩვენი რეალური სინამდვილიდან იყო ამოღებული; ბატონყმური საქართველო თავისი საზოგადოებრივი ურთიერთობით, მისი რღვევის პროცესები, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება, წოდებათა მდგომარეობა ამ ახალ პერიოდში, სხვადასხვა კლასების დამოკიდებულება ბატონყმობის მოსპობის საქმესთან, გლეხობის ბრძოლა მემამულეთა წინააღმდეგ და მათი პროლეტარიზაციის პროცესი, ბრძოლა მსხვილ თავადებსა და წვრილ აზნაურებს შორის, კაპიტალისტური კლასების განვითარება; ინტელიგენციის ახალი თაობის წარმოშობა და მისი იდეოლოგია; „თერგდალეულთა“ თაობის დაშლა და „ახალი ახალგაზრდობის ჩამოყალიბება; ჟურნალ-გაზეთების დაარსება და კულტურული ფონის განვითარება; ბრძოლა ბანკების გარშემო და სხვა მრავალი,—აი ის ნედლი, მაგრამ აქტუალური მასალა, რომელიც ახასიათებდა ჩვენი ცხოვრების მაშინდელ ისტორიულ ვითარებას და რომელიც მხატვრულად ასახა თავის ნაწერებში გ. წერეთელმა.

აღსანიშნავია გ. წერეთლის მისვლა მასალასთან. იგი ილია ჭავ-ჭავაძესავით არ თხზავს „რეალურ ცხოვრებას“ თავის წინასწარ შემუშავებული იდეების მიხედვით. გ. წერეთელი ეძებს ნამდვილ ისტორიულ ფაქტებს, კონკრეტ მოვლენებს და მას ამუშავებს შეფარდებით ჩვენი ცხოვრების საერთო ისტორიულ ვითარებასთან; ამ კონკრეტ მასალების მიხედვით იშლება დიდი ისტორიული ცხოვრების ფონი. უკვე ცნობილია, რომ გ. წერეთელმა „ჩ ვ ე ნ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ყ ვ ა ვ ი ლ შ ი“ მასალად აიღო თავისი ავტობიოგრაფიული ცნობები და გაშალა იგი ბატონყმურ ფონზე; „მ გ ზ ა ვ რ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ი“ ცნობილ კონკრეტ ისტორიულ ფაქტებზედ არის აგებული; აქ ტიპებად აღებულია ცნობილი ჩვენი მოღვაწეები, ხოლო მასალად — ცნობილი ისტორიული ფაქტები, რომლებშიაც თვით ავტორიც ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას; „გ უ ლ ქ ა ნ შ ი ა ც“ არა ერთხელ არის გადმოცემული ჩვენი მაშინდელი (60—70-იან წლების) ცხოვრების ცნობილი ფაქტები. ბრძოლა „თერგდალეულთა მემარცხენე და მემარჯვენე ბანაკთა შორის, რომლის შესახებაც ჩვენ ზევით ვწერდით, „გულქანში“ თითქმის ისტორიული დეტალებით არის გადმოცემული და რაც აღსანიშნავია, სწორი ციტატებიც კი მოყავს მაშინდელ კამათიდან ცნობილ პირებს შორის (ილ. ჭავჭავაძე, ნიკოლაძე). შეიძლება სხვა ნაწერების მიმართაც ასეთივე ანალიზი იქნეს გაკეთებული.[1] ამით მეტად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფაქტი მტკიცდება! გ. წერეთელი თავისებური „დოკუმენტალური რომანის“ დამწყებად უნდა ჩაითვალოს ჩვენში, მაგრამ მისი „დოკუმენტალისტობა“ მაინც თავისებურია: იგი კონკრეტ მასალას ანზოგადებს,

---

[1] „პირველი ნაბიჯის“ შესახებ კ. აბაშიძე სწერდა: „ყოველივე ეს გარეგანი შემთხვევა პირდაპირ მიგვითითებს ამა თუ იმ პირზედ, და ა მ რ ო მ ა ნ ი ს გ ა მ ო ს ვ ლ ი ს თ ა ნ ა ვ ე ყ ვ ე ლ ა მ თ ი თ ქ მ ი ს ე რ თ ხ მ ა დ ე რ თ ო ჯ ა ხ ზ ე დ მ ი ი ტ ა ნ ე ს ე ჭ ვ ი“ (იხ. „ეტიუდები“ ტ. II, გვ. 63.) ეს უფლებას აძლევს კიტა აბაშიძეს გ. წერეთელს რეპორტიორი უწოდოს. ბევრად უფრო სწორად სწერდა ბელეტრისტი თ ე ო ფ ი ლ ე ხ უ ს კ ი ვ ა ძ ე: „გ. წერეთლის ყველა ნაწერებს ერთი დიდი ღირსება ემჩნევა. ეს შესამჩნევი ღირსება მისი გონებითი ნაწარმოებისა გახლავთ ჩვენი ცხოვრების ცოდნა, მისი ავისა და კარგის გაგება და ამ ღირსების ანუ ნაკლის უმეტნაკლებობით სანატრელს სინამდვილით გამოხატვა. მთელს მის ნაწერებში ისეთი ლიტერატურული სიმართლე გამოჰკამკამებს, ისეთი სინამდვილითა და ცოცხალის ფაქტებით გემუსაიფებათ, რომ უნებლიეთ წარმოიდგენთ, თვალწინ მრავალ თქვენ ნაცნობებს, რომლებისაც მხოლოდ სახელები შეცვალეთ და დანარჩენი თვისება ავტორის გმირისა ყველაფერი თქვენს წინ მდგარს ნაცნობში იქნება თავმოყრილი... ბ. გ. წერეთლის ზოგიერთ ნაწერებში კი ხშირად შეხვდებით ისეთ სცენებს ან მოვლენის აღწერას, რომელიც მრავალჯერ გვინახავს და ნამდვილ მომქმედ პირებსაც ვიცნობთ.“ (იხ. თ. ხუსკივაძე, „პირველი ნაბიჯი“— გვ. 15—16, 1891 წ.)

უფარდებს საერთო ცხოვრების ვითარებას და ისტორიულად აშუქებს. მას კონკრეტი ფაქტი საერთო მოვლენის გამოხატულებად მიაჩნია და ამიტომ ფაქტიდან ფართო დასკვნამდე მიდის; ილია ჭავჭავაძე კი წინასწარ ჩამოყალიბებული იდეით მიდის ცხოვრებასთან და ფაქტებს ამ იდეების მიხედვით ამუშავებს, ე. ი. თხზავს.

გ. წერეთელს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა თავის თავზე, რომ იგი, „ნამდვილი, შეუფერავი რეალიზმის" განმმტკიცებელი იყო საქართველოში. ასეთი იყო ზოგადათ გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედების ხასიათი. გ. წერეთლის მხატვრული სოფლმხედველობა და ლიტერატურული მოღვაწეობის მნიშვნელობა შეიძლება სამ მუხლში ჩამოყალიბდეს:

1. ესთეტიკის თეორიაში მან რუსეთის 60-იანი წლების ახალი აზროვნების ზეგავლენით უარყო ძველი შეხედულება და განამტკიცა ჩვენში ხელოვნების უტილიტარული თეორია, რომელიც ცხოვრების სამსახურისაკენ მოუწოდებდა ხელოვნებას. ხელოვნება არა ხელოვნებისათვის, არამედ ცხოვრებისათვის — ასეთი იყო გ. წერეთლის ესთეტიური შეხედულება. აქედან გამომდინარეობდა გ. წერეთლის მეორე შეხედულება: ხელოვნება რომელიმე გარკვეულ იდეას და პროგრამას უნდა ემსახურებოდეს, ე. ი. ხელოვნება და პოლიტიკა განუყრელად უნდა დაუკავშირდეს ერთმანეთს.

2. ლიტერატურული მიმართულების მიხედვით — გ. წერეთელი „შეუფერავი, ნამდვილი რეალიზმის" მიმდევარი იყო. ხელოვნებამ უნდა გამოხატოს ნამდვილი, რეალური ცხოვრება თავის ისტორიულ განვითარებაში მოცემული. მხატვარი უნდა სწავლობდეს ამ ცხოვრებას და ნამდვილ ისტორიულ ვითარების მიხედვით უნდა შლიდეს ცხოვრების ფონს. ამმხრივ გ. წერეთლის მხატვრული ალღო ცხოვრების დამახასიათებელ აქტუალურ მასალებისა და თემების გამოძებნაში აუცილებლად ღირსშესანიშნავია. ამ ხაზით მას ვერავინ ვერ შეედრება. გ. წერეთელმა შესძლო ჩვენი ისტორიული ცხოვრების ვითარების გადატანა ფართო მხატვრულ ფონზე.

3. ლიტერატურული მეთოდების მიხედვით იგი სოციოლოგიურ თვალსაზრისზე დგას. გ. წერეთელი — სოციოლოგ ბელეტრისტად უნდა ჩაითვალოს ჩვენში.

5

ახლა განვიხილოთ გ. წერეთლის სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური სოფლმხედველობა. ზევით ჩვენ მოვიყვანეთ თვით გ. წერეთლის მიერ დასახული პროგრამა, რომელსაც გ. წერეთელი და მისი ახალი ჯგუფი ემსახურებოდა 60-იან წლებში. თავისი კლა-

სიურ მნიშვნელობით ეს პროგრამა ბურჟუაზიული შინაარსისა არის, მაგრამ უფრო რადიკალური და დემოკრატიულია თავის მეთოდებში. ეს არც გასაკვირველია, იმ პერიოდში, როდესაც საქართველო ახლად გამოდიოდა ბატონყმური მეურნეობის ურთიერთობიდან — დემოკრატიზმი და რადიკალიზმი ისტორიულ-ობიექტურ პირობების გამო ბურჟუაზიული შინაარსის მატარებელი იყო. ეს ცნებები იმ ჟამად ჯერ კიდევ განუყრელი იყო! ისინი ავსებდენ ერთიმეორეს და არსებითად ახალ საზოგადოებრივი ურთიერთობის ანარეკლს წარმოადგენდენ. გ. წერეთლის პროგრამაც ახალი ეპოქის ნაყოფი იყო და მასთანვე დემოკრატიულ და რადიკალურ მისწრაფებების მატარებელი. ეს დემოკრატიზმისა და რადიკალიზმის პრინციპები გ. წერეთელმა იმავე 60-იანი წლების რუსეთის ახალთაობის აზროვნებიდან ისესხა და თავისი დაუღალავი ენერგიით ცდილობდა ეს იდეები დაედვა ჩვენი ახალი თაობის ინტელიგენციის სამოღვაწეო პროგრამის საფუძვლად. უნდა ვთქვათ, რომ მისი რედაქტორობით გამოცემული გაზ. „დროება“ (1866 წ.) უშესანიშნავეს ეპოქას წარმოადგენდა ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიაში. ეს გაზეთი იყო ნამდვილი დემოკრატიული მისწრაფებების გამომხატველი, ჩვენი ინტელიგენციის რადიკალურ მისწრაფებათა გამნაღდებელი. 1868 წ. მისივე რედაქციით გამოცემული „სასოფლო გაზეთი“ გაღრმავება იყო იმ პროგრამისა, რომელიც წამოაყენა განსახორციელებლად „დროებამ,“ „სასოფლო გაზეთი“ პირველი პოპულარული საგლეხო გაზეთი იყო საქართველოში გამოცემული, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი გლეხის დახმარებასა და მის გონებრივ განვითარებას. 1861 წლიდან ჩვენში „გუთნის დედაც“ გამოდიოდა, მაგრამ ეს „სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობის“ გაზეთი არსებითად მემამულეთა ორგანო იყო. გ. წერეთელმა არა მემამულე, არამედ გლეხი გაიხადა თავის სამოღვაწეო საგნად და ამ მიმართულებით მისი მოღვაწეობა მართლაც აღსანიშნავია. ჟურნ. „კრებულის“ გამოცემით (1871—73 წ.) გ. წერეთელმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადასდგა ჩვენი ჟურნალისტიკის განვითარების ისტორიაში. ეს ორგანო ფაქტიური დამატება იყო გაზ. „დროებისა“ და იგი უფრო საფუძვლიანად და თეორიულად არკვევდა იმ პროგრამას, რომელიც ამ გაზეთმა წამოაყენა.

გ. წერეთლის დემოკრატიული მისწრაფება, უწინარეს ყოვლისა, ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხატა. „დროების“ პირველსავე ნომერში იგი სწერდა: „იცი, მკითხველო, რაში მოვიპოვე მე ჩემი სიჭაბუკე?—გლეხების განთავისუფლებაში. დიახ, იმ დროიდან, როდესაც ჩვენ დაჩაგრულ ძმებს მივეცით დიდი

ხნიდან დაკარგული სიმართლე, იმ დღიდან წარმომიდინდა ჩემი ახალი წყარო ჭაბუკობისა და შენიც უფრო ნათელი, ღონიერი და უფრო სამართლიანი წყარო ცხოვრებისა". [1] მეორე წერილში იგი ბაზგასმით აღნიშნავს, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ჩვენი ინტელიგენციის უმთავრეს მოვალეობას შეადგენს გააუმჯობესოს უმიწაწყლო გლეხის მდგომარეობა და გამოიყვანოს იგი მატერიალურ და გონებრივად ჩამორჩენილობიდან.

როგორც დავინახეთ, გ. წერეთელმა გარკვევით შეიგნო ბატონყმურ მეურნეობის რღვევის აუცილებლობა და ამ საზოგადოებრივი წყობილების შეუსაბამობა ჩვენი ცხოვრების წინმსვლელობასთან. მეორე მხრივ გ. წერეთელი ნათლად ხედავდა ახალი სამეურნეო პერიოდის დასაწყისს საქართველოში, ვაჭრობის, მრეწველობისა და აღებ-მიცემობის ჩქარი ტემპით განვითარებას. გ. წერეთლის სიმპატიებიც ამ მეორე პროცესისაკენ იყო მიმართული. იგი გრძნობდა, რომ ახალი სამეურნეო ცხოვრების მეთაურად ვერ გამოდგებოდა ქართველი თავად-აზნაურობა, რომ მას ახალი საზოგადოებრივი წრე უნდა გამოსჩენოდა ხელმძღვანელად. ამ წრეს გ. წერეთელი ახალ სოციალურ ფენებსა და ახალი თაობის ინტელიგენციაში ხედავს. იგი სწერდა: „ამ წოდების (თავად-აზნაურობის) ოდენი უზნეობა და ქვეყნის გამცემობა არც ერთ წოდებას არ მიუძღვის. ძველთაგანვე დაწყებული ჩვენი ქვეყანასულ ამბოროტ წოდების უსამართლობით იყო დაღუპული... დროთა ვითარებამ ისინი (თავად-აზნაურობა) მშრომელი ხალხის კისრიდან გადმოასკუპა, დასვა ცარიელზედ და უთხრა—აწ შენი ოფლითა და მკლავით იშრომევო; გაფუჭებული და ღონე გამოლეული ჩვენი თავად-აზნაურობა დარჩა ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაში: შრომა იმას არ შეუძლია, სწავლა და მოხერხება არა აქვს. ამის გამო ის თანდათან ღარიბდება, საშუალება ხელიდან ეცლება და თანდათან ჰქრება მისი სახელწოდებაც. ამ გარემოებაში მოგებული დარჩა ის უმთავრესი ნაწილი ხალხისა, რომელიც ძველთაგანვე გაჭირვებაში და შრომაში იყო გაწაფული. მომავალიც ამ ჯანით ღონიერს ხალხზე ტრიალებს და იმდენი შეგნებითი კარგი თვისებაცა აქვს, რომ მიუცილებლად ბურთი და მოედანი იმას დარჩება. მით უფრო სარწმუნოა ეს ამბავი, რომ ამ ქორფა ხალხის ნამდვილ შვილებათ და მომავალთ სთვლის თავის თავს ის გონება გახსნილი მშრომელი ახალგაზრდა, რომელსაც სულ პირველად ქვეყნის ბედნი-

[1] იხ. ფელეტონი, „მათუსალას აღსარება",—„დროება" № 1, 1866 წ.

ერება და მთელი ერის კეთილდღეობა აქვს წინ წამოყენებული. ამ სახით ჩვენი თავად-აზნაურობის დასუსტება, დაქვეითება და მუშა ხალხის სულის ჩადგმა, იმისი წინ წამოწევა,—აი დიდად სანუგეშო ნიშანთაგანი ამ დროებისა. მაშ გაუმარჯოს მშრომელს ერს და იმის მოთავეს მშრომელს, განათლებულს ახალგაზრდობას. ჩვენი ქვეყნის ბედნიერება შემდეგში მათ ერთმანეთთან დაკავშირებაზე და მეგობრობაზეა დამოკიდებული".[1]

ასეთი არის ის დემოკრატიული შეხედულებანი, რომელიც გატარებულია გ. წერეთელის 60—70-იანი წლების პუბლიცისტურ წერილებში. ბრძოლა დემოკრატიისათვის და დემოკრატიული წყობილებისათვის გ. წერეთლის პოლიტიკური აზროვნების ქვაკუთხედს წარმოადგენდა, ერთ ხელმოუწერელ წერილში ავტორი სწერდა: „რომელ ხალხსაც სრული თავისუფლება არა ჰქონია, იმას თავის დღეში ვერა გაუკეთებია რა ქვეყნისათვის. მაგრამ რომელი ხალხიც მომეტებულად თავისუფალი ყოფილა, ის მომეტებულად განათლებული, ბედნიერი, სამართლიანი და მოსიყვარულე ყოფილა... როგორც მცენარე ვერ აყვავდება უმზეო და უჰაეროდ, ისე ის (ხალხი) ვერ გაიშლება წელში, თუ თავის თვალის წინ ვერ ჰხედავს გაშლილს თავისუფლებას, სადაც ყველა კაცი თავისთავის მეფეა და იმის პიროვნებას ვერა შემოხღუდავს რა".[2]

ასე სწერდა გიორგი წერეთელი თავისუფლების მნიშვნელობისა და დემოკრატიზმის შესახებ 60-იან წლებში და ასეთი აზრები ფართოდ არის გატარებული მთელს მის ნაწერებში. მაგრამ მისი დემოკრატიზმი ნაროდნიკულ აზროვნების ელფერსაც ატარებს: არა მარტო ფართო მშრომელი მასისთვის სამსახური, არა მარტო ვალის მოხდა გაღატაკებული გლეხების წინაშე, არამედ ხალხზე დაყრდნობაც და მათი საშუალებით ბრძოლა ახალ ცხოვრებისათვის, აი რაში გამოიხატებოდა გ. წერეთლის დემოკრატობა. „მგზავრის წერილში" ავტორი სწერდა: „ხალხი ყველგან და ყოველს ჟამს მკვირცხლგონებიანია. იმის მღვიძარე გრძნობას არ დაემალება ყოველნაირი ცუდი მხარე საკუთარი ცხოვრებისა. რამდენადაც უფრო მავნებელია ერის ცხოვრებისათვის რომელიმე ქვეყნის დაწესებულება, იმდენად აღელვებულია იმისი აზრი, რომელიც ამ შემთხვევაში ეძებს საშუალებას, რომ ამ ცუდის დაწესებულებისაგან თავი დაიხსნას.[3]

---

[1] გ. წერეთელი, ამ დროის მოძრაობა,—„კრებული" № 3, გვ. 222 — 31 1873 წ.

[2] „რამოდენიმე აზრი ჩვენს ცხოვრებაზე"—„დროება" № 25, 1868 წ.

[3] გ. წერეთელი, თხზულებანი—278, 1926 წ.

მაგრამ თუ, ერთი მხრივ, გ. წერეთლის პოლიტიკური აზროვნება დემოკრატიზმისა და რადიკალიზმის გზით მიემართებოდა, მეორე მხრივ, იგი ღრმად იყო დარწმუნებული ვაჭრობა-აღებ-მიცემობისა და მრეწველობის განვითარების აუცილებლობასა და საჭიროებაში. პროცესი ჩვენი ეკონომიური განვითარებისა კაპიტალისტურ ურთიერთობისაკენ თავიდანვე გათვალისწინებული ჰქონდა გ. წერეთელს. ერთ თავის წერილში იგი სწერდა: „ჩვენი ახლანდელი სოფლებიც—გლეხი და მეპატრონე ყველანი ამჟამად ითხოვენ ფულს. ვაჭრებმა ეს შეიტყვეს და ერთ მანეთზე მანეთის სარგებელს იღებენ. ამ სახით ყოველი მიწის მუშა შეიქნა ვაჭრის მოხარჯე: ის ყოველ მანეთზე, მანეთის ხარკს ითხოვს სარგებლის სახით. ამ სახით მიწაზე დამოკიდებული ბატონყმობა ახლა შეიცვალა ფულზე დამოკიდებულს ბატონყმობით და უწინდელი ბატონები ყველანი მის ყურმოჭრილ ყმებად ხდებიან, მეც რომ არ ვთქვა, ამას ყოველი მიწის მომუშავე თვითონ ფიქრობს და გრძნობს. ცდილობს ამისთანა ხიფათში თავი არ გაჰყოს, მაგრამ ვერ მოუხერხებია“.[1] 1866 წ. ხელმოუწერელ წერილში იგი აღნიშნავდა: „ჩვენში კეთდებიან რამოდენიმე ფულის შქონებელნი პირნი მრავლის შრომით და მოღვაწეობით. ახლა ვხედავთ, რომ ამ სიღარიბის გზაზე ვდგევართ და რამოდენიმე დროს შემდეგ უეჭველად პროლეტარში ჩავცვივით“.[2]

გ. წერეთელი და დიდი ნაწილი 60-იანი წლების ახალი თაობის ინტელიგენციისა თუ ერთი მხრივ ნათლად გრძნობდა რომ ვაჭრობა-მრეწველობისა და აღებ-მიცემობის განვითარება ჩვენში აუცილებელი და სასარგებლოა, მეორე მხრივ, იგი ხედავდა, რომ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება საფრთხესაც წარმოადგენდა ხალხისათვის იმდენად, რამდენადაც ეს ურთიერთობა არღვევდა დაბალი წოდების ეკონომიურ საფუძვლებს და „პროლეტარში ჩაცვენით“ ემუქრებოდა ერის დიდ ნაწილს. ამგვარი ეკონომიურ-სოციალური შედეგების ეშინოდა ინტელიგენციას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ინტელიგენციას აფრთხობდა დასავლეთ ევროპის კაპიტალის შემოჭრა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში იმიტომ, რომ მისი წარმოდგენით ევროპის დაწინაურებული ქვეყნები თავიანთი ცოდნითა და ტექნიკით დაიმონებენ ჩვენს ქვეყანას და მას თავის საექსპლოატაციო ობიექტად გადააქცევენ. — ასე ფიქრობდა მაშინდელი ინტელიგენცია. იგივე გ. წერეთელი ამ საკითხის შესახებ სწერდა:

---

[1] „ორიოდე სიტყვა სასოფლო ბანკების თაობაზე“,—„სასოფლო გაზეთი“, № 11, 1871 წ.

[2] „დროება“, № 25, 1866 წ.

„გამოჩნდა, რომ რკინის გზა ყოფილა გამართული იმ განათლებული ხალხებისათვის, რომელთაც ნამუშევრისა და სხვა ნაწარმოების უმრავლესობა აწუხებდათ, შემოსატანი მოხერხებული გზა არ ჰქონიათ ჩვენში და თურმე რკინის გზა უნდოდათ გაემართათ, რომ შესძლებიყოთ იმათი შემოტანა და გასაღება, გამოჩნდა, რომ რკინის გზა გაკეთებულია ფულიან კაცებისა და ყოველნაირ ხელობაში გაწვრთნილ კაცებისათვის, რომელთაც მხოლოდ მასალა ჰკლებიათ თავის ქვეყანაში. მიწა ცოტა ჰქონიათ და ამის გამო, რაკი რკინის გზამ იმათ ჩვენი ქყეყნის გული გაუხსნა, ფუტკრებსავით უნდა შემოვიდენ და ყოველნაირი შეუმუშავებელი მასალა გაიტანონ, მიწები მოიპოვონ და იწყონ თავის ნახელავების მრავლება, ყიდვა და როგორც მდიდრები არიან, უნდათ კიდევ უფრო გამდიდრდენ. ამ შრომის ბრძოლაში ჩვენ რაღა შეგვიძლიან. იმათ აქვთ ფული, ჩვენ არა: იმათ აქვთ სწავლა ჩვენ არა. იმათ იციან ყოველნაირი ხელობა, ჩვენ კი არა ვიცითრა. იმათ აქვთ ქარხნები, ჩვენ კი არაფერი. მაშ გამოჩნდა, რომ ჩვენი რკინის გზა აპირებს ჩვენსავე ქვეყანაში უფულო, უსწავლელის, მოხელეობის უცოდნელის საქართველოს ანუ უკეთ ვთქვათ, კავკასიის ერების შებმას მდიდარ ევროპის ხალხებთან, რომელთაც აქვთ აუარებელი სიმდიდრე, საუკეთესო იარაღები, ყოველნაირი ხელობის სწავლა, დიდი მეცნიერება და ამის შემდეგ შენ თვითონ გამოიცან, მკითხველო, ვის დარჩება ბურთი და მოედანი შემდეგში“. [1]

ამგვარად საქართველოში ევროპისა და რუსეთის კაპიტალის შემოჭრაში გ. წერეთელი დიდ ეკონომიურ საფრთხეს ხედავდა და ამიტომ ეძებდა საშუალებას ამ საფრთხიდან თავის დასასხნელად. ამ შემთხვევაში იგი პრინციპიალურად კი არ ებრძოდა კაპიტალიზმსა და კაპიტალისტურ ურთიერთობას, არამედ რუსეთისა და ევროპიულ სახელმწიფოთა, თუ შეიძლება ასე ითქვას, კაპიტალისტურ პოლიტიკას უარყოფდა. მაგრამ როგორი საშუალებით ფიქრობდა გ. წერეთელი ევროპის კაპიტალის მავნე მხარეების წინააღმდეგ ბრძოლას საქართველოში, როგორი იყო ამ მხრივ მისი პრაქტიკული ღონისძიებანი?—მისი ეკონომიური პროგრამა ეროვნული კაპიტალის განვითარებაში გამოიხატებოდა. „თუ გვინდა თავიდან ავიცდინოთ სხვა ქვეყნების ეკონომიური მონობა და ექსპლოატაცია,—ამბობდა გ. წერეთელი—ჩვენ უნდა ვებრძოლოდ მათ იმავე იარაღით, როგორითაც ის გვიპირებს ჩვენ დაპყრობას. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, სწავლა-განათლებისა და მეცნიერების გავრცელება, ტექნიკის გაუმჯობესება - არის ის საშუალებანი, რომლითაც უნდა შეიარაღდეს ქართველი ხალხი და დაიცვას თავი უცხო კაპიტალის შემოტევისაგან.“

[1] გ. წერეთელი, საამხანაგო ბანკები. „კრებული“ № 8—9, 1872 წ.

იმავე წერილში. გ. წერეთელი სწერდა: „მით უფრო ღრმად გვმართებს მოსაზრება, რომ როგორმე უეცრად, მოვარდნილს ღვარს ჩვენი საერთო სახლ-კარის საძირკველი არ გამოვათრევინოთ; ესენი ქვიტკირის კედლით შევიზღუდოთ თავი, რომ მაგარი ბურჯები ჰქონდეს, არ აგვატივტივოს და ქვეყნის მორევში არ ჩაგვიტანოს—ამისთანა მკვიდრი კედელი ამჟამად უნდა იყოს ფ უ ლ ი ს გ ა ჩ ე ნ ა ჩ ვ ე ნ შ ი, რომ ყოველ კაცს ახალი საქმის დაწყებისათვის ხელი მოენაცვლებოდეს“.[1] მეორე წერილში იგი ამბობდა: „აწ რა რკინის გზა გაიხსნა, იმან მიუთითა საქართველოს ტომის ვაჭარს ხალხს ხელი ტფილისზე და უთხრა: აი, შენი დედაქალაქი და საქართველოს ბურჯი გარეშე ხალხს ჩაუგდია ხელში. შენ ეს აქამდის არ იცოდი და რომ გცოდნოდა მაინც, აქამდის ვერას გაარიგებდი, აწ მიესიეთ და იჩინეთ თავი ტფილისის სავაჭრო ასპარეზზედ. ეხლა იქ არის ბურთი და მოედანი. დაიწყეთ ტფილისის სავაჭრო ბაზარში მიწოლა და ვაჭრობა. ისევ თქვენ დაირჩინეთ, უამისოდ ტფილისიც სამუდამოდ დაკარგულია და ქართლ-კახეთის მიწა-წყალიც დაღუპულია... მაშინ ჩვენი ცხოვრების ნაკადულიც ძალიან გადიდდება, იწყებს წარმატებით ჩქარა დენას და კეთილდღეობაც მოახლოვებულია“.[2]

ასე სწერდა გ. წერეთელი ნაციონალურ კაპიტალის განვითარების აუცილებლობისა და საჭიროების შესახებ. მისი ეკონომიური პროგრამა იმ პერიოდისთვის უაღრესად პროგრესიული იყო. ამ შემთხვევაში გ. წერეთელმა ღრმად განსჭვრიტა ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ისტორიული ვითარება და ისეთი ეკონომიური პროგრამა შეიმუშავა, რომელიც ძირეულად შეესაბამებოდა ქართველი ხალხის მოთხოვნილებებს, აქ გ. წერეთლის პირით ისტორიული სინამდვილე მეტყველებდა და იგი გამოხატავდა მშობიაროზის პროცესში მყოფ ქართველ ბურჟუაზიის სასიცოცხლო ინტერესებს. გ. წერეთელი შეგნებული წინამორბედი და მებრძოლი იყო ამ ახალი კლასისა. მისი იდეოლოგია ახალი, ბურჟუაზიული საქართველოს იდეოლოგია იყო, რომელიც ისახებოდა ახალ სოციალ-ეკონომიურ ცვლილებათა ნიადაგზე. მაგრამ რადგან ეს ახალი სოციალ-ეკონომიური ნიადაგი ჯერ კიდევ მშობიაროზის პროცესში იმყოფებოდა, ჯერ კიდევ განუვითარებელი და მოუმწიფებელი იყო, ამიტომ ასეთს პირობებში აღმოცენებული ბურჟუაზიული აზროვნება და იდეოლოგია თავისებური სახის მატარებელი უნდა ყოფილიყო, აღსანიშნავია სწორედ ის გარემოება, რომ გ. წერეთელი მხარს უჭერდა ასოციაციებსა და მეურნეობის კოლექტიურ ფორმებს. აქ მართლაც სჩანს ჯ. სტ. მილლის

[1] იქვე.
[2] გ. წერეთელი, ამ დროის მოძრაობა, „კრებული“ № 3, 1873 წ.

გავლენა. გარკვეული ენით რომ ვთქვათ, გ. წერეთელი მომხრე იყო კაპიტალიზმი ჩვენში კოლექტიურ ფორმებში განვითარებულიყო, ე. ი. მას სურდა კაპიტალისტურ ურთიერთობის განვითარებას მიეღო მშვიდობიანი და დემოკრატიული ხასიათი. ერთი მხრივ, მას აფრთხობდა ქართველი გლეხობის „პროლეტარიატში ჩაცვენის“ შიში, მასების გაღატაკება და ის უხეში მეთოდები, რომელსაც კაპიტალიზმი იყენებს თავის განვითარების დროს; მეორე მხრივ, ევროპის ცხოვრების შესწავლით გ. წერეთელმა კარგად იცოდა, თუ როგორ დიდ სოციალურ ბრძოლებს იწვევს წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის და ჰქმნის ანარქიას კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება ამ თუ იმ ქვეყანაში. აქედან შემუშავდა გ. წერეთლის ეკონომიური პროგრამა, ასე ვთქვათ, პროგრამა დემოკრატიული კაპიტალიზმის განვითარებისა საქართველოში,—კაპიტალიზმის, რომელსაც გ. წერეთლის წარმოდგენით დაკარგული ექნებოდა თავისი მკაცრი და უხეში სახე და რომელიც კოლექტიურ ასოციაციურ ფორმებში მოთავსდებოდა. ასეთი კაპიტალიზმი აგვაცდენს „პროლეტარიატში ჩაცვენას“ და მასში შესძლებს გაერთიანებას ჩვენი საზოგადოების ყოველი ცოცხალი ძალა: მუშა, გლეხი, ვაჭარი, მრეწველი, ინტელიგენტი და სხვა, ის იქნება უპროლეტარო კაპიტალიზმი, უფრო მშვიდობიანი და დემოკრატიული, ვინემ არის დასავლეთ ევროპაში. ასე ფიქრობდა 60—70-იან წლებში გ. წერეთელი. მისი აზროვნება სავსებით შეესაბამებოდა მაშინდელ პროგრესიულ-რადიკალური ინტელიგენციის მისწრაფებებს; ამ პროგრამაში დემოკრატიზმიც იყო დაცული და კაპიტალიზმიც, მშრომელი ფენებიც (გლეხი, მუშა, ინტელიგენტი) და ბურჟუაზიაც; ამ პროგრამით გ. წერეთელმა შეუკავშირა დემოკრატიზმი კაპიტალიზმს, მშრომელი მასა—ბურჟუაზიას; ასე შეადუღა გ. წერეთელმა ერთ სინტეზში სხვადასხვა მოვლენები და სოციალური კატეგორიები. ასე სურდა მას დაეკარგა კაპიტალიზმისათვის ანტაგონისტური და კლასიური ხასიათი და გადაექცია იგი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესიულ ძალების გამაერთიანებელ ფაქტორად. რასაკვირველია, ასეთი პროგრამა ყალბ სოციოლოგიურ საფუძველზე იყო აგებული: კაპიტალიზმის განვითარება უკვე გულისხმობს ანტაგონისტურ-კლასიურ საზოგადოებას, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის სოციალ-ეკონომიურ ბრძოლებს; რომ ინტელიგენციის სურვილისა და აზრების მიხედვით კი არ ვითარდება კაპიტალიზმი და მუშავდება მისი ფორმები, არამედ ისტორიულ აუცილებლობით, საზოგადოებრივი ცხოვრების შინაგანი კანონებით. გ. წერეთელი, რომელიც არ იცნობდა ამ კანონებს და სუბიექტური სოციოლოგიის ნიადაგზე იდგა,

ცდილობდა საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების განვითარებისათვის სასურველი შინაარსი და ფორმები მიეცა. ეს უტოპიური ცდა იყო; მაგრამ ეს ბურჟუაზიული უტოპიზმიც ახალი იდეოლოგიის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა: ამ უტოპიზმის ფორმაშიაც ნათლად სჩანდა ბურჟუაზიული პროგრამა და ბურჟუაზიული აზროვნება.

აღსანიშნავია გ. წერეთლის საბანკო პოლიტიკაც. როგორც ვიცით, ბატონყმობის მოსპობის შემდეგ დ. ყიფიანის მეთაურობით წამოყენებული იქნა სათავად-აზნაურო ბანკების დაარსების პროექტი. ამ პროექტის მეთაურთ სურდათ გაღატაკების გზაზე შემდგარი თავად-აზნაურობა ბანკების საშუალებით გადაერჩინათ სრულ განადგურებას და შეენარჩუნებიათ მათთვის ქონებრივ-ეკონომიური უპირატესობა. 70-იან წლების დასაწყისში ბანკების საკითხის გარშემო დიდი კამათი გაიმართა ქართულ პრესაში. ახალი თაობის ინტელიგენცია სხვანაირად უყურებდა ბანკის დანიშნულებას: მას არ სურდა წოდებრივ ფარგლებში მოექცია ბანკი და იგი ერთი წოდების ინტერესების დამცველად გაეხადა. გ. წერეთელს კარგა ესმოდა ბანკების მნიშვნელობა ეკონომიური ცხოვრების წარმატების საქმეში. იგი მთელი თავისი ენერგიით მხარს უჭერდა სასოფლო-სამეურნეო და „მოკლევადიან სამრეწველო ბანკების წესწყობილებას“. ამ საკითხშიაც გ. წერეთელი თავიდანვე დაადგა დემოკრატიულ გზას და მისი საბანკო პოლიტიკა არსებითად შეფარდებული იყო ჩვენი ცხოვრების სამრეწველო განვითარების საქმესთან.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსი არის გ. წერეთლის ეროვნული პოლიტიკა. 50—60—70-იან წლებში, როდესაც აღორძინება დაეტყო ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას და დაიწყო კაპიტალიზმის განვითარების პროცესი ჩვენში, გამოცოცხლება დაეტყო ბურჟუაზიულად განწყობილ ინტელიგენციის ეროვნულ მისწრაფებასაც; კლასიური ბრძოლის განვითარებასთან ერთად გაცხოველდა ინტელიგენციის ეროვნული შეგნებაც. 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ქართული ეროვნული პოლიტიკის შინაარსი რუსეთის ტახტისადმი ერთგულებასა და საქართველოსადმი სიყვარულში გამოიხატებოდა. თავად-აზნაურული ინტელიგენცია შეეზარდა რუსეთის სახელმწიფოებრივ აპარატს და მისი პოლიტიკის ერთგული დარაჯი გახდა საქართველოში. ასეთი იყო, მაგალითად, დიმ. ყიფიანის ეროვნული პოლიტიკა.[1] სხვა გზას დაადგა 60-იან წლების ახალთაობის ინტელიგენციის ზოგიერთი ნაწილი. ამ ინტელიგენციის ლოზუნგი იყო ეროვნული თავისუფლების მოპოება თვითმპყრობელობის დამხობის საშუალებით.

[1] იხ. ჩემი მონოგრაფია: „დიმიტრი ყიფიანი“.

იგი პრინციპიალურად არ იზიარებდა „ტახტთან“ თანამშრომლობას ან და მეფის ერთგულების პოლიტიკას; მისთვის მთავარი იყო ეროვნული თავისუფლების აღდგენა, როგორც გარანტია ხალხის ცხოვრების აღორძინებისა და ეკონომიური დამოუკიდებულობის მოპოვებისა; გ. წერეთელის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში ამ გზით მიემართებოდა. იგი უაღრესი დამცველი იყო ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობისა და დამოუკიდებლობის დემოკრატიულ-ფედერატიულ საფუძვლებზე. 1874 წ. ციურიხში მოწვეულ ა/კავკასიის მოღვაწეთა კონგრესზე გ. წერეთელი ატარებდა იმ აზრს. რომ საჭირო არის ამიერ - კავკასიის დამოუკიდებლობის მოპოვება და მტკიცე დემოკრატიულ-ფედერატიულ საფუძველზე აშენება სახელმწიფოებრივ მართვა - გამგეობის საქმისა ამიერ-კავკასიაში[1]. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გ. წერეთელი თავიდანვე დამცველი იყო ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობისა და თანამშრომლობის. 1879 წ. იგი სწერდა: „ჩვენ საქართველოს ხალხს და იმათს დაწინაურებულს კაცებს დღეს ბაირაღზე ეს უნდა გვეწეროს: ერთმანეთთან დახმარება, ერთმანეთის პატივისცემა. სამივე ერის (სომხების, ქართველების და თათრების.—ს. ხ.) გულისთვის ერთად ზრუნვა, ძმური კავშირი და საერთო ძალით იმ შინაური ცუდის გასწორება, რომელიც ასე აჩერებს ჩვენს კეთილ-მდგომარეობის გზაზე წინწასვლას... ეს სამი ტომი დღეს კავკასიის აქეთა მხარეში მკვიდრი მოსახლენი არიან, ერთმანეთის დახმარებით აშენდებიან, ერთმანეთის მტრობით კი დაიქცევიან“[2]. ასე სწერდა ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობისა და თანამშრომლობის შესახებ გ. წერეთელი 70-იან წლებში და ამ პრინციპისათვის მას არასდროს არ უღალატნია. მისი გაგებით ამ ერთა სოლიდარობა, თანამშრომლობა და შეთანხმებული მოქმედება იყო საუკეთესო გარანტია ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. როგორც ვიცით, ჟურნ. „ივერია“ ი. ჭავჭავაძის მეთაურობით და ქართველი თავადაზნაურობა ცხარე ბრძოლას აწარმოებდენ სომხობის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა არსებითად გამოხატავდა ქართველ თავად-აზნაურთა და სომხის ბურჟუაზიის კლასიურ ბრძოლას; გ. წერეთელი, როგორც ახალგაზრდა ქართველი ბურჟუაზიის წარმომადგენელი, თითქოს ვერ გრძნობდა 70-იან წლებში სომხის კაპიტალის წინააღმდეგობას; და იგი ფიქრობდა რომ, სომხისა და ქართველი ბურჟუაზია ინტელიგენციის ხელმძღვანელობით უნდა შეთანხმდნენ და ერთად დაიცვან თავიანთი ეკონომიური ინტერესები.

---

[1] იხ. Ив. Джабадари, Процесс 50-ти — „Былое“ № 9, 1907 წ.

[2] გ. წერეთელი, ჩვენ და ჩვენი დროება,—გაზ. „დროება“ № 16, 1879 წ.

როგორათაც არ უნდა ავხსნათ გ. წერეთელის პოლიტიკა ამ საკითხში, მაინც უნდა ვსთქვათ, რომ მას მხნეთ ეჭირა ხელში ეროვნული სოლიდარობის დროშა და თავგამოდებით იცავდა ამიერკავკასიის ერთა დაახლოებისა და დაძმობილების საქმეს [1]. ამ მხრივ მისი პოლიტიკა არსებითად განსხვავდებოდა ი. ჭავჭავაძის პოლიტიკისაგან.

6

90-იან წლებში გ. წერეთელმა ერთი მეტად საინტერესო პოლიტიკური ნაბიჯი გადასდგა: მან პოლიტიკური კავშირი დაიჭირა ახლად ჩამოყალიბებულ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებთან და ბოლოს მარქსიზმის დროშაც დაიჭირა ხელში. გ. წერეთლის ამ ნაბიჯმა ცხარე კამათი გამოიწვია მაშინდელ ქართულ პრესაში [2] და დღესაც იწვევს ერთგვარ გაუგებრობას; მართლაც საინტერესო საკითხი არის: რა მოტივები ამოძრავებდა გ. წერეთელს ამ ნაბიჯის გადადგმის დროსა და ნამდვილად ორტოდოქსალი მარქსიზმის მიმდევარი გახდა იგი 90-იან წლებში? ამ ნარკვევში მხოლოდ მოკლედ გავცემთ პასუხს აღნიშნულ კითხვას, შემდეგში, როდესაც გამოქვეყნდება გ. წერეთლის შესახებ მონოგრაფია, იგი უფრო ფართოდ და ღრმად იქნება გაშუქებული.

90-იან წლებში ჩვენ უახლოეს ისტორიის პერიოდში უმნიშვნელოვანეს ხანას წარმოადგენს. ამ ეპოქაში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ უკვე საგრძნობ დონეს მიაღწია. მთელი ამიერკავკასია კაპიტალისტური განვითარების მორევში მოჰყვა და მის მიერ გამოწვეული შესაფერისი ცვლილებების ნაყოფი უკვე საგრძნობი შეიქმნა.

კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას თან მოჰყვა პროლეტარული კლასის ჩამოყალიბება, რომელთა მოწინავე კოლონები უკვე გამოვიდენ სამოღვაწეო ასპარეზზე. ამრიგად 90-იან წლები იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ საგრძნობლად ამოძრავდა ჩვენი ცხოვრების ყველაზე უფრო მოძრავი საზოგადოებრივი ფენები: ამასთანავე ცხოვრების ახალ დუღილში, ახალი იდეოლოგია და ახალი აზროვნება ჩამოყალიბდა! პროლეტარული ფენების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლასთან ერთად საქართველოს ნიადაგზე საფუძველი ჩაეყარა მარქსისტულ მიმდინარეობასაც. ხოლო ამ მიმდინარეობის ჩამოყალიბება ნიშ-

[1] იხ. მისი წერილი: „ქართველობა და სომხობა"—„კვალი" № 15, 17, 21, 1893 წ.

[2] იხ. ლალისა და ა. ნა-ლის წერილები—1894—95 წლის „ივერიასა" და „მოამბეში".

ნავდა ცხარე იდეოლოგიური ბრძოლის გაჩაღებას სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის. მეორე მხრივ დეკადანსი დაიწყო ძველ ნაროდნიკულ იდეოლოგიაში: 70-იან წლებში ამოძრავებული [illegible] ბურჟუაზიული ინტელიგენცია დამარცხდა იდეოლოგიურადაც და ფაქტიურადაც, მან ვერ შესძლო ცხოვრების თავისი პრინციპებისა და პროგრამის მიხედვით გარდაქმნა; კაპიტალიზმის განვითარება უფრო მძლავრი აღმოჩნდა, ვიდემ ნაროდნიკების სამოღაწეო პროგრამა; ახალთაობის წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია ცდილობდა ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებების ახალი თვალსაზრისით შეფასებას და ახალი იდეოლოგიის შემუშავებას. აქედან წარმოსდგა ამ წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ნაწილის მარქსიზმით გატაცება.

1890 წ. ბათუმში ჩატარდა ქარხნის მუშების გაფიცვა. ეს იყო მუშათა პირველი ფართო გაფიცვა საქართველოში. ამავე პერიოდში იწყება მარქსისტული იდეების გავრცელება ჩვენში. ამ ორ ფაქტს შორის უნდა მომხდარიყო სრული შეთანხმება, მათი დაკავშირება, რადგან მარქსიზმის და მუშათა კლასის შეუღლება ისტორიულ ცხოვრების აუცილებელი კანონი. რასაკვირველია, ჩვენი ცხოვრების ვითარებაც ვერ ასცდებოდა ამ კანონს. თუ ერთი მხრივ მარქსისტული ინტელიგენცია ჯერ ფარულად და შემდეგ ლეგალურად გაზეთებში გაცხარებულ მუშაობას აწარმოებდა მარქსისტულ პრინციპების დასაცავად, მეორე მხრივ, მუშათა მოძრაობაც ისახებოდა და ამ სახით ორი საზოგადოებრივი ფაქტორი — მარქსისტული იდეოლოგია და მუშათა ფენები და მათი ორგანიზაციები შემდეგში შეკავშირებულად უნდა გამოსულიყო სამოღვაწეო ასპარეზზე.

გ. წერეთელს წილად ხვდა ამ ორი დიდი ფაქტის მშობიარობის პროცესის ახლო მეთვალყურე გამხდარიყო და შემდეგ მათი მზრუნველობაც ეკისრა.

ცნობილი არის გ. წერეთლის დამოკიდებულების ფაქტები ახალგაზრდა ს-დემოკრატიულ ინტელიგენციის პირველ მეთაურებთან.

ბათუმის მუშათა ამ პირველ მნიშვნელოვან გაფიცვას თვით გ. წერეთელიც ეხება ერთ თავის წერილში. ამ გაფიცვასთან რამდენადმე კავშირი ჰქონდა თვით გ. წერეთელსაც. ავტორი აღნიშნავს რა, რომ „ამ დროს როტშილდის ქარხანაში მუშაობდა რვა ათასი კაცი ყოველდღე“, შემდეგნაირად გადმოგვცემს აღნიშნულ გაფიცვის ვითარებას:

„1890 წლის მარტის თვეში ბათომში როტშილდის მუშებმა—ხუთასმა კაცმა—შეჰკრეს პირი და მუშაობას თავი დაანებეს, რადგან ქარხნის გამგებელმა ბ-ნ ზროდლოვსკიმ ქირა გაუნახევრა, ვითომაც

იმ გარემოების მიხედვით რომ კეროსინის ფასმა იკლო საზღვარგარეთო. ვისაც მანეთი ეძლეოდა, ათშაურზე ჩამოიყვანეს და ვისაც ორი მანეთი— ექვს აბაზზე. მუშები იყვენ სულ იმერეთ-სამეგრელოგურიიდან. ისინი ემუქრებოდენ ზროდლოვსკის ცემას. მან მიაშურა მაშინვე ბათომის სამხედრო გამგებელს, ნ. ერისთავს, რომელმაც ფიცხი განკარგულება მოახდინა: თუ მუშები არ დაიწყებენ კვლავ მუშაობას, პოლიციის ეტაპით უნდა განდევნილ იყვენ თავიანთ ქვეყნებში, ხოლო მუშების ამბუნტებელ მეთაურებს ეძებდენ დასაჭერათ. ამ დროს ქართველი მუშების არტელის დასაარსებლათ ვიყავით მიწოდებული ბათომში, და ასე, წირვის დრო იქნებოდა, რომ როტშილდის ქარხნის მუშები ერთიანათ შემოვიდენ ჩემი არტელის კანტორაში და მთხოვეს შუამდგომლობა გამეწია სამხედრო გუბერნატორის თანაშემწესთან, თ. ნ. ერისთავთან, როგორც ქართველ კაცთან. ისინი თხოვდენ მას პატრონობას როტშილდის ქარხნის უფროსის ზროდლოვსკის მიერ შევიწროებისაგან... მე მაშინვე წავყევი თ. ნ. ერისთავთან, რომლის სახლის წინ გამოჭიმული იყვენ რამდენიმე პოლიციის ბოქაული და დარაჯები. მუშა-ხალხი სახლის გალავნის გარეთ დადგა და მე შევედი თ. ერისთავთან მოსალაპარაკებლათ. ის ძალიან ცუდ-გუნებაზე დამხვდა და ჩემ კითხვაზე საშინელი ლანძღვა-გინებით მოიხსენია იმერელი მუშები: ვინც დღეს და ხვალ ბათომიდან არ წავა, ყველას სატუსაღოში ჩავყრიო... მე თქვენ გთხოვთ თავი დაანებეთ მაგათ პატრონობას, თორემ თქვენი მუშის არტელიც გაუქმდება და თქვენც მთავრობის წინაშე შენიშნული იქნებითო—მითხრა მან წყრომით... ყველა მიხდება, რასაც მაშინ ჩემი გული გრძნობდა. მუშებს ვუთხარი, ცუდათ არის საქმე მეთქი, ჰსჯობია ისევ შინ წადით და თოხს მოკიდეთ ხელი, თვარა აქ ყველას დაჭერას გიპირებენ-მეთქი.“ [1]

ასე მოხდა პირველი შეხვედრა გ. წერეთლისა ამოძრავებულ პროლეტარულ მასებთან, ერთი მხრით, მას როგორც მუშათა არტელის გამგეს, საშუალება ჰქონდა ახლო გასცნობოდა ქართველ პროლეტარიატის ეკონომიურ მდგომარეობას, მეორე მხრივ, იგი უშუალო მეთვალყურე გახდა პროლეტარულ-მასიურ მოძრაობის პირველ კოლონების გამოსვლისა ბრძოლის სარბიელზე. საქართველოს ამოძრავებული მასა, ალბათ, პირველად იხილა გ. წერეთელმა. იმავე წერილში იგი სწერს: „საქართველოს ხალხი, ეს უმრავლესობა ერისა, რომლისაგანაც საქართველო მოელის თავის აღორძინებას, უკვე შეძრულა და მას-

[1] გ. წერეთელი, ეგნატე ინგოროყვა, (წიგნში „ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა“) გვ. IX—XII, 1895 წ.

ში დაბადებულა უკეთესი ეროვნული და ეკონომიური იდეალები“ [1]. აი, ამ ახლად ამოძრავებულ საქართველოს უმრავლესობის გამოყენებას ცდილობდა შემდეგში გ. წერეთელი თავისი მიზნებისათვის. ეს ფაქტი აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული.

1893 წ. გ. წერეთლის მეთაურობითა და მისი უახლოესი თანამშრომლობით დაარსებული იქნა ახალი პროგრესიულ-დემოკრატიული ორგანო „კვალი“, რომელშიაც დაარსებიდანვე თავი შეაფარა ახალგაზრდა მარქსისტულმა ინტელიგენციამ (ე. ნინოშვილი, ხომლელი, ნ. ჟორდანია, ფ. მახარაძე და სხვა). შეიძლება ითქვას, რომ გ. წერეთელი თავიდანვე თანაგრძნობით შეხვდა ამ ჯგუფს და შეძლებისდაგვარად გაუხსნა თავისი ჟურნალის კარები. მაგრამ გ. წერეთელი მარტო თანამშრომლობით არ კმაყოფილდებოდა. იგი ცდილობდა იდეური ნათესაური კავშირიც გამოეძებნა ახალ მიმდინარეობასთან. უკვე ერთი წლის შემდეგ, 1894 წ. ე. ნინოშვილის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვების შესახებ გ. წერეთელი სწერდა: „ერთი რამ შესანიშნავი მოვლენა აღმოჩნდა ნინოშვილის დასაფლავებაზე. მის კუბოს გარს შემოკრბენ, ასე ვსთქვათ, მესამე დასი ახალგაზრდობისა, ესე იგი სულ უკანასკნელი წლების თაობა—ისინი, რომელნიც გამოსულან ასპარეზზე მეოთხმოც-და-ათე წლებიდან. ნამდვილი, ამათი მოთავე, ამათი სახელი და ამათი იმედი ყოფილა ნინოშვილი, რომლის ნაწერებშიაც ბრწყინავს ეს მესამე დასი, ახალგაზრდობის სულის მისწრაფება და მათი მოქმედების პროგრამა მომავალში. ისანი უარს ჰყოფენ ძველ ჩვენ ინტელიგენტებს—მეთაურებს და მათი მოქმედება უკვე მავნებლად მიაჩნიათ ჩვენი საზოგადოების წარმატებისათვის: ამ დასში არიან მრავალი სოფლის მასწავლებელნი, გონება განვითარებული სემინარიელნი, სამოსწავლო ინსტიტუტში კურს-დასრულებულნი და მეოთხმოცდა-ათე წლების ზოგიერთი სტუდენტობა. ნინოშვილის კუბოზე პირველად წარმოსთქვეს მათ თავისი პროგრამა მოქმედებისა და თითქმის, რაზმად დაეწყვენ, რომ ხალხში შეიტანონ განათლების შუქი და ზურგი შეაქციონ იმ ინტელიგენციას, რომელიც დღეს თავს იხრჩობს ბანკისა და ქალაქის არჩევნებში. ამ მესამე დასმა საგნათ აირჩია ისეთი მოქმედება, რომ გაუნათლებელს ხალხში მოჰფინოს წერა-კითხვა, შეიტანოს მეცნიერებისაგან გამორკვეული ნათელი აზრები, მკვირცხლად ადევნოს თვალი მსოფლიო ცხოვრების მიმდინარეობას და არავითარი შემთხვევა არ გამოეპაროს მსოფლიო ცხოვრების მოძრაობაში მისთანა, რაც კი სარგებლობას მოუტანს ჩვენს ხალხს და წინ

[1] გ. წერეთელი, ეგნატე ინგოროყვა (წიგნში „ორი მოთხრობა ვჯ. ნინოშვილისა“ 1895 წ.) გვ. XVIII.

წააყენებსმის ბედიღბალს. ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ ამ დასში ყველა თავგანწირულები არიან, რომელთაც არავითარი სიმდიდრე არ აინტერესებს და მზად არიან ძაძით-შემოსილნი ემსახურონ ხალხს და ეცადონ მის გამოფხიზლებას: ესენი არიან სულ ახალგაზრდანი, გონებრივი ღონით სავსენი... არც ერთი მუხლი იმათ მესამე დასელების) პროგრამის არ ეწინააღმდეგებოდა იმ აზრებს, რომელიც გამოარკვია გ. წერეთელმა ნინოშვილის კუბოს წინაშე წარმოთქმულ სიტყვებში".[1] კიდევ ერთი წლის შემდეგ გ. წერეთელი სწერს: „კვალის" მეთაურებმა უარყვეს პირველი დასის (ნაროდნიკების) შეხედულება და მეორესაც („ივერიის"), რადგან ორივენი იყო ცალ-კერძო და უსულო... ამისათვის „კვალი" დიდის სიხარულით და აღტაცებით მიეგება ამ ახალ გზაზე მოსიარულე მესამე დასს, რომელმაც უარჰყო წოდებათა განკერძოება და მათზე მზრუნველობა, იმან გამოაცხადა საგნათ თავის ზეგავლენის მთელი საქართველოს ერი, რომელიც მარტო გლეხკაცობა, ან მარტო თავადაზნაურობა კი არ არის, არამედ ეს არის შეკრებულობითი არსება, რომელშიც გლეხიც არის, თავად-აზნაურობაც, მღვდელიც, ვაჭარიც, მოხელე და მოქარავე ყმაც".[2] ასე ესმოდა გ. წერეთელს ახალი დასის—რომელსაც მან პირველად უწოდა „მესამე დასი"—პროგრამის შინაარსი. უდაოა, რომ პირველ ხანებში გ. წერეთელი სრულიად გაურკვეველი ყოფილა ახალი დასის იდეოლოგიასა და სამოღვაწეო პროგრამაში. ისიც უდავოა, რომ იგი თავიდანვე ცდილობდა ეს ახალი დასი გადმოებირებია თავის მხარეზე, თავისი პროგრამისა და იდეოლოგიის მატარებელი გაეხადა.

ამრიგად გ. წერეთელმა 1893 წლიდან შეიხიზნა თავის ორგანოში ახალი მარქსისტული მიმდინარეობა და ცდილობდა ამ დასთან იდეოლოგიურ-პოლიტიკური კონტაქტი დაემყარებია თავისივე პრინციპიალურ მოსაზრებათა საფუძვლებზე. მაგრამ შემდეგში ჩვენ სხვაგვარ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე: მარქსიზმი უფრო მძლავრი აღმოჩნდა ვინემ გ. წერეთლის აზროვნება; ახალგაზრდა მარქსისტები უფრო მტკიცე და შეურყეველნი აღმოჩდენ თავიანთ პრინციპიალურ შეხედულებაში, ვინემ თვით გ. წერეთელი. აქედან ჩვენ მივიღეთ შემდეგი ფაქტი: თვით გ. წერეთლის გადახრა მარქსიზმისაკენ; იგი იძულებული შეიქნა ახალგაზრდა დასს დასთანხმებოდა, დამორჩილებოდა და ბოლოს (1898 წ.) თავისი ორგანოც მათთვის გადაეცა. იგი უკვე მარქსისტული ენით ლაპარაკობს და სწერს. 1899 წ.

[1] იხ. „კვალი", № 21, 1894 წ. წერილი, ეგნატე ინგოროყვას გასვენება, დამსწრესი (გ. წერეთლის).

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, კვალის ორი წლის ნაღვაწი. № 5, 1895 წ.

გაზ. „ივერიას“ საპასუხოდ იგი სწერდა: „მარქსის თეორიას ეკონომიური მატერიალიზმისას პოლიტიკო-ეკონომიურ მეცნიერებაში იგივე ადგილი უჭირავს რაც დარვინის თეორიას ბუნების მეცნიერებაში და ბიოლოგიაში. ეს არის უკანასკნელი მეცნიერული დასკვნა პოლიტიკო-ეკონომიაში და სოციოლოგიაში“ [1].

ასეთი გზით განვითარდა გ. წერეთლის აზროვნება 90-იან წლებში.

აქ შეიძლება ერთი პატარა პარალელი გავიყვანოთ. ისე, როგორც გ. წერეთელმა 90-იან წლებში შეიხიზნა ახალგაზრდა დასი თავის ორგანოში, მსგავსადვე ი. ჭავჭავაძემ უკვე 80-იან წლებიდან ფართოდ გაუღო გაზ. „ივერიის“ კარები ნაროდნიკული მიმდინარეობის წარმომადგენლებს საქართველოში (ნ. ხიზანიშვილი, ს. ჭრელაშვილი, გ. ყიფშიძე, მ. მაიაშვილი, ა. ნანეიშვილი, გ. ლასხიშვილი. ვ. წერეთელი და სხ.). ამიტომ არის რომ გაზ. „ივერია“-ს ფურცლებზე ხშირად შეხვდებით ნაროდნიკული შინაარსის წერილებს, მაგრამ ილ. ჭავჭავაძემ შესძლო ამ თავისი შეხიზნულთა დიდი ნაწილის (ხიზანაშვილი, ყიფშიძე და სხვა.) თავისებურად გადახარშვა, თავის აზროვნებაზე გადაყვანა, „ივერიის“-ს პრორგამის საფუძველზე მათი აღზრდა, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც არ დაემორჩილა მას, გასცილდა „ივერიას“. გ. წერეთელი კი ჩაითრია თავის მოძრაობაში ახალმა დასმა და თავისი მიმდევარი გახადა. ილ. ჭავჭავაძე უფრო მტკიცე აღმოჩნდა, მან თვით ჩაითრია ქართველი ნაროდნიკები და თავისი მიმდევარი გახადა. ეს პროცესი ისტორიულად გასაგებია: თავი რომ დავანებოთ წმინდა სუბიექტურ მომენტებსა და ილ. ჭავჭავაძისა და გ. წერეთლის აზროვნებათა დახასიათებას, ისტორიულ-ობიექტური თვალსაზრისით აქ შემდეგ პროცესთან გვქონდა საქმე: ნაროდნიკობა გამოხატავდა წვრილ-ბურჟუაზიის მისწრაფებას და მისი იდეოლოგია და პროგრამა უკვე აღარ შეესაბამებოდა ისტორიული ცხოვრების განვითარებას: იგი საგრძნობ კრიზისს განიცდიდა როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიც და გადაშენების გზაზე იდგა: ნაროდნიკობა ან უნდა გალიბერალებულიყო და ამით უარეყო თავისი თავი ან მარქსიზმისაკენ უნდა გადახრილიყო და პროლეტარულ მოძრაობას შეერთებოდა, ან ახალი სამოღვაწეო პროგრამა შეემუშავებია. ნაწილი ქართველ ახალგაზრდა ნაროდნიკების ამ უკანასკნელ გზას დაადგა; ამ მიმდინარეობიდან შემდეგში ჩვენ მივიღეთ ე. წ. „სოციალფედერალიზმი“-ს მოძღვრება საქართვე-

[1] გ. წერეთელი, გაზ. „ივერია“ და მისი საპოლემიკო ხასიათი—„კვალი“ 1899 წ.

ლოში. მეორე ნაწილი გალიბერალდა და შეუერთდა „ივერიას“ მემდინარეობას. ხოლო მესამე ნაწილი ახალგაზრდა ნაროდნიკებმა მარქსიზმის მიმართულებით წავიდა. აქედან წარმოიშვა ს-დემოკრატიული მიმდინარეობა ჩვენში. ცხადია, რომ ნაროდნიკების ნაწილის „ივერიის“ ბანაკში გადასვლა ი. ჭავჭავაძის პირად პოლიტიკას კი არ მიეწერებოდა, როგორც ამას ფიქრობდა ნ. ჟორდანია[1], არამედ იგი ისტორიულ-სოციალური აუცილებლობით იყო გამოწვეული. ნაროდნიკული მოძრაობა დამარცხდა ჩვენში; მისი იდეოლოგიური და პრაქტიკული საქმიანობა არსებითად ეწინააღმდეგებოდა ჩვენი ცხოვრების საერთო ვითარებას. აქედან წარმოიშვა ნიადაგგამოცლილი ძველი მიმდინარეობის კრიზისი და მისი დაშლის პროცესი: ამიტომ წვრილ ბურჟუაზიის ნაწილმა თავისუფლად შესცურა ლიბერალიზმის ტბაში.

სულ სხვაგვარი ისტორიული როლი ჰქონდა დაკისრებული ქართულ მარქსისტულ მიმდინარეობასა და მის ორგანიზაციას. იგი ჯერ კიდევ თავისი წარმოშობისა და ზრდის პროცესში იმყოფებოდა, ხოლო მისი მოღვაწეობა, იდეოლოგია და პროგრამა სავსებით შეესაბამებოდა ისტორიული ცხოვრების ვითარებას, ახალი სოციალური კლასის—პროლეტარიატის ინტერესებსა და მისწრაფებებს. ცხადია ამ მიმდინარეობის მთლიანად გადაყვანა ნაციონალურ-დემოკრატიულ ნიადაგზე შეუძლებელი იყო და ეს ვერც გ. წერეთელმა შესძლო. ასეთი შესაძლებლობა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას ეწინააღმდეგებოდა. გ. წერეთელი თვით გახდა ამ ახალი დასის მიმდევარი, იგი თვით ჩაითრია ახალმა ძალამ თავის მოქმედების ფერხულში.

მაგრამ აქ კითხვა იბადება: რამდენად შესძლო გ. წერეთელმა მარქსისტული მოძღვრების შეთვისება? ნუ თუ იგი მართლა გახდა მეცნიერული სოციალიზმის მიმდევარი და ორტოდოქსალი მარქსისტი? ეს საკითხი მეტად საინტერესოა თავის მნიშვნელობით. ჩვენს წიგნში „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ უკვე ვუპასუხეთ ამ კითხვაზე.[2] ჩვენ მაშინ ვამბობდით, რომ გ.წერეთლის გადახრა მარქსიზმისაკენ 90-იან წლებში არსებითად გამოხატავდა რადიკალურ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის ცდას გამოეყენებია თავისი კლასის ინტერესებისათვის, როგორც მარქსისტული მოძღვრება, ისე მუშათა კლასი და ს.-დემოკრატიული ორგანიზაციები. გ. წერეთელი ახლად

[1] იხ. ნ. ჟორდანია, ჭართული პრესა, 1900 წ.

[2] სიმონ ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. II გვ. 271—76.

წარმოშობილ დასსა და მარქსიზმს დაუახლოვდა, როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგი; მის სამოღვაწეო პროგრამაში არსებითად ვერავითარი ცვლილება არ მომხდარა, ამ მხრივ იგი ცდილობდა მარქსიზმისათვის წმინდა ბურჟუაზიული შინაარსი მიეცა, პროლეტარული იდეოლოგია შეეცვალა ბურჟუაზიული იდეოლოგიით. 1895 წ. „კვალის“ ორი წლის მოღვაწეობის შეფასების დროს გ. წერეთელი სწერდა: „ჩვენ უნდა გავხსნათ ჩვენი საკუთარი სამრეწველო და სამეურნეო ბანკები. უნდა დავაარსოთ სამეურნეო და სამრეწველო ასოციაციები, უნდა ვისწავლოთ ვაჭრობა და აღებ-მიცემობა. გავხსნათ ჩვენივე საკუთარი მოთხოვნილების დუქნები“.[1] ასეთი ეკონომიური პროგრამის დამცველი ბოლომდე დარჩა გ. წერეთელი, ხოლო ეს სხვა არაფერი არ არის, თუ არა ბურჟუაზიული პროგრამა; იგი მფარველობით და მზრუნველობით ეკიდებოდა „ახლად აღორძინებულ ვაჭარ-მრეწველთა კლასს“. ამ პროგრამიდან არ შეეძლო გადახვევა გ. წერეთელს და არც სურდა გადახვევა: იგი სწორედ ბურჟუაზიულ კლასში ხედავდა ჩვენი ცხოვრების მამოძრავებელ ფაქტორს, მის მოწინავე ძალას. ამრიგად გ. წერეთლის მარქსისტობა საეჭვო ხასიათის არის: მან მარქსიზმიდან მიიღო ის, რაც გამოსაყენებელი იყო ბურჟუაზიისათვის საქართველოში, კაპიტალისტური წარმოების განვითარებისათვის. ამ სახით თუ განვიხილავთ გ. წერეთელის მოღვაწეობასა და აზროვნებას 90-იან წლებში, უნდა ვსთქვათ, რომ იგი ე. წ. „ლეგალური მარქსიზმის“ თავისებური სახის მატარებლად უნდა ჩაითვალოს ჩვენში. როგორც ვიცით, იმავე 90-იან წლებში რუსეთშიაც ბურჟუაზიული ინტელიგენცია (სტრუვე, ტუგან-ბარანოვსკი და სხვა) შეეცადა თავისებურად შეეთვისებია მარქსიზმი, ამით რუსეთში საფუძველი ჩაეყარა „ლეგალურ მარქსიზმის“ მიმდინარეობას, რომელიც გარეგანი ფორმით იყო მარქსიზმის მიმდევარი, არსებითად კი ბურჟუაზიულ მისწრაფებებს გამოხატავდა. იმავე კლასიურმა საფუძველმა, ჩვენშიაც მიიყვანა ბურჟუაზიული ინტელიგენცია მსგავს მოვლენამდე, სრულიად დამოუკიდებლად რუსეთის „ლეგალური მარქსიზმისა“—ჩვენში გ. წერეთელმა, როგორც დავინახეთ, სცადა მარქსიზმის შეუღლება ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, მაგრამ ასეთი ცდა მარცხით დამთავრდა. მაგრამ თვით ეს ცდა საინტერესო იყო იმდენად, რამდენადაც იგი ვამოხატავდა პროგრესიული ბურჟუაზიული ინტელიგენციის ძიებას, ბრძოლასა და მისწრაფებებს.

---

[1] გ. წერეთელი: „კვალის“ ორი წლის ნაღვაწი—„კვალი“ № 3. 1895 წ.

* *

ამით შეიძლება დავამთავროთ გ. წერეთლის აზროვნების განვითარების მოკლე მიმოხილვაც. ამ წერილში ჩვენ შევეცადეთ მოგვეცა გ. წერეთლის შემოქმედებისა და სოფლმხედველობის მხოლოდ მთავარი კონტურები. როგორც დავინახეთ, იგი ერთობ ნაყოფიერი და მრავალფეროვანი მწერალი და მოღვაწე იყო. გ. წერეთელი ერთერთი საინტერესო ფიგურა იყო „სამოციანელთა“ შორის. მისი მოღვაწეობა ჩვენი ისტორიული ცხოვრების ახალი ეპოქის ვითარებას შეეხება ქრონოლოგიურად, და მან ყველაზე უფრო მკაფიოთა და ნათლად ასახა ის პროცესი, რომელიც სწარმოებდა საქართველოს სოციალ-ეკონომიურ წყობილებაში. თავისი იდეოლოგიით, პრაქტიკული პროგრამითა და მოღვაწეობით იგი გამოხატავდა აღორძინების პროცესში მყოფ ახალი სოციალური კლასის—ბურჟუაზიის ინტერესებს. თავისი ეპოქისათვის გიორგი წერეთელი უაღრესად პროგრესიული, დემოკრატიული და რადიკალურად მოაზროვნე პიროვნება იყო. თავისი ხანგრძლივი ლიტერატურული და პუბლიცისტური მოღვაწეობით გ. წერეთელმა მეტად საგრძნობი წვლილი შეიტანა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებისა და წარმატების საქმეში.

გ. წერეთელი თავისი ეპოქის შვილი იყო და მისი აზროვნებაც და პრაქტიკული მოღვაწეობაც ამ ეპოქის მიხედვით უნდა იქნეს შეფასებული. მაგრამ ის, რაც საინტერესო და პროგრესიული იყო მაშინდელ პერიოდისათვის,—სრულიად გამოუსადეგარი და მიუღებელი ხდება ჩვენი ეპოქისათვის. მაშინდელი ეპოქის ძირეული ამოცანები კაპიტალისტური ურთიერთობის ინტერესებითა და ჩვენი ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესებით იყო გამოწვეული. ამ ეპოქის მამოძრავებელი კლასი ბურჟუაზია იყო, ხოლო მისთვის იდეოლოგიურად მებრძოლი— ბურჟუაზიული ინტელიგენცია. მაგრამ ეს ეპოქა ახლა უკვე გავლილია და ჩვენი ცხოვრების მესაჭედ მუშათა კლასი გამოვიდა. ჩვენი ეპოქის ამოცანები სოციალისტური მეურნეობისა და სოციალისტური კულტურის ძირეული ინტერესების მიხედვით მუშავდება. ამ ეპოქისათვის გ. წერეთლის საზოგადოებრივი აზროვნება და სოციალ-პოლტიკური იდეალები გამოუსადეგარია. მაგრამ გ. წერეთელი არა მარტო პოლიტიკური მოღვაწე და რადიკალურ-ბურჟუაზიულად მოაზროვნე მწერალი იყო—იგი იმავე დროს დიდი მხატვარიც იყო, რომელმაც თავისი სკოლაც შეჰქმნა ჩვენს ლიტერატურაში და თავისებურად ასახა ჩვენი ცხოვრების მაშინდელი ვითარება. გ. წერეთლის ლიტერატურული თეორია, მისი სოციოლოგი-

ური მიდგომა მასალისადმი, მისი ლიტერატურულ-მხატვრული ხერხები და ტიპების დამუშავების მეთოდები და სხვა—ძვირფასს მემკვიდრეობას წარმოადგენს თანამედროვე პროლეტარულ კულტურისა და ლიტერატურის-მცოდნეობისათვის. გ. წერეთლის ამ ლიტერატურულ მემკვიდრეობიდან ბევრი რამ შეუძლია მიიღოს და გამოიყენოს თანამედროვე პროლეტარულმა მწერლობამ. რასაკვირველია, აქ მექანიკურ „მიღებაზე“ კი არ არის ლაპარაკი, არამედ კრიტიკულად შეთვისებაზე.

სამწუხაროდ, გ. წერეთლის სკოლა და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა არავის შეუსწავლია წმინდა მარქსისტული თვალსაზრისით.

დრო არის ქართული კულტურისა და ლიტერატურის ეს ენერგიული მუშაკი თავისი ნამდვილი ისტორიული სახით იქნეს შეფასებული.

გიორგი წერეთლის ფსევდონიმები

გიორგი წერეთლის ნაწერების სრული კრებულის გამოცემისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი ფსევდონიმების გამორკვევა და სისწორით დადგენა. ჩვენთვის უკვე უდავო ფაქტია, რომ გ. წერეთელი ერთი ფსევდონიმით არ სწერდა. თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის ორმოცი წლის განმავლობაში, იგი სხვადასხვა ფსევდონიმით აქვეყნებდა თავის ნაწერებს. საგრძნობი ნაწილი მისი წერილებისა სრულიად ხელმოუწერელი იბეჭდებოდა გაზ. „დროებისა,“ „სასოფლო გაზეთსა,“ „ტფილისის უწყებასა“ და „კვალში.“

ამ ხელმოუწერელ წერილების გამოკვლევასა და გ. წერეთლის ფსევდონიმების დადგენის საქმეში დიდ დახმარებას გაგვიწევს სამი საინტერესო დაკუმენტი:

1. „გიორგი წერეთლის ნაწერების სია,“ რომელიც თვითონ გ. წერეთელს შეუდგენია და რომელშიაც აღნიშნულია მისი ნაწერები 1880 წლამდე. როგორც მკითხველი ქვევით, ჩემს შენიშვნებში, დაინახავს ეს სია არ არის სრული. მას აკლია წერილები გაზ. „სასოფლო გაზეთიდან“ (1868—73 წ.), რამდენიმე წერილი „დროებიდან,“ სრულიად არ არის მოხსენებული წერილები „ტფ. უწყებიდან“ და „გოლოსიდან.“ მიუხედავათ ამისა, ეს ერთად-ერთი მთავარი დოკუმენტია, თვით ავტორის მიერ შედგენილი, რომელიც საშუალებას გვაძ-

ლევს სისწორით დავადგინოთ გ. წერეთლის ფსევდონიმები და მისი წერილები 1880 წლამდე.[1]

2. „კვალის“ რედაქციის მიერ შედგენილი სია ეს სია გაგრძელებაა გ. წერეთლის სიისა და შეიცავს 1880—1900 წლების ნაწერებს. არც იგი არის სრული; მასში გ. წერეთლის მხოლოდ უმთავრესი ნაწერები არის დასახელებული. თვით რედაქცია შენიშნავს:

> „ეს სია, რასაკვირველია, სრული არ არის. აქ მოხსენებული არ არის არც „სასოფლო გაზეთი,“ და არც რუსულ გაზეთებში დაბეჭდილი წერილები. აქ არ არის აგრეთვე მისი არქეოლოგიური გამოკვლევანი და სხვა წვრილმანი ქართული წერილები. ყველა ეს რომ შეგროვდეს ორი ამდენი იქნებოდა“ („კვალი“ № 3, გვ. 51, 1900 წ.).

მიუხედავად ამ ნაკლისა, „კვალის“ რედაქციის მიერ შედგენილ სიას საკმაო დახმარების გაწევა შეუძლია გ. წერეთლის 1880—1899 წლების ნაწერებისა და ფსევდონიმების დადგენის საქმეში.

3. მესამე დოკუმენტს წარმოადგენს ხელნაწერი: „ბიბლიოგრაფია გიორგი წერეთლის ბელეტრისტიკისა.“ — ამ „ბიბლიოგრაფიის“ ავტორი უნდა იყოს გ. წერეთლის მეუღლე ან. წერეთლისა; ბიბლიოგრაფია შედგენილია 1911—20 წლებში. ავტორი ამ ბიბლიოგრაფიაში ეხება გ. წერეთლის არა მარტო ბელეტრისტიკას, არამედ პოემებსაც, დრამებსაც, ზღაპრებსაც და მითებსაც. ამ „ბიბლიოგრაფიაშიაც“ არ არის მოხსენებული გ. წერეთლის რამდენიმე ორიგინალური მოთხრობა და ლექსი, თარგმნილი მოთხრობები, ლექსები და სხვა. მიუხედავათ ამისა — ამ „ბიბლიოგრაფიასაც“ შეუძლია თავისი შესაფერი დახმარება გაგვიწიოს გ. წერეთლის ნაწერებისა და ფსევდონიმების დადგენის საქმეში.

ამ დოკუმენტებისა და სხვა წყაროების მიხედვით ჩვენ გამოვარკვიეთ და დავადგინეთ გ. წერეთლის შემდეგი ფსევდონიმები:

მესამე თერგდალეული—ამ ფსევდონიმით გ. წერეთელმა ჟურ. „ცისკარში“ 1862 წ. თავისი პირველი წერილი მოათავსა (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ქვევით).

გ.—თელი —ამ ფსევდონიმით მან ჟურ. „საქართველოს მოამბეში“ 1863 წ. დაბეჭდა თავისი მეორე წერილი. შემდეგ-

---

[1] ეს სია გიორგი წერეთლის ხელნაწერიდან გადაუწერია კ. ლორთქიფანიძეს და თავის შენიშვნაც გაუკეთებია მისთვის (იხ. კ. ლორთქიფანიძის არქივი, რომელიც მოთავსებულია ქუთაისის მუზეუმში). ამ შენიშვნას თავის ადგილზე შევეხებით.

[2] იხ. „კვალი“ № 3, გვ. 48—51, 1900 წ. ან „კრებული“, გიორგი წერეთელი. გვ. 169—184, 1900 წ.

ში ის ხშირად ათავსებდა გ.—თელის ფსევდონიმით წერილებს გაზ. „დროებასა“ „კრებულსა“ და „კვალში.“

გ.—ელი—უმთავრესად სწერდა „კვალში“.

გ.—ლი—იქვე.

თელი—„დროებასა“ და „სასოფლო გაზეთში.“

გ. გორისელი—„დროებასა,“ „კრებულში“ და „კვალში“. გორისა გ. წერეთლის სოფელი იყო.

„კრებულის“ მკითხველი—1871 წლის „დროებაში.“

XX—იქვე.

X—იქვე.

XX—ელი—„კვალში.“

კრაზანა—დაბეჭდილი აქვს რამოდენიმე ლექსი „დროებაში.“

დამსწრე—„კვალში.“

X-ელი—იქვე.

გ. წ.—„ივერიასა“ და „კვალში.“

მაზაკვალი—„კვალში.“

გასული—ამ ფსევდონიმით გ. წერეთელმა 1895 წ. „კვალში“ (იხ. № 34, 35) დაბეჭდა 1865 წ. ფრანკფურტში დაწერილი პოემა „მწუხარე დედა.“

იმერელი—ამ ფსევდონიმით მან მოათავსა ერთი წერილი—„აღმოსავლეთის პოლიტიკის აზრი“—გაზ. „დროებაში“ (№ 7), 1879 წ.

გაზ. „ივერია“ 1900 წ. სწერდა:—„გ. წერეთელმა ჯერ უნივერსიტეტიდგანვე 1862 წელს „ცისკარში“ დაბეჭდა რამდენიმე წერილი „ექვთიმიძის“ სახელით და მაშინვე საუკეთესო ქართველთა ყურადღება დაიმსახურა.“ ამასვე იმეორებს ჟურ. „მოამბეც“ (იხ. № 1, 1900 წ.). უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს აშკარა შეცდომა არის: 1862 წლის „ცისკარში“ არც ერთი წერილი არ არის მოთავსებული ექვთიმიძის ფსევდონიმით. როგორც მკითხველი ქვევით დაინახავს კ. ლორთქიფანიძემ, აკაკი წერეთელმა და გიორგი წერეთელმა თერგდალეულის ფსევდონიმებით დაბეჭდეს წერილები 1862 წ. „ცისკარში“—გ. წერეთლის მამის ექვთიმე წერეთლის საწინააღმდეგოდ.

რასაკვირველია, ჩვენ აქ ავღნიშნეთ ის ფსევდონიმები, რომლის გამორკვევა და დადგენა ამჟამად შესაძლებელი გახდა, ჩვენ ხელთ არსებულ მასალების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამნი ძმანი—სამნივ თერგდალეულთგანი“

„თერგდალეულთა საკითხი“ ჩვენ განვებ გამოვყავით სხვა საკითხებიდან და ამ შენიშვნების ცალკე თავში ვიხილავთ. ამ საკითხის გამორკვევა მჭიდროთ არის დაკავშირებული 60-იანი წლების ახალი თაობის ინტელიგენციის მოძრაობასთან. ცნობილია, რომ თერგდალეულთა სახელწოდებით ძველმა თაობამ მონათლა ახალი თაობის ინტელიგენცია, რომელმაც სწავლა-განათლება რუსეთის უნივერსიტეტებში მიიღო. მაგრამ ჩვენ დღეს ეს საკითხი არ გვაინტერესებს, არამედ იმის გამორკვევა თუ ვინ სწერდა ან სწერდენ თერგდალეულთა ფსევდონიმით 1862 წლის „ცისკრისა“ და 1863 წლის „საქართველოს მოამბის“ ნომრებში. რომ მკითხველისათვის ნათელი გახდეს საქმის ვითარება, მას გავახსენებთ შემდეგ მომენტებს: როდესაც ილია ჭავჭავაძემ 1860—61 წლებში იერიში მიიტანა ძველი თაობის წინააღმდეგ და ლიტერატურის საკითხებში სასტიკად დაგმო მათი მიმართულება, 1862 წლის თებერვლის „ცისკარში“ ილ. ჭავჭავაძის წინააღმდეგ წერილი მოათავსა გიორგი წერეთელის მამამ ექვთიმემ, რომელსაც თავის სტატიის ქვეშ შემდეგი ხელმოწერა აქვს გაკეთებული: ზემოური იმერელი, გორისელი წერეთელი ექვთიმე.[1] ამ წერილს დიდი აღშფოთება გამოუწვევია მაშინდელი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებში. საინტერესოა ამ მხრივ მოვისმინოთ კ. ლორთქიფანიძის კერძო წერილი „ცისკრის“ რედაქტორ ივ. კერესელიძესთან. 1862 წ. მარტის თარიღით იგი სწერდა:

> „ასე სისხლიანი ნაღველი გადაევლება ხოლმე ჩვენს გულს, როცა იმისთანა უბრო ცუდ სტატიებს ვნახავთ, როგორც იყო ამ ნომერშიდ უფ. წერეთლის. მაგრამ რა გაეწყობა, როგორც სტატიაში ვუბნობ, თქვენი ბრალი არ არის ეს. განვიმეორებ, ისე გავცეცხლდი ამ სტატიის დანახვაზედ, რომ არ შეგვეძლო, რომ არ დაგვეწერა რამე; ვინ სწერს? სწერს კაცი, რომელსაც, როგორც თვით ეფ. წერეთელი უბნობს, სიკვდილში უდგია ფეხი და რომელიც აქამდის არ უნახავს ხორციელ კაცს მწერლის ადგილზე. ვიცნობ იმ კაცს, რა კაცია. როგორ გაბედა ამგვარი სტატიის დაწერა, მერე ცხრა თვის განვლის შემდეგ; მაგრამ ანდაზა იტყვის: „კუმ ფეხი გამოყო მეც ნახირი ვარო“.—როგორც გაუნათლებლობით და ფაარისეველობით გაყი-

[1] იხ. „ცისკარი“ № 2, 1862 წ. სტატია, წიგნი მიწერილი რედაქტორთან გვ. 201—07.

ნული აქვს თავი ეფ. წერეთელს, ისეთი გაყინული აზრები უთქვამს. იპოვის ნეტავი კაცი მის სტატიაში რამე აზრს? აი ასე შეწუხებულმა, დავსწერე თქვენი ჟურნალისათვის ორიოდე სიტყვა და ამ წიგნთან გიგზავნით. თუ წინააღმდეგი არ იქნეს თქვენი ჟურნალი, გთხოვთ დაბეჭდინოთ ამ აპრილის ან მაისის წიგნში, რასაკვირველია, პირველი ემჯობინება. ჩემს სახელსა და გვარს ნუ გამოაცხადებთ, ჩვეულებრივი ფსევდონიმი იყოს მათ მაგიერათ ის ფსევდონიმი, რომელიც მომიწერია სტატიის ქვემოთ „თერგ-დალეული.“[1]

მაგრამ „გორისელი წერეთლის“ წერილს არა მარტო კ. ლორთქიფანიძე აუშფოთებია, არამედ მთელი მაშინდელი ახალთაობის ინტელიგენცია. მის წინააღმდეგ „ცისკრის“ აპრილისა და მაისის ნომრებში სამი წერილი დაიბეჭდა სამივე თ ე რ გ დ ა ლ ე უ ლ ი ს სახელით მოწერილი.

„ჩვენ აქა ვართ სამნი ძმანი,
სამნივ თერგდალეულთგანი,
მე გახლავარ გორისელო,
ერთი ამ სამ ძმათაგანი...“[2]

ასე სწერდა თერგდალეული — მეორე წერილის ავტორი. ეს იყო ერთი საინტერესო ეპიზოდი ძველსა და ახალ თაობათა შორის ატეხილი ბრძოლისა; ამ ლექსით მტკიცდება, რომ სამივე თერგდალეულს შეთანხმებით დაუწერიათ წერილები ე. წერეთლის წინააღმდეგ და ცალ-ცალკე გაუგზავნიათ „ცისკარში“ დასაბეჭდათ.

გამოსარკვევია: 1. ვინ იყვნენ ეს სამი თერგდალეული და 2. კერძოთ, თვითეული ცალკე წერილი რომელ ავტორს ეკუთვნოდა.

ჩვენს მწერლობაში გადმოცემით ცნობილი იყო მხოლოდ ორი ავტორი: კ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე და გ. წ ე რ ე თ ე ლ ი. 1925 წ. ნ. ნიკოლაძის ჩვენებით, მათ მიემატა მესამეც: ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი, მაგრამ აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ 1916 წ. კ. ლორთქიფანიძეს განუცხადებია ს ე რ. გ ო რ გ ა ძ ი ს ა თ ვ ი ს, რომ აკაკი თერგდალეულის ფსევდონიმით სწერდაო. უკანასკნელი აღნიშნავს, რომ „ცისკარში“ ამ ფსევდონიმით არც ე რ თ ი ლ ე ქ ს ი არ აღმოჩნდა დაბეჭდილიო.[3] აქ გაუგებრობასთან უნდა გვქონდეს საქმე: ალბად კ. ლორთქიფანიძე მიუთითებდა საერთოდ აკაკის ფსევდონიმზე, — თერგდალეულზე, ხოლო მკვლევარს უნებლიედ დაუწყია ამ ფსევდონიმით დაბეჭდილ ლექსების ძებნა.

ნ. ნიკოლაძის და კ. ლორთქიფანიძის ჩვენება და მოწმობა სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ აკაკის მონაწილეობა „სამ თერგ-

[1] დედანი ინახება კ. ლორთქიფანიძის არქივში (ქუთაისის მუზეუმი).
[2] იხ. „ცისკარი“ № 4 გვ. 365, 1 62 წ.
[3] იხ. სერ. გორგაძის ხელნაწერი, „აკაკის ბიოგრაფია„ ყ. საისტორიო საეთნოგრაფიო მუზეუმი, № 1466.

დალეულთა“ წერილებში დამტკიცებულად იქნეს მიჩნეული. მაგრამ ჩვენ ხელთ არის ერთი დოკუმენტი, რომელიც ასი პროცენტით ამტკიცებს ნ. ნიკოლაძისა და კირ. ლორთქიფანიძის ჩვენებებს: ეს არის აკაკის პირადი ბარათი კ. ლორთქიფანიძისადმი 1862 წლის 12 სექტემბრის თარიღით. ტფილისიდან აკაკი სხვათა შორის სწერს ლორთქიფანიძეს შემდეგს:

„ბულვარზედ მოგზაურობა[1] დაბეჭდვამდი ჩემ ხელში იყო, მაგრამ იქ ჩვენზედ არაფერია, ვიზედაც არის ვიცი ყოველი პირი, მაგრამ გამოსარჩლება არ გვარგებს, ღირსნი არიან, ტროსტიჩქებით ეძებენ ტროტუარებზე ჭეშმარიტების ნამსხვრევებს. არა იციან რაო, არც იმას ამბობენ, მაგრამ ქართული არ იციანო. თორემ ჩვენზედ როგორ გაბედავდენ რამეს დაწერას. ეგ სტატია არდაზიანის[2] არის, იმან დაწერა. კი დაეწერათ ჩვენზედაც პასუხი ვიღაცეებს, მაგრამ იქვე ეთქვათ, მოგდომიათ ტყავის გაძრობა და ეგ არისო და შიშით უკანვე წაეღოთ.“[3]

ამ რიგად, სავსებით დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს აკაკი წერეთლის თანამონაწილეობა აღნიშნულ ლიტერატურულ ბრძოლაში, და აგრეთვე ისიც, რომ იგი თერგდალეულის ფსევდონიმით სწერდა პუბლიცისტურ სტატიებს იმ ხანებში.

კირილე ლორთქიფანიძის მონაწილეობაც ასი პროცენტით დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს მას შემდეგ, რაც მის არქივში ჩვენ აღმოვაჩინეთ 1862—63 წლებში მის მიერ „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ ყველა წერილის ავტოგრაფები.

გ. წერეთლის ავტორობაზე, გარდა ნიკოლაძის დამაჯერებელი ჩვენებისა, მიგვითითებს მისი ბიოგრაფი[4] და პროფესორი ა. ხახანაშვილიც.[5]

ახლა საინტერესოა გამოვარკვიოთ თვითეული ცალკე წერილების ავტორების საკითხიც.

„ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“ 1862—63 წლებში კირილე ლორთქიფანიძის მიერ მოთავსებული წერილები ასი პროცენტით შეიძლება გამორკვეული და დამტკიცებული იქმნას, რადგან მის არქივში აღმოჩნდა დაცული ყველა მისი წერილის ავ-

[1] „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ“ დაბეჭდილია 1862 წ, „ცისკარში“ № 7, გვ. 117—151 ძიათორნიკეს ხელმოწერით. ეს წერილი „საქ. მოამბეში“ № 4, გაარჩია თერგდალეულმა (კ. ლორთქიფანიძე).

[2] ლაპარაკია ბელეტრისტ ლ. არდაზიანზე, რომელიც მაშინ პუბლიცისტურ წერილებსაც სწერდა და კამათი ჰქონდა თერგდალეულებთან.

[3] დედანი ინახება კ. ლორთქიფანიძის არქივში.

[4] იხ. „გიორგი წერეთელი“—გვ. 4, 1900 წ.

[5] А. Хаханов, История груз. словесности, ტ. 4, გვ. 400—1. 1906 წ.

ტოგრაფები. ამ ავტოგრაფების აღმოჩენას ის დიდი მნიშვნელობაც აქვს, რომ საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ რა არის ბოლილი ან შესწორებული თვით რედაქტორის მიერ[1] და არა—გადაწერის მიერ. ამ ავტოგრაფების მიხედვით ლორთქიფანიძეს ეკუთვნის: 1. „წიგნი მიწერილი რედაქტორთან ევფ. წერეთლისა“ (იხ. „ცისკარი“ № 4, 1862), 2. „ორიოდე სიტყვა „ცისკარზედ“ და ახალის ჟურნალის სარგებლობაზედ“ (იხ. „ცისკარი“ № 9. გვ. 35—48, 1862); 3. „ბიძია თორნიკეს სტატიისა გამო“ (იხ. „საქართველოს მოამბე“ № 4, გვ. 82—88, 1863 წ.); 4. „ამაო ამაოთა“ (იხ. „საქ. მოამბე“ № 6, გვ. 69—82, 1863 წ.); 5. „ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“ (იხ. „საქ. მოამბე“ № 11, გვ. 54—72, და № 12, გვ. 62—87, 1863 წ.) ყველა ეს წერილი ხელმოწერილია თერგდალეულის ფსევდონიმით.

რომელი წერილის ავტორი არის აკაკი წერეთელი? სამწუხაროდ ამ შემთხვევაში არავითარი ავტოგრაფი არ შენახულა; მაგრამ არის ნ. ნიკოლაძის მითითება, რომელიც ამბობს, რომ ლექსი „ჩვენ აქა ვართ სამნი ძმანი, სამნივ თერგდალეულთგანი“ აკაკი წერეთელს ეკუთვნისო. სამწუხაროდ აქ მარტო ლექსის შესახებ არის ლაპარაკი იმ დროს, როდესაც ამავე ლექსით თავდება „ცისკარში“ ეფ. წერეთლის წინააღმდეგ მიმართული მეორე თერგდალეულის სტატიაც „რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ“ (იხ. „ცისკარი“ № 4, გვ. 347—65, 1862 წ.). მიუხედავად ამისა, ნიკოლაძის მითითება სახელმძღვანელო აზრად უნდა ჩაითვალოს მთელ ამ წერილის ავტორის დადგინების საქმეში. ამ წერილის აკაკის ავტორობას შემდეგი ფაქტიც ნათლად ამტკიცებს: აღნიშნული წერილი იმავე „ცისკარში“ გაურჩევია თომა მაჭავარიანს ქუთაისიდან გამოგზავნილ წერილში: „პასუხი, მეორე თერგდალეულის პასუხისა“ (იხ. „ცისკარი“ № 8. გვ. 186—191, 1862 წ.). ავტორი ამ წერილში სხვათა შორის სწერს:

„არ ვიცი, უფალო მეორე თერგდალეულო, რასთვის არ მოგწონსთ თქვენ კნეინა ბარბარე ჯორჯაძის თხზულებათა ქება ეფთვიმე წერეთლისა მიერ? მე ვფიქრობ თქვენ და ილია ჭავჭავაძეს რომ არ გიქებსთ თხზულებას. (თქვენი თხზულება სწორეთ საქებარი ყოფილა).“

---

[1] ერთ წერილზე ლორთქიფანიძეს მიწერილი აქვს, რომ მან კერესელიძეს წერილი ამ სახით გაუგზავნა, ხოლო უკანასკნელს მისი წერილიდან ზოგი ადგილი ამოუშლია, ზოგიც თავისი ჩაუმატებია.

ჩემ მიერ ხაზგასმული სიტყვები ამტკიცებს იმას, რომ წერილის „რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ“—ავტორი მაშინაც უკვე ცნობილი ყოფილა თავისი თხზულებებით. შეუძლებელია ეს ყოფილიყო ან კირ. ლორთქიფანიძე, ან გიორგი წერეთელი, ან თუ გნებავთ ნიკო ნიკოლაძეც: ყველა ესენი მაშინ იწყებდენ წერას და ილია ჭავჭავაძესთან მათი დატოლება შეუძლებელი იყო; კ. ლორთქიფანიძისა და გ. წერეთელის პირველი წერილი სწორედ გორისელის საპასუხოდ დაიბეჭდა 1862 წ. „ცისკარში“. აქედან ნათელია, თუ დამტკიცებულად არის მიჩნეული აკაკის მონაწილეობა „სამ ძმათა—თერგდალეულთგანის“ ლიტერატურულ ბრძოლაში, მაშინ წარმოდგენილ მასალების მიხედვით დამტკიცებულადვე უნდა ჩაითვალოს მისი ზემოდ აღნიშნულ წერილის—„ორიოდე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზე“—მისი ავტორობაც.

ყველა ზემოდ მოყვანილ ფაქტების შემდეგ ადვილია იმის გაგებაც, თუ რომელი წერილის ავტორი არის გ. წერეთელი. იგი არის მესამე წერილის ავტორი, რომელსაც ეწოდება „ახირებული ფურცელი“ (იხ. „ცისკარი“ № 5, გვ. 23—30, 1862 წ.) და რომელსაც ხელმოწერილი აქვს ფსევდონიმი მესამე თერგდალეული. წერილის დასაწყისშივე ავტორი აღნიშნავს:

> „პირველად გამოვდივარ სალიტერატურო ასპარესზედ და ვემსგავსები იმ ახალგაზრდა მონადირეებს, რომელთაც ხელთ არა აქვსთ დიდი ნადირების ხოცა და პატარ-პატარა ნადირებს უსვრიან.“ (გვ. 23).

ამ ცნობითაც მტკიცდება, რომ ამ წერილის ავტორი აკაკი არ უნდა ყოფილიყო: იგი უცილოდ გ. წერეთელს ეკუთვნის. საერთოდ უნდა ვსთქვათ, რომ გ. წერეთლის გალაშქრება თავისი მამის წინააღმდეგ მართლაც დამახასიათებელ ისტორიულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს იმდენად, რამდენადაც 60-იან წლებში ერთი მეორეს დაეტაკა ორი თაობა და გაჩაღდა მათ შორის გამწვავებული ბრძოლა, ბრძოლა როგორც სჩანს, ცხოვრების ყოველ მნიშვნელოვან სფეროშიაც შეჭრილა და ოჯახის წევრებიც დაუტაკებია ერთი მეორესათვის.

მაშინდელი ლიტერატურული ბრძოლის დასახასიათებლად ძველ თაობას და ახალ თაობას შორის, საჭიროდ მიმაჩნია აქ მოვიყვანო ვრცლად ერთი ადგილი ნ. ნიკოლაძის 1862 წლის კერძო წერილიდან კ. ლორთქიფანიძისადმი, რომელშიაც იგი ეხება სწორედ გორისელის წერილსა და მის გარშემო შექმნილ ამბავს. ნიკოლაძე წერდა:

ძმაო კირილე!

დღეისწორ პარასკევს მოვედი ქუთაისს. გზაზე ვიყავი თვრამეტ საგნის ტოდან ოცდა რვა სექტემბრამდი. აქაური საზოგადოების ამბავი ხომ ვიცი. გეცოდინება, ქალები და კაცები არიან სწორეთ როგორც გინახავს უწინ. პატარა პროგრესი კი არის: ლაპარაკობენ ლიტერატურაზე. მართლა: გორისელმა შემეხვეწა თქვენთან ბოდიშის მოხდა, რათ არ დამიჯერე ნუ დასწერ სტატიასთქო ექვთიმეზე? ხო მისი ბრალი არ ყოფილა. წარმოიდგინე გორისელს დაუწერია სტატია რომელშიაც გაულანძღია რაფიელ ერისთავი მისი ლექსისათვის, რომელშიაც სწერია რომ მე ხომ კატა არ ვარდა შენ თაგვიო, ერთი სიტყვით პოლონოვის ლექსის გარდათარგმნისათვის, მერმე მოუყვანია ჭავჭავაძის ლექსი „ა ყ ვ ა ვ ე ბ უ ლ ა ვ ე ლ ი“ მაგალითად და ანტონის და ჩახრუხაძის ლექსები: ვითომ აი ამისთანა ლექსები უნდა წეროონო. ჩვენ ვირისთავს, (ესე იგი მიხვდები ვის, ანუ ესე იგი კერესელიძეს, ჩვენ პუშკინს და სხვა) ჭკუაში მოსვლია: ამ წიგნს მე გამოვცვლიო; მაშინვე აუღია ხელში რედაქტორის, ცენზორის და არ ვიცი კიდევ ვისი კალამი, გორისელის სტატიიდან რაფიელის ლანძღვა გამოუშვია, ჭავჭავაძის გინება კი თავისი ჩაუმატებია, და ეს ყოვლად უსახო უგვარო სტატია შეგვხვდა ჩვენ წასაკითხავათ. გორისელმა ეხლა სტატია დაწერა, რომელშიაც სრულიად ბრალს ადებს კერესელიძეს. მე უთხარი: ჩვენ სრულიადაც არ მოგვივდოდა ფიქრში თქვენი ლანძღვის დაწერა, რომ თქვენ ჭავჭავაძის ჟურნალი [1] არ გეგინებიათქო. ჩვენ იმ ჟურნალის დიდი იმედი გვაქვს, თქვენ კი ჯერ ჟურნალი არ ჩასახულათქო და კრედიტს უკარგავთქო. გორისელმა ფიცი, მტკიცი, აი ღმერთი, აი ხატი, არც კი მცოდნია თუ „ვიღაც ჭავჭავაძე ჟურნალის გამოცემას აპირებსო“ და სხვანი კერესელიძის ჩამატებული არისო, გორისელმა მთხოვა დრო დამინიშნეო და იმ სტატიის შავს მოვიტანო წაგაკითხებო, თუ იმ სტატიაში რამე სწერიაო მაგისთანაო, სულ მაგინეთო. მეც უთხარი თუ თქვენ არ დაგიწერიათ ჩვენ ბოდიშს მოვიხდითქო, მაგრამ არც ჩვენა ვართქო მაგაში დანაშაულნი. აქაური პოლიც-მეისტერი კარგი კაცია, როგორც პატიოსნებით აგრეთვე სწავლით. ფილოსოფია, კრიტიკა, პოლიტიკური ეკონომია ბრეველი ჩვენს კანტიდატებზე უფრო კარგათ ესმის. იმან შემხვდა გუშინ წინ მოწვამეთას და მკითხა გორისელი მასე საშინელათ რათ გალანძღეთო? მე ვუთხარი რომ, კაცი რომ სხვის ბაღებში შევა უკითხავათ, და იქ ყოლიფერს აურევს დაურევსთქო, იმ კაცს ისე ეკადრებათქო. მაშინ პოლიცმეისტერმა მითხრა თქვენ ხომ არ ერეოდით მის სლედსტვიებშიო? მაშ არც იმას უნდა გაელანძღა თავისი გასაყიდელი კალამით ლიტერატურაო. როგორ მოგწონს? აქ ყველანი ამბობენ გორისელზე: по делам вору мука.

ჭავჭავაძის ჟურნალმა აქ ფუროორი მოახდინა ჯერ ჯეროვნით. გენაცვალე, კირილე, რამე სტატია გაგზავნე დასაბეჭდათ. უსათუოდ გააგზავნე.“ [2]

გაზ. „დროება“ და გ. წერეთელი

როგორც მკითხველმა უკვე იცის, თითქმის მთელი ოთხი წლის (1866—1869 წ.) განმავლობაში გ. წერეთელი ითვლებოდა გაზ. „დროების“ რედაქტორად, მის მთავარ თანამშრომელად და სულის ჩამდგმელად. მისი ღვაწლი და შრომა ამ მხრივ მეტის მეტად დიდი არის. 1876 წ. „დროების“ დაარსების ათი წლის თავზე (1866—76) მისი მაშინდელი რედაქტორი ს ე რ. მ ე ს ხ ი სწერდა:

„ეს შენიშვნა ისე არ უნდა გათავდეს, რომ ჩვენ არ მოვიხსენიოთ ერთი პირი, რომელსაც გაზეთის ბედში არა-მცირედი მონაწილეობა მიუძღვის,

[1] ლაპარაკია ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეზე.“
[2] დედანი ინახება კ. ლორთქიფანიძის არქივში.

რომელსაც ამ ჩვენი „დროებისათვის“ ცოტა ოფლი არ დაუღვრია: ეს პირი არის „დროების„ პირველი რედაქტორი—გიორგი წერეთელი. გიორგი წერეთლის მეცადინეობასა, ნიჭსა და სამშობლო საქმის სიყვარულს უნდა უმადლოდეთ თუ დღეს ჩვენი გაზეთი ცოცხალია და თუ შემდეგშიც ამას დღეგრძელობა მოელის“. [1]

ამასვე აღნიშნავდა 1875 წ. ნ. ნიკოლაძე თავის რუსულ წერილშიაც „დროების“ შესახებ. 1869 წლიდან ნიკოლაძე ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი იყო გაზ. „დროებისა“ და აქტიური წევრი იმ „ახალი ახალგაზრდათა“ ჯგუფისა, რომელიც 1869 წელს შესდგა. გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძისა და სერ. მესხის მეთაურობით. ნიკოლაძე კარგად იცნობდა გ. წერეთელს, დიდი ხნის განმავლობაში ისინი ერთად ეწეოდენ ლიტერატურულსა და პოლიტიკურ ბრძოლას. მან კარგად იცოდა გაზ. „დროების“ დაარსებისა და ვითარების ამბები, კარგად ხედავდა გ. წერეთლის შრომასაც და ღვაწლს ამ გაზეთის წარმატების საქმეში. თავის წერილში ნიკოლაძემ სწორედ ეს აღნიშნა [2].

გაზ. „დროების“ დაარსება ერთ უმნიშვნელოვანეს ეპოქის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიაში. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ „დროება“ იყო პირველი ევროპიული ხასიათის გაზეთი ქართულ ენაზე, რომელსაც გარკვეული პოლიტიკური სოფლმხედველობა ახასიათებდა და რომელიც ახალი თაობის დემოკრატიულ მისწრაფებებს ემსახურებოდა.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდში დაიწყო გაზ. „დროების“ გამოცემა და მისი მოღვაწეობა საზოგადოებრივ-ეკონომიური მხრივ. ამ ეპოქას ახასიათებდა ჩვენი ცხოვრების საგრძნობი წინსვლა, კაპიტალისტურ ურთიერთობისაკენ და ჩვენი სოციალური ძალების ამოძრავება; პოლიტიკური მხრივ—ალექსანდრე მეორის რეაქცია და „თეთრი ტერორი“. ეს რეაქცია „რეფორმის“ მეორე დღესვე დაიწყო რუსეთში,—სწორედ მაშინ, როდესაც გლეხურმა მასებმა თავიანთი მოძრაობით უკმაყოფილება გამოაცხადეს „რეფორმის“ მიმართ და როდესაც რევოლუციონური ინტელიგენცია ნ. ჩერნიშევსკის იდეური ხელმძღვანელობით შეუდგა რევოლუციონური ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და რევოლუციისათვის მზადებას. ამ პოლიტიკურმა რეაქციამ თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია პოლონეთის აჯანყებისა (1863 წ.) და კარაკოზოვის [1] ტერორისტული აქტის (1866 წ.) ზეგავლენით: ალექსანდრე მეორეს მთავრობამ ისარგებლა აღნიშნული

[1] იხ. „დროება“ № 24, 1876 წ.
[2] იხ. წერილი: Местная литература—Тифл. Вестник № 99, 1875.

ძომენტებით და გაამეფა რუსეთში „თეთრი ტერორი“ რევოლუციონური მოძრაობისა და კრამვოლის აღმოსაფხვრელად. რუსეთის პრესა სასტიკი ცენზურის ქვეშ მოექცა და ინტელიგენციას ყოველგვარი საშუალება მოესპო თავისი აზრის თავისუფლად გამოთქმისა. ამ პოლიტიკურმა რეაქციამ თავისი დაღი დაასვა გაზ. „დროების“ მოღვაწეობას, რომელიც სწორედ სასტიკ „ტერორის“ პერიოდში გამოვიდა და რომელიც, როგორც ქვევით დავინახეთ, ცენზურის მაგარი არტახებით იყო შეკრული.

მაგრამ, ამ საშინელი რეაქციის პირობებშიაც, ჩვენი საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა წინ. ბატონყმობის გაუქმებამ ჩვენში,—რომელიც გამოწვეული იყო ჩვენი ძველი საზოგადოებრივი წყობილების კრიზისითა და ეკონომიური აუცილებლობით,—მტკიცე საფუძველი შექმნა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისათვის. „დროებას“ სწორედ ამ ახალი ეკონომიური ურთიერთობის კონსოლიდაციის პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა და იგიც თავისი პროგრამით, თავისი იდეოლოგიითა და მისწრაფებით ამ კაპიტალისტურ ტენდენციის გამომხატველი იყო. მეორე მხრივ, ჩვენი ახალი ცხოვრების დასაწყისის მაჩვენებელი იყო ჩვენი ახალი თაობის ინტელიგენციის გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე და მისი ბრძოლა ცხოვრების ახალ პირობებისათვის. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ჩვენი სტუდენტების (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ღოღობერიძეები, ი. ისარლიშვილი და სხ.) მონაწილეობა 1861 წლის სტუდენტთა არეულობაში და 1868—69 წლების გაფიცვებში (ბ. ჯაფარიძე, ნ. ყიფიანი, და სხვები) ამავე ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის დასაწყისის მძლავრ სიმპტომს წარმოადგენდა 1865 წლის ხელოსანთა აჯანყება ტფილისში, ამრიგად, მიუხედავად რეაქციის სუსხიანი დღეებისა, „დროებას“ მაინც ახალ საწარმოო ურთიერთობის განვითარებისა, და ახალი საზოგადოებრივი ძალების ამოძრავების ხანაში მოუხდა ცხოვრება. ამას ნათლად გრძნობდენ მისი ხელმძღვანელები. სერგი მესხი სწერდა:

> „დროებამ“ ისეთს დროს დაიწყო გამოსვლა, როდესაც ხანგრძლივის ძილისა და მყუდროების შემდეგ, საქართველომ თითქო გამოღვიძება დააპირა. ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენმა ხალხმა ცოტ-ცოტათი დაიწყო თავის ძველი ცხოვრების წესისა და ხასიათის მიტოვება, და ახალს, თანამედროვე ცხოვრებას შეუდგა. ეს იყო ის დრო, როდესაც განათლებული ახალგაზრდა ქართველები გაჩნდნენ ჩვენ'ში, რომელთაც ცოტა არ იყოს, შეანძრიეს თითქო გაქვავებული და დამავებული ჩვენი ცხოვრება. ხალხი გრძნობდა ახალ დროს, ახალ ცხოვრების მოახლოვებას. თვალები და გონება, რომარ ქონოდა მაშინდელ ქართველს მარტო ყნოსვითაც კი შეიტყობდა, რომ რაღაც სხვა დრო და სხვა მოთხოვნილება გაჩნდაო“ [1]

[1] იხ. „დროება“ № 24. 1876 წ. ს. მესხის წერილი.

გაზეთი „დროება“ ამ ახალი დროების გამომხატველ ორგანოდ გადაიქცა. არ დარჩენილა არც ერთი ღირსშესანიშნავი საკითხი ჩვენი ცხოვრების მიერ წამოყენებული, რომ „დროებას“ ამაზე პასუხი არ გაეცა და არ გადაეჭრა იგი რადიკალური დემოკრატიის თვალსაზრისით. თავისი შინაარსითა და მიმართულებით „დროება“ პროგრესიული, რადიკალური ბურჟუაზიული აზროვნების ორგანო იყო. იმდენად, რამდენადაც იმ ხანებში ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის დარღვევა და მისი ნაშთების აღმოფხვრა აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ახალი კაპიტალისტური დამოკიდებულების განვითარებისათვის,—ბურჟუაზიული მოძრაობა და აზროვნება ჯერ კიდევ განუყრელი იყო, რადიკალურ-დემოკრატიულ მოძრაობასთან და აზროვნებასთან, და ჩვენი ახალი ორგანოც და მისი იდეური ხელმძღვანელნიც ასახავდენ ამ ობიექტურ-ისტორიულ გარემოებას.

გაზეთის დაარსებას დიდი ხნიდან აპირებდა ახალი თაობის ინტელიგენციის ერთი ჯგუფი. ჯერ კიდევ 1863 წ. ილ. ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოვიდა პროგრესიული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. მაგრამ იგი ერთი წლის არსებობის შემდეგ დაიკეტა. ამ გარემოებამ აღუძრა სურვილი ინტელიგენციის ერთ ჯგუფს შესდგომოდენ ქართული გაზეთის გამოცემას; [1] გაზეთის გამოცემის მიზნით წინასწარი მუშაობაც ჩაუტარებიათ და სტამბის შეძენასაც შესდგომიან. ამ საქმეების ინიციატორობა უკისრიათ ნ. ღოღობერიძეს, [2] ვახტანგ თულაშვილს, [3] დიმიტრი ბაქრაძესა, [4] და ს. მელიქიშვილს [5]

---

[1] ს. მელიქიშვილი „დროების“ ათი წლის დღესასწაულზე ამბობდა: „პირველი აზრი იმ გაზეთის გამოცემისა, რომლის გამომცემელი მე გახლავართ და რომლის ათი წლის არსებობას ჩვენ დღეს ვდღესასწაულობთ, ეკუთვნის თ. ილ. ჭავჭავაძეს, რომელმაც პირველად გამოსთქვა ეს ჰაზრი „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ“. (იხ. „დროება“ № 24, 1876 წ.).

[2] ნიკო ღოღობერიძე იყო 60-იანი წლების ქართველ სტუდენტთა ერთ-ერთი მეთაური. მონაწილე 1861 წლის სტუდენტთა არეულობისა პეტერბურგში, „დროების“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი 1868 წლამდე, შემდეგ სახელმწიფო სამსახურში შევიდა, ერთხანს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის თავჯდომარედაც იყო, 80-იან წლებში ჭიათურის მრეწველობას მოკიდა ხელი. გარდ. 1911 წ. ნ. ღოღობერიძე გ. წერეთელს გამოყვანილი ჰყავს კიკოლიკის სახით თავის და მგზავრის წერილებში“.

[3] ვ. თულაშვილი—„საქართველოს მოამბეში“ თანამშრომლობდა ვ. თ. ფსევდონიმით. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ „გასამიჯნავ დაწესებულებაში იშოვა კარგი ადგილი“ (გ. წერეთელი). მწერლობას იშვიათად უბრუნდებოდა. გარდაიცვალა 1911 წ.

[4] დიმიტრი ბაქრაძე—ისტორიკოსი და პუბლიცისტი. პირველ ხანებში უახლოესი თანამშრომელი იყო გაზ. „დროებისა“. შემდეგ ცენზორადაც იქნა დანიშნული. გარდ. 1890 წ.

[5] ს. მელიქიშვილი—გაზ. „დროების“ გამომცემელი და სტამბის მეპატრონე,—ძმა პროფ. პ. მელიქიშვილის და ცოლის-ძმა პუბლიცისტ სერ. მესხისა. გარდაიცვალა 1886 წელს.

1864 წ. მაისის 25-ის თარიღით ნიკო ღოღობერიძე სწერს კირილე ლორთქიფანიძეს:

„ამას კი გწერ, ვიცი გეამება: მე, ვახტანგ თულაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე და სტეფანე მელიქიშვილი სტამბის გახსნას ვაპირებთ წელს შემოდგომას, გვინდა ახალი შრიფტი შევადგინოთ, ქართული, ლამაზი, ადვილი საკითხავი ასო-მთავრულით, უსტამბოთ ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლიან. თუ ღმერთმან ქმნა და გავაწყვეთ კარგათ, მაშინ იმედია თქვენის (სტუდენტების.—ს. ბ.) შემწეობით, რამეს მოვაბერხებთ“.[1]

გაზეთის გამოცემისათვის ნებართვის მიღება იმ ხანებში არც ისე ადვილი საქმე იყო. როგორც სჩანს, დიდი ცდების შემდეგ 1866 წლის დასაწყისში დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზისძეს, რომელიც მაშინ მეფის მოადგილედ ითვლებოდა კავკასიაში, გაზეთის გამოცემის ნებართვა მიუცია განსაკუთრებულს პირობებში და სასტიკი ცენზურის დაწესებით. ზემოდ დასახელებულმა ჯგუფმა უკვე 1865 წ. რედაქტორად მოიწვია გ. წერეთელი, რომელიც მაშინ ახლად დაბრუნებული იყო რუსეთიდან და პედაგოგიურ პრაქტიკას ეწეოდა. თუ როგორ პირობებში უხდებოდა მუშაობა ახალგაზრდა რედაქტორსა და გაზეთის თანამშრომლებს, ინტერესს მოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ აქ რამოდენიმე ადგილი „დროების“ თანამშრომელთა კერძო მიწერ-მოწერებიდან და დოკუმენტი საცენზურო კომიტეტიდან.

1866 წ. 16 იანვარს ნ. ღოღობერიძე კ. ლორთქიფანიძეს სწერდა:

„ახლა ჩვენი თხოვნა შენთან და საზოგადოთ სტუდენტებთან მდგომარეობს იმაში, რომ შეიწეობა აღმოუჩინოთ ამ გაზეთს, იკისროთ მისი თანამშრომლობა. ეჭვი არ გვაქვს, რომ ამ თხოვნას აგვისრულებთ, რომ თქვენს თანამშრომლობაზედ არა გვქონდა იმედი, ჩვენ კიდევაც ვერ გავბედავდით გაზეთის გამოცემას. —ადვილათ მიგხვდებოდით, რა მიზეზისა გამო ვითხოვეთ გაზეთის ნება და არა ჟურნალისა. ჩვენის აზრით გაზეთი უფრო სასარგებლო იქნება ჩვენი ხალხისათვის, მინამ ჟურნალი. ჟურნალის დიდს სტატიებს ვერ ერეოდენ ჩვენის მოუმზადებელი მკითხველები, გაზეთის მოკლე სტატიები, რასაკვირველია, უსწავლელს კაცს გაზეთის ახალ-ახალი ან ხშირათ ცხოვრების შესახები ამბები უფრო გაართობს, მინამ გრძელი ტრაქტატი რომელიმე საგანზედ. გამოცემა გაზეთისა, უეჭველია, უფრო ადვილი მინამ ჟურნალისა. სხვა რომა რა ვთქვათ, გაზეთში ხან და ხან ორიგინალური სტატია რომ არ იყოს, არაფერია; უამისოთაც შეიძლება გასართობი და საინტერესო იყოს, მაშინ როდესაც ჟურნალში თუ ერთი ორი სტატია არ იქმნა ნამდვილი, რადა ჟურნალი იქნება. ამასთანავე ჟურნალში საპოლიტიკო ნაწილის ნებას ხომ არას დროს არ მოგვცემდენ. ნუ დაივიწყებთ იმას, რომ ჩვენ გაზეთთან დამატება გამოვა წიგნებათ, რომელმაც უნდა აასრულოს ჟურნალის ვალი, რადგანაც ამ დამატებაში დაიბეჭდება გრძე-

[1] დედანი ინახება კ. ლორთქიფანიძის არქივში.

ლი სტატიები. რედაქციის შეძლებაზედ არის დამოკიდებული, რამდენსაც მოახერხებს, იმდენი წიგნი შეუძლია გამოუშვას წელიწადში ამ დამატებისა. კირილე, შენ კარგათ იცი რა არის ჩვენი ხალხისათვის საჭირო, ამისათვის ამაზე მოწერა საჭირო არ არის. თუ რამე გაქვს დაწერილი, ძალიან მადლობელი ვიქნებით, რომ გამოგვიგზავნიდეთ, ამასთანავე, რასაკვირველია, ამას იქით მეტის ხალისით მოკიდებთ კალამს ხელს. მანდედამ კორესპონდენციებს სხვადასხვა შესანიშნავ ამბებზედ რომ გამოგვიგზავნიდეთ ხოლმე, მაგას რაღა ემჯობინება. წერის დროს აქაური ცენზურა კი უნდა იქონიოთ სახეში. ღონორარზე დათიკოსაც მოვსწერე, თუ რამე ღონისძიება გვექმნება, დაგვერწმუნეთ, პირველათ იმას ვეცდებით, სტუდენტები დავაკმაყოფილოთ“ [1].

როგორც ამ წერილიდან სჩანს, რედაქციის მთავარ ამოცანას შეადგენდა თანამშრომელთა მობილიზაცია მოეხდინა და რუსეთის ქალაქებში გაბნეული ქართველ ახალგაზრდა ინტელიგენტების ჩაბმა ლიტერატურულს მუშაობაში. თვით გ. წერეთელი იმავე კ. ლორთქიფანიძეს ახარებს რა ახალი გაზეთის გამოცემის ნებართვის მიღება, სწერს: „თქვენ ახლა ძლიერ საჭირონი ხართ ჩვენთვისო“... მართლაც, რედაქციამ შესძლო ახალი თანამშრომლების შემოკრება თავის გარშემო და ღირსშესანიშნავი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მუშაობის გაჩაღება. 1866—69 წლებში, როდესაც გაზ. „დროება“ გ. წერეთლის რედაქტორობით გამოდიოდა, ამ ორგანოს უახლოეს თანამშრომლებად ითვლებოდა: დიმ. ბაქრაძე, ვ. პეტრიაშვილი, ალ. ცაგარელი (შემდეგში პროფესორები), კ. ლორთქიფანიძე, ილ. ჭავჭავაძე, ან. ფურცელაძე, მ. ფაზელი (გურიელი), გრ. თარხან-მოურავი, პ. უმიკაშვილი, აკაკი, ნ. ინაშვილი, რ. ერისთავი, ი. ჯანაშვილი, ი. გოგებაშვილი, ნ. ღოღობერიძე, სტ. მელიქიშვილი, ვ. თულაშვილი და მრავალი სხვები. მაგრამ გაზეთის სული და გული, მისი ტონის მიმცემი თვით რედაქტორი გ. წერეთელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი კვირაში ერთხელ გამოდიოდა იგი მაინც მეტის მეტად დიდ შრომას მოითხოვდა თვით რედაქტორისაგან. იმ ხანებში, როდესაც ჯერ კიდევ პირველად იკიდებდა ჩვენში ფეხს პერიოდული გამოცემის საქმე. გასაკვირი არ არის, თუ ამ პირველი საფუძვლების ჩაყრა მეტის-მეტად ძნელი იყო, ახალგაზრდა ლიტერატორისათვის; მას უნდა ეხელმძღვანელა გაზეთის არა მარტო იდეური მხარისათვის, არამედ ტეხნიკურ პირობებისათვისაც, დღე და ღამ სტამბაში ყოფილიყო და ეზრუნა მისი გავრცელებისათვისაც. ოთხი წლის განუწყვეტელმა მუშაობამ იგი მეტად დაჰქანცა და მოასუსტა. 1883 წელს სერ. მესხის დასაფლავებაზე გ. წერეთელი ამბობდა:

---

[1] იხ. კ. ლორთქიფანიძის არქივი ქუთაისის მუზეუმში.

„ვერც ერთი თქვენთაგანი იმ საშინელ ჯაფას და თავგანწირულებით ბრძოლას ვერ წარმოიდგენს, რაც მე და ჩემ ამხანაგებს გვინახავს და გვ. მოგვიცდია მესხთან შრომით კვირის კვირამდე, თვისთვეობამდის, დღე და ღამ უძილობა, მუდამ რკინის მტვერში (სტამბაში) ყოფნა და მით სუნთქვა, იმ მძიმე ჰაერით ფილტვების ლპობა.“ [1]

1883 წლის „დროების“ 31 ივლისის ნომერში ი ვ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი ს წერილში „დროების“ მოღვაწეობის პირველი პერიოდი შემდეგი სიტყვებით არის აწერილი:

„4 მარტს 1866 წელს გამოვიდა პირველი ნომერი „დროებისა“ გ. წერეთლის რედაქტორობით. ეს ნომერი კარგა მოზრდილი იყო, ფელეტონს თავისი ალაგი ეჭირა, მოწინავე წერილს თავისი, დანარჩენი ნომერი დაეპყრო პოლიტიკას, დაგვიანებულ ტელეგრამებს და მთავრობის განკარგულებას. პირველ მოწინავე წერილში[2] რედაქცია უხსნიდა მკითხველებს გაზეთის მნიშვნელობას, უხსნიდა, რომ საზღვარ-გარეთ ყოველ ქუჩერსაც კი ჯიბეში გაზეთი უდევსო, თითქო არცხვენდა ამით, თუ ქუჩრები გაზეთებს ჰკითხულობენ, თქვენ უფრო არ შეგეფერითო! მაგრამ საზოგადოება ყრუდ დარჩა და გაზეთს არამც თუ ქუჩრები, იმისთანებიც კი არ ჰკითხულობდნენ, რომელთაც მოცლილი დრო (და ეს მოცლილი დრო ხშირად მთელი დღე იყო) ჰორებისათვის ჰქონდათ გადადებული. მხოლოდ ორიოდ თავგამომეტებული ლიტერატორი შრომობდა მაშინ რედაქციაში და თითქმის გაზეთის ყოველი სტრიქონი რედაქციაშივე იყო დაწერილი: არსაიდამ კორესპონდენციები, არსაიდამ ახალი ამბები, პოლიტიკის წყაროდ მხოლოდ გაზეთი „კავკაზი“ და, რაც უფრო საგრძნობელი იყო, არსაიდამ ხელისმომწერლები!.. მკითხველი საზოგადოება თუ იყო სადმე, გულცივად ეპყრობოდა გაზეთს. რა „დროება,“ რის „დროება,“ ქართული გაზეთი ვისთვის რა საჭიროა! ჰქადაგებდა არა ერთი და ორი, ჰქადაგებდნენ მრავალნი და ამ გულცივობით გულს უკლავდნენ იმათ, ვინც იტანდა ამ საზოგადო საქმისათვის სიმშილს, წყურვილს, უწყალო, განუწყვეტელ შრომას და თან ყოველს ამაზე კიდევ უარესს საზოგადოების გულგრილობას, უმადურობას!.. დროება გამოიცვალა და შეეცვალა სახე „დროებასაც.“ პროვინციებში აქა-იქ გამოჩნდნენ ცხოვრების ნიჭიერი დამკვირვებელნი და თავიანთ ნაშრომით გაუნახევრეს წვალება რედაქტორსა და უმთავრეს თანამშრომლებს, მართალია, ბევრ კორესპონდეციას შესწორება, წამლა-წამოშლა, როგორც ამბობდენ, გაშალაშინება ეჭირვებოდა, მაგრამ სამაგიეროდ გაზეთს უფრო ჩვენებური სახე მიეცა, პოლიტიკა თვის კალაპოტში ჩაჯდა და გაზეთს გაზეთობა დაეტყო.„

ასეთს პირობებში უხდებოდა პირველ ხანებში მოღვაწეობა გ. წერეთელსა და მის რედაქტორობითა და უახლოესი თანამშრომლობით გამოსულ გაზ. „დროებას.“ ნიჭიერმა რედაქტორმა დიდი ტანჯვა და ენერგია დახარჯა, რომ გაზეთი ფეხზე დაეყენებია და ჯერ კიდევ მოუმზადებელი საზოგადოების ყურადღება დაემსახურებია.

---

[1] იხ. „დროება“ № 145, 1883 წ.

[2] „დროების“ პირველი მოწინავე წერილი დაწერილი უნდა იყოს სტ. მელიქიშვილის მიერ.

„დროების“ მატერიალური მდგომარეობისა და გავრცელების შესახებ საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს გრ. თარხან-მოურავი ერთ თავის წერილში 1871 წ. ამ ცნობებიდან ჩვენ ვიგებთ-ლობთ, რომ „დროებას“ 1866 წ. ყოლია 400 ხელისმომწერი; 1867 წ. 350; 1868 წელს—330; 1869 წ.—დაახლოებით 300; 1870 წ.—243 თარხან-მოურავი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „დროების“ მატერიალური მდგომარეობა იმ მხრივადაც იყო უმწეო და მეტის მეტად სამწუხარო, რომ ყველა ხელისმომწერს არ შემოქონდა თავისი ხვედრი თანხა; ასე, მაგალითად, „დროებას“ ოთხი წლის (1866—1870 წ.) განმავლობაში დაკარგვია ხელისმომწერლებისაგან 3,058 მანეთი. ამავე 1868—1870 წლებში გაზეთს უნდა შემოსვლოდა ხელისმომწერლებისაგან დაახლოებით 11,361 მანეთი; ფაქტიურად კი შემოსვლია 8,309 მან. „სჩანს, რომ თითქმის მეოთხედი შემოსავალი აღარ იცის კაცმა რა იქნა, სად დაიკარგა“, უკეთ რომ ვსთქვათ, ეს „მეოთხედი ნაწილი“ ხელისმომწერლებს არ შემოუტანიათ. დღეს, როდესაც ქართულ გაზეთის ტირაჟმა 80.000-დე მიაღწია, რასაკვირველია, გაზეთის 300--400 ეგზემპლიარის გამოცემა ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს: მაგრამ ეს მინიმალური რიცხვი იმ პერიოდს ეკუთვნის, როდესაც ჩვენში პირველად იკიდებდა ფეხს გაზეთის გავრცელების საქმე. იგივე თარხან-მოურავი შემდეგ საინტერესო ცნობას იძლევა:

„ეხლა კი ვნახოთ, როგორ ვრცელდება საზოგადოებაში „დროება“ — 1868 წ. გამოდიოდა 330 ეგზემპლიარი და მცხოვრებლების რიცხვი კი თფილისის გუბერნიაში ქართველებია 336,000.—ამ 330 ხელის მომწერლებიდან უნდა გამოვრიცხოთ ის რიცხვი, რამდენთაც მისდის ქუთაისის გუბერნიაში „დროება“, თბილისის გუბერნიაში გამოიწერება მხოლოდ 148 ეგზემპლიარი, ასე რომ თითქმის 2,269 სულზედ მოდის ანგარიშით 1 ნომერი „დროებისა“, აქედან სჩანს, რომ 2.269 კაცი აძლევს წელიწადში 7 მანეთს,—ესეიგი თითო კაცზე მოდის 1/4 კაპ. მაშასადამე უნდა შეიკრიბნენ ოთხი კაცი და გამოიმეტონ მხოლოდ ერთი კაპ., რომ წლითი წლამდე ჰკითხულობდნენ ყოველ კვირას თითო ნომერს „დროებისას.“—უეჭველია, რომ საზოგადოების ამ გვარის თანაგრძნობით ჩვენი ლიტერატურა ვერ ნახავს წარმატებას. წინაალმდეგ ამისა, უნდა ვსთქვათ, რომ „დროება“ თავის მოვალეობას ასრულებს დიდის მეცადინეობით და თავის საქმის ერთგულებით... ესეც უნდა მივაწეროთ მის რედაქციის განსაკუთრებულ ენერგიას.“ [1]

მაგრამ მატერიალურ სიძნელეებთან ერთად გაზეთის წინააღმდეგ მიმართული იყო მაშინდელი სასტიკი ცენზურა და მემამულეების მხრივ დევნა. გაბატონებულმა წრეებმა სამართლიანად დაინა-

[1] გრ. თარხან-მოურავი: „დროების“ და „მნათობის“ ღონის-ძიება და საზოგადოების თანაგრძნობა ლიტერატურისადმი „დროება“ № 21871, წ.

ხეს „დროებაში“ მათ საწინააღმდეგოდ მიმართული აზრები და დევნაც დაუწყეს მას: 1871 წლის ნომერში ვკითხულობთ:

„სამწუხაროა საზოგადოებისაგან ლიტერატურის მნიშვნელობაზე ამისთანა უსაფუძვლო შეხედულება. მაგრამ კიდევ უფრო მომეტებული სამწუხარო ისაა, რომ ზოგიერთები, თავის ცხოვრებისა და მოქმედების გაკიცხვა რომ არ გაიგონონ, მზათ არიან რითიმე ავნონ ამ ლიტერატურას, ან თუ შეიძლება სრულიად მოსპონ საზოგადო ნაკლულევანების მაჩვენებელი გაზეთი ან ჟურნალი. ამას ჩვენ უსაფუძვლოთ არ ვამბობთ: ამას წინეთ „დროებაში“ ერთი უეზდიდამ კორესპონდენცია იყო დაბეჭდილი, რომელშიაც ჩვენი კორესპონდენტი სხვათაშორის ამბობდა, რომ აქაური ნაბატონევები ავიწროებენ გლეხებსო, დაჭირვების დროს ერთობ ძვირათ მიჰყიდეს იმათ პურიო და სხვ. ამ ამბის გამჟღავნებამ ისე აადელვა თურმე ზოგიერთი ადგილობრივი მამულის პატრონები, რომ ერთს თუ ორს იმათგანს წინადადება მიეცა სხვებისათვის, რომ ყოველი ღონის-ძიება ვიხმაროთ, რომ გაზეთი მოისპოსო“...[1] (შემდეგ ცენზორის მიერ არის ამოღებული.—ს. ხ.).

ასეთს ატმოსფერაში უხდებოდათ „დროების“ რედაქტორებს გ. წერეთელსა და სერ. მესხს თავიანთი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მუშაობის წარმოება. მიუხედავათ ამ მძიმე პირობებისა, მათ შესძლეს უდიდესი როლის თამაში ჩვენი ჟურნალისტიკის განვითარების საქმეში.

მაგრამ რედაქტორის საქმიანობასა და გაზეთის საქმის შესაფერისს სიმაღლეზე დაყენებას ხელს უშლიდა უმთავრესად მაშინდელი სასტიკი ცენზურული პირობები. მკვლევარმა თუ ამ გარემოებას არ მიაქცია არსებითი ყურადღება, მისთვის სრულიად გაუგებარი დარჩება „დროების“ პოლიტიკური პროგრამის არსებითი შინაარსი და ძლიერ დასცილდება ისტორიულ სინამდვილეს. როგორც ვწერდით, „დროების“ პირველ რედაქტორს სასტიკ რეაქციის პერიოდში მოუხდა მუშაობა და ამან თავის გავლენა მოახდინა გაზეთის შინაარსზე; გაზეთს პირდაპირ აკრძალული ჰქონდა პოლიტიკურ საკითხებზე წერა და მსჯელობა. რედაქტორი იძულებული ხდებოდა თანამშრომლებისათვის შესაფერისი დარიგებანი მიეცა. 1866 წ. იმავე კ. ლორთქიფანიძეს იგი სწერდა:

„მაგრამ ამას კი ძალიან გეხვეწები წერილებში აზრები დაფარო ისე, რომ ბეც კაითმაზოვის თვალებს არ შეეჩხიროს, თორემ უეჭველად ამოშლის და სტატიას ძალა დაეკარგება“. რომ მკითხველმა ნათელი წარმოდგენა იქონიოს მაშინდელ ცენზურულ პირობებზე, მოვიყვანთ აქ საცენზურო კომიტეტის ერთ განკარგულებას მთლი-

[2] იხ. „ჩვენი მკითხველი საზოგადოება და ლიტერატურა“ — „დროება № 20 1871 წ.

ანად. 1874 წ. საცენზურო კომიტეტიდან სწერდენ გაზ. „დროების“ დროებით რედაქტორს კ. ლორთქიფანიძეს, შემდეგს:

„Государь великий князь наследник разрешил издание редактируемой вашим сиятельством газеты „Дроеба,“ приказать изволил, чтобы обозрение текуших политических известии было перепечатываемо только из оффициальных газет: „Русский инвалид,“ „Северная почта,“ „Правительственный вестник“ и „Кавказ,“ о чем сообщено бывшим редакторам газеты „Дроеба“ г. г. Меликову и Церетели отношением цензурного комитета от 5 января 1866 года за № 5.—Между тем цензурою неоднократно замечено, что в политическом отделе газеты „Дроеба“ допускается не только известия, заимствуемые из других неоффициальных газет, но и самостоятельные сообщения политического характера в форме корреспонденции и даже нередко суждения по поводу того или другого политического явления. Хотя подобное нарушение программы, однажды преподанной редакции к руководству, не раз ставилось ей на вид, но в следствие продолжающегося и поныне такого нарушения цензурный комитет считает необходимым подтвердить вашему [сиятельству о точном исполнении разрешенной редакции программы, на основании которой политический отдел газеты „Дроеба“ должен заключать в себе одно только фактическое изложение политических известий, без всяких суждений со стороны редакции по поводу их и известия эти должны быть заимствованы только из оффициальных газет. Для удостоверения же цензуры в этом отношении комитет просит ваше сиятельство в представляемых на цензуру корректурных листах под каждым сообщаемым известием указывать № газеты, из которой таковые будут заимствованы.“ [1]

ამ დოკუმენტს კომენტარიები არ ესაჭიროება, იგი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი მაგარი არტახებით იყო შეკრული „დროების“ რედაქცია; მას არც უფლება, არც საშუალება არ ჰქონდა გამოეთქვა თავისი პოლიტიკური სოფლმხედველობა, შეეფასებია მიმდინარე საზოგადოებრივი ვითარება ისე, როგორც ამას მოითხოვდა მისი მრწამსი და მისწრაფებანი. მაგრამ თუ რაიმე პოლიტიკურ აზრებს აპარებდენ გაზეთში—ეს ხდებოდა დიდი ტაქტითა და სიფრთხილით—„აზრების გამოთქმით ისე, რომ ბეც ცენზორებს არ შეჩხირებოდა თვალებში“, მაგრამ ამ მძიმე პოლიტიკური ატმოსფერის საუცხოო სურათს იძლევა გ. წერეთელი ერთ თავის კერძო წერილში კ. ლორთქიფანიძისადმი. ამ წერილში ავტორი მიგვითითებს იმ აგრესიულ-რუსიფიკატორულ პოლიტიკაზე, რომლის გატარებას შეუდგა მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლაევიჩი ამიერ-კავკასიაში და რო-

[1] დედანი ინახება კ. ლორთქიფანიძის არქივში.

მელმაც შემდეგ, 80-იან წლებში დონდუკოვ-კორსაკოვის დროს უმაღლეს წერტილს მიაღწია. მოგვყავს ეს წერილი მთლიანად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყვარელო ძმაო კირილე

მიკვირს ეს ორი წელიწადია, რომ შენგან წიგნი არ მომსვლია. იქნება მიწყრები; მაგრამ ჩვენ შორის წყრომას ადგილი არ ექნება; მაშ რას უნდა მივაწეროთ შენი აგრეთი გულგრილობა?.. გაზეთზედ რატომ არას იწერები. იქნება ღირსად არა ხდი, რომ იმაზედ რაიმე ყურადღება მიაქციო; მაგრამ ამას კი გეტყვი,—თუ საზოგადოთ დაწინავებულის კაცის აზრში ჩვენს გაზეთს, მართალია, ბევრი ნაკლულევანება აქვს, მაგრამ მით უფრო მოსწორს ის ჩვენს საზოგადოებას. ამ ბოლოს და ბოლოს განსაკუთრებით უფრო და უფრო მიიზიდა მკითხველები. კვირა არ გაივლის, რომ ხელის მომწერი არ მიემატოს. ახლა, მე ვგონებ, 400-ზედ მეტი უნდა იყოს ხელის მომწერი. გეუბნები ვგონებ, იმისთვის რომ მართლად არ ვიცი, რადგანაც ეს საქმე უფრო გამომცემლებს შეეხება და მე ამ საქმეში კომპეტენტი არა ვარ. ახლა ორიოდე სიტყვა ჩვენს გარემოებაზედ უნდა გითხრა. ვიდრე ის დიდი შემთხვევა[1] აღმობრწყინდებოდა პეტერბურგის არეზედ, ჩვენი მდგომარეობაც იმდენად სულშემხუთველი არ იყო. თუმცა კი ხალხობას აშკარად სდევნიდენ, მაშინაც და ნეველომა, რომელსაც ჩვენ აქ „ციკლოპსა“ ვეძახით და ნამსტნიკის ხელქვეით პირებმა შეადგინეს ერთი პროექტი, რომელსაც აზრში აქვს აღმოფხვრას ჩვენი სახსენებელი საქართველოს არეზედ, მაგრამ მაინც კიდევ როგორც იყო უფრო თავისუფლად ვიბამდით (?) სულსა; ეხლა კი სრულებით შევიბორკილენით გონიერებით. არავითარის ხეირიანის აზრის გამოთქმის ნებას არ გვაძლევენ, აგრეთვე მთავრობის განკარგულებაშიაც იმისთანა ბრძანებანი გაიცა, რომ სრულებით ლამის, ჩვენს ქვეყანაში, ან წყვდიად სიბნელე მოჰფინოს და ან რუსეთის კამარა თავს გადმოგვახუროს. ჩვენებურს აფიცრებს უთხრეს ან რუსეთში წადით სამსახურში და ან სულ საშსახურიდგან გამოდითო. ეტყობა, იმედი არა აქვთ იმათზედ. ქართულს ენას სდევნიან; ამტკიცებენ სტატიებით, რომ მეგრელები სულ სხვა ტომისანი არიანო და უნდა სხვა გვარი ანბანი შეეუდგინოთო. ზევით რომ პროექტი გითხარი იმის აზრი აი რას შეიცავს,—უნდათ მასწავლებლების სემინარია დაარსონ. ამ სემინარიაში მიიღებენ სასულიერო სემინარიის ყმაწვილებს, როდესაც ისინი იქ სწავლას შეასრულებენ. ზემოხსენებულს მასწავლებლების სემინარიას უნდა ეწოდოს „учительская семинария“. ამ სასწავლებელში ქართული ენა არ უნდა იყოს. როდესაც ამ სასწავლებელში შეასრულებენ სწავლას ყმაწვილები, შემდეგ იმათ გააგზავნიან მასწავლებლებად „სასოფლო სკოლებში,“ სადაც იმათ გლეხების ყმაწვილებს უნდა ასწავლონ რუსული წერა-კითხვა და ლაპარაკი: ქართული კი არას გზით არ უნდა ასწავლონ. ასე ამრიგად მთელი ხალხობა უნდათ გაარუსონ. თვით ჩვენი საზოგადოებაც ისე მძინებული და შეშინებულია, რომ ან არას გრძნობს და ან თუ გრძნობს შიშისაგან ხმა ვერ ამოუღია, ამ გვარს მდგო-

[1] ავტორს მხედველობაში აქვს კარაკოზოვის ტერორისტული თავდასხმა ალექსანდრე მეორეზე 1866 წ. 4 აპრილს.—ს. ხ.

მარეობაში მითხარით რა უნდა ვქნათ? ნუთუ ყოველი ჩვენი ახალგაზრდათაგანი მადაურ ჰაერს უნდა შეაჩერდეს და სამშობლოსთვის არ უნდა იცოცხლოს?—ვერიდოთ ძმაო, რომ მყობადში დედ-მამის მკვლელი არ დაგვეძახონ. ახლა ღვთის მადლით ტფილისში შეუძლიან ყოველს ჩვენთაგანს, თუ მეტს არ გამოვეკიდებით, თავისის შრომით დარჩეს, კანდიტატის დიპლომიც რომ არ ქონდეს. თუ არ ჩამოდით და არ მოგვეხმარეთ ძლიერ სასაშიშრო მდგომარეობაში არის ჩვენი საქმე; „ქართველი დაეცა მოსხლეტით და დღითი დღე ეპარება იმას სიცოცხლე.“ აქ ამბავი მოგვივიდა რომ სვიმონ წერეთელი და ბევრი ჩვენი კმაწვილებთაგანი დაიჭირესო. მართალია თუ არა?

შენი ძმა გიორგი წერეთელი
ტფილისი, 3 ივლისს [1867 წ.]

ასეთს პოლიტიკურ ატმოსფერაში გამოვიდა და მოღვაწეობდა „დროება.“ რასაკვირველია, დრომ თავისი დაღი დაასვა ამ გაზეთს და არ მისცა მას თავისუფალი გაშლის საშუალება. მიუხედავად ამისა გ. წერეთლის რედაქტორობის პერიოდში (1866—69 წ.) ამ გაზეთმა მეტად დიდი კულტურულ-პროგრესიული როლი ითამაშა და შემოიკრიბა თავის გარშემო ახალი სასიცოცხლო ძალები (1869 წელს) ახლად შემდგარმა ჯგუფმა (ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, გ. წერეთელი და სხ.) რედაქტორობა სერ. მესხს გადასცა, ხოლო გ. წერეთელი დარჩა მისი უახლოესი თანამშრომელი. 1869—73 წლებში, 1868 — 73 წლებში იგი რედაქტორობდა „სასოფლო გაზეთს“, 1871—73 წლებში „კრებულს“, 1873—77 წლებში გ. წერეთელი საზღვარგარეთ იმყოფებოდა და იშვიათად თანამშრომლობდა „დროებაში“. „დროებას“ იგი დაუბრუნდა 1879 წ., მაგრამ რამდენიმე თვით თანამშრომლობის შემდეგ დასცილდა მის რედაქტორს და იმ ხანებში უმთავრესად რუსულ გაზეთებში დაიწყო თანამშრომლობა. სერგეი მესხი „დროებას“ რედაქტორობდა 1869—83 წლების განმავლობაში. 1883 წელს, საშინლად დაქანცული და სასიკვდილოდ დაავადმყოფებული ს. მესხი (გარდაიცვალა იმავე წელს), შესცვალა ი ვ. მ ა ჩ ა ბ ე ლ მ ა, რომელიც „დროებას“ რედაქტორობდა 1883—85 წლებში. 1885 წელს ადგილობრივი მთავრობის განკარგულებით გაზ. „დროება“ დახურეს.

გ. წერეთლის რედაქტორობის დროს გაზეთის გამომცემელი იყო სტ. მელიქიშვილი (1841—86) და იგი იბეჭდებოდა მელიქიშვილისავე სტამბაში. 1872—83 წლებში „დროების“ გამომცემელნი იყვნენ თვით რედაქტორი სერ. მესხი (1844—83) და იგივე სტ. მელიქიშვილი; 1883—85 წლებში გ. ქართველიშვილი (1830—1901 წ.).

გაზ. „დროება“ 1874 წლამდე კვირაში ერთხელ გამოდიოდა პარასკევობით; 1875—1877 წლებში კვირაში სამჯერ — ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით; 1877 წელს პირველ ივნისიდან—ყოველდღე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკო ნიკოლაძე

I. ეპოქის ხასიათი

„ყოველ საზოგადოებაში თვითეულ თაობას თავისი საკუთარი ტვირთი აწევს და ისტორიულ ცხოვრებაში ყოველ თაობას უნდა შეეძლოს თქმა: ჩემი მხრით მე ეს ახალი სარგებლობა მოვუტანე ჩემ ხალხს, ეს ახალი სინათლე ვაჩვენე, ახალი ძალა შევძინე და ახალი გზა გავუხსენი უკეთესი ცხოვრებისაკენ".[1] — ასე სწერდა ნ. ნიკოლაძე ამ სამოციოდე წლის წინად, როდესაც იგი 60 და 70-იან წლების ახალი თაობის ინტელიგენციის სამოღვაწო გეგმებს ამუშავებდა.

ნ. ნიკოლაძე აღნიშნული ეპოქის ღვიძლი შვილი იყო; იგი იმ საზოგადოებრივ-ობიექტურმა პირობებმა წარმოშვა, რომლითაც მაშინდელი ეპოქა ხასიათდებოდა და იმ იდეოლოგიასა და საზოგადოებრივ აზროვნებაზედ აღიზარდა, რომელიც მაშინდელი ახალი ინტელიგენტის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა. ტყუილა არ სწერდა ნ. ნიკოლაძე, რომ „თვითოეულ თაობას თავისი საკუთარი ტვირთა აწევსო". ეს ტვირთი საკუთარი ეპოქის მიერ არის დაკისრებული ახალთაობის ინტელიგენციაზე და ვისაც სურს გაიგოს ამ ტვირთის შინაარსი,—ე. ი. ის ძირეული ამოცანები, რომელიც ეპოქამ დააკისრა გადასაწყვეტად თავისი დროის ახალგაზრდობას, და ის როლიც, რომელიც ამავე ახალი თაობის ინტელიგენციამ ითამაშა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საქმეში—უწინარეს ყოვლისა თვით ეპოქის შესწავლას უნდა მიაქციოს თავისი გულისყური და გამოარკვიოს ის სოციალ-ეკონომიური ამოცანები, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტურმა ვითარებამ წამოაყენა. პიროვნება და პიროვნებათა ჯგუფი, ან წრე, თავისი ეპოქისა და თავისი საზოგადოების—კლასის—პირმშო შვილია და ამიტომ მის სამოღვაწეო პროგრამას და აზროვნებას თავისი ეპოქის დაღი აზის: ის აზროვნებს ისე, როგორც ამას თავისი ეპოქა უკარნახებს,—ის მოღვა-

[1] ნ. სკანდელი, ჩვენი ახალგაზრდობა—„კრებული" № 2 გვ. 189—190, 1871 წ.

წეობს იმ პროგრამით, რომელსაც ამ ეპოქაში არსებული საწარმოო ძალები და თავისი კლასის ინტერესი მოითხოვს.

ნ. ნიკოლაძე საკმაოდ დიდ ფიგურად ითვლებოდა ჩვენი 60-იან წლების ახალი თაობის ინტელიგენტთა რიგებში; მისი მნიშვნელობა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში მეტად თვალსაჩინო და საინტერესო არის. მაგრამ მასაც იგივე ამოცანები აინტერესებდა, როგორც 60-იან წლების ჩვენ დანარჩენ ახალთაობის ინტელიგენციას. ნ. ნიკოლაძემ შეიძლება ეს ამოცანები სხვა ფორმებით გადასწყვიტა, ის პრობლემები სხვა სახით ასახა, ვიდრე მისმა თანამედროვე თაობამ, მაგრამ ძირი, საფუძველი ამ ამოცანებისა და პრობლემებისა მაინც ერთი იყო ყველასათვის, მისი ძირეული შინაარსი ერთი საფუძვლიდან მომდინარეობდა: იგი შეეხებოდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მდგომარეობის, განვითარებისა და შემდეგი წარმატების საქმეებს. ეს საკითხები მჭიდროთ იყო დაკავშირებული ჩვენი მაშინდელი ცხოვრების ახალ საზოგადოებრივ ფორმაციაში გადასვლის ამოცანებთან.

მაგრამ როგორი იყო არსებითი შინაარსი ამ ობიექტური პირობისა და როგორი ფორმით ესახებოდა ინტელიგენტს საქართველოს შემდეგი განვითარების შესაძლებლობა?

ნ. ნიკოლაძე თითქმის სამოცდა-ხუთ წელზე მეტი ეწეოდა საზოგადოებრივ პრაქტიკულსა და ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას. პირველად, როდესაც მან გაახილა თვალები და გამოვიდა ცხოვრების სარბიელზე სამოღვაწეოდ, საქართველო ბატონყმური წყობილების არტახებით იყო შეკრული და ჯერ კიდევ გაბატონებული ნატურალური მეურნეობა რღვევის პროცესებს განიცდიდა. მაგრამ 60—70-ან წლებში, როდესაც საქართველოში გაუქმდა ბატონყმობა და ახალი ეკონომიური ფაქტორები შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, საქართველომ საგრძნობლად წარსდგა წინ ნაბიჯი კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისაკენ და მთელი შემდეგი პერიოდი ამ ახალი საზოგადოებრივი წყობილების განმტკიცების ნიშნის ქვეშ ჩატარდა.

მაგრამ ნატურალური მეურნეობის დაშლა ჩვენში XIX-ე საუკუნის დასაწყისიდანვე დაიწყო; განსაკუთრებით აღსანიშნავია 30-ნი წლებში, როდესაც საქართველოში სამოქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის ასე თუ ისე ნორმალური პირობები შეიქმნა და სავაჭრო ურთიერთობა უცხოეთისა და რუსეთის მაზრებთან საგრძნობი გახდა. 30-ან წლებში როზენის პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ რაც შეიძლება ფართოდ განევითარებია სავაჭრო ურთიერთობა ამიერ-კავკასიაში და ამით ფართო ბაზარი შეექმნა რუსეთის სავაჭრო

კაპიტალისათვის ჩვენს მხარეში. მართლაც ამიერ-კავკასიის სავაჭრო ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნებთან და რუსეთის ბაზრებთან 30-40 წლებში საგრძნობლად განვითარდა[1]. მაგალითად. 1822 წ. ამიერ-კავკასიის საერთო სავაჭრო ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნებთან უდრიდა 1,289.108 მანეთს. 1830 წ.—3.092.983 მანეთს; 1836 წ.—4.252.954 მ., 1840 წ. 5.941.998 მან.[2] მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავი არის ჩვენი ეკონომიური ცხოვრების წარმატების საქმეში ვორონცოვის ეპოქა და ის პოლიტიკა, რომელსაც ატარებდა ამიერ-კავკასიაში ეს „ლიბერალი“ მეფის მოადგილე. მისი მთავარი მიზანი და სამოღვაწო პროგრამა იმაში გამოიხატებოდა, რომ ამიერ-კავკასია მაგარი ეკონომიური რგოლებით გადაეჯაჭვა რუსეთის ბაზრისათვის და რუსეთის კაპიტალისათვის ფართო სამოღვაწეო სარბიელი გაეხსნა ჩვენს მხარეში. ვორონცოვის ამ პოლტიკურ-ეკონომიური პროგრამის შედეგი იყო ის ღონისძიებები, რომელიც სავაჭრო გზების გაყვანასა, რუსეთის კაპიტალისტების მოწვევასა, სასოფლო-მეურნეობის რაციონალურ მოწყობასა, „პრიკაზის“ დაარსება და სხვა მრავალ ეკონომურ ხასიათის საქმიანობაში გამოიხატა. ამით ვორონცოვმა ძლიერ შეუწყო ხელი ჩვენში ნატურალურ-პატრონყმურ მეურნეობის დარღვევასა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას.

შეიძლება ითქვას, რომ ყირიმის ომს მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საერთო ცხოვრების წარმატებისა და შემდეგი განვითარების საქმეზე. როგორც საერთოდ მთელი რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე საქართველოშიაც ყირიმის ომის გავლენა მეტად დიდი და მნიშვნელოვანი იყო. თუ, ერთი მხრივ მან ხელი შეუწყო ჩვენი ეკონომიური ცხოვრების კაპიტილისტური გზით განვითარებას, მეორე მხრივ, ნათელყო მთელი ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების უვარგისობა და ჩამორჩენილობა. ამ ომმა გაამწვავა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების კრიზისი, ხელი შეუწყო სოციალური კლასების ამოძრავებას, გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ნატურალურ მეურნეობას, გამოააშკარავა ძველი იდეოლოგიისა და აზროვნების სრული უვარგისობა. 1873 წ. ნ. ნიკოლაძე სწერდა: „ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში ისეთი შემთხვევები მოხდა, რომ მოთავე პირებს მარტო გაჩუმებით და წაყრუებით, ზურგის წახრით მოქმედება აღარ გამოადგებოდათ. ორმოცდახუთმეტის ომმა საზოგადოებრივი ცვლილებების საჭიროება გამოააშკარავა. ამ ცვლილებებმა მამა-პაპური ცხოვ-

---

[1] იხ. О. Евецкий, Статистическое описание Закавказского края 1835 წ.

[2] Н. Шавров, Обзор производительных сил кавказского наместничества“, გვ. 343, 1880 წ.

რება და ჩვეულებები შესძრა, ძველებური რწმუნებები მოჰკაფა, ახალი განწყობილება კარზე მოგვაყენა. ხალხმა და საზოგადოებამ იგრძნო და დაინახა, რომ საზოგადოებრივი წესი და წყობილება ძველი თაგანვე შეუცვლელი და ხელუხლებელი კი არ ყოფილა, ის თურმე კაცის ხელით შექმნილა, და კაცის ხელით შეიცვლება რისთვის დაწესებულა რომელიმე კანონი, სასარგებლოა ის საზოგადოებისათვის, თუ სავნებელი, დარჩეს ის თუ შეიცვალოს, ან როგორ შეიცვალოს, რა დაარსდეს მის მაგიერ,—ეს კითხვები თვითვე კაცის გონებით და მოაზრებით გამოიკვლევაო. ამას მიხვდა ჩვენი საზოგადოება და ჩვენი ხალხი".[1] მაგრამ ომმა გამოააშკარავა არა მარტო ჩვენი ეკონომიური წყობილების უვარგისობა, არა მარტო ნატურალურ მეურნეობაში შეიტანა რღვევის ელემენტები, არამედ ნათელყო მთელი სოციალური შენობის სიდამპლე და მოძრაობაში მოიყვანა მოწინავე სოციალური ფენები. 1857 წლის სამეგრელოს გლეხთა გრანდიოზული აჯანყება ამ მოვლენის უდიდესი სიმპტომი იყო. ყირიმის ომის შემდეგ საქართველოში არ შეწყვეტილა გლეხთა მოძრაობა; მთელი 1857—62 წლების განმავლობაში პარტიზანული გამწვავებული ბრძოლები წარმოებდა მემამულეთა და გლეხთა შორის საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში და ეს იყო უდიდესი მაჩვენებელი იმისა, რომ ბატონყმური ურთიერთობა და ძველი სოციალური დამოკიდებულება აღარ შეესაბამებოდა ცხოვრების შემდეგ განვითარებას. იგივე ნ. ნიკოლაძე 1865 წ. „კ ო ლ ო კ ო ლ"-ი ს ფურცლებზე სწერდა: „ოსმალეთის 1853—56 წ. წ. ომის შემდეგ გლეხთა განთავსუფლების საკითხი საქართველოში საზოგადოებრივი წყობილების ყველა ელემენტს აღელვებდა და თავიდანვე მიიღო მან დამოუკიდებლად თავისი სოციალური ხასიათისა, პოლიტიკური ბალანსის ხასიათი. ამ საკითხის წამოყენებას არ შეეძლო არ გაეღვიძებია ქართველი ხალხის პოლიტიკური ინსტინქტები და რადგან გლეხთა საკითხი, მიუხედავად რუსეთის ბატალიონების ენერგიული ჩარევისა, იზრდებოდა საქართველოში არა დღეობით, არამედ საათობით, ამიტომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება დაუკავშირდა გლეხთა საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტას და რაღაც ათი წლის განმავლობაში წარმოუდგენელი სისწრაფით განვითარდა".[2]

მაგრამ ჩვენი 60-იანი წლები მარტო გლეხთა მოძრაობითა და მათი უკმაყოფილებით არ ამოიწურება. ამ ეპოქას კიდევ ორი შესანიშ-

---

[1] ნ. სკანდელი, ახალი ახალგაზრდობა — „კრებული" № 1, გვ. 279—80, 1873 წ.

[2] Рио-Нели, Освобождение крестьян в Грузии — ჟურნ. „Колокол" № 198, 1865 წ.

ნავი ფაქტი ახასიათებს: ერთის მხრივ, ახალთაობის ინტელიგენციის გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე, მისი აქტიურად ჩაბმა საზოგადოებრივ ცხოვრების ვითარებაში და, მეორე მხრივ, ტფილისის აჭრა და ხელოსანთა გრანდიოზული აჯანყება 1865 წ. ეს ფაქტები ნათლად და გარკვევით ამტკიცებდა ნატურალური მეურნეობისა და ბატონყმური ურთიერთობის კრიზისისა და ახალი ეკონომიური და სოციალური ფაქტების შექმნას ჩვენი ცხოვრების ვითარებაში. ცხოვრება ნელა, მაგრამ მაინც საგრძნობლად შედიოდა ახალი ვითარების კალაპოტში. ყირიმის ომმა საგრძნობლად წასწია წინ ჩვენი ეკონომიური ცხოვრება. ომის შემდეგ ამიერ-კავკასიაში პორტად რედუტკალეს ნაცვლად არჩეული იქნა ფოთი, სადაც 1863 წლიდან ენერგიულად შეუდგენ პორტის მოწყობას. ამავე ხანებში დაიწყეს იმერეთის სამხედრო გზის მოწყობა; შეუდგენ გემთა სვლის მოწესრიგებას— 1857 წ. გემთა მოძრაობა სწარმოებდა რიონით ორპირამდე —და ჩქარი საფოსტო სამგზავრო და საბარგო საზღვაოსნო მიმოსვლის გახსნას შავ ზღვაზე რუსეთის „ზღვაოსნობისა და ვაჭრობისსა ზოგადოების“ საშუალებით.[1] ყველა ეს ზომები, თავის-თავად ცხადია, მეტად შეუწყობდა ხელს ჩვენი სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერებას სხვადასხვა ქვეყნებთან. უცხოეთთან ამიერ-კავკასიის ვაჭრობა 1856 წ. უდრიდა 5.657.323 მანეთს, 1860 წ. — 7.368. 084 მან., 1865 წ. — 13.193.798 მან. 1870 წ. —15.388.718 მან. მაგრამ რაც აღნიშნულია, ეს ის არის, რომ ყირიმის ომის შემდეგ, ერთი მხრივ, გაცხოველდა სავაჭრო ურთიერთობა რუსეთის ბაზრებთან და, მეორე მხრივ, საგრძნობლად გაძლიერდა ამიერ-კავკასიის ნედლეულის ექსპორტი—ასე, მაგალითად, 1856 წ. გატანილი იყო 1.307.262 მანეთის ნედლეული, 1871 წ.— 6.180.453 მან. აღსანიშნავია ახალი პორტის — ფოთის მოღვაწეობა: აქედან 1862 წ. შემოტანილი იყო 296.169 მანეთის საქონელი; 1863 წ.—476.723 მან; 1865 წ.—712.889 მან. 1876 წ. — 10.262.478 მან. აღებ-მიცემობისა და ვაჭრობის გაფართოებასთან ერთად საგრძნობელი გახდა სასოფლო მეურნეობისა და წარმოების საქმის წინ წაწევაც. 1863 წ. გაზ. „გუთნის დედა“ სწერდა: „თავის დღეში არა ყოფილა ამთენი მსურველი ახალის მაშინების ანუ ახალი თესლების დაბარებისა, არც ამთენი მთხოვნელი სხვადასხვა თესვის ნაწილებზე დარიგებისა, არც მომხმარები მამულზედ ამთენი ფულისა. ბოლოს თფილისში და გარეშე აშენდა რამთენიოდე ქარხნები, რომელნიც არ შეარცხვენდნენ თვით ევროპის მხარესა და გამოჩნდენ მამულის მკეთებელნი სოფლებშიაც

[1] იხ. შავროვის დასახელებული წერილი გვ. 336.

სადაც მოაწყვეს თავიანთი მამულები მშვენიერს და ანგარიშიანს წესზედ".[1]

ეს ფაქტები გარკვევით ამტკიცებს იმას, რომ ჩვენი ცხოვრების ბატონყმურ ფორმებში უკვე შეიჭრა კაპიტალისტური ურთიერთობის ფაქტორები და ამით უკვე საგრძნობი გახდა ძველი ეკონომიური წყობილების რღვევისა და განადგურების პროცესი.

ბატონყმობის გაუქმებამ უდიდესი ცვლილებები გამოიწვია ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუმცა ეკონომიურად გლეხობა კვლავ მემამულის საექსპლოატაციო ობიექტად დასტოვეს, მაგრამ ბატონისა და ყმის შორის ძველი დამოკიდებულების გაუქმებით ახალ სოციალურ ურთიერთობას ჩაეყარა საფუძვლები. ამ პერიოდში ჩვენი ეკონომიური ცხოვრება სწრაფი ნაბიჯით წავიდა კაპიტალისტური მიმართულებით. ძველი ნატურალური მეურნეობის ფორმები საგრძნობლად შევიდა დარღვევის პროცესში და ახალი ეკონომიური ფაქტორების ზეგავლენით, ჩამორჩენილი და განუვითარებელი მხარე სწრაფი ტემპით ჩაება საერთო კაპიტალისტურ ურთიერთობის ფერხულში. რკინის გზის გაყვანა, ფაბრიკა-ქარხნების გამრავლება, სამთომადნომრეწველობის გაცხოველება, საშინაო და საგარეო ვაჭრობის გიგანტური ზრდა, ქალაქის მცხოვრებთა სწრაფი გამრავლება და სხვა— აი ის კონკრეტული ფაქტები, რომელშიაც გამოიხატა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ტემპი საერთოდ ამიერ-კავკასიისა და კერძოდ საქართველოში XIX-ე საუკუნის მეორე ნახევარში. ეს იყო პერიოდი, როდესაც ჩქარი და საგრძნობი ტემპით ხდებოდა საქართველოს ძველი ეკონომიური წყობილების გადასვლა ახალ სამეურნეო პერიოდში. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ პერიოდში ეს განვითარება კაპიტალისტური ურთიერთობისა საქართველოში უფრო საგრძნობი გახდა და უფრო ჩქარი ტემპით განვითარდა. 80-ანი და 90-ანი წლები სწორეთ კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფი განვითარებით ხასიათდება ჩვენში. ჰიათურის მარგანეცის, ბაქოს ნავთისა და სხვა საექსპორტო საქონლის საერთაშორისო ბაზარზე გამოსვლამ ამიერ-კავკასია მაგარი რგოლებით გადააჯაჭვა მსოფლიო კაპიტალის ინტერესებს და იგიც ამ კაპიტალის საექსპლოატაციო ობიექტად გადაიქცა.

მაგრამ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას საქართველოს და ამიერ-კავკასიაში არ შეეძლო თავისი შესაფერისი ცვლილებები არ გამოეწვია სოციალურ ურთიერთობაში და საერთოდ

[1] იხ. „გუთნის დედა" № 1, 1863 წ.

გავლენა არ გამოეწვია ცხოვრების საერთო ვითარებაზე. ამას თავიდანვე გრძნობდა ჩვენი ინტელიგენცია. იმავე 1873 წელს ნ. წიკოლაძე სწერდა: „ახალმა მეცნიერებამ ჩვენში მარტო ცალი ფეხი შემოადგა. ის შემოვიდა ჩვენში მარტო ტეხნიკური მხრით, შემოვიდა რკინის გზით, ტელეგრაფით, ცეცხლის გემით და სხვა. იმან გაიმარჯვა მით, რომ ყველასათვის უეჭვო და ცხადი შეიქმნა, რომ ვერაფერი თოხარიკი, ვერაფერი ხარკამეჩი ვერ ომოქმედებს იმდენს, როგორც ერთი უბრალო ორთქლმავალია. ეს აზრი ჩაიჭრა ხალხის ტვინში. უწინდელ დროში რომ ეს საქმე მომხდარიყო, ორთქლმავალას სასწაულებს მიაწერდენ და იტყოდენ, აი ბატონო, ილია წინასწარმეტყველი რომ ზეცას ცეცხლის ეტლით ავიდაო, ეს ყოფილა თურმეო. მაგრამ დღეს ყველა ხედავს, რომ ორთქლმავალა კაცის ხელით გაკეთებულია, კაცის გონებით გამოგონებულია, და ყველამ იცის, რომ მამა აბრამს ის არ ჰქონია, და მამა იაკობი აქლემით დაიარებოდა. ეს დიდი საქმეა, ეს გარემოება ბევრ ცრუმორწმუნეობას სპობს და მოსპობს ხალხის ტვინში, და ღრმათ შესცვლის მის აზრს და მოქმედებას“.[1]

კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ დაშალა ძველი სოციალური დამოკიდებულებანი და სრულიად ახალი საზოგადოებრივი კლასები წარმოშვა ჩვენში: ერთი მხრივ—ეკონომიურად დაცემის გზას დაადგა თავად-აზნაურობა, მეორე მხრივ— ღრმა მნიშვნელობის დიფერენციაცია მოხდა გლეხობაში და მცირედი ნაწილი თუ „გაკულაკდა“, დიდი უმეტესობა დაეცა ეკონომიურად, მესამე მხრივ— ამ გაღატაკებულ ელემენტებიდან ჩამოყალიბდა საქართველოს მუშათა კლასი, პროლეტარიატი, ხოლო მეოთხე მხრივ—საგრძნობლად გაძლიერდენ ბურჟუაზიული ელემენტები. თავად-აზნაურობის დაცემა, გლეხთა დიფერენციაცია, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის წარმოშობა თავისი ს ო ც ი ა ლ-ი ს ტ ო რ ი ულ შინაარსით თუ ერთი მხრივ ახალი საქართველოს წარმოშობის პროცესს გამოხატავდა, მეორე მხრით—ეს ძველი საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების რღვევის პროცესის მაჩვენებელი იყო. მართლაც, თავად-აზნაურობის დიდი ნაწილს, ძველი, მძლავრი და მეთაური წოდების, ეკონომიური დაცემა უკვე თვალსაჩინო იყო ყველასათვის; 1876 წ. მეფის მოადგილისადმი გაგზავნილ თხოვნაში თავად-აზნაურობა სწერდა: „ბატონყმობამდი ჩვენ მუქთი მშრომელნი გვყავდნენ ჩვენდა სარჩენად და იოლად გამოვდიოდით, გაჭირებაში არ ვიყავით. მაგრამ ბატონყმობის მოსპობის შემდეგ, ჩვენი მდგომარეობა სრულიად შეიცვალაო. ჩამოგვართვეს ყმები, მოგვესპო მუქთი მშრომელი,

[1] ნ. სკანდელი, ახალი ახალგაზრდობა—„კრებული“ № 1, გვ. 303—04. 1873 წ.

შუშები გაძვირდნენ, დაგვეღვა ვალები, და რადგან იმდენი ღონისძიება აღარა გვაქვს, რომ თავის დროზე გადახდა შეგვძლებოდა, ამ ვალის გვეყიდება მამულები, ჩვენ კი ვიღუპებით, ვღატაკდებით, უმოწყალოთ ვრჩებითო“.[1] ერთ-ერთ სოფლიდან გამოგზავნილ კორესპონდეციაში ვკითხულობთ: „მე და ჩემი ნაცნობი ვდგევართ სწორეთ შუა სოფელში იმნაირ მაღალ ადგილზე, საიდამაც სოფლის ყველა კუნჭული ნათლათ სჩანს. ჩვენ თვალწინ გვიდგება თავადიშვილების სახლები, რომლებსაც საცოდავათ ჩამოსტირით პირისახე; ყველაფერი დასძველებიათ: ბალკონები, მოაჯირები, ყავარი სრულებით დახეთქიათ; ზოგიერთს ადგილს ფიცრები ამოცვივნულან.—ერთი სიტყვით ეს სახლები მაცქერალს თითქმის ასე ეუბნებიან: „რამდენიმე წლის წინეთ ჩვენს პატრონს მუქთი მუშა ბევრი ჰყავდა და ჩვენი გამშვენიერებისათვის არაფერს ზოგავდენ, ეხლა კი ისეთი დრო დადგა, რომ თავიანთ თავის გამოკვებაც უჭირდებათ, არა თუ ჩვენი გაახლება“. თავადიშვილების სახლების შემდეგ ჩვენ ყურადღებას იპყრობს გლეხების სახლ-კარი: ზოგიერთ მიწის სახლებთან კოპწიათ გამოჭიმულან ქვითკირის სამ ოთახიანი, ან ორ ოთახიანი სახლები; ზოგიერთ მათგანს აქვს ბალკონი ანუ გვარიანი კარაბანი და ზევიდან მუხის ახალი ყავარი. ამ სახლებს რო უცქერის კაცი, არა სჯერა, რომ ეს სახლები გლეხებს ეკუთნოდეს... ეგენი ამ უკანასკნელ წელიწადებში ძალიან წინ წამოვიდენ“ [2].

საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე, თუ ერთი მხრივ ეცემა და ნადგურდება ძველი „ბრწყინვალე“ წოდების ნაწილი, მეორე მხრივ სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობის ნიადაგზე ვითარდება ახალი კულაკური ფენები გლეხობაში, ესენი იყვენ სოფლის ბურჟუაზიული ელემენტები, წარმოშობილნი ახალ ეკონომიურ ვითარების საფუძვლებზე. მაგრამ ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ მთელი გლეხობის მდგომარეობა გაუმჯობესდა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ პერიოდში. წინააღმდეგ, თუ მცირე ნაწილმა ისარგებლა ახალი პირობებით, სამაგიეროთ დიდი უმეტესობა ქართველი გლეხობისა ეკონომიურად დაეცა, გაღატაკდა; მისი პირობები ახალ სამეურნეო პერიოდში გაუარესდა. აქედან წამოსდგა ის გამწვავებული ბრძოლა, რომელიც სწარმოებდა XIX-ე საუკუნის მეორე ნახევარში მემამულეთა და გლეხთა შორის მიწის საკითხის გარშემო. აქედანვე წარმოსდგა ის ფაქტიც, რომ გაღატაკებული გლეხობის ნაწილი იძულებული შეიქმნა დაეტოვებია თავისი სოფელი და საარ-

---

[1] საზოგადო კრება ტფილისის თავად-აზნაურთა — „დროება“ № 48. 1876 წ.

[2] თაგვიეთელი, ქალაქიდამ ხოვლამდე—„დროება“ № 62, 1876 წ.

სებო წყარო ქალაქებში ეძებნა. ამ ნიადაგზედ აღმოცენდა ჩვენში ახალი სოციალური კლასი—პროლეტარიატის სახით. როგორც აღვნიშნეთ, XIX-ე საუკუნის მეორე ნახევარში გლეხთა უკმაყოფილება და მოძრაობა არ შეწყვეტილა. სვანეთის გლეხთა აჯანყება 1875—76 წლებში, სამეგრელოს—იმავე წლებში, ქიზიყის—1878 წელს, ნათლად ამტკიცებდა იმას, რომ ბატონყმობის გაუქმებამ გლეხობა ვერ დააკმაყოფილა, ვერ დაამშვიდა და ეს გაღატაკებული და შეურაცხყოფილი წოდება იარაღით ხელში ფიქრობდა თავისი უფლების მოპოებასა და მდგომარეობის გაუმჯობესებას. ზუგდიდის მაზრის გლეხთა აჯანყების შესახებ, ადგილობრივი მთავრობა ოფიციალურად აცხადებდა: „ბატონყმობის მოსპობის შემდეგ ცხრა წელიწადი რომ შესრულდა შუაგულ რუსეთის ბევრ ადგილებში უწესობა და ხალხის მღელვარება მოხდა, რადგან გლეხებს ეგონათ რომ, ამ ცხრა წლის შემდეგ, ნაბატონევსა და ნაყმევს შუა ყოველი დამოკიდებულება და კავშირი უნდა მოისპოსო. ამგვარივე უწესობა, საზოგადო მშვიდობიანობის დარღვევა და უფროსების გაუგონლობა მოხდა, საუბედუროთ, კავკასიის სანამესტნიკოშიაც... ამ ორის სოფლის (ლიასა და ფახულამის) გლეხებმა განაცხადეს, რომ რადგან ბატონყმობის მოსპობის შემდეგ ცხრა წელიწადი შესრულდაო, ამის გამო ჩვენ ვალდებულად აღარ მიგვაჩნიაო, რომ რაიმე გადასახადი ვაძლიოთ ჩვენს ადრინდელ ნაბატონევსაო, და მართლაც აღარ აძლევდნენ. ვერც მომრიგებელ შუამდგომელისა, ვერც საგლეხო პრისუტსტვიის წევრისა და ვერც თვით ქუთაისის ღუბერნატორის დარიგებამ და საგლეხო წესდებულების განმარტებამ ვერ დაარწმუნა გლეხები რომ ისინი სცდებიან... მიუახლოვდა ჯარი სოფელს თუ არა, დამორჩილების მაგივრად, ვინც კი მამაკაცები იყვნენ სოფელში, გავიდნენ და ახლო-მახლო სოფლებს აქეზებდნენ, რომ ერთად გაუწიოთ წინააღმდეგობაო“ [1]. არა ნაკლებ საყურადღებო იყო გლეხთა აჯანყება 1878 წელს სიღნაღში. [2]

აღნიშნული ფაქტები იმას ამტკიცებს, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ პერიოდში სრულიად არ დამყარებულა „მშვიდობიანი“ განწყობილება საქართველოში. წინააღმდეგ, ახალმა სამეურნეო პირობებმა უფრო გაამწვავა წოდებათა შორის ურთიერთობა, გააღატაკა გლეხობა და მოსწყვიტა იგი თავის სახლკარს და გადაისროლა ქალაქებში, ამით გაღრმავდა კლასთა ბრძოლა და ამ ბრძოლამ ახალი ფორმები მიიღო.

---

[1] იხ. ზუგდიდის უეზდის არეულობა, გაზ. „დროება“, № 80, 1876 წ.

[2] იხ. გაზ. „Обзор“ № 162, და სხვა ნომრები, 1878 წ. და ა. კვერ—ძეს წერილი, ქიზიყის ამბოხება 1878 წ.—„ივერიის ბიბლიოთეკა“ № 3, 1905 წ.

ამრიგად მთელი XIX-ე საუკუნის მეორე ნახევარი კაპიტალისტური ურთიერთობის მშობიარობის პროცესს წარმოადგენს. რღვევა ნატურალური მეურნეობისა და კაპიტალისტურ-ეკონომიკის განვითარება იყო ის ბაზა, რომელზედაც აღმოცენდა ახალი დამოკიდებულება სოციალურ კლასებს შორის, ახალი განწყობილება და ურთიერთობა მთელს საზოგადოებაში.

მაგრამ ეკონომიურსა და სოციალურს სფეროში მომხდარ ცვლილებებს არ შეეძლო თავისი შესაფერისი ცვლილებები არ გამოეწვია საზოგადოებრივ აზროვნებაშიაც. როგორც ცნობილია იდეოლოგია სოციალ-ეკონომიური პირობების ანარეკლს წარმოადგენს. ის მნიშვნელოვანი პროცესები, რომელსაც ადგილი აქვს ობიექტიურ ცხოვრების ვითარებაში, თავის-თავად იწვევს მგსავსსავე პროცესებს აზროვნებისა და იდეოლოგიის სფეროშიაც. იდეოლოგიის სამყარო, თითქოს მოწყვეტილი და განკერძოებული ობიექტიურ გარემოსაგან, არსებითად თავის მასაზრდოებელ წყაროს ამ ობიექტიურ გარემოდან იღებს. უდაოა ის ფაქტი, რომ ჩვენი უახლოესი ისტორიის 50—60-ანი წლები ქართულ კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების რენესანსს წარმოადგენს, მაგრამ ეს გამოცოცხლება ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნებისა გამოწვეული იყო იმ საგრძნობი ცვლილებებით, რომელიც ჩვენი ცხოვრების ეკონომიურსა და სოციალურს პირობებში მოხდა.

ახალი თაობის ინტელიგენციის გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე — ეს ბურჟუაზიული აზროვნების იდეოლოგიისა და პროგრამის შემოჭრა იყო ჩვენი ცხოვრების ფონზე. უკვე ცნობილი ფაქტია, რომ ჩვენში მძლავრი ბურჟუაზიული კლასი არ ჩამოყალიბებულა და რომ ამ ბურჟუაზიას, შემდგარს უმთავრესად სომხისა და სხვა ტომის ელემენტებისაგან, არ შეეძლო და არც სურდა პოლიტიკური ბრძოლის წარმოება ახალი ცხოვრებისა და ახალი პირობების შესაქმელად; იგი პასიურად ეგუებოდა ცარიზმის სახელმწიფოებრივ არტახებს და აქტიურად აწარმოებდა ეკონომიურ ბრძოლას. სამაგიეროთ, ამ ბურჟუაზიული კლასის ისტორიული მისიის შესრულება პოლიტიკურსა და იდეოლოგიურს სფეროში ჩვენი ცხოვრების პირობებმა ახალ თაობის ინტელიგენციას დააკისრა. ამ ინტელიგენციის აზროვნება, იდეოლოგია, პროგრამა და საქმიანობა უკვე გამოხატავდა ბურჟუაზიულ მისწრაფებებსა და ბურჟუაზიულ კულტურას. მაგრამ, ვინაიდგან ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ჯერ კიდევ არ იყო სავსებით მომწიფებული ახალი ვითარების შინაარსის მიხედვით, და მასთანვე კაპიტალისტურ ურთიერთობას თავისებურ ობიექტიურ გარემოში უხდებოდა განვითარება, ამიტომ 60-ანი წლების ახალ-

თაობის ბურჟუაზიული იდეოლოგიაც თავისებური სახით იყო წარმომდგარი და იგიც ობიექტიური გარემოს მოუმწიფებლობის ნიშანს ატარებდა. ეს გარემოება ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ.

60-ან წლებში საქართველოში გაჩაღებული ბრძოლა ორ თაობათა შორის, თავისი ისტორიული მნიშვნელობით გამოხატავდა ორი საწინააღმდეგო მსოფლიოს ბრძოლას: ეს იყო ბრძოლა ფეოდალურ-სქოლასტიურ აზროვნებასა და დემოკრატიულ-რაციონალისტურ აზროვნებას შორის; თავისი სოციალურ-ეკონომიური საფუძველებით, თავისი ისტორიული შინაარსითა და მნიშვნელობით აქ ორი საქართველო შეეჯახა ერთი მეორეს: საქართველო მიმავალი, ბატონყმური, ძველი, და საქართველო მომავალი, მშობიარობის პროცესში მყოფი, ახალი ბურჟუაზიული. ახალი თაობის ინტელიგენციამ შეგნებულად თუ შეუგნებლად ასახა თავის აზროვნებაში, თავის სამოღვაწეო პროგრამაში ის, რაც ცხოვრების რეალურ სინამდვილეში ხდებოდა: იგი იდეოლოგიის სფეროში გამოხატავდა იმ ღრმა მხიშვნელობის მშობიარობის პროცესს, რომელიც ბატონყმურ საქართველოდან ბურჟუაზიული საქართველოს წარმომშობი გამოიხატებოდა. ახალი თაობის ინტელიგენცია უკვე გრძნობდა და ხედავდა, რომ ცხოვრების ახალი მოთხოვნილების არაფერი გაეგებოდა ძველი თაობის ინტელიგენციასა, რომ ახალმა დროებამ ისეთი საკითხები წამოაყენა გადასაწყვეტად, რომელთა მოწესრიგება და გადაწყვეტა აღარ შეეძლო ძველ თაობას. ცხოვრება წინ წავიდა და მისი შესაფერისად მიყოლისათვის აღარ ჰქონდა ძველი თაობის ინტელიგენციას შესაფერისი ძალა და ცოდნა. ამ საკითხის შესახებ იგივე ნ. ნიკოლაძე სწერდა: „ძველი თაობის დამხობა ჩვენში დღეს ბრმისთვისაც ცხადი საქმე შეიქნა. ჩვენი ხალხის და საზოგადოების ცხოვრება, ამ უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში, იმნაირათ დატრიალდა და შეიცვალა, იმას ისეთი მოთხოვნილება და საქმეები დაუხვდა გზაზე, ის ისეთ დაბრკოლებებს წააწყდა, რომ ძველებურმა ჭკუამ და გამოცდილებამ პირი დააღო, დამუნჯდა და ძალა-უნებურათ თავის უვარგისობა და უმეცრება აღიარა... ჩვენი საზოგადოების დამრიგებლებს და წინამძღოლებს, ჩვენი ხალხის თავებს მაზანდა წაუხდინა ახალი ცხოვრების ახალმა მოთხოვნილებამ. ამ სასიამოვნო უბედურებას ვერც იმათმა ჭაღარა თმამ უშველა, ვერც ძველმა დიდებამ. ყველაფერი შემუსრა და შეურაცხჰყო ახალმა დროებამ და მისმა დაუზოგველმა მოთხოვნილებამ... მართლაც, რა სამკვიდრებელი დარჩა ჩვენ ძველ თაობას? ეკონომიური მხრით იმას გაღარიბებული

და გატყავებული ხალხი და უმოქმედო, უხეიროო აზნაურობა ღუპავს. პოლიტიკური მხრით — ზნედაცემული, გაცალკევებული ძალი საზოგადოება, რომელსაც არა თუ ძველ გმირების სული დაუკარგავს, მათი სახელიც არ ახსოვს. ზნეობითი მხრით — გაფლიდებული უხასიათობა, დაცემული ხელის ლოკვა, ძლიერის თაყვანიცემა, სამართლიანობის დავიწყება. ლიტერატურული მხრით — დაცემული მწერლობა, დავიწყებული ენა, დაფანტული და დამახინჯებული ძველი ლიტერატურა. გონებითი მხრით — სრული უაზრობა, ძველი ჩვენი ისტორიის უცოდინარეობა, ახალი ცხოვრების გაუგებრობა".[1]

როგორც აღვნიშნეთ, 60-ანი წლების ჩვენი ინტელიგენცია ღრმად გრძნობდა ახალი ცხოვრების დასაწყისს საქართველოში. იგი ნათლად ხედავდა, რომ ძველი ცხოვრების ფორმები შეუბრალებლად იმსხვრეოდა „განახლებული გრიგალის ქროლვითა" და მის წინ აღიმართა უდიდესი პრობლემა თუ რომელი გზით სჯობია საქართველოს საერთო ცხოვრების წარმატება, რომელი ფორმა საზოგადოებრივი წყობილებისა შეესაბამება მისი განვითარების საქმეს. ეს ინტელიგენცია რუსეთის 60-ანი წლების განმათავისუფლებელ მოძრაობის, დემოკრატიულ-რადიკალურ მიმდინარეობასა და რაციონალისტური აზროვნების ნიადაგზედ იყო აღზრდილი. მას სწამდა გონების, ცოდნის, განათლების უდიდესი მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პროგრესის ფაქტორებს იგი იდეოლოგიის სფეროში, სწორაზროვნებაში ეძებდა; მას სჯეროდა, რომ თუ ინტელიგენცია სწორ აზროვნებასა და პროგრამას გამოიმუშავებდა იგი შესძლებდა ამ პროგრამისა და აზროვნების მიხედვით ცხოვრების გარდაქმნას, მის რაციონალურს საფუძვლებზე მოწყობას. აქედამ წარმოდგა ის დიდი იმედები, რომელსაც 60-ანი წლების ჩვენი ინტელიგენცია ამყარებდა კრიტიკულად მოაზროვნე ახალ თაობაზე, ეს იყო ის სოციალური წრე, რომლის საშუალებითაც ცდილობდა მოწინავე ინტელიგენცია თავისი პროგრამის ცხოვრებაში გატარებას, ეს არც გასაკვირია; რაციონალისტური აზროვნებისა და იდეალიზმის საფუძვლებზედ აღზრდილი მოწინავე ინტელიგენცია ჩვენი ცხოვრების მაშინდელ პირობებში ვერც ერთ სოციალურ ძალას ვერ ხედავდა, გარდა იმავე ახალთაობის ინტელიგენციისა, რომელზედაც შესაძლებელი ყოფილიყოს დაყრდნობა და მისი ცხოვრების მამოძრავებელ ფაქტორად გადაქცევა; მხოლოდ ეს სოციალური ფენა სჩანდა ცხოვრების ფონზე, მხოლოდ ის აზროვნებდა კრიტიკულად

[1] ნ. სკანდელი, ახალი ახალგაზრდობა — „კრებული"—გვ. 275—6, 299—300, 1873 წ.

და მოქმედებდა აქტიურად. ამიტომ ახალი თაობის ინტელიგენციის დარაზმვა, მისი გარკვეული სამოქმედო პროგრამით შეიარაღება და მათი საშუალებით ცხოვრების ახალ საფუძვლებზე მოწყობა—ჩვენი მაშინდელი პოლიტიკური ცხოვრების თითქმის მორიგ ამოცანად გადაიქცა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამ ინტელიგენციის აზროვნება, მისი პროგრამა და საქმიანობა მაშინდელი ისტორიული პირობების მიხედვით იმ საზოგადოებრივი წყობილების მშობიაროზას უწყობდა ხელს, რომელიც უნდა წარმოშობილიყო ბატონყმურ საქართველოდან; ე. ი. ახალი თაობის ინტელიგენცია ბურჟუაზიის სასარგებლო საქმეს აკეთებდა, ობიექტიურ-ისტორიულად მისი ინტერესებისათვის იბრძოდა. ამრიგად ამ ახალი თაობის ინტელიგენციის აზროვნებაში ჩვენ ცხოვრებაში დაწყებულმა რენესანსმა თავისებური იდეოლოგიური გამოხატულება ჰპოვა.

ნ. ნიკოლაძე ამ განახლებული ეპოქის ღვიძლი შვილი იყო; იგი 60-ანი წლების იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნოდა, რომლებმაც ნათლად დაინახეს ძველი ბატონყმური საქართველოს აღსასრული, ნათლად იგრძნეს, რომ საუკუნოებით განმტკიცებული სოციალ-ეკონომიური საფუძვლები ჩვენი ცხოვრებისა ახალი ფაქტორების ზეგავლენით თავშეუკავებლივ ირღვეოდა და ისახებოდა ახალი ცხოვრება, ახალი დამოკიდებულება და ახალი სამოღვაწეო სარბიელი. ნ. ნიკოლაძემ ყველაზედ მძლავრად იგრძნო ახალი საქართველოს მშობიაროზის პროცესი, ყველაზე ნათლად დაინახა ახალი სოციალური კლასების წარმოშობა და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარების აუცილებლობა. აი, ამ ახალი ობიექტური პირობების მიხედვით შეუდგა იგი თავის სამოღვაწეო პროგრამის შემუშავებას, უკეთ რომ ვსთქვათ, 60-ანი წლების რუსეთის ახალი აზროვნების მიხედვით სრულიად ახალი გეგმების შემუშავებას საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ საფუძვლებზე მოსაწყობად.

როგორი იყო მისი სამოღვაწეო პროგრამის შინაარსი და როგორი სოციალურ-კლასიური საფუძვლები ედვა სარჩულად მის საქმიანობას? ამ ნარკვევის მთავარი მიზანიც ის არის—ვრცლად გასცეს პასუხი აღნიშნულ კითხვებზე.

II. დამახასიათებელი მომენტები მისი მოღვაწეობიდან და ცხოვრებიდან

უნდა გულახდილად აღინიშნოს, რომ ნიკოლაძის პიროვნება და მისი აზროვნება ჯერ-ჯერობით, სამწუხაროთ, არ არის სათანადოთ შესწავლილი, ისე როგორც სხვა ჩვენი მწერლებისა და პუბლიცისტების მოღვაწეობა და საქმიანობა არ არის შესწავლილი და გამორ-

კვეული. მეორე მხრით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ნიკოლაძის ლიტერატურულ მოღვაწეობასა და აზროვნებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების წინ წაწევისა და მისი ევროპიულ საფუძვლებზე განვითარების საქმეში. ვინც ზერელეთ მაინც გაეცნობა ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტურ ნაწერებს, იგი უყოყმანოდ აღიარებს იმ ფაქტს, რომ თავისი ეპოქისათვის ნ. ნიკოლაძე ფართოდ და ღრმად მომზადებული პიროვნება იყო, იგი საფუძვლიანად იცნობდა ევროპისა და რუსეთის მაშინდელ ლიტერატურულ მეცნიერულ საკითხებს და თავისი მომზადებით მთელი თავით მაღლა იდგა მრავალ მაშინდელ ქართველ ლიტერატორებზე. ისტორიამ მას ერთ დროს ქართველი ახალი თაობის ფალავანობაც არგუნა, როგორც ამას სწერდა ილია ჭავჭავაძე ერთ თავის კეძრო წერილში. მართლაც, ნ. ნიკოლაძის მიერ 70-იან წლებში გაჩაღებული ენერგიული ბრძოლა ძველი თაობის წინააღმდეგ და მისი საქმიანობა ახალ ინტელიგენციის სამოღვაწეო პროგრამის შემუშავების საქმეში — ერთს უშესანიშნავეს პერიოდს წარმოადგენს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. გაზ, „დროებისა“ და ჟურნალ „კრებულის“ მნიშვნელობა ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიაში მეტის-მეტად დიდი არის; ხოლო 1870—73 წლებში, როდესაც ეს ორი პერიოდული გამოცემა ნ. ნიკოლაძის უახლოესი თანამშრომლობითა და ხელმძღვანელობით გამოდიოდა, ჩვენმა პუბლიცისტიკამ უმწვერვალეს ხარისხამდე მიაღწია. ამ ორგანოებმა შესძლეს ჩვენი ცხოვრების მიერ წამოყენებულ მრავალ საჭირბოროტო საკითხებისათვის გაეცათ პასუხი, მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემები წამოეყენებინათ და ამით გაემდიდრებიათ ჩვენი აზროვნების სალარო. და სწორეთ ამაში გამოიხატებოდა ნ. ნიკოლაძის მნიშვნელობა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თავისი სოციალური წთამომავლობით ნ. ნიკოლაძე არ ეკუთვნოდა იმ წოდებას, რომლიდანაც წარმოსდგა მრავალი ჩვენი საზოგადო მოღვაწე და მწერალი XIX-ე საუკუნის 80-იან წლებამდე. ნიკოლაძე იმ წოდებიდან წარმოიშვა, რომლის კონსოლიდაცია ასე თუ ისე გასულ საუკუნის 30-ან წლებში დაიწყო და საგრძნობლად გაიზარდა ვორონცოვის ეპოქასა (1844 — 54) და 60 იანი წლების პერიოდში, როდესაც ახალი ეპოქის ფაქტორებმა გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ნატურალურ მეურნეობას და ხელი შეუწყო ახალ სამეურნეო ურთიერთობის განვითარებას: იგი ქართველი მესამე წოდების წრიდან იყო წარმოშობილი. უნდა აღვნიშნოთ, რომ 30-იან წლებიდან საქართველოში საგრძნობლად ვითარდება სამოქალაქო ცხოვრება და სავაჭრო ურთიერთობა.

მართალია, ეს მოჭალაქეთა ფენა სომხისა და რუსის ნაციონალურ ელემენტებიდან შესდგებოდა, მაგრამ თავის ისტორიულ მისიას იგი მაინც ასრულებდა იმდენად, რამდენადაც მაშინდელი ცხოვრების მთავარ ამოცანას შეადგენდა ეკონომიური ცხოვრების წინ წაწევა და სავაჭრო ურთიერთობის განვითარება. როგორც თვით ნ. ნიკოლაძეც გადმოგვცემს თავის მოგონებაში, მისი წინაპრები თავ. აბაშიძეების ყმები იყვნენ, ხოლო „ბაბუა მისი“ XVIII-ე საუკუნეში გაჰქცევია თავისი მებატონეს და ქართლისათვის შეუფარებია თავი. შემდეგ XIX-ე საუკუნის დასაწყისში იგი კვლავ გადასახლებულა იმერეთში, დასახლებულა ქუთაისში და თავისი ხელობა, ვაჭრობა განუგრძია. ამავე გზას დასდგომია ნ. ნიკოლაძის მამა, იაკობი, რომელსაც იმ დროს მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა, როდესაც ჩვენში ჩქარი ტემპით ვითარდებოდა სავაჭრო კაპიტალი—ეს იყო 30—40-იანი წლები, ცნობილი ვორონცოვის ეპოქა და ყირიმის ომის პერიოდი, რამაც მეტად განავითარა ჩვენში ე. წ. „პოდრიაჩიკობა“ და სავაჭრო ურთიერთობანი. იაკობ ნიკოლაძე საკმაოდ დახელოვნებულ ვაჭრად სჩანს ნ. ნიკოლაძის მოგონებებით; იგი საკმაო დიდი ძალის ქონების და კაპიტალის მეპატრონე გამხდარა; მისი სავაჭრო მოღვაწეობის სფერო მარტო ქუთაისი და საქართველოს სარბიელით არ შემოიფარგლებოდა, იგი უკვე რუსეთის ბაზარებზედაც დაიარებოდა სავაჭროთ და ხშირად პირადათ ევროპის ბაზრებსაც ეწვეოდა. ამრიგად აბაშიძეების ყმის შვილი ქალ. ქუთაისის საპატიო წევრი—საკმაოდ მძლავრი „პოდრიაჩიკი და დიდი ქონების ვაჭარი ხდება[1]. აი ამ ახალ სოციალურ წრიდან წარმოიშვა ნ. ნიკოლაძე, და აღსანიშნავია სწორედ ის გარემოება, რომ ჩვენი 60-იანი წლები, რომელიც თავის სოციალურ-ეკონომიური და კულტურული შინაარსით გამოხატავდა

---

[1] 1865 წ. 22 იანვრის თარიღით ქუთაისიდან პარიზში იაკობ ნიკოლაძე ერთ თავის კერძო წერილში თავის შვილს ნიკო ნიკოლაძეს სხვათა შორის სწერს შემდეგს: „ჩვენი ქარვასლა გავათავე. იმედი მაქვს ღვთისაგან ფულს ბლომად გამოვიტან პრიკაზიდან იმის გირაობით. მაგრამ მინდა ერთი ფაბრიკა გავმართო, ბანბა აქ ბევრი მოდის, ადგილები წყალი და შეშა ბევრი გვაქვს, ერთი სახელოვანი საქმე ვქნათ შვილო, რომ იმერეთში ჩვენი სახელი დარჩეს. არა თუ ჩემი, მე მინდა ის ფაბრიკა შენი სახელით იყოს თუ გსურს, თუ არა და ჩემი სახელით მაინცა. მანდ შემიტყვეთ რა ფასად შეიძლება ამერიკის მომქსოვი მაშინა გამართოს კაცმა_ან ოსტატი რა ფასათ დადგება წლით რომ იქირაოს, ერთი სიტყვით ერთი შუათა_ნა ფაბრიკა დაუნშნე ყოვლის გამართულობით, რა ფასათ დაჯდება. რასაკურვე_ლია იანგარიშებენ ბანბას უნდა პენტდეს. ართავდეს და სამოსელს ქსოვდეს. იმის თანა ფაბრიკა უნდა იქნეს გათეთრებაც რომ შეეძლოს. გონიერათ გამოიკითხე, და საჭიროთ მომწერე. შენს აზრს შევამსგავსებ ჩემს აზრზედ, და თუმც მოვახერხე და დიდი სუმმა არ მოუნდა ხომ საქმეს შეუდგები თუ ვერ შევწვდი და გავჩუმდები (პაპიტკა ნი უბიტკა). აბა ვნახო შენი აზრი როგორ შემოწერა“ (წერილის დედანი ინახება კ. ლორთქიფანიძის არქივში—ქუთაისის მუზეუმში).

ჩვენი საერთო ცხოვრების რენესანსს,—მარტო თავად-აზნაურული ინტელიგენციის გამოსვლით სამოღვაწეო ასპარეზზე არ ხასიათდება; ჩვენი ცხოვრების ფონზედაც უკვე სჩანს ახალი პიონერები „რაზნოჩინური“ ინტელიგენციისა. თუ რუსეთში ამ პერიოდში „რაზნოჩინური“ ინტელიგენტის მძლავრი ფენა წარმოიშვა და მისმა მეთაურებმა (ჩერნიშევსკიმ, დობროლიუბოვმა და სხვებმა) ენერგიული ბრძოლა გააჩაღეს რუსეთის დახავსებულ წყობილების წინააღმდეგ, საქართველოში, რასაკვირველია, ასეთს ძლავრ ამოხეთქას ახალი ინტელიგენციის ფენებისას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ცხოვრების ისტორიულმა ვითარებამ მაინც თავისი ჰქნა და წინამბრძოლნი ამ „რაზნოჩინურ“ ინტელიგენციისა უკვე გამოჩნდენ ჩვენი ცხოვრების ფონზე,—ესენი იყვნენ: დ. ჭონქაძე, ლ. არდაზიანი, პ. უმიკაშვილი, ნ. ნიკოლაძე და სხვები. ეს უკვე მეტად დამახასიათებელი და მძლავრი სიმპტომი იყო იმისა, რომ შემდეგ პერიოდში ეს „რაზნოჩინური“ ინტელიგენციის უფრო მძლავრი და მრავალ რიცხოვანი კადრები გამოვიდენ სამოღვაწეო ასპარეზზე, მართლაც, 70—80-იანი წლების ჩვენი ინტელიგენციის სოციალური შემადგენლობა ნათლად ამტკიცებს ამას: „დიაკვნის შვილები“ (აკაკის თერმინოლოგიით) სინონიმი იყო „რაზნოჩინობისა.“

ამრიგათ, ზემოდ მოყვანილი ფაქტები ნათლად და გარკვევით გვიმტკიცებს იმას, რომ ნ. ნიკოლაძე თავისი სოციალური შთამომავლობით არ ეკუთვნოდა მაშინდელ გაბატონებულ საზოგადოებრივ ფენას, იგი მესამე წოდების წრიდან არის წარმოშობილი და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი საზოგადოებრივი აზროვნების დასახასიათებლად. როგორც ასეთი, იგი ბურჟუაზიული ინტელიგენციის მეთაურად და წინამძოლად უნდა ჩაითვალოს ჩვენში.

ამ მომენტებთან ერთად აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ნ. ნიკოლაძე აღზრდილია რუსეთის 60-იანი წლების გონებრივ მოძრაობაზე; ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი და მთელი „სოვრემენიკ“-ის ჯგუფი იყო ის დაუშრეტელი წყარო, საიდანაც ჩვენი 60-იანი წლების ახალი თაობის ინტელიგენცია კრეფდა თავის მასაზრდოებელ გონებრივ წყაროს; ამ მწერლების ლიტერატურაზე აღიზარდნენ ისინი და თავისებურათ შეითვისეს მათი სწავლა. კერძოდ ჩერნიშევსკის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა კავკასიელთა ჯგუფი, რომელიც შესდგებოდა მაშინდელი პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებისაგან (ი. ისარლიშვილი, ნ. ნიკოლაძე, გ. ე. წერეთელი, ნ. გ. და დ. ვ. ღოღობერიძეები, კ. შ. ლორთქიფანიძე, ეჯიბოვი და სხვანი). მრავალი მათგანი შემდეგში, როდესაც ისინი ჟურნალისტები და საზოგადო მოღვაწეები გახდენ, თავის თანამემამულეთა შორის რუსუ-

ლი რადიკალიზმის პოპულარიზაციას შეუდგენ. „სოვრემენიკ"-ისა და ჩერნიშევსკის დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა ავგრეთვე 60-იანი წლების სომხეთის ჟურნალისტიკა (სტ. ნაზარიანი, მ. ნალბანდიანი და სხვანი). და თუ შემდეგ პერიოდში კავკასიამ ასეთი საპატიო ადგილი დაიჭირა რევოლუციის რიგებში, ეს უნდა მიეწეროს ჩერნიშევსკის დამსახურებას, რომელმაც პირველმა დათესა იქ სოციალიზმის თესლი.[1]

რუსეთის სტუდენტობა და რევოლუციონური ახალგაზრდობა თავიდანვე იტაცებდა ნ. ნიკოლაძეს. იგი განსაკუთრებულის სიმპატიებით იხსენიებს თავის მოგონებებში რუსეთის ინტელიგენციას. 1872 წელს იგი სწერდა: „შესანიშნავია ის ერთნაირობა, რომელიც აბეჭდია თითქმის ყველა იმ ახალგაზრდების საქციელს, რომელნიც მე რუსეთში გამიცნია, ჩემ რუსეთულ ნაცნობებში ასობით ყოფილან ისეთები, რომელთაც მშვენიერი ნიჭი და სურვილი ჰქონიათ, რომელნიც ჩინებულ გზაზე მდგარან, პატიოსანი მიმართულების და მიზნის ალით სავსენი ყოფილან და აღტაცებით, ყმაწვილური ენერგიით და თავდაუზოგველობით შედგომიან თავიანთ შრომას. მათი პირველი ნაბიჯები, მათი მოქმედების დასაწყისი, მათი ალი და პირდაპირი მიზნის სდევა მე ყოველთვის აღტაცებაში მომიყვანდა და იმედით მავსებდა."

ნ. ნიკოლაძე ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც პირადათ იცნობდა ჩერნიშევსკის და მის მოწაფედ ითვლებოდა. იგი სრულიად ახალგაზრდა იყო, როდესაც მაშინდელ პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა სტუდენტად და მხურვალე მონაწილეობა მიიღო იმ მოძრაობაში, რომელიც 1861 წლის სტუდენტთა არეულობის სახელწოდებით არის ცნობილი. სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის ნ. ნიკოლაძე სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად (გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ი. ისარლიშვილი, ბ. ღოღობერიძე, ალხაზიშვილი და სხვანი) დააპატიმრეს და რამოდენიმე თვით კრონშტადტის ციხეში მოათავსეს.[2] ეს იყო პირველი ისტორიული ფაქტი, როდესაც ქართველმა ინტელიგენციამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო რევოლუციონურ-დემოკრატიულ მოძრაობაში და რუსეთის ოპოზიციონურ ძალებთან ერთად გამოვიდა საბრძოლველად. როგორც აღვნიშნეთ, ქართველ სტუდენტობას აღფრთოვანებასა და ენერგიას მატებდა არა მარტო რუსეთისა და ევროპის მაშინდელი რევოლუ-

[1] ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძის), სხვათა შორის—„კრებული" № 4 გვ. 137—8, 1873 წ.

[2] ცნობა ამის შესახებ მოთავსებულია „კოლოკოლ"-ში (იხ. № 114, 1861 წ. დაწვრილებით იხ. ნ. ნიკოლაძის, მოგონებანი სამოციან წლებზე).

ციონურ-ოპოზიციონური მოძრაობა, არამედ რუსეთის ის გონებრივი მოძრაობაც, რომლის სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი ნ. გ. ჩერნიშევსკი იყო. ნ. ჩერნიშევსკის ჯგუფმა და მისმა ლიტერატურულ-მეცნიერულმა მოღვაწეობამ მეტად დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი 60-იანი წლების ახალი თაობის ინტელიგენციაზე. ახალგაზრდა სტუდენტობა ხარბად დაეწაფა იმ დემოკრატიულ-ოპოზიციონურ ნაკადს, რომელიც მოსჩქეფდა ჟურნალ „სოვრემიონიკ“-ის ფურცლებზე და რომელიც დაუზოგველად იტაცებდა მაშინდელ მოწინავე თაობას. ამრიგად ნ. ნიკოლაძის სოფლმხედველობა და მისი საზოგადოებრივი მიმდინარეობა ჩამოყალიბდა რუსეთის 60-იანი წლების გონებრივი და საზოგადოებრივი მოძრაობის ზეგავლენით. იმავე 1872 წ. იგი სწერდა: „წარმოიდგინე ეხლა, მკითხველო, რომ ეს პეტერბურგი ის ქალაქია, სადაც მე პირველი ახალგაზრდული აღტაცება და ყმაწვილური ოცნების ეშხი გამიცდნია, სადაც პირველათ ნათელი და მძლავრი შთაბეჭდილება ღირსებია ჩემს ტვინსა და გულს. რაღაც უცნაური ძალა და გავლენა ეძლევა ჩვენს გრძნობიერებაზე ყოველ იმ ალაგს, სადაც ჩვენ სიყმაწვილეში ზნეობის ფეხი აგვიდგამს, სადაც ჩვენ ბედნიერნი ან უბედურნი ვყოფილვართ, სადაც ჩვენს გრძნობას მძლავრი მღელვარება გაუვლია, სადაც ჩვენ გვიშრომია და პირველჯერ გამარჯვების ან დამარცხების კვამლით თავბრუ დაგვხვევია და განსაცდელი გაგვიცდია.—კაცს უყვარს ამნაირი ადგილი, ის ნიადაგ მშვენიერი სურათებით და ფერით იხსენიებს იმას, თუნდ ცხრა მთას გადაღმა იყოს“ [1].

ასეთი არის ის საზოგადოებრივი ფონი, რომლის ზეგავლენითაც ჩამოყალიბდა ნ. ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური სოფლმხედველობა. იგი ტიპიური „სამოციანელი“ იყო. მაგრამ შემცდარი იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ ნ. ნიკოლაძე ბოლომდე შერჩა თავის ახალგაზრდობაში შეთვისებულ აზრებს და არ განიცადა თავისებური ცვლილებანი და ევოლუცია. ჩვენი ცხოვრების რეალურმა სინამდვილემ ღრმა გავლენა მოახდინა მის სამოღვაწეო პროგრამაზედაც და იგიც ისტორიულ ცხოვრების ვითარებასთან ერთად რადიკალურად შეიცვალა. ამ მხრივ ნ. ნიკოლაძის აზროვნების განვითარებაში ორი დიდი პერიოდი უნდა აღინიშნოს. დაახლოვებით 80-იანი წლების დასაწყისამდე ნ. ნიკოლაძის სამოღვაწეო პროგრამასა და აზროვნებას კვლავ ახასიათებს „მესამოცეანელთა“ სოფლმხედველობა; მიუხედავად იმისა, რომ მისმა აზროვნებამ 60—70-იან წლებში განიცადა

[1] ცნობა ამის შესახებ მოთავსებულია „კოლოკოლ“-ში (იხ. № 114, 1861. დაწვრილებით იხ. ნ. ნიკოლაძის, მოგონებანი სამოციან წლებზე.)გვ. 148—9.

საგრძნობი ევოლუცია, იგი მაინც მესამოცე წლების რუსეთის მოღვაწეების დიდ გავლენას განიცდის და თავის სამოღვაწეო პროგრამას, მათი სოფლმხედველობის მიხედვით ამუშავებს. დაახლოებით 1868 წლიდან, როდესაც მან თავი დაანება ემიგრაციას და დაბრუნდა საქართველოში, იგი ლეგალურად შეუდგა ახალი თაობის ინტელიგენციის სამოღვაწეო პროგრამის შემუშავებას და ასოციაციებს, შეერთებული შრომის, აგრარული საკითხის, საბანკო საქმეებსა და სხვა მრავალი საჭირბოროტო კითხვების პრაქტიკულად გადაჭრას. ამ კითხვებს იგი მესამოციანელთა საზომით აშუქებდა, მაგრამ უკვე სჩანდა გადახრა მარჯვნით—რადიკალურ აზროვნებიდან ლიბერალურ სოფლმხედველობისაკენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ მისი და მეჩნიკოვის რედაქტორობით გამოცემული პატარა ჟურნალი „ს ო ვ რ ე მ ი ო ნ ო ს ტ“-ი (1868 წ.), რომელშიც იგი უკვე უარყოფს ემიგრანტობასა და იატაკ ქვეშ მუშაობას და მოითხოვს ლეგალური ბრძოლის წარმოებას არსებულ წყობილების წინააღმდეგ. ეს უკვე იყო დასაწყისი იმ ცვლილებისა, რომელიც შემდეგში, 80-იან წლებში გარკვევითა და ნათლად მოხდა ნ. ნიკოლაძის სოფლმხედველობაში. მიუხედავად ამისა, მისი სამოღვაწეო პროგრამა 70-იან წლებში საგრძნობლად უახლოვდებოდა „მესამოციანელთა“ სოფლმხედველობას.

60—70-იანი წლები წარმოადგენს მეტად შესანიშნავ ხანას ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობაში. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ რუსეთის 60-იანი წლების ბუმბერაზის ნ. გ. ჩერნიშევსკის საგრძნობი გავლენა განიცადა, 1864—68 წლებში იგი საზღვარგარეთ იყო და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რუსეთის ემიგრაციაში.[1] 1865 წ. ნ. ნიკოლაძე უახლოეს მონაწილეობას ღებულობდა გერცენის „კოლოკოლში“-ი.[2] 1866 წ. იგი ნ ი კ ი ფ ო რ ე გ . . . . . ს ფსევდონიმით ჟენევაში ბეჭდავს ბროშურას: „Молодое поколение и правительство,“ რომელიც უარჰყოფს ტეროროისტულ აქტებს, მაგრამ სასტიკ ბრძოლას უცხადებს რუსეთის მთავრობას. 1868 წელს მის მიერ გამოცემული „Современность“ იმ მიმდინარეობას გამოხატავდა რუსეთის ემიგრაციაში, რომელიც მოითხოვდა რუსეთში დაბრუნებასა და მიზანშეწონილ ბრძოლის გაჩაღებას ხელისუფლების წინააღმდეგ ლეგალურის საშუალებით. ამ ჟურნალის შესახებ

---

[1] რუსეთის მთავრობას იგი შეტანილი ყავდა ემიგრანტთა სიაში და მასზე დაწესებული იყო საიდუმლო ზვერვა.

[2] პირველ ხანებში გერცენი აღფრთოვანებით შეეგება ახალგაზრდა ემიგრანტს. შემდეგში გერცენსა და ნ. ნიკოლაძის შორის ცხარე კამათს ჰქონდა ადგილი.

გერცენი „კოლოკოლ“-ში სწერდა: „ჩვენ მივიღეთ ახალ რუსულ ჟურნალის „Современность“-ის სანიმუშო ნომერი. მიმართულება სავსებით რადიკალური და სოციალისტურია. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ მივესალმოთ რუსეთში მომქმედ პარტიის ამ ახალ ორგანოს. შრომის ასეთი განაწილება ძლიერ სასარგებლო იქნება“.[1] 1869 წელს ნ. ნიკოლაძე ბრუნდება საქართველოში. ამავე წელს გაზ. „დროები“-ს რედაქტორობას კისრულობს ცნობილი პუბლიცისტი სერ. მესხი და დგება ახალი ჯგუფი ახალგაზრდობის, სერ. მესხის, ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლის მეთაურობით. ეს ჯგუფი არსებობდა 1877 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ნ. ნიკოლაძე მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა გაზ. „დროება“-ში (მხოლოდ 1874—75 წლებში არ უთანამშრომლია ამ გაზეთში) და ჟურნალ „კრებულში,“ რომელიც 1871-73 წლებში გამოდიოდა გ. წერეთლის რედაქტორობით. 1873—77 წლებში იგი თანამშრომლობდა გაზ. „Тифлисский вестник“-ში, რომელიც ბებუთოვის რედაქტორობით გამოდიოდა. ნ. ნიკოლაძის ლიტერატურული მოღვაწეობა ამ ჟურნალ-გაზეთებში მეტის-მეტი ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი იყო. მის წერილებს მეტად დიდი გავლენა ჰქონდა მაშინდელ მოსწავლე-ახალგაზრდობაზე. მისი სტატიები ცოცხალი ენით იყო დაწერილი და ჩვენი ცხოვრების მთელ რიგ ღრმა მნიშვნელოვან პრობლემებს ეხებოდა.

მაგრამ თუ ერთი მხრივ ახალი თაობა აღფრთოვანებით ეგებებოდა ნ. ნიკოლაძის წერილებსა და მოღვაწეობას, სამაგიეროთ ადგილობრივი ხელისუფლება ფხიზლად ადევნებდა თვალს მის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ჯერ კიდევ საზღვარგარეთ ყოფნის დროს მეფის აგენტები გაფაციცებით აგროვებდენ ცნობებს მისი მოღვაწეობის შესახებ. 1870 წ., როდესაც მან ითხოვა რუსულად გაზეთის გამოცემა, მეფის მოადგილის მთავარ სამმართველოს გამგე სენატორი ბარონი ნიკოლაი, ჩამოსთვლის რა ნიკოლაძის ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობას 1861 და 1864—68 წლებში, აღნიშნავს რა მის ლიტერატურულ შრომებს მთავრობის წინააღმდეგ მიმართულს, ატყობინებს საცენზურო კომიტეტს, რომ დიდმა მთავარმა მეფის მოადგილემ შეუძლებლად სცნო ნება მისცეს ნიკოლაძეს გამოსცეს რაიმე გაზეთი, ან ჟურნალი ტფილისში. მასთანვე ბარონ ნიკოლაი სთხოვს საცენზურო კომიტეტს ფრთხილად ადევნოს თვალყური, რომ ნიკოლაძის ლიტერატურულ მოღვაწეობას არ ექნეს ცუდი გავლენა იმ გაზეთებსა და ჟურნალებზე, რომელიც კომიტეტის

[1] გერცენის ნაწერები ტ. XV. გვ. 227—35.

ნებართვით გამოდის[1]. ამრიგად ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავიდანვე მიაქცია ყურადღება ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობას და ცდილობდა საცენზურო არტახებით შეებორკა იგი.

განსაკუთრებით აღსანიშნავი არის ნ. ნიკოლაძის ბრძოლა ადგილობრივი ცენზურული პირობებისა და ხელისუფლების წინააღმდეგ გაზ. „Обзор"-ში (1878—80). ეს ორგანო ნ. ნიკოლაძის რედაქტორობით და მისი უახლოესი თანამშრომლობით გამოდიოდა და მიზნად ისახავდა ქართველთა ინტერესების დაცვას რუსეთის საზოგადოების წინაშე. „Обзор"-მა აშკარად მიღო მთავრობის საწინააღმდეგო ხასიათი და თავგამოდებით ებრძოდა ადგილობრივ ცენზურულ პირობებს, რისთვისაც ნ. ნიკოლაძე რამოდენიმეჯერ მისცეს სამართალში[2]. „Обзор"-ის პროცესმა და ნ. ნიკოლაძის ბრძოლამ ამ ორგანოს საშუალებით თავის დროზე დიდი ყურადღება მიიპყრო. ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ აპატია ნ. ნიკოლაძეს ეს თავხედობა და იგიც ადმინისტრატიული წესით გადაასახლეს 1880 წლის ზაფხულში სტავროპოლში. 1881 წლის თებერვალში ნ. ნიკოლაძე გაანთავისუფლეს გადასახლებისაგან და ნება დართეს ეცხოვრა პეტერბურგში. აქ ის შედის რკინისგზის სამსახურში. 1883 წ. იგი მოწვეული იქნა ამიერ-კასკასიის რკინისგზის გამგეობაში. ამის შემდეგ იწყება ნ. ნიკოლაძის პრაქტიკული მოღვაწეობა სხვადასხვა სამრეწველო და საქალაქო დაწესებულებებში. ამით დამთავრდა პირველი პერიოდი ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობისა. ამ პერიოდში მას ახასიათებდა რადიკალური აზროვნება და ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ. მთავრობა მას სდევნიდა და იგი ფარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

ამრიგად, დაახლოებით 80-იან წლებამდე ნ. ნიკოლაძე ოპოზიციაში უდგა მთავრობას და რადიკალურ მიმდინარეობას ემხრობოდა. ამიტომ მკითხველისათვის საინტერესო იქნება გავაცნოთ მას ჟანდარმერიის ცნობები ამ პერიოდის ნიკოლაძის მოღვაწეობის შესახებ. ქვემოდ მოყვანილი ცნობა ამოღებულია გალიცინის მიერ 1887 წ. გამოცემულ წიგნიდან: История социально-революционного движения в России":

—„ნ. ი. ნიკოლაძე, დაბადებულია ქუთაისის გუბერნიაში, ფოთის მოქალაქე, ყოფილი სტუდენტი სანქტპეტერბურგის უნივერსიტეტისა, შემდეგ რედაქტორი გაზეთ „Обзор"-ისა, რომელიც

---

[1] ცენტროარქივი, Дело Кавказского цензурного комитета № 1311, 1870 წ.

[2] იხ. „Первый процесс обзора" 1879 წ.

გამოდიოდა ტფილისში რუსულ ენაზე. 1861 წ. მონაწილეობდა სტუდენტა არეულობაში. 1864 წ. გაემგზავრა საზღვარგარეთ, სადაც 1866 წ. ჟენევაში დაბეჭდა ბროშურა სათაურით: „ძთავრობა და ახალი თაობა", რომელიც შედგენილი იყო 1866 წ. 4 აპრილს ვერაგულ თავდასხმის გამო. 1868 წ. ნიკოლაძე ელპიდინთან[1] ერთად ბეჭდავდა რევოლუციონურ შინაარსის ფურცლებს სათაურით: „ჭერქვეშური სიტყვა" და „თანამედროვეობა", რის გამოც რუსეთში დაბრუნების შემდეგ იმყოფებოდა პოლიციის სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ, და მისი თხოვნა, რომ მიეცათ მისთვის ნებართვა ტფილისში გაზეთი „Обзор"-ის გამოცემისა, უარყოფილ იქნა.[2] 1872 წ. ნიკოლაძემ შუამდგომლობა აღძრა რათა განეთავისუფლებინათ პოლიციის მეთვალყურეობისაგან, ვინაიდან მისთვის აუცილებელი იყო ტფილისიდან ხშირად გამგზავრება სხვა ქალაქებში, როგორც საკუთარი კომერციული საქმეების, ისე მცირეწლოვან თავის და-ძმების საქმეთა გამო, რომელთა მზრუნველიც ის იყო. ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა, არა მარტო ტფილისიდან თავისუფლად წასვლა-მოსვლის სახით, არამედ ნება მიეცა აგრეთვე ემოგზავრა საზღვარგარედაც; პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნისაგან კი ის არ განუთავისუფლებიათ, ვინაიდან ქუთაისის გუბერნატორის ატესტაცია მას სახავდა არაკეთილსაიმედოთ. ნიკოლაძის საზღვარგარეთიდან დაბრუნებისას მის ბარგში აღმოჩენილ იქნა სალიტერატურო დაზგა[3] და ორი ფუთი წიგნები. უმთავრესად სოციალისტური შინაარსისა, რომელთა შორის ბევრი აღკრძალული წიგნები იყო და აგრეთვე ციურიხის ქართული საზოგადოების „უღელი"-ს სხდომების სამი ოქმი.[4] ამის გამო, 1873 წ. აგვისტოში, მას აეკრძალა გასვლა მისთვის მიჩენილ საცხოვრებელ ადგილიდან. მაგრამ ოქტომბერში, ვინაიდან ნიკოლაძისათვის უკიდურეს აუცილებლობას შეადგენდა საქმეების გამო საზღვარგარეთ წასვლა, მას მიეცა საზღვარგარეთ გასვლის ნებართვა, მხოლოდ იმ პირობით, რომ თუ საზღვარგარეთ ყოფნის დროს იქონიებდა კავშირს ემიგრანტებთან, მაშინ, რუსეთში დაბრუნების შემდეგ, მას დაამკვიდრებდენ სამშობლოში და აეკრძალებოდა მიჩენილ ადგილის დატოვება. საზღვარ-

[1] ელპიდინი იყო გამომცემელი. აღნიშნულ „Современность"-ს ნიკოლაძე სცემდა მეჩნიკოვთან ერთად.

[2] „Обзор"-ის გამოცემა პირველად ნიკოლაძემ 1870 წ. ითხოვა.

[3] 1873 წ. ნიკოლაძემ მიქელაძესთან და იზმაილოვთან ერთად გამოსცა ათი ნომერი ხელთნაწერი გაზ. „დროშა", ას-ას ცალად. აღნიშნული დაზგა ამ მიზნისათვის ჭონდა გამოყენებული და საქართველოშიაც აპირებდა ამ საქმის გაგრძელებას.

[4] საზ. „უღელი" დაარსდა 1873 წ. ციურიხში. ამ საზოგადოების შესახებ გაზ. „დროება-"შიც არის მოთავსებული წერილი (იხ. № 16 1873 წ.).

გარეთიდან დაბრუნებისას ნიკოლაძე გაჩხრეკილ იქმნა ვერჟბოლოვსა და ფოთში, მაგრამ მას საეჭვო არაფერი აღმოაჩნდა. 1875 წ. ის ცხოვრობდა ქუთაისში, სადაც ქალაქის თვითმართველობის წევრად დაც კი იქნა არჩეული. აზნაურმა იაგორ იოსელიანმა,[1] რომელმაც გახსნა ამავე წელს დაარსებული კავკასიის რევოლუციონური წრე, განაცხადა, რომ ნიკოლაძე იყო ამ წრის ერთ-ერთი უაქტიურესი წევრი. მაგრამ ამ საქმეში მისი უშუალო მონაწილეობა ძიებით არ იქნა დამტკიცებული, ამიტომ მისი საქმე სასამართლოს აღარ გადასცემია. 1877 წ. ოსმალთა კომპანიის დროს ნიკოლაძე იყო სამხედრო კორესპონდენტი და იმყოფებოდა გრაფ ლორის-მელიქოვის კორპუსთან, გრაფის შუამდგომლობის თანახმად ის განთავისუფლებულ იქნა პოლიციის მეთვალყურეობისგან. 1878 წ. ნიკოლაძეს მიეცა გაზ. „Обзор"-ის გამოცემის ნებართვა, მაგრამ მისი მოქმედების კანტროლისათვის დაწესებულ იქმნა ფარული მეთვალყურეობა. ნიკოლაძეს გაზეთი მიჰყავდა მთავრობისათვის სავსებით საწინააღმდეგო მიმართულებით, რამაც გამოიწვია განკარგულება მისი გამოცემის შეწყვეტის შესახებ. ტფილისის ქალაქის თვითმართველობის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვის გამო, რომელშიაც სასტიკად ილაშქრებდა ადმინისტრაციის წინააღმდეგ და აგრეთვე საზოგადოთ მის მიერ გამოცემულ გაზეთ „Обзор"-ის არაკეთილსაიმედო მიმართულებისათვის 1880 წ. ის გადასახლებულ იქმნა სტავროპოლში, სადაც იმყოფებოდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ."

80-იანი წლების დასაწყისიდან იწყება მეორე დიდი პერიოდი ნ. ნიკოლაძის აზროვნების განვითარებაში. ის საზოგადოებრივ-სოციალისტური ელემენტები, რომელიც პირველად ახასიათებდა მის სოფლმხედველობას, თანდათან კარგავს თავის შინაარსს და ნ. ნიკოლაძეც ორივე ფეხებით ბურჟუაზიულ სამოღვაწეო პროგრამის ნიადაგზე დგება. აღსანიშნავია სწორედ ის გარემოება, რომ ამ პერიოდიდან ნიკოლაძეში უფრო მეტყველებდა პრაქტიკი მოღვაწე — ვინემ მებრძოლი პუბლიცისტი. იგი ამუშავებდა მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებს ჩვენი ცხოვრების ეკონომიური აღორძინებისათვის, მონაწილეობას იღებდა მთელ რიგ საწარმოო წამოწყებებში, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენში, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისათვის. მას აინტერესებს ტყიბულის ქვანახშირისა და ტყიბულის რკინისგზის შტო და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ამ საქმის მოწესრიგებაში; მისი

[1] ამ ი. იოსელიანმა გასცა ქართველ რევოლუციონერთა ორგანიზაციები 1876 წ. საბუთები ამის შესახებ ინახება რევ. მუზეუმში.

ჟურადღების ცენტრად ხდება ჰიათურის შავი ქვა და რკინისგზა, სურამის გვირაბი, ბაქოს ნავთი, სხვადასხვა ქალაქების მუნიციპალიზაციის საკითხი, ელევატორის და ელექტროფიკაციის საქმე და მრავალი სხვა, რომელთა აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამრიგად იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ჩვენი ცხოვრების კაპიტალიზაციის საქმეში; მისი სოფლმხედველობაც და იდეოლოგიაც ამ მიმართულებით იქნა განვითარებული; იგი საქართველოს ბურჟუაზიის იდეოლოგი და მებაირახტრე გახდა, მაგრამ რადგანაც ეს ბურჟუაზია ჯერ კიდევ ვერ იყო მომწიფებული და აქტიური საქართველოში, ამიტომ ნ. ნიკოლაძემაც ვერ შესძლო ბურჟუაზიული კლასის მეთაურობა და ბურჟუაზიულ პარტიის ჩამოყალიბება, იგი ჯერ კიდევ უჯარო გენერალი იყო 80—90-იან წლების საქართველოში.

ამრიგად 80-იანი წლებიდან ნიკოლაძის ძველი რადიკალური სოფლმხედველობა და საზოგადოებრივი პროგრამა აშკარა ბურჟუაზიული სოციალპოლიტიკური პროგრამით შეიცვალა. ნ. ნიკოლაძის აზროვნების ამ კრიზისის აშკარა მაჩვენებელი იყო ის როლი, რომელიც ნ. ნიკოლაძემ ითამაშა რეაქციონურ „Священная дружина“-სა და რევოლუციონურ „Народная Воля“-ს პარტიის შორის წარმოებულ მოლაპარაკებაში. ამ მოლაპარაკებასა და ნიკოლაძის როლს ამ საქმეში მოკლედ შევეხები ქვევით. ახლა შევეხოთ ნიკოლაძის სოციალურ აზროვნებას.

III. სოციალური სოფლმხედველობა

ახალგაზრდა ნიკოლაძის სოციალური სოფლმხედველობის შემუშავებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა რუსეთის 60-ანი წლების სოციალისტურმა აზროვნებამ და დასავლეთ ევროპის უტოპიურმა თეორიებმა. 60-ანი წლების რუსეთის სოციალისტური აზროვნება, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი,—ნაროდნიკული შინაარსისა იყო; მართალია მათ აზროვნებაში უხვად იყო გაბნეული მეცნიერული სოციალიზმის ელემენტები, მაგრამ ეს მაშინდელი ახალი თაობისათვის სრულიად შეუმჩნეველი იყო. მათ უმთავრესად და ძირეულად ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ნაწერებში ნაროდნიკულ-უტოპიური სოციალიზმის თეორია დაინახეს და მისი მიმდევრები გახდნენ. ამ მხრივ ნ. ნიკოლაძის 60—70-ან წლების ნაწერებში აუცილებლად არის ჩერნიშევსკისა და საერთოდ ნაროდნიკული სოციალიზმის გავლენა. მეორე მხრივ, 60-ან წლებში დასავლეთ ევროპის აღორძინებულმა მუშათა მოძრაობამ და სოციალისტურმა აზროვნებამ დიდი

გავლენა მოახდინა მის სოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. როგორც მისი ბიოგრაფიიდან ირკვევა, საზღვარგარეთ ყოფნის დროს (1864—68) იგი ხარბად დაეწაფა იქაური სოციალისტების ნაწერებს და ნარკვევებსაც სწერდა მათს შესახებ.[1] ამ მხრივ მისი ყურადღება უმთავრესად მიიპყრო სენ-სიმონისა და ლუი ბლანის სოციალურმა თეორიებმა.

თანახმად ზემოდ დასახელებულ სოციალისტების თეორიისა, ნიკოლაძეც თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების უარყოფით მხარეს ხედავს ამ წყობილების მოუწესრიგებლობაში. კონკურენცია, ანარქია და ექსპლოატაცია ერთი კლასისა მეორე კლასის მიერ—აი რა ახასიათებს თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებას ნიკოლაძის შეხედულებით. მისთვის, როგორც იდეალისტურ აზროვნებაზე აღზრდილისათვის, უცნობი იყო საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონები; მისი აზრით ისტორიას ამოძრავებს განსაზღვრული თეორია, შეგნება, ცოდნა; რომელ ეპოქაშიაც როგორი თეორია და აზროვნება არის გაბატონებული, საზოგადოებრივი წყობილებაც ამ აზროვნების მიხედვით ეწყობა; კაპიტალისტური წყობილება ბურჟუაზიული აზროვნების მიხედვით აშენდა; სოციალისტურ-ასოციაციური აზროვნება საფუძვლად უნდა დაედვას ახალ საზოგადოებრივ ფორმაციას, ჰარმონიულ საზოგადოებრივ ურთიერთობას. ასეთი არის ნიკოლაძის სოციოლოგიური სოფლმხედველობა. მისთვის კაპიტალისტური საზოგადოება არ წარმოადგენს ისტორიულად აუცილებელს საზოგადოებრივ ფორმაციას. და ამიტომ, მისი აზრით, იგი შესაძლებელი არის, თუ საზოგადოებაში

---

[1] 1864 წ. 19 ოქტომბერს საზღვარგარეთიდან იგი სწერდა კ. ლორთქიფანიძეს:... „არ დაგავიწყდეს, მაშინ (862 წ.) ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის წიგნები მქონდა, და იმათ კითხვაში მავიწყდებოდა შიმშილი; და ეხლა—ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი რა არი? ფურიე და სენ-სიმონი მქონდა.“ ერთ ხანს იგი ყველა უტოპისტურ-სოციალისტის თეორიებშიაც დაეჭვიანებულია ჩერნიშევსკიც კი „ტრუიზმად“ მოჩვენებია. იმავე ლორთქიფანიძეს სწერს: „აქ (ევროპაში) არის ცხოვრება. აქ მუშაობს ჭკუა და აზრი ისე, როგორც რუსეთში თავის დღეში არ იმუშავებს. იცი რატომ მინდა ლუი ბლანის გადათარგმნა? ამიტომ რომ მეშინია ჩემი სტატიის დაწერა: ყოველ დღეს აქ ახალ-ახალი გზით მუშაობს ჩემი აზრი და ძალიან ხშირად, ის რაც გუშინ დამტკიცებული და დაურღვეველი მეგონა, დღეს ირღვევა ერთი სულის შებერვით. მართალი გითხრა ეხლა მე არც ერთი მწერალი არ მომწონს.—ფურიე ხომ თითქმის სრულიათ ჩამივარდა ჩემს აზრში, აგრეთვე როგორც სენ-სიმონი და თითქმის ლუი ბლანიც. ჩერნიშევსკის თეორია трюизм.. ამ საგანზე მე მოგწერ დაწვრილებით ერთი თვის და ნახევრის შემდეგ, როცა გავიცნობ კიდევ ორი სამის ეკონომისტების თხზულებებს (ძველებიდგან). მე უფრო დიდი რამე მეგონა ფრანცუზული სოციალიზმი, და დიდი რამე კი არის, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამეა დარჩენილი შესამუშავებელათ“... 1866 წ. წერდა... „ორი თვის მერმე მოგწერ ესე იგი გადმოგწერ პირველ 100 გვერდს ჩემი „Записки по политической экономии“-იდან. ფურიეს და სენ-სიმონის ის ტემა აწერილი მაქვს, ახლა მაკლია: ტომას მოორ, კამპანელა, კაბეტ, შემდეგ ლუი-ბლან და სხვანი“ (იხ. კ. ლორთქიფანიძის არქივი ქუთაისის მუზეუმში).

მომწიფდება აზრი, დღესვე შეიცვალოს ჰარმონიულ-ასოციაციური წყობილებით.

ნიკოლაძე კაპიტალიზმსა და მაშინდელ ევროპის საზოგადოებრივ წყობილებას აკრიტიკებდა წმინდა იდეალისტური საზომით. იგი ნათლად ხედავდა, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობა თავისი კონკურენციით, მოუწესრიგებლობითა და ექსპლოატაციით, იწვევდა უკმაყოფილებას სოციალურ წრეებში და ბრძოლას უფრო სამართლიანი წყობილების დამყარებისათვის. 1875 წ. ერთს თავის წერილში იგი სწერდა:

„დედამიწის ზურგზე დღემდე არ არის არც ერთი ხალხი, რომლის საზოგადოებრივი წყობილება აღიარებული ყოფილიყოს დამაკმაყოფილებლად. ყველაზე უფრო ცივილიზაცია ქმნილი და ბედნიერი ხალხები,—ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები—სხვებზე რომ არ ვილაპარაკოთ,—იტანჯებიან საზოგადოებრივი და ეკონომიური ურთიერთობის მოუწესრიგებლობით. მათ შეიგნეს, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობანი სამუდამოდ არ უნდა არსებობდეს რომ საჭიროა ლტოლვა უფრო სამართლიან წყობილებისაკენ, საზოგადოებრივ მოვალეობისა და უფლების უკეთეს განაწილებისაკენ; თანამედროვე წყობილებით უკმაყოფილება, მისწრაფება მსოფლიოში ადამიანური დამოკიდებულების, „საზოგადოებრივი ჰარმონიის“ დამყარებისაკენ ყოველ ერში არსებობს“.[1]

ამრიგად, ნიკოლაძემ ერთი მხრივ, რუსეთისა და დასავლეთის სოციალისტური აზროვნების ზეგავლენით, მეორე მხრივ, ევროპის საზოგადოებრივი წყობილების შესწავლით ნათლად შეიგნო, რომ დღევანდელი კაპიტალისტური საზოგადოება „დაავადებული არის მძიმე სენით“, რომელიც მოითხოვს განკურნებას, შესაფერისს წამლობას. მაგრამ როგორი გზითა და საშუალებით შეიძლება არსებულ წყობილების განკურნება, უკეთ, როგორი საზოგადოებრივი წყობილების ფორმებში არის შესაძლებელი ნამდვილი, ჰარმონიული წესწყობილების დამყარება, რით უნდა შეიცვალოს თანამედროვე ანარქიული და ექსპლოატაციაზე აგებული, კლასთა ბრძოლითა და ომებით დაჭუცმაცებული ძველი წყობილება? ამ დიდი პრობლემის გადაწყვეტის დროს ნიკოლაძის აზროვნებაზე დიდი გავლენა მოახდინა ნ. ჩერნიშევსკისა და სენ-სიმონ ლუი ბლანის ნაროდნიკულმა და ასოციაციურმა თეორიებმა. ნიკოლაძეს სრულიად დაუკმაყოფილებლად მიაჩნდა პრუდონის სისტემა; იზიარებდა რა იგი პრუდონის მიერ წარმოებულ კრიტიკას კაპიტალისტური წყობილების შესახებ, სრულიად

[1] Н. Николадзе, Капризы пера—„Тиф. Вестник“ № 110, 1875 г.

არ მაიჩნდა მისი გეგმები მიზანშეწონილად „ჰარმონიულ წყობილების“ დამყარების საქმეში: ნიკოლაძე სწერდა:

„პრუდონის სისტემის შემოღება ვერ აღმოფხვრიდა საფრანგეთის საზოგადოებრივი წყობილების არსებით ბოროტებას—მეტოქეობის სრულსა და განუსაზღვრელ ბატონობას; იგი ვერ მოსპობდა იმ ბრძოლას, რომელიც სწარმოებს არა მარტო სხვადასხვა ხელობასა და წოდების შორის, არამედ ცალკე პირებს შორისაც, რომელნიც ერთსადაიმავე ხელობას მისდევენ. ფრანგ მწარმოებელთა დაქუცმაცებული მდგომარება აუცილებლად გამოიწვევდა მათ შორის გამწვავებულ ბრძოლას, რომელიც თავის მხრივ მთელი მრეწველობის ურთულესს ანარქიად გადაიქცეოდა. პრუდონის სისტემა ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევდა. საფრანგეთის მრეწველობის დღევანდელ პირობებში ჩვენ ვამჩნევთ შეურიგებელ ომს ერთი მხრივ კაპიტალისტებსა და მეორე მხრივ მუშებს შორის; შემდეგ — ურთიერთ ბრძოლას თვით კაპიტალისტების შორის და ასეთსავე მოვლენას მუშებს შორის; ამჟამად ერთი მხარე თავიდან ფეხებამდე იარაღშია ჩამჯდარი, მაშინ როდესაც მეორე მხარე შიშველ-ტიტველი დაიარება. პრუდონის სისტემა ამ მდგომარეობას შესცვლიდა იმ მხრივ, რომ ორივე მხარე შეიარაღებული აღმოჩნდებოდა, თუმცა არა ერთნაირად. მიუხედავად ამისა ანარქია და მწარმოებელთა შორის ომი კვლავ იწარმოებდა ძველებური სიმწვავით, თუ უფრო მეტად არა, პრუდონი გააფთრებით ებრძოდა მონათესავე ინტერესების ყოველგვარ შეერთებას, მწარმოებელთა გარკვეული რაოდენობის შეამხანაგებას საერთო წარმოებისა და ეკონომიური მოხმარების საფუძვლებზე. პრუდონი ისეთივე ულმობელობით ებრძოდა ამხანაგობებს, როგორც აჟიოტაჟს და ერთნაირად შეფასებას აძლევდა როგორც ერთის, ისე მეორეს მომხრეებს.“ [1]

უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ პრუდონის სისტემის სრულიად საფუძვლიანი კრიტიკა არის მოცემული. როგორც ცნობილია, პრუდონი მსხვილ კერძო საკუთრებას უწოდებდა ქურდობას, მაგრამ წვრილი კერძო საკუთრება, საკუთარ შრომაზე აგებული, პრუდონს წმინდათა-წმინდათ მიაჩნდა. აქედან წარმოსდგა მისი თეორია „საკუთრების გათანასწორებისა,“ ცალკე ყოველი პიროვნების მესაკუთრედ გადაქცევისა; პრუდონს არ სწამდა წარმოებისა და მოხმარების კოლექტიური ფორმები; როგორც წარმომადგენელი წვრილ-ბურჟუაზიული ინდივიდუალური ანარქიზმისა, იგი მთელი თავისი არსებით ებრძოდა კომუნისტურსა და სოციალისტურ-ასოციაციურ თეორიებს.

[1] იხ. მისი წერილი, წ ე რ ი ლ ი პ რ უ დ ო ნ ზ ე—„რჩეული ნაწერები,“ ტ. I, გვ. 156—7.

პრუდონის ინდივიდუალისტური სისტემა სრულიად ვერ მოსპობდა თანამედროვე ანარქიასა და კონკურენციას და ამ მხრივ ნიკოლაძემ იგი საფუძვლიანად უარყო. ნიკოლაძეც მომხრე იყო დეცენტრალიზაციის, მაგრამ ის არსებითად იცავდა იმ აზრს, რომ საზოგადოებრივ წყობილებას საფუძვლად შრომა დასდებოდა, რომ საზოგადოებრივი ჰარმონია მხოლოდ შრომის პრინციპზე იყო შესაძლებელი დამყარებული იყო. მაგრამ ეს შრომა ასოციაციურ კოლექტიურ ფორმებში უნდა ჩამოყალიბებულიყო და არა ინდივიდუალურს ფორმებში, როგორც ამას ფიქრობდა პრუდონი.

არკვევს რა ნიკოლაძე 60-ანი წლების რუსეთის ახალი თაობის სამოღვაწეო პროგრამას, სწერს:

„ახალი თაობის აზრით, ადამიანის ღირსების ერთად-ერთი დამცველი არის მხოლოდ შრომა, რომელიც სხვას არავის დააწვება კისრად... ამან აიძულა ახალი თაობა ხელი მოეკიდა საზოგადოებრივი ცხოვრების ძირიანად გარდაქმნისათვის—ყველასა და თვითეულისათვის საკუთარი და არა სხვისი შრომით ცხოვრება სავალდებულოდ აღეარებინა. გამოდიოდა რა ამ დებულებიდან, ახალთაობის საზოგადოების მართებული, ადამიანური მოწყობის აუცილებელ პირობად მიაჩნდა შრომის ისეთი ორგანიზაცია, რომლის დროსაც საზოგადოების ყოველი წევრი განურჩევლად—უზრუნველყოფილი იქნება შრომის იარაღით“ [1]. ეს არის ის ძირითადი დებულება, რომელიც საფუძვლად ედება ნიკოლაძის ასოციაციურ სისტემას—ე. ი. იმ სისტემას, რომელიც მან დასავლეთ ევროპის სოციალისტებიდან და ჩერნიშევსკის მოძღვრებიდან ისესხა. მისი აზრით „ფართედ და რადიკალურად შეცვლა დრომოჭმული ორგანიზაციისა“ შესაძლებელია შრომის ასოციაციებისა და მიწის თემური წყობილების გზით, რომელიც ფართო გასაქანს მისცემს ხალხს და აამაღლებს მას კულტურულ-ეკონომიურად. თავის სადისერტაციო შრომაში განიარაღების შესახებ, რომელიც 1868 წ. წარუდგენია ციურიხის ბურჟუაზიულ უნივერსიტეტისათვის, ნიკოლაძე სწერს: „ეს რეფორმა (ე. ი. ასოციაციების, ამხანაგობების შემოღება.—ს. ხ.) ერთი იმ აუცილებელ რეფორმათაგანია, რომელმაც უნდა შეანელოს განუსაზღვრელ კონკურენციის სიმწვავე. მართლაც და პოლიტიკურ ეკონომიის კანონის თანახმად, მუშა—საქონლის შემქმნელი, რომელიც წელში გაწყვეტილია რეალურ ცხოვრების სიმძიმის ქვეშ, ნაკლებ ხელფასსა სჯერდება, ოღონდ თავის მუშაობით იმდენი იშოვოს, რომ იმით შეიძინოს, რაც არსებობისათვის აუცილებლად საჭიროა... მხოლოდ საამხანაგო

[1] Никифор Г..., „Правительство и молодое поколение“ 1866 г.—„რჩეული ნაწერები“ ტ. I, გვ. 235.

ცხოვრებას, მკვიდრათ მოწყობილს და ყოველგვარ საქონლით ხელგამართულს, საწარმოო კოოპერაციასთან შეერთებულს, შეუძლია მუშები კონკურენციის კლანჭებისაგან გაანთავისუფლოს: "სამხანაგო ცხოვრების წყალობით, იმ ცხოვრების, რომელიც ერთსა და იმავე დროს საწარმოოც იქნება და მომხმარებელიც, მუშას შეეძლება თავის დროზე გამოიყენოს სათადარიგო თანხა".[1]

არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, რომ ასოციაციურ თეორიასთან ერთად ნიკოლაძემ ჩერნიშევსკიდან და რუსეთის 60-ანი წლების სოციალისტურ აზროვნებიდან გარკვეული ნაროდნიკული თეორიაც შეითვისა. როგორც ცნობილია, რუსეთის ნაროდნიკები რუსეთის მიწის მფლობელობის თემურ ორგანიზაციას დიდ ყურადღებას აქცევდენ და მასში ხედავდენ ერთ-ერთ გზასა და საშუალებას სოციალიზმის განსახორციელებლად. იმ პერიოდში ნიკოლაძემ უკრიტიკოთ შეითვისა ჩერნიშევსკის შეხედულება თემისა და თემური წყობილებაზე. 1865 წ. იგი სწერდა: "ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ერთად-ერთ ფორმას, რომელსაც შეუძლია ნამდვილი სარგებლობა მოუტანოს საქართველოს, წარმოადგენს მიწისა და ყოველგვარი სხვა საკუთრების სათემო განაწილება, აგრეთვე ხალხის შრომისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სათემო ორგანიზაცია. ასეთი წყობილება სწორედ იმიტომ იქნება სასარგებლო საქართველოსათვის, რომ ყველა სხვა წყობილებაზე უკეთესად, და, უფრო მეტიც, მხოლოდ და მხოლოდ ის შეუწყობს ხელს, შეძლებისამებრ, ხალხის კეთილდღეობის სრულ განვითარებას, რაც თავის მხრით ხელს შეუწყობს ხალხის გონებრივი და ზნეობრივი ძალ-ღონისა და ნიჭის განვითარებას... საუკეთესო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების იდეალი, ჩვენის აზრით, ყველაზე ადრე რუსეთისათვის არის განსახორციელებელი, რადგან ამ წყობილების მთავარი პრინციპი—თემობრიობა, შეძლებისამებრ, რუსის ხალხმა შეინარჩუნა".[2]

აქედან შემუშავდა ნ. ნიკოლაძის პრაქტიკულ-პოლიტიკური გეზიც—რუსის ხალხთან და ახალთაობასთან ერთად უნდა იბრძოლოს საქართველომ ახალი წყობილების განხორციელებისათვისო.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ასოციაციების, ამხანაგობების თეორიის ქადაგებას და შრომის თემურ წყობილებას არა ერთხელ დაბრუნებია ნიკოლაძე თავის წერილებში 70-იან წლებში. 1873 წ. იგი სწერდა: "ამ მიმართულების (გულისხმობს რუსის სოციალისტებს.—ს. ხ.)

---

[1] რჩეული ნაწერები," გვ. 344—5.

[2] Рио-Нели Освобождение крестьян в Грузии—"Колокол" № 199. 1865 წ. რჩეული ნაწერები გვ. 174—5.

უმთავრესი პრინციპი—შეერთებული, ამხანაგური შრომის და ცხოვრების გამართვა—ათასი წლობით არსებობს რუსეთელ ხალხში, რომელსაც მიწა-წყლის საზოგადოებრივი მფლობელობა (общинное землевладение) და ამხანაგობრივი (артель) საქმის წაყვანა ძვლებშიაც გამჯდარი აქვს..- რაც უფრო მეტი დახმარება და გონიერი ხელმძღვანელობა მიეცემა რუსეთში იმ ამხანაგობებს, რომელნიც რუსეთის ხალხს თავის თავათ დაუარსებია, რაც უფრო მეტი პრაქტიკული მხრით დაუახლოვდება ამ ხალხს ახალი მიმართულების პირები, მით უფრო და უფრო გაადვილდება რუსეთის გონებითი გახსნის საქმე, მით უფრო დაახლოვდება ის დრო, როცა ამ გახსნას გონიერი გზა მიეცემა და მის წინ ეხლანდელი დაბრკოლება და წინააღმდეგობა მოისპობა". [1] ამავე საკითხის შესახებ 1879 წ. სწერდა:

„იმავე მოძრაობის მეოხებით, რუსეთში მიხვდენ, რომ მათს ცხოვრებაშიაც ყოფილა ზოგიერთი იმისთანა მხარეები, რომელიც ევროპის განათლების მომხრეებსაც კი მოეწონება და აღტაცებაში მოიყვანს. გამოჩნდა, მაგალითად, რომ ჩინებული რამ ყოფილა რუსეთის ძველი ჩვეულება შრომის განაწილებისა (артели) და მიწისმფლობელობისა (община). თითქმის ისეთი ყოფილა როგორც იდეალად უჩვენებენ ევროპის რეფორმატორები (ე. ი. სოციალისტები)." [2]

ასე სწერდა ნიკოლაძე 70-იან წლებში მიწის თემური წყობილებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნის საქმეში. ჩვენ ქვევით დავინახავთ, თუ როგორ გამოიყენა მან ეს ფორმა მიწის მფლობელობისა ჩვენში აგრარული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. არა ნაკლები ენერგიით ეწეოდა იგი პროპაგანდას ასოციაციების და ამხანაგობების დაარსების და მნიშვნელობის შესახებ. [3] 1879 წ. იგი სწერდა:

„შრომის და ძალის შეერთებით და ერთი მიზნისაკენ მიმართვით ხალხი იმისთანა საქმეებს ახერხებს, რომელსაც ვერც ერთი კერძო პირი, რაგინდ გონიერი იყოს, მარტოხელად ვერ მოერეოდა, და ვერც ათასი ან ათი ათასი გენიოსი, ცალცალკე მშრომელი, ვერ გაარიგებდა. დიდი ეკონომია, დიდი სარგებლობა, ან სიადვილე მოსდევს შრომის გონიერ შეერთებას: ჯაფა მაშინ ყველას გაუადვილდება და შრომის ნაყოფი ყველასათვის მატულობს... გონიერი შრომის შეერთება, რიგიანი დისციპლინა იმაში მდგომარეობს, რომ ამ

---

[1] ნ. სკანდელი, რუსეთის ცხოვრება—„კრებული" 5-6, გვ. 383 №—84, 1873 წ.

[2] ნ. ნიკოლაძე საახალწლო—გვ. 255-6. 1880 წ.

[3] იხ. ნ. სკანდელი, ამხანაგობის ძალა—„სასოფლო გაზეთი" —№ 10, 11, 1870 წ.

ათასი კაცის ტვინი და გონება საქმეს ეხმარებოდეს, რომ რაც მათ ძალა ან მოხერხება აქვთ, სულ ერთიანად შრომაზედ იყოს მიქცეული...“ [1]

ასე სწერდა ნიკოლაძე 60-იან და 70-იან წლებში ასოციაციებისა, ამხანაგობებისა და თემური წყობილების შესახებ. ასეთი იყო მისი სოციალური თეორია. იმ ხანებში იგი თავგამოდებით იცავდა ამ თეორიას და ცდილობდა მის ცხოვრებაში განაღდებას. 1876 წ. ილ. ჭავჭავაძესთან კამათის დროს ნიკოლაძე სწერდა: „ეკონომიურ და საზოგადოებრივ მეცნიერებაში ორი უმთავრესი მიმართულება იყო ამ ჩვენს საუკუნეში. ამ ორს მიმართულებებს შუა მთელი ორმოცი წლის განმავლობაში დაუცხრომელი ბრძოლა იყო ატეხილი. პირველი მიმართულება, რომელსაც ჰქვია „ბურჟუაზიული“, და რომლის წარმომადგენილი იყო ჟან-ბატისტ-სე, ამტკიცებდა, რომ ქვეყანაზე ყველაფერი კარგათ მიდის, ოღონდ ნურც მთავრობა, ნურც საზოგადოება ნუ გაერევა ეკონომიურ საქმეებშიო. „აღებ-მიცემობის თავისუფლება“ დაამყარეთო, ქვეყანას მის მეტი არაფერი სჭირიაო... „მე ჭარხანა მაქვს, მუშებს ვამუშავებ, ქირა არ ჰყოფნისთ იმათ, შიმშილით კვდებიან. თუ არ ყოფნისთ, წაბრძანდნენ, სადაც მეტი მისცენ იქ იმუშაონო.“ ეს გახლავსთ ბურჟუაზიული მიმართულების აზრი. ასე ითარგმნება „აღებ-მიცემობის თავისუფლების“ ფრაზა. ამის წინააღმდეგათ ის მიმართულება, რომელსაც ჰქვია „საზოგადოებრივი,“ [2] ამბობს: საზოგადოება შედგება ცალ-ცალკე პირებისაგან,

---

[1] ნ. ნიკოლაიძე, საახალწლო—გვ. 331—32, 1880 წ.

[2] ნიკოლაძე „საზოგადოებრივის“ ქვეშ გულისხმობს სოციალისტურს. ეს სხვა წერილებითაც მტკიცდება. მაგ. იხ. მისი წერილი, საფრანგეთის საქმეებზედ“—„მოამბე“—8, გვ. 147—55, 1894 წ.

ნ. ნიკოლაძემ და მაშინდელმა ინტელიგენციამ შეგნებულად შემოიღეს თერმინი საზოგადოებრივი სოციალიზმის ნაცვლად. ეს ცენზურის ძალდატანებისგანაც იფარავდა მათ. რომ სოციალურის ქვეშ ნ. ნიკოლაძე სოციალისტურს გულისხმობდა შემდეგი მისი ციტატაც ამტკიცებს:

„მესამე ნაწილი ყველაზე უფრო მცირედი იყო მოთავეების რიცხვით, მაგრამ თან ყველაზე უფრო ძლიერიც პარიჟში, რადგანაც იმას მთელი პარიჟელი, მუშახალხი თანაუგრძნობდა. იმას მოთავეთ ლუი ბლანი, კონსილერანი, ვიდალი ხანდისხან პრუდონი და სხვა უდგა, და საზოგადო სახელით „სოციალური (საზოგადოებრივი) პარტია“ ერქვა, იმ მიზეზით, რომ ეს პარტია ამტკიცებდა, რომ ხალხის ბედნიერებისა და განთავისუფლებისათვის საჭიროა ცვლილების მოხდენა არა თუ მარტო პოლიტიკურ წესში, მთელ საზოგადოებრივ განწყობილებაშიაც და კანონშიც. (ნ. სკანდელი, ნაპოლეონ მესამის ცხოვრება „კრებული“ № 3, გვ. 73-4, 1873 წ.).

ერთ კერძო წერილში კრიტიკოს ხომლელს ნიკოლაძე სწერდა 1915 წ. „1879 წ. სოლოვიევის ხელმწიფეზე სროლის შემდეგ, სიტყვა „სოციალიზმი“ ბევრათ უფრო მეტათ აკრძალული იყო ჩვენში ცენზურისაგან, ვიდრე ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის დროს, როცა ეს ყველას მარტო ტეორიულ უტოპიათ მიაჩნდა, და არა მებრძოლ ძალათ. ამის გამო, არც მე შემეძლო მისი ხმარება, თვარა მთელი ჩემი სტატია აღიკრძალებოდა“ (იხ. „განთიადი“ № 8, გვ. 23, 1915 წ.).

და თავის საკუთარი სარგებლობისათვის მთელი საზოგადოება უნდა ცდილობდეს, რომ არც ერთი მისი წევრი არ დაიჩაგროს, არ დაზარალდეს, სწორეთ ისე, როგორც კაცი თითეულ თავის თითს ან სხეულის ნაწილს უფრთხილდება... უფ. ჭავჭავაძე ეკუთვნის იმ მიმართულებას, რომელიც ამ ოც-და-ათი წლის წინათ სუფევდა მეცნიერებაში (ე. ი. ბურჟუაზიულს.—ს. ხ.) მე ყოველთვის, ყველგან, ყველაფერში ვებრძოდი ამ მიმართულებას, ამიტომ რომ ვეკუთვნი „საზოგადოებრივ“ მიმართულებას, რომელმაც მეცნიერებაში კაი ხანია სრულებით დაამარცხა ბურჟუაზიული მიმართულება.“ [1]

ასეთს სოციალურ თეორიებს ქადაგებდა ნ. ნიკოლაძე 70-იან წლებში. თუ როგორი სახე მიიღო ამ საინტერესო თეორიებმა პრაქტიკულ განხორციელების დროს და რაში გამოიხატებოდა მისი ნამდვილი ისტორიულ-სოციალური რაობა—ამას შემდეგ დავინახავთ. ახლა საინტერესოა გავიგოთ ის, თუ როგორი მეთოდითა და საშუალებებით, გზებით ცდილობდა ავტორი თავისი თეორიების რეალურად განხორციელებას, როგორი იყო მისი ბრძოლის საშუალებანი?

ნიკოლაძეს კარგად ესმოდა, რომ „Социальные движения нашего времени только тогда превращаются в политические перевороты, когда политические силы страны решаются противостоять им, чему служат подтверждением события социальной истории Западной Европы.“ [2] მაგრამ შევცდებით თუ ვიფიქრებთ, რომ ნ. ნიკოლაძე რევოლუციონური თეორიის მომხრე იყო. წინააღმდეგ, რევოლუციონური მეთოდი მას არ მიაჩნდა მიზანშეწონილად და მთელ რიგ წერილებში უარყოფდა მას. მისი აზრით, რევოლუციისა და ძალდატანებით შეუძლებელი არის დიდი სოციალური ხასიათის ტრანსფორმაციის მოხდენა. როდესაც 70-ან წლებში რევოლუციონური ნაროდნიკების დავალებით პ. ლავროვმა ლონდონში გამოსცა რევოლუციონური ორგანო „Вперед“ და ახალთაობის ინტელიგენციას მოუწოდებდა „ხალხში გასვლისაკენ“ რევოლუციის მოსამზადებლად, ნიკოლაძემ სასტიკად გაილაშქრა მის წინააღმდეგ და უარყო მისი რევოლუცონური მეთოდი. [3] იგი ამ შემთხვევაში წინააღმდეგი არ იყო ინტელიგენციის ხალხში გასვლის, იგი ამ მეთოდს მხარს უჭერდა; მაგრამ ინტელიგენციას, მისი აზრით, ხალხი რევოლუციონური ბრძოლისათვის კი არ უნდა მოემ-

[1] ნ. ნიკოლაძე, მრუდე გამოსარჩლება—„დროება“—№ 47, 1876 წ.

[2] Н. Николадзе, Социальные движения — „Тиф. Вестник“—№ 110, 1875 г.

[3] Н. Николадзе, Капризы пера—„Тиф. Вестник“ № 90, 1875 წ.

ზადებია, არამედ მშვიდობიან პრაქტიკულ მუშაობით ეზრუნა საღ-ხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ახალი სოციალური ურთი-ერთობისათვის პირობების მოსამზადებლად. ნიკოლაძე ფიქრობდა, რომ ასეთი მუშაობის მეთოდით იგი არსებითად ნ. ჩერნიშევსკისა და ნ. დობროლიუბოვის მიმდევარი იყო [1]. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი მეთოდი არ შეესაბამებოდა ჩერნიშევსკის საერთო აზროვნებას, რომელიც რევოლუციონურ ნაროდნიკულ სოციალიზმის წარმომად-გენლად ითვლებოდა რუსეთში. ამ მხრივ ნიკოლაძეს ჩერნიშევსკის მოძღვრება ყალბად ჰქონდა გაგებული.

არ შეიძლება აქ არ შევეხოთ მის წერილს—„Луи Блан и Гам-бетта"-ს, რომელიც 1883 წლის ჟურნ. „Отеч. записки"-ს პირველ ნომერში იყო დაბეჭდილი. ლუი ბლანის თეორიების შესა-ხებ გამოთქმულ აზრებიდან მტკიცდება, რომ იმ ხანებში ნიკოლაძეს აღარ აკმაყოფილებდა „წვრილი წრეებისა" და ამხანაგობების შედ-გენის მეთოდი და იგი სახელმწიფოებრივ სოციალიზმი-საკენ გადახრილა. იგი სწერდა:

...„Республика обязана главным образом Луи Блану при-обретением прочных и страстных симпатий рабочего сословия... Весь громадный талант свой посвятил он преимущественно дос-тижению этой цели. Он взялся убедить рабочих, что только республика достаточно сильна, чтобы добиться „экономической правды" в жизни народа... Против политиков и социалистов, проповедывавших достаточность последовательных преобразова-ний, путем отдельных реформ, в строе современных экономи-ческих отношений. Луи Блан создал и выдвинул доктрину го-сударственного социализма, основанную на коренном переустрой-стве всего государства на социальный лад, доктрину, нашедшую таких последователей и ревнителей, как Лассаль и Карл Маркс... Уверения Луи Блана, что одна только республика может раз-решить „социальный вопрос," что без нее нельзя достигнуть экономического освобождения, давно уже перешли в область общеупотребляемых аксиом." [2]

---

[1] იხ. მისი წერილები „სოვრემიონნოსტ"-ში—„რჩეული ნაწერები„ გვ. 257—302

[2] Н. Николадзе, Луи Блан и Гамбетта — „Отеч. записки" № 1 1883 წ. არის ცალკე წიგნათაც—გვ. 38, 39, 40, 44, 1919 წ.

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ამ წერილის გამო ჟურნალს, რომლის რე-დაქტორი იყო ნ. მიხაილოვსკი, მინისტრის განკარგულებით მეორე სასტიკი გაფრთხილება მისცეს, იმიტომ რომ ნიკოლაძე, მათი აზრით „ხოტბას ასხამდა ფრანგ-კომუნისტებს" (იხ. В. Евгеньев, „Очерки по истории социалистиче-ской журналистки XIX в.")

გარდამავალი პერიოდის მიჯნაზე ძლიერ ჩქარა მისი სახელმწიფოებრივი სოციალიზმის თეორია სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის თავისებური ფორმებით შეიცვალა; ობიექტიური ცხოვრების ვითარებამ ძლიერ მალე დაარწმუნა იგი იმაში, რომ ერთადერთი ფორმა საწარმოო ძალების განვითარებისა და ეკონომიური ცხოვრების წინმსვლელობისა კაპიტალისტური წესწყობილება არის და მხოლოდ ამ ურთიერთობის განმტკიცებით არის შესაძლებელი ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება; მეორე მხრივ, მისი აზრით კაპიტალიზმის ერთ-ერთი დამცველი ძალა, რუსეთის პირობებში ცენტრალისტური ხელისუფლებაა. ამას ჩვენ ნათლად დავინახავთ ამ ნარკვევის მეხუთე თავიდან.

ზემოდ მოყვანილ მასალებიდან მკითხველმა ნათლად დაინახა, რომ ნიკოლაძემ 60—70-ან წლებში თავისებური გავლენა განიცადა, როგორც რუსეთის 60-იანი წლების უდიდესი წარმომადგენლის—ნ. ჩერნიშევსკის მოძღვრებისა, საიდანაც მან თავისებურად შეითვისა ნაროდნიკულ-სოციალისტური აზრები და თემური წყობილების მნიშვნელობა, ისე დასავლეთ ევროპის უტოპიურ სოციალიზმის, საიდანაც გადმოიღო ასოციაციური თეორიები.

ამ თეორიების შეერთებამ და საქართველოს გაუპოხიერებელ ნიადაგზედ გადმონერგვამ, სადაც ჯერ კიდევ საწარმოო ძალები განუვითარებელი, მოუმწიფებელი იყო და კაპიტალისტური ურთიერთობა მძიმე პირობებში იკაფავდა გზას, ნიკოლაძის აზროვნებას გარკვეული სოციალური შინაარსი მისცა. არსებითად მისი თეორია, გამოყენებული საქართველოს სინამდვილეში, არა კაპიტალიზმის განვითარებას ეწინააღმდეგებოდა ჩვენში, არამედ ხელს უწყობდა მის სწრაფ მსვლელობას; — გრძნობდა რა ნიკოლაძე ევროპის ტექნიკისა და ეკონომიკის უპირატესობასა და საჭიროებას, იგი ცდილობდა ამ ფაქტორების განვითარებისათვის ჩვენში ასოციაციური და კოლექტიური ფორმები მიეცა. პრაქტიკულად და ისტორიულად მისმა 70-იან წლების ასოციაციურ-ნაროდნიკულმა სოციალიზმმა საქართველოს პირობებში ბურჟუაზიული შინაარსი მიიღო. ამიტომ მისი აზროვნება ფორმალურად სოციალისტური იყო, საქმით—ბურჟუაზიული. იგი იმ მიმდინარეობის წარმომადგენლად შეიძლება ჩაითვალოს, რომელსაც ბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმი ეწოდება, და რომელიც ფორმალურად „უპროლეტარო კაპიტალიზმის“ — უკეთ, უკაპიტალო კაპიტალიზმს—ქადაგებდა.

ნიკოლაძის 70-ანი წლების სამოღვაწეო პროგრამის გაცნობა ნათელ სურათს მოჰფენს მისი აზროვნების ნამდვილ სოციალურ შინაარსს.

IV. 70-იან წლების სამოღვაწეო პროგრამა

1. ახალთაობის მოვალეობა და მისი როლი

ერთი მთავარი საკითხი, რომელსაც საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ მიაქცია ყურადღება ნ. ნიკოლაძემ, ეს იყო ახალთაობის დარაზმვა ძველი, დახავსებული წესწყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის შესაქმნელად. მაგრამ ახალგაზრდობის დარაზმისათვის საჭირო იყო შესაფერისი სამოღვაწეო პროგრამის გამომუშავება, ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ წამოჭრილ პრობლემების შესახებ შესაფერისი აზრის შემუშავება. ნ. ნიკოლაძის 70-იან წლების დასაწყისის წერილები სწორეთ ამ მხრივ არის საინტერესო: აქ იგი ცდილობს არ დატოვოს არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი და ახალგაზრდობას მისცეს გარკვეული სამოღვაწეო გეგმა. გლეხთა საკითხი იყო იგი, საბანკო საქმე, ლიტერატურული პრობლემები თუ ერობის შემოღება, მრეწველობისა თუ ქალაქის თვითმართველობის საქმე,—ნიკოლაძე ცდილობდა თავისი პრინციპიალური შეხედულება გამოეთქვა მათ შესახებ და გარკვეულ გზას დასდგომოდა.

მისი აზრით ჩვენი ცხოვრების მოწესრიგება და მეთაურობა უნდა ეკისრა ახალთაობის ინტელიგენციას. იგი როგორც იდეალისტურ სოციოლოგიის საფუძვლებზედ აღზრდილი, ცხოვრების განვითარების საქმესაც იდეალისტური თვალსაზრისით უყურებდა. მოწინავე ინტელიგენციას თავისი პრაქტიკული მუშაობით შეუძლია შეუცვალოს გეზი ცხოვრების მრუდე მიმდინარეობას და მისცეს მას უფრო სწორი და მიზანშეწონილი მსვლელობა, ასე ფიქრობდა ავტორი.

ნიკოლაძე სწერდა: „ეს ახალი მიმართულება გვაიმედებს და ძალას გვაძლევს ჩვენ; ახალი თაობა, თავისი რწმუნებით, თავისი იმედით, თავისი მხურვალე სურვილით და აღტაცებით გვაახლოებს ჩვენ იმ მიზანს, რომელიც გულმომაკვდინებელ სიშორეში გვეჩვენებოდა, როცა ჩვენ ცხოვრებაში ფეხი შევადგით... ამ ახალი თაობის მომავალ მოქმედებაშია მთელი ჩვენი იმედი და რწმუნება... მისი მომავალი ჩვენთვის ჩვენი საკუთარი მომავალია“...[1]

---

[1] ნ. სკანდელი, ახალი ახალგაზრდობა—„კრებული“ № 1. გვ. 336, 1873 წ.

აქედან ცხადია, თუ როგორ დიდი როლის შესრულებას აკისრებდა ნ. ნიკოლაძე ახალგაზრდობის ინტელიგენციას ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატების საქმეში.

როგორც უკვე ცნობილია, 60-იან წლების დასაწყისში საქართველოში ჩამოყალიბდა ახალი თაობის ჯგუფი, რომლის მეთაური და სულის ჩამდგმელი ილ. ჭავჭავაძე იყო. ამ ჯგუფს კარგად იცნობდა ნ. ნიკოლაძე, იგი მის წევრადაც უნდა ჩაითვალოს, მაგრამ 70-იანი წლების დასაწყისში, ახალი იდეებითა და პრაქტიკული მოღვაწეობით გატაცებულ ნ. ნიკოლაძეს ვეღარ აკმაყოფილებდა ი. ჭავჭავაძის ჯგუფის პროგრამა და სამოღვაწეო გეზი. იგი სწერდა:

„1861 წლის ახალი თაობა ჩვენ ცხოვრებაში პატიოსანი გრძნობით აღვსილი შემოვიდა, იმას კეთილი მიზანი ჰქონდა, პატივსაცემი მიმართულება, შრომისა და ბრძოლის სურვილი და ახალგაზრდული აღტაცება... გონების იარაღათ იმას მარტო ორიოდე მეტნაკლებათ ნათელი აზრი მიუძღვოდა: გლეხების განთავისუფლების სამართლიანობა, ბატონ-ყმობის უვარგისობა, მამულის სამსახური... და თუ ამ მცირედი იარაღით და ბარგით, ამ გამოუკვლეველი, ნისლიანი აზრებით მაშინდელმა თაობამ მაინც თავი გამოიჩინა და საზოგადოების თვალში უწინდელ თაობაზე მაღლა დადგა, ეს ერთი მხრით ძველი თაობის განუკურნელ სიძაბუნეს გვიმტკიცებს და მეორეს მხრით გვიჩვენებს, რა ადვილი იყო მაშინ ახალი მიმართულების გამარჯვება და ამაღლება.“ [1]

რას უწუნებს ნიკოლაძე 1861 წ. სამოღვაწეოდ გამოსულ ახალთაობას? მოვუსმინოთ ისევ მას:

„ჩვენში—განაგრძობს იგი,—1861 წლის თაობას, ისეთი წევრები სჭიროდა, რომელნიც დამზადებული და გაჩვეული ყოფილიყვენ მაშინდელი საზოგადოებრივი საქმეების მმართველობაში, საუბედუროთ ეს თაობა ჩვენს ცხოვრებაში დაუმზადებელი შემოვიდა. იმან არც საზოგადოებრივი მეცნიერება იცოდა თეორიითა, არც პრაქტიკული მდგომარეობა ჩვენი ხალხისა, არც ჩვენი საზოგადოების საჭიროება და სურვილი. იმას მარტო კეთილი გული და პატიოსანი სურვილი ჰქონდა... იმას გაცნობილი არ ჰქონდა პრაქტიკული ცხოვრება, საზოგადოებრივი წესის კანონები და საჭიროებები, იმან არ იცოდა, თუ რა და რა ცვლილებას თხოულობდა ხალხის მდგომარეობა, რანაირ მოქმედებას და დისციპლინას თხოულობს ბძოლის საჭიროება“...[2] მეორე ადგილას ავტორი სწერს: „სიტყვით უწინდელი ახალ-

[1] ნ. სკანდელი, ახალი ახალგაზრდობა—„კრებული“—№ 1, გვ. 285, 291, 1873 წ.

[2] იქვე, გვ. 291, 285—6.

გაზრდობა ერთს ამბობდა, საქმით მეორეს შვრებოდა. მის ზნეობით ცხოვრებაში რაღაც საზარელი განხეთქილება მოჩანდა, რომელიც თითქმის სრულიად აბათილებდა იმ ჩინებულ აზრებს, რომლის შესახებ დაგებლად ეს ყმაწვილები გამოდიოდენ. ისინი საქციელით თითქო შერიგებას ეძებდენ ძველ თაობასთან, და ძლიერ ბევრ თავაზიანობას იჩენდენ ძველი ცხოვრების შესახებ. იმათში საკმაო რწმუნება არ მოიძებნებოდა, და თან თავგამეტება, ნიადაგ მიზნისაკენ ლტოლვა: ამის მაგიერ სჩანდა, მუდმივი უხასიათობა, თავის დაღუნვა, გულხელდაკრეფა, მცირედი, თითქმის შეუნიშნავი ნამყოფით დაკმაყოფილება."[1]

ასეთი იყო ნ. ნიკოლაძის შეხედულება 1861 წელს სამოღვაწეოდ გამოსულ ახალთაობაზე და მისი აზრი სწორი იყო. როგორც ცნობილია, ამ ჯგუფის საუკეთესო წარმომადგენლებმა „რეფორმის" შემდეგ პერიოდში სახელმწიფო სამსახურს მიჰმართეს და უბრალო მოხელეებად გადაიქცენ.[2] 70-ანი წლების ახალთაობის ინტელიგენციას ასეთი შეგუება ცხოვრების ვითარებასთან არ შეეძლო მისი აზრით ჯერ კიდევ დიდი საქმე იყო გასაკეთებელი საქართველოში, ჯერ კიდევ მთელი რიგი კარდინალური კითხვებისა იყო გადასაწყვეტი და ინტელიგენციას მისი პრაქტიკულად გადაწყვეტა მხოლოდ ენერგიული ბრძოლით შეეძლო, მხოლოდ მიზანშეწონილი პრაქტიკული მოღვაწეობით განახორციელებდა. იგივე ნიკოლაძე სწერს:

„ეხლანდელი თაობა უფრო მტკიცე და უფრო ძნელი დასაკმაყოფილებელია. ის შერიგებას როდი ეძებს: ის დარწმუნებულია, რომ შერიგება შეუძლებელი საქმეა, სანამ ერთი თაობა მეორეს სრულიად არ დაემორჩილება და იარაღს არ დაყრის, და რადგანაც იმას თვითონ იარაღის დაყრა არ სურს, ის ცდილობს ძალით დააყრევინოს იარაღი თავის მოწინააღმდეგეს. იმას იმედი და რწმუნება უღვივის გულში. მისთვის პატიოსანი მიმართულება მარტო ლაზათიანი სიტყვების გამოთქმაში კი არა, საქმით უნდა გამოიხატებოდეს. ის საქმეს ეძებს და აფასებს, და, —ეს ყველაზე უფრო შესანიშნავია—იმას დიდათ არაფრათ ულირს გაჭირვების ან შევიწროების გამოვლა იმისთვის, რომ მისი მოქმედება და საქციელი მის სიტყვებს ეთანხმებოდეს. ის თავის გამარჯვებას არც სხვის დახმარებაში ეძებს, არც უნაყოფო დიპლომატიაში, არც გულ-ხელ დაკრეფილ ცდაში. იმას მარტო თავისი საკუთარი თავის, საკუთარი შრომის, საკუთარი ძალის იმედი აქვს... ჩვენ ერთი სურვილის, ერთი ნების, ერთი აზრის და ერთის მოქმედების ქონვას უნდა შევეჩვიოთ, რომ ჩვენი გონიერი

[1] ნ. სკანდელი, ახალი ახალგაზრდობა „კრებული" №1, გვ. 333—4.
[2] იხ. ამის შესახებ გ. წერეთლის წერილი,—„კვალი" №46. გვ. 815 1897 წ.

მოქმედებით, ჩვენი შეერთებული და ერთი მიზნისაკენ მიდრეკილი ძალით, ჩვენი დისციპლინით უკანასკნელი მეხი დავსცეთ ჩვენს ძველ თაობას და დამპალ ცხოვრებას. მარტო ამრიგი ამხანაგური ჯგუფით ბილებით შეგვეძლება ჩვენ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესება და პატრონობა. მარტო ამით შევიძენთ ჩვენ საზოგადოებრივ ძალას, მარტო ამით მოვიპოვებთ საზოგადოების თანაგრძნობას და ხალხის თანხმობას"... [1].

საინტერესო ფაქტთან გვაქვს საქმე. ახალი თაობის ინტელიგენცია, ის, რომელიც თავის სამოღვაწეო პროგრამას ბატონყმობის გაუქმების შემდეგ პერიოდში იმუშავებს, მარტო ხალასი აზრების წამოყენებით კი არ კმაყოფილდება, არამედ პრაქტიკულ მოქმედებასაც მოითხოვს თავისი პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლად. ამისათვის იგი მტკიცე ჯგუფის, ორგანიზაციის დაარსებასაც ცდილობს. მისთვის საღი სიტყვა არ არის საკმარისი, მას მიზანშეწონილი საქმეც ესაჭიროება. ხოლო ამ საქმისთვის საჭიროა შეერთებული ძალა და მტკიცე ორგანიზაცია. მოვუსმინოთ თვით ნიკოლაძეს, თუ როგორ ასაბუთებს იგი ასეთი ორგანიზაციის, პარტიის დაარსების საჭიროებას. იმავე წერილში იგი სწერს:

„ცხოვრება, განსაკუთრებით ჩვენში, ნამდვილი ბრძოლაა. ვისაც ჩვენში ცხოვრება და მოქმედება სურს,—თუ კი იმას ცხოვრება ჯამაგირის ან შემოსავლის ქეიფიანურ ხარჯვათ არ მიაჩნია,—ის თავისაქციელს და მოქმედებას ისე უნდა აწყობდეს, თითქოს საბრძოლველათ ემზადებოდეს; ამისათვის აუცილებელი საჭიროა ამხანაგებთან დაახლოება, საერთო მოქმედების დამარაგება, საერთო პლანის გაწესება, ისე რომ მთელ ახალგაზრდობას არა თუ მარტო საერთო მიზანი, მაგრამ საერთო გზაც ჰქონდეს. პარტიებზე ბევრი რამ იყო თქმული, მაგრამ ის კი ბევრს არ ახსოვს, რომ ყოველ საზოგადოებაში, რა გინდ ჩამოვარდნილი და ბნელი იყოს ის პოლიტიკური მხრით, აშკარათ ან მალულათ სდუღს პარტიული ცხოვრება. ეს ჩვენშიც ასეა. ჩვენშიაც ძლიერ განსხვავებით და მტკიცეთ ეხატება პარტიების მოქმედება, პარტიული ცხოვრება, და როცა პარტიებს შუა ბრძოლა სდუღს, როცა გაცხარებული წინააღმდეგობა და ქიშპობაა იმის შესახებ, თუ რომელ პარტიას ერგოს საზოგადოების წინამძღოლობა და ერის თაოსნობა, საქმე თითქმის ყოველთვის იმ პარტიის სასარგებლოთ სწყდება, რომელსაც არა თუ მარტო ხეირიანათ დამზადებული წევრები ყავს, თან გონიერი გამოყენება შეუძლია თავისი წევრების ძალისა და ცოდნისა. ამ გამოყენების ნებას მარტო ერთობა,

[1] იხ. ამის შესახებ: გ. წერეთლის წერილი,—„კვალი" № 46 გვ. 334 328 1897 წ.

მარტო დისციპლინა აძლევს პარტიას... პარტიების ცხოვრებაში საქმე მარტო ბრძოლაში როდი მდგომარეობს. ყველაზე უფრო მძიმე და გავლენიანი საქმე პარტიებისათვის იმაში მდგომარეობს, რომ გორ მოიხმარს რომელიმე პარტია თავის გამარჯვებას, რას გააკეთებს და გააწყობს ის როცა ბრძოლის ასპარეზი ხელში დარჩება, როგორ გამოიყენებს ის თავის გავლენას და დააგვირგვინებს თავის შრომას".[1]

უდაოა, რომ ენერგიითა და სიცოცხლით აღსავსე ახალთაობის ინტელიგენცია დაუზოგავად ებრძოდა ძველ თაობას და ცდილობდა ხელში ჩაეგდო „ჩვენი საზოგადოების წინამძღოლობა და ერის თაოსნობა", რომ გარდაექმნა საზოგადოებრივი წყობილება ახალს საფუძვლებზე. ეს პირველი მნიშვნელოვანი ცდა იყო ჩვენი ინტელიგენციის მიერ ცხოვრების სათავეში მოქცევისა და ამას დიდი საზოგადოებრივი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ინტელიგენციის პირით ახალი, ჯერ განუვითარებელი ბურჟუაზიული ურთიერთობა და ნორჩი, ჯერ მოუმწიფებელი, დაუდუღებელი ბურჟუაზიული კლასი მეტყველებდა.

ინტელიგენციის ამ პრაქტიკულ მოღვაწეობის საფუძვლებზე 70-ან წლებში საქართველოში ჩამოყალიბდა ორი ჯგუფი; თავისი საზოგადოებრივ მისწრაფებებით და კლასიური საფუძვლებით — ერთი მათგანი გამოხატავდა წვრილ-ბურჟუაზიული ფენების მისწრაფებასა და იდეოლოგიას, ხოლო მეორე — ახლად ჩამოყალიბებულ ბურჟუაზიული წრეების მისწრაფებას. ეკონომიურმა აუცილებლობამ და ახალმა პირობებმა ჩვენი ძველი ურთიერთობის რადიკალურად გარდაქმნა მოითხოვა, მაგრამ ამ მოთხოვნილებას წინ ეღობებოდა თვითმპყრობელობის ბიუროკრატიული აპარატი და ძველი სოციალური ფენები. ბრძოლა ამ დაბრკოლებათა წინააღმდეგ წვრილ-ბურჟუაზიულმა და ბურჟუაზიულმა ფენებმა ორი სხვადასხვა გზით განავითარა: პირველი რევოლუციონური მეთოდებით, ძალდატანებით ცდილობდა არსებული წყობილების მოსპობას და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დაფუძნებას,—სწორედ ასეთი გზით იბრძოდა ნაროდნიკული ორგანიზაცია, რომელიც ჩვენში 1872—73 წლებში ჩამოყალიბდა და რომელიც რუსეთის რევოლუციონური ორგანიზაციების ერთ-ერთ ფრთას წარმოადგენდა.[2] მეორეს მეთოდი მშვიდობიანი და ლეგალური იყო; იგი ფიქრობდა მშვიდობიანის გზით აქტიური მონაწილეობა მიეღო ცხოვრების ახალ ვითარებაში, ახალ დაწესებუ-

[1] იხ. ამის შესახებ გ. წერეთლის წერილი, „კვალი" № 46, გვ. 327, 229—30.
[2] იხ. სიმ. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში. ტ. II 1927 წ.

ლებებში და მიეცა მისთვის გარკვეული სახე. ამ გზას დაადგა ის ჯგუფი ახალთაობისა, რომელიც ჩამოყალიბდა 1869. წელს გ. წერეთელი სწერდა 1897 წ. ამ ჯგუფის შესახებ:

„...1866 წლიდან გამოჩნდა ახალი, უფრო პროგრესიული, მოძრაობა ქართულ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ სფეროში. ამ დროს გამოჩნდა მეორე დ ა ს ი. განსაკუთრებით თავი იჩინა ამ მეორე დასმა 1869-დან 1877-მდე. ეს დასი შეჯგუფდა და შეკავშირდა „დროება“-„კრებული“-ს რედაქციაში. ამ დასის ნამდვილი წარმომადგენლები იყვენ ნ. ნიკოლაძე. გ. წერეთელი, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე და პეტრე უმიკაშვილი. ამათვე შემოუერთდა განკერძოებულათ მოღვაწე პოეტი აკაკი წერეთელი. ეს მეორე დასი იყო პროგრესიულ-დემოკრატიული მიმართულების მიმდევარი“.[1]

ამ პროგრესიულ-დემოკრატიული დასის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი შეიქმნა ნ. ნიკოლაძე 70-იან წლებში. მისმა სოციალისტურმა და ასოციაციურმა თეორიებმა პრაქტიკულ საკითხების დამუშავების დროს გარკვეული ბურჟუაზიული შინაარსი მიიღო. ასოციაციურ-საზოგადოებრივი შრომის ფორმა პრაქტიკაში უნდა ბურჟუაზიული შინაარსით ავსილიყო და ასედაც მოხდა. ცხოვრების რეალურმა ძალამ, ობიექტიური პირობების საჭიროებამ მისი სოციალურ თეორიის გარეგანი ფორმა საპნის ბურთივით დაამსხვრია და მას ის შინაარსი მისცა, რომელსაც მაშინდელი მატერიალურ-სოციალური პირობები და აუცილებლობა მოითხოვდა. ამ თავისებურ ბრძოლას ნ. ნიკოლაძის მოძღვრების „ფორმასა“ და „შინაარს“ შორის უფრო ნათლად ცალკე საკითხების განხილვის დროს დავინახავთ. ახლა საერთოდ გავიცნოთ ის კონკრეტული ამოცანები, რომელიც ნიკოლაძეს და მის ჯგუფს აინტერესებდა აღნიშნულ პერიოდში. იგივე ნიკოლაძე სწერდა:

„ვინ არ იცის, რომ დღეს ჩვენი ცხოვრება ისე წაყრუებული და მიძინებული აღარ არის, როგორც ამ თუთხმეტი წლის წინეთ იყო. ვინ არ იცის, რომ გლეხების განთავისუფლებამ ზოგიერთი მხრით ახალი ეკონომიური მდგომარეობა შექმნა, რომელიც ხშირათ აფიქრებს ჩვენ საზოგადოებას? ვინ არ იცის, რომ ამ ცვლილებას და სასამართლოების ახალ წესს შესანიშნავი ცვლილებები მოსდევენ ქალაქების და მაზრების გამგეობაში, და—როდესმე—ჩვენში ქალაქების საზოგადოებრივი გამგეობა და ერობა (земство) შემოიღება? ვინ არ იცის, რომ დღეს ჩვენში თითქმის ყოველგან სურვილი იბადება, რაც შეიძლება უფრო სარგებლიანათ გამოიყენონ პატრონებ-

[1] იხ. „კვალი“—№ 4ˆ, გვ. 816, 1897 წ.

მა თავიანთი მიწა-წყალი და ადგილ-მამული? ვინ არ იცის, რომ ის მოძრაობა სამსახურის ადგილების შოვნისთვის, რომელიც ამას წინათ ჩვენ საზოგადოებაში სუფევდა, დღეს გვარიანათ გაგრილებული და ძალა-კლებულია, რადგანაც ყველასათვის ცხადი საქმე შეიქნა, რომ სამსახურის ხვირიანი ადგილები ყველას ვერ გაწვდება და სანიადაგოთ ყველას ვერ დააკმაყოფილებს? ეს ყველასათვის ცხადია. მაშასადამე შემდეგში ჩვენ საზოგადოებას ბლომათ დასჭირდება სხვადასხვა ხელოვნებაში და სწავლაში დახელოვნებული ახალგაზრდები. როცა საზოგადოების წინ, მაგალითად, ერობის საქმე წარმოდგება მაშინ ახალგაზრდობას მარტო ორიოდე გრძნობიერი სიტყვის თქმა როდიღა ეყოფა კაცების თანასწორობაზე. როცა საზოგადოების ხელში, ვთქვათ, შკოლების გაწყობა, საავადმყოფოების დაწესება, გზების გაყვანა, ხარჯის შეკრება და სხვა იქნება, მაშინ ახალგაზრდობას, კეთილი და პატიოსანი სურვილის მეტი, ნამდვილი და პრაქტიკული ცოდნის გამოჩენა დასჭირდება, იმ ცოდნის მაგალითად, რომელიც გზების გაყვანას, ხარკის განაწილებას, შკოლების მმართვას და სხვას შეეხება. თუ მაშინ ახალგაზრდობას საკმაო წევრები არ ეყოლება ამ გვარ ცოდნაში დახელოვნებული, თუ, ვთქვათ, იმან თვითონ, თავისი საკუთარის ძალით, ვერ მოახერხა ხალხის საქმეების გამგეობა, რაც შეეხება შკოლებს და მაღაზიებს, გზას და ბეგარას, სასოფლო და სამაზრო სესხებს და სხვა, შენი მტერია ცუდათ წავა მაშინ როგორც მთელი ერობის საქმე (რადგანაც ძველ თაობას ამ საქმეში სულ არაფერი ესმის), ისე ჩვენი ახალგაზრდობის გავლენა საზოგადოებაზე და ხალხზე.“ [1]

ამრიგად ნიკოლაძის აზრით ახალმა საზოგადოებრივმა პირობებმა ახალი ამოცანები დაუსახა განსახორციელებლად ახალთაობას; საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილება და სოციალური ურთიერთობანი თავის განვითარების ახალ ფაზაში შედიოდა და ინტელიგენციის მოვალეობაც იმაში გამოიხატებოდა ავტორის აზრით, რომ მას მეთაურობა გაეწია და აქტიური მონაწილეობა მიეღო ჩვენი ცხოვრების ახალ საფუძვლებზე გარდაქმნის საქმეში. მაგრამ ეს გარდაქმნა თანდათანობით იყო შესაძლებელი, იგი არ მოითხოვდა არც რევოლუციასა და არც ძალდატანებას. მშვიდობიანი, ნელი და მიზანშეწონილი მუშაობა ინტელიგენციისა მიაჩნდა ნიკოლაძეს ჩვენი ცხოვრების ერთად-ერთ წინ წამწევ ფაქტორად, როგორც ვიცით, მან დიდი ხნით ადრე უარყო რევოლუციონური მეთოდი; მისი გაგებით ჩერნიშევსკი უარმყოფელი იყო რევოლუციისა და მშვიდობიან

[1] იხ. „კვალი“ № 46 გვ. 308—310.

მეთოდს აღიარებდა საზოგადოებრივ ცხოვრების გარდაქმნის საქმეში. ნიკოლაძე ჰფიქრობს, რომ ინტელიგენცია უნდა გავიდეს ხალხში არა რევოლუციის მოსახდენად, არამედ ფართო კულტურული მუშაობის საწარმოებლად, ხალხის დასახმარებლად, მშვიდობიანი წრეების შესაქმნელად და სხვა. „რათა ამით თანდათანობით შეექმნათ ის ძალა, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველის უფრო ფართოდ და რეალურად გარდაქმნას შესძლებს“.[1] ასეთივე აზრი მან გაატარა თავის წერილში—„რუსეთის ცხოვრება“, რომელიც 1873 წელს დაიბეჭდა „კრებულში“. ამ წერილში ავტორი პირდაპირ ამბობდა, რომ „ხალხში ჩასახლებულ“ ინტელიგენციის წყალობით „...ხელ-ახლავ აღიძრება საზოგადოებაში გაუმჯობესებული და გამძლავრებული ზნეობითი გრძნობა და მაშინ ხელ-ახლავ უპირატესობა იმ მიმართულებას მიეცემა, რომელსაც საფუძვლათ საზოგადოების ზნეობითი და გონებითი გახსნა უძევს... უნდა გავიხსენოთ, რასაც ზემოთ ვამბობდით იმ პირების გავლენაზე, რომელნიც წვრილმან მაზრებში ჩასახლდენ, და რომლებმაც თან ახალი შეხედულება და ჩვეულებები ჩაიტანეს. თუმცა დღეს იმათი ძალა და გავლენა მარტო წვრილმან წრეებზეა შესამჩნეველი, მაგრამ იმათ გაცალკავებულ მაგალითს და ძალას მომავალში დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს რუსეთელი საზოგადოების ზნეობით ცხოვრებაში“.[2].

ამ სახით ნიკოლაძე იმ პერიოდში მომხრე იყო იმისა, რომ ინტელიგენციას ეკისრა ახალი ცხოვრების მეთაურობა, ეწარმოებია კულტურულ-საზოგადოებრივი მუშაობა და ხალხში ჩასახლებულიყო. ავტორი იმ აზრისა იყო, რომ ყოველ ახალ წამოწყებულ საზოგადოებრივ საქმეში ინტელიგენციას აქტიური მონაწილეობა მიეღო და შეეტანა მასში ახალი სული, ახალი იდეები. თუ რამდენად ეძლებოდა ინტელიგენცია თავის მიზნების განხორციელებას და საზოგადოებრივი ცხოვრების თავის პროგრამის მიხედვით გარდაქმნას—ეს მეორე საკითხია. რასაკვირველია, ისტორიულ-ობიექტური გარემოება და ძალა თვით ახალი თაობის ინტელიგენციის სამოღვაწეო გეგმებს თავისი შინაარსის მიხედვით შეცვლიდა და ინტელიგენციის პრაქტიკულ მოღვაწეობაც მაშინდელი ისტორიულ-საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარეობას დაემორჩილებოდა. ამ გადაგვარებას ვერ ასცდებოდა და ვერც ასცდა ინტელიგენცია. მაგრამ ისიც უნდა ავღ-

[1] იხ. Два поколения, „Современность“ № 6, გვ. 85—7, 1868 წ. ან რჩეული ნაწერები ტ. I. გვ. 269.

[2] ნ. სკანდელი, რუსეთის ცხოვრება — „კრებული“—№5—6, გვ. 393—4 1873 წ.

ნიშნოთ, რომ ეს ახალი თაობის ინტელიგენცია მხურვალე გრძნობით, გარკვეული პროგრესიული პროგრამითა და აქტიური პრაქტიკული მოღვაწეობით ცდილობდა ძველი ცხოვრების ახალი საფუძველზე გარდაქმნას.

ნ. ნიკოლაძის მაშინდელი აზროვნების დასახასიათებლად და პრაქტიკულ სამოღვაწეო გეგმების გასაგებად საჭიროა ისიც ვიცოდეთ, რომ ნიკოლაძე იმ პერიოდში მთავრობისადმი მტრულად იყო განწყობილი და ამიტომაც იყო რომ იგი ინტელიგენციას მოუწოდებდა „სახელმწიფოს“ გარეშე და მის საწინააღმდეგოდ,—თვით ამ საზოგადოებაში ეძებნა თავისი სამოღვაწეო სარბიელი და დასაყრდენი ძალა. ერთს თავის წიგნაკში იგი სწერდა:

„...ახალთაობას არ შეეძლო მეფის, ალექსანდრე II-ის, ცრუ-რეფორმატორულ მთავრობასთან ხელჩაკიდებული სიარული. ეს ორი, ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო, ძალა მალე უეჭველად უნდა დასტაკებოდა და დაეწყო ურთიერთ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ამ ორ ბანაკს შორის შეუძლებელია რაიმე, დიად, ოდნავი რაიმე დაახლოება, შეუძლებელია რაიმე მორიგება, წარმოუდგენელია ოდნავი დათმობაც კი, გარდა მოქმედების ასპარეზის დათმობისა. ბრძოლა ამ ორ ბანაკს შორის ცხადად გვიჩვენებს, რომ იგი დაუნდობელი და შეუბრალებელია... ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებია, რომ ალექსანდრე II-ის მთავრობა მოწინააღმდეგე იყო, არის და იქნება ხალხის საკეთილდღეოდ მიმართული ყოველგვარი მოძრაობისა და, მაშასადამე, მოწინააღმდეგე ახალთაობისაო.“[1]

სწორეთ აქედან წარმოსდგებოდა ნიკოლაძის პრაქტიკული პროგრამის შინაარსიც. იგი რევოლუციონურ ომს არ უცხადებს ხელისუფლებას, მაგრამ არც მასთან თანამშრომლობა სურს. დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობა საზოგადოებაში და ხალხის სასარგებლოდ,—აი ამისი სამოღვაწეო სარბიელი; შეერთებული შრომის დაწესება და ასოციაციური პრინციპების გატარება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აი მისი ამოცანები.

ქვევით ჩვენ დავინახავთ თუ როგორ სახეს ღებულობდა ეს მისი „ასოციაციური“ თეორია, როდესაც პრაქტიკულ ცხოვრებას უახლოვდებოდა და რეალურად ცდილობდა ხორცის შესხმას.

როგორც ვწერდით, ამ ახალი თაობის ინტელიგენციის სახით ჯერ კიდევ სუსტი და ხერხემალ-გაუმაგრებელი ბურჟუაზიული კლასი

[1] Никифор Г..., Молодое поколение и правительство 1866 წ. რჩეული ნაწერები, ტ. I. გვ. 240.

მეტყველებდა ჩვენში. ისტორიულად, ეს მომქმედი და ჯანსაღი მაგრამ ერთობ მცირერიცხოვანი ინტელიგენცია ჩვენში ცდილობდა გაეკეთებია ის საქმე, რომელიც ბურჟუაზიას უნდა შეესრულებია და მის ისტორიულ მოვალეობას შეადგენდა. ინტელიგენცია მოკლებული ფაქტიურად თავისი კლასის მტკიცე ბრძოლის საფუძველს, თვით ცდილობდა თავისი კლასის მისიის ასრულებას და ცხოვრების მაღლობების დაპყრობას, რომ ამით, შეგნებით თუ შეუგნებლად, ბურჟუაზიული ურთიერთობის სწრაფი განვითარების შესაძლებლობა ფაქტად ექცია. საერთოდ აქ უნდა ვეძიოთ ახალი თაობის ინტელიგენციის აქტივობისა და მისი სამოღვაწეო პროგრამის ისტორიული და სოციალ-კლასიური ფესვები.

საკითხის სისწორით გაგებისათვის, მკითხველმა წინდაწინ უნდა იცოდეს, რომ ჩვენში თავისებურ ისტორიულ და საზოგადოებრივ ობიექტურ პირობებში ვითარდებოდა ბურჟუაზიული აზროვნება და იდეოლოგია. ჩვენში ჯერ კიდევ ბურჟუაზია უხერხემლო იყო და ბურჟუაზიის კლასიკური ბრძოლა მოუმწიფებელი, როდესაც ბურჟუაზიული აზროვნება უკვე შემოიჭრა და ბურჟუაზიული იდეოლოგია თავისებური ფორმებით განვითარდა. აქ მექანიკური მეთოდით ვერაფერს ვერ ახსნი, თუ არ მოიმარჯვე მარქსიზმის დიალექტიური მეთოდი კვლევა-ძიებისა. რასაკვირველია, ბურჟუაზიული იდეოლოგია ჩვენში ციდან არ ჩამოსულა და არც მექანიკურად გადმონერგილა უცხო ქვეყნებიდან,—იგი ჩვენი საერთო ცხოვრების მაშინდელ საწარმოო ძალთა განწყობილებისა და ეკონომიური მდგომარეობის ნიადაგიდან აღმოცენდა. რომ ჩვენი ცხოვრების განვითარება კაპიტალისტურ ურთიერთობისაკენ მიექანებოდა,—ეს დღეს ყველასათვის უდავო ფაქტია; რომ ამ საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო თავისებური ბურჟუაზიული იდეოლოგია და აზროვნება—ესეც უდავო ფაქტათ უნდა გადაიქცეს, ამ საკითხის ნათელსაყოფად საინტერესო იქნება მოვიყვანოთ გ. პლეხანოვის შემდეგი დებულება. „..ახალი უჩვეულო ურთიერთობა გაელენას ახდენს ადამიანთა ფსიხოლოგიაზე და ძლიერ ცვლის მას... საზოგადოების ზოგი წევრი... რომლისთვისაც მავნებელია ძველი წყობილება, ემხრობა წინსვლითი მოძრაობას; მათი ფსიხოლოგია ამ საწარმოო ურთიერთობათა მიმართულებით იცვლება, რომელიც ერთდროს ძველ, დრომოჭმულ ეკონომიურ ურთიერთობათა ადგილს დაიჭერს. როგორც ხედავთ, ეკონომიასთან ფსიხოლოგიის შეგუება გრძელდება, მაგრამ თანდათანობით ფსიხო-

ლოგიური ევოლუცია წინ უსწრებს ეკონომიურ რევოლუციას".[1]

თუ ამ სოციოლოგიურ დებულებას ჩვენს სინამდვილეში ვიხილავთ, ზემოდ აღნიშნულ საზოგადოებრივი მოვლენის ასახსნელად გამოვიყენებთ, მაშინ ჩვენთვის ნათელი გახდება თუ როგორი გზით შემუშავდა ჩვენში 60—70-იან წლებში ბურჟუაზიული იდეოლოგია. ის ღრმა ეკონომიურ-საზოგადოებრივი კრიზისი, რომელსაც მთელი ჩვენი ცხოვრება განიცდიდა გასულ საუკუნის 50—60 წლებში, არსებითად გამოწვეული იყო ძველი ნატურალური მეურნეობისა და ბატონყმური წყობილების რღვევის პროცესებითა და საწარმოო ძალების კაპიტალისტური ურთიერთობისაკენ განვითარების ტენდეციებით. მოწინავე ინტელიგენციის ნაწილმა ნათლად იგრძნო ძველი წყობილების რღვევა-განადგურება და მისი ფსიხოლოგიაც—და მაშასადამე აზროვნებაც, — იმ საწარმოო ძალთა მიმართულებით განვითარდა, რომელსაც ჩვენი დრომოჭმული ეკონომიური წყობილების ადგილი უნდა დაეჭირა. ამ ახალი ეკონომიური ურთიერთობის არსებითი შინაარსი კაპიტალისტურ წყობილებაში გამოიხატებოდა და ის ინტელიგენტთა წრეები, რომელნიც ებრძოდენ ბატონყმურ წყობილებას, ძალაუნებურად ბურჟუაზიის სასარგებლო საქმეს აკეთებდენ, ბურჟუაზიული კლასის სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავდნენ.

2. აგრარული საკითხი

60-იანი წლების რეფორმები მოლიბერალო და კონსერვატიულ მიმართულების ისტორიკოსების მიერ დიდი რეფორმების სახელწოდებით არის მონათლული. მაგრამ რუსეთის რადიკალურად მოაზროვნე ინტელიგენციამ (ჩერნიშევსკი და მისი ჯგუფი) იგი სამარცხვინო რეფორმის სახელწოდებით მონათლა და ხალხს მოუწოდა შეიარაღებული ძალით დაემსხვრიათ ახალი მონობის დამკანონებელი თვითმპყრობელობა და დაეწესებიათ რევოლუციონური დიქტატურა[2]. არა ნაკლები სამარცხვინო იყო და ქართველი გლეხისათვის შემავიწროებელი საქართველოში გატარებული გლეხთა „რეფორმა", რომელმაც მხოლოდ გარეგნულად, იურიდიულად გაანთავისუფლა გლეხი ბატონყმურ უღლისაგან, ხოლო ეკონომიურად იგი უფრო უარეს მდგომარეობაში ჩააგდო. არსებითად უმიწოდ განთავისუფლებული გლეხი მაგარი არტახებით იქმნა მიკრული მემამულზე და სწორედ ამ ეკონო-

[1] გ. პლეხანოვი, მონისტური თვალსაზრისი ისტორიაზე, გვ. 165—6.

[2] იხ. ჩვენი მონოგრაფია, ნ. გ. ჩერნიშევსკი. 1929 წ.

მიურ მონობას გამოხატავდა ის ახალი ინსტიტუტი, რომელიც დროებით ვალდებულთა სახელწოდებით არის ცნობილი. მაგრამ გლეხს სტანჯავდა არა მარტო უმიწობა და მემამულის კვლავ ბატონობა, არამედ ცარიზმის ბიუროკრატიული აპარატის სიმძიმე და მრავალგვარი სახელმწიფო გადასახადები, საეკლესიო გადასახადები[1] და ვაჭარ-ჩარჩოთა დავალიანება. რეფორმის საშუალებით ეკონომიურად გაღატაკებულ გლეხობას ახალმა ეპოქამ—კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ უფრო უარესი მდგომარეობა შეუქმნა. ახალი ეკონომიური ფაქტორების ზეგავლენით ჩვენი სოფლის ცხოვრება შეირყა და საგრძნობი მნიშვნელობის დიფერენციაცია დაიწყო; გლეხობის საგრძნობი ნაწილი ქალაქისაკენ წავიდა ლუკმა პურის საძიებლად და სწორედ აქედან წარმოსდგა პირველი კადრები საქართველოს მუშათა კლასისა. გლეხთა უკმაყოფილება და მოძრაობა რეფორმის შემდეგ პერიოდში აჯანყებასა, მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლაშიაც გამოისახა. 1875—76 წლების გლეხთა არეულობა სვანეთში, 1876 წლის—სამეგრელოში, 1878 წ. ქიზიყში, 1902 წლის გურია-სამეგრელოში მიმართული იყო როგორც თვითმპყრობელობის ბიურაკრატიული აპარატის თვითნებობის წინააღმდეგ, ისე მემამულეების საწინააღმდეგოდაც. მიწის საკითხი მისი ხელახალი გადასინჯვა და მოწესრიგება ახალ საფუძველზე—ქართველი გლეხობის მთავარ ამოცანად გადაიქცა.

ქართველი გლეხის ეს შევიწროებული მატერიალური მდგომარეობა ყველასათვის დასანახი იყო. ამას არც მოლიბერალო მემამულენი მალავდნენ; მაგ. კახელი მემამულე რ. ანდრონიკოვი თავის პატარა ბროშურაში 1880 წ. სწერდა:

„Дефицит в экономической жизни крестьянина составляет каждый год 17 руб. Положение временно обязанных крестьян платящих бывшим помещикам повинности, а также выкупивших с пособием от правительства полевые земли и усадьбы своего надела, обязанных вносить в казну выкупные деньги, еще печальнее“....[2]

ასე სწერდა კახელი მემამულე; მაგრამ ქართველი გლეხის ეკონომიურ-მატერიალური სივიწროვე და მის კისერზე დადგმული ახალი მონობის უღელი უფრო საგრძნობი და თვალსაჩინო იყო ახალი თაობის ინტელიგენციისათვის. გაზ. „დროება“, ჟურნ. „სასოფლო

[1] 1902 წ. გურიაში აჯანყებული გლეხები პირდაპირ უარს აცხადებდენ საეკლესიო ბეგარის გადახდაზე (იხ. ცენტრ. არქივში ოფიციალური წერილი: Аграрно-революционное движение в Гурии в 1902—4 г“.)

[2] Рамаз Андроников, наше общество и его современое стремление გვ. 20, 1880 წ.

გაზეთი“ და „კრებული“ არსებით ყურადღებას აქცევდა გლეხთა მდგომარეობას და ცდილობდა მათი მატერიალური პირობების გაუმჯობესებას. გ. წერეთელი,[1] ს. მესხი[2] და სხვები ამ საკითხს დასტრიალებდნენ თავზე.

ნიკო ნიკოლაძემ ჯერ კიდევ 1865 წ. მიაქცია ყურადღება გლეხთა საკითხს და თავის შესანიშნავ წერილში, რომელიც გერცენის 1865 წლის „კოლოკოლ“-ის ფურცლებზე დაიბეჭდა, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა თვითმპყრობელობის საგლეხო რეფორმა საქართველოში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ნიკოლაძისათვის საზღვარგარეთ ფართო მოედანი იყო გადაშლილი თავისუფალი აზრის გამოთქმისათვის და ამიტომ მან თავის წერილით სავსებით შესძლო მოწინავე ახალთაობის ინტელიგენციის აზრის გამოთქმაც აღნიშნულ საკითხზე.

თავის წერილში ნიკოლაძე გადაჭრით და ძირეულად გმობს საგლეხო რეფორმის დებულებებს. იგი სწერს:

„ახალი „კანონდებულებანი“, რომელიც მაღალფარდოვანი სიტყვებით გვაუწყებენ, რომ „გლეხთა ყმობა... საბოლოოდ ისპობაო“, მიზნად ისახავენ მხოლოდ ახლანდელი „statu quo-ს (ე. ი. ბატონყმობის) განმტკიცებას და ყველა მისი მთავარი საფუძველის საუკუნოდ დაკანონებას და განმტკიცებას.. რადგან ბატონყმობის კვლავ ხელუხლებლად დატოვება ყოვლად შეუძლებელი იყო, რუსეთის მთავრობამ, რუსეთის ბნელეთის მოციქულობის ისტორიაში სახელგანთქმული ნ. ბეზობრაზოვის რჩევით, გლეხთა საკითხის გადაჭრა საქართველოში იმით დაამთავრა, რომ ყმა გლეხებს სახელი შეუცვალა, უწოდა მემამულეთა მიწებზე დასახლებული გლეხები... რაც შეეხება ხალხისათვის საჭირო მიწას, ის მემამულეს მისცეს, ან მის ხელში რჩება... მაშასადამე, თუ მთავრობამ ამ მხრივ ვისიმე მდგომარეობა გააუმჯობესა, ყოველ შემთხვევაში არა გლეხებისა, არამედ უფრო თავად-აზნაურობისა... სტამბის მელანმა აიტანა და არ გაწითლდა, როცა დღის სინათლეზე გამოჰქონდა მცარცველობისა და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულობის დაკანონება.“[3]

ასე შეაფასა ნიკოლაძემ 1864 წლის საგლეხო რეფორმა საქართველოში და ეს შეფასება სრულიად სწორი იყო, იგი სწორ ანალიზს უკეთებდა იმ „რეფორმას“, რომელმაც ახალი მონობის უღელი დაადგა ქართველ გლეხობას. ავტორი კარგად ხედავდა, რომ ახალმა „დებულებამ“ გლეხობა არსებითად შებორკა და კვლავ მემა-

[1] იხ. მისი წერილები სასოფლო გაზეთში აგრეთვე „დროება“ № 1, 1866 წ. № 10, 1879 წ.

[2] იხ. მისი წერილი, „დროება“ № 12, 1875 წ.

[3] Рио-Нели: Освобождение крестьян в Грузии — „Колокол“ № 199, 1865 წ. რჩეული ნაწერები, ტ. I. გვ. 177, 179,—80, 1931 წ.

მულის სრულ ეკონომიურ მონობაში დასტოვა. რადიკალურად მოაზროვნე ინტელიგენტს არ შეეძლო არსებითი პროტესტი არ გამოეცხადებია ამ ახალი ბატონყმობის წინააღმდეგ და არ წამოეყენებია გლეხთა მოთხოვნილება. იმავე წერილში ნიკოლაძე სწერდა... ხალხს: „მიწა სჭირდება, თავისი შრომით ცხოვრების უზრუნველყოფა, შრომის თავისუფლება და პირადი თავისუფლებისა და მისი ოჯახის ხელუხლებლობის გარანტია ადმინისტრატიული და ყოველგვარი სხვა თვითნებობისგან, მას სჭირდება ამორჩეული სასამართლო და ბევრი რამ სხვა, რაც თქვენ (თვითმპყრობელობამ) არ მიეცით, არც გსურთ მისცეთ და არც შეგიძლიათ მისცეთ.“ [1]

ვფიქრობთ, ამ პროგრამით ნ. ნიკოლაძემ ნათლად და სისწორით გამოხატა მაშინდელი გლეხობის მისწრაფებანი; მართლაც, გლეხს მაშინ მიწა სჭირდებოდა და ადმინისტრაციის თვითნებობისაგან უზრუნველყოფა; ერთი სიტყვით, მიწა, კარგი მოხელე და თავისუფალი შრომა—აი რაში გამოიხატებოდა მაშინდელი გაუნათლებელი გლეხის მოთხოვნილება. ნიკოლაძემ ეს სისწორით აღნიშნა „კოლოკოლ“-ის ფურცლებზე.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნ. ნიკოლაძე არა ერთხელ შეხებია გლეხთა საკითხის მოწესრიგებას და აგრარულ კითხვას, როგორც „დროება“-„კრებულის“ ფურცლებზე, ისე ადგილობრივ რუსულ გაზეთებში („Обзор“ და „Тиф. вестник,“) და ცალკე ბროშურაში მაგრამ აქ, ცენზურის სასტიკ პირობებში, იგი ვერ ახერხებდა მთავრობის პოლიტიკის კრიტიკას და გმობას აგრარულ საკითხში და ამიტომ შეკვეცილ პროექტებს აყენებდა მიწის საკითხის მოსაწესრიგებლად.

„გაუადვილეთ ხალხს სხვისთვის შრომისაგან თავის დახსნა, გამოიყვანეთ ის უსაქმო კაცების მონობისაგან. მიწა დაუმკვიდრეთ, მყვლეფელებისაგან და მუქთი მჭამელებისაგან დაიხსენით, ან ასწავლეთ, თუ რა გზით დაიხსნას თავი, სასარგებლო გამოსადეგი რჩევა აძლიეთ, სიკეთე, ნამდვილი რეალური სიკეთე მოუტანეთ მას რჩევით და საქმით, და მაშინ ნახავთ, რომ მარტო ამნაირი საშუალებით შესაძლებელი ყოფილა, როგორც ერთობის დაარსება, ისე ხალხის ნდობის მოპოვება... აი, მარტო მაშინ დაადგება ჩვენი ხალხი გაძლიერების გზას... აი, მარტო მაშინ დაამტკიცებთ, რომ მამულიც გყვარებიათ და მისი მსახურებაც გცოდნიათ“.[2]—აი ის პროგრამა, რომელიც დაუსახა ნიკოლაძემ განსახორციელებლად 70-იან წლებში ქართველ მოწინავე ინტელიგენციას.

[1] Рио-Нели, Освобождение крестьян в Грузии—„Колокол“ № 199, 1865 წ. რჩეული ნაწერები ტ. I, გვ. 184.

[2] ნ. ნიკოლაძე, საახალწლო, გვ. 322—23. 1880 წ. არის მეორე გამოცემა მამულის სიყვარული და მსახურება გვ. 101—2. 1914 წ.

მან კარგად იცოდა, რომ ქართველი გლეხობა ეკონომიური მონობის ქვეშ გმინავდა, რომ წოდებათა შორის უკმაყოფილება, უმალლესად იყო განვითარებული ჩვენში, რომ ხალხის გაუნათლებლობა და უმეცრება დიდათ აფერხებდა მისი წარმატების საქმეს. მან კარგად იცოდა, რომ „ხალხში ნამდვილი ერთობა მაშინ დამყარდება, როცა იმისი ეკონომიური ცხოვრება გათანასწორდება, როცა ხალხი ეკონომიურად განთავისუფლდება და შეერთებულ შრომას შეეჩვევა“.[1]

სრულიად არ არის გასაკვირვი, რომ ნიკოლაძემ თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია გლეხობის ეკონომიურ მდგომარეობას, შეიმუშავა ახალი აგრარული პროგრამა და მოითხოვა ხალხის კულტურულ-სოციალური აღორძინება შეერთებული შრომის საფუძველზე.

როგორც ვიცით, იმ პერიოდში იგი ჩერნიშევსკის დიდ გავლენას განიცდიდა და შრომაში, სასარგებლო წარმოებაში ხედავდა ცხოვრების უმთავრეს წყაროს; ვინც ჰქმნის სასარგებლო შრომას, ეწევა ცხოვრებისათვის საჭირო და სასარგებლო წარმოებას იგი არის საზოგადოების მამოძრავებელი ძალა. აქედან წარმოსდგა მისი უარყოფითი დამოკიდებულება თავად-აზნაურობისადმი, სრული თანაგრძნობა მშრომელი გლეხობისადმი.[2]

---

[1] იხ. საახალწლო—გვ. 340; „მამულის სიყვარული“... გვ. 118—19.

[2] საინტერესოა მკითხველს გავაცნოთ აქ გაკვრით მისი შეხედულება თავად-აზნაურობაზე. ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თავად-აზნაურობამ თანამედროვე პირობებში დაჰკარგა ყოველგვარი „საწარმოო“ მნიშვნელობა და იგი ზედმეტ ბარგად გადაიქცა ხალხისათვის. 1880 წელს იგი სწერდა:

„Дворянство, как сословие — уже не может никакой роли играть в жизни народа. Перенося взоры свои от этой стороны дела к стороне чисто экономической, мы видим, что то же самое дворянство, активная роль которого вполне упразднена получает с народа за услуги предков своих, ровным счетом четвертую часть с продуктов народного труда, и получает всякий раз путем борьбы, споров, пререканий. Экономическая противоположность интересов, разумеется, никогда не может повести ни к чему иному, кроме охлождения между сословиями имеющими такие противоположные интересы. Конечно наивные и недалекие идеалисты, увлеченные благородными мечтаниями о всеобщем мире о гармонии между сынами одной и то же родины, могут обманывать себя и других насчет ничтожества таких враждебных отношений хлапочите энергически об устранении не справедливых сторон в современных экономических отношениях дворянства к крестянству, стремитесь к созданию для обоих этих сословий активной, производительной роли, примирите их интересы и только тогда дождетесь вы устранения тех плачевных фактов и явлений, которые теперь вызывают в вас столь же наивный, как и безплодный плач“ („Обзор“ № 496. 1880 წ.).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წერილის შინაარსი არსებითად მიმართული იყო ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ და გამოხატავდა ბურჟუაზიული ინტელიგენციის შეხედულებას წოდებათა ურთიერთობის შესახებ.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და აგრარული საკითხის მოწესრიგების დროს იგი სამგვარ საშუალებას მიმართავს: 1) გლეხებმა შეეძინებულად გამოიყიდონ მიწები მემამულეებისაგან და დაიმკვიდრონ საერთო საკუთრებად; 2) საადგილ-მამულო და სასოფლო ბანკებში დაეხმარონ გლეხებს მიწის გამოყიდვას და შეერთებულ ამხანაგობათა დაარსებაში; 3) თვით სახელმწიფომ ითავოს მიწის გადაცემა გამოყიდვით გლეხობაზე და დააკანონოს თემობრივი წესი მიწის მფლობელობისა და მოხმარებისა. ვინაიდგან ეს საშუალებანი არ ეწინააღმდეგებოდა ერთი-მეორეს, ამიტომ ნიკოლაძე დროგამოშვებით ხან ერთს მიმართავდა, ხან მეორეს.

განვიხილოთ უფრო ახლოს მისი აგრარული პროგრამა და გლეხთა ეკონომიური განთავისუფლების საშუალებანი.

1871 წელს „სასოფლო გაზეთი"-ს ფურცელზე, რომელიც 1868 წლიდან გ. წერეთელის რედაქტორობით გამოდიოდა და გლეხობის ინტერესებს ემსახურებოდა, ნ. ნიკოლაძე ვრცლად ეხება თავადაზნაურობას, გლეხობის ეკონომიურ-აგრარულ მდგომარეობას და სწერს:

„მისდა საუბედუროთ, იმას (თავად-აზნაურობას) დედის რძითვე შეუსვამს შრომის ზიზღი და უცოდინარობა. ეს ერთი. მეორე მისი უძლურება ის არის, რომ უწინდელ მის ბატონობას მისთვის ხელგაშლილი ცხოვრება დაუსწავლებია, და ამნაირი ცხოვრების საშუალება კი ცოტა დაუტოვებია... და რადგანაც თავად-აზნაურობის უმეტეს რიცხვს, ერთის მხრით უწინდელი ჩვეულებები დიდს ხარჯს აძლევენ, და მეორეს მხრით უცოდინარობა და უფულობა მიწიდან სარგებლობას უშრიან, უეჭველია, რომ ადრე თუ გვიან ამ თავად-აზნაურობის ადგილ-მამული მათი ჩვეულების დასაკმაყოფილებლათ გაიყიდება და სხვის ხელში გადავა. მაგრამ ვის ხელში? გამყიდველი ჩვენში ბევრია, და შემდგომში კიდევ გამოჩდება უფრო მეტი. მყიდველი ვინ არის, ან ვინ იქნება? გლეხი კაცი სულს ეხლაც ძლივს იბრუნებს, — ისე დამჩაგვრელი იყო მისთვის წარსული ჩვენი ცხოვრება. მისი მდგომარეობა, ცოტათი არ იყოს, მარტო ეხლა კეთდება, მათი გათავისუფლების შემდეგ, და განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც ჩვენ ქვეყანაში ცოტაოდენი აღებ-მიცემა და მისვლა-მოსვლა გაიმართა, გლეხი-კაცი ზურგის გამართვას იწყებს. მაგრამ, ეხლაც უწინდელ მის ცხოვრებას მასზე დიდი გავლენა აქვს. ეხლაც კიდევ მძიმეთ აწევს გლეხ-კაცს უწინდელი უმეცრების ტვირთი. დღეს იმას შეუძლიან ცოტათი თვის თავისთვის იმუშაოს. მაგრამ მის ახალ-დაწესებულს, გუშინდელ შრომას არც იმოდენა ძალა აქვს, არც იმოდენა ხეირი, რომ გლეხ-

კაცს მკვიდრათ შეეძლოს თავის ოჯახის კეთილდღეობის დაფუძნება. ერთი სიტყვით, იმას უწინდელზე უკეთ შეუძლია ოჯახის რჩენა, მაგრამ იმას ჯერ კიდევ დიდხანს არ შეუძლია ამ ოჯახისათვის აღგილ-მამულის ყიდვა. რაკი წვრილი თავად-აზნაურობა მიწის გამყიდველი შეიქნება და გლეხების უმეტეს ნაწილს ყიდვა არ შეეძლება, მყიდველი ვიღან დავვირჩა?—ცხადია რომ ყიდვის შეძლება მარტო სხვილ-სხვილ ნაბატონარებს და ვაჭრებს ექნებათ, და თითქმის მთელი მიწა-წყალი რამდენიმე ხნის შემდეგ იმათ ხელში გადავა. ეს პირები მიწა-წყალს მისთვის კი არ ყიდულობენ და იყიდიან, რომ მისი შემოშავება ჰსურდეთ, არა. მათ შემოშავების თავი არა აქვსთ, არც ამისთანა მცირე საქმისათვის სცალიან. ისინი მიწას იყიდიან იმ განზრახვით, რომ შემდგომში იჯარით, ღალით გასცენ ეს მიწა, მიაქირაონ ის იმ პირებს, რომელთაც უმიწოთ გაძლება არ შეუძლიანთ, ესე იგი გლეხ-კაცობას, და სამაგიეროთ შემოსავლის წილი მიიღონ. ეს „წილი“ მით უმეტესია, რაც უფრო ნაკლები საკუთარი მიწა აქვსთ გლეხ-კაცებს, და რაც უფრო მეტი მიწა-წყალი შეგროვილია ერთი პირის ხელში. ზოგან ეს წილი მოსავლის მეათედია, ზოგან მეხუთედი. და ერთ სოფელში მთელი მიწა ერთ პირს რომ ეპიროს, შეიძლება რომ მიწის მჭირავებელმა პატრონს ღალათ შემოსავლის ნახევარიც მისცეს. მაშასადამე, ეხლანდელი მიწის ქირა უფრო და უფრო იმატებს იმავე წესით, როგორც უფრო და უფრო შემცირდება წვრილმანი მიწის-პატრონების რიცხვი, და გაძლიერდება ჩვენში სხვილ-სხვილი მიწის პატრონობა.—და აქედან ცხადია, ამასთანავე გაძნელდება მიწის შემმუშავებელის, ესე იგი გლეხ-კაცობის მდგომარეობა“ .[1]

ნიკოლაძე სრულიად საფუძვლიანად აღნიშნავდა იმ ღრმა მნიშვნელობის ტენდენციას, რომელიც შეადგენდა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამახასიათებელ თვისებას: წვრილ თავად-აზნაურობის დაცემას და მიწების კონცენტრაციას მცირეოდენის ნაწილის ხელში, ამასთან ერთად გლეხების მდგომარეობის გაუარესებას, მათი ეკონომიურ-მატერიალური პირობების დამოკიდებულებას სხვილი მემამულე-ვაჭრებისაგან, ე. ი. სოფლის ახალი მებატონისაგან. ავტორი ნათლად ხედავს, რომ ბატონყმურ უღლიდან ახლად განთავისუფლებულ გაღატაკებულ გლეხს აღარ შეუძლია ინდივიდუალური გზით ეწიოს ბრძოლას და შეიძინოს მისთვის საჭირო და მა-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ამხანაგობის ძალა—(რა გზით შეიძინება მიწა-წყალი? „სასოფლო გაზეთი“, № 1 გვ 1—2, 1871 წ.

საზრდოებელი მიწა; ნიკოლაძე გრძნობს რა ქართველი გლეხის ასეთს ტრაგიკულს მდგომარეობას, ცდილობს ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელი ახალი სამოღვაწეო გეგმები და გზები უჩვენოს მათ. იგი სწერს:

„რითი შეუძლია ეხლა გლეხ-კაცობას ისეთ ნაირად დაიკაეოს საქმე, რომ შემდგომში მისი მოსავლის ნახევარი მიწის ღალათ არ გადიოდეს, და თან მიწის შოვნა—საღალოთაც—დამადლებით არ მიაჩნდეს! ან უკეთ ვთქვათ, რითი შეუძლია ეხლა გლეხ-კაცობას ახალნაირი „ბატონ-ყმობის“ დაარსება მოშალოს? ცალ-ცალკე არც ერთ გლეხს ამ საქმეში არაფრის გარიგება არ შეეძლება. მაგრამ გლეხკაცები ერთმანეთის ხელის გაწყობას და დახმარებას ჩვეული რომ იყვნენ, და მათში ამხანაგობა დანერგილი რომ იყოს, მისი მდგომარეობა შემდგომისათვის ერთი ათასჯერ უკეთესი იქნებოდა... სოფლის მცხოვრებლებმა რომ ერთიანათ, მთელი სოფლით პირობა მისცენ რომელიმე ადგილის გამყიდველს, რომ მთელი სოფელი ხუთი ან ექვსი ან ათი, ან ოცი წლის განმავლობაში თქვენ მიწის ფასს გარდაგიხდისო, ამ ფასში, წელიწადში, ამდენ და ამდენ მანეთს მოგცემსო, ვითომ რომელი მიწის გამყიდველი იტყვის უარს ამისთანა სანდო საქმეში?.. სოფლის მცხოვრებლებმა ნაყიდი მამულის ფასი რომ გაინაწილონ და წელიწადში თითო კომლმა ხუთი მანეთი ან მეტნაკლები იხადოს,—ვითომ ეს გადასახადი შეუძლებელია? ვითომ ხეირი არ ექნება სოფელს. რამდენიმე წლის განმავლობაში თავი გაიჭირვოს, როცა ამ გზით მიწა-წყლის შეძენა შეეძლება? ეს ნაყიდი მიწა მთელ სოფელს, რომ ეკუთვნოდეს, და თვითონ სოფელი რომ აძლევდეს იმას თავის გლეხებს სამუშაოთ, სამი ან ოთხი წლით, ან ათით როგორც რუსეთშია,—ვითომ ძნელი გასარიგებელია ეს საქმე? ვითომ ათასჯერ უფრო მეტი ხეირი არ იქნება, მიწა-წყალი რომ თვითონ გლეხ-კაცობას და მთელ გლეხ-კაცობას ჰქონდეს, რომ გლეხობაში ყველანი ერთი პირნი და ერთმანეთის დამხმარენი იყვნენ? ვითომ ღვთისა და კაცის სასიამოვნო საქმე არ იქნება, რომ გლეხ-კაცობას თავისი შრომის იარაღი—ესე იგი მიწა—ხელში ჰქონდეს და ამის გამო შრომის ნაყოფიც იმასვე რჩებოდეს. მერმე ისე, რომ მის შუა დაჩაგრული და უნაწილო არავინ იყოს? ყველა ეს კითხვები განსაკუთრებით უნდა იქცევდენ გლეხ-კაცობის ყურადღებას. დღეს ჩვენ ეს კითხვები და ეს საქმე გაკვრით გავშინჯეთ—მაგრამ, წლეულს, შემდეგი ნომრიდანვე დაწყებული, ჩვენ ვეცდებით დაწვრილებით, გარკვევით გამოვუხატოთ ჩვენ მკითხველებს თუ რა ნაირათ, რა გზით შეიძლება მიწების გამოყიდვა პატრონებიდან, და

ამ მიწების ამხანაგობრივი განაწილება და სარგებლობა, როგორც ეს საქმე რუსეთშია გაწყობილი“.[1]

ამრიგად ნიკოლაძე ურჩევს გლეხობას შეადგინონ ამხანაგობანი, ასოციაციები, შეერთებული ძალით გამოიყიდონ მემამულეებისაგან მიწები და შემოიღონ სოფლებში თემობრივი წესი მიწის მფლობელობისა, სწორეთ ისეთი, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში არსებობდა რუსეთში. ნიკოლაძე ფიქრობს, რომ თემური მფლობელობა მიწისა საუკეთესო საშუალებაა გლეხთა მატერიალურ-ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ერთ-ერთი უდიდესი იარაღი ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის შესაქმნელად. აქ ნათლად სჩანს რუსეთის ნაროდნიკული აზროვნებისა და განსაკუთრებით ნ. ჩერნიშევსკის გავლენა ნიკოლაძეზე. ჩვენი ავტორი იმ ხანებში სრულიად დარწმუნებული იყო, რომ თემობრივი წესი მიწის სარგებლობისა ხალხის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების წინ წამწევი უდიდესი ფაქტორია. იგი სრულიად ვერ ამჩნევდა, ისე როგორც რუსეთის ნაროდნიკები, რომ მიწის თემური მფლობელობა ძველი დახავსებული, საზოგადოების მიერ უკვე განვლილი ისტორიული წყობილების ფორმა იყო, რომ იგი თვით რუსეთში ახალი ეკონომიური ფაქტორების ზეგავლენით რღვევას განიცდიდა და გლეხობაში ფართოდ ვითარდებოდა ინდივიდუალური წესი მიწის საკუთრებისა; რომ თვით საქართველოში ეს თემური მფლობელობა მიწისა წარსულში არსებობდა, იგი განვლო საქართველოს ისტორიული ცხოვრების განვითარებამ და მისი ძველი სახით აღდგენა შეუძლებელი იყო. ამრიგად ნიკოლაძე ცდილობდა ხელოვნურად აღედგინა ის, რაც ისტორიის მიერ განწირული იყო და რაც დიდი ხნის წინეთ აღმოფხვრილ იყო საქართველოში. აღსანიშნავია სწორედ ის გარემოება, რომ თუ რუსეთის ნაროდნიკები მოითხოვდენ რუსეთში არსებულ თემების შენარჩუნებას, გადარჩენას რღვევისაგან და მათ განვითარებას სოციალისტური მიმართულებით, საქართველოს ახალი თაობის ინტელიგენციისათვის უფრო მწვავედ იდგა საკითხი: ისინი მოითხოვდენ მიწის თემური მფლობელობის ხელოვნურად შექმნას საქართველოში, რომ შემდეგ მტკიცე დასაყრდენი ჰქონოდათ სოფლის მეურნეობის სოციალისტური მიმართულებით გასავითარებლად. სწორედ ამ მიზნებს ემსახურებოდა მათი მიწის თემური მფლობელობის, კოოპერაციების, ასოციაციების, ამხანაგობა-კოლექტივების სოფლის მეურნეობაში შემოღების გეგმები. 60—70-იან წლებში ასეთმა

[1] ნ. სკანდელი, ამხანაგობის ძალა — „სასოფლო გაზეთი“ 1871 გვ. 2, № 1. წ-

გეგმებმა ფართოდ გაიდგა ფესვები ჩვენი ახალ თაობის ინტელიგენციაში; საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ 70-ან წლებში „გუთნის დედის“ ფურცლებზე ანტონ ფურცელაძე თავგამოდებით დაგებდა მიწების თემურ მფლობელობის შემოღებას[1] საქართველოში. 60-ანი წლების ჩვენი მწერლების დებულებებიდან და არგუმენტაციიდან შორს არ წასულა არც ა. საბუელი, რომელმაც 1906 წ. წიგნაკი გამოსცა მიწის საერთო მფლობელობის შესახებ.[2]

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის დიდი განსხვავება, რომელიც ნიკოლაძისა და რუსეთის რევოლუციონურ ნაროდნიკებს შორის არსებობდა ამ საკითხის შესახებ. რ0—70-ანი წლების ნაროდნიკობა აგრარული საკითხის მოწესრიგებასა და გლეხთა ეკონომიურ განთავისუფლებას მონობისაგან რევოლუციონური მეთოდით მოითხოვდა და მათი აგრარული პროგრამა შეწონილი, შეფარდებული იყო მთელ მათს სამოღვაწეო პროგრამასთან. ნიკოლაძისათვის ასეთი მეთოდი მიუღებელი და მიზანშეუწონელი იყო; იგი ცდილობდა მშვიდობიანი გზით მოეწესრიგებია ეს საქმე: გლეხობას გამოეყიდა შეერთებული ძალით მიწები მემამულეებისაგან.

როდესაც ჩვენში დაისვა საკითხი ბანკების დაარსების შესახებ, ნიკოლაძე ენერგიულად შეეცადა საბანკო საკითხი დაეკავშირებია აგრარულ საკითხთან და ბანკების საშუალებით მოეხდინა მიწების გადაცემა გლეხობაზე.

1914 წელს დაწერილ ერთს პატარა შენიშვნაში იგი სწერდა „ამ საგანზე (ე. ი. ხალხის ეკონომიური განთავისუფლებასა და შეერთებულ შრომის შეჩვევაზე), განსაკუთრებით იმათზე, რომ ამ (ეკონომიური) განთავისუფლების შეძენა მოხერხდებოდა ჩვენის საადგილმამულო ბანკების აგრარულსა და მელიორაციულს პოლიტიკაზე დამყარებით, ბევრი ვიქადაგე ამას წინათ 1873—1876 წლების მწერლობაში და საზოგადო კრებებზე.“

1873 წელს იგი სწერდა ამ საკითხების შესახებ:

„დროება“-ს ბევრჯერ გამოუხატვია შეწუხებული და თითქმის უიმედო მდგომარეობა კახელი გლეხკაცობისა, რომელსაც უფულობა და ვალები უკანასკნელ ღონისძიებას აკლებენ და უმძიმეს ტვირთად აწვევენ. ბევრჯერ გამოთქმულა ჩვენს გაზეთში აზრი, რომ ამ გასაჭირს,

---

[1] ან. ფურცელაძე, მამულის საერთო მფლობელობა—„გუთნის დედა“ № 9, 10, 11, 1874 წ. ცალკე წიგნაკათ გამოვიდა 1881 წელს. იხ. აგრეთვე რეცენზია ამ წიგნზე „იმედში.“

[2] იხ. ა. საბუელი (ა. ჯორჯაძე), როგორ უნდა გადაწყდეს მიწის მფლობელობის საქმე ჩვენში. 1906 წ.

რომელიც მარტო კახეთს კი არა, მთელ საქართველოს სიცოცხლეს უჭირვებს, ჩვენი ხალხი ასცილდება ზოგიერთი საზოგადო ცვლილებებით და—ცოტაოდნათ მაინც—სახალხო, სასოფლო ბანკების დაარსებით და გამრავლებით. ეს სასოფლო ბანკები, ვამბობდით ჩვენ, იმ გასაჭირიდამ მაინც დაიხსნიან ჩვენს ხალხს, რომ გარდასახადის შევსების დროს და სხვა წვრილმანი საჭიროების წინ ის მძიმე ვალში აღარ ჩავარდება და თითქმის მთელს თავის შემოსავალს ორიოდე თუმნის სარგებელში მაინც არ გასცემს. ესევე აზრი ავრცელა გ. წერეთლის „სასოფლო გაზეთმა“ და დღეს ჩვენ შეგვიძლია სრული ბედნიერებით ვთქვათ, რომ უნაყოფოთ არ ჩაუვლია ჩვენი მწერლობის სიტყვასა და მაგალითს... ვიმეორებთ, ეს ისეთი საჭიროებაა ჩვენი ხალხისათვის, რომელზედაც დამოკიდებულია, თუ მთელი ეხლანდელი სიძნელე არა, ძლიერ ბევრი წვრილმანი გაჭირვება და უსიამოვნება. ამ ბანკების შემწეობით ჩვენი ხალხი ცოტაოდნათ მაინც განთავისუფლდება მისი გაღარიბებული და დამამხობელი მოვალეებისაგან, და სხვა რომ არაფერი იყოს ესეც ბევრია. მაშ ვისარგებლოთ ამ ადვილი საშვალებებით; ჩვენებურ ყმაწვილებს ნამდვილი სურვილი რომ ჰქონდესთ ხალხისთვის სარგებლობის მოტანისა და დახმარების მიცემისა, ამისთანა საქმეში ბევრი ღაღადისა და ქადაგება ჩვენ როდი დაგვჭირდებოდა. ყმაწვილები აიღებდენ ხელში ამნაირი ბანკის წესდებას და წაუკითხავდენ სოფლელებს, აუხსნიდენ მის სიადვილეს და სარგებლობას, ასწავლიდენ დასაწყისში საქმის წაყვანას და გაუმართავდენ მთელ საქმეს. მაგრამ ამაებს ჩვენში არავინ ჰკიდებს ხელს. ან კი, მართლაც რომ ვსთქვათ, როგორ უნდა მოჰკიდონ ხელი: ხუმრობა ხომ არაა ბარათის მოწერა რედაქციაში, წესდების პირის მისაღებათ, და მისი გარდაცემა თავის საკუთარ სოფლის მცხოვრებლებისათვის? ეს თავის სამტვრევი შრომაა: ბევრათ უფრო ადვილია უგზო-უკვლო ქუჩა-ქუჩა თრევა და სტუმრათ სიარული, სადაც გლეხებთან ლაპარაკის მაგიერ, უფრო ადვილი და სასიამოვნო საქმე აქვთ ამ ყმაწვილებს: ენის მიტან მოტანა, ჭორიკანაობა, ბანჭოს თამაში და ცეკვა. არა, ამისთანა ახალგაზრდობის მიხედვით ჩვენი სოფლელები ამ საქმეს ნუ წაუყრუებენ. თავიანთ თავზე იქონიონ იმედი გლეხებმა და თვითონვე საქმეს ხელი მოჰკიდონ, როგორც გონიერათ მოიქცენ წინანდალის, კონდოლის და კისისხევის მცხოვრებლები. გლეხებმა უნდა იცოდენ, რომ ჩვენი ყმაწვილები იმნაირათვე უსარგებლოთ ჩაკვდებიან უსაქმო ხეტიალში, როგორც მათი მამები ჩამკვდარან.“ [1]

[1] ნ. სკანდელის მეთაური წერილი,—„დროება“ № 41, 1873 წ.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის საინტერესო ფაქტი, რომ 60-ან წლების მეორე ნახევარში და 70-ან წლების დასაწყისში ეკონომიურად მეტად შევიწროებული ქართველი გლეხობა სტიქიურად ეძგერა და გამოსავალს შეექმნილ პირობებიდან და როდესაც ამავე ხანებში ქართველ თავად-აზნაურთა წრეებში დაიწყო მოძრაობა და კამათი ბანკების დაარსების შესახებ, ამან გლეხობაზედაც მოახდინა გავლენა და აქა-იქ შეუდგენ სასოფლო ბანკების დაარსების საქმეს. ეს სავსებით შეესაბამებოდა „დროება“-„სასოფლო გაზეთი“-სა, „კრებული“-ს სამოღვაწეო პროგრამას. მათი გეგმები სწორეთ იქითკენ იყო მიმართული, რომ გლეხობა გადაერჩინა გაპროლეტარებას, გაღატაკებას და სხვადასხვა საშუალებით ხელი შეეწყოთ მათი მატერიალური და კულტურული აღორძინებისათვის. სასოფლო-სახალხო ბანკი ერთერთ ასეთს იარაღს წარმოადგენდა და აღნიშნული ჯგუფიც დაბეჯითებით მოუწოდებდა ინტელიგენციას დახმარება გაეწია ხალხისათვის, ამ მძიმე საქმის მოწყობაში. თავის მხრივ რედაქციები არ ზოგავდენ ძალ-ღონეს ამ საქმის წარმოებისათვის. ნ. სკანდელის წერილში ვკითხულობთ:

„გარდა ამისა, რომ ტფილისში უბრალო მოხელეებმა მოინდომეს თავისთვის პაწაწა ხელის გამწყობი ბანკის გამართვა, და ერთგულათ შეუდგენ ამ საქმის აღსრულებაში მოყვანას, თელავის მაზრაშიაც გლეხ-კაცობას მოუნდომებია ამგვარიეე სასოფლო ბანკების დაარსება. სამს სოფლის საზოგადოებას კახეთში: კონდოლის, წინანდლის და კისისხევისას, გადაუწყვეტია სააშხანაგო ბანკების დაარსება, და „სასოფლო გაზეთი“-ს რედაქციის შემწეობით კიდეც შეუდგენია ამ ბანკების წესდება, რომელიც გუშინ თბილისელ გუბერნატორს მიართვეს ამ სოფლისაგან გამოგზავნილმა გლეხებმა. უეჭველი საქმეა, რომ ეს წესდება, მალე დამტკიცდება და ასრულებაშიაც მოიყვანება; მაშასადამე ჩვენი ხალხი ამ გვარი ბანკების სარგებლობის მაგალითს მალე თავის საკუთარი თვალითაც ნახავს. „დროების“ და „სასოფლო გაზეთი“-ს რედაქციებს გამზადებული აქვთ ამ გვარივე წესდებები, ისე რომ სხვა სოფლების საზოგადოებებს მოთხოვნის მეტი არა დასჭირდებათ რა, მათ მიღებისათვის და დასამტკიცებლათ წარდგენისათვის. ამასთანავე „დროების“ რედაქცია ამზადებს სამაგალითო წიგნებს, რომელნიც ყოველ სასოფლო ბანკს უნდა ჰქონდეს ანგარიშის, შემოსავლის და გასავლის ჩასაწერათ, წევრებისათვის მისაცემლათ და სხვა და სხვა... ასე რომ სასოფლო ბანკების გამართვაში ჩვენს სოფლელებს არაფერი დაბრკოლება და სიძნელე აღარ დახვდებათ, თუ კი თვითონ სოფლები ბანკის დაარსებას

მოინდომებენ და თავიანთში ამის შესახებ გარდაწყვეტილებას მიიღებენ.“ [1]

ჩვენ განგებ ამოვსწერეთ ასე ვრცლად ეს ციტატა, რომ მკითხველისათვის დაგვენახებია, თუ ერთი მხრივ როგორი ტენდენცია იყო წარმოშობილი ქართველ გლეხობაში ეკონომიურ შევიწროების ნიადაგზე და, მეორე მხრივ, როგორ სამოღვაწეო პროგრამას აყენებდა მაშინდელი ახალი თაობის ინტელიგენცია. როგორც დავინახეთ, „დროების“ ჯგუფი მოუწოდებდა ახალ თაობის ინტელიგენციას ხალხში გასვლას, ხალხში მუშაობასაც, მაგრამ არა რევოლუციის მოსახდენად, არა გლეხების ასაჯანყებლად, არამედ მშვიდობიანი მუშაობისათვის, სახალხო ბანკების დაარსების, ერობის შემოღების, კოპერაციის განვითარების, შკოლების დაარსებისა და სხვა გეგმების მიხედვით. რასაკვირველია, ასეთი სამოღვაწეო პროგრამა, რომელიც ენათესავებოდა რუსეთის ნაროდნიკების ძემარჯვენე მიმდინარეობის პროგრამას, ვერ გადაარჩენდა ქართველ გლეხობას ეკონომიურ განადგურებისაგან. მაგრამ ისტორიულად ასეთი ორგანიზაციების შემოღებას შეეძლო ხელი შეეწყო კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისათვის, სოფლად გამოეწვია დიფერენციაცია გლეხობაში და, მაშასადამე, დაეჩქარებია ჩვენი ქვეყნის კაპიტალიზაციის პროცესი. ასეთი როლი უნდა ეთამაშა ისტორიულ-აუცილებლობის გამო იმ სამოღვაწეო პროგრამას, რომელსაც ნიკოლაძე აყენებდა 60—70-ან წლებში.

ქვევით ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით იმას, თუ როგორ აგრარულ პოლიტიკას მოითხოვდა ნიკოლაძე სადგილ-მამულო ბანკებისაგან, ახლა აღვნიშნავთ, რომ იგი ამ საშუალებაზედაც არ შეჩერებულა და პირდაპირ დასვა საკითხი, რომ აგრარული უთანასწორობის მოწესრიგება უმთავრესად და ძირეულად სახელმწიფოს მოვალეობას შეადგენსო. მისი აზრით ამხანაგობები და დაწესებულებანი დიდი ხნის განმავლობაში ვერ შესძლებენ ამ საკითხის მოწესრიგებას, სახელმწიფოს კი შეუძლია უახლოეს დროში გადასწყვიტოს ეს მეტად დიდი და მნიშვნელოვანი საკითხი. 1878 წელს იგი სწერდა:

„საკითხი იმის შესახებ, რომ აუცილებელია გაადვილება თანდათანი გადასვლისა მიწის საკუთრების სწორედ იმ წოდების ხელში, რომელიც ცხოვრობს რა მიწის დამუშავებით, საჭიროებს მიწას, როგორც თავისი შრომის უმთავრეს იარაღს, უდავოდ წარმოადგენს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს, და... მაშასადამე, მისი გადაწყვეტა არც შეიძლება და არც უნდა მიენდოს კერძო პირებს;

[1] „დროება“ № 41, 1873 წ.

არამედ იგი შედის თვით სახელმწიფოს მოვალეობაში და მის კომპეტენციაში... საკითხი მიწის საკუთრების მიწის მომქმედთა ხელში გადასვლის შესახებ, ამრიგად, წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელობისა და ძირითად საშუალებას სახელმწიფოს თანამედროვე დაბრკოლებათა გადასაწყვეტად, ამიტომ იგი მოითხოვს გადაწყვეტას არა სხვა ვინმესაგან, არამედ თვით სახელმწიფოსაგან, რომელსაც საშვალებაც აქვს და შესაძლებლობაც მოაწესრიგოს იგი ყველაზე უფრო დამაკმაყოფილებელი სახით. კერძო საზოგადოებათა ხელში, დაწესებულება, რომელიც მოინდომებდა ასეთი ამოცანის განორციელებას, ძალაუნებურად იძულებული გახდებოდა იმოქმედოს მიკროსკოპიული დოზებით—დღეს ერთი გლეხის მდგომარეობა გაეუმჯობესებია, ხვალე მეორესი და ასე შემდეგ. ამ სახით მთელი საუკუნეები გავიდოდა, ვინემ კერძო დაწესებულება შესძლებდა ქვეყნის აგრარულ მდგომარეობის ძირითად გარდაქმნას." [1]

დაადგა რა ნიკოლაძე იმ გარკვეულ-რეფორმისტულ გზას, რომ სახელმწიფომ, მთავრობამ უნდა გაატაროს ხელახალი რეფორმა და ძირიანად შესცვალოს თანამედროვე აგრარული ურთიერთობანი, იგი გარკვეულ გეგმასაც უყენებს მთავრობას განსახორციელებლად; ნ. ნიკოლაძე ჰფიქრობს, რომ მთავრობამ უნდა დააკანონოს მიწის მფლობელობის თემური ფორმა და თანდათან ხელი შეუწყოს მიწების გადასვლას სოფლის საზოგადოების ხელში. იმავე წერილში ნიკოლაძე სწერდა:

მაგრამ... ამ რთული ოპერაციის სწორი წარმოება მოითხოვს მიწის თემური წყობილების ძლიერ ბევრი და მნიშვნელოვანი ჩვეულებების გამოყენებას. საგულისხო თემები. გამოიყიდიან რა ვადაგაშვებულ მამულებს, ამით ისინი გარკვეულ ვალდებულებებს ამყარებენ ბანკთან. ამ მოვალეობათა პირნათლად შესრულებისათვის საჭირო იქნება პროპორციონალური მონაწილეობა მასში ყოველი გლეხის ოჯახისა ან ერთეულისა, მასთანვე ამასთან შეფარდებული სარგებლობა მათ მიერ გამოყიდულ მამულებისა... ყველა ეს გარემოება მოითხოვს კანონმდებლობის გზით წინასწარ გამომუშავებას წესისა და პირობების ცალკე ოჯახების მონაწილეობის შესახებ საერთო გამოყიდვისა და საერთო მოხმარების საქმეში, ე. ი. მოითხოვენ კანონების კოდიფიკაციას სათემო მეურნეობის შესახებ." [2]

---

[1] იხ. წერილი, Будущность нашего кредита — „Обзор" — № 186 1878 წ.

[2] იქვე—„Обзор" № 190, 1878 წ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ნიკოლაძის გეგმა აგრარული საკითხის მოწესრიგების საქმეში საკმაოდ უახლოვდება იმ გეგმებს, რომელიც ნ. ჩერნიშევსკიმ წამოაყენა თავის მოღვაწეობის პირველ პერიოდში. ჩერნიშევსკი მაშინ მოითხოვდა მიწების გამოყიდვას და თემური წყობილების გაძლიერებას.[1] ნიკოლაძე არ მოითხოვს უფასოდ გადაცემას მიწებისას გლეხებისათვის; მისი მთავარი აზრი იმაში გამოიხატება, რომ თანამედროვე აგრარული ურთიერთობა რადიკალურად უნდა შეიცვალოს და გლეხობას უნდა გადაეცეს მიწები. ხოლო ეს გადაცემა უნდა მოხდეს არა რევოლუციითა და ძალდატანებით, არამედ სრულიად მშვიდობიანი გზით, თავად-აზნაურთა ინტერესების მხედველობაში მიღებით: მშვიდობიანი გამოყიდვა მიწისა ერთად-ერთი სამართლიანი და სწორი გზა არის ნიკოლაძის აზრით, აგრარული საკითხის მოსაწესრიგებლად. ამ შემთხვევაში ნიკოლაძე მთავარ როლს სახელმწიფოს ანიჭებს, ხოლო არა ნაკლებ სურს გამოიყენოს სასოფლო-სამეურნეო ბანკები და გლეხთა შეერთებული ძალა ამ საკითხის მოწესრიგების საქმეში. ასეთი არის ნ. ნიკოლაძის აგრარული პროგრამა, მას სურს აგრარული ურთიერთობის მოწესრიგების გზით ხელი შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო ასოციაციებისა და თემების დაარსებას.

მკითხველის ყურადღებას ჩვენ მივაქცევთ იმ გარემოებაზე, რომ მას სურს აგრარული საკითხის ამგვარი სახით მოწესრიგების საქმეში გამოიყენოს სახელმწიფო აპარატი, ე. ი. თვითმპყრობელობა, რომელიც თავისი სოციალურ-ეკონომიური საფუძვლებით მსხვილ მემამულეთა ინტერესებს გამოხატავდა; თვითმპყრობელობამ, 1861—64 წლებში საკმაო მოფიქრებისა და ათასგვარ პროექტების შემდეგ, გარკვეული დებულებები შეიმუშავა გლეხთა საკითხის მოწესრიგების შესახებ და იგი რეალურადაც გაატარა ცხოვრებაში; ის აგრარული ურთიერთობა, რომელიც განმტკიცდა რუსეთსა და საქართველოში და რომელიც ასე არ მოსწონდა იმ ხანებში ნიკოლაძეს—ნაყოფი იყო რუსეთის თვითმპყრობელობის გარკვეულ სოციალ-ეკონომიურ პოლიტიკისა; და ახლა მისი რადიკალურად გარდაქმნის ცდა იმავე თვითმპყრობელობის აპარატის საშუალებით აშკარა უტოპიზმი იყო. როგორც ქვევით დავინახავთ ამ უტოპიზმის გზას იგი გარკვევით დაადგა 80-იან წლებში და სწორეთ ამ უტოპიზმით იყო გამოწვეული მისი მონაწილეობა „ნაროდნაია ვოლია“-სა და „სვიაშჩენნაია დრუჟინა“-ს მოლაპარაკებაში. ამ შემთხვევაში ნ. ნიკოლაძე დიდი მანძი-

[1] იხ. Н. Чернышевский ტ. IV, 1906 წ.

ლით დასცილდა „მთავრობისა და ახალი თაობის და გლეხთა განთავისუფლების“ ავტორს, უკეთ თავის სკეპ თარ პოლიტიკურ სოფლმხედველობას 60-იან წლებში.

როგორც ვხედავთ, ნიკოლაძე 60—70-იან წლებში ძლიერ დაინტერესებული იყო გლეხთა საკითხით, აგრარული ურთიერთობის მოწესრიგებით და არ ტოვებდა შემთხვევას, რომ არ გამოეთქვა ამ კითხვების შესახებ თავისი შეხედულება. 1879 წელში ერთ თავის პატარა ბროშურაში იგი კვლავ უბრუნდება ამ საგანს და სწერს:

„მიწა-წყალი ხალხს ხელიდან გამოეცალა და მთელი ხალხი იმ კაცთ ყურმოჭრილ ყმად გადაიქცა, რომელნიც უსაქმოდ ცხოვრობდენ და უსაქმობის გამო მარტო სიამოვნებაში ან ქეიფში ფლანგავდენ ხალხის შრომით ნაწარმოებს... ვისაც ჩვენი მამული უყვარს, მისი პირველი მოვალეობა ის არის, რომ აი ეს უსწორ-მასწორობა, ეს განხეთქილება შეამციროს, რომ შემდეგში ერთიანად მოისპოს ჩვენში ამგვარი უსამართლობა და უგუნური ფლანგვა ხალხის ძალისა და შრომის. სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მეწველი მდგომარეობიდგან არ გამოვა, შეუძლებელია, რომ ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი ძმობა, ან ხეირიანი განწყობილება. მაშასადამე, ყველაფერი, რაც ეკონომიურ სამართლიანობას გვიახლოებს, ჩვენი მამულის სასარგებლოდ უნდა მიგვაჩნდეს, და ნიადაგ იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ხალხის უმრავლეს ნაწილს გავუადვილოთ თავის განთავისუფლება ეხლანდელის დამოკიდებულის მდგომარეობისაგან. ხალხი მაშინ გაძლიერდება, მაშინ დაძმობილდება, მაშინ შეადგენს ერთ ძმურ ოჯახს, როცა სადაო არა ექნება რა სხვადასხვა წოდებისა, როცა ყველანი შრომას გაერთობიან და შრომას ისე გაინაწილებენ, რომ თვითეულის შრომა ყველა სხვის შრომის გაადვილება იქნება და არა გაძნელება.“ [1]

არ შეიძლება არ მოვიყვანოთ პარალელი ნ. ნიკოლაძესა და ილ. ჭავჭავაძის შორის აგრარული საკითხის მოწესრიგების საქმეში. 70-იან წლებიდან, როდესაც ილ. ჭავჭავაძე ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის თავჯდომარე გახდა, მთელი მისი სამოღვაწეო პროგრამა თავად-აზნაურული ლიბერალიზმის მატარებელი იყო და არსებითად აგრარული კაპიტალიზმის იდეოლოგიას გამოხატავდა. ილ. ჭავჭავაძე ფიქრობდა ამ პერიოდში რომ 1864 წ. რე-

[1] ნ. ნიკოლაძე, საახალწლო, გვ. 317—19, ან, მამულის სიყვარული და მსახურობა, გვ. 97—8,19'4 წ.

ფორმამ მიწის საკითხი ჩვენში შესაფერისად გადასწყვიტა და მას ერთხელაც არ მოუწადინებია რადიკალურად გადაესინჯა „საგლეხო დებულება“ და დაესვა საკითხი მიწების გადაცემის შესახებ.

ხებზე უსასყიდლოდ.[1] ამ მხრივ იგი ბოლომდე დარჩა აგრარული კაპიტალიზმის იდეოლოგი. როგორც დავინახეთ ამ საკითხში ნიკოლაძე ბევრად რადიკალური იყო ჭავჭავაძეზე. აქ იგი ნათლად გამოხატავდა სამრეწველო ბურჟუაზიის რადიკალურ იდეოლოგიას ჩვენში. ჩვენი აზრით, ილ. ჭავჭავაძის გამოსავალი წერტილი თავისებური თ ა ვ ა დ ა ზ ნ ა ურ ულ-ა გ რ ა რ ულ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი იყო, ხოლო ნ. ნიკოლაძის—ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი.[2]

რაც შეეხება საერთოდ ნიკოლაძის აგრარულ პროგრამას,—რომელსაც ჩვენ კიდევ შევეხებით მის საბანკო პოლიტიკასთან დაკავშირებით,—მიუხედავად იმისა, რომ აქ ავტორი უხვად იყენებს ასოციაციურ პრინციპსა და თემობრივ მიწადმფლობელობის ფორმას—ამ პროგრამაში ნათლად მოსჩანს სამრეწველო კაპიტალისა და ბურჟუაზიის მისწრაფებანი. როგორც ვიცით: 60-იანი წლების რეფორმები თავისი შინაარსით ნაწილობრივ გამოხატავდა ბურჟუაზიულ რეფორმას; ვინაიდან ამ რეფორმის გამტარებელი იყო პოლიციურ-თავადაზნაურული თვითმპყრობელობა, მანაც უხვად დასტოვა ბატონყმური ურთიერთობის ნაშთები და განსაკუთრებული სიცხადით ეს აგრარული ურთიერთობის სფეროში იყო ნათელი, სადაც გლეხი ეკონომიურად დამონებულ მდგომარეობაში დარჩა ყოფილ ბატონსა და ახალ მემამულეს. ეს გარემოება კი მეტად აფერხებდა სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების საქმეს რუსეთსა და საქართველოში. გლეხის ეკონომიურად მიჯაჭვა მემამულეზე, უდიდეს ბაზარს ართმევდა ხელიდან სამრეწველო კაპიტალს, რადგან ეკონომიურად დამონებული გლეხი მემამულის საექსპლოატაციო ობიექტი ხდებოდა და ამით მას ეკარგებოდა მოხმარებითი უნარიანობა. აქედან წარმოსდგა ის, რომ სამრეწველო კაპიტალი რუსეთში არ შეიძლება ყოფილიყო მაშინ შექმნილი აგრარული ურთიერთობით კმაყოფილი და იგი ბუნებრივად მოითხოვდა გლეხის განთავისუფლებას მემამულის

---

[1] იხ. მისი ცხოვრება და კანონი, დაწერილი 1877—81 წლებში.

[2] ილ. ჭავჭავაძისა და ნ. ნიკოლაძის საწინააღმდეგო შეხედულებანი აგრარულ საკითხის გარშემო, ნათლად სჩანს მათ შეხედულებაშიაც ხ ი ზ ა ნ თ ა ს ა კ ი თ ხ შ ი მაშინ, როდესაც ჭავჭავაძე ხიზნებს არედანტებათ სთვლიდა და მათი მხოლოდ უმიწოთ განთავისუფლების მომხრე იყო, ნიკოლაძეს ის დიდ შეცდომათ მიაჩნდა და მოითხოვდა ხიზნების მიწით განთავისუფლებას. ამ საკითხის შესახებ (მან ჭავჭავაძის შეხედულებათა წინააღმდეგ წერილიც დაბეჭდა თავის „ობზორში“ იხ. მისი: Хизанский вопрос, “Обзор“ № 47, 1880 г.).

ახალ მონობისაგან, რადგან, ეკონომიურად მოღონიერებული გლეხი სამრეწველო კაპიტალის მთავარ ამოცანას შეადგენდა ფართო ბაზრის შექმნისა და მომსახურების საქმეში, აქედან ბუნებრივია, რომ რადიკალურად მოაზროვნე ინტელიგენციამ არსებითი ყურადღება მიაქცია გლეხთა საკითხსა და შექმნილ აგრარულ ურთიერთობას საქართველოში. სამრეწველო კაპიტალიზმის ინტერესს ეკონომიურად მძლავრი და პიროვნულად განთავისუფლებული გლეხი შეადგენდა. ეს ბურჟუაზიული მიდგომა საკითხისადმი ნათლად სჩანს ნიკოლაძის წერილშიაც.

„რაც უნდა პატიოსანი იყოს კაცი,—სწერს იგი—თუ მცირე მამული არა აქვს, იმას მეზობლებში დიდი ნდობა—ფულის ანგარიშში,—არ ექნება, ამიტომ რომ ვისაც ფული აქვს, ნიადაგ იმას ცდილობს, იმნაირს კაცს არ ჩაუგდოს ხელში, რომლისაგანაც მისი ამოგება გაუძნელდება, და პატიოსან, მაგრამ უმამულო კაცს—უბედურება რომ რამ შეემთხვეს, მასზე გასესხებული ფული დაკარგული შეიქნება... რა თქმა უნდა, რომ ეს ნდობა მარტო ფულის სესხებაზე კი არ არის, ყველაფერში, ანგარიშში, პირობის შეკვრაში, მიწა-წყლის საღალოთ აღებაში, მიყიდვაში,—უმამულო პირს ნდობა არა აქვს, ამიტომ რომ ვინც იმას ენდობა, დარწმუნებული არაა, რომ ხვალ, ზეგ მისი გადახდის ღონე ექნება.“ [1]

„დროება-კრებულის“ მიდგომა გლეხთა საკითხში და აგრარულ ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში არსებითად გამოხატავდა რადიკალურად მოაზროვნე ბურჟუაზიული ინტელიგენციის შეხედულებებს. აქ, რასაკვირველია, სიმძიმის ცენტრი გადატანილი უნდა იქნეს არა პრობლემის გადაწყვეტის გარეგან ფორმაში, არამედ მის არსებით სოციალ-ეკონომიურ შინაარსში. „დროების“ მოწინავეში ვკითხულობთ: „ჩვენი აზრით, ამჟამად არაფერზე არ უნდა გვქონდეს ჩვენ ისე მიქცეული ყურადღება, როგორც ამ გლეხების ნადელის საქმეზე, ჩვენი ქვეყნის მომავალი კეთილდღეობა იმაზეა დამოკიდებული—ექნება ჩვენი ხალხის მომეტებულ ნაწილს მიწა-წყალი, სახლკარი, ერთი სიტყვით, თავის საკუთრება თუ არა. თუ ამ მომეტებულ ნაწილს სამყოფი ადგილ-მამული ექნება, მაშინ ჩვენში დამკვიდრდება კეთილ-დღეობა. თუ არა—ხვირი არ დაგვეყრება.[2]

როგორც აღვნიშნეთ, ისტორიულ-ობიექტურ-ეკონომიურ პირობების გამო გლეხის გამამულიანება და მისი განთავისუფლება მემამულის კაბალურ მდგომარეობისაგან ჩვენში სამრეწველო ბურ-

[1] ნ. სკანდელი, რა რიგათ მოიპოება მიწა-წყალი—„სასოფლო გაზეთი“ № 2. გვ. 2, 1871 წ.

[2] იხ. „დროება“ № 24, 1870 წ. მეთაური წერილი.

ჟუაზიის ინტერესსაც შეადგენდა და ამიტომ რადიკალური ინტელიგენცია შეგნებითა თუ შეუგნებლად ასახავდა ამ ბურჟუაზიის მისწრაფებებს. თავის წერილში ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ მემამულეთა ხელში მიწის დაგროვება იწვევს მიწის სიძვირესა, ღალის საგლეხო-საბეგრო გადასახადის გადიდებასა და ამით გლეხის ეკონომიურად სავსებით დამონებას მემამულისაგან. სამრეწველო კაპიტალის ინტერესიც სწორედ ის იყო, რომ გლეხს „თავისი შრომის ნაყოფი“ თვით შერჩენოდა, განთავისუფლებულიყო მემამულის ზედმეტი ბეგარისაგან და ეკონომიურად თავისუფალი გლეხი სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალის საექსპლოატაციო ობიექტათ გადაქცეულიყო. ისტორიულად გლეხთა და აგრარული საკითხის ამ სახით მოწესრიგებაში ერთი მეორეს ეჯახებოდა მემამულე-თავად-აზნაურობისა და კაპიტალისტური ურთიერთობის ინტერესები; პირველი საბეგრო-საბატონო სისტემის განმტკიცებით კვლავ ცდილობდა გლეხი თავის კაბალურ მდგომარეობაში დაეტოვებია და ამით უზრუნველეყო თავისთვის სხვისი შრომისა და ამ შრომის ნაყოფით არსებობა. მემამულეთა ამ მისწრაფებას სავსებით აკმაყოფილებდა ის იურიდიულ-ეკონომიური პირობები, რომელშიც ჩაყენებული იყო ჩვენი გლეხობა რეფორმის შემდეგ პერიოდში,— განსაკუთრებით, დროებით-ვალდებულთა და ხიზანთა ინსტიტუტები. მემამულეებიც ენერგიულად იბრძოდნენ ამ მდგომარეობის განმტკიცებისათვის, ხოლო თავისთავად ეს ინსტიტუტები აფერხებდენ ჩვენში ბატონყმურ-ფეოდალურ ნაშთების მოსპობის შესაძლებლობას და ეკონომიურ-სოციალურად ხელს უშლიდა სამრეწველო კაპიტალისტურ ურთიერთობის განვითარებას ჩვენი სოფლის მეურნეობაში. ამაში გამოიხატებოდა ამ წოდების ეკონომიური მისწრაფების კონსერვატულ-რეაქციონური მხარე. წინააღმდეგ, სამრეწველო ბურჟუაზიის პოლიტიკა უფრო რადიკალური და პროგრესიული იყო იმდენად, რამდენადაც მისი ეკონომიური ინტერესები მოითხოვდა ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების აღმოფხვრას სოფლად, მოითხოვდა გლეხის განთავისუფლებას მემამულის კაბალისაგან და მის თავისუფალ მწარმოებლად გადაქცევით გლეხობის საერთო სავაჭრო-კაპიტალისტურ ურთიერთობაში ჩაბმას; ამ პოლიტიკით ბურჟუაზიას სურდა გლეხი თავის საექსპლოატაციო ობიექტად გადაექცია და ის ზედმეტი შრომის ნაყოფი, რომელსაც ბეგარისა, იჯარისა და სხვა სახით გლეხობისაგან ითვისებდა თავად-აზნაურობა, ბურჟუაზიის ჯიბის გასაძლიერებლად წასულიყო.

ნიკოლაძის მთელი აგრარული პოლიტიკა გამომხატველი იყო სამრეწველო-კაპიტალისტური განვითარების ამ ტენდენციისა და

არსებითად ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურებოდა. ისტორიულ-ობიექტური პირობების გამო იმდენად, რამდენადაც მისი პროგრამა მოითხოვდა ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების აღმოფხვრას სოფლად და გლეხის თავისუფალ მწარმოებლად გადაქცევას—სოციალ-ეკონომიურად ამის შედეგი იქნებოდა კაპიტალისტური ურთიერთობის შეჭრა-სასოფლო მეურნეობაში და მთელი ჩვენი ცხოვრების სწრაფად განვითარება ახალი გზით.[1] ამაში იმარხება ნიკოლაძის აგრარული პროგრამის პროგრესიული მხარე. ამრიგად გლეხთა საკითხის წამოყენებითა და აგრარული პროგრამის შემუშავებით ნიკოლაძემ ჩვენი მაშინდელი ცხოვრების ერთ-ერთ კარდინალურ პრობლემას მიაქცია ყურადღება და არსებითად იგი იმ სახით გადასწყვიტა როგორც ამას ახალი, კაპიტალისტური ცხოვრების ტენდენცია და მისი ეკონომიური საჭიროება მოითხოვდა.

3. საბანკო პოლიტიკა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც თავსამტვრევ ამოცანად გადაექცა ინტელიგენციას ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოში—ეს ბანკის საკითხი იყო. როგორც უკვე ცნობილია, ბატონყმობის გაუქმებით ქართველ თავად-აზნაურობას ხელიდან გამოეცალა ერთ-ერთი მათი მასაზრდოებელი წყარო; ასე თუ ისე გლეხი ფორმალურად განთავისუფლდა ბატონის უღლისაგან და ამით მემამულეს ეკონომიური მდგომარეობაც შეიცვალა. აი, ასეთს კრიტიკულ პირობებში დ ი მ. ყ ი ფ ი ა ნ მ ა წამოაყენა საკითხი სათავად-აზნაურო ბანკების დაარსების შესახებ.[2] ამ ბანკების საშუალებით ცდილობდა დ. ყიფიანი გადაერჩინა თავად-აზნაურობა საბოლოო განად-

---

[1] აი რას სწერდა იგი 1871 წ. ჩვენი სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის და მისი შემდეგი განვითარების შესახებ: „მეცხრამეტე საუკუნეში, ჩვენ სწორეთ იმ იარაღს ვხმარობთ მეურნეობაში, რომელიც ნოეს წარღვნის დროს თავის კიდობანში გადაურჩენია, და იმავე წესით ვხნავთ, ვთესთ, მოსავალს ვიყვანთ, როგორც ნოეს დროს. იმ საქმეს, რომელსაც ევროპაში და რუსეთში ორი კაცი უნდება, ჩვენში—ზოგი უფულობის და უფრო მეტი უმეცრების გამო—ოცი და ოცდაათი კაცი აკვდება; იმ მიწიდან, რომლიდგანაც ხეირიანი მემამულე რუსეთში და სამზღვარს გარეთ ათ საპანე ღვინოს ან პურს მოიყვანდა, და თან ბალახითაც ისარგებლებდა ან სხვა წვრილმანი საგნებით, ჩვენში მეოთხედ საპანეს ძლივს იღებენ... ჩვენმა საზოგადოებამ რომ ხეირიანი იარაღი, თესლები და სხვა სამეურნეო მოწყობილობა გამოიწეროს, და ფულის მეორე მეოთხედი ხეირიანი ნიჭიერი ყმაწვილების ხეირიანათ სამეურნეო ნაწილში ასახდელათ მოიხმაროს, ხუთიათი წლის შემდეგ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე გაათდებოდა მაინც, თუ არ გაოცდებოდა.“ (ნ. სკანდელი, ჩვენი ახალგაზრდობა—„კრებული“ № 2. გვ. 182—84, 1871 წ.)

[2] ეს საკითხი ვრცლად განხილულია ჩემს მონოგრაფიაში დიმიტრი ყიფიანის შესახებ.

გურებისაგან და შეენარჩუნებინა მისთვის თავისი ძველი ეკონომიური-მატერიალური უპირატესობა და წოდებრივი პრივილეგიები. ბანკის დაარსების საქმეს აღფრთოვანებით შეეგება ახალი თაობის ინტელიგენცია და მისი ორგანო გაზ. „დროება“, რომელიც 1866 წლიდან გ. წერეთლის რედაქციით გამოდიოდა. ამ ინტელიგენციის საბანკო პროგრამა განსხვავდებოდა თავად-აზნაურთა საბანკო პოლიტიკისაგან. 1897 წ. გ. წერეთელი სწერდა: „საკრედიტო დაწესებულებათა შორის ის (ახალი თაობის ინტელიგენცია) ეწინააღმდეგებოდა თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის დაარსებას. ამის მაგიერათ ის ურჩევდა მოკლევადიანი სამრეწველო ბანკების წესწყობილებას. ამასთან ამ დასმა წამოაყენა წინ სასოფლო და საქალაქო სამრეწველო კრედიტი და ერთი ამგვარი წვრიმანი ბანკი კიდეც დაარსა იმ დროს თფილისში წვრიმან მოვაჭრეთათვის“.[1]

ნ. ნიკოლაძემ მხურვალე მონაწილეობა მიიღო 70-იან წლებში საბანკო საკითხების გარშემო გამართულ პოლემიკაში. პირველად მთელ რიგ წერილებში გაარკვია მან ბანკის დანიშნულება და მისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებისა და ეკონომიური ურთიერთობის წარმატების საქმეში. შემდეგ 1873 წლიდან იგი დაუცხრომელ პოლემიკას აწარმოებდა ჯერ ქუთაისის ბანკის მეთაურის ბ ე ს. ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ი ს წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ (1878 წ.) ტფილისის ბანკის მეთაურის — ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს წანააღმდეგ.

როდესაც ეცნობით ნ. ნიკოლაძის საბანკო პოლიტიკას და ითვალისწინებთ ყველა იმ მომენტებს, რომელსაც იგი აყენებს ბანკის საკითხში,—თქვენთვის ნათელი ხდება, რომ ამ გეგმებში წამოყენებულია, როგორც წმინდა უტოპიური ხასიათის დებულებები, ისე რეალური მოსაზრებანი. ნ. ნიკოლაძის საბანკო პოლიტიკაში შეიძლება შემდეგი ძირითადი მომენტები იქნეს აღნიშნული:

1. ბანკი ნ. ნიკოლაძეს მიაჩნია ჩვენი ეკონომიური ცხოვრების წინწამწევ უდიდეს ფაქტორად. იგი ფიქრობს, რომ ბანკის დაარსებით სწრაფი ნაბიჯით წაიწევს წინ ჩვენი საწარმოო ძალები და განვითარდება სამრეწველო ურთიერთობა. 1872 წელს იგი სწერდა:

...„დღეს მთელი ჩვენი ადგილ-მამულის შემოსავალი ძლივს აუდის ჩვენი საზოგადოების ვალების სარგებლის გარდახდას. ეს სამწუხარო მდგომარეობა დიდ ხანს ვერ გაგრძელდება. პოლიტიკური ეკონომიის და საზოგადოების ცხოვრების კანონები იმრიგათვე აუცილებელი და შეურყეველი არიან, როგორც თვით ბუნების კანონები. როგორც ამ ბუნების კონონების ძალით, კაცი რამდენიმე წამის მეტს

---

[1] იხ. „კ ვ ა ლ ი“ № 46, 816, 1897 წ.

ვერ გასძლებს წყალში რომ თავიანათ ჩაიყურყუმალოს, აგრეთვე ვერც საზოგადოება და ვერც კერძო პირი ვერ იცხოვრებს დიდხანს ვალის აღებით, თუ მისი შრომის ან მამულის შემოსავლისაგან, ვალის სარგებლის გარდახდის გარდა, იმოდენა კიდევ არ დარჩა, რომ თავის საკვებათ ჰყოფნიდეს. ყოველთვინ, როცა აღებული ვალი ვალის ამღების მამულს არ აუმჯობესებს, ესე იგი, იმის შემოსავალს არ ადიდებს, ვალი კაცის დამღუპველია... ჩვენი საზოგადოების დღევანდელი მდგომარეობა ამ მოკლე ხანში უნდა შეიცვალოს... ჩვენს საზოგადოებას ამ მოკლე ხანში ან სრული ეკონომიური დაღუპვა ელის, ანა და ნელნელი და მძიმე გამომთელება, ყუათზე და ღონეზე მოსვლა,—ესე იგი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.“ [1]

ნიკოლაძემ კარგად იცოდა, რომ „ეკონომიურ ცხოვრებისათვისაც მოძებნილია და გამოკვლეულია სხვადასხვაგვარი საშუალებები გაჭირვებულ მდგომარეობაში გამოსაყენებლად.“ ერთ-ერთ ასეთ საშუალებად მას მიაჩნდა ბანკი. ერთ თავის რუსულ წერილში იგი სწერდა: „Кредит благотворен и полезен как сила к увеличению производительности страны. Он—средство и, как всякое средство, стоит в прямой зависимости от цели, к которой должен вести.“ [2] ამრიგად, ნიკოლაძის გაგებით ბანკმა და კრედიტმა ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ვაჭრობის, ჩვენი მრეწველობის, ჩვენი ფაბრიკებისა და ქარხნების განვითარებას; უკეთ რომ ვსთქვათ,—ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას უნდა ემსახუროს. 1872 წელს იგი სწერდა:

„ჩვენ ქვეყანაში ფული არ არის.—ეს, თუმცა სამწუხარო ჭეშმარიტებაა, მაგრამ მაინც ჭეშმარიტებაა. ჩვენ ქვეყანაში რაც ფულია, ის ჩვენ საკუთარ მოთხოვნილებას, ჩვენ ძუძუ-მწოვარ აღებმიცემობას და ცხოვრებას არ ყოფნის. მაშასადამე ჩვენ ბანკს არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ აქ, ჩვენ ქვეყანაშივე, იშოვის იმ ფულს, რომელიც სჭირია ჩვენი საზოგადოების უმეტეს ნაწილს. ეს ფული ბანკმა უნდა გააჩინოს. დიახ, გააჩინოს, ესე იგი მოგვგვაროს საიდანაც მოახერხებს, შორიდამ თუ ახლოდამ, როგორც იმას და ჩვენ უფრო ხელს მოგვცემს. მაშასადამე, ჩვენი ბანკის პირველი ნაბიჯი, პირველი ხელის განძრევა იმაში მდგომარეობს, რომ მოიწვიოს ფული, დაანახოს ფულის პატრონებს, რომ იმათი ფული იმათ სარგებელს მისცემს და არც დაიკარგება.“ [3]

[1] ნ. სკანდელი, ბანკის საქმე—„კრებული“ № 6, გვ. 163—64. 1872 წ.
[2] იხ. „Тифлисский Вестник“ № 92, 1875 წ.
[3] იხ. კრებული № 6, გვ. 187, 1872 წ.

ასეთს ამოცანას უსახავდა ბანკს 70-იან წლებში ნიკოლაძე. უდავოა, რომ ეს პროგრამა ბურჟუაზიული ხასიათისა იყო და შემდეგში მისი საბანკო პოლიტიკაც ამ გზით განვითარდა. როდესაც ნიკოლაძემ თავი გაითავისუფლა 60-იანი წლების „უტოპიურ აზრებისაგან,“ იგი ბანკში ნათლად და გარკვევით ხედავდა ბურჟუაზიულ დაწესებულებას და იგიც ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების უმთავრეს ფაქტორად მიაჩნდა. 1894 წ. ერთ თავის მიმოხილვაში იგი სწერდა:

„უპირველესი საგანი საადგილ-მამულო ბანკის ზედმოქმედებისა მეურნეობაზე და წარმოებაზე ის გახლავსთ, რომ გონიერ მეურნეს გაუადვილოს და გაუიაფოს მეურნეობის გაუმჯობესება... მეორე მხარე საქმისა,—იმაში მდგომარეობს, რომ ბანკს უფლება და საშვალება ჰქონდეს ხანგრძლივი კრედიტი გაუხსნას იმ ამხანაგობებს თუ სინდიკატებს, რომელნიც შესდგებიან სხვადასხვა წარმოებების საერთოდ წასაყვანად, ანდა წარმოების საერთოდ გასაძღოლად.“ [1]

ზ 70 წ. ბანკის როლის შესახებ ნიკოლაძე სწერდა:

„მაშინ ბანკის ფული კუდაბზიკაობაში და პრანჭიაობაში კი არ დაიხარჯება — ის მოხმარდება მხოლოდ ქარხნების გამართვაში, მამულების გაუმჯობესებაში, ნამუშევრის გასასაღებლად გადატან-გადმოტანაში. მაშინ ბანკის შემოსავალი დაეხმარება ტეხნიკურ სწავლის გავრცელებას თავის მხრით, გააერთიანებს როგორც ბანკის შემოსავალს, აგრეთვე მთელი ქვეყნის სიმდიდრეს, ძალას და ბედნიერებას.“ [2]

როგორც ქვევით დავინახავთ, 80-იან წლებიდან ნ. ნიკოლაძემ გარკვევით შეითვისა ბურჟუაზიული პროგრამა და სავსებით გაითავისუფლა თავი „ბუნდოვან ასოციაციურ თეორიებისაგან.“ მისმა საბანკო პოლიტიკამაც გარკვეული და ნათელი ბურჟუაზიული შინაარსი მიიღო.

2. მაგრამ ამ წმინდა ბურჟუაზიულ პროგრამის გვერდით 70-იან წლებში ნ. ნიკოლაძე ბანკს უტოპიური გეგმების განხორციელებასაც ავალებდა. ერთი მხრივ იგი ფულის „მოზიდვასა,“ მრეწველობისა და აღებ-მიცემობის განვითარებას აკისრებდა ბანკს. მეორე მხრივ, ვაჭრობისა და თავისუფალი ეკონომიური საქმიანობის შეზღუდვასაც ავალებდა იმავე ბანკს. 1876 წელში ილ. ჭავჭავაძესთან კამათის დროს იგი სწერდა:

„ამავე თეორიით ბანკის საქმეშიაც, საზოგადოებრივი ბანკები იმისათვის არიან დაარსებულნი, რომ ურთიერთის შეერთებით და

---

[1] ნ. ნიკოლაძე, გამარჯვება ავალებს...—„მოამბე“ № VI გ. 171—72 1894 წ.

[2] იხ. „დროება“ № 19, 1870 წ. წერილი, ჩვენი საზოგადო საქმეები.

თავდებობით თანხა და ნდობა მოიპოვონ, და დაიხსნან გაჭირვებული ხალხი ჩარჩების და კაპიტალისტების ხელიდამ. მეორეს მხრით ბანკები გამართული აქვთ თვითონ კაპიტალისტებსაც, რომ „წესიერათ," „კანონიერათ" სცარცვონ ხალხი... საზოგადო მეცნიერებამ გამოიგონა საზოგადოებრივი ბანკები სწორეთ იმისათვის, რომ დაარღვიოს აღებ-მიცემობის თავისუფლება იმ ვაჟბატონებისა, რომელნიც ხალხს სცარცვადნენ, და არა იმისათვის, რომ ამ ვაჟბატონებს ხელი გაუწყოს თავისუფალ გლეჯაში და ცარცვაში. როცა ჩვენი ბანკების წესდებები სდგებოდნენ, მაშინ უფ. ჭავჭავაძეს და ღოღობერიძეს გაცნობილი რომ ჰქონოდათ საზოგადოებრივი მეცნიერება, ისინი უსათუოთ ისე შეადგენდნენ ბანკის წესდებებს, რომ ბანკი გამოდგომოდა ჩვენს საზოგადოებას, თავად-აზნაურობას, ხალხს, ესე ი ი იმათ, ვისაც ფული ჭირიათ, და არა იმ ოციოდე პირთ, რომელნიც ფ უ ლ ს ი ღ ე ბ ე ნ გ ა ს ა ს ე ს ხ ე ბ ლ ა თ. საუბედუროთ, რადგანაც იმათ არ სცოდნიათ ეს მეცნიერება, რადგანაც იმათ დღეს ჭეშმარიტებათ მიაჩნიათ ის, რაც ამ ოცდაათი წლის წინათ მეცნიერებამ დაარღვია და სავნებლათ იცნო, რაღა გასაკვირველი უნდა იყოს, რომ დღეს უფ. ჭავჭავაძეს ჩემი აზრები სასაცილოთ მიაჩნია... ეს გახლავთ მხოლოდ მიზეზი ჩვენი უთანხმოებისა: უფ. ჭავჭავაძე ეკუთვნის იმ მიმართულებას, რომელიც ამ ოცდაათი წლის წინათ სუფევდა მეცნიერებაში. მე ყოველთვის, ყველგან, ყველაფერში ვებრძოდი ამ მიმართულებას, ამიტომ რომ ვეკუთვნი „საზოგადოებრივ" მიმართულებას, რომელმაც მეცნიერებაში კაი ხანია სრულებით დაამარცხა ბურჟუაზიული მიმართულება." [1]

ამ ვრცელი ციტატიდან ნათელი ხდება მკითხველისათვის, რომ ნიკოლაძეს სურდა ბანკისათვის სოციალური ცხოვრების ორგანიზატორის როლი დაეკისრებია და გადაექცია იგი ასოციაციური პრინციპის გამტარებლად ჩვენს ცხოვრებაში. რასაკვირველია, ეს უტოპია იყო და არსებითად ეწინააღმდეგებოდა იმ გეგმას, რომელსაც იგივე ნიკოლაძე აკისრებდა იმავე ბანკს. აქ ნათლად სჩანს მისი სამოღვაწეო გეგმის გაორება: ერთი მხრივ ბურჟუაზიულ ურთიერთობის ნიადაგზე დგომა, მეორე მხრივ—„სოციალური" თეორიების დაცვა. დიდ ხანს ამ მდგომარეობაში ყოფნა შეუძლებელი იყო და ბოლოს „ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ მ ა ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე მ" სძლია „ასოციაციური თეორიების" უტოპიზმი. როგორც ვთქვით, იგი შემდეგში დიდ ყურადღებას აქცევდა მრეწველობის განვითარების საქმეს საქართველოში და ბანკსაც დიდი როლი უნდა ეთამაშნა ამ მიმართულებით, ე. ი. ხელი

[1] ნ. ნიკოლაძე, მრუდე გამოსარჩლება—„დროება" № 47, 1876 წ.

უნდა შეეწყო ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისათვის.

3. ნ. ნიკოლაძის საბანკო პროგრამას მესამე პრაქტიკული მნიშვნელობა რეც ჰქონდა. ერთი მხრივ, იგი ცდილობდა, რომ ბანკს ხელი შეეწყო მიწების გლეხობაზე გადასვლისათვის, მეორე მხრივ—ბანკს ხელი უნდა შეეწყო იმ საქმისათვის, რომ ქართველი ხალხის მიწა-წყალი არ გადასულიყო უცხოელების ხელში. აქ უკვე სჩანდა საბანკო საქმესთან ნაციონალური მომენტის დაკავშირება. იმავე წელში იგი სწერდა:

„ბანკის დაარსების უმთავრესი მიზანი და საფუძველი ჩვენში ის იყო, რომ თუ ჩვენ არ გვექმნა ჩვენი საკუთარი ბანკი, ჩვენთვის და ჩვენ მიერ დაარსებული, მთელი ჩვენი მამულები ხელიდამ წაგვივა და სხვას დარჩება. მარტო ამ ჰკუიანურმა მოაზრებამ გაუკვლია ჩვენში გზა ამისთანა მძიმე და უცნობ საქმეს, როგორიც ყველგან საზოგადოებრივი ბანკის დაარსებაა. მაშასადამე, უმთავრესი მიზანი ბანკის წესდების შემდგენელისა ამაზე უნდა ყოფილიყო მიზმანებული, რომ ჩვენი მამულები ხელიდან არ წაგვივიდეს და ჩვენვე დაგვრჩეს. ამ უმთავრეს მიზანშია მეორე, აგრეთვე მძიმე და საჭირო მიზანი: ბანკის შემოსავალი უნდა მოხმარდეს ჩვენი საზოგადოების საჭიროებას: მის შკილების აღზრდას, განათლებას, მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვა.“ [1]

ზევით ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორ სჭრიდა აგრარულ საკითხს 70-იან წლებში ნიკოლაძე და როგორ როლს ანიჭებდა ამ საკითხის მოწესრიგებაში სახალხო ბანკებს. როდესაც დაარსდა სათავად-აზნაურო ბანკები, ნიკოლაძემ საზოგადოების არსებითი ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზედაც, რომ ამ ბანკს ეზრუნა გლეხთა საკითხის მოწესრიგებაზე საქართველოში. იმავე ილ. ჭავჭავაძის წინააღმდეგ მიმართულ თავის წერილში იგი სწერდა:

„ეფიქრნათ უფ. ჭავჭავაძეს და ბ. ღოღობერიძეს ამ საგანზე, შეედგინათ ცალკე წესი მამულების გამოყიდვაზე სახლის-კაცების, მეზობლების—ან გლეხების შეერთებით, დაეწესებიათ მთელი სოფლის ან უბნის მცხოვრებლების დამოკიდებულება ბანკთან... უფრო ვნახავდით მაშინ, უცხო ქვეყნელებს დარჩებოდათ ჩვენი მამულები, თუ ჩვენებურებს. იმას მაინც ვერ იტყვის უფ. ჭავჭავაძე, რომ გლეხები სიხარულით არ ყიდულობდნენ მიწებს, ყოველთვის, როცა ფასის განაწილება და რამდენიმე წლის ვადით გარდახდა შეუძლიანთ?..

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ქუთაისის ბანკის საქმე—„დროება“ № 35 1876 წელი.

გაუადვილოთ სახლი-კაცებს და გლეხებს ფულების გარდახდა, გავანაწილოთ გარდასახადი ცალ-ცალკე თითოეულ კაცზე, გაუადვილოთ სოფლელებს ან უბნებს ამხანაგობების შედგენა და ამხანაგობით მამულის ყიდვა, და ვნახოთ მაშინ, ვინ უფრო მეტ ფასს მისცემს გარეშე, თუ მეზობელი.“ [1]

ნიკოლაძეს კარგად ესმოდა, რომ ქართველი თავად-ზნაურობა ვერ შეინარჩუნებდა მიწას და იგი აუცილებლად უნდა გადასულიყო სხვა ნაწილების ხელში, მასთანვე მის პრინციპიალურ შეხედულებას შეადგენდა ის, რომ მიწა მიწის მუშის ხელში ყოფილიყო. მაგრამ ბანკის დაუხმარებლად, გაღატაკებული გლეხობა ვერ შესძლებდა მიწის პირდაპირ, უშუალოდ თავად-აზნაურობისაგან შეძენას, იგი პირველად გამდიდრებულ ვაჭრების ხელში გადავიდოდა და შემდეგ მათგან დაწინაურებულ გლეხთა ხელში. ბანკს შეეძლო ეს პროცესი დაეჩქარებია და ხელი შეეწყო გლეხობაზე უშუალოდ ამ მიწების გადაცემისათვის. „ორიოდ-სამიოდე წლის შემდეგ ამ საქმის რაციონალური და ენერგიული წარმოებით,— სწერს ნიკოლაძე—დიდი ნაწილი მიწებისა, დანაწილებული, გადავიდოდა მიწის მომქმედთა წოდების ხელში, და ამით, ყოველგვარ შერყევის გარეშე განხორციელებული იქნებოდა ჩვენი ეპოქის ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი რეფორმა.“ [2]

ნიკოლაძის სურვილი, რომ აგრარული რეფორმა გაეტარებია სათავად-აზნაურო ბანკების საშუალებით და ამით ბანკი გაეხადა სოციალური ცხოვრების ერთ-ერთ რეგულატორად — აშკარა უტოპიზმი იყო. ჯერ ერთი უტოპიური და განუხორციელებელია საერთოდ ის დებულება, რომელიც ფიქრობს რომ ბანკს შეუძლია რაიმე მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საზოგადოებრივ ცხოვრების გარდაქმნისა და მოწესრიგების საქმეში, თუ ამასთან ერთად პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების შესაფერისი ცვლილებები არ მომხდარა აღნიშნული მიმართულებით; ცნობილია, რომ ბანკი მაშინ ხდება „სოციალურ ძალად,“ როდესაც ამისათვის მატერიალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში უკვე დაწყებულია შესაფერისი ტრანსფორმაცია და, რაც აუცილებელია, პოლიტიკური აპარატი,—სახელმწიფო ამ მიმართულებით აწარმოებს თავის მუშაობას. ნიკოლაძემ უტოპისტებიდან ისესხა ეს თავისი დებულება ბანკის მოვალეობის შესახებ. მაგრამ ამ თეორიის უტოპიური შინაარსი ამით არ მოსპობილა. უმთავრესად

---

[1] ნ. ნიკოლაძე—„დროება“ № 35, 1876 წ. მრუდე გამოსარჩლება—„დროება“ № 47, 1876 წ.

[2] Н. Николадзе, Наш год—Кавказский альманах“ 1877 г. под редакцией Шахтахтанского, გვ. 101—05. 1877 წ. იხ. აგრეთვე წერილი Будущность нашего кредита—„Обзор“ № 189, 190, 1878.

აღსანიშნავია ის, რომ ნიკოლაძე უტოპიურ საბანკო თეორიას უკავშირებდა სათავად-აზნაურო ბანკის საქმიანობას და ფიქრობდა, ამ ბანკის საშუალებით „შეეზღუდა ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის თავისუფლების პრინციპი," შეენელებია კონკურენცია და ხელი შეეწყო ასოციაციების განვითარებისათვის. ცნობილია, რომ ბანკი თავადაზნაურობამ თავის ინტერესებისათვის დაარსა, თავის კლასიურ წოდებრივი და ეკონომიური უპირატესობის შესანარჩუნებლად გამოიგონა. ასეთს შემთხვევაში ნიკოლაძის საბანკო პოლიტიკის შეგუების ცდა თავად-აზნაურობის ბანკის პრინციპების აშკარა ულოღიკობა იყო და ნიკოლაძის ეს ცდაც ჰაერში დარჩა გამოკიდებული.

მაგრამ რაც ცხოველი, პროგრესიული და ისტორიულად გამართლებული იყო ნიკოლაძის პროექტში ეს გამოიხატებოდა სამრეწველო ბანკების დაარსებასა და საგლეხო ბანკების გახსნაში. ეს უკანასკნელი ბანკი იაფი კრედიტის მიწოდებით დახმარებას აღმოუჩენდა გლეხობას მიწის შეძენაში და რამოდენადმე გაუადვილებდა მას მძიმე ეკონომიური მდგომარეობის წინააღმდეგ ბრძოლას. როგორც დავინახეთ ამ მიმართულებითაც აწარმოებდა ნიკოლაძე თავის პრაქტიკულ მუშაობას და სწერდა პუბლიცისტურ წერილებს. ჩვენი ეკონომიურ-სოციალური ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით სწორედ სამრეწველო და საგლეხო ბანკების დაარსების ცდა წარმოადგენს ინტერესს.

4. ბრძოლა თვითმართველობისა და ერობის შემოღებისათვის

როგორც უკვე ავღნიშნეთ რეფორმის შემდეგი პერიოდი ჩვენში ხასიათდება კაპიტალიზმის სწრაფი განვითარებით, რაც გამოიხატა რკინის გზების გაყვანაში, ქალაქის მცხოვრებთა ზრდაში და საქალაქო თვითმმართველობის შემოღებაში, ჩვენი აღებ-მიცემობის გაფართოებაში რუსეთისა და უცხოეთის ქვეყნებთან, შინაური ვაჭრობის გაძლიერებაში, ფაბრიკა-ქარხნების გამრავლებაში, სამთო-მადნო მრეწველობის განვითარებაში და სხვა. ამ ახალ ეკონომიურ ხასიათის ფაქტორებს თან უნდა მოყოლოდა „შესაფერისი" ცვლილებაც საზოგადოებრივ ზედნაშენშიაც, მართლაც რუსეთის „რეფორმების" დიდი ნაწილი საქართველოშიაც გაატარეს. როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც სახელმწიფოებრივი შენობა და მისი აპარატი თანდათან გადადიოდა პოლიციურ-თავად-აზნაურულ წყობილებიდან თავად-აზნაურულ-ბურჟუაზიულ წყობილებაზე, გლეხთა რეფორმის, სასამართლოს რეფორმების სოფლის მართველობის საქმეების, საქალაქო თვითმართველობის შემოღება ჩვენში უკვე საგრძ-

ნობ ისტორიულ მნიშვნელობის ფაქტებს წარმოადგენდა. მართალია ეს რეფორმები კუდშეკვეცილი და შევიწროვებული იყო, მართალია ისინი რადიკალურ ცვლილებებს ვერ იწვევდნენ ჩვენს ურთიერთობაში, ვერ უხსნიდნენ საკმარისად გზას კაპიტალისტურ-საზოგადოებრივ დამოკიდებულებას ჩვენში, მაგრამ ეს შეკვეცილი „რეფორმებიც“ ნათლად გამოხატავდა ჩვენი ცხოვრების წინმსვლელობას.

ნ. ნიკოლაძესა და მთელ ჩვენ ახალთაობის ინტელიგენციას კარგათ ესმოდათ ამ „რეფორმების“ მნიშვნელობა და მათი ხასიათი. ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ „რეფორმა“ ვერ შეეხო ჩვენი ცხოვრების ძირეულ საკითხებს და ვერ გარდაქმნა იგი რადიკალურად. ამიტომ ამიერ-კავკასიასა და საქართველოში, მისი აზრით, საჭირო არის არა მხოლოდ მართველი პირების შეცვლა, არამედ სერიოზული, რადიკალური გარდაქმნა თვით დაწესებულებებისა და წესწყობილების. „ჩვენი ცხოვრების ყოველ საკითხში,— დაწყებული გლეხთა საკითხიდან და დამთავრებული თვითმართველობის რთული საკითხებით, არ არის არც ერთი, რომელიც არ წარმოადგენდეს ფართო და კეთილშობილ სარბიელს სერიოზული და ღრმა რეფორმატორის წარმატებითი მოღვაწეობისათვის“ [1] სწერდა იგი. ამიტომ საჭიროა, ნიკოლაძის განმარტებით, ჩვენი ცხოვრების გარდაქმნა თვითმმართველობის საფუძვლებზე და მისი დახავსებული წესწყობილების აღმოფხვრა ჩქარის ტემპით წავიდეს წინ. აქეთკენ იყო მიმართული მისი სამოღვაწეო პროგრამა.

ჩვენი მრეწველობისა და ფაბრიკა-ქარხნების განვითარების საქმე თავიდანვე იპყრობდა ნიკოლაძის ყურადღებას. ის კარგად გრძნობდა, რომ ქვეყნის წინ წამწევი ძალა ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებაში გამოიხატებოდა, რომ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების აუცილებელი პირობა იყო ერის წარმატების და წინმსვლელობისათვის. მართალია თეორიაში ნიკოლაძე „ასოციაციურ პრინციპს“ ქადაგებდა, მაგრამ მისი პრაქტიკული საქმიანობა და პროგრამა „შეუფერავ“ კაპიტალიზმის განვითარებას უწყობდა ხელს. ხოლო ცნობილია, რომ 70-ან წლების დასაწყისში მან არსებითი ყურადღება მიაქცია ტყიბულის ქვანახშირის საქმეს და აქტიურად შეუდგა ამ მსხვილი სამრეწველო წამოწყების მოწესრიგებას. როდესაც ტფილისში გახშირდა ფაბრიკა-ქარხნების დაარსება, იგი მხურვალედ მიეგება ამ ფაქტს და აღნიშნა მათი დიდი მნიშვნელობა ჩვენი ცხოვრების წარმატებისათვის.[2]

---

[1] Н. Николадзе, Наш год—„Кавказский альманах“ გვ. 7-8, 1877 წ.

[2] იხ. მისი წერილი მირზოევის მატყლის საქსოვი ფაბრიკა ტფილისში—„დროების“ № 48, 1871 წ.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლაძე თეორიაში ებრძოდა ვაჭრობასა და კონკურენციას, პრაქტიკაში ახალი თაობის ინტელიგენციას პირდაპირ მოუწოდებდა ვაჭრობისათვის მოეკიდა ხელი. ნიკოლაძე ნათლად ხედავდა, რომ ჩვენში ვაჭრობა მახინჯ სახეს ღებულობდა და სპეკულიაცია ვითარდებოდა. აკრიტიკებდა რა იგი სასტიკად მაშინდელ ვაჭრობის წესს, ინტელიგენციის საყურადღებოდ სწერდა: „ეხლა მიბრძანეთ, რატომ არ იცის ჩვენმა ახალგაზრდობამ, რომ ეს ვაჭრობა კი არა, ღმერთმა იცის, რაა? როგორ არ იცის იმან, რომ ვაჭრობა იმაში მდგომარეობს, რომ მოხერხებული, აზრიანი, პატიოსანი კაცი ცდილობს შეიტყოს, რა ადგილს იშოვნება იაფათ რომელიმე საგანი, რა გზით უფრო სახეიროა ამ საგნის გადატანა, და რა საშუალებით შესაძლებელია ამ საგნის საჩქაროთ გასაღება, რომ მასში გაცემული ფული მალე უკან დაბრუნდეს და ხელმეორეთ ახალი საგნის მოპოებაში და მოტანაში გამოადგეს? რატომ არ იცის ჩვენმა ახალგაზრდობამ, რომ ვაჭრობა იმასაც კი უნდა ცდილობდეს, რომ ჩვენი ქვეყნიდან, ნაღდი ფულის მაგიერათ, ისეთი საგნები გაჰქონდეს, რომელთაც ჩვენში გასავალი არა აქვთ, მაგრამ სხვა ადგილებში კი კარგი ფასი ადევთ? რატომ არ იცის ამ ახალგაზდობამ, რომ ჩვენში ამისთანა საგნები ძლიერ ბევრია, და ჩვენი ქვეყნის სიკეთე იმას ითხოვს, რომ ამ საგნების გასასაღებელი ადგილი და გზა მოძებნოს ვაჭრობამ?.. უეჭველია, რომ ამ დანიშნულების ასრულებისათვის აუცილებლათ საჭიროა, რომ ვაჭრობას ხელი მოჰკიდონ ხეირიანმა, გონიერმა და ნასწავლმა პირებმა.“ [1]

აუცილებლად აღსანიშნავია ეს მოწოდება ინტელიგენციისადმი მიმართული. ნიკოლაძე აქ პირდაპირ აღიარებს, რომ ვაჭრობა და მისი საქმის წესიერად მოგვარება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საერთო ცხოვრების წარმატებისა და ეკონომიური ძლიერების მოსაპოებლად.

70-იანი წლების უკანასკნელი ხანებში იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მრეწველობის განვითარების საქმეს საქართველოში და ამიერ-კავკასიაში. არა ნაკლები ინტერესით სწერდა იგი სავაჭრო და სამრეწველო ბანკების გამოყენების საქმეების შესახებ ჩვენი მრეწველობის წარმატებისათვის. მას უდიდეს მნიშვნელობის ფაქტორად მიაჩნდა რუსეთისა და ევროპის კაპიტალის შემოჭრა საქართველოში. ნიკოლაძე დარწმუნებული იყო, რომ ღარიბი და ჩამორჩენილი საქართველო ვერ შესძლებდა თავისი საკუთარი რესურსებითა და კაპიტალით იმ დიდ ეკონომიურ ბრძოლაში წარმატების

[1] ნ. სკანდელი, ჩვენი ახალგაზრდობა—„კრებული“ № 2, გვ. 186—88, 187!წ.

მიღწევას, რომელიც აღმოცენებული იყო საერთაშორისო კაპიტალის საფუძველზე. აქედგან წარმოსდგა მისი სამრეწველო პროგრამაც: გამოყენება უცხოეთისა და რუსეთის კაპიტალისა ჩვენი საწარმოო ძალების განვითარების საქმეში ისე, რომ ამ კაპიტალმა არ გადააქციოს ჩვენი ქვეყანა უბრალო კოლონიალურ სფეროდ და არ მოახდინოს მისი ექსპლოატაცია აქედან ნედლი მასალის გატანითა და თავის ქვეყნიდან საქონლის შემოტანით.

აღსანიშნავი არის ნიკოლაძის სავაჭრო და სამრეწველო გეგმები რუსეთ-ოსმალეთის 1877—78 წლების ომთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ომმა დიდათ შეუწყო ხელი ამიერ-კავკასიის ეკონომიურ განვითარების საქმეს, ხოლო ომის შედეგები უფრო საინტერესო გახდა ჩვენი ეკონომიური წარმატებისათვის: ბათომის შემოერთებითა და შავ ზღვაზე რუსეთის პოლიტიკური წონის გადიდებით—ფართო გზა გაეხსნა რუსეთის სავაჭრო ურთიერთობას უცხოეთის ქვეყნებთან და ამიერ-კავკასიაც ფართოდ ჩათრეული იქნა ამ ეკონომიურ ურთიერთობაში. ამ პერიოდიდან უფრო სწრაფი ნაბიჯით განვითარდა ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობა.

ეს გარემოება თავიდანვე კარგად ესმოდა ნიკოლაძეს. თავის ცნობილ „Обзор"-ში არა ერთი და ორი წერილი უძღვნა ზემოდ აღნიშნულ ფაქტებს. ერთს თავის საინტერესო წერილში იგი ამტკიცებს, რომ შავ ზღვაზე რუსეთის გაბატონება და ბათომის შემოერთება ხელს შეუწყობს რუსეთის ეკონომიურ განვითარებას, ვაჭრობის მრეწველობისა და მიწადმოქმედების აყვავებას, ხოლო ეს გარემოება თავის მხრივ გამოიწვევს ამიერ-კავკასიის ეკონომიურ წარმატებას.[1] მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლაძე თეორიულად თითქოს ებრძოდა კერძო ვაჭრობის განვითარებასა და მის შეზღუდვას მოითხოვდა, არსებითად მისი სამოღვაწეო პრაქტიკული პროგრამა ამ ვაჭრობის განვითარებისათვის იყო მიმართული, სავაჭრო გზების ძებნასა და საშუალებებს ემსახურებოდა.[2] ბათომის შემოერთების საქმემ მასში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ხელმძღვანელობდა არა მხოლოდ ვიწრო ნაციონალისტური თვალსაზრისით, როგორც მაგალითად, დიმ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი, ილ. ჭავჭავაძე და სხვები იხილავდენ ამ საკითხს, არამედ ფართო ეკონომიური პერსპექტივების თვალსაზრისით იხილავდა ამ მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს.[3]

[1] იხ. მისი წერილი, Значение черного моря для России и владения Батумом для Черного моря—„Обзор" № 176, 177, 1878 წ.

[2] იხ. მისი წერილები Экономическое значение торговых городов. Транзит и его значения (№ 276—237)—„Обзор -ში 1878 წ. (№ 179), Судостроение и колонизация на черном море (№ 180), Торговое значение русских морей (220).

[3] იხ. წერილი, Батум и Поти, „Обзор", № 221, 1878 წ.

მისთვის ბათომის შემოერთება დასაწყისი იყო ჩვენი ეკონომიური ცხოვრების აყვავებისა და წარმატებისათვის.

როგორც მკითხველი ხედავს, ამ პრაქტიკულ ხასიათის წერილებში ნათლად სჩანს ნ. ნიკოლაძის ეკონომიური მისწრაფების ბურჟუაზიული ხასიათი. ამ შემთხვევაშიაც ჩვენი ცხოვრების ისტორიულ-ეკონომიურმა მოთხოვნილებამ ძირი გამოუთხარა მის „ასოციაციურ“ უტოპიურ თეორიებს და მისი სამოღვაწეო პროგრამაც ობიექტიურ ცხოვრების ისტორიულ-პრაქტიკულ მოთხოვნილებებს შეუფარდა. ასე ხდებოდა ნიკოლაძის გადასვლა უტოპიურ თეორიიდან ბურჟუაზიის პრაქტიკულ სამოღვაწეო პროგრამის ნიადაგზე. როგორც ქვევით დავინახავთ, შემდეგ პერიოდში ნ. ნიკოლაძის აზროვნება და მისი სამოღვაწეო პროგრამა სწორედ ამ უკანასკნელი მიმართულებით განვითარდა.

არა ნაკლებ ინტერესს იწვევს ნ. ნიკოლაძის პროგრამა და მისი წერილები ქალაქის თვითმმართველობის, ერობისა და სოფლის თვითმართველობის საქმეების შესახებ. უდავოა, რომ ჩვენი ახალი თაობის ინტელიგენცია 60—70-იან წლებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თვითმმართელობის საქმეს. თვითმმართველობის განვითარება საზოგადოებაში—ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნილება იყო ნიკოლაძის სამოღვაწეო პროგრამისა.

როგორც ცნობილია, 1864 წელში რუსეთში შემოიღეს ერობა. მიუხედავად თავისი კლასიური წოდებრივი შინაარსისა, მას მაინც ჰქონდა მნიშვნელობა რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიერკავკასიასა და კერძოდ საქართველოში ეს კუდშეკვეცილი ერობაც კი არ შემოუღიათ. ნ. ნიკოლაძე მთელ რიგ წერილებში აყენებდა ერობის შემოღების საკითხებსა და აღნიშნავდა მის დიდ მნიშვნელობას ჩვენი ცხოვრების წარმატების საქმეში. 1871 წ. მან სპეციალური წიგნაკიც გამოსცა ამ საკითხის შესახებ:

„საზოგადო საქმეები: ერობა, მისი დანიშნულება და წესდება,“ რომელიც წინასწარ დაიბეჭდა 1871 წ. ,,კრებულსა‘‘ და ,,სასოფლო გაზეთში‘‘ (№ 16, 17, 18). ამ წერილში ჩვენ ვკითხულობთ:

„...ერობას შეუძლია დაიქირაოს ვინც კი უნდა, სხვადასხვა ერობისათვის საჭირო საქმეების გასაკეთებლათ, შეუძლია გუბერნიის ან უეზდის სახელით ვალი აიღოს, შეუძლია ბანკის დაარსება, რკინის გზების გამართვა თავის საკუთრებათ ან... აქციების გამოშვებით, შეუძლია გამოსცეს წესდება და სხვადასხვა სახელმძღვანელო დარიგება ერობის სამსახურის დარიგებაზე... ეს დაწესებულება მეტის-მეტად სასარგებლოა საზოგადოებისათვის, თუ თვითონ ეს საზოგა-

დოება წინ დახედვით და გონიერად ირჩევს თავის წარმომადგენლებს ხეირიანი კაცის ხელში, როგორც გვიჩვენებს რუსეთის მაგალითი, ერობა ხალხის გამაბედნიერებელია... ყველა ადვილათ მიხვდება, რომ ჩვენ მდგომარეობაში ყველა ეს უფლებები ძლიერ შესანიშნავი და სანდომი არიან. და ეს მათი ღირსება ჩვენ თვალში უფრო გადიდდება, როცა ჩვენ გავიხსენებთ, რომ ერობის ყველაზე უფრო უძვირფასესი ღირსება ის არის, რომ ჩვენ საკუთარ საქმეს ჩვენვე გვავლევინებს, ჩვენ პატრონათ ჩვენვე გვხდის. ეს გარემოება მარტო ეს,—ეს არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ! გვამაღლებს კაცობის ხარისხამდე, ადამიანის ღირსებას გვაძლევს და გვაჩვევს უმჯობეს, კაცურ ცხოვრებას.“ [1]

რასაკვირველია, ნიკოლაძის იდეალს 70-იან წლებში არ შეადგენდა 1864 წლის თავად-აზნაურული ერობა. რამდენადაც შესაძლებელი იყო ცენზურულ პირობების გამო, იგი აკრიტიკებდა ამ ერობას და ხალხს უხსნიდა ნამდვილი დემოკრატიული ერობის მნიშვნელობას საერთო ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში. აი როგორ აგვიწერს იგი რუსეთის რადიკალური ინტელიგენციის საქმიანობას რუსეთის ერობებში: „ზოგიერთ ერობებში, სადაც — უმთავრესობა ან გავლენა ამ მიმართულების პირებს (მხედველობაში ნაროდნიკები ყავს.—ს. ხ.) ეკუთვნის, კიდეც დაწესებულია ერობის საშუალებით ხალხის სასარგებლოთ სხვადასხვა ამხანაგობების გამართვა და ბევრჯერ შესამჩნეველი დახმარება მისცემია იმ ამხანაგობებს (артели), რომელიც თვითონ გლეხებს გაუმართავთ. სხვაგან ერობის საშუალებით გამართულია სამაგალითო ქარხნები (ყველისა და კარაქის საკეთებელი, მაგალითად) რომლის შემწეობით გვარიანათ გაუმჯობესებულა გლეხკაცობის მდგომარეობა. ძლიერ ბევრ ადგილას შიმშილისა და სურსათის ნაკლულევანების დროს, ან სხვანაირ ხალხის გაჭირვებაში, ამავე მიმართულების პირებს ერობის მოქმედებისთვის ხეირიანი და პრაკტიკულათ სასარგებლო ხასიათი მიუციათ, ისე რომ გლეხ-კაცობას ერობის მხრივ ნამდვილი დამხმარება მისცემია და არა ის ვითომ — დახმარება, რომლის სახელით ზოგიერთ სხვა ერობებში ხალხს ატყავებდენ და უკანასკნელ ლუკმა-პურს სტაცებდენ ან აშხამებდენ.“ [2]

ასე სწერდა ერობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ნიკოლაძე 70-იან წლებში და უნდა ავღნიშნოთ, რომ არანაკლები ენერ-

[1] ნ. სკანდელი, ერობა, მისი დანიშნულება და წესდება — „სასოფლო გაზეთი“ № 18, 1871 წ.

[2] ნ. სკანდელი, რუსეთის ცხოვრება „კრებული“ № 5 — 6, გვ. 380 — 81. 1873 წ.

გიული თავდადებით იბრძოდა იგი 80—90-იან წლებში საერობო თვითმართველობის შემოღების შესახებ.[1] ამ მხრივ იგი ერობის ერთ-ერთ პატივისმცემელ და ენერგიულ მქადაგებლად უნდა ჩაითვალოს ჩვენში.

არა ნაკლებ ბრძოლას აწარმოებდა იგი როგორც პრესაში, ისე პრაქტიკულადაც ნამდვილი საქალაქო თვითმართველობის შემოღებისათვის. როგორც ცნობილია, რუსეთში ახალი საქალაქო დებულება გამოქვეყნებული იქნა 1870 წ. ჩვენში იგი გაატარეს 1874 წელს. ეს მნიშვნელოვანი აქტი იყო ჩვენს საქალაქო ცხოვრებაში მით, რომ ქალაქის ბურჟუაზიულ ნაწილს საშუალება ეძლეოდა აქტიური მონაწილეობა მიეღო ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრების მოწესრიგებაში. ნიკოლაძე სრულიად საფუძვლიანად სწერდა, რომ ამ ახალი დებულებით მოხდა... „Переход городского хозяйства от полиции в руки выборных граждан.“[2] ნიკოლაძის ბრძოლა ქალაქის თვითმართველობის გაჯანსაღების საქმეში ერთს შესანიშნავ ეპიზოდს წარმოადგენს ჩვენი ახალი თაობის ინტელიგენციის ისტორიაში. წინად, როგორც თვით ნიკოლაძეც მოწმობს, ქალაქის მართველობის საქმეში პოლიციური რეჟიმი მეფობდა. მაგრამ საქალაქო ცხოვრების განვითარებამ და ახალმა ბურჟუაზიული კლასის სწრაფმა ზრდამ ბუნებრივად გამოიწვია ახალი სისტემა ქალაქის მართველობის საქმეში. ახალი ინტელიგენცია, რომელიც თავისი საქმიანობითა და აზროვნებით ასე თუ ისე გამოხატავდა ბურჟუაზიის ინტერესებს, დაჟინებით მოითხოვდა ქალაქის თვითმართველობაში ენერგიული და მომზმედი პირების გაყვანას, რომელიც შესძლებდენ ქალაქის ეკონომიური და კულტურულ-საზოგადოებრივი საქმეების მოწესრიგებასა და მის განვითარებას სწორი გზით. იმავე ნ. ნიკოლაძის მოწმობით, წინად ქალაქის თავად გენერლებსა და საპატიო პირებს და ან მამულით მდიდარ პირებს ირჩევდენ;. დრომ მოიტანა, რომ საქალაქო საქმე ენერგიულ პირებს ჩაბარებოდათ,[3] ამ მიმართულებით განავითარა ნ. ნიკოლაძემ თავისი მოღვაწეობა და პოლემიკა ქალაქის თვითმართველობის გაჯანსაღებისათვის რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში. მისი წერილები „Тиф. Вестник“-ში[4] და „Обзор“-ში[5].

---

[1] იხ. მისი წერილი ერობის მნიშვნელობაზე 1897 წ., „მოამბე“-ში.

[2] იხ. მისი წერილი Задачи городского хозяйства—„Тифлисский вестник“ —№ 99, 1875 წ.

[3] იხ. მისი მოწინავე წერილი.—Новое обозрение № 5471, 1890 წ.

[4] იხ. მისი წერილები, Задачи городского хозяйства, — „Тифлисский Вестник“ № 99, 102, 109, 112, 1875 წ.

[5] იხ. მისი წერილები „Что сделано Тифлисским гор. общественным управлением в 1877 г. (№ 265, 266, 267) და „В Тифлисской думе“ (№ 299)—„Обзор“—1878 წ.

დამახასიათებელია სწორედ იმ მხრივ, თუ როგორი სამეურნეო პოლიტიკა და სამოღვაწეო პროგრამა აინტერესებდა 70-იან წლებში ბურჟუაზიას. ამ ბურჟუაზიას ერთად-ერთი სარბიელი ჰქონდა იმ ხანებში, სადაც მას შეეძლო აქტივობა გამოეჩინა და იგიც ენერგიულად იბრძოდა თავისი ინტელიგენციის საშუალებით ამ მიმართულებით.

უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ 70-იან წლებში, რამდენადაც ეს მაშინდელ ცენზურულ და პოლიტიკურ პირობებში შესაძლებელი იყო, ნიკოლაძე იბრძოდა დემოკრატიული საქალაქო თვითმართველობისათვის და საარჩევნო ცენზის გაუქმებისათვის. 1878 წელს ტფილისის პრესაში მან პირველმა წამოაყენა საქალაქი არჩევნებში ცენზის გაუქმება და გარკვევით წამოაყენა დემოკრატიული პლატფორმა. როდესაც 1878 წელს დაისვა საკითხი ქალაქის საბჭოს გადახალისებისა და ახალი არჩევნების შესახებ, ნიკოლაძე ღრმად შეეხო საკითხსა და აღნიშნა, რომ „საქალაქო საქმეების მოსაწესრიგებლად საზოგადოებრივმა მეცნიერებამ დიდი ხანია გამონახა შესაფერისი საშუალება," ავტორი სწერდა:

„ყოველთვის, როდესაც წარმომადგენლობითი დაწესებულებათა საფუძვლად დადებულია ცენზი, კრებები, რომელნიც ამ სისტემის მიხედვით არის შემდგარი, განსხვავდებიან თავიანთი აპატიური და გულგრილი დამოკიდებულებით საზოგადოებრივ საქმეებისადმი. ეს გასაგებიც არის. ცენზი საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს უმთავრესად შემძლებელ პირებს და აშკარა უპირატესობას ანიჭებს მსხვილ მესაკუთრეებს წვრილთან შედარებით... დამახასიათებელი თვისება უმეტესი შეძლებული პირებისა და მდიდრების იმაშია, რომ მათ აქვთ უამრავი თავიანთი საკუთარი საზრუნავი საქმეები და ინტერესები, რომელიც ძლიერ ხშირად დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივ საქმეებს... ამ თვალსაზრისით, საერთო საშვალებად აპატიის მოსპობის საქმეში, შეიძლება გამოდგეს მხოლოდ მცხოვრებთა მთელი მასის მონაწილეობის მიღება თვითმართველობაში და არჩევნებში, ხოლო წარმომადგენლობაში — რაც შეიძლება მეტი რიცხვის მონიწილეობა იმ წრეებისა, რომელნიც საზოგადოებრივ მეცნიერებასა და ისტორიაში ცნობილია უნარიანობის სახელწოდებით... ყველაზე უკეთესი საშვალებაა აიძულო ხმოსნები იმოქმედონ კეთილსინდისიერად, გამოიხატება: საკანონმდებლო სფეროში — ცენზის გაუქმებაში, ხოლო პრაქტიკულ სფეროში — წესიერი კანდიდატების არჩევაში."[1]

---

[1] იხ. „Обзор" № 256, 1878 წ.

ამ წერილიდან ნათლად სჩანს, რომ ნიკოლაძის აზრით ქალაქის თვითმართველობის გასაჯანსაღებლად აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ერთი მხრივ, ცენზის გაუქმება და არჩევნებში ყველა მკვიდრებლის მონაწილეობის მიღება, ხოლო, მეორე მხრივ, — ქალაქის საქმეების გადაცემა მოწინავე ინტელიგენციისათვის.

ასეთი არის ამ დემოკრატიული პროგრამის შინაარსი. ამ გზით სურდა რადიკალურად მოაზროვნე ბურჟუაზიულ ინტელიგენციას გამოეყენებია დემოკრატიული მასა თავისი კლასის, ბურჟუაზიის ინტერესების დაცვის საქმეში.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ქალაქისა და საერთოდ თვითმართველობებისა და დემოკრატიული ერობების შემოღება ბურჟუაზიისა და დემოკრატიული ინტელიგენციის საარსებო ინტერესს წარმოადგენდა. ბურჟუაზიას ამ თვითმართველობების შემოღებით აინტერესებდა ქალაქის ეკონომიური ცხოვრების ხელში ჩაგდება და ორგანიზაციულად გამოსვლა სამეურნეო სიმაღლეების დასაპყრობად; ინტელიგენციას—ფართო სარბიელი ბრძოლისა და არსებობისათვის; მოკლებული პოლიტიკურ ბრძოლის სარბიელსა და შებორკილი თვითმპყრობელობის არტახებით, რადიკალური ბურჟუაზიული ინტელიგენცია თვითმართველობებსა და ერობაში ხედავდა დემოკრატიულ წყობილების ორგანოებსა და ერთ-ერთ იარაღს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ისტორიულად, მართლაც ამ ქალაქის თვითმართველობების გარშემო მოახერხა ბურჟუაზიამ და ინტელიგენციამ დარაზმვა. ამ მხრივ აღსანიშნავია 1879 წ. ქალ. თვითმართველობის არჩევნების გარშემო გამართული ბრძოლა. [1]

5. საერთო დახასიათება

ასეთი იყო ნიკოლაძის სამოღვაწეო პროგრამა 70-იან წლებში. როგორც მკითხველმა დაინახა, მას არ დაუტოვებია განუხილველი არც ერთი ღირსშესანიშნავი საკითხი, რომელიც მაშინდელმა ჩვენმა ცხოვრებამ წამოაყენა გადასაწყვეტად. შეიძლება ითქვას, რომ ნიკოლაძე მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის მეთაური და ხელმძღვანელი იყო. მისი წერილები იმ პერიოდში აღსავსეა სიცხოველით და სიახლით. ამ წერილებში ფეთქს რაღაც ახალი ძალა,

[1] იხ. ჩემს მონოგრაფიაში დიმ. ყიფიანის შესახებ.

რომელიღაც ახალი სოციალური ფენის ჩვენი ცხოვრებისათვის უჩვეულო მისწრაფება.

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული და ახლა კიდევ აღვნიშნავთ, რომ იმ პერიოდის ნიკოლაძის წერილებს აშკარა რადიკალიზმი და დემოკრატიზმი ახასიათებს; [1] აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იმ პერიოდში ნიკოლაძე სასტიკად ებრძოდა ლიბერალიზმსა და ააშკარავებდა მის შემცდარ მხარეებს. ლიბერალიზმის კრიტიკის დროს ნიკოლაძე პირდაპირ იყენებდა ნ. ჩერნიშევსკის შეხედულებას ამავე საკითხზე. მისთვის ლიბერალიზმი ნიშნავდა ქედის მოხრას არსებულ უსამართლობის წინაშე, შეგუებას თავად-აზნაურობასა და ცხოვრების სიმახინჯესთან. ლიბერალიზმს—ნიკოლაძის აზრით არ შეუძლია ცხოვრების განახლებისათვის ბრძოლა და ხალხის ეკონომიური და კულტურულ-ზნეობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება; ამიტომ ლიბერალების ფრაზები დაშორებულია მიზანშეწონილ საქმიანობას.

აი როგორ ახასიათებდა იგი ლიბერალიზმსა და ლიბერალობის საქმიანობას 1878 წ.

„Но, скажите на милость, разве в аграрных волнениях, по временам возникающих у нас благодаря односторонному решению вопроса, не повинны мнимые либералы, во имя либерализма разжигавшие рабовладельческие страсти наших феодалов? Мы имеем честь принадлежать, и мы всегда принадлежали, к тому направлению русской печати, которое не удовлетворяется либеральными фразами и либеральными этикетами, а добывается существенного прогресса в экономическом и нравственном положении народа. С точки зрения этого направления, либеральные фразы не имеют ни какой стоимости, если оне не подтверждаются делом улучшения быта массы," (Н. Николадзе, „Кесарево Кесареви"...—„Обзор" № 173, 1878 წ.).

აღზრდილი 60-ან წლების რუსეთის ორი დიდი ბუმბერაზის ნ. ჩერნიშევსკისა და ნ. დობროლიუბოვის სოციალისტურ აზროვნებაზე და დასავლეთ ევროპის საუკეთესო სოციალისტების ნაწერებზე,

[1] 1875 წელს ერთს წერილში, ეხება რა სოციალური მოძრაობის ძირეულ პრობლემებს, ნ. ნიკოლაძე სწერს: Народная жизнь везде представляет неудовлетворительные стороны. Скрыть их невозможно: Народ везде стремится к лучшей обстановке. Задержать это стремление также невозможно. Следовательно, нужно открыть и этим сторонам жизни и этим стремлениям широкий и законный выход. Все это нужно изучить внимательно, законные стремления и потребности нужно удовлетворить по мере сил и средств, попыткам к улучшению нужно дать простор, словом нужно отнестись с большим доверием к здоровому смыслу народа, к честным силам интеллигенции" (Н. Николадзе, Капризы пера—„Тиф. Вестник № 110, 1875 წ.)

—ნიკოლაძე ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ადვილად ითვისებს სოციალისტურსა და ასოციაციურ-ნაროდნიკულ თეორიებს. მაგრამ, როდესაც მისი ასოციაციური თეორიები პრაქტიკულად განხორციელების შესხმასა და რეალურად განხორციელებას, ნიკოლაძის სოციალისტური უტოპიზმი საპნის ბურთივით იმსხვრევა და ხელში გვრჩება ბურჟუაზიული პროგრამა რადიკალურად და დემოკრატიულად მოაზროვნე ინტელიგენტისა. ამით უკვე მზადდება ნიადაგი მისი შემდეგი პერიოდის მოღვაწეობისათვისაც, რომელიც უმთავრესად ბურჟუაზიული ლიბერალიზმით ხასიათდება.

სად უნდა ვეძიოთ ნიკოლაძის აზროვნების ასეთი ევოლუციის ძირითადი მიზეზები? რასაკვირველია, ჩვენი მაშინდელი ცხოვრების სოციალ-ეკონომიურ საფუძვლებში, როგორც უკვე ვიცით, 50—60—70-ან წლებში ჩვენში კაპიტალიზმი და კაპიტალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა თავისებურ ობიექტურ პირობებში ვითარდებოდა. ერთი მხრივ, ჩვენი ცხოვრების ეკონომიური (ნატურალური მეურნეობის სიძლიერე) და სოციალური (თავად-აზნაურობის ბატონობა და გლეხობის მიჯაჭვა მიწაზე, ბურჟუაზიის უძლურება) მოუმწიფებლობა და მეორე მხრივ, რუსეთის თვითმპყრობელობის თავად აზნაურულ პოლიციური სახელმწიფოებრივი აპარატი ძლიერ აფერხებდა ჩვენი ცხოვრების წინმსვლელობისა და კაპიტალისტური ურთიერთობის შესაფერისად განვითარების საქმეს. რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის ზეგავლენითა და სხვა საზოგადოებრივი ხასიათის ფაქტორებით მწვავე კრიზისს განიცდიდა ჩვენი მაშინდელი ძველი საზოგადოებრივი წყობილება, მაგრამ ახალი ურთიერთობის წარმოშობა, განვითარება და განმტკიცება მეტის-მეტად მძიმე პირობებში ხდებოდა,—ახალი წყობილების ამ მშობიარობის პროცესს თან სდევდა ღრმა ტკივილები და წინააღმდეგობანი. ბუნებრივია, რომ ასეთს მოუმწიფებელსა და დაუდუღებელ საზოგადოებრივ ეპოქაში უნდა წარმოშობილიყო მოუმწიფებელი საზოგადოებრივი თეორიაც. ახალი თაობის ინტელიგენციამ ეს დაუდუღებელი და მოუმწიფებელი ცხოვრების შემდეგი განვითარების პროცესი ასოციაციურ-კოლექტიურ ფორმებში წარმოიდგინა. უკეთ რომ ვსთქვათ, მას სურდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის ის ფორმები და სახე მიეცა, რომელიც თეორიულად რუსეთისა და ევროპის საუკეთესო თეორეტიკოს-სოციალისტებმა შეიმუშავეს. მაგრამ ეს მისწრაფება ჩვენი ინტელიგენციის ზოგიერთ წრეებისა ასოციაციებისა, კოოპერაციებისა და კოლექტიურ მეურნეობისაკენ ნაკარნახევი იყო მთელი

ჩვენი მაშინდელი სოციალ-ეკონომიური წყობილების ობიექტიური პირობებით,—საწარმოო ძალთა მოკლე უმწიფებლობით, ახალი ურთიერთობის სისუსტით, ბურჟუაზიული ფენების უაქტივობით;—ამ მძიმე პირობათა გადალახვის აუცილებლობამ მოწინავე ინტელიგენცია ძალაუნებურად მიიყვანა იმ შეგნებამდე, რომ ახალი საწარმოო ძალთა და ურთიერთობათა განვითარება ინდივიდუალიზმის გზით შეუძლებელია, რომ ამისათვის საჭიროა მთელი სასიცოცხლო ძალების დარაზმვა, კოლექტიურად შეერთება და ბრძოლა. აქედანვე წარმოსდგა ინტელიგენციის, პოლიტიკური რადიკალიზმიც, მიმართული ცარიზმის წინააღმდეგ, რომელიც აფერხებდა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებას ჩვენში და რომელიც სპობდა ყოველგვარ თავისუფალ მოქმედებისა და აზროვნების შესაძლებლობას. მაგრამ ჩვენი ინტელიგენციის ხელში ეს უცხო სოციალური თეორიები შეფარდებული ჩვენი ცხოვრების ვითარებასთან, არსებითად ღებულობდა „უკაპიტალიზმო კაპიტალიზმისა“ და „უპროლეტარო კაპიტალიზმის“ სახეს. უკეთ რომ ვსთქვათ, უტოპიური თეორიასა და ჩვენი ცხოვრების მოთხოვნილების და აუცილებლობის შორის გარკვეული ხასიათის კონფლიქტი მოხდა: ცხოვრების ლოღიკამ და თეორიამ სძლია ჭრელი თეორია; საწარმოო ძალთა განვითარების მოთავსება ასოციაციურ-კოლექტიურ ფორმებში შეუძლებელი შეიქმნა, ეკონომიური ცხოვრების ვითარებამ თავისი ბუნებრივი კაპიტალისტური სახე მიიღო; ჩვენს მოწინავე ინტელიგენციას ისე არაფრის ეშინოდა, როგორც ჩვენი ხალხის „პროლეტარობაში ჩაცვენისა“, მისი მთავარი მიზანი ის იყო, რომ პროლეტარიზაციის პროცესი აეცილებია ქართველი ხალხისათვის;—აქ უკვე სჩანდა მისი კლასიური შიში მომავალი მტრის წინაშე. ცხოვრებამ ამ შემთხვევაშიაც თავისი გზით იწყო წინსვლა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებასთან ერთად სწარმოებდა პროცესი მუშათა კლასის ჩამოყალიბებისა ჩვენში; მაშასადამე,—პროცესი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიის შორის კლასიური ბრძოლის გამწვავებისა და გაღრმავებისა და როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარკვევით სწარმოებს კლასიური ბრძოლა. როდესაც სოციალური დაპირისპირება საზოგადოებრივ ფენებისა საამკარაოზე გამოდის.—ინტელიგენცია გარკვევით სდგება იმ კლასის ბანაკში, რომლის ინტერესებსა და მისწრაფებებს იგი გამოხატავს. აქ მარხია ერთი მთავარი მიზეზი ნიკოლაძის აზროვნების ცვლილებისა 80—90-ან წლებში.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ნიკოლაძის პროგრამას და აზროვნებას 60—70-ან წლებში არ ჰქონდა ჩვენში მტკიცე დასაყრ-

დენი სოციალური ბაზა: გლეხობა ჩვენში განუვითარებელი იყო. არც ცდილობდა ნიკოლაძე ამ სოციალურ ფენაზე დაყრდნობას; ბურჟუაზია იმ ხანად უმნიშვნელო და, მაშასადამე, უძლიერი იყო, ერთადერთ აქტიურ ძალას თავად-აზნაურობა წარმოადგენდა, მაგრამ იგი არ შეიძლებოდა გამხდარიყო მის სამოღვაწეო ასპარეზად (თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ წოდებასთან მორიგებისათვის ნიკოლაძეს ხშირად სჭირდებოდა დიდ კომპრომისებზე წასვლა). უმთავრესი ფენა, რომელზე დაყრდნობასაც ნიკოლაძე ცდილობდა და რომელიც მას მიაჩნდა ცხოვრების მამოძრავებელ ფაქტორად, ეს—ახალი თაობის ინტელიგენცია იყო. მაგრამ ამ ინტელიგენციამ ვერ გაამართლა თავისი დაპირებანი და იგიც ქედმოხრილი შეეგუა ცხოვრების მოთხოვნილებებს. 1877 წ. ნიკოლაძე სწერდა: „შარშან (1876 წ.) ბანკების და აზნაურობის კენჭის ყრის დროს, ჩვენმა საზოგადოებამ პირველათ დაინახა საქმეში ჩვენი, ვითომ ახალი თაობა, და ეს თაობა წარსდგა საზოგადოების წინაშე მეტის-მეტი ბნელის მხრით. მის მაგიერ, რომ იმას თვალი აეხილა გაუნათლებელი და უმეცარი ხალხისთვის, მის მაგიერ რომ იმას ესარგებლებია საქვეყნო ყრილობით, ხალხის გონების ასამაღლებლათ, მის მაგიერ, რომ იმას ეძებნა მარტო საზოგადო სიკეთე, პირადი სარგებლობის დავიწყებით, ამ თაობამ დაივიწყა ყველაფერი, რასაც უწინ ამბობდა. იმან ისარგებლა საზოგადო უმეცრებით, და თვალი აუხვია უიმისოდაც დაბნეულ ხალხს... ჩვენი თაობა შერცხვა ხალხის წინ, შერცხვა მით, რომ გამოდგა უმეცრების ექსპლოატატორათ, ხალხის უძლურებით მსარგებლათ“...[1]

ასე მოხდა ნიკოლაძისავე დახასიათებით ახალი თაობის ინტელიგენციის გადაგვარება, მისი შერიგება არსებულ საზოგადოებრივ წყობილებასთან, და უდავოა, რომ ეს ახალი თაობის ინტელიგენცია ვეღარ გამოდგებოდა ახალი იდეებისა და პროგრამის გამტარებლად ცხოვრებაში.

ამრიგად ნიკოლაძე თითქოს მოსწყდა რეალურ სინამდვილეს, მას გამოეცალა დასაყრდენი სოციალური წრე და ასოციაციურ-უტოპიური თეორია ჩვენის ცხოვრების საჭიროებისათვის გამოუსადეგარი გამოდგა. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ ნიკოლაძის აზროვნების კრიზისის მეორე მიზეზი, მისი სოფლმხედველობის ევოლიუციის წყარო ბურჟუაზიული ლიბერალიზმის მიმართულებით: იმდენად, რამდენადაც ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობა ვითარდებოდა და მტკიცდებოდა, რამდენადაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში იჭრებოდა

[1] ნ. ნიკოლაძე, საახალწლო გოდება—„დროება“ № 1, 1877 წ.

ახალი ფაქტორები და საზოგადოებრივი ურთიერთობა გარკვეულ ბურჟუაზიულ ფორმებს ღებულობდა, ასე ვსთქვათ რამდენადაც მწიფდებოდა ცხოვრების ახალი სოციალ-ეკონომიური პირობები,—ამდენადვე ეს ფაქტორები იწვევდა ნიკოლაძის საზოგადოებრივ აზროვნებისა და სამოღვაწეო პროგრამის შეგუებას ცხოვრების ვითარებასთან, მისი იდეოლოგიის განვითარებას წმინდა კაპიტალისტური ურთიერთობის მიმართულებით. წინად მისი ასოციაციურ-სოციალური თეორიები ასე ადვილად ვერ ეგუებოდა ცხოვრების რეალურ მოთხოვნილებასა და განვითარებას. ამიტომ მათ შორის ხდებოდა ზემოდ აღნიშნული საინტერესო კონფლიქტები. შემდეგ პერიოდში მისი ბურჟუაზიული ლიბერალიზმი და პოლიტიკური სოფლმხედველობა სავსებით შეგუებული იყო ჩვენი ბურჟუაზიის რეალურ სოციალ-ეკონომიურ მოთხოვნილებასა და ინტერესებთან.

მასთანვე მან, როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგმა, ნათლად დაინახა, რომ ჩვენს პირობებში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება მთავრობის დახმარების გარეშე შეუძლებელი არის,—აქედან მისი პოლიტიკური რადიკალიზმი—პოლიტიკური ოპორტუნიზმით შეიცვალა თვითმპყრობელობის მიმართ.

განვიხილოთ ახლა მეორე პერიოდის მისი სამოღვაწეო პროგრამა.

V. ნ. ნიკოლაძე როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგი

1. წინასწარი შენიშვნები

80-იან წლების დასაწყისში ნიკოლაძის საერთო სოციალ-პოლიტიკური აზროვნების კრიზისის მაჩვენებელი იყო ის პოლიტიკური ნაბიჯი, რომელიც მან გადასდგა ცნობილ „სვიაშჩენაია დრუჟინასა“ და „ნაროდნაია ვოლიას“ შორის მოლაპარაკების დროს. თავის დროზე ნიკოლაძის პოლიტიკამ დიდი კამათი გამოიწვია პრესაში. რასაკვირველია, ამ წერილში ამ საკითხს ჩვენ შევეხებით გაკვრითა და იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო არის მისი აზროვნების დასახასიათებლად.

როგორც ცნობილი არის, 70-იან წლების მიწურულებში რუსეთის რევოლუციონური ნაროდნიკობა ბრძოლის ახალ ტაქტიკას დაადგა: მან პირველ რიგში დააყენა პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობის საჭიროება და ამ თავის მიზნის მიღწევას იგი ცდილობდა შეთქმულების მეთოდით, დინამიტებით, ბომბებითა და ტერო-

რით. მტკიცეთ შეკავშირებულმა მცირერიცხოვანმა რევოლუციონურმა ორგანიზაციამ თავზარი დასცა რუსეთის დიდ-ტანიან სახელმწიფოს მართველებს; განსაკუთრებით თავზარდამცემი იყო მათთვის ალიქსანდრე მეორეს სიკვდილით დასჯა 1881 წელს მარტში. მაგრამ რევოლუციონური ორგანიზაცია, რომლის მოსასპობათ და წინააღმდეგ მიმართული იქნა მთელი სახელმწიფოს მექანიზმი, მარტო ამით არ კმაყოფილდებოდა და ახალი ტერორისტული აქტებით ემუქრებოდა ალექსანდრე მესამესაც. რეაქციონურ წრეებში დაიბადა აზრი გარდა პოლიციისა, ჟანდარმებისა და პროკურორებისა „ნაროდნაია ვოლიას“ წინააღმდეგ აემოძრავებიათ აგრეთვე ფარული რეაქციონური ორგანიზაცია, რომელსაც ევალებოდა დაეცვა მეფე ახალ თავდასხმებისაგან და გაეგოთ მთელი საიდუმლოება რევოლუციონური პარტიისა, მისი საბოლოო განადგურების მიზნით. სწორედ ამ საფუძველზე აღმოცენდა ე. წ. „სვიაშჩენია დრუჟინა“. ამ ორგანიზაციამ მოიწადინა საიდუმლო მოლაპარაკება გაემართა „ნაროდნაია ვოლიას“ პარტიასთან, ვითომდა მთავრობის სახელით, რომ გაეგო რევოლუციონური პარტიის ფარული ზრახვები და შემდეგ შესაფერისი ღონისძიებანი მიეღო. [1] ერთ დროს სენაკის მაზრის უფროსად ნამყოფმა ლიტერატორმა კ. ბოროზდინმა, რომელიც ზემოხსენებულ ორგანიზაციის აგენტი იყო და რომელიც დიდი ხნიდან იცნობდა ნიკოლაძეს, უკანასკნელს, ერთი საუბრის დროს, მიმართა წინადადებით, რათა მას გაემართა მოლაპარაკება რევოლუციონურ პარტიასთან ტერორის შეწყვეტის შესახებ, ხოლო თავის მხრივ მთავრობა აუცილებლად დაადგება შესაფერისი რეფორმის გზასო. [2] ნიკოლაძემ არ იცოდა, რომ ბოროზდინი აღნიშნული „დრუჟინის“ აგენტი იყო, იგი დასთანხმდა მოლაპარაკებოდა ამის შესახებ ცნობილ ვორონცოვ-დაშკოვს. ნიკოლაძემ წინასწარ ამის შესახებ შეატყობინა პუბლიცისტს ნ. კ. მიხაილოვსკის, რომელმაც თანხმობა მისცა ნიკოლაძეს დაეწყო მოლაპარაკება ვორონცოვ-დაშკოვთან. [3] ვორონცოვ-დაშკოვთან მოლაპარაკების პროგრამა ნიკოლაძემ მიხაილოვსკისთან და კრივენკოსთან ერთად შეიმუშავა. თავის მოგონებაში ნიკოლაძე სწერს: „Программа, которую я должен был проводить, заключалась в приглашении прави-

[1] დაწვრილებით იხ. В Богучарский, „Из истории политической борьбы в 70х и 80-х г. г. XIX-века“ გვ 268—386, 1912 წ.

[2] იხ. „Записки К. А. Бороздина с примечаниями Николадзе—„Былое“ № 10, 1907 წ.

[3] მიხაილოვსკიმ ამის შესახებ პატარა „მოგონებაც“ დასწერა, იხ. „Революционная Россия“ № 54, ან „Былое“№9, 1907 წ.

тельства стать на путь социалных, вернее, экономических улучшений народного быта, с значительным в этом смысле расширением сферы воздействия печати и земского или общественного самоуправления". [1] ვორონცოვ-დაშკოვს მოლაპარაკების დროს არავითარი დაპირებანი არ მიუცია ნიკოლაძისათვის, მხოლოდ სთხოვა გაეგო რევოლუციონური პარტიის აზრი ამის შესახებ და აიღებს იგი ხელს თუ არა ტერორისტულ აქტებზე და არალეგალურ მოღვაწეობაზე, მთავრობამ რომ განახორციელოს ზოგიერთი რეფორმები. ამ კითხვების გამოსარკვევად ნიკოლაძე გაემგზავრა საზღვარგარედ „ნაროდნაია ვოლია-ს" ცენტრალური კომიტეტის წევრებთან მოსალაპარაკებლად. მიუხედავად იმისა, რომ პარტია მზად იყო დათმობაზე წასულიყო, რასაკვირველია, ამ მოლაპარაკებას არაფერი შედეგი არ მოყოლია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ თითქოს მისი გავლენით გაანთავისუფლეს ჩერნიშევსკი ოცი წლის ტყვეობიდან. რასაკვირველია, ჩვენ ამ მოლაპარაკების ისტორიას არ ვსწერთ; უმთავრესად გვაინტერესებს ნიკოლაძის პოლიტიკური ხაზი ამ მოლაპარაკების დროს. ნიკოლაძის მთავარი მიზანი იმისკენ იყო მიმართული, რომ როგორმე შეერიგებია მთავრობა და რევოლუციონური ინტელიგენცია, მთავრობას უნდა გაეტარებია ცხოვრებაში შესაფერისი სოციალური რეფორმები, გაენთავისუფლებია გლეხი—მონობისაგან, დაეცვა არტელი და თემი და ხელი შეეწყო ხალხის მატერიალურ-ეკონომიურ აღორძინებისათვის. ინტელიგენციას ხელი უნდა აეღო რევოლუციასა და ტერორზე, შესდგომოდა ლეგალურ მოღვაწეობას და დახმარება გაეწია მთავრობისათვის ხალხის სასარგებლო რეფორმის გატარებაში. ასეთი გზა მართო ნიკოლაძეს არ აურჩევია: ამ გზას დაადგა საგრძნობი ნაწილი რუსეთის ნაროდნიკებისა 80—90-იან წლებში. ამ შემთხვევაში ნიკოლაძე ორი ძირითადი დებულებიდან გამოდიოდა: ლეგალური მოღვაწეობით ინტელიგენცია უფრო მეტ სარგებლობას მოიტანს, ვიდრე რევოლუციისა და ტერორის გზით; მეორე მხრივ, იგი მოითხოვდა მთავრობისაგან რეფორმებისა და თვითმართველობის შემოღებას. ეს პოლიტიკა სავსებით ეგუებოდა ლიბერალური ბურჟუაზიის ინტერესებს, რომელსაც ერთი მხრივ რევოლუციის ეშინოდა, ხოლო მეორე მხრივ, ვერც მთავრობის პოლიტიკას იზიარებდა სავსებით და მოითხოვდა მისგან ბურჟუაზიის სასარგებლო რეფორ-

[1] Н. Николадзе, Освобождение Чернышевского"—былое № 9. გვ. 256; 1906 წ. არის ცალკე წიგნათაც გამოცემული 1907 წელს, მის არქივში ინახება აგრეთვე ვრცელი წერილი ამავე საკითხის შესახებ თავ. შჩერნიკოვისადმი მიწერილი 1885 წელს.

მებს. როგორც ქვევით დავინახავთ, თვითმართველობის პრინციპისათვის მას შემდეგშიაც არ უღალატნია, მაგრამ ეს თვითმართველობა მოკლებული იყო იმ რადიკალურ-დემოკრატიულ შინაარსს, რომელიც მან 60-იან წლებში შეიმუშავა. ლეგალიზმი და კანონიერების დაცვა, ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის კულტურულ-ეკონომიური მოღვაწეობა, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება ჩვენში და თვითმართველობათა შემოღება და გაფართოება—აი ის პროგრამა, რომელსაც ემსახურებოდა იგი 80-იან წლებიდან მოყოლებული.

არ შეიძლება აქ არ აღვნიშნოთ ერთი ფაქტი. როგორც ვიცით, 1865 წ. გერცენის „კოლოკოლ"-ში მან წერილი მოათავსა გლეხთა განთავისუფლების შესახებ საქართველოში; 1887 წ. ეს წერილი და მისი ავტორი რიონელი კვლავ მოიგონა „ნოვოე ვრემია"-მ კატკოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. თავის საპასუხო წერილში („Старые ошибки"), რომელიც არ გაუშვია მაშინდელ ცენზურას ნიკოლაძე სწერს: „Нам дело нет до г. Рио-Нели и до его статьи. Из его статьи... мы увидели. что это был юный энтузиаст.. неужели для зрелых публицистов и историков литературы заявление какого-то безвестного юноши, решительно не подкрепленные ни единым жизненным фактом, могли перетянуть вековые уроки истории и здравого смысла?" ცხადია, უკვე დავაჟკაცებულსა და გონება დადინჯებულ ნიკოლაძეს აღარ მოსწონდა თავისი ახალგაზრდობის პერიოდის რადიკალური აზრები და მისწრაფებანი: ლიბერალურად განწყობილ ბურჟუაზიის იდეოლოგი ალმაცერად უყურებდა ჩერნიშევსკის სკოლაში აღზრდილ ახალგაზრდა რადიკალ ნიკოლაძეს.

მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელ ხანებში იგი არც თავის ძველ მასწავლებლებს, და მათ შორის ჩერნიშევსკისაც არ იწყნარებდა. ერთს თავის საპოლემიკო წერილში იგი სწერდა 1913 წელს: „ჩვენი ეგრედ წოდებული „მოწინავე" ხალხი ჯერ კიდევ მეტაფიზიკურ გავლენის ქვეშ იმყოფება... სოციალურ და პოლიტიკურ საქმეებზე ძველ, მეტაფიზიკურ, მოაზრებას ვერ ასცილებიან... ამ მოვლენის მიზეზი ის არის, რომ სოციალურ და პოლიტიკურ საგნების მასწავლებლად ახალგაზრდობას რუსეთში კანტისა და ჰეგელის მეტაფიზიკით გაჟღენთილი მწერლები, ბელინსკი, ჰერცენი, ჩერნიშევსკი, ლავროვი, სტრუვე და სხვა ჰყავდა. ამ სკოლის გავლენისაგან თავის დახსნა და თანამედროვე მეცნიერული ეკონომიკის თუ პოლიტიკის შეთვისება მეტათ ძნელია... აი რა მიზეზით ბევრ ჩვენს მემარცხენეს თავი მეტად დაწინაურებულად მიაჩნია და ის კი ვერ

შეუმჩნევია, რომ მისი აზრები მარტო მაძინის დროს, ამ სამოცი წლის წინათ, ეპატიებოდა იმ დროის მოწინავეს; ეხლა კი მცირეწლოვანის თვალში უვიცობად ითვლება".[1]

ამრიგად 60-იან წლებში შემუშავებული სამოღვაწეო პროგრამა მის „თვალში უვიცობად ითვლებოდა". ასე დაიმორჩილა ახალმა ეპოქამ ნიკოლაძე, გასწმინდა იგი ახალგაზრდულ იდეებისაგან და გატაცებისაგან და სავსებით შეუფარდა მისი აზროვნება და მოღვაწეობა ბურჟუაზიის აზრსა და მოთხოვნილებას.

ნიკოლაძის აზროვნების კრიზისისა და მისი პოლიტიკური სოფლმხედველობის ცვლილებების საუკეთესო გამომხატველი იყო, აგრეთვე, მისი წერილი ლევ ტიხომიროვის შესახებ. როგორც ცნობილია 80-იან წლების მეორე ნახევარში „ნაროდნაია ვოლია"-ს პარტიის ერთ-ერთმა მეთაურმა უარყო თავისი წარსული და თვითმპყრობელობის მხარეზე გადავიდა. თავის წიგნში: „Почему я перестал быть революционером"?—ლ. ტიხომიროვი ამტკიცებდა, რომ რუსეთში სერიოზული რეფორმების გატარება შესაძლებელი არის მხოლოდ არსებულ კანონებთან შეფარდებული პოლიტიკური მოქმედების გზით; არა რევოლუციით, არამედ მთავრობის დარწმუნებითა და ზემოქმედებით არის შესაძლებელი წინმსვლელობაო. ნიკოლაძე თავის წერილში სავსებით იწონებს ლ. ტიხომიროვის ამ ნაბიჯს და თავის მხრივ დასძენს: „Тихомиров приходит теперь к убеждению, к которому масса других деятелей—и мы в том числе пришли с первых же шагов нашей юношеской мысли — что вернее, целесообразнее, разумнее другой путь".[2] მაგრამ რაში უნდა გამოხატულიყო ეს „გონიერი გზა" ცხოვრების განახლებისა და წინმსვლელობისათვის? ნიკოლაძე ფიქრობდა, რომ უხეში ძალდატანებისა და უკანონო მოქმედების მეთოდმა უკვე მოსჭამა თავისი დრო, ახლა იწყება იდეური ბრძოლის პერიოდი, რომელსაც მხოლოდ ერთად-ერთს შეუძლია წაიყვანოს ხალხი თავისი ძალების ყოველმხრივი აყვავებისა და მტკიცე კეთილმდგომარეობის შექმნისაკენ. მაგრამ ვინ უნდა უხელმძღვანელოს ამ ბრძოლას და როგორ ფორმებში უნდა წარმოებდეს იგი? მოუსმინოთ თვით ნიკოლაძეს. იმავე წერილში იგი სწერდა:

„По нашему глубокому убеждению, шаг, сделанный г. Тихомировым, и в котором „Московские Ведомости" основательно усматривают присутствие „гражданского мужества", в том только случае возымеет ожидаемое этою газетою воздействие на

[1] ნიკო ნიკოლაძე, ჩემ პოლიტიკაზე, გვ. 55—6, 1913 წ.
[2] N. Николадзе, на праздники—„Новое обозрение"—№ 1620, 1888 წ.

дальнейшия судьбы умственной жизни и политической деятельности наших подростающих поколений, если, со стороны правительства приняты будут соответственные меры к расширению сферы полезной деятельности свежих сил нашего общества. Я не о ломке и извращении „основ“ тут говорю, а о тех последовательных улучшениях в сфере самоуправления, которые находили бы молодыя наши силы к скромной, но ощутительно полезной работе во благо сограждан. От химер, бесплодно поглативших столько юных жизней и богатых задатков, есть одно только средство: реальный труд над общественною пользою. Нужно организовать такой труд, нужно обставить его всеми желательными гарантиями и успешности, и стройности, и отсутствие уклонений в сторону, а эта трудная задача принадлежит компетенции одного лишь правительства.“ [1]

ასე სწერდა 80-იან წლებში ნიკოლაძე და ეს მისი აზრები მაჩვენებელი იყო იმისი, რომ საქართველოს ბურჟუაზიული ინტელიგენციის ფენები უკვე დაადგენ თვითმპყრობელობასთან შეგუების და მის წინ ქედის მოხრის გზას.

თვალი გადავავლოთ ნიკოლაძის უკანასკნელი პერიოდის სამოღვაწეო ეკონომიურ პროგრამასა და ივი საინტერესო გასაღებს მოგვცემს მისი პოლიტიკური სოფლმხედველობის სისწორით ასახსნელად.

2. ეკონომიური პროგრამა

80—90-იანი წლები საერთოდ რუსეთისა და კერძოდ ამიერ-კავკასისა და საქართველოს ეკონომიურ ცხოვრების ისტორიაში უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ შესანიშნავ ეპოქად. რუსეთ-ოსმალეთის ომმა მეტად შეუწყო ხელი ჩვენში ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის განვითარებას, ხოლო რუსეთისა და ევროპის კაპიტალის შემოჭრამ მეტის-მეტად გააცხოველა ჩვენი სამთომადნო მრეწველობა და საფაბრიკო ცხოვრება. ამიერ-კავკასის უდიდესი საწარმოო ცენტრის — ბაქოს ნავთის წარმოების გაცხოველებამ, ჭიათურის მარგანეცისა და ტყიბულის ქვანახშირის წარმოების წამოწყებამ, ამიერ-კავკასიის უდიდესი მაგისტრალის — ბაქო-ბათომის რკინისგზის გაყვანამ მთელს ჩვენს ეკონომიურს ცხოვრებაში უდიდესი გარდატეხა მოახდინა და ფართო სარბიელი გადაშალა წარმოებისა და საღებ-მიცემო ფრონტზე. ჩვენი ცხოვრების ასეთმა ეკონომიურმა განვითარებამ პრაქტი-

[1] იქვე.

კულად ჩაითრია ჩვენი ინტელიგენცია და გარკვევით დააყენა იგი ბურჟუაზიული ურთიერთობის მშენებლობის გზაზე. ნ. ნიკოლაძე ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც იგრძნო ამ დიდი ეპოქის დასაწყისი და მთელი თვისი შემდეგი პრაქტიკული მოღვაწეობა გარკვევით შეუფარდა ამ ახალი ეკონომიური ცხოვრების მიმდინარეობას. მისი სამოღვაწეო ეკონომიური პროგრამაც ამ ახალ ურთიერთობის საფუძვლებზედ იყო აღმოცენებული. 1887 წ., როდესაც მარსელდე პრეს მიერ აღმოჩენილი „თეთრი ნახშირი"—ელექტრონი მისაწდომი შეიქმნა მთელი კაცობრიობისათვის, ნიკოლაძემ ნათლად იგრძნო ამ დიდი ფაქტორის უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა და საღი გონებით განსჭვრიტა, თუ როგორ ცვლილებებს გამოიწვევდა ამ დიდი ძალის გამოყენება ჩვენი ცხოვრების პირობებში. იგი სწერდა: „ვოცნებობ იმის თაობაზე, თუ რა შედეგი მოელის ჩვენს მთიან ქვეყანას ახლო მომავალში, როცა რევოლუცია მოხდება... ნუ გეშინიათ, სახეში მაქვს მშვიდი, აუცილებელი რევოლუცია ეკონომიურ წესწყობილებაში, რევოლუცია ფინანსებში, მრეწველობაში, რომელიც უკვე იწყება ჩვენს თვალწინ. ამ რევოლუციას არც აფეთქება, არც სისხლის ღვრა, არც ტახტების და საკურთხევლის ლეწვა მოსდევს; მაინც მისი შედეგი ბევრათ გადააჭარბებს საფრანგეთის 1789 წლის „დიდ რევოლუციის ნაყოფს." [1]

მრეწველობის განვითარება, ფაბრიკა-ქარხნების გამრავლება, სამთამადნო მრეწველობის ორგანიზაცია, რკინისგზების გაყვანა, საშინაო და საგარეო ვაჭრობის მოწესრიგება, ბანკების დაკავშირება ვაჭრობასა და მრეწველობასთან, ქალაქის თვითმართველობათა ჩაბმა ეკონომიური ცხოვრების აღორძინების საქმეში, სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების კაპიტალიზმის გზით განვითარება—აი ის ძირეული საკითხები, რომლითაც დაინტერესებული იყო 80—90-იან წლებში ნიკოლაძე, რომელსაც იგი თავისი პრაქტიკული მოღვაწეობითა და ნიჭიერი კალმით ემსახურებოდა.

ნიკოლაძემ სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობა და საჭიროება ნაციონალური პოლიტიკის საზომითაც განიხილა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მწერლები უკვე 70-იან წლებში გრძნობდენ „ნაციონალური კაპიტალის" შექმნის საჭიროებას. გ. წერეთელი ამ მიმართულების პიონერად უნდა ჩაითვალოს ჩვენში. ნიკო ნიკოლაძემ უფრო მკვეთრად ეს საკითხი 80-იან წლებში წამოაყენა. მან ნათლად დაინახა, რომ ეკონომიურად განუვითარებელი და ჩამორჩენილი ქვეყანა უფრო დაწინაურებული ქვეყნის მონა-მორჩი-

[1] იხ. „Новое обозрение" № 1328, 1887 წ.

ლი ხდება, რომ მრეწველობისა და ტეხნიკის მხრივ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები ეკონომიურად დაუძლურებულ ერს თავის საექსპლოატაციო ობიექტად აქცევს. ამით ნიკოლაძემ ხაზგასმით აღნიშნა რომ კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის პერიოდში ერების დამონება ხდება არა მარტო პოლიტიკური საშუალებებით, არამედ ეკონომიური მეთოდებითაც. ამიტომ თუ გვინდა ჩვენი ერის წარმატება და თავისუფლება, უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ მისი ეკონომიური აღორძინების და წარმატების საქმესო, „მას შემდეგ კაცობრიობის მდგომარეობა ისე შეიცვალა,—სწერს იგი 1894წ.,—რომ თუ რომელიმე ხალხმა ასი და ათასი მილიონის საღირალი რკინისგზები, ფოშტები, გემები და საზოგადოდ, საშრომო იარაღეულობა (оборудование) არ შეიძინა, ის ხალხი მალე უნდა გახდეს უფრო მდიდარი და გამართული მეზობლის მონად. და მაშასადამე, მისი წევრებიც რა გინდ ნიჭიერი და ენერგიული იყვნენ, ცარიელი თვისი ნიჭით და ენერგიით საერთო მონებას ვერ გადარჩებიან.“ [1]

როგორი არის ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობა, როგორ პირობებში არის საქართველო თავის ეკონომიური წყობილებით? ნიკოლაძეს კარგად ჰქონდა შესწავლილი ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, იცოდა ჩვენი ბუნების სიუხვე და დოვლათიანობა, მაგრამ მასთანვე ნათლად ხედავდა, რომ ეს ბუნებრივი სიმდიდრე ხელუხლებელი იყო და ჩვენი მხარე „მრეწველობის უქონლობამ სხვისი ხარჯის მძლეველად გადააქცია“. ჩვენში ჯერ არავინ „ცდილობს, რომ თავისი ძალა, ცოდნა და იარაღი გონიერად, ოსტატურად გამოიყენოს მასალის საქონლად გადაქცევისათვის“ „საქართველოს ბუნება დიაღაც მდიდარია, მაგრამ მისი სიკეთე ბევრით არაფრით დასტყობია არც ქართველობას, არც ქართველებს,—სწერდა ავტორი,—როცა რომელიმე ხალხი თავისი ქვეყნის ბუნებას გულ-ხელ დაკრეფილი შესცქერის, იმას ჩვენ დროში ის სირცხვილი და ზარალი მოელის, რომ უცხოეთის დაბეგრულ მონად ხდება. უცხოეთიდან ელის და ყიდულობს ის ყოველგვარ საქონელს და მოწყობილებას, იარაღს, სამოსელს, წამალს. მისი შრომისა და შემოსავლის უმეტესი ნაწილი უცხოეთს ამდიდრებს, ამ ნაყიდი საქონლის სამაგიეროდ.“ [2] ავტორი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ჩვენი სიმდიდრის გამოყენება-გადამუშავება, ვყიდით იაფად უმთავრესად ნედლეულ მასალას და ვყიდულობთ უფრო ძვირად ამ ჩვენი მასალები-

[1] ნ. ნიკოლაძე, საფრანგეთის საქმეებზედ — „მოამბე“—№ VIII გვ. 154 1894 წ.

[2] ნ. ნიკოლაძე, საჭირო-ძალა—„მოამბე“ № VIII. გვ. 123, 1894 წ.

დან გადამუშავებულ საქონელს: ჩვენ ბევრად მეტი შემოგვაქვს საქონელი, ვინემ გაგვაქვს ნედლეული. „დიდი ანგარიში და წინასწარ მეტყველობა, როდი სჭირია კაცს იმის გასაგებად, რომ ეს მდგომარეობა, თუ არ შეიცვალა ჩვენ მხარეს დასწევს კი არა, აუცილებლად გააკოტრებს და ამოაგდებს, საქართველოს ბუნების სიმდიდრე ამ მომავალს ვერც აგვაცდენს და ვერც შეაჩერებს მის მომდინარეობას.“ [1] რაში უნდა ვეძიოთ გამოსავალი ამ კრიტიკულ მდგომარეობიდან; როგორი გზით მოუწოდებს ნიკოლაძე ახალ თაობის მოღვაწეობას ეკონომიურ ფრონტზე? მისი სამოღვაწეო პროგრამის შინაარსი მრეწველობისა და ვაჭრობა-აღებ მიცემობაში გამოიხატებოდა. ავტორი სწერს:

„მრეწველობის უქონლობა ცხადი, უდიდესი ნიშანია ჩვენი ქვეყნის ჩამოქვეითების და უკან ჩამორჩენისა. ამ ქვეყნის ბედში არავითარი ცვლილება არ მოხდება თვალსაჩენი, არც გონებრივი არც, საზოგადო, არც პოლიტიკური მხრივ, სანამ ის, მრეწველობის საშუალებით ეკონომიურ მონობისაგან არ დაიხსნის თავს უცხოეთის ხელიდან. აიღეთ რომელიც გსურდეთ იმ ერის ისტორია, ყოველგან ცხადად დაინახავთ, რომ მისი აღორძინება, მისი გონებრივი სიფხიზლე, მისი განვითარება აღებ-მიცემობის, მრეწველობის ზედ-დართული შედეგი და ნაყოფი ყოფილა. თვით ისეთი ქვეყანა რომ გავიხსენოთ, რომელიც ნიადაგ პოლიტიკურად დამოუკიდებელი, თავისუფალი ყოფილა... მისი მდგომარეობაც აგვიხსნის, რომ ეს თავისუფლება ნამდვილი მონობაა: პოლიტიკურად მთავრის მონაა, ეკონომიურად უცხოეთის მრეწველობისა. საცა მრეწველობა არ არსებობს, და საცა, მაშასადამე, აღებ-მიცემობა, ვაჭრობა თან-და-თან უფრო და უფრო აუძლურებს ხალხს და ქვეყანას, იქ უმეტესი ნაწილი ერისა ნიადაგ დაბალი მუშაა დაწინაურებული უცხოეთისა. მის შრომას ხვავი არა აქვს, რადგანაც დაწინაურებული უცხოეთი დაბალ მუშას, ეკონომიური კანონების ძალით, მარტო იმოდენ ჭირას ან ფასს აძლევს, რამდენიც საჭიროა მუშის სიკვდილისაგან დახსნისთვის... ამ მხრივ ყოველი ევროპიელი ან რუსეთელი ქარხნის მუშა უფრო თავისუფალია, ვინემ ჩვენებური გლეხი, რომლის ფიზიკური შრომა თითქმის ერთიანად ხმავს გონების გახსნას.“ [2]

ნაციონალური მრეწველობის განვითარების საქმე საქართველოში, ნიკოლაძის აზრით, მეტის-მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება:—„რაც უფრო მეტი დრო გადის, რაც უფრო წინა-დაწინ მიდის უცხოეთი, მით თან-და-თან ძნელდება ჩვენებური წარმო-

[1] ნ. ნიკოლაძე, საჭირო-ძალა—„მოამბე“ № VIII გვ. 126 1844
[2] იქვე გვ. 128 1894 წ.

ების და მრეწველობის დაარსება". მაგრამ ისტორიული საჭიროება მოითხოვდა ამ სიძნელის დაძლევასა და ქართული „საკუთარი მრეწველობის დაარსებასა და გაძლიერებას". ნიკოლაძის აზრით, ქართველმა საზოგადოებამ და ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მდგომარეობას და დაეხმარონ ნაციონალური კაპიტალის განვითარების საქმეს საქართველოში. ამ მხრივ, ერთ ერთ ღონისძიებად ნიკოლაძეს მიაჩნდა მ ფ ა რ ვ ე ლ ო ბ ი თ ი ს ი ს ტ ე მ ი ს შემოღება და მისი საშუალებით დაცვა ქართული ნორჩი მრეწველობისა უცხოეთის კაპიტალის გამანადგურებელ გავლენისაგან. მაგრამ მარტო მფარველობითი სისტემით, ავტორის აზრით, შეუძლებელია ჩვენი მრეწველობის აღორძინება. ჩვენში ფულისა და კაპიტალის ნაკლებობაა: „ფული, ეს უმჯობესი და სასწაულ-მომქმედი იარაღი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა, ჩვენში თავის პირდაპირ დანიშნულებას ერთიანად ასცილდა". ფულის სიმცირემ და ნამდვილი მრეწველების არ ყოლამ შეაფერხა ჩვენი ცხოვრების წინმსვლელობა, მაგრამ ამის დაძლევა და შესაფერისი კაპიტალის დაგროვება მრეწველობისათვის შესაძლოა იქ,—„საცა ერთმანეთის მიყოლვა და მხარში შედგომა იციან, საცა შეერთებული შრომა შესაძლოა, რომ თვითეულმა ერთი პატარა ნაწილი თავის ქონებისა საამხანაგო საქმესთვის გამოიმეტოს... უამისოდ კი, ჩვენს დროში, როცა თითქმის მთელი ქვეყნის მრეწველობა დაწარმოება, ამხანაგობის ძალით, შეერთებული შრომით და ქონებით, უშველებელ უთვალავ მილიონებს აგროვებს და ატრიალებს"[1]—ერთ ნაბიჯსაც კი ვერ გადავსდგამთ წინ ეკონომიურ ასპარეზზე.

ამრიგად ამხანაგობათა და აქციონერულ საზოგადოებათა დაარსება ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიაჩნდა ნიკოლაძეს ჩვენში მრეწველობისა და წარმოების განვითარებისათვის,—უკეთ, ნაციონალური კაპიტალიზმის შექმნისათვის. მკითხველი თვით მიხვდება თუ 60—70-ანი წლების შ რ ო მ ი ს ასოციაციები და ამხანაგობანი როგორ შეიცვალა 80—90-ან წლებში მ რ ე წ ვ ე ლ თ ა აქციონერულ საზოგადოებათა პროგრამით; რასაკვირველია, იქაც და აქაც ნიკოლაძეს შეერთებული ამხანაგობის პროგრამა ჰქონდა წარმოდგენილი, მაგრამ მაშინ, როდესაც 60—70-იან წლებში იგი სასწორს მ შ რ ო მ ე ლ თ ა კ ლ ა ს ი ს ა კ ე ნ ხრიდა და მათ ეყრდნობოდა, 80—90-ან წლებში იგი მ რ ე წ ვ ე ლ თ ა კ ლ ა ს ი ს განვითარებასა და გამარჯვებაზე ზრუნავდა. მართლაც, ნიკოლაძემ ამ პერიოდში გარკვევითა და ნათლად განაცხადა, რომ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების აღორ-

[1] ნ. ნიკოლაძე, საჭირო-ძალა—„მოამბე" № VIII გვ. 133. 1894 წ.

ძინება და მისი მეთაურობა მხოლოდ ბურჟუაზიულ კლასს შეუძლიაო. „ჩვენი წარმატება თხოულობს, რომ რაც შეიძლება მალე, რაც შეიძლება ბლომად იზრდებოდეს ჩვენში ეგრედ წოდებული შუათანა დასი (среднее сословие)... თქვენ ევროპის მეცნიერებისაგან დაწუნებული ბურჟუაზია მოგწონთ, გენატრებათო, გაიკვირვებენ. დიაღ, გვენატრება ჩვენთვის და არა ევროპისათვის. როცა ევროპა—ამ ასი, ას ორმოცდაათი წლის წინად—სწორედ იმნაირსვე მდგომარეობაში იყო, როგორშიაც დღეს ჩვენა ვართ, ყველაფერი, რაც კი შიგ ახალგაზრდა, გულწრფელი, პატიოსანი და შორს-გამჭვრეტი იყო სწორედ იმ შუათანა დასის მომხრე გახლდათ, რომელსაც დღეს ბურჟუაზიას ეძახიან. ისტორიული პროგრესის კანონი თხოულობდა ამას და ეხლაც ამასვე თხოულობს ჩვენგნით. ერის და ქვეყნის გამომყვანი სიღარიბისა და მონებისაგან, უმეცრებისა და უსწორმასწორობისაგან ყოველთვის და ყოველგან მარტო ეს საშუალო დასი, ბურჟუაზია ყოფილა და იქნება. ყოვლად შეუძლებელიც არის, რომ ეს სხვაფრივ იყოს“. [1]

ასეთი გარკვეული ენით დაიწყო წერა ნიკოლაძემ ბურჟუაზიის როლისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ჩვენი ცხოვრების წარმატების საქმეში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლაძე, არა მარტო მრეწველობის საქმეს აქცევდა დიდ ყურადღებას, არამედ საგარეო და საშინაო ვაჭრობის მოწესრიგების პროგრამასაც აყენებდა.

ავტორმა კარგად იცოდა, რომ ერის ეკონომიური აღორძინებისათვის „ყველაზე უმეტესად ჩვენი წარმოების, და განსაკუთრებით მრეწველობის გაძლიერებაა საჭირო“. მაგრამ მასთანვე მან კარგად იცოდა, რომ „ვაჭრობა განუყრელი ძმობილი ყოფილა წარმოებისა. ვაჭრობა ორის გზით ამრავლებს ქვეყნის ქონებას: ერთის მხრით ბაზარსა შოულობს მოსავლისათვის, და მით წარმოების ასპარეზს თან დათან აფართოებს, და მეორეს მხრით—აადვილებს, ააიაფებს ხალხის საჭიროებათა დაკმაყოფილებას. ამიტომაც ხეირიანად წარმოებული ვაჭრობა, თუ შემომქმედი არა, მომქმედი ძალა მაინც არის ერის საეკონომიო ცხოვრებაში, და ისეთი ძალაა ურომლისოდაც წარმოება, შემომქმედი შრომა ქვეყნისა აუცილებლად შემცირდებოდა“. [2]

რაკი ავტორმა ვაჭრობა ასე დიდ ეკონომიურ ფაქტორად აღიარა, ცხადია მას უნდა ეზრუნა იმისათვისაც, რომ აღებ-მიცემობის საქმე და ქართველ ვაჭართა წრეების მდგომარეობა შესაფერისად

[1] ნ. ნიკოლაძე, საჭირო-ძალა—„მოამბე“ № VIII გვ. 136—7. 1894 წ.
[2] ნ. ნიკოლაძე, საქონლის გამზიდავი ვაჭრობა—„მოამბე“— № XII. გვ. 128, 1894 წ.

მოწესრიგებულიყო. ნიკოლაძემ კარგად იცოდა, რომ ქართველ ვაჭართა კლასი სუსტი იყო და გამოუცდელი, იგი სწერდა: „ნუ დავიწყებთ, რომ ჩვენი კაცი, სავაჭრო ასპარეზზე, სრულიად გაუნათლებელ ძოებულ მდგომარეობაშია. ვაჭრობა უფულოდ, უკრედიტოდ, ყოვლად შეუძლებელია, ის ვაჭრობა კი არაა, ტანჯვა და სულის ხაფვაა. ყოველს ვაჭარს ჩვენში, სომეხია, თუ ურია, თუ ბერძენი, თუ უცხოელი, საკმაო ნდობა და კრედიტი აქვს სახელმწიფო და კერძო ბანკებში... მარტო ჩვენი ვაჭარია მარტოხელა, თავის საკუთარ ძალაზე მინებებული“.[1] ამრიგად მოწინავე პირების წინაშე მეტად დიდი ამოცანა არის აღმართული მოსაწესრიგებლად, მან უდიდესი ენერგია უნდა გამოიჩინოს ქართული ვაჭრობის საქმის ორგანიზაციაში. „ჩვენმა ინტელიგენციამ,—სწერს ნიკოლაძე—ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რომ ღვთის მადლით ახლად დაბადებულ მიმართულებას, ახლად გაღვიძებულ ვაჭრობის სურვილს, ახლად აღორძინებულს გამბედაობას შესაფერი შემწეობა აღმოუჩინოს საკმაო სერმიასა და კრედიტის მოვნით. ეს პირდაპირ მოვალეობაა ჩვენის ინტელიგენციისა, თუ იმას მართლა სურს, რომ ხანგრძლივად ფრთა არ მოეკეცოს ჩვენის ერის ვაჭრულს ნიჭს და გამბედაობას... ნუ გვგონია, ვითომ ამ მხრით არაფერი შეგვეძლოს, ბერის მოხერხება შეგვიძლია ჯერ ერთი-ერთმანეთთან დაკავშირებით, ამხანაგობათა შედგენით: საკმაოდ კაპიტალების შედგენა შეიძლება ჩვენშიაც, სააქციონერო თუ სხვა საურთიერთო კავშირის შემოღებით“.[2]

როგორც ვხედავთ 80—90-ან წლებში ნიკოლაძემ გარკვევით წამოაყენა თავისი ბურჟუაზიული ეკონომიური პროგრამა და პრაქტიკული ღონისძიებანიც დასახა მის განსახორციელებლად, იყო დრო, როდესაც ნიკოლაძე ენერგიულად ებრძოდა ვაჭრობას და მოითხოვდა მის შეზღუდვას ასოციაციებისა და კოპერაციების დაარსების საშუალებით. მაგრამ ეს იყო შორეულ წარსულში, ახალგაზრდობის პერიოდში, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უტოპიური იდეებით გატაცების ხანაში. დრომ თავისი გაიტანა, ისტორიამ ახალგაზრდულ ოცნებას ფრთები შეაჭრა, ფერი შეუცვალა და დღეს ნიკოლაძის ლოზუნგად გადაიქცა: „ევროპიულად ვითვალისწინებდეთ და ვეპყრობოდეთ ვაჭრობას, ღირსეულს პატივს ვცემდეთ მისს ღირსებას, ვცდილობდეთ მისის ნაკლის გასწორებას“.[3] და როგორც დავინახეთ, ეს „ღირსეული პატივისცემა“ ნიკოლაძის აზრით იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ „მკვიდრი საფუძველი მისცემოდა ჩვენს

[1] ნ. ნიკოლაძე, საქონლის გამზიდავი ვაჭრობა—„მიამბე № XII გვ. 128
[2] იქვე გვ. 137 — 39. 1894 წ.
[3] იქვე, გვ. 142.

გამზიდავ ვაჭრობას: ერთის მხრით რიგიან კავშირთა გამართვით მწარმოებელთა შორის, და მეორეთი—ხეირიანის კრედიტის შოვნით გამზიდველებისათვის. ამ საქმეს სრული თავისი ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენმა წარმომადგენლობამ, ჩვენმა მოწინავე თაობამ ზოგან ურთიერთობის დასაარსებლად ან განსახორციელებლად, და ზოგან კი მთავრობის მოქმედების ან შემწეობის გამოსაწვეველად."[1] ამრიგად ნიკოლაძე მოითხოვდა შეერთებული შრომის დაარსებას ვაჭარ-მრეწველებისათვის, ასოციაციების და ამხანაგობების ჩამოყალიბებასა სავაჭრო ბანკის მოწესრიგებას. აქაც შეგვეძლო გაგვეხსენებია ის ფაქტი, რომ წინად ნიკოლაძე მშრომელთა ასოციაციების დაარსებას ქადაგებდა ჩვენში, დაჟინებით მოითხოვდა გლეხთა შეერთებას თემური წყობილების ფორმებში;—დღეს მის იდეალად და დასაყრდენ ძალად საქართველოს ბურჟუაზიული კლასი და კაპიტალისტური ეკონომიკა გადაიქცა. ამგვარად, ნიკოლაძე ნორჩი ქართველი სამრეწველო ბურჟუაზიის იდეოლოგი იყო; მისი პროგრამა და სამოღვაწეო გეგმები არსებითად და ძირეულად გამოხატავდა იმ კლასის ინტერესებს, რომელიც ჯერ კიდევ ვერ თამაშობდა თავის შესაფერისს როლს ჩვენი ცხოვრების ვითარებაში; იგი ჯერ კიდევ ნორჩი და მოუმწიფებელი იყო, მან იმ ხანებში ვერ შესძლო ორგანიზაციულად ჩამოყალიბება და აქტიურად გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე. ეს უდაო ფაქტია; მაგრამ მისი მისწრაფებანი, მისი კლასიური ინტერესები და პროგრამა მთელი თავისი სიმძიმით გამოიხატა როგორც ნიკოლაძის, ისე გ. წერეთლის ნაწერებში. შეიძლება გადაჭრით ითქვას რომ, ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლის სამოღვაწეო გეგმები საფუძვლად დაედვა XX-ე საუკუნეში აღმოცენებულ ნაციონალურ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამას, და სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ნიკოლაძეც ამ პარტიის წევრი გახდა.

აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ არ. ჯორჯაძის მიერ XX-ე საუკუნის დასაწყისში „ცნობის ფურცელში" წამოყენებული გეგმები ნაციონალური კაპიტალის და ნაციონალური ბურჟუაზიის შექმნის შესახებ, არსებითად განმეორება იყო იმისა, რაც ბევრად ადრე წამოაყენეს გ. წერეთელმა და ნ. ნიკოლაძემ. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ჯორჯაძის ბურჟუაზიული გეგმები გამოხვეული იყო სოციალურ ფეოდალიზმის მანტიაში, ხოლო ნ. ნიკოლაძეს უკვე განვლილი ჰქონდა ეს „ავადმყოფობა" და ყოველ საგანს თავის ნამდვილი სახელწოდებით ნათლავდა.

---

[1] იქვე, გვ. 141

საერთოდ ნიკოლაძის ეკონომიური პროგრამა განხილული და შეფასებული უნდა იქნეს თავისი ეპოქის მიხედვით. იმ ხანებში, როდესაც ზემოდ მოყვანილი აზრები იწერებოდა, კაპიტალისტური ურთიერთობა ეკონომიურად აუცილებელ ეტაპს წარმოადგენდა ჩვენი ცხოვრების განვითარების საქმეში, იმ პერიოდში საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება და კლასები იტანჯებოდნენ არა მარტო კაპიტალიზმის განვითარებით, არამედ მისი განუვითარებლობითა და ჩამორჩენილობითაც. მიუხედავად იმისა, რომ 80—90-ან წლებში ჩვენი ეკონომიური ცხოვრება სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ, მაინც კაპიტალიზმის განვითარებას მრავალი მიზეზი ეღობებოდა წინ, უმთავრესად კი ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთები, დარჩენილი ჩვენი სოფლის მეურნეობაში. იმ ხანებში კაპიტალიზმის განვითარება ჩვენში ეკონომიურად აუცილებელსა და უაღრესად პროგრესიულ ფაქტორს წარმოადგენდა. ნიკოლაძეც იმ ხანებში თავისი ეკონომიური პროგრამით ჩვენი ცხოვრების ამ რეალურ მოთხოვნილებას ემსახურებოდა, ისტორიის მიერ რადიკალურად წამოყენებულ ამოცანის გადასაწყვეტად ზრუნავდა.

მაგრამ ის გზა და პროგრამა, რომელიც იმ ხანებში დაუსახა განსახორციელებლად საქართველოს მოწინავე წრეებს ნიკოლაძემ, თანამედროვე საქართველოსათვის უკვე განვლილია და ისტორიის არქივშია ჩაბარებული. ერთ დროს პროგრესიული და ცხოვრების წინ წამწევი ეკონომიური პროგრამა, თანამედროვე საზოგადოებრივ-ისტორიულ პერიოდში რეაქციისა და ცხოვრების უკან დამწევ ფაქტორად გადაიქცა, დღეს პროლეტარიატის ბატონობისა და გარდამავალ პერიოდის პირობებში საწარმოო ძალთა განვითარება და ცხოვრების წინმსვლელობა შესაძლებელი არის მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტური წარმოების გზით, მთელი ჩვენი ცხოვრების სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნის საშუალებით.

სწორედ ამიტომ, ნიკოლაძის ეკონომიურ პროგრამას მხოლოდ ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობა აქვს იმის გამოსარკვევად თუ ლიბერალური ინტელიგენცია როგორი გზითა და როგორი პროგრამით ემსახურებოდა საქართველოს ეკონომიური წარმატების საქმეს.

3. პოლიტიკური სოფლმხედველობა

ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ რუსეთის ბურჟუაზია ისტორიულ პირობების გამო არ წარმოადგენდა არსებულ წყობილებისადმი რევოლუციონურად განწყობილ კლასს. გარკვეულმა ობიექტიურმა გარემოებამ მთელი რუსეთის ბურჟუაზია ორ მოწინააღმდე-

გე სოციალურ ძალთა შორის მოაქცია: თვითმპყრობელობასა, რომელიც მემამულეთა ინტერესებს გამოხატავდა, და ახლად ამოძრავებულ მუშათა კლასს შორის; ბურჟუაზიას ამ ორ სოციალურ ძალისაგან ერთ-ერთი უნდა აერჩია თავის მოკავშირეთ: მას დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება არ შეეძლო. ობიექტურმა პირობებმა მთელი რუსეთის ბურჟუაზია აიძულა თავისი პოლიტიკის სასწორი თვითმპყრობელობისაკენ გადაეხარა და მასში ეძებნა თავისი მოკავშირე ძალა. ამას თავისი ეკონომიური და სოციალური მიზეზები ედვა სარჩულად. ერთი მხრივ, მთელი რუსეთის ეკონომიური წარმატებისა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების გზები ღრმად გადაეკვეთა თვითმპყრობელობის პოლიტიკასა და საქმიანობას; მეორე მხრივ, ბრძოლა და შერყევა თვითმპყრობელობის საფუძვლებისა რუსეთში არსებითად, ისტორიულ პირობების გამო, ნიშნავდა თვით კაპიტალისტურ წყობილების შერყევასა და ძალაუფლების გადასვლას რევოლუციონურად განწყობილ პროლეტარიატისა და მისი პარტიის ხელში. ასეთს პირობებში მთელი რუსეთის ბურჟუაზიამ რუსეთში ვერ ითამაშა ის რევოლუციონური როლი, რომელიც დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ კლასს ხვდა წილად XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველ ნახევრის პერიოდში. რუსეთში ბურჟუაზიული კლასი არსებითად მიემხრო მთავრობას და დაუპირისპირდა მუშათა კლასის განმანთავისუფლებელ რევოლუციონურ მოძრაობას, როგორც მისი კლასიური მოწინააღმდეგე ძალა; იგი მხოლოდ ოპორტუნისტული გზით, რეფორმისტულ მშვიდობიანი საშუალებებით ცდილობდა ემოქმედნა თვითმპყრობელობაზე და აეძულებინა ის შემოეღო რუსეთში ერთგვარი პარლამენტარული სისტემა; არსებითად რუსეთის ბურჟუაზიის პოლიტიკური მისწრაფებანი კონსტიტუციონალური მონარქიის იქით არ მიდიოდა. ამ შემთხვევაში ბურჟუაზიას სურდა პარლამენტარული წესის შემოღებით მთავრობა თავის გავლენის ქვეშ დაეყენებია და ძალა-უფლების ერთ-ერთ მესაჭედ ისიც გამხდარიყო. ამრიგად რუსეთის ბურჟუაზია თვითმპყრობელობის შერყევასა და მის დამხობას კი არ ცდილობდა, არამედ მის შეგუებას კაპიტალისტურ ურთიერთობის განვითარებასთან. უკეთ—მის გადაყვანას მშვიდობიან-რეფორმისტული გზით კაპიტალისტურ წყობილების საფუძვლებზე.

როდესაც ნიკოლაძის პოლიტიკურ სოფლმხედველობას ითვალისწინებთ 80-იან წლების მეორე ნახევრიდან მოკიდებული, თქვენ ნათლად გრძნობთ, რომ მისი სამოღვაწეო პროგრამა საერთოდ არაფრით არ განსხვავდება, გარდა მცირედი დეტალისა, რუსეთის ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციისა და პარტიების პროგ-

რამისაგან. ეს არც გასაკვირია. ისტორიულ-ეკონომიური აუცილებლობის გამო ჯერ საქართველოს კიდევ ნორჩი ბურჟუაზიული ფენები ღრმად შეექსოვენ რუსეთის კაპიტალიზმის ინტერესებს და ჩვენი ინტელიგენციის ბურჟუაზიული ნაწილიც კარგად ხედავდა ამას და ამის შესაფერისს პოლიტიკურ პროგრამას იმუშავებდა. ნიკოლაძე ერთი პირველთაგანი იყო, რომელსაც თავიდანვე კურსი აღებული ჰქონდა რუსეთის ბურჟუაზიაზე და ბურჟუაზიულ ინტელიგენციასთან თანამშრომლობისაკენ. მან თავიდანვე დაჰგმო „უკიდურესობისა“ და რევოლუციონური ძალდატანების ტაქტიკა. 1913 წ. იგი სწერდა: „უკიდურესობის მომხრე ვერსად ასცილდება სოციალ-დემოკრატიის გავლენას. ცხოვრება მარტო ამ პარტიას აწოდებს თავ-უზოგავი ბრძოლის მასალად: მუშას, უქონებო, უიმედო ხალხს, რომელსაც დასაკარგავი არა აქვს-რა და ყოველი ნაძალადევი მოგებას უქადის. ქართველობის მიზნები კი მარტო ზომიერების გზით მიიწევდა“.[1] ნიკოლაძეს ქართველების მაგივრად თავისუფლად შეეძლო ეხმარა ქართველი ბურჟუაზია, რადგან მხოლოდ ამ კლასის ინტერესები და მისი ისტორიული პირობები მოითხოვდა ზომიერების გზით სიარულს, მხოლოდ ამ კლასისა და ქართველ თავადაზნაურობას დააკისრა ისტორიამ რუსეთის ტახტთან და რუსეთის ბურჟუაზიასთან ერთად სიარული.

როგორც წინა თავიდან დავინახეთ, 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ნიკოლაძის მთავარ ყურადღებას ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარება და ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კლასის ჩამოყალიბება იპყრობდა. ერთ დროს თუ იგი ქართველი პროლეტარიატის საკითხითაც იყო დაინტერესებული,[2] აღნიშნულ პერიოდში ნიკოლაძის პროგრამიდან სავსებით ამოშლილი იყო ქართველი მუშათა კლასი და მასზედ ზრუნვა. 1894 წ. იგი სწერდა: „ჩვენში, განსაკუთრებით განათლებულ საზოგადოებაში, ის შემცდარი აზრი მეფობს, ვითომ აზნაურობაზე სჯა და ცდა „მოდნა“ როდიაო. ეხლა „მოდნა“, თურმე ქარხნების მუშებზე ზრუნვა ყოფილა. წარმოიდგინეთ ჩვენი უბედურება: ქარხნების მუშებზე უნდა ვიზრუნოთ, და არც ქარხნები გვაბადია, არც ქარხნის მუშები.“[3] ნიკოლაძეს აწუხებს ის აზრი, რომ „ჩვენც ამ უარსებო ქარხნის მუშებზე ვანთხევთ ცრემლს“, ვინემ ვზრუნავთ აზნაურთა სოციალური მდგომარეობის მოწესრიგებაზე, ფაბრიკა-ქარხნების გახსნასა და ბურჟუაზიული კლასის გამრავლებაზე. იმ პერიოდში (90-იანი წლები,) როდესაც ჩვენში

[1] ნ. ნიკოლაძე, ჩემ პოლიტიკაზე გვ. 67, 1913 წ.
[2] იხ. რჩეული ნაწერები ტ. I გვ. 195—98. გაზ. „დროება“ № 48, 1871 წელი.
[3] ნ. ნიკოლაძე, აზნაურობას რა უშველის?—„მოამბე“ № IX, გვ. 125 1894 წ.

უკვე ყალიბდებოდა მუშათა პარტია და ჩვენი მუშათა კლასის მოძრაობა უკვე გადადიოდა სტიქიურ-ეკონომიურ მოძრაობიდან პოლიტიკურ-რევოლუციონურ და ორგანიზაციულ მოძრაობაზე ნიკოლაძემ, როგორც ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგმა და მისი ინტერესების გამომხატველმა, ნათლად დაინახა ახალ მოძრაობასა და სოციალურ ფაქტორებში თავისი კლასიური მტერი და ენერგიული ბრძოლა გამოუცხადა პირველსაც და მეორესაც. მაშინ, როდესაც ახალი ს.-დემოკრატიული ინტელიგენცია მუშათა კლასს მოუწოდებდა მთავრობის წინააღმდეგ რევოლუციონურ ბრძოლისაკენ, ნიკოლაძე ქართველ მოწინავე საზოგადოებას უქადაგებდა მთავრობასთან შეთანხმებასა და მშვიდობიან მოღვაწეობას. 1894 წელს იგი სწერდა:

„მთავრობის მოქმედება და მიმართულება რუსეთში, როგორც ყოველს განათლების გზაზე დამდგარს სახელმწიფოში, არ შეიძლება ცოტაოდნად მაინც არ მიჰყვებოდეს საზოგადო აზრის და შეხედულების მსვლელობას. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო უდიდესი გავლენა აქვს მისს მმართველობაზე მისის ერის რწმენას და მოაზრებას. ვისაც ჰსურს, რომ მთავრობის მოქმედება ხელს უწყობდეს ჩვენს ინტერესებს, ან მათს ზრდას ხელს მაინც (არ) უშლიდეს, ის უნდა მიხვდეს, რომ ამისთვის ყოვლად საჭიროა მმართველობას, და უფრო საზოგადოებას, გავაგებინოთ, დავაჯერებინოთ, დავამახსოვრებინოთ სიმართლე, სისწორე და სიკეთე... მთავრობის ,,მიმართულებაც'' იმ ათასისა და ათი ათასის გადაწყვეტილებიდან გროვდება, რომელთაც მმართველები სხვა-და-სხვა საქმეების განხილვის დროს ადგენენ ხოლმე.“ [1]

ამრიგად მთავრობაზე ზემოქმედებით შესაძლებელია საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და ზრუნვა. რასაკვირველია, როდესაც ნიკოლაძე საზოგადოების ინტერესებზე სწერდა, მას მხედველობაში ჰქონდა გაბატონებული წრეების ინტერესები, უწინარეს ყოვლისა ქართველი ნორჩი ბურჟუაზიის მისწრაფებანი და მოთხოვნილებები. ნიკოლაძე სავსებით დარწმუნებულია იმაში, რომ სწორი და მიზანშეწონილი მოქმედებით სავსებით შესაძლებელი არის „ჩვენი საზოგადოების“ მისწრაფებების დაცვა. „თვითეული ამ საქმის ახსნა, დაცვა, გადარჩენა, გამოკეთება შეუძლებელი არ არის ჩვენთვის,“ სწერს იგი,—ყველამ იცის, რომ როცა კი ვიმეცადინეთ რომელისამე კერძო თუნდ საზოგადო საქმისათვის, ის საქმე თითქმის

[1] ნ. ნიკოლაძე, მიწად-მოქმედების მინისტრის მოგზაურობა — „მოამბე“ № X, გვ. 148—149, 1894 წ.

ყოველთვის, ჩვენის სურვილისამებრ დაბოლავდა კიდეც. ყოველთვის, ნიადაგ შეუწყვეტლად რომ ვმეცადინეობდეთ, შეიძლებაა ყველა ჩვენის საქმის გადაწყვეტას დაღი დაესვას, ჩვენი ერი მიეცეს.“ [1]

იყო დრო, როდესაც ქართველი თავადაზნაურობისა და მისი ინტელიგენციის დროშაზე აღბეჭდილი იყო მათთვის ურყევი პოლიტიკური ლოზუნგი: რუსეთის ტახტის ერთგულება და „სამშობლოს“ სიყვარული. რუსეთის თვითმპყრობელობა ჩვენი თავად-აზნაურობისათვის თავისი არსებობის უმთავრეს წყაროდ გადაიქცა. დადგა დრო, როდესაც ქართველი ბურჟუაზია და მისი იდეოლოგები ამავე ტახტში ეძებდენ დამხმარე ძალას მთელი რუსეთის მასშტაბით დაწყებულ რევოლუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ. მაგრამ ბურჟუაზიას მაინც თავისებური ინტერესი ჰქონდა და საკითხისადმი თავისებურ მიდგომით ხელმძღვანელობდა თავისი მოღვაწეობის დროს. მისთვის, თუ ერთი მხრივ, თვითმპყრობელობა აუცილებელ დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა, მეორე მხრივ, იგი ცდილობდა ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობები შექმნილიყო რუსეთში, რომელიც ფართო გასაქანს მისცემდა სამოღვაწეოდ ბურჟუაზიულ კლასს. იმავე წერილში ნიკოლაძე სწერდა:

„თანდათან უფრო და უფრო ხშირად ვხედავთ ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა უწყებათა უმაღლესს წარმომადგენელთ, რომელნიც მოდიან ჩვენში საქმის ადგილობრივ გასაჩხრეკად. მათ ჰსურთ საკუთარის თვალით ჰნახონ და გაჰზომონ აქაური გარემოება და მდგომარეობა... ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის ეს დიდი ბედნიერებაა. რაც უფრო ახლო გაგვიცნობენ და შეგვისწავლიან ჩვენი მმართველები, მით უმჯობესია ჩვენთვის: მით უფრო გონიერად და სამართლიანად, მით უფრო თვალ-ახელით წაიყვანენ მერე ჩვენს საქმეებს, რომლის ბედი და უბედობა ამჟამად სრულს მათს უფლებაშია... ჩვენი ერი, რომ უფრო განათლებული იყოს, ამდენ ხანსაც იმას კი არ მოუცდიდა, რომ თვით მმართველებს მოეხდინათ აქაურობის გაცნობა: თვითონვე ეცდებოდა მათთვის თვით გაეცნო და თავისი მდგომარეობა დაენახვებინა. გადავიდა თუ არა ჩვენგან ჩრდილოეთისაკენ მმართველობის ძალა—მაშინვე თან უნდა გაგვეყოლებინა ჩვენი სიმართლის და ინტერესების მუდმივი წარმომადგენელი, გამომთქმელი და დამცველი ორგანოები. უამისოდ ჩვენ ვერ ვივარგებთ, ვერ გავძლებთ“. [2]

[1] ნ. ნიკოლაძე, მიწად-მოქმედების მინისტრის მოგზაურობა—„მოამბე“ № X გვ. 148. 1894 წ.

[2] იქვე გვ. 149.

ასე სწერდა ნიკოლაძე 90-იან წლებში და ამ თავისი პოლიტიკური გეზით იგი არ განსხვავდებოდა იმ პოლიტიკურ პროგრამისაგან, რომელიც თავად-აზნაურულმა ინტილიგენციამ შეიმუშავა 60-იან წლებში 32 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ; ნიკოლაძე ამ მხრივ გრ. ორბელიანის, დიმ. ყიფიანისა და სხვათა პოლიტიკური პროგრამის გამგრძელებელი იყო; ის უკვე გამოეთხოვა 60-70-იან წლებში შემუშავებული თავის რადიკალურ-პოლიტიკურ პროგრამასა და ახალი ოპორტუნისტული გზით იწყო მოღვაწეობა. მაგრამ ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურობის ინტერესები და მათი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაინც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. პირველი მოწმედი და პროგრესიული კლასი იყო, რომელიც ცდილობდა ახალი ცხოვრების შეჭმნასა, მის მეთაურობას: იგი ცდილობდა გამოეხატა მთელი მოწინავე ერის ინტერესები, გამხდარიყო მის მესაჭედ და ხელმძღვანელად. ძველი პოლიტიკური წყობილების ფარგლები და ფორმა მისთვის ერთობ ვიწრო და შემზღუდველი იყო. ამიტომ იგი მოითხოვდა ამ პოლიტიკური წყობილების ფარგლების გაფართოებას უფრო აქტიურ და შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, აქედან წარმოსდგა მთელი რუსეთისა და ქართველ ბურჟუაზიის ლიბერალურ-დემოკრატიული მისწრაფებანი, რომელიც საარჩევნო სისტემის შემოღებისა და ადგილობრივ თვითმართველობების ფუნქციების გაფართოებაში გამოიხატებოდა. ამ გზით ცდილობდა ბურჟუაზია მონაწილეობა მიეღო სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეში და თითქმის სრული ბატონ-პატრონი გამხდარიყო ადგილობრივ მართველობისა. ასეთი პოლიტიკური პროგრამა სრულიად არ სპობდა რუსეთის თვითმპყრობელობის საფუძვლებს; ამ პროგრამის მიზანი იმაში გამოიხატებოდა, რომ რუსეთის აბსოლუტურ მონარქიისათვის კონსტიტუციონალური შინაარსი მიეცა და შეეგუებია იგი კაპიტალისტური ურთიერთობის ინტერესებისათვის. ნიკოლაძე კვლავ დარჩა თვითმმართველობის მქადაგებელი, მაგრამ ახალი გაგებით.

„...თვითმმართველობა უმჯობესი სკოლაა საზოგადოების აღზრდისა, სწერდა—იგი 1895წ.—ამ თვითმმართველობაში, რაც მეტს რიცხვს აქვს მინიჭებული კენჭი, და რაც უფრო გონება გაუხსნელია უმრავლესობა, მით უფრო მეტი დრო სჭირია მას გამოცდილების შესაძენად, განსაკუთრებით იქ საცა უფლება უცაბედათ და ერთბაშად მიჰნიჭებია ყველას, ესაა თანამედროვე დემოკრატიის ზოგიერთი ნაკლულევანების მიზეზი. ის „მეცნიერები“, რომელნიც, ამ მიზეზით იწუნებენ და ჰგმობენ დემოკრატიას—როგორც ტენი, მაგალითად, ან რენანი—უსამართლოდ ივიწყებენ ამ გარემოებას. სამართლიანად რომ სჯიდნენ, ისინი დარწმუნებულნი იქნებოდნენ რომ მათგან

ნაქებ ფორმას მართვისას დემოკრატიაზე ასჯერ უფრო მძიმე ნაკლულევანება ჰქონდა, არა თუ თავის პირველ-დაწყებით სტადიაში, როგორშიაც დღეს იმყოფება დემოკრატია ყველგან, თვით ხარისხის დროსაც".[1]

ამრიგად, ნიკოლაძის შეხედულებით ჩვენს დროში, მთელი კაცობრიობის აზრით, არჩევანი ერის წყობილების და ბედის საძირკველია"; [2] თვითმართველობა და დემოკრატიული წყობილება საუკეთესო გარანტიაა წინმსვლელობისა და წარმატებისათვის;—„ხელირიან განწყობილებას, რიგიან წესს და კანონმდებლობას" [3] შეუძლია აღმოფხვრას ყოველგვარი არეულობა, უთავბოლო ბრძოლა და მთელ საზოგადოებას მისცეს საშუალება აქტიური მიზანშეწონილი შემოქმედებისა და მოღვაწეობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლაძე თვითმართველობისა და „არჩევნებით წესს" — პარლამენტარიზმს უკმევდა გუნდრუკს, იგი მაინც თავის მოღვაწეობის მეორე პერიოდში არასოდეს არ მისულა რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობის ქადაგებამდე და ნამდვილი დემოკრატიული წესწყობილების დამყარების საჭიროებამდე. ამ მხრივ იგი ცდილობდა „თვითმართველობაც" და „დემოკრატიზმიც" შეეფარდებია თვითმპყრობელობის პრინციპთან, ამ უკანასკნელისათვის მიეცა ლიბერალურ-კაპიტალისტური შინაარსი. ნიკოლაძის ეს ბურჟუაზიულ-ლიბერალური სოფლმხედველობა განსაკუთრებული სიძლიერით ნათელი შეიქმნა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში. ნიკოლაძეს არ სურდა ამ რევოლუციის არსებითი სოციალ-ეკონომიური შინაარსი დაენახა: მას არ სურდა გაეგო ის აუცილებელი პირობა, რომ რევოლუციას ძირიანფესვიანად უნდა აღმოფხვრა ფეოდალური წყობილების ნაშთები, გაენთავისუფლებია გლეხობა მონურ მდგომარეობისაგან, გადაეცა მათთვის მიწები, უაღრესად დემოკრატიული წყობილების დამყარებით შეექმნა პირობები საზოგადოების შემდეგი თავისუფალი განვითარებისათვის; ნიკოლაძე კარგად ხედავდა, რომ ამ დემოკრატიულ-ბურჟუაზიულ რევოლუციის მამოძრავებელ ძალად და მის ხელმძღვანელად გადაიქცა რუსეთის პროლეტარიატი მშრომელ გლეხობის დახმარებით; და იგი სწორედ ამ ფაქტში ხედავდა თავის კლასისათვის დამღუპველ ფაქტორს. იგი რუსეთის ბურჟუაზიულ ინტილიგენციასთან ერთად გრძნობდა, რომ პროლეტარიატის გამარჯვება და მისი მეთაურობა საფრთხეს უმზადებდა იმ კლასს, რომლის ინტე-

[1] ნ. ნიკოლაძე, ახალი ვითომ ცვლილება საფრანგეთში. — „მოამბე" № 2, გვ. 125, 1895 წ.

[2] ნ. ნიკოლაძე, შინაური მიმოხილვა—„მოამბე" № 5 გვ. 141, 1894 წ.

[3] ნ. ნიკოლაძე, ბათუმის არჩევნები—„მოამბე" № III გვ. 166, 1895 წ.

რესებსა და მისწრაფებებსაც იგი გამოხატავდა, ამიტომ მას სურდა მოძრაობა ეიწრო პოლიტიკურ ფარგლებში მოექცია. 1905 წ. დეკემბერ წერილ წერილში ნიკოლაძე სწერდა:

„შეერთდით ყველა: რუსი, თათარი, ფრანგი, სომეხი, ქართველი, ურია, ლეკი, გლეხი, თავადი, აზნაური, ერი და მღვდელი, მდიდარი და ღარიბი, ნასწავლი და უმეცარი თვითმართველობის დროშის ქვეშ! მარტო ამ დროშას, ამ ერთობას შეუძლია იმ წესის დამყარება, რომელიც მოსპობს ყველაფერს, რაც ურიგო, უსამართლო ან საძულო ჩვენს ცხოვრებაში და ურთიერთობაში. თუ კი ეს ერთობა ვიქონიეთ და დავიცეთ, ვერავითარი ძალა ვერ წინააღუდგება ჩვენს წარმატებას, ჩვენში სრული თვითმმართველობის დაარსებას. ამას არც არეულობა სჭირია, არც მსხვერპლი, არც სისხლის ღვრა. საჭიროა მხოლოდ რუსეთს და მთავრობას დავანახოთ, დაუმტკიცოთ რომ მთელი ჩვენი მხარე, განურჩევლად ეროვნისა, რჯულისა, წოდებისა და ქონებისა, იმასვე თხოულობს, რისთვისაც იბრძვის რუსეთის ინტელიგენცია... ჯერ ამ ჟამათ, აუცილებლათ საჭირო და გადაუდებული მარტო ერთი საქმეა: იმ საერთო შენობის პოლიტიკური თავისუფლების აგება, რომლის მფარველობის ქვეშ ყველასათვის შესაძლო შეიქმნება წესიერი, სამართლიანი შრომა და ბრძოლა თავის კერძო ინტერესების სასარგებლოდ. დღეს ყველა მოვალეა დროებით მიწაში ჩამარხოს ყოველგვარი ნაციონალური, სოციალური რწმუნებრივი დროშა და მარტო ერთს საერთო რუსეთის თვითმმართველობის დროშას გულწრფელად და დაუზოგველად ემსახუროს, მარტო ეს დროშა დაუმკვიდრებს ჩვენს ქვეყანას და ყველა მის ერებს თავისუფლებას, თანასწორობას და ძმობას.“ [1]

ამრიგად, ნიკოლაძე ცდილობდა გრანდიოზული სოციალ-პოლიტიკური შინაარსის რევოლუცია, რომელსაც რადიკალურად უნდა გარდაექმნა მთელი რუსეთის პოლიტიკური და აგრარული შენობა, ეიწრო პოლიტიკურ პროგრამის ფარგლებში მოექცია; იგი, დამფრთხალი რუსეთის და საქართველოს პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის ბრძოლით, ცდილობდა ამ მოძრაობისათვის კლასიურ-სოციალური შინაარსი გამოეცალა და თავადი და გლეხი, ბურჟუა და პროლეტარი, ღარიბი და მდიდარი ერთ უღელში შეება და ერთი მიზნით აემოძრავებინა; მისი მთავარი პოლიტიკური მიზანი, ამ შემთხვევაში, ლიბერალურ-ბურჟუაზიული თავისუფლებისა და თვითმმართველობის შემოღებაში გამოიხატებოდა. მაგრამ ეს

[1] ნ. ნიკოლაძე, მამაშვილური რჩევა—„კლდე“ № 38, გვ. 4—5. 1913 წ. იხ. აგრეთვე მისი პოლემიკური ბროშურა „Горе имеем сердца“ (1906 წ.) რომელშიაც იგი უარყობს რევოლუციონურ ბრძოლას და მოითხოვს თანამშრომლობას რუსეთის პროგრესიულ ელემენტებთან.

უნდა განხორციელებულიყო არა რევოლუციონური მეთოდით, არამედ „რუსეთის პროგრესიულ ელემენტებთან თანამშრომლობით და მთავრობაზე მშვიდობიანი ზემოქმედებით". ასეთი იყო ქართველი ბურჟუაზიული კლასის მისწრაფება 1905 წლის რევოლუციაში; ეს მისწრაფება უყოყმანოდ და გაბედულად გამოხატა თავის პუბლიცისტურ წერილებში ამ კლასის ნიჭიერმა იდეოლოგმა და მათი ინტერესების დამცველმა ნიკოლაძემ. უნდა ვსთქვათ, რომ ნიკოლაძის 1905 წლის პროგრამა თითქმის არაფრით არ განსხვავდება იმ პოლიტიკურ ხაზისაგან, რომელსაც დაადგა მთელი რუსეთის ლიბერალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია: სოციალ-კლასიურმა მდგომარეობამ გრანდიოზული რევოლუციის პროცესში ბუნებრივად გააერთიანა ყველა ერის გაბატონებული კლასის პარტიები და იდეოლოგები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნიკოლაძე არა მარტო მებრძოლი პუბლიცისტი იყო საქართველოს ბურჟუაზიისა, არამედ მისი პრაქტიკოსი მეთაურიც. იგი არა მარტო კალმით ხელში, როგორც გამოცდილი პუბლიცისტი და პოლემისტი, ებრძოდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მისწრაფებებს, მათ მოძრაობასა და მათ ხელმძღვანელ პარტიებს, არამედ როგორც მეთაური ერთ-ერთ ბურჟუაზიული დაწესებულების — ფოთის ქალაქის თვითმართველობისა — იძულებული შეიქნა ზომები მიეღო და ქალაქში წესიერების დასაცავად, გამოეწვია მთავრობის ჯარი ფოთში.[1]

უნდა ვსთქვათ, რომ როდესაც ნიკოლაძე სწერს თვითმართველობის შემოღების შესახებ და ამტკიცებს, რომ „თუ ჩვენ გვჯერა განათლებული ქვეყნის ბედს დაუკავშირდეთ, ჩვენც წარმომადგენლობაში უნდა ვეძებდეთ და ვეცნობოდეთ წარმატების ღონისძიებას"-[2]. ამ შემთხვევაში იგი ბურჟუაზიის ინტერესებიდან გამოდიოდა და ბურჟუაზიისათვის ცდილობდა შეექმნა ბრძოლისა და მოღვაწეობისათვის შესაფერისი ორგანოები. იმდენად, რამდენადაც ნიკოლაძე ეხება ხალხის მონაწილეობის საკითხს წარმომადგენლობით და საარჩევნო საქმეებში — ამ შემთხვევაში ავტორის მთავარი მიზანი იყო ხალხის ფართო მასა ბურჟუაზიისა და მისი ინტელიგენციის გავლენის ქვეშ დაეყენებია გამოეყენებია იგი თავისი ინტერესებისათვის და მისი წარმომადგენლობა ეკისრა. ნიკოლაძემ, როგორც ძველმა გამოცდილმა პოლი-

---

[1] იხ. „Кавказ" № 30, 1906 წ. აქვე ავღნიშნავთ, რომ 1908 წ. იგი ერთს თავის წერილში მთავრობას უსაყვედურებოდა, რომ მან ვერ გააუმჯობესა ა.-კავკასიაში პოლიცია, რომლის მთავარ მოვალეობას შეადგენს წესრიგის დაცვა, რომელსაც თანამედროვე პირობებში ბევრნაირი საშუალებებით ებრძვიან. (იხ. Н. Николадзе, Заброшенный Кавказ, გაზ. „Новое время" № 1 62ე, 1908 წ.)

[2] ნ. ნიკოლაძე, წარმომადგენლობა არჩევნებში — „მოამბე" № XI, გვ. 121, 1894 წ.

ტიკურმა მოღვაწემ, კარგად იცოდა, რომ ერის მეთაურობასა და ახალი ცხოვრების მესაჭეობას იმ ჯგუფს მიანიჭებდა ისტორია, რომელსაც ხალხის მასა დაუჭერდა მხარს. მისი „დემოკრატიობა" მასის მიმხრობისაკენ იყო მიმართული, მართლაც ბუნებრივი იყო, როდესაც ჩვენში 90-იან წლებში ს.-დემოკრატია ფართო მასიურ მუშაობას შეუდგა და მოიწადინა თავისი გავლენის ქვეშ დაეყენებია სოფლისა და ქალაქის დემოკრატიული ფენები, ბურჟუაზიასაც უნდა ეზრუნა ამ მასის დაპყრობაზე და თავისი გავლენის ქვეშ დაყენებაზე. ნიკოლაძემ ნათლად დაინახა ამ საკითხის მომწიფება ჩვენში და გარკვევით წამოაყენა იგი თავის პუბლიცისტურ წერილში, მაგრამ რადგან ჩვენი ბურჟუაზია უხერხემლო იყო და თვით ბურჟუაზიული პარტია ჯერ არსად სჩნდა, ამიტომ ლოზუნგი ლოზუნგათ დარჩა და ცხოვრებამ თავის გზით დაიწყო დენა. ერთს თავის პუბლიცისტურ წერილში იგი სწერდა:

„ნამდვილი თვითმპყრობელობა, როგორც მთელი განათლებული კაცობრიობა დარწმუნდა, შესაძლოა მარტო წარმომადგენლობის წესით, რადგანაც მარტო ამ წესის შემწეობით დაარსდა უცხოეთში სამართლიანობა და თავისუფლება, თანასწორობა და სიმართლე... ყველამ გაიგო, რომ წარმომადგენლობა ყოფილა მეორე და უაღრესი ნაბიჯი, თუ საფეხური თვით-მმართველობისა... ამ ქვეყნებშიაც (შვეიცარია და სხვა.) ხალხის აზრის გამომთქმელი, ხალხის საქმეების მმართველი, ხალხის ბედის გადამწყვეტელი მაინც ხალხის წარმომადგენლობაა), რომელიც მარტო იშვიათ და სამძიმო შემთხვევაში ისე არ მოიყვანს აღსრულებაში თავის განაჩენს, თუ ჯერ ხალხს არ აჩვენა და არ ჰკითხა — თანახმა ხარ ამ განაჩენისა თუ არაო".[1]

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ხალხის წარმომადგენლობისა და გამოყენების საკითხი საარჩევნო საქმეებში განსაკუთრებული სიძლიერით წამოუყენა წინ ჩვენს ბურჟუაზიას 90-იან წლებში გაჩაღებულმა ბრძოლამ ქალაქის თვითმართველობის გარშემო სხვადასხვა ერის ბურჟუაზიულ ფენებს შორის. აქ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს შევეხოთ ნიკოლაძის პოლიტიკას, ერთი მხრივ, ამიერ-კავკასიის ერთა ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში, და, მეორე მხრივ, ქალაქის საარჩევნო საქმეებში.

როგორც უკვე ცნობილია, ახალი საქალაქო დებულება 1874 წ. იქნა შემოღებული ამიერ-კავკასიაში; ამ დებულებამ გზა გაუხსნა

[1] ნ. ნიკოლაძე, წარმომადგენლობა არჩევნებში — „მოამბე" № XI. გვ. 120, 1894 წ.

ბურჟუაზიას ქალაქის თვითმართველობისაკენ სამოღვაწეოდ და ამით ქალაქის თვითმართველობა გადააქცია ბურჟუაზიის ბატონობის ციტადელად თვითმპყრობელობის პოლიტიკური ბატონობის პერიოდში. ცნობილია აგრეთვე, რომ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ რეფორმის შემდეგ პერიოდში ძლიერ გაამწვავა კლასიური და ეროვნული ურთიერთობანი. 70-იან წლებში უკვე სჩანს უკმაყოფილებანი სომხის კაპიტალის შემოტევისა და გაბატონების ნიადაგზედ აღმოცენებული; მაგრამ ამ პერიოდში სოლიდარობის დროშა უფრო ძაღლა ფრიალებდა, ვინემ ბრძოლისა და უკმაყოფილების დროშა. სომხისა და ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი (გ. წერეთელი, პ. იზმაილოვი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი და სხვები) ნათლად გრძნობენ, რომ საჭიროა ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობა და მათი შეთანხმებული მოღვაწეობა.[1] ამ პროგამის შესახებ 1894 წ. ნიკოლაძე სწერდა:

„როცა ჩვენს ქვეყანაში ჩვენმა თაობამ მიძინებულ საზოგადოებას თვითმართველობის და თვითმოქმედების იდეალი დაუდგინა, ყოვლად შეუძლებელი იყო ჩვენთვის, განსაკუთრებით ტფილისში, თავდაპირველადვე არ დავუხეხებოდით იმ სიძნელეს, რომელსაც ჩვენი ქვეყნის წარმატებას წინ უდგამს მისი მრავალ-რჯულიანობა, მრავალ-ენაობა, მრავალ-მოდგმობა. ბევრი ვეძებეთ მაშინ, ბევრი ვიფიქრეთ, ბევრი ვეცადეთ, მაგრამ სხვა გზა და იარაღი ვერა ვიშოვეთ-რა, აი ამ საფედერაციო პრინციპის მეტი... კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ 1870-ში დადგენილი პროგრამა მარტო ჩვენა და სომხებს კი არ შეეხებოდა, შიგ, ერთსა და იმავე პრინციპის ძალის ქვეშ, მოყოლებულნი იყვნენ ყველა ის ერნი, რომელნიც ჩვენს მხარეში სცხოვრობდენ. ჩვენი პროგრამა საყოველთაო სიკეთისაკენ იყო მიმართული, რადგანაც, უამისოდ ყოვლად შეუძლებელია ცალკე რომელისამე ერის განვითარება: მას ყველა სხვების ჯიბრი და მტრობა დაამხობს"...[2]

უნდა შევნიშნოთ, რომ ბურჟუაზიულ ინტელიგენციაში განმტკიცებული ეს ერთა სოლიდარობის იდეა არსებითად გამოწვეული იყო იმ ობიექტური გარემოებით, რომ ქართველი ბურჟუაზია ჯერ ხნობით სრულიად ნორჩი და განუვითარებელი იყო, ხოლო სომხის ბურჟუაზია თავისი ეკონომიური საქმიანობით უაღრესად პროგრესიულ როლს ასრულებდა. მაგრამ ეს მშვიდობიანი განწყობილება 90-იანი წლების ეკონომიურმა განვითარებამ არსებითად დაარღვია:

---

[1] იხ. გ. წერეთლის წერილები, ჩვენ და და ჩვენი დროება—გაზ. „დროება" № 16. 1879 წ.

[2] ნ. ნიკოლაძე, ბათომის არჩევნები—„მოამბე"—№ III გვ. 171 1895.

კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას ამიერ-კავკასიაში თან მოყვა თავისი ბუნებრივი თანამგზავრი: კლასიური და ეროვნული ანტაგონიზმის გამწვავება; მართლაც 90-იან წლებში სასტიკად დაუპირისპირდნენ ერთი მეორეს. ერთი მხრივ, სომხის ბურჟუაზია და ქართველი თავად-აზნაურობა, მეორე მხრივ, იგივე სომხის ბურჟუაზია და ქართველი ბურჟუაზიული ფენები თავისი ინტელიგენციის მეთაურობით. ნიკოლაძე თავიდანვე—70-ან წლებიდანვე მონაწილეობას ღებულობდა ქალაქის თვითმართველობის საქმეებში, იგი ახლოს იცნობდა ამ საქმეებს და თავიდანვე ქართველი და სომხის ინტერესების შეთანხმების პროგრამით გამოდიოდა. 1893 წლის არჩევნებმა, რომელშიც სომხის მსხვილმა ბურჟუაზიამ დიდ გამარჯვებას მიაღწია და დიდი უმეტესობა ქართველ ამომრჩევლებისა გააშავა, გადამჭრელი როლი ითამაშა; შემდეგ ხანებში მდგომარეობა უფრო გამწვავდა. ნიკოლაძემ არსებითი ყურადღება მიაქცია ამ მდგომარეობას და მთელ რიგ წერილებში შეეცადა გაერკვია ამ ბრძოლის მიზეზები და წარმოედგინა ერთა შორის მშვიდობიანობის დამამყარებელი გეგმები.[1] 1895 წ. იგი სწერდა სომეხ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ:

„ჩვენი მდგომარეობაც ამ გვარია. არაფერი გვაბადია, არც ჩვენ, არც ჩვენს მეზობლებს. ყველანი, თითქმის უმეტნაკლებოდ, ერთნაირად ღატაკნი ვართ, არა თუ მარტო პოლიტიკურად, ეკონომიურადაც. და მის მაგიერ, რომ საერთოდ, და გინდ ცალ-ცალკე, ჩვენის მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის ვშრომობდეთ, იმის მაგიერ, რომ რასმე ვიძენდეთ, ვსწავლობდეთ, ვაკეთებდეთ, ერთმანეთს მივდგომივართ და ვწეწთ, ვგლეჯთ, ვაოხრებთ ერთმანეთს, და როცა გასაოხრებელიც არა გვრჩება-რა ხელში, სხვასაც ვაცდენთ, და ჩვენს თავსაც, ამ ყოვლად უნაყოფო ურთიერთშორისო ბრძოლით".[2]

ნიკოლაძე ცდილობს ეს „ყოვლად უნაყოფო ურთიერთშორისო ბრძოლა" მოსპოს და ხელი შეუწყოს ერთა სოლიდარობის განმტკიცებას. მისთვის საინტერესოა ერთის მხრივ, საერთოდ დაამყაროს ამიერ-კავკასიის ერთა შორის სოლიდარობა და შემოიღოს უფლებათა და მოვალეობის განაწილების შესაფერისი ფორმები, ხოლო მეორე მხრივ, მოაწესრიგოს საქალაქო არჩევნებისა და ამ ნიადაგზედ აღმოცენებული ურთიერთ ბრძოლის საკითხი. ამ საკითხების გადასაწყვე-

---

[1] იხ. მისი წერილები, Как прекратить племенные распри—„Новое Обозрение" № 4567, 1897 წ. Органические пороки городского самоуправления,—„Кавказ" № 18, 19, 1899 წ. Еще о пороках тиф. самоуправления,—იქვე, № 32, 33, 1899 წ. იხ. აგრეთვე წიგნი: „Армяно-грузинские отношения", 1900 წ.

[2] ნ. ნიკოლაძე, ბათომის არჩევნები „მოამბე"—№ III გვ. 164. 1895 წ.

ტად, ავტორი ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა წყობილებას მიჰმართავს და იქ ეძებს შესაფერის საშუალებებს. ეხება რა შვეიცარიის პოლიტიკურ წყობილებას და ერთა ურთიერთობის საკითხებს ავტორი სწერს:

„...მათ შორის კავშირი ისეთია, რომ შვეიცარიელ იტალიელს, ყელიც რომ გამოსჭრათ, იტალიისაკენ ვერ გადიბირებთ, ვერც შვეიცარიელს ფრანგს—საფრანგეთის რესპუბლიკისაკენ, ვერც შვეიცარიელ გერმანელს—გერმანიის იმპერიისაკენ. აი რა თვისება ჰქონია თურმე ხეირიან განწყობილებას, რიგიან წესს და კანონმდებლობას: არა თუ მტრები დაამეზობლა და ძმებად გადააქცია, თვით საკუთარი გვარ-ტომობაც კი დაავიწყებინა მათ და სამი გადამტერებული, სხვაგან ყოველგან ერთმანეთის მებრძოლი ხალხისაგან ერთი ახალი ეროვნება დაჰბადა. რამ მოახდინა ეს სასწაული, ეს ძლიერება, ეს სიკეთე? იმ ყოვლად უბრალო პრინციპმა, რომელსაც მეცნიერებაში საფედერაციო პრინციპი ჰქვია და რომელსაც ჩვენებურად ასე გადმოსთარგმნის კაცი: „მეც ვიყო და შენც იყავიო“.[1]

ამრიგად, ნ. ნიკოლაძემ კვლავ გაიხსენა 70-იან წლებში ქართველი მოწინავე ინტელიგენციის მიერ შემუშავებული ფედერაციის პრინციპი და ერთა ურთიერთობის მოწესრიგების საქმე ხეირიან განწყობილებას, რიგიან წესს და კანონმდებლობას“ დაუკავშირა. ამ შემთხვევაში, ნიკოლაძე სრულიად საფუძვლიანად მიუთითებდა შვეიცარიის მაგალითზე, სადაც თვითმართველობისა და ფედერალიზმის პრინციპი შეფარდებული იყო ერთა სოლიდარობის საქმესთან შვეიცარიის მაგალითის მიხედვით ნიკოლაძე სწერდა:

„კავკასიის მდგომარეობა მოითხოვს ამ ცემენტის ხმარებას. აქ ისტორიას სამოციოდე სხვადასხვა ფერის ხალხი მოუთავსებია ერთად, არც ერთი მათგანი იმდენად ძლიერი არ ყოფილა, რომ მთელს მხარეზე კიდით-კიდემდე, საკუთარი ბეჭედი დაესვა, ან მტკიცე ერთობა დაედგინა. დღეს, გვინდა თუ არა, სულ ერთია, მეზობლები უნდა ვიყვნეთ ერთმანეთისა, ერთისა და იმავე ჰაპნის მწველნი, ერთნაირი უფლებათა პატრონი, ერთისა და იმავე მოვალეობის მტვირთველნი. დროა მივხვდეთ ყველანი, რომ რაკი ამ მდგომარეობიდან არც ერთს ჩვენგანს არც გაქცევა შეუძლია, არც სხვების გადენა, მეტი საშველი არავისა გვაქვს: უნდა ერთმანეთში მოვთავსდეთ და მოვრიგდეთ, თუ გვინდა, რომ ჩვენი ცხოვრება იყოს, და არა სრულიად უსაგნო, უგუნური წეწვა-გლეჯა ერთმანეთისა, ვინ იცის ვის სასარგებლოდ“.[2]

[1] ნ. ნიკოლაძე, ბათომის არჩევნები—„მოამბე„ № III გვ. 166, 1895 წ.
[2] იქვე, 335-167, 1895 წ.

ამ გზით ფიქრობდა ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგი 70—90-იან წლებში ერთა ურთიერთშორის საკითხის მოწესრიგებას ფედერაციაში. ჩვენში გავრცელებული იყო აზრი, რომ საქართველოში ფედერალიზმის პრინციპი პირველად არ. ჯორჯაძემ და მისმა პარტიამ წამოაყენა XX-ე საუკუნის დასაწყისში. როგორც მკითხველმა დაინახა, ეს არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს: ფედერალიზმის პრინციპი ჯერ კიდევ 60—70-იან წლებში წამოაყენა რადიკალურ-ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ და მას მწერლობაში იცავდა 90-იან წლებში ნიკოლაძე. მაგრამ ნიკოლაძის 90-იან წლებში გამოქვეყნებული წერილები მით იყო საინტერესო, რომ აქ მან მოინდომა ეროვნული ურთიერთობის მოწესრიგების საკითხთან დაეკავშირებია მუნიციპალური საკითხი და თავის პროექტს საფუძვლად დაუდვა ნაციონალურ-კურიალური სისტემა: მას სურდა მუნიციპალური არჩევნების დროს გამოეყოთ ეროვნული საარჩევნო უბნები და ამ გზით გატარებული ყოფილიყო ეროვნული პროპორციონალური პრინციპი; ამ პროპორციონალურ პრინციპის მიხედვით „თვითეული ერი თავის წრიდან აირჩევდა საბჭოში ხმოსანთა იმგვარსავე პროცენტს, რა პროცენტსაც შეადგენს იგი სხვა ერთა შორის“.[1] ამ პროპორციონალურ-კურიალური სისტემით ფიქრობდა 90-იან წლებში ნიკოლაძე ერთა ურთიერთობის მოწესრიგებას მუნიციპალური არჩევნების დროს.

მაგრამ ეს პროექტი თავისი შინაარსით აშკარა ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული იყო. ქართველი ბურჟუაზია, ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი და უხერხემლო, ვერ ახერხებდა აგრესიულ პოლიტიკაზე გადასვლას სომხის კაპიტალის მიმართ და ნიკოლაძის მუნიციპალურ-კურიალური სისტემაც ერთგვარი თავდაცვითი საშუალება იყო სომხის კაპიტალის თავდასხმის საწინააღმდეგოდ აღმართული.

მაშინ, როდესაც საქ. თავად-აზნაურობა მისი იდეოლოგის ილ. ჭავჭავაძის სახით აშკარა თავდასხმაზე გადადიოდა სომხის ბურჟუაზიის მიმართ და მთელ სომხობას უცხადებდა ბრძოლას, ქართველი უხერხემლო ბურჟუაზიის იდეოლოგი თავდაცვის ზომებზე ფიქრობდა და მოწადინებული იყო ერთა უთანხმოების საკითხი კანონიერების ფარგლებში მოექცია და უფლებისა და მოვალეობის ჩარჩოებით განესაზღვრა.

„მათ შორის,—სწერს ნიკოლაძე,—ცხადია, სწარმოებს ბრძოლა, რომელიც, სამწუხაროთ, სრულიად არ არის რეგულიარიზაცია ქმნი-

[1] Н. Николадзе, Органические пороки городского самоуправления—„Кавказ“ № 19, 1899 г.

ლი არც კანონით, არც ხელისუფლების მიერ, ამიტომ ბოლოს და ბოლოს შეუძლია მიგვიყვანოს ერთა შორის გაცხარებულ სიძულვილამდე. მაშინ, როდესაც, შესაფერი რეგულიარიზაციის წყალობით კი, რომელიც კანონიერ ფარგლებში იქნება ჩაყენებული, ეს ბრძოლა უსათუოდ გადაიქცეოდა ერთა ეკონომიურ და ზნეობრივ წარმატების წყაროდ და ფაქტორად"...[1] მეორე წერილში ავტორი სწერდა: „...თვითოეული ერის უფლებანი და ინტერესები ისე, როგორც თვითეული ფიზიკური და იურიდიული პიროვნების ინტერესები პატივსადები და რეალური არის იმდენად, რამდენადაც არ შეეხება და არ აზიანებს დანარჩენ ერთა და პიროვნებათა უფლებებს. აქ არის საზღვარი უფლებათა და დანაშაულობის შორის... ჩვენ ჩვენსას ვიცავთ და სხვისას არ ვეტანებით და არ უარვყოფთ სიცოცხლის და ბედნიერების განმტკიცებისათვის არავის უფლებას. ეს ერთად-ერთი მკვიდრი საფუძველია და ერთად-ერთი ლიბერალური ხასიათის გადაწყვეტაა საკითხისა. ეს არის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დოქტრინა, 1789 წლის პრინციპებია, რომელიც თანამედროვე მოქალაქობის და ცივილიზაციის საფუძვლად არის დადებული".[2]

ასეთი იყო ნ. ნიკოლაძის ეროვნული პოლიტიკა. ჩვენში ბევრს სწერდენ იმის შესახებ, რომ ნიკოლაძეს არა აქვს არავითარი ეროვნული პროგრამა და იგი უარყოფს საქართველოს ინტერესებსო. არსებითად ეს შეცდომა იყო. მას გარკვეული ეროვნული პოლიტიკა და პროგრამა ჰქონდა შემუშავებული, რომელიც სავსებით ეთანხმებოდა იმ ხანებში ქართველი ბურჟუაზიის ინტერესებსა და მის ეკონომიურ მოთხოვნილებებს; ისტორიულად მრავალი მუხლები მისი ეროვნულ პროგრამიდან საფუძვლად დაედვა არ. ჯორჯაძის მოძღვრებას, რომელიც არსებითად რადიკალური ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ნიკოლაძის მუნიციპალურ პროგრამის პროპორციონალური წარმომადგენლობის ზოგიერთი მუხლი სავსებით გაიმეორა ჯორჯაძემ 1911 წ. საქალაქო არჩევნების კამათის დროს.[3]

მაგრამ ახლა აუცილებელია ნ. ნიკოლაძის ეროვნული პოლიტიკა შევაფასოთ ისტორიულად. სად უნდა ვეძიოთ ამ პოლიტიკისა და პროგრამის სოციალური საფუძვლები?—რასაკვირველია, ქართველი ბურჟუაზიის სოციალურ-ეკონომიურ პირობებში. უდავო ფაქტად უნდა იქნეს აღიარებული, რომ ჩვენში კაპიტალისტური განვი-

---

[1] იქვე.

[2] Н. Николадзе, Еще о пороках тифлисского самоуправления,—„Кавказ" № 33, 1899 г.

[3] იხ. არ. ჯორჯაძე, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 217—266, 1914 წ.

თარების ინტერესები და მოთხოვნილებანი ეკონომიურად აუცილებელ საჭიროებად ხდიდა რუსეთის კაპიტალის დახმარებას; უფრო მეტი, ჩვენი ნორჩი და მცირე-რიცხოვანი ბურჟუაზია პირველ ხანებში არანაკლები სიმპატიებით ეპყრობოდა ადგილობრივ სომხის ბურჟუაზიას, ვინაიდან ამას მისი ეკონომიური ინტერესები მოითხოვდა. სწორედ ამ ეკონომიურ ინტერესების საფუძველზედ აღმოცენდა ის ეროვნული პოლიტიკა, რომელსაც ქადაგებდა 60—70-იან წლებში ნიკოლაძე და რომელიც მტკიცე კავშირის დამკვიდრებას მოითხოვდა ყველა ერებთან. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ა-კავკასია სწრაფი ნაბიჯით მიეჭანებოდა კაპიტალისტურ ურთიერთობისაკენ და რამდენადაც რუსეთის სამრეწველო კაპიტალი ენერგიულად ანვითარებდა აქ თავის კოლონიალურ პოლიტიკას, იმდენადვე ნაციონალური კაპიტალისა და ნაციონალური ბურჟუაზიის ინტერესები და შეგნება მტკიცდებოდა და ეკონომიურ ბრძოლის პროცესში ვითარდებოდა თავდაცვითი ინსტინქტი. შეიძლება იფქვას, რომ ქართველი ბურჟუაზია და ბურჟუაზიული ინტელიგენციის ნაწილი რუსეთიდან გამოყოფის, სეპერატიზმის პროგრამას იმ პერიოდში არ აყენებდა.[1] ამისათვის ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული ეკონომიური ნიადაგი. ამ შემთხვევაში მას ამოძრავებდა ის ღრმა ეკონომიური ინტერესები, რომლითაც გადაჯაჭვული იყო საქართველოს სამეურნეო ცხოვრების ვითარება რუსეთის კაპიტალისტურ ვითარებასთან. ფედერალიზმი და თვითმართველობის ორგანოები თავდაცვითი იარაღი იყო ქართველი ბურჟუაზიისათვის რუსეთის კაპიტალის აგრესიულ პოლიტიკისაგან. ამ საშუალებით მას სურდა თავიც დაეცვა და კავშირშიაც ყოფილიყო რუსეთის ბურჟუაზიასთან. ასეთივე ინტერესებიდან გამოდიოდა იგი სომხის ბურჟუაზიის მიმართაც. მაგრამ იმდენად რამდენადაც კაპიტალისტური განვითარების ნიადაგზე უკანასკნელი უფრო აგრესიული ხდებოდა და ეჯახებოდა ქართველი ბურჟუაზიის სასიცოცხლო ინტერესებს (ქალაქის თვითმართველობა და სხვა). იმდენადვე ბრძოლა მათ შორის უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა. ეს ნათლად სჩანს თვით ნიკოლაძის ნაწერებიდანაც: 90-იან წლების უკანასკნელ ხანებში მისი კილო და კამათი სომხის ბურჟუაზიის მიმართ უფრო მწვავე და მკაცრ სახეს ღებულობდა. რასაკვირველია, ნ. ნიკოლაძის პროექტის—პროპორციონალური და კურიალური საარჩევნო სისტემის ცხოვრებაში გატარება არა თუ ვერ შეანელებდა ერთა შორის ბრძოლას, არამედ უფრო მკაცრსა და დაუნდობელ სახეს

[1] როგორც მეორე ნარკვევში ვწერ, ბურჟუაზიულ დემოკრატიზმის გამომხატველი იყო გ. წერეთელი და მისი პოლიტიკური პროგრამაც სხვა შინაარსისა იყო.

მისცემდა მას: ამ სისტემით ბურჟუაზიულ ფენებს საშუალება მიეცემოდათ ნაციონალურ ორგანიზაციებში დარაზმულიყვნენ და ამის მეხედვით ერთა ბრძოლაც უფრო გაღრმავდებოდა. ნიკოლაძე მუნიციპალურ საქმეებში ნაციონალური ურთიერთობის მოწესრიგებას ცდილობდა კაპიტალისტური წყობილების დაცვისა და მისი შემდეგი განვითარების საფუძვლებზე; მას სურდა ნაციონალური ბურჟუაზიების საშუალებით დაემყარებია ერთა სოლიდარობა, მაგრამ კაპიტალიზმის განვითარება იწვევს სხვადასხვა წინააღმდეგობათა გაღრმავებას და მათ შორის ნაციონალური ანტაგონიზმის გაღრმავებასაც, გაბატონებულ კლასებს შორის. ამ ანტაგონიზმის ძირეულად აღმოფხვრა და მტკიცე ურთიერთობის დამყარება ერთა შორის შესაძლებელია თვით კაპიტალიზმის ლიკვიდაციის გზით; მისი გატარება შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის ბრძოლითა და მისი ბატონობით, რადგან მხოლოდ ეს კლასი არის ინტერნაციონალური ბუნების მატარებელი. საბჭოთა ტფილისის ათი წლის ისტორიამ ყველაზედ უფრო ნათელყო ეს დებულება.

საინტერესო არის მოკლედ თვალი გადავავლოთ ნიკოლაძის პოლიტიკური აზროვნების ვითარებას საერთაშორისო ომისა და დიდი რევოლუციის პერიოდში. ომის პერიოდში იგი, რასაკვირველია, მხარს უჭერდა მოკავშირეთა გამარჯვებასა და რუსეთის განმტკიცებაში მცირე აზიასა და კონსტანტინეპოლში იგი ხედავდა საქართველოს ეკონომიური აღორძინების უდიდეს საწინდარს. რევოლუციის წინა ხანებში ნიკოლაძე თანამშრომლობდა „რუსკაია ვოლიას“ რედაქციაში და თავის წერილებში არა ერთხელ გამოუთქვამს, რომ თვითმპყრობელობამ ვერ შესძლო საქმის ხელმძღვანელობა და კრიზისი მოსალოდნელი არისო. 1917 წლის თებერვლის რევოლუციას მან ბურჟუაზიის თვალსაზრისით შეხედა. იგი ფიქრობდა, რომ რუსეთში დემოკრატიულ-ცენტრალისტური რესპუბლიკა დამყარდებოდა ფართო ადმინისტრატიული და კულტურული თვითმართველობით. რასაკვირველია, ოქტომბრის გადატრიალებას იგი მტრულად შეხვდა. ნიკოლაძე 1917—21 წლებში მხურვალე თანამშრომლობას ეწეოდა მენშევიკურ მთავრობასთან, როგორც ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და მეთაური. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იგი ემიგრაციაში მოხვდა და მენშევიკებთან ერთად ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას. მაგრამ ობიექტიურმა გარემოებამ მას დაანახა, ერთი მხრივ, ქართველი ემიგრაციის გახრწნა და ყოფილი მენშევიკური მთავრობის საქმიანობის სრული უნიადაგობა, მეორე მხრივ,—საბჭოთა წყობილების განმტკიცება და მისი ეკონომიური აღორძინება; ნიკოლაძემ გადაჭრით უარყო ემიგრაციის საქმიანობა

და დაბრუნდა საბჭოთა საქართველოში. რასაკვირველია, საბჭოთა ეკონომიურ ცხოვრების აღორძინებისა და განვითარების ნამდვილი კლასიურ-სოციალური შინაარსისა და მნიშვნელობის მას არაფერი გაეგებოდა.

იგი ამ ღონიძიებაში მხოლოდ ეკონომიურ წარმატებას ხედავდა და მეტს არაფერს. უკეთ რომ ვსთქვათ, ნიკოლაძე ბოლომდე დარჩა ბურჟუაზიულად მოაზროვნე მწერალი და საბჭოთა ეკონომიური აღორძინება მას ხიბლავდა როგორც პრაქტიკ-მოღვაწეს, დიდი პროექტებისა და დიდი საქმეების მეთაურს.

ამავე რწმენითა და შეხედულებით 1928 წ. ჩავიდა საფლავში 60-იანი წლების ეს უკანასკნელი სახელგანთქმული მოღვაწე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქსიმ გორკი საქართველოში

მთელი კაცობრიობის საუკეთესო და მოწინავე ნაწილი დღეს მაქსიმ გორკის 40 წლის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ-რევოლუციონურ მოღვაწეობის იუბილეს იხდის. ეს ფაქტი დიდი მნიშვნელობის ისტორიული ფაქტია: გორკი საუკეთესო მებრძოლია და მოტრფიალე ახალი ცხოვრებისა: მისი მწერლობა, თუ ერთი მხრივ გვისურათებდა თანამედროვე კაპიტალისტური ცხოვრების გახრწნილებასა და მის მავნე მხარეებს, მეორე მხრივ, მანვე მოსძებნა ამავე წყობილების შიგნით ისეთი სოციალური წრეები და ფენები, რომელნიც ვერ ეგუებოდნენ ამ წყობილებას და მის განახლებას, ძირეულად გარდაქმნას მოითხოვდენ. გორკი ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლი მწერალია, 40 წლის განმავლობაში მისი შემოქმედება სოციალისტური შეგნებისა და მისწრაფებების გავრცელებას უწყობდა ხელს.

ეს ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლი დიდი პიროვნება, როგორც ლიტერატურული ძალა, თბილისში დაიბადა: მისი პირველი მხატვრული ნაწარმოები („მაკარ ჩუდრა") ტფილისში დაიწერა და ტფილისისავე გაზ. „კავკაზ"-ში დაიბეჭდა 1892 წლის 12 სექტემბრის ნომერში. შეიძლება გადაჭარბებული იყოს, მაგრამ მაინც ისტორიული სინამდვილე არის აღნუსხული პოეტ ვ. კამენსკის თქმაში:

„Бродяга Максимыч пришел пешком в Тифлис, чтобы родиться здесь гениальным писателем."

მ. გორკის საქართველოში „შემოსვლის" ისტორიიდან ორი თარიღია საინტერესო—1891 წელი და მე-20 საუკუნის დასაწყისი. 1891 წელს აგვისტოში ალექსი პეშკოვი ოდესიდან წამოვიდა ფეხით თავის ქართველ თანამგზავრთან ერთად ტფილისისაკენ და ნოემბერში „შემოვიდა" საქართველოში, როგორც ბროდიაგა, როგორც მოხეტიალე პიროვნება. ერთი წლის ტფილისში ყოფნის შემდეგ ბროდიაგა ალექსი პეშკოვი რუსეთისაკენვე წავიდა მწერალ მაქსიმ გორკის სახელწოდებით. იმ ხანებში იგი უცნობი დარჩა ფართო მასისათვის. რვა წლის შემდეგ სხვაგვარი სახით „მოევლინა" მ. გორკი ქართველ საზოგადოებას. 1901 წლიდან დაწყებული სახელგანთქმული

რუსის დიდი მწერლის შემოქმედება ფართოდ მოეფინა ჩვენს საზოგადოებას და გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი რუსი მწერლის ნაწარმოები არ ყოფილა იმდენი ნათარგმნი ქართულად, რამდენიც ითარგმნა რაღაც ორიოდე წლის განმავლობაში მეოცე საუკუნის დასაწყისში. მკითხველი საზოგადოება გატაცებით ეწაფებოდა გორკის ნაწერებს, არა მარტო რუსულად ვრცელდებოდა მისი შემოქმედება ჩვენში, არამედ ქართულადაც ითარგმნებოდა ყველა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში „ამდენი გატაცებული მკითხველი, ამდენი თაყვანისმცემელი ასე მოკლე დროში, არც ერთ რუსის მწერალს არ მოუპოვებია“—სწერდა 1902 წელს ივ. გომართელი.[1]—ქართული გამომცემლობაც ბაზრის მოთხოვნილებას სერიოზულ ყურადღებას აქცევს: ჟურნალ-გაზეთები შეუწყვეტლივ თარგმნიან და ბეჭდავენ გორკის ნაწერებს“ [2] პირველი წიგნის გამომცემელი გორკის მოთხრობების წინასიტყვაობაში სწერდა: „ჩვენი მიზანია შერჩევით ვათარგმნინოთ... და გამოვცეთ. რასაკვირველია, ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ იმ მწერალთა გამოცემას, რომელნიც ხალხის წყლულებს შეეხებიან და მკითხველ საზოგადოებას გაათვითცნობიერებენ... ასეთ მწერლად ჩვენ, სხვათა შორის, მიგვაჩნია მაქსიმე გორკი და ამიტომ ამ რიგის წიგნების გამოცემა ხსენებული მწერლიდან დავიწყეთ“ [3]. რასაკვირველია, გამომცემლობის „ეს მიზანი“ ნაკარნახევი იყო მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილებით, მათი ინტერესებით. მშრომელი საზოგადოება გატაცებული იყო გორკით, იგი გორკის ნაწერებს მოითხოვდა ქართულად. ამრიგად, 1892 წელს საქართველოდან სრულიად უცნობად „წასული“ გორკი, მეოცე საუკუნის დასაწყისში „დაბრუნდა“ ჩვენში როგორც დიდი მწერალი და დიდი ხელოვანი.

საინტერესოა ა. პეშკოვის 1891 წელს თბილისში შემოსვლის ამბავი და მისი საქმიანობა ერთი წლის განმავლობაში ჩვენს დედაქალაქში. ამ საკითხის შესახებ ჩვენ მეტად საინტერესო დოკუმენტები გვაქვს. ყველაზე უფრო საინტერესო ამ მხრივ არის თვით გორკის ავტობიოგრაფიული ხასიათის მოთხრობა—„მოი სპუტნიკ,“ რომელიც პირველად დაიბეჭდა 1894 წლის „სამარის გაზეთში“ და 1903 წელს გადმოითარგმნა ქართულად;[4] შემდეგ კლეინის მიერ გამოქვეყ-

---

[1] ივ. გომართელი, აქსიმე გორკი (იხ. მ. გორკი, მოთხრობები ი. იმედაშვილის გამოცემა გვ. 13, 1902 წ.)

[2] იხ. ბიბლიოგრაფიული წერილი, მ. გორკი ქართულად.

[3] იხ. მ. გორკის მოთხრობები გვ. 6.

[4] იხ. ვ. გიუნაშვილის თარგმანი, „ჩემი თანამგზავრი“—„ცნობის ფურცელის“ სურათ. დამატება № 137, 139, 142, 144, 146, 148, 1903 წლის.

ნებული მასალები [1] და თვით მ. გორკის თანამგზავრის შენიშვნა მოთავსებული 1903 წლის ქართულ გაზეთში [2].

ა. პეშკოვი ქ. ოდესაში გასცნობია ერთ ქართველს, ს—ძეს (მოთხრობაში მისი გვარი და სახელი შაქრო ფთაძე) და აგვისტოს 18-ს მასთან ერთად ფეხით წამოსულა ტფილისისაკენ, ს—ძე თავის შენიშვნაში აღნიშნავს, რომ გორკის „მოთხრობაში („ჩემი თანამგზავრი“) ბევრი მართალია და ბევრი სრულიად სიმართლეს მოკლებულია“-ო. ს—ძე განაგრძობს: „პეშკოვი გავიცანი ოდესაში, სადაც მე სრულიად შემთხვევით მოვყევი... პურისათვისაც აღარაფერი გამაჩნდა, ღამეს ბაღში ვათევდი, სადაც ჩუმად ჭადავძვრებოდი ხოლმე. ბოლოს გადავწყვიტე ასე თუ ისე გემში ჩაჯდომა და ბათომისაკენ წამოსვლა. ამ აზრით ნავთსადგურში წავედი და განმარტოებით დავდეგ. თითქმის ორი დღის უჭმელი ვიყავ და ძალზე მშიოდა. ტანისამოსი კარგი მეცვა, თითქმის ახალი, მასთან ევროპიული და არა ჩვენებური ჩოხა-ახალუხი, როგორც ეს გორკის აქვს აღწერილი. ამ დროს ჩემთან მოვიდა ზორბა, მაგრამ ძველ და დაგლეჯილ ტანისამოსში გამოწყობილი კაცი, რომელმაც შაური მთხოვა. მე გამეცინა! თითონ მშიერი ვიყავ და ეს კი ფულსა მთხოვდა. ჩემი ამბავი გადავეცი. ბოლოს ერთმანეთი გავიცანით. ახალი ჩემი ნაცნობი პეშკოვი გამოდგა, ნიჟნი-ნოვგოროდელი. პეშკოვი ესე 22—23 წლის იქნებოდა, ზორბა ტანადობისა, მაღალ-მაღალი, მხარბეჭიანი. მე იმ დროს 18 წლის ვიყავი. ეს ამბავი მოხდა 1891 წელს. როგორც შემდეგ მიამბო პეშკოვმა, ოდესაში ხარკოვიდან ჩამოსულიყო ფეხით, ხარკოვში, გზად გამოვლის დროს, ერთ მონასტერში ჩამომხტარიყო, სადაც ორ „სტრაჟნიკს“ გაეცარცვა და ცარიელ-ტარიელი დაეტოვებინა. იმ დღეს, რა დღესაც ერთმანეთს შევხვდით, ორივენი მშიერები ვიყავით.“ [3] ამის შემდეგ ახლად გაცნობილნი შეუდგენ მგზავრობას და 18 აგვისტოს ოდესიდან გავიდენ ნიკოლაევსკისაკენ. ს—ძე საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს მათი მოგზაურობიდან, გზადაგზა ასწორებს გორკის მოთხრობაში აწერილ ცნობებს... „სამუშაო ვერც სიმფეროპოლში ვიშოვეთ. ბოლოს პეშკოვმა მირჩია, კავკასიაში ფეხით წავიდეთო. ასეც მოვიქეცით. აქვე უნდა ავღნიშნო, რომ პეშკოვი ყოველთვის კარგად მექცეოდა. ხშირად მეუბნებოდა, შენ—გაჭირებას არ ხარ ჩვეულიო, როდესაც ცოტა საჭმელი გვქონდა,

---

[1] ე. კლეინ, გორკი ვ ტიფლისე. 1928 წ.

[2] იხ. ფელეტონი, მაქსიმ გორკის თანამგზავრი—„ცნობის ფურცელი“ № 2302 1903 წ.

[3] იქვე.

მეტს მე მაძლევდა. საზოგადოდ, მთელი მგზავრობის განმავლობაში კარგის მეტი არა მახსოვს რა მისგან. ბევრი განსაცდელი და წვალება გამოვიარეთ. ერთ ადგილს გზა დაგვეკარგა და უდაბურ ტყეში მოვყევით. დაგვესივნენ გარეული ღორები, ძლივს ავასწარით ხეზე. იქ ვისხედით მშიერ-მწყურვალნი, სანამ ღორები გაიფანტებოდნენ. იალტაში რომ ჩამოვედით ძალზე მშივრები ვიყავით, საბედნიეროდ პეშკოვმა ქუჩაში სამი კაპეიკიანი იპოვნა, იყიდა პური და იმით შევნაყრდით... ასე და ამრიგად კავკავამდე მოვაღწიეთ. ქალის შესახებ მოთხრობაში აწერილი ამბავი ტყუილია, როდესაც კავკავს გამოვცდით, პეშკოვმა მითხრა, ეხლა შენ ქვეყანაში მოვედით, აბა, წადი და იშოვე რამეო, მართლაც აქამდე სულ პეშკოვი შოულობდა ფულსაც და საჭმელსაც. დავიწყე მეც თხოვნა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ზოგმა ლანძღვით გაშოგვაგდო, ზოგმა ძაღლები დამისიანა, ისევ პეშკოვი შეუდგა საქმეს. მოხერხებული კაცი იყო... კავკავიდან ტფილისამდე შვიდი დღე ვიარეთ. მგზავრობის განმავლობაში ფეხებზე თითქმის სულ არა სცმია რა, ისე გაუსქელდა ფეხის გული, რომ „პოდმეტკები“ გეგონებოდათ. მუხლებ ქვევით შარვალი შემოგლეჯილი ჰქონდა და ტიტველი კანჭები უჩანდა. მცხეთაში მამასახლისთან მოვედით. ვთხოვეთ ღამე გაეთევინებინა. ვუთხარი, მე ქართველი ვარ მეთქი, მაგრამ არც ამან გასჭრა. თქვენისთანა მაწანწალა ათასი დაეთრევაო. ბოლოს იქ ჩაგვსხა, სადაც ტუსაღებს ამწყვდევენ. მეორე დღეს ტფილისისაკენ წამოვედით. ჯერ კიდევ ადრე იყო, ვერიდან ტფილისს რომ მოვატანეთ, დღისით შემოსვლა არ მინდოდა, რადგან ნაცნობები მყავდა, შეიძლება შევხვედროდი. ამიტომ შევიცადეთ და შელამებისას შემოვედით ვერიდან. ვერის ხიდს გავედით და ვოგზლისაკენ გავსწიეთ. რკინის გზის სახელოსნოში ჩემი შორეული ნათესავი მსახურობდა სლესრად და იმასთან მივედით. პირველად ვერ მიცნეს: მეცა და პეშკოვიც ალქაჯებსა ვგავდით, თმა გაუკრეჭავნი და ძველ ნაფლეთებში გამოწყობილნი. შემდეგ მიცნეს, შეგვიყვანეს, გვასვეს, გვაჭამეს, ტანისამოსი გამოგვიცვალეს და აბანოშიაც წაგვიყვანეს. პეშკოვს ვიღაც ნაცნობი ჰყავდა რკინის გზის გამგეობაში, მთხოვა მეორე დღეს იქ წავსულიყავით. როდესაც მივედით პირობა მივეცით ერთმანეთს, რომ იქვე შევხვედროდით, რადგან მე ბაზარში მივდიოდი. დავბრუნდი იქიდან და პეშკოვი ვეღარ ვნახე.“ (იქვე).

ასე ჩამოვიდა 1891 წლის ნოემბერში ბოსიაკი პეშკოვი ტფილისში. თავის ძველი ნაცნობის ნაჩალოვის საშუალებით და ჩვენში ცნობილ ნაროდნიკ ნიკ. ხუდადოვის დახმარებით, პეშკოვი რკინის გზის სახელოსნოში მიიღეს სამსახურში „კანტორჩიკად,“ სადაც მან

ათი თვე გაატარა. ამ სამსახურის დროს პეშკოვს საშუალება მიეცა თავისუფლად ამოესუნთქა და დასწაფებოდა თვითგანვითარებას. ამავე პეროდში გაეცნო იგი ტფილისის რევოლუციონურად განწყობილ ინტელიგენციას და დაუახლოვდა მათ წრეს, რომელშიაც იგი აქტიურ როლს თამაშობდა. აღსანიშნავია ერთი ეპიზოდი: ამავე ხანებში პსიქიურად შეიშალა მაშინ ჩვენში ცნობილი რევოლუციონერი გოლა ჩიტაძე, რომელსაც ექიმობდა ნ. ხუდადოვი. ამ ექიმის წინადადებით, პეშკოვი სხვებთან ერთად რიგ რიგობით უვლიდა და დარაჯობდა ავადმყოფს (გ. ჩიტაძე გარდაიცვალა 1892 წ.) შემდეგში გორკიმ ეს მომენტი მასალად გამოიყენა თავის მოთხრობაში „ოშიბკა“.[1] აქვე გაეცნო იგი ვლ. როხლინსა და თ. აფანასიევს. ამავე ხანებში გაეცნო და დაუახლოვდა გორკი რევოლუციონერ-ნაროდნიკს საქართველოში გადმოსახლებულ ა. ი. კალიუჟნის, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა გორკიზე და ხელი შეუწყო მის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას.

80-იანი წლები საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რეაქციისა და რუსიფიკატორული პოლიტიკის ბატონობის ხანად არის ცნობილი. ნაროდოვოლცების დამარცხებამ და ალექსანდრე მესამეს რეაქციონურმა პოლიტიკამ თავისი დაღი დაასვა ჩვენს ცხოვრებასაც, მაგრამ ცხოვრება მაინც წინ მიდიოდა. კაპიტალიზმი მაინც იკაფავდა გზას ჩვენში და არღვევდა ძველი წყობილების ფორმებს. 90-იანი წლების დასაწყისიდან ჩვენს ცხოვრებას გამოცოცხლება დაეტყო. ახალ საზოგადოებრივ ძალებს მოძრაობა დაეტყო. ამის საუკეთესო მაჩვენებლები იყო ბათომის 1889—1890 წლების მუშათა გრანდიოზული გაფიცვები და ის წრეები და ჯგუფები, რომელიც მოწინავე ინტელიგენციამ დაარსა არალეგალურად საქართველოში. მართალია, რომ ყოველივე ეს ჩანასახის პერიოდში იყო, მაგრამ იგი იყო მაჩვენებელი იმისა, რომ ჩვენი ცხოვრება შეხუთულ ატმოსფეროდან დაიძრა და შემდეგში სრულიად ახალი ძალები და ორგანიზაციები უნდა გამოსულიყო სამოღვაწეო ასპარეზზე. ეს გამოცოცხლებისა და აღორძინების დასაწყისის მაჩვენებელი იყო.

სწორედ გამოცოცხლების დასაწყისში მოუხდა გორკის მოღვაწეობა ტფილისში. იგი დაუახლოვდა რევოლუციონერ ახალგაზრდობას და მხურვალე მონაწილეობა მიიღო ახალ წრისა და „კომუნის“ დაარსების საქმეში. აღსანიშნავია, რომ გორკის, როხლინისა და აფანასიევის მეთაურობით 1891 წ. დასასრულს მოეწყო პატარა „კომუნა,“ კრასნოგორსკის ქუჩაზე, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული

---

[1]. ე. კლეინ, გორკი ვ ტიფლისე გვ. 20.

გარდა ეკონომიური დახმარებისა, კულტურულ-განმანათლებელი მუშაობაც. მათ გარშემო თავი მოიყარა მაშინდელმა საუკეთესო მოსწავლე ახალგაზრდობამ და მუშებმა. მათთან ერთად იყო ანდრია ლეჟავა, შიო ჩიტაძე, სერ. ვართანოვი და მრავალი სხვ. გორკი შეიქმნა ამ „კომუნის“ სული და გული. მაგრამ მაშინდელი ინტელიგენციის საქმიანობა მარტო ამ „კომუნით“ არ ამოიწურებოდა. ამავე ხანებში არსებობდა ტფილისში ბიბლიოთეკა, რომლის დაარსებას სხვადასხვა პირებს მიაწერენ, ხოლო სერ. რობაქიძის ცნობით იგი 1889 წელს დაუარსებია ანდრია ლეჟავას. მისივე ცნობით ტფილისში არსებულა იმ ხანებში ქალთა წრე. ამ ბიბლიოთეკასა და ქალთა წრესთან ა. პეშკოვს უახლოესი დამოკიდებულება ჰქონია, სერ. რობაქიძე თავის მოგონებაში გადმოგვცემს: „მასწავლებელ ქალებს მაქსიმიჩიც გავაცანით, ისიც ჩაერია მათ მუშაობაში... ეს წრე თვითონაც მომქმედი იყო და მასში შემავალ წევრებსაც დაუსვენებლად ამოქმედებდა... ყველა ამ საკითხების დამუშავებაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა ალექსი პეშკოვიც. ამ ხნის განმავლობაში პეშკოვი მუდამ დადიოდა ჩუღურეთის კონსპირატიულ ბინაზე მოთავსებულ ბიბლიოთეკაშიც. ორივე ამ ადგილას თავს იყრიდა მაშინდელი ტფილისის პროგრესიული და რევოლუციონურად განწყობილი ახალგაზრდობა და, რასაკვირველია, რომ პეშკოვი ამ ადგილებში ეცნობოდა მათ.“ [1]

ამ წრეებმა, ბიბლიოთეკამ და ახალ თაობასთან დაკავშირებამ დიდათ შეუწყო ხელი გორკის განვითარებასა და გათვითცნობიერებას. იგი ხარბად დაეწაფა წიგნებს. მაშინდელ მდიდარ სამკითხველოდან გორკი უხვად სარგებლობდა. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა წრეების საქმიანობაში, განსაკუთრებით ცნობილია მისებური ამბების მოყოლა, უმთავრესად თავის საკუთარ თავგადასავალიდან. ყვებოდა სიცოცხლით, სიხალისით, მსმენელს აჯადოებდა და იტაცებდა მისი თხრობა. უკვე ამ თხრობაში სჩანდა მომავალი დიდი მწერალი და სიტყვის ხელოსანი. იგივე სერ. რობაქიძე გადმოგვცემს: „პეშკოვი განუწყვეტლად ლაპარაკობდა ათასგვარ საინტერესო ამბებს და ყველა მის ნაამბობში მომქმედ პირად თვითონ ის იყო. მოსვლიდან პირველ კვირაშივე გვიამბო თითქმის მთელი შინაარსი „მოი სპუტნიკ“-ისა. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ამ ამბის გმირი მის მიერ იყო შეთხზული, მაგრამ მაქსიმიჩი ისე მხატვრულად გვიამბობდა შაქროსთან მგზავრობაზე, რომ ჩვენ მეორე დღეს

---

[1] სერ. რობაქიძე, მაქსიმ გორკი ტფილისში (პირადი მოგონებანი)—„ქართული მწერლობა“ № 5, გვ. 17, 1928 წ.

ვაპირებდით შაქროს მოძებნას თბილისში. ეს მშვენივრად მოლაპარაკე ადამიანი ისე დაუახლოვდა ჩვენს წრეს და წევრებს, რომ თითქმის ყოველდღე ამ წრის კონსპირატიულ ბინაზე მიდიოდა და აქ ატარებდა მთელ თავისუფალ დროს, რომელიც საკმაოდ ბლომად ჰქონდა. აი, ამ კონსპირატიულ ბინაზე ეცნობოდა მაქსიმიჩი ყველა ჩვენ ამხანაგებს, აქ ეწეოდა ის კულტურულ მუშაობას თავის ნაცნობთა თვითგანვითარების ასამაღლებლად, აქვე ვარჯიშობდა ის დრამატიული ხელოვნების დარგში სხვადასხვა მონოლოგების კითხვით და აქვე ატარებდა დროს ხშირად გამართულ საცეკვაო და სალიტერატურო საღამოებზე.“

ასეთ ცხოვრებას ატარებდა ა. პეშკოვი ტფილისში. იგი დაუახლოვდა მაშინ ტფილისში მომქმედ, ქართველ, რუს და სომეხ მოწინავე ინტელიგენციას და მათთან ერთად ეწეოდა მხურვალე მუშაობას. არ შეიძლება აქ არ შევეხოთ ეგნატე ნინოშვილისა და მაქსიმ გორკის შეხვედრის საკითხს, რომელიც ჯერ კიდევ თხოულობს შესწავლასა და გამოკვლევას. სერ. რობაქიძეს თავის მოგონებაში შემდეგი ცნობები მოჰყავს: „ამავე წრეში გაეცნო ალექსი პეშკოვი მაშინ ახალგაზრდა ბელეტრისტს ეგნატე ნინოშვილს. არ მახსოვს კარგად 1891 თუ 1892 წელში ეგნატე სოფლიდან ჩამოვიდა ტფილისში... ეგნატე ამ თავშესაფარში დაბინავდა და, რასაკვირველია, ალექსი პეშკოვსაც გაეცნო.“ ერთხელ ინსტიტუტის მოწაფეები მისულან კონსპირატიულ ბინაზე და თან მიუტანიათ „ივერიაში“ დაბეჭდილი ე. ნინოშვილის ერთ-ერთი მოთხრობა; აქვე ყოფილან ე. ნინოშვილი და ა. პეშკოვი. „მოთხრობა წავიკითხეთ და ყველანი ეგნატეს დავსტრიალებდით სხვადასხვა კითხვებით, შესახებ მისი მოთხრობისა. პეშკოვი ნაღვლიანი სახით მისჩერებოდა ჭლექის მიერ დატანჯული სახის მქონე ადამიანს და გულდათუთქული ხმით ეუბნებოდა: „ტი სჩასტლივ, ტოვარიშჩ, ტემ, ჩტო სვოი მიგლაზამი ვიდიშ, კაკ ლიუბიატ იუვაჟაიუტ ტებია.“ ეგნატემ რუსული კარგად იცოდა, თუმცა გამოთქმა არ ჰქონდა წმინდა რუსული; თავის რუსულ-იმერული გამოთქმით უთხრა ალექსი პეშკოვს „ნაპიში ტო, ჩტო ტი ტაკ ხარაშო რასკაზივაეშ ი ტაკჟე უვიდიშ, კაკ ვსე პოლიუბიატ ტებია“ (იქვე).

ასე გაეცნო და დაუხლოვდა გორკი ტფილისის ინტელიგენციას 91—92 წლებში. განსაკუთრებით აღსანიშნავი არის მ. გორკის დამოკიდებულება ყოფილ კატორღელთან კალიუჟნისთან. იმ ხანებში ეს რევოლუციონერი 39 წლისა იყო; იგი გორკის ჩამოსვლამდე ერთი წლით ადრე გადმოასახლეს ტფილისში. კალიუჟნი ექვსი წელიწადი

იყო პოლიტიკურ მოღვაწეობისათვის გადასახლებული კატორღაში. ამ პიროვნებამ მეტად დიდი გავლენა მოახდინა გორკის ინტელექტუალურ განვითარებაზე; ამავე პიროვნების ზეგავლენით პეშკოვი ხელი მოკიდა მწერლობასა და შემდეგში დიდი მწერალი გახდა.

სწორედ ამ საინტერესო პიროვნების შთაგონებით, მისი დაჟინებული მოთხოვნით დასწერა პეშკოვმა თავისი პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა", რომელიც პირველად „კავკაზ"-ში დაიბეჭდა 1892 წელს, მაქსიმ გორკის ფსევდონიმით ეს იყო პირველი ნაბეჭდი თხზულება გორკისა.

ასე დაიბადა ტფილისის ატმოსფერის ზეგავლენით მწერალი მაქსიმ გორკი... 1892 წლის ოქტომბერში გორკი წავიდა ტფილისიდან ნიჟნში: ძველი ბრადიაგა და ქუჩა-ქუჩა მოხეტიალე ა. პეშკოვი მწერალი მაქსიმ გორკის სახელწოდებით დაუბრუნდა თავის მშობლიურ მხარეს. ამის შემდეგ გორკიმ მტკიცედ მოიკიდა ფეხი მწერლობაში. 1893 წელს დაიბეჭდა მთელი რიგი მისი მოთხრობებისა. 1894 წელს გორკის ახალ ნაწერებს კოროლენკო იწონებს და მისივე კარნახით სწერს: „ჩელკაშს". შემდეგ წლებში გორკი უკვე ცნობილი ხდება მწერლობაში. 1898 წელს გამოდის ორი ტომი მისი ნაწერებისა. 1899 წელს შეუდარებელი სისწრაფით იზრდება გორკის პოპულიარობა — მთელს რუსეთში. იგი უკვე რუსეთის დიდ მწერლად გადაიქცა და აუარებელი მკითხველი საზოგადოება ეტანება მის ნაწერებს.

ამ პოპულიარობის ზრდისა და მისი ლიტერატურული შემოქმედების გაფურჩქვნის ხანაში გორკი ერთხელ კიდევ „არაჩვეულებრივი" გზით ეწვია ტფილისს; ეხლა არა ფეხით, არამედ ეტაპით: 1898 წელს მაისში იგი დააპატიმრებს ნიჟნში დაკავშირებით ტფილისის სოც.-დემოკრატიულ საქმესთან; იმავე მაისში გორკი ეტაპით ჩამოიყვანეს ტფილისში და დაამწყვდიეს მეტეხის საპყრობილეში. მაგრამ საქმის გამოძიებამ ვერაფერი დაამტკიცა და მაისშივე გაანთავისუფლეს პოლიციის განსაკუთრებული ზედამხედველობის დაწესებით. მაგრამ პოლიციისა და ჟანდარმების არტახებით ერთი წუთითაც ვერ შეარყიეს გორკის პოპულიარობის ზრდა. შეუდარებელი სისწრაფით და სიძლიერით იზრდებოდა გორკის სახელი საქართველოშიაც[1].

---

[1] გორკი საქართველოში ჩამოვიდა კიდევ 1901 წ. და 1903 წ. აქვე ავღნიშნავ, რომ ემიგრანტობიდან დაბრუნების შემდეგ (1913 წ.) მ. გორკის ქართულ ინტელიგენტურ წრეებთან მოლაპარაკება ჰქონდა. მისი რედაქციით ქართველი მწერლების რუსულად გამოცემის შესახებ. სომხური კრებული 1916 წელს გამოიცა გორკის რედაქციით. იხ. სბორნიკ არმიანსკოი ლიტერატური (1916 წ.).

ქართველი მკითხველი საზოგადოება ძლიერ დაინტერესდა მისი ნაწერებით: უკვე 1899 წლიდან დაიწყეს მისი მოთხრობების თარგმნა, ხოლო 1901 – 2—3 წლებში მთელი რიგი მისი ნაწერებისა იყო გადმოთარგმნილი და დაბეჭდილი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. მთარგმნელები: ვ. გიუნაშვილი, სერ. რობაქიძე, ივ. პოლუმორდვინოვი და სხვები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გორკის ნაწერების თარგმნებში. ამ პერიოდში გორკი ჩვენში მეტად ცნობილი მწერალი გახდა. პოეტი ვ. რუხაძე თავის მოგონებაში სწერდა: „ეს პატარა მოგონება ცხრაასიან წლებს შეეხება. მაშინ ჯერ კიდევ ახალი ფეხადგმული მკითხველი ვიყავი. გორკის სახელმა ქუთაისამდეც მოაწია. გორკი ყველას პირზე ეკერა, მაგრამ განსაკუთრებულ აღტაცებას ახალგაზრდობაში იწვევდა. პირველი საკითხი, როცა შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ეს იყო წაიკითხეთ გორკი? ერთი სიტყვით, ამხანაგებში გორკი დიდ „მოდაში“ იყო — და ვისაც არ ჰქონდა წაკითხული, ჩამორჩენილ კაცად ითვლებოდა, — და ყველა გაფაციცებით დაეძებდა და კითხულობდა.“ [1]

ასე შემოიჭრა საქართველოში ა. პეშკოვი მეორედ მე-20 საუკუნის დასაწყისში, მაგრამ ახლა სახელგანთქმული მწერლისა და დიდი ხელოვანის მაქსიმ გორკის სახელწოდებით. 1892 წელს ტფილისიდან იგი პატარა მ. გორკის სახელით წავიდა სრულიად ჩუმად, 1900 წელში კვლავ „შემოვიდა“ შარავანდედითა და დიდების სახელით მოსილი მ. გორკის წოდებით.

აღსანიშნავია, რომ ბევრმა მისმა აქაურმა ამხანაგებმაც არც კი იცოდნენ, რომ მ. გორკის სახელით მათი მეგობარი, ყოფილი ბრადიაგა, ა. პეშკოვი სწერდა. ს. რობაქიძე სწერს: „მე ვმასწავლებლობდი ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, გატაცებული თაყვანისმცემელი ვიყავი მაქსიმ გორკისა, ვბეჭდავდით გაზეთ „კვალში“ მისი მოთხრობების თარგმანს და 1900 წლამდე სრულებით არ ვიცოდი, რომ ჩემი სათაყვანო მწერალი, მაქსიმ გორკი, არის ის ალექსი მაქსიმიჩი პეშკოვი, რომელიც ცხოვრობდა ტფილისში თითქმის მთელი ორი წელიწადი (?) და ითვლებოდა იმ წრის მუდმივ წევრად, რომელშიაც მეც ვიღებდი მონაწილეობას. [2]

მეოცე საუკუნის დასაწყისიდანვე ქართულმა კრიტიკამ გორკის შემოქმედებას სერიოზული ყურადღება მიაქცია, მაგრამ როგორც საზოგადოებაში, ისე მწერლობაშიაც გორკის ნაწერებს ერთნაირი მიდგომით არ აფასებდნენ: ერთი ნაწილი თუ გორკის თაყვანისმცემე-

---

[1] ვ. რუხაძე, პატარა მოგონება, „ქართული მწერლობა“ № 5, გვ. 20, 1928 წ.

[2] იხ. სერ. რობაქიძის მოგონება.

ლი იყო. მეორეს იგი უვიც და ყოვლად მიუღებელ მწერლად მიაჩნდა. აქ ჩანდა გარკვეული კლასიური მიდგომა გორკის შემოქმედებისადმი. ერთი ცნობილი მწერალი „ივერიის“ ფურცლებზე გორკის შესახებ სხვათაშორის სწერდა „იმ კაცს იმ საზოგადოებას, რომელიც ბალმონტის ლექსებს იზეპირებს მხოლოდ იმიტომ რომ იგი მოდაშია ახლა, რომელსაც ხელოვნების, მშვენიერების ნიმუშათ უვიც მაქსიმე გორკის უსულო და უგულო სურათები „ბოსიაკ“-ების ცხოვრებისა მიაჩნია, ასეთ კაცს, ვამბობთ განა შეუძლია გაიგოს ან დააფასოს ღირსება და მნიშვნელობა ისეთი ნიჭიერი კაცისა, ისეთი ზეციური მადლის პატრონის მგოსნის, როგორიც ალ. ჭავჭავაძეა[1]“. ამ ციტატაში დაპირისპირებაც საინტერესოა: „ბოსიაკების“ მწერალი მ. გორკი და ფეოდალური არისტოკრატიის იდეოლოგი ალ. ჭავჭავაძე „ზეციური მადლის პატრონი“, ალ. ჭავჭავაძე უფრო მიმზიდველი და საინტერესო ხდება მწერლისათვის, ვინემ რევოლუციონერი მ. გორკი.

არ შეიძლება აქ არ შევეხოთ გაკვრით „ჩემი თანამგზავრის“ შესახებ გამოთქმულ აზრს ქართულ პრესაში. ეს მოთხრობა ქართულად გადმოითარგმნა 1903 წელს. მას როგორც სჩანს ჩვენი საზოგადოების ნაწილში უკეთ რომ ვსთქვათ არისტოკრატიულ წრეებში უკმაყოფილება გამოუწვევია. „ცნობის ფურცელი“ გადმოგვცემს: „პირველად ჩვენ ბევრ განათლებულ ქართველისაგან გაგვიგონია ამ მოთხრობის ძაგება. მათის აზრით, გორკიმ განზრახ მონათლა თავისი გმირი ქართველად, რათა ველურობა ეკიჟინებია ჩვენთვის[2].“ რასაკვირველია, ასეთი შეხედულება გორკიზე და მის ნაწარმოებზე შესაძლებელი იყო დაბადებულიყო ჩვენი საზოგადოების არისტოკრატიულ ნაწილებში, რომლის წრეებიდანაც დაგვიხატა გორკიმ თავისი გმირი—შაქრო ფთაძე. ეს ტიპი ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილი იყო და მისი პორტრეტი არა ერთს ქართველ მწერალს მოუცია თავის ნაწერში, მაგრამ მათ საქართველოს სიძულვილს ვერავინ დასწამებდა. თვით რედაქციაშიაც გორკის მოთხრობა უკმაყოფილებას იწვევს და ამ უკმაყოფილებას იგი შემდეგნაირად გამოსთქვამს. რედაქციას სწვევია გორკის ნამდვილი თანამგზავრი: „როდესაც დანატებაში ამ მოთხრობის ბეჭდვა, დამთავრდა, ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ერთი უცნობი კაცი, გვარად ს—ძე, ხოლო ხელობით რკინისგზის კონდუქტორი, რომელ-

[1] იხ ფხას წერილი ა. ჭავჭავაძის შესახებ „ივერია“ № 12, 17, 22, 24, 25, 27, 29, 1902 წლის.

[2] „ცნობის ფურცელი“ 2302, 1903 წელი.

მაც გამოგვიცხადა—მე ვარ გორკის თანამგზავრიო. ამ კაცს მაქსიმ გორკის სახელი არასოდეს არ გაეგონა. პირველად გორკის ნაწერები ჩვენს დამატებაში წაეკითხა და როდესაც რედაქციაში შემოვიდა, გვითხრა: მოთხრობა ალექსი პეშკოვის დაწერილი ხომ არ არისო. ბ-ნ ს—ძეს შინაარსით ეცნო მოთხრობის ავტორი. ბ-ნი ს—ძე ესე ოცდაათი წლის კაცია, მაქრო არა ჰქვია და არც თავადია. მოთხრობაში ბევრი მართალია და ბევრი სრულიად სიმართლეს მოკლებულიაო, გვითხრა ბ-მა ს—ძემ". შემდეგ მოყვანილია ს—ძის მოყოლილი ამბავი მათი მოგზაურობის შესახებ, საიდანაც ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ადგილები ამ წერილში. ამ ამბიდან გამოირკვა რედაქციისათვის, რომ გორკის „მგზავრობის ფაქტები თავისებურად გამოუყენებია დაუმახინჯებია, ზოგი რამ კიდეც შეუთხზავს და როგორი ტიპიც სურდა ისეთი დაუხატავს (იქვე). რედაქცია ფიქრობს, რომ მაქსიმ გორკის დანაშაულობას ვერავინ უკიჟინებს რომ თავისებურად ისარგებლა შეხვედრით და საზარელი ტიპი დაგვიხატა". მიუხედავად ამისა, რედაქცია მაინც უკმაყოფილოა გორკის „ჩემი თანამგზავრი"-თ „გორკის თხუზულება... ცოტა არ იყოს საწყენია ჩვენთვის, ქართველებისათვის. „ჩემი თანამგზავრის"-ს ავტორმა ერთი რამ შესცოდა და მით ღირსება დაუკარგა თავის ნაწარმოებს"—სწერს რედაქცია. რაში შესცოდა? „რუს ავტორისათვის სრულიად საჭირო არ იყო თავისი გმირი ქართველად მოენათლა. ამით მისი მშვენიერი ნაწარმოები ტენდენციური შეიქმნა, რადგან მკითხველს ძალაუნებურად აფიქრებიებს, რომ ასეთი ტიპი მხოლოდ ქართველებშია შესაძლებელიო". როგორც მკითხველი ხედავს, რედაქცია გორკის ნაწარმოებს ნაციონალური თვალსაზრისით უდგება და მასში ქართველი ერის შეურაცყოფას ხედავს. რედაქცია, ერთი მხრივ, იცავს გორკის ს—ძის თავდასხმისაგან და ეუბნება მას, ამის უფლება გორკის აუცილებლად ჰქონდა, შენი გვარი და სახელი ავტორს არ დაუსახელებია და რა გენაღვლებაო: უბედურება ის არის მხოლოდ, რომ შეურაცყოფა მთელ ქართველ ერს მიაყენაო.

ასე შეხვდა გორკისა და მის ნაწერებს ზოგიერთი ნაციონალურად განწყობილი ინტელიგენტური წრეები. სულ სხვაგვარად შეეგება გორკის და სხვაგვარად დააფასა ფართო დემოკრატიულმა წრეებმა და დემოკრატიულმა ინტელიგენციამ. ამ მხრივ აღსანიშნავი არის ივ. გომართელის წერილები; მან თითქმის პირველმა მოათავსა ჩვენს პრესაში კრიტიკული წერილები გორკის შემოქმედების შესახებ. 1901 წელს იგი სწერდა გორკის შესახებ: „გორკი მარტო ძლიერი ნიჭი კი არ არის, იგი ამავე დროს ძლიერი

ბუნებაა, მაგრამ გორკი არა თუ ნიჭით, მთელი თავისი ცხოვრებით ორიგინალური ადამიანია... გორკის გმირები, თუმცა ყველანი რეალური პირნი არიან, თვით ცხოვრებიდან ამოღებული თუმცა. მათს და-ხასიათებაში გორკის რუსეთის მწერლობაში ტოლი არა ჰყავს, მაგრამ გორკის მნიშვნელობა მაინც ამაში არ მდგომარეობს, მან შთაბერა მომავლის სული თავის გმირებს. მათში გამოიხატა დღევანდელი კაცობრიობის საუკეთესო და მასთან უსაჭიროესი, მომწიფებული მისწრაფებანი; ცალის ხელით გორკი აქცევს აწმყოს, მეორეთი ის აშენებს მომავალს, გვითითებს თუ როგორი უნდა ვიყოთ ჩვენ და როგორი მომავალი უნდა შევქმნათ და აი აქ არის გორკის ძალა და მისი ღრმა მნიშვნელობა". [1]

აღსანიშნავია მაქსიმ გორკის ძველ მეგობრის შიო ჩიტაძის წერილებიც „მაქსიმ გორკი და მისი შემოქმედება." [2] წერილის დასასრულში ავტორი სწერს: „გორკიმ თანამედროვე ცხოვრების არაარაობა, უფერულობა, უძლურება გამოხატა ერთ სიტყვაში: „მესჩანსტვო". „მესჩახსტვომ"-მ ამოგლიჯა ცხოვრების ცხოველმყოფელი სული და ჩაუდგა სული გახრწნილებისა, ვინ დაუბრუნებს ცხოველმყოფელ სულს გათახსირებულ ცხოვრებას?.. მშრომელი ხალხი,—აი ვინ გაუმკლავდება დაობებულ ცხოვრებას; მშრომელი ხალხი—აი ვინ გასწმენდს დახშულ ჰაერს და მიაწოდებს ცხოვრებას სუფთა და საღ ჰაერს." [3]

ასე შემოიჭრა გორკი მე-20 საუკუნის დასაწყისს ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ გორკის უდიდესი ხელუხლებელი ძეგლი აიგო ქართველ პროლეტარიატის გულში მხოლოდ საბჭოთა წყობილების დროს, დღეს იგი საქართველოს პროლეტარიატის უდიდესი საყვარელი მწერალია და მისი ნაწერები ათასობით ვრცელდება ხალხში: ხალხმა დააფასა თავისი საყვარელი რევოლუციონერი მწერლის დიდი მნიშვნელობა და თავის საგანძურში უდიდესი ადგილი დაუთმო მას.

---

[1] ივ. გომართელი, რუსული პოეზიის უმთავრესი მომენტები მე-19-საუკუნეში, „კვალი" № 35, 1901 იხ. აგრეთვე მისივე წერილი: „მაქსიმ გორკის (1902 წლის მაქ. გორკის მოთხრობების გამოცემა) 1928 წ. დაიბეჭდა „მაქსიმ გორკი" ცხოვრება და შემოქმედება.

[2] იხ. შიო ჩიტაძე მაქსიმ გორკი და მისი შემოქმედება „ცნობის ფურცელი" № 2964, 1905 წ. № 2977, 1906 წ, აგრეთვე მისივე წერილი, № 3017, 1906 წ.

[3] „ცნობის ფურცელი" № 2977, 1906 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაქტიონ ტაბიძე

1

გალ. ტაბიძის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა მეტად ვრცელი და შინაარსიანია. პოეტს ორი დიდი ეპოქის მანძილზე მოუხდა თავისი შემოქმედებითი ენერგიის გაშლა, ხოლო ამ ეპოქებს არ შეეძლო თავისი დიდი გავლენა არ მოეხდინა პოეტის სულიერ განწყობილებაზე და ამათუიმ სახით არ მიემართა მისი პოეზიის ძირითადი მოტივები.

გალ. ტაბიძის გონებრივი აყვავება 1905 წლის დიდი მოძრაობის პერიოდში მოხდა ჯერ კიდევ სრულიათ ახალგაზრდამ მთელი თავისი ჭაბუკური გატაცებით განიცადა ეს დიადი ხალხური მოძრაობა და თავისუფლების ბრწყინვალე დღეები. მაგრამ ეს დღეები ხანმოკლე აღმოჩნდნენ: შავმა რეაქციამ დიადი აბობოქრება სისხლში ჩაალრჩო და მთელი რუსეთის მანძილზე „შავი ნისლი“ გადააფარა. თვით პოეტი თავის პირველ არაალეგალურ ლექსებში (1908 წ.) ამბობდა:

მეფეს კი, მეფეს კი —
ქარით და გრიგალით
თითქო არავისა
და არარაისი —
ციხეში, ბორკილში,
შიმშილში— ომებში
სურს ჩაკლას მუშათა
პირველი მაისი.

პირველ აღფრთოვანებას და მზიან დღეებს, ზამთრის სუსხიანი დღეები მოყვა, გაზაფხულის აყვავილება დაჭკნა და ყოველივე შავი ბურუსით დაიფარა, სუსხიანი დღეების დასაწყისში პოეტს კიდევ ესწამდა, რომ დიადი გაზაფხულის დღეები კვლავ განახლდებოდა მაგრამ „მაისის მობრუნების“ იმედი სუსხმა დააჭკნო და პოეტის გული სევდით აივსო.

სწუხს არე-მარე, კვნესის მიდამო,
ხმა-ჩაწყვეტილა ზუზუნებს ქარი...
და მის ქვითინში მე ჩემი ყრმობის
აუხდენელი მესმის ზღაპარი.

(ლექსები გვ. 90, 1914 წ.)

ეს „ზღაპარი“ წარსულ თავისუფალ დღეების ტკბილი მოგონებაა, განვლილ მაისის დღეებით აყვავებულ იმედების ზმანებაა.

ყმაწვილ-კაცობა, სიხალისე სიცოცხლის დილის,
ისე გამიქრა ვით ბურუსი... როგორ ვეწამე!
მჭონდა მიზანი.. ბრძოლა იყო ცა მისი მცნების,
მაგრამ კაცთ გესლით დავუძლურდი და მოვიშხამე...
ახალგაზრდათა დაცემის და დაუძლურების,
ახალგაზრდათა მწუხარების მე ვარ მოწამე;
მეც იმათ შორის უკურნებელ წყლულებით ვკვდები.

(გვ. 2)

ასე გაუქრო პოეტს „სიცოცხლის დილის სიხალისე“ შავმა დრომ და „მწუხარების“ გრძნობით აავსო მისი გული. „ახალგაზრდათა დაცემისა და დაუძლურების“ მოწამე პოეტი, თავისი ქნარის კვნესით ეპოქის განწყობილებას გამოხატავდა.

ახალგაზრდობაში გამეფებულ უიმედობით კვნესოდა. ირგვლივ „სიბნელე“ გამეფდა, გამოსავალი გზა არსად სჩანდა.

გზაზე მივდივარ... მსურს გავარკვიო
გასავლელი გზის სივრცე უცვლელი.
შავი ყორანი ისევ მომჩხავის:
„შორს ნუ გასცქერი... შორს ნურვის ელი!“
მაგრამ სადა ვარ? გზა აღარა სჩანს,
ამ სიბნელეშიც გაჭირდა გავლა;
შავმა ყორანმა ფრთა ფრთას შემოჰკრა,
შავმა ყორანმა თავზე დამჩხავლა;
გადაიფრინა და მომაგონა
დრო, უბედობის გვერდით-მხლებელი
ჟამი, ყველაფრის მქნელ გარდამქმნელი,
სივრცე, ყველაფრის მიმტევებელი.

(გვ. 3)

„უბედობის დრომ“ დააჭკნო ახალგაზრდული გატაცება და იმედები. ირგვლივ შავი ნისლი გამეფდა, ცხოვრება და ქვეყანა კუბოს დაემსგავსა.

რად მინდა სატრფო, ნათესავი, თანამგრძნობელი
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი სოფელი.

(გვ. 20)

„მთელი ქვეყანა, სოფელი, სამშობლო“ პოეტისათვის უდაბნოდ გადაიქცა, მას გამოსავალი არსად არ აქვს.

სად მივყევარ ჩემს მოწყენილ გზას.
სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი?
არ ვიცი? მაგრამ უმიზნო დღეებს
ვითვლი და ვითვლი ყმაწვილურ ჟინით,
ყოველ დღეს გულის ტკივილით ვხვდები
და ვეთხოვები მწარე ქვითინით.

(გვ. 72)

პოეტის „უიმედობა“ და სასოწარკვეთილება უმაღლეს წერტილამდე აღწევს.

ასე უმიზნოდ, უალერსოდ სულს დავლევ ბრბოში.
ასე მოვკვდები ჩემს საყვარელ საქართველოში.

(გვ. 86)

ვიტყვი—რომ ყველა მომბეზრდა ქვეყნად,
რომ დავიღალე მე ამ კუბოში.

(გვ. 74).

ამ „მწუხარებისა“ და „შემოდგომის იარებით“ დაფერფლილი „სულის კვნესა“, „გულის ტკივილი“, „სიყმაწვილის ნეტარი ფიქრით“ გამოწვეული,—ნაზი მელანქოლიით ისახება გალ. ტაბიძის შემოქმედებაში.

ჰკნება, ყვითლდება საბრალო ბაღი,
ქარი უბერავს, ფოთლები ცვივა...
გამოურკვეველ მწუხარებაში
სული მიკვნესის და გული მტკივა!
ჰო, მტკივა გული! ყვითელ ფოთლებით
კვალ-ბილიკები მიმოიფარა,
ფოთლები სცვივა ჩემს გატაცებას
და შემოდგომის მეფობს იარა...
რა ვქნა, რა ვუყო ამ მწუხარებას
არც დღე, არც ღამე ის არ მშორდება...

(გვ. 79)

„წარსულის განუმეორებლობა“, „სიყმაწვილის ნეტარი ფიქრის“ დამსხვრევა და „გაყვითლებული“ გადამჭკნარი ფოთლებ-დაცვენილი ბაღი—აი როგორი პირობები შეიქმნა პოეტისათვის, რომლის გული უიმედობის ტკივილებით აივსო.

რა ადრე გაჰქრა გაზაფხულის
მზიანი ჩრდილი,
რა ადრე გაჰქრა ჩემი ყრმობა,
ჩემი სიზმარი.

(გვ. 77)

ამ „სიბნელეში“ და გამოუვალ ქაოსში მომწყვდეული პოეტი სიცოცხლის მიზნის ძებნაშია, მაგრამ პასუხს ვერსად პოულობს.

არ ვიცი... მაგრამ უმიზნობაში
ფიქრს ვერ ვაკავებ ცრემლად მონაქუხს...
ვწუხვარ... ვეძახი სიცოცხლის მიზანს,
მაგრამ არავინ იძლევა პასუხს...

შექმნილმა ობიექტურმა პირობებმა პოეტის ბუნებაში უიმედობა და ღრმა პესიმიზმი გაამეფა.

გალ. ტაბიძემ უცილოდ განიცადა უცხოეთისა და რუსეთის სიმბოლისტური გავლენა, მაგრამ ეს გავლენა თავისებურად არის განცდილი და გამოსახული. გალ. ტაბიძე XX-ე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში თავისებური სახისა და ორიგინალური პროფილის მატა-

რებელია; იგი არ შეიძლება სხვამდე დაყვანილ იქნეს. გალ. ტაბიძის ეს თავისებურობა და ორიგინალობა გამოიხატება არა მარტო დიდ ხერხიანობაში, რომლითაც პოეტი ააშკარავებს თავის დიდ ნიჭს ფორმისა და შინაარსის შესიტყვებაში, არა მარტო ქართული ლექსის გარეგანი ფორმის დამუშავებაში, სახეების, რითმისა, რიტმისა და ასონანსების სიმდიდრეში, არამედ იმ თავისებურ განცდებშიაც, რომელიც პოეტის შემოქმედების ყოველ სტრიქონში სჩანს.

გალ. ტაბიძე ნერვების, გრძნობებისა და განცდების დიდი პოეტია. იგი ბუნებაში, ფერებში, სახეებში, რითმებსა და რიტმებში ეძებს ისეთ რამეებს, რაც ყველაზე უფრო სახავს მისი ზღვა გულის მღელვარებას, მისი ნერვების ცახცახს, მისი გამოუცნობი განცდების თრთოლვას, მის შინაგან წვას. და ეს ყოველივე ხდება ბუნებრივად, თავისთავად, ძალდაუტანებლად. სიტყვა და ფორმა მის ლექსში მუსიკალურად ესხეულება ერთი მეორეს, და აქ ისახება ის დიდი ნოვატორობა, რომელიც გალ. ტაბიძემ შემატა ქართული ლექსის კულტურას.

გალ. ტაბიძე უაღრესად ინდივიდუალური განცდების მგოსანია. იგი, როგორც ყოველი სიმბოლისტი მგოსანი, თავის შინაგან „მე"-ში იყურება და თავისი შინაგანი მსოფლიოთი არის დაინტერესებული. პოეტი ამ გულში „საიდუმლოდ ნაგრძნობ-ნაფიქრს" უმღერის, მისი გამოუცნობი მეტყველება აინტერესებს.

დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ,
არ ვუმჟღავნებ ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკარებ.
რა იციან მეგობრებმა თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული .

(გ. ტაბიძე I, გვ. 175, 1914)

ამ „გულის ნაღველი" და „მის სიღრმეში" „საუკუნოდ შენახული" განცდები ვეღარ ეტევა პატარა გულში, იგი თავის „გაფორმებას" მოითხოვს; პოეტის ტრაგედიაც აქ იწყება. ის ჰფიქრობს რომ ჩვეულებრივი სიტყვათა მარაგი და საუკუნოებით განმტკიცებული ლექსიკა უძლურია გადმოსცეს, „ამოაშროს" მის „გულში ნაგრძნობი და ნაფიქრალი". პოეტი იბრძვის ამ შაბლონურ სიტყვათა წინააღმდეგ და „გულის საიდუმლოების" ამსახველ ახალ ხერხებს ეძებს.

არ მინდა სიტყვა, არ მინდა სიტყვა!
როდესაც სიტყვა დაიბადება,
სიმართლის ალი როგორც ბურუსი
ისე ირღვევა და იფანტება...
მე ზექვეყნიურ სიყვარულით მწვავს
გამოუთქმელი და მწარე ალი.
სადაა სიტყვა, რომ ამოაშროს
გულში ნაგრძნობი და ნაფიქრალი?..

(გვ. 46)

ამ „გამოუთქმელ მწარე ალს“, ამ „საიდუმლო გულის ნაგრძნობს“ ვერ გადმოსცემს ჩვეულებრივი ენა. მას ახალი „ინსტრუმენტი“ ესაჭიროება ასასახავად. აქ ასახულია ის ტრაგედია, რომელიც ვიაჩ. ივანოვის სიტყვით ააშკარავებს თანამედროვე სიმბოლიზმის ძირეულ პრობლემას‘‘... болезненно пережитое современной душой противоречие-потребности и невозможности „Высказать себя“ („Заветы символизма“ 121, 1916) აქედან წარმოსდგა სიმბოლიზმისათვის ახალი პოეტური ენის გამომუშავების ამოცანა. ჩვეულებრივი სიტყვა უძლურია ასახოს სავსებით ადამიანის შინაგანი წვა,—საჭიროა სიმბოლოების საიდუმლო ფერების და ნიშნების შემუშავება, რომ „შინაგანი თქმა“ თავის შესაფერის ფორმით აისახოს. დ. მერეჟკოვსკი 1893 წ. სწერდა: „Слова только определяют, ограничивают мысль, а символы выражают безграничную сторону мысли.“ აქედან წარმოსდგა სიმბოლიზმის თეორიის ის გარკვეული მოთხოვნა,—ახალი ხერხით, სიმბოლოებით, უსახო და ბუნდოვან ნიშნებით—შინაგანი განცდების გამოხატვა, ბუნდოვანმა სიტყვამ უნდა გადმოსცეს უსახო განცდები, უსახო სიმბოლოებმა უნდა გადმოსცეს უსახო განცდანი. სიმბოლიზმმა მუსიკაც გამოიყენა, შინაგანი განწყობილების გადმოსაცემად. გალ. ტაბიძის პოეზია ცხადი მაჩვენებელია ასეთი შეხედულებისა. „დაცვენილი ფოთლებით“, „ნისლებით“, „ლურჯი ფერებით“, „უცნობი ზმანებით“ და რაღაც უსახო სიმბოლოებით სავსეა მისი პოეზია.

წყნარი სევდა მეწვევა
წამიღებს სიმთა ჟღერა,
ნისლით გამორკვევა
ჩემი გულის სიმღერა.

(გვ. 63)

მღერის პოეტი და მისი „გულის თქმა ნისლით გამორკვეული“ კიდევ უფრო ბუნდოვანი და გამოურკვეველი ხდება. მაგრამ პოეტი ჰფიქრობს, რომ მისტიური უჩვეულო, გამოურკვეველი ნიშნები უფრო გადმოსცემენ მის „გამოუთქმელ“ განცდებს და განწყობილებებს.

წუხელი ღამით ქარი დაქროდა
და დიდხანს, დიდხანს არ დამეძინა,
მე მქონდა ბინა, თავშესაფარი,
მაგრამ ქარიშხალს არ ჰქონდა ბინა...
გადამიშალა თვალწინ წარსული
და მწარედ, მწარედ ამაქვითინა.
როდესაც მისებრ მიუსაფარი
ვეხეტებოდი სევდიან ღამეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენ ტკბილ ფიქრებს მოეღო ბოლო,
რამდენ ოცნებას, რამდენ სიამეს...
წუხელი, ღამით ქარი დაჰქროდა
და როცა დილით გამომეღვიძა,
ყვითელ ფოთლებს და დამსხვრეულ რტოებს
მიმოეფარათ ყამირი მიწა,
ბაღში გავედი... იქაც ბილიკზე
დაცვენილიყო ფოთოლი რბილი
და დიდხანს, დიდხანს ვხეტიალობდი,
წარსულ სიზმრებში გადაფრენილი.

(გვ. 13)

ეს მისტიურ-მელანქოლიური განცდათა მთელი ზღვაა. პოეტის ნაზი გული, გამოუცნობი და ღრმა მელანქოლია, დაკარგულ სიამით ათრთოლებული ნერვები მოხდენილი ოსტატობით არის შეხამებული ობოლი ქარის მოთქმასა და ყვითელ ფოთლების მწუხარებასთან.

ხანდახან მტვრიან ქალაქის ქუჩებს,
როცა ქვითინებს და კვნესის ყველა,
როგორც ჩვენება გასაკვირველი,
ფრთხილად აყვება თეთრი პეპელა.
ასე, ნუგეშო, ჩემს შფოთვარ ყოფნას
შენ მოუვლინე სხივი პირველი,
როგორც სიმღერა მოულოდნელი,
როგორც პეპელა გასაკვირველი.

გალ. ტაბიძის შემოქმედებაში განსაკუთრებული სიძლიერით არის შეზავებული ფერები და ბუნების სხვადასხვაგვარი მოვლენები. ასეთი შეფერება ჰქმნის მელანქოლიურ განწყობილებას, რაც მგოსნის შეგრძნობით, საუცხოოდ ასახავს მისი სულის მღელვარე საიდუმლოებას, პოეტი მხოლოდ ბუნების საიდუმლო ფენებში პოულობს თავის გამოუთქმელ განწყობილების ასახვას.

საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული,
ისე სავსე, უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული,
მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.

(გვ. 175)

პოეტმა თავის „მე და ღამის“ შორის საიდუმლო გზები ნახა.

გალ. ტაბიძე ერთ თავის წერილში ამბობდა: „რომანტიზმი ყოველთვის იყო, არის და იქნება ხელოვნების ერთ უმთავრეს თვისებათ“. გაბედულად და გადაჭარბებულად არის ნათქვამი, მაგრამ პოეტს სურდა თავისი თეორიით გაემართლებია ის ძირითადი მოტივი, რომელიც მის პირველ პერიოდის პოეზიას ახასიათებდა.

ძველ რომანტიზმსა და გალ. ტაბიძის შორის მრავალი ნათესაური ბითი კვანძებია გამართული. ეს ნათესაობა არა მარტო ფერების სიყვარულში გამოიხატება, არა მარტო ლექსიკის მარაგში, არამედ გარკვეულ განწყობილებასა და განცდებში. უდავოა ნ. ბარათაშვილისა და გალ. ტაბიძის ნათესაობა. მათ აუცილებლად აშორებს ეპოქის მანძილი და სოციალური ბუნების სხვადასხვაობა; მიუხედავად ამისა მისტიური მელანქოლია დაკარგულ „ტკბილ ყრმობაზე“ და მეტაფიზიკური სურვილი „ბედის საზღვარის“ გადალახვისა,— თავისებურ ნათესაურ კავშირს აბამს ამ ორი სხვადასხვა საუკუნის პოეტს შორის. არ იყო შემთხვევითი ის გარემოება, რომ ორივე პოეტის „ბედს“ „შავი ყორანი“ დასჩხაოდა: არც ის რომ მთაწმინდის ბურუსიანი საიდუმლო დაღმე იტაცებდა ორივე პოეტს.

ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული.
და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედათ,
ოღონდ ვთქვა თუ—ღამემ სულში როგორ ჩაიხედა.

(„ცისფერი ყანწები“ № 1, 1916)

შეიძლება ეს ნათესაური კავშირი უფრო გაღრმავებული იქნეს: ნიკ. ბარათაშვილის „სულო ბოროტო“ და გალ. ტაბიძის „ელეგია“ ააშკარავებენ ამ ნათესაობის მთავარ ხაზებს.

ჩვენი საუკუნის „ბედგანაწამები პოეტი“ მღერის:

რა ადრე გაჰქრა გაზაფხულის მზიანი ჩრდილი,
რა ადრე გაჰქრა ჩემი ყრმობა, ჩემი სიზმარი!
დროო წყეულო, სად წარიღე ჩემი ფიქრები,
დროო ბოროტო, სად დამარხე ოცნება წყნარი?
მარქვი, ჰო გველო, რად დაგჭირდა რომ მოგეწამლა
ყვავილოვანი საყმაწვილე და ჩემი ქნარი?..
ჰო რად მომექცა ასე უღვთოდ მე ჩემი ბედი,
რად დამიმსხვრია სიყმაწვილის წრფელი სიამე...
სადაა ჩემი ყვავილები, სადაა რწმენა,
ზეცავ, სასტიკო, მიპასუხე, მითხარი რამე!

(გვ. 77-8)

ეს მელანქოლიური ტანჯვაა, დამსხვრეულ ბედით გამოწვეული, პოეტში იწვევს დაუსრულებელ სურვილს ცხოვრებისაგან გაცილებისა და „ყრუ ადგილის“ პოვნისას. ნ. ბარათაშვილმა „ბედის საზღვარის“ გასარკვევად ლაგამაშვებული გიჟურად მჭროლავი მერანი მიუშვა უსაზღვრო სივრცეში. გალ. ტაბიძეს ეს „გიჟური“ ქროლვა ვერ იტაცებს, იგი უფრო ნაზი და მშვიდობიანია.

წავალ, გავყვები ამ სევდიან გზას,
ზღვათა ქუხილით, წყალთა ლიკლიკით...
და დავამკვიდრებ დაღლილ სიცოცხლეს
შორს, სხვა ედემში! შორს, ჩემს ბედს იქით.

(გვ. 87)

„ეს ბედის საზღვრების“ გადალახვა, არსებულ ყოფით უკმაყოფილება და „სიბნელისაგან“ განთავისუფლების ცდა ნაზი ფერებით არის შეზავებული გალ. ტაბიძის პოეზიაში.

სადმე ყრუ ადგილს დავესაბლები
სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი.
სადაც იქნება ცოფი ნაკლები
და უფრო ნაკლებ ადამიანი
ცა ლაჟვარდია... დღე არის თბილი,
მზე არის მწარე... გზა არის ცხელი.
კმარა! მოვშორდი შფოთიან ტფილისს!
არც მსურს მახსოვდეს მისი სახელი.

(ლექსები II, გვ. 115. 1919).

„შფოთიან ტფილისის“ და საერთოდ მღელვარე ქალაქის უარყოფა პოეტის კლასიური ბუნებით აიხსნება. მისი ნაზი შეგნება და მგრძნობიარე ნერვები ვერ ისვენებს და ვერ წყნარდება აბობოქრებულ და ბრძოლით მოცულ ქალაქებში, მისთვის „ყრუ ადგილი“ და პრიმიტიული ყოფა არის მიმზიდველი.

თავისებურ სიმბოლიურ გამოხატულებას ჰპოებს პოეტის მიერ ქალაქების ცხოვრებით გამოწვეული ჭაოტური განცდა ლექსში „ავდრის მოლოდინი“.

ფიქრები ქარის ქვითინში კვდება,
ფიქრები კვდება ნისლში და ქარში;
არ არის არსად ბედნიერება!
ფიქრები კვდება ნისლში და ქარში.

(გვ. 63)

რაღაც თავისებური, საიდუმლო და მტკივნეულია პოეტის მიერ განცდილი სიყვარული. იგი რაღაც მიუწვდომელი, მისტიურ-მელანქოლიური და ღრმა მწუხარების გამომწვევია, პოეტი წინასწარ გრძნობს თავისი სიყვარულის მიუწვდომლობასა და ტრაგიკულს ბედს. „მერი“ XX საუკუნის ქართული პოეზიის საუკეთესო შედევრია. აქ ამოწურულია პოეტის შინაგანი განცდის მისტიურ-მელანქოლიური შინაარსი და ტრაგიულობა მისი ყოფნისა.

ასე მწუხარე ვიდექი დიდხანს
და ჩემს წინ შავი, სწორი ვერხვები
აშრიალებდენ ფოთლებს ბნელ-ხმიანს,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები.
და შრიალებდა ტოტი ვერხვისა
რაზე—ვინ იცის! ვინ იცის, მერი!
ბედი, რომელიც მე არ მეღირსა
ჭარს მიყვებოდა როგორც ნამქერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთქვი: უეცარი გასხივოსნება
რად ჩაქრა ადრე? ვის ევედრები?
რად აშრიალდა ჩემი ოცნება,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები?..
ქარი და წვიმის წვეთები ხშირი
წყდებოდენ, როგორც წყდებოდა გული
და მე ავტირდი —ვით მეფე ლირი,
ლირი, ყველასგან მიტოვებული.

(გვ. 25)

დიახ! პოეტი დიდხანს იდგა ასე მწუხარე თავის ბედის კარებთან. მაგრამ დრომ მოითხოვა და ეს ლირივით ატირებული სევდიანი მგოსანი ახალი ეპოქის დიდ მგოსნად გარდაიქმნა: რევოლუციონური პათოსისა და სოციალისტური მშენებლობის დიდი მეხოტბე გახდა.

გალ. ტაბიძე მთელი თავისი არსებით შეუერთდა და შეესხეულა თანამედროვე ეპოქას. პოეტი ღრმად განიცდის რევოლუციონური და ინდუსტრიალური ეპოქის შინაარსს. მის აზროვნებას მორალურ შეგნებასა და მხატვრულ იდეოლოგიაში ძირითადი და საფუძვლიანი გარდატეხა მოხდა. პოეტი ახლა, წმინდა ხელოვნებასა და წმინდა მუსიკას კი არ უმღერის, არამედ სოციალისტურ კულტურასა და რევოლუციონურ მოძრაობას.

პოეტმა ყველაზე ადრე გაიგო რევოლუციის არსებითი შინაარსი და ყველაზე უფრო გადაჭრით, მტკიცეთ მივიდა ახალი ეპოქის მშენებლებთან. თავის „მანიფესტში“ პოეტი სწერდა: „თანამედროვეობა შეუბრალებელ კლანჭებში ახრჩობს ძველს, ახალგაზრდა კბილებით იგი ღრღნის მარმარილოების საფეხურებს წარსულისას... ისინი მარხავენ ძველს ფორმებს, ისინი მღერიან ჰიმნს მარადი სიახლისას... თქვენ: პოეტებო, მხატვრებო, არტისტებო, მწერლებო! შესძლებთ თუ არა განიცადოთ ყოველივე ის ისე, როგორც მოითხოვს თანადროულობა? გრძნობთ თუ არა, რომ ჩვენს ეპოქას უნდა ანათებდეს მისი შესაფერისი ხელოვნება?... მე გეძახით თქვენ, გმირებო, შემოქმედების ცეცხლით სავსე ახალგაზრდობავ, შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველოს ხმა“ („გალ. ტაბიძის ჟურნალი“ № 1, 1922). ეს ახალი, რევოლუციონური საქართველოს ხმა ენერგიული პათოსით მეტყველობს გალ. ტაბიძის თანამედროვე შემოქმედებაში.

აღსანიშნავია, რომ გალ. ტაბიძე ნელის მაგრამ გადაჭრილი ნაბიჯით მივიდა ოქტომბრის რევოლუციამდე.

პირველ ხანებში პოეტს რევოლუციონური რყევის პათოსი და ზოგადი თავისუფლება იტაცებდა. თებერვლის რევოლუციის დროს პეტროგრადში მყოფი მგოსანი მღეროდა:

გათენდა, ცეცხლის მზე აენთო აცერდა...
დროშები ჩქარა!..
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა.
ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა...
დროშები ჩქარა!
დიდება ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,
ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას.
გათენდა, შეერთდით, შეერთდით!
დროშები, დროშები... დროშები, ჩქარა!

რევოლუციის შემდეგმა განვითარებამ პოეტის შეგნებაში უფრო ნათლად ასახა რევოლუციონურ მოძრაობის კონკრეტი შინაარსი და მისი ისტორიული რაობა.

არა თუ წლები გადაიქცა ტყდომად
ყოველი ლექსის ყოველი პწკარი,
არის გაჭრილი კლასიურ ომად,
არის ეპოქის დროშის ქვეშ მდგარი.
ეპოქა არის ნამგლის, ჭურების
ეპოქა, რამაც ძველი შეთოკა,
ეპოქა ძველის განადგურების
ინდუსტრიალურ დროის ეპოქა.

„რევ. საქართველო“ გვ. 167)

პოეტის შემოქმედებაში ძველმა მისტიურ-მელანქოლიურმა, ნისლიანმა და ბუნდოვანმა თემატიკამ, ადგილი დაუთმო სოციალისტური მშენებლობის თემატიკას: პოეტის შეგნებაში უკვე გარკვევით ისახება კონკრეტული სახე და მისი რეალური მნიშვნელობა, ახალი ეპოქის მშენებლობაში პოეტი უკვე განიცდის „რკინისგზის სახელოსნოების მანქანების მუსიკა“-ს. მას ესმის, რომ „ეს რკინის სიმღერა არის პოეზია ორი გიგანტის: ადამიანის გონებისა და დაუდგრომელი შრომის“ (გვ. 35).

ამ „რკინის გიგანტურ სიმღერას“ განიცდის პოეტი და თავისებურად ასახავს თავის შემოქმედებაში. ამ მხრივ ჩვენი პოეტი მდიდარი და მრავალფეროვანია. მისი ახალი ლექსის ფორმა მოხდენილად გადამუშავებული და შესიტყვებულია ახალ თემატიკასთან. თანამედროვე ეპოქის მძლავრი შემოქმედებითი რიტმი, ენერგიული ექსპრესით სჩქეფს მის შემოქმედებაში. აღსანიშნავია ის, რომ გალ. ტაბიძე ერთნაირი სიძლიერით და ხალისით იყენებს, როგორც სოფლის ისე ქალაქის თემატიკას. თანამედროვე სოფლის სოციალისტური მშენებლობის ასახვაში პოეტი მოხდენილად იყენებს თანამედროვე ხალხური ლექსიკის მუსიკალურ შეზავებას, ბუნებასა და კონკრეტ საგნების რიტმიულ და მეტრიულ მხარეებით.

იშვიათი მუსიკალობით არის დაწერილი კოლექტივთა სიმღერა.

მხარი მხარს, მხარი მხარს
კოლექტივო, მხარი მხარს:
აბა ჰე, აბა ჰე,
აბა მივცეთ მხარი, მხარს
წავიდეთ, მოვედოთ
თავისუფალ მთა და ბრს.
მივიდეთ, მივუდგეთ
გაერთიანებულ ჯარს.
ჰარიქა, ჰარიქა
ჩავეჭიდოთ გუთნის ტარს,
ჰარიქა ბობოლა
ძველ ღობეებს უვლის გარს.
ჰარიქა, ქალაქო,
ველით მანქანების ღვარს.
მხარი მხარს, მხარი მხარს
კოლექტივო, მხარი მხარს.
აბა ჰე, აბა ჰე
მივდგეთ გექტარსა და გას.
წავიდეთ, მივხედოთ
ცეცხლმოდებულ მთადაბარს,
დროშებით მოვუდგეთ
გაერთიანებულ ჯარს,
ვინ ნახავს რამე დარს
ახალ საქართველოს დარს.
მეხი-მეხს, ქარი-ქარს
ჩვენ კი მივცეთ მხარი მხარს.

(გვ. 52—3)

„ეს ძლევამოსილების ჰიმნია“ (გ. ქუჩიშვილი) ახალი სოციალისტური სოფლის ნიადაგზე აღმოცენებული.

ასეთ ჰიმნებს უმღერის ახალ კულტურას საბჭოთა ეპოქის დიდი მგოსანი.

2

ყოველი შემომქმედი თავისი ეპოქის შვილი არის, იგი ეპოქის მძიმე ტვირთით არის დატვირთული. მაგრამ არც ერთი ეპოქა არ წარმოადგენს ერთსახოვანსა და ერთფეროვან მოვლენას; მით უფრო XX-ე საუკუნე მთლიანად აღებული მკვეთრ სოციალურ წინააღმდეგობათა და კლასიური ბრძოლების ამსახველია; ამ კლასიურ ბრძოლების ფონზედ ისახება ადამიანთა მისწრაფებანი. იდეოლოგია და მისი სულიერი განცდანი; თანამედროვე გიგანტური ბრძოლა ორ

მსოფლიოს შორის განსაზღვრავს ყოველი ადამიანის მისწრაფებათა რაობას და არსებით შინაარსს.

ეს მომენტები საზღვრავენ გალ. ტაბიძის შემოქმედების რაობას, მისი პოეზიის სოციალურ შენების არსებით შინაარსს. გალ. ტაბიძე არა მარტო XX-ე საუკუნის ქართული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელია. იგი საბჭოთა ეპოქის დიდი პოეტია. გალ. ტაბიძის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა ფართო და ძნელი ბილიკია მისტიურ სიმბოლიზმისაგან რევოლუციონურ რომანტიკისაკენ მიმავალი. გალაქტიონ ტაბიძემ ერთ დროს პესიმიზმითა და მისტიურ განცდებით აღსავსე პოეტმა, ახალი ეპოქის გიგანტურ პროცესებს შეუერთა თავისი შემოქმედება და უმაღლესი რევოლუციონური პათოსით აავსო თავისი პოეზია.

ცნობილია, რომ გალ. ტაბიძე იმ პერიოდში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, როდესაც ყოფილ რუსეთის მთელს ტერიტორიაზე შავი რეაქცია ბატონობდა და დიად რევოლუციონურ მოძრაობას ფრთები შეეჭრა. ამ პოლიტიკურმა რეაქციამ თავისებური გავლენა მოახდინა, სხვადასხვა სოციალურ ფენებზე. განსაკუთრებული მწვავე ტკივილები განიცადა შექმნილ ობიექტურ გარემოებით ერთ დროს რევოლუციონურად განწყობილმა წვრილბურჟუაზიულმა, ინტელიგენციამ, რომლის ერთი ნაწილი ღრმა პესიმიზმმა და სასოწარკვეთილებამ მოიცვა. ამ პერიოდის პოეზიაში გამეფდა პესიმიზმი, დაცემულობა, ინდივიდუალიზმი და ამ ქვეყნიურობიდან გაქცევის სურვილი „ოცნების მხარისაკენ“ ლტოლვა. ამ ფონზე განვითარდა ჩვენს ლიტერატურაში სიმბოლიზმი, რომლის ადრინდელი და საუკეთესო წარმომადგენელნი იყვნენ გალ. ტაბიძე, ს. შანშიაშვილი და ალ. აბაშელი. მაგრამ მათი ადრინდელი სიმბოლიზმი, თავისი ისტორიულ-სოციოლოგიური შინაარსით, არსებითად წარმოადგენდა წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის იდეოლოგიურსა და ფსიქოლოგიურ პროტესტს გამანადგურებელ რეაქციის წინააღმდეგ მიმართულს. მაგრამ ქართული სიმბოლიზმი თავისი განვითარების პირველ ეტაპზე არ შეჩერებულა და „ცისფერი ყანწელების“ სახით (1916 წ.) დეკადანსის უმაღლეს მწვერვალებს მიაღწია, თავისი ბოჰემური განწყობილებითა და აქტიური მოქმედებით, ამ პერიოდის ქართული სიმბოლიზმი უკვე სხვა სოციალური ფენის ფსიქოლო-იდეოლოგიურ განწყობილებას გამოხატავდა: მისი სოციალური სამო ქართველ შავრაზმელ ინტელიგენციის ფენებში უნდა ვეძიოთ, რომლის დასაყრდენი სოციალური კლასი რეაქციისა და მენშევიზმის

პერიოდში პოლიტიკურად მოღონიერდა და აქტიურ ბრძოლებზე გადავიდა. „ცისფერი ყანწელები“ ამ განწყობილების ამსახველნი იყვნენ. „ჩვენ ვადიდებთ სიტყვას ახალს, მკაცრს და ისეთ გაბედულს, როგორც მეფური ხელის გაფრენა გაგიჟებულ დირიჟორისა. უდიდესი თვისება არსებობისა არის სიამაყე—ამაღლდეს ერი ჩვენი და თვით შეყვარებით აოცებდეს ქვეყნიერებას“ („ცის. ყანწები“ № 1, გვ. 2, 1916 წ.) ვკითხულობთ მათ მანიფესტში. „ცეცხლი, ცეცხლი ყველაფერს, რაც შობს მწუხარებას და დაღლილობას!“—ეს აქტიური ბრძოლა „ცისფერ ყანწელებისა“ არსებითად ამსახველი იყო ქართველი ბურჟუაზიის აგრესიობისა და ნაციონალისტური ბრძოლის, მაგრამ ქართველი ბურჟუაზიის გააქტივება ისტორიულად თან ატარებდა თავის სიღრმეში ამ კლასის განწირულ მდგომარეობას: იგი ისტორიის მიერ სასიკვდილოდ იყო განწირული და ეს გარემოება თავისებურ ასახვას პოულობდა „ჩვენი ლოთი ძმების“—ბოჰემურ შემოქმედებაში. არსებითად თავისი, სოციოლოგიური საფუძვლებით. ქართული სიმბოლიზმის ეს მიმდინარეობა გამოხატავდა ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგიურსა და ფსიქოლოგიურს რეაქციას რევოლუციონური მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულს.

გალ. ტაბიძის იმ პერიოდის შემოქმედება სიმბოლიზმის საუკეთესო გამომხატველი იყო, მაგრამ მისი პოეზიის სოციალური წყარო ძირიანად განსხვავდება „ცისფერ ყანწელების“ სოციალურ წყაროსაგან; მათი კლასიური ბუნება სხვადასხვა სოციალურ ფენებში პოულობდა თავის მასაზრდოებელ ნიადაგს:

მაგრამ სადა ვარ? გზა აღარა სჩანს,
ამ სიბნელეშიც გაჭირდა გავლა;
შავმა ყორანმა ფრთა ფრთას შემოჰკრა,
შავმა ყორანმა თავზე დამჩხავლა.

(ლ ე ქ ს ე ბ ი ტ. I გვ. 3, 1914 წ.)

ასეთი იყო პოეტის მიერ განცდა იმ შავი სიბნელისა და გზათა აღრევისა, რომელიც რეაქციის ეპოქამ გაამეფა ჩვენში. პოეტის განცდა უმაღლეს სასოწარკვეთილებამდე მიდიოდა, მასსა და გარემოს შორის გასწყდა შემაკავშირებელი ძალა, იგი მარტოდ დარჩა, ქვეყნად კი შავი სუდარა გამეფდა.

ვიტყვი, რომ ყველა მომბეზრდა ქვეყნად,
რომ დავიღალე მე ამ კუბოში.

ეს კუბო ის ობიექტიური გარემო იყო, რომელიც შავმა რეაქციამ გაამეფა და რომელმაც პესიმიზმით აავსო პოეტის ნაზი და სათუთი

გული. გარემოსაგან მოწყვეტილი პოეტი ღრმა პესიმიზმითა და სასოწარკვეთილებით შეპყრობილი, თავის შინაურ „მე“-ში ეძებს მხნეობის ძალას და თვითვე ქმნის ოცნების სამეფოს.

ხშირად ვოცნებობ და შევსცქერი ცას,
ვეძებ უხილავს, ვუცდი ვიღაცას.
(გვ. 16)

მაგრამ ეს „ვიღაცა“ არსად სჩანდა, ის მხოლოდ პოეტის ძიების, სურვილის ნაყოფი იყო და არა რეალური სინამდვილე „ვიღაც“ და „რაღაც“ ცის იდუმალობით იქნა დაფარული.

სინამდვილეში ოცნების ავაგებ კანდელს
იმ შორ გაზაფხულს ფეხქვეშ უგებ ყოფნას დღევანდელს.

მაგრამ პოეტმა ვერც აქ ჰპოვა გამოსავალი. ოცნების კოშკი რეალურმა სინამდვილემ დაამსხვრია და პოეტს „მოსწყინდა ყველაფერი, და მობეზრდა ყოფნის მცნება“ (გვ. 1). ასეთს გამოუვალს მდგომარეობაში პოეტის განცდა მეტად ღრმა და სევდით მოსილი იყო; მისი შემოქმედება იყო—„შავი წიგნი, წიგნი წითელ ასოებით, დაწერილი სისხლის წვეთით, დაწერილი სასოებით.“

მაგრამ პოეტს მაინც დარჩა ერთი სათაყვანებელი საგანი—წმინდა ხელოვნებისა და პოეზიის სამსახური.

ხელოვნება—ეს ოქროა მიწის გულში დამარხული,
ხელოვნება მარგალიტს ჰგავს, მას ზღვა ფარავს შეუცვლელი,
მას ვერას დროს ვერ მისწვდება კაცის გული, კაცის ხელი,
არის წმინდა პოეზია და მუსიკა არის შორი,
მაგრამ ქვეყნად არ არსებობს—ცის ალერსი, ცის ამბორი.
არის საღვთო ბილიკები ამ სივრცისკენ მიმავალი,
აირჩიე მათგან ერთი, აირჩიე ერთი კვალი!

პოეტმა უშიშრად აირჩია ერთ-ერთი გზა, გზა პოეზიის სამსახურისა და თავის ლეიტ-მოტივად გაიხადა, „პოეზია უპირველეს ყოვლისა.“ ამ შემთხვევაში გალ. ტაბიძე საფრანგეთისა და რუსეთის სიმბოლისტების დიდ გავლენას განიცდიდა.

პოეზიის მუსიკალობა და ლექსის ტექნიკის უმაღლესად განვითარება სიმბოლიზმის მხატვრული თეორიის ნაყოფი იყო. მაგრამ ამ თეორიის მოწაფე გ. ტაბიძემ ქართული ლექსის გარეგანი მხარე და მისი მუსიკალობა უმაღლეს მწვერვალამდე განავითარა, ამაში არის გალ. ტაბიძის ორიგინალობა და მისი სიძლიერე. მისი „ლურჯა ცხენები“, „გურიის მთებს,“ „მერი“, „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“ და მრავალი სხვა XX-ე საუკუნის ქართული პოეზიის შედევრებს წარმოადგენენ.

* *

უდიდესი დამახასიათებელი თვისება გალ. ტაბიძისა და მისი შემოქმედების იმაში მდგომარეობს, რომ პოეტი როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, შეგნებულად გამოეთხოვა თავის ძველ განცდებს და იდეოლოგიას და მთელი თავისი სიძლიერით შეიხორცა და შეითვისა თანამდროვე რევოლუციონური და ინდუსტრიალური ეპოქა. გალ. ტაბიძე უცბად არ მისულა თანამედროვე დიადი ეპოქის სინამდვილესთან, იგი ერთი ხელის მოქნევით არ გამოთხოვებია თავის წარსულ შემოქმედებითი თემატიკას. ამ გამოთხოვება-შეთვისების დროს მან საგრძნობი პროცესები განიცადა. პირველ ხანებში რევოლუციას „გარედან" განიცდიდა მგოსანი: ჯერ კიდევ იგი არ შესულიყო მის პოეტურ განცდაში, როგორც მისი გადამჭრელი და ძირითადი დამახასიათებელი თვისება, მაგრამ პოეტი დღითი დღე ორგანიულად ესხეულებოდა რევოლუციას, და სწორედ ის არის დამახასიათებელი, რომ გალ. ტაბიძის მიერ განცდილი თანამედროვე ეპოქა და ამ ეპოქის შემოქმედებითი პროცესები ორიგინალურია, თავისებური, მეტის მეტად ღრმა და ყოველგვარი ნაძალადობას მოკლებული. პოეტი მთელი თავისი არსებით განიცდის თანამედროვე ეპოქის დიად რიტმს და უკვდავ ლექსების ფორმებში ასხეულებს მას.

გალ. ტაბიძის შემოქმედებაში დიდი და ორიგინალური გარდატეხა მოხდა: პოეტი აღარ სცდილობს „ძველს" შეაქსოვოს „ახალი," როგორც ეს ახასიათებს მრავალ ძველი თაობის მგოსნებს. მისი გადაწყვეტილება მტკიცე და გაბედულია, მისი ძველი შემოქმედების მრავალი დამახასიათებელი თვისება ახალი რევოლუციონური ეპოქის გახსცდებმა გააცამტვერეს. პესიმიზმი იმედიანობამ და ოპტიმიზმმა შესცვალა. სინამდვილიდან მოწყვეტილობა და ოცნების სამეფოსკენ სროლა—სოციალისტურ სინამდვილესთან შესხეულებამ; პასიობა—რევოლუციონურმა პათოსმა; მისტიური სიმვოლიზმი—რევოლუციონურმა რომანტიკამ; მისტიურ-მელანქოლიური მუსიკალობა და რიტმი—სოციალისტური ინდუსტრიის რევოლუციონურმა რიტმმა და შრომის პროცესების მუსიკალობამ; ოცნება „ვილაცაზე" და „რაღაცაზე" კონკრეტ სოციალისტურმა სინამდვილემ და ახალი ადამიანის თემატიკამ; ძველი ნაზი და მშვიდობიანი ლექსიკა—რევოლუციონური ეპოქის ბგერათა გუგუნმა, წვრილ-ბურჟუაზიული განცდა—პროლეტარული შემოქმედების დიადმა ენერგიამ და კლასობრივი ბრძოლის შეგნებამ.

ზოგიერთს გონია, რომ გალ. ტაბიძის ასეთი „გარდაქმნის" პროცესში დაზიანდა მისი ლექსების გარეგანი ფორმა, ტექნიკა და მუსიკალური მხარე. რასაკვირველია, ეს არსებითი გაუგებრობაა: დაზიანდა ძველი ფორმა, რომელიც თავისებური გამოხატულება იყო მის-

ტიურ-მელანქოლიურ განცდათა და შინაარსისა; ახალმა თემატიკამ ახალი ფორმა მოითხოვა. ძველი ფორმებით ახალი განცდების გადმოცემა შეუძლებელი იყო. პოეტმა საფუძვლიანად გადაამუშავა ახალ თემატიკასთან ერთად თავისი პოეზიის გარეგანი ფორმის საკითხი და მეტად საგრძნობ შედეგებსაც მიაღწია. თუ გნებავთ, გალ. ტაბიძის მთელი შემოქმედების საიდუმლობის გამორკვევა იმაში მდგომარეობს, თუ როგორ შესძლო პოეტმა ასე მოხერხებულად ერთი ეპოქის მწვერვალიდან მეორე ეპოქის მწვერვალზე გადასვლა, თავისი პოეზიის თემატიკის, ფორმის, რიტმისა და იდეოლოგიის ასე რადიკალურად გადახალისება, გარდაქმნა და ფორმისა და შინაარსის ასე მოხდენილად შეზავება ახალ სოციოლოგიურ ბაზაზე.

შეიცვალა პოეტის აზრი პოეზიისა და თვით პოეტის დანიშნულებაზე, „აღარ ვარგა როგორც წინათ, ძველი გულით სიაროული," ამბობს პოეტი და იგი გადაჭრით მოუწოდებს მგოსნებს ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლთა რიგებში დადგომას:

პოეტი არის მებრძოლი,
ახალი ქვეყნის მშენელი,
წინა სდგას ცხარე ბრძოლებში
როგორც ქვითკირის კედელი.

პოეტი აქტიური მებრძოლი უნდა იყოს ახალი, სოციალისტური კულტურის მშენებლობის საქმეში; ეს აზრი წითელი ზოლივით არის გატარებული გალ. ტაბიძის შემოქმედებაში.

არა თუ წლები გადიქცა ტყდომად,
ყოველი ლექსი, ყოველი პწკარი,
არის გაჭრილი კლასიურ ოძად,
არის ეპოქის დროშის ქვეშ მდგარი.
ეპოქა არის ნამგლის, ქურების,
ეპოქა, რამაც ძველი შეთოკა,
ეპოქა ძველის განადგურების
ინდუსტრიალურ დროის ეპოქა.

(რევ. საქ. 167)

ამ ინდუსტრიალურ ეპოქის მგოსნად გადაიქცა გალ. ტაბიძე. მისი პოეზია ახალი ეპოქის ენერგიითაა გაჟღენთილი, მისი ლექსის ყოველ რიტმში ახალი მშენებლობის მედგარი ენერგია მეტყველებს.

ქარხანა შრომობს, ბორბალი ბრუნავს
წარმოებისათვის წამი არ იცდის,
საკაცობრიოდ იცვლება შრომად
ძველი ბუნაგი კაპიტალისტის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაატრიალეთ მედგრად ბორბალი
ამ მტკიცე ხმაში მკაფიოდ ისმის
პროლეტარული აღფრთოვანება
მოახლოვებულ სოციალიზმის! [2]

(ეპოქა გვ. 95)

პოეტი შეერთებულ შრომის მეხოტბეა. არა მარტო ქალაქის ინდუსტრია, არამედ სოფლის კოლექტიური შრომაც მისი პოეზიის ძირითადი თემატიკაა.

არ შეიძლება აქ არ მოვიყვანოთ ერთი მნიშვნელოვანი ადგილი მისი რევოლუციონურ საქართველოდან.

შეერთებულ შრომას მღერის
ნისლები რომ ეხურა,
ხანის წყალი, გუბის წყალი,
ცხენის წყალი ტეხურა.
შეერთებულ ძალას, შრომას
მღერის ვით მაყრიონი
ლიახვი და ალაზანი,
ჭოროხი და რიონი
შეერთებულ შრომას მღერის
ჩანჩქერების მარაგი
ნატანები, იმერხევი
ინგური და არაგვი—
მამავერი, მტკვარი, ქსანი,
ალაზანი, ძირულა,
აქ მრავალი ათასი ხმა,
ერთად გადაკირულა.
მთებო! დასწვით ძველი შავი
ახალ დროის სიალეთ,
თავისუფალ მწვერვალების
დროშა ააფრიალეთ!

(გვ. 102)

მშვენიერი ლექსია. ამ ლექსის მუსიკალობა და მისი რიტმი საუცხოოდ შეზავებულია ლექსის მასალასთან და ყოველივე ეს მარტივ ფორმებშია აგებული.

გალ. ტაბიძის პოეზიის თემატიკა სოციალისტურ მშენებლობის დიადი ფრონტია. არ არის დარჩენილი ამ მშენებლობის არც ერთი მხარე, რომ პოეტს თავისებურად არ აესახოს რჩეულ მძივებად: ლითონი, მანქანა, მაზუთი, ნახშირი, რატაციონი, ზაჰესი, რიონჰესი, ხუთწლედი, წითელი არმია, პიონერი, კოლექტივი, ფაბრიკა, სოფელი და ქალაქი—ახალი ადამიანი შედის გალ. ტაბიძის შემოქმედებაში,

როგორც მისი ორგანიული ნაწილი. აქ ადგილი არა აქვს რაიმე შაბლონსა და ცრუ-კლასიკური ტონით გადამღერებას. პოეტი თვით განიცდის და გრძნობს ყოველივე ამ ფაქტორს: მას მთელი თავისი არსებით ესმის მათი უდიდესი მნიშვნელობა ,,ახალი კაცობრიობის" აშენების საქმეში.

წავიდეთ ქარხნებში, ავსტეხოთ განჯაში,
მუშებო, შეხედეთ რამდენი—
ევროპის ტყვიებში, გაზებში, ტანკაში
ხსნას ელის სიყალბის ჩამდენი!
(გვ. 142)

პოეტი გაჟღენთილია „თანამედროვე ცხოვრების გრძნობით." მან იცის, რომ გამძაფრებულ კლასიურ ბრძოლის დროს ,,სიყალბის ჩამდენი სოციალისტური სიმაგრეების გახრწნას ცდილობს, პოეტს სურს ფხიზლად იდგეს ახალი კულტურის სადარაჯოზე და პროლეტართა მძლავრი არმიის ყურადღება გაამახვილოს მოსისხლე მტერთა წინააღმდეგ. გალ. ტაბიძის შემოქმედების დამახასიათებელი ფორმა ის არის, რომ პოეტს ნათლად აქვს შეგნებული რევოლუციონური მოძრაობის როგორც გრანდიოზული ნგრევითი მხარე, ისე მისი გრანდიოზული შემოქმედებითი პროცესები. ა. ბლოკისათვის მიმზიდველი გახდა რევოლუციის ნგრევითი პროცესები; მისი შემოქმედებითი ინტუიცია ვერ მივიდა რევოლუციონური შემოქმედებითი პროცესების შეგნებამდე. აქ განსხვავება ბლოკსა და გალ. ტაბიძეს შორის მეტად დიდია, უკანასკნელი ნათლად ხედავს, რომ რევოლუციის გამანადგურებელი ცეცხლით ინგრევა ძველი დახავსებული ცხოვრების საფუძვლები და იმავე დროს ნიადაგი ეყრება ახალი ცხოვრების გიგანტურ მშენებლობას. გალ. ტაბიძე ძველის რღვევა-განადგურებისა და ახალი გიგანტური სოციალისტური მშენებლობის მომღერალია. იგი განყენებულ და აბსტრაქციის სიცივეში გაყინული ცნებით კი არ სწერს. არამედ კონკრეტულ რეალურ მასალებით, იგი ეხება ისეთ საგნებს, რომელიც რეალურად ხელშესახებია და გონებით წარმოსადგენი. არა აბსტრაქტულობა და სქემატიურობა, არამედ საღი რეალიზმი და რევოლუციონური პათოსი,—აი რით ხასიათდება საბჭოთა ეპოქის დიდი მწერლის შემოქმედება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. შანშიაშვილის შემოქმედება

ს. შანშიაშვილი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მწერალია. იგი პოეტიც არის, დრამატურგიც, ბელეტრისტიც. მის კალამს ეკუთვნის დიდძალი ლირიკული ლექსი, ათეული პოემა და უფრო მეტი სხვადასხვა სახის დრამები და მოთხრობები. მაგრამ სანდრო შანშიაშვილის მრავალფეროვნება მარტო ამ ლიტერატურული ჟანრების მრავალსახიანობით არ ამოიწურება; იგი უფრო ღრმა ხასიათისაა და ავტორის ლიტერატურული მიმდინარეობის საკითხს შეეხება. ერთ დროს შანშიაშვილი ჰფიქრობდა, რომ იგი „ძველს არ ეკუთვნის“ და რომ მან ამოსწურა ძველი ლიტერატურული მოტივების გადამღერება და „ძველზე აშენებს თვის კოშკის კედელს“—ახალი პოეზიის სამთავროს:

ისე არ ვიმღერ, ვით უწინ მღერდენ
წინამორბედნი ჩემის დიდების;
მოვსულვარ ქვეყნად მზის სამეფოდან,
ღაღად ვყო სიტყვა ჟამთ უკვდავების.

(„მგოსნის აღსარება“, სახ. ფურცლის დამატება, 1911)

მაგრამ, მიუხედავად ამ კატეგორიული განცხადებისა, პოეტმა „ძველთან“ სავსებით კავშირის გაწყვეტა ვერ შესძლო და მის შემოქმედებაში „ახალი ღაღადისა“ და „ახალი კერპის“ გვერდით საგრძობი გადამღერება ხდებოდა ძველი მოტივებისა. „ძველს არ ვეკუთვნი, ფესვს კი იქ ვიდგამ“ მღეროდა პოეტი; მაგრამ „ძველში“ ეს ფესვის გადმოდგმა უფრო ღრმა იყო ვინემ პოეტი ჰფიქრობდა. და სწორეთ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ს. შანშიაშვილის შემოქმედება არ არის „დახვეწილი“ ერთი ლიტერატურული სკოლის მიხედვით, რომ მასში სხვადასხვა საწინააღმდეგო ჰანგებზეა მღერა. ამით უნდა ავხსნათ ის გარემოებაც, რომ ს. შანშიაშვილი ხშირად ერთდაიმავე დროს აქვეყნებდა სხვადასხვა მიმართულების ნაწერებს: პოემების „ოცნების მხარეს“, „ლანდებისა“ და „ქალი გრძნეულის“ პარალელურათ „მედია“ და „მშვენიერი ელენეს“, „იდუმალობის წინაშე“ და სხვ.

მისტიურ-სიმბოლუსტური დრამების: „შვების თავადი“, „მეფე მგოსანი“, „ბერდო-ზმანია, „ლატავრა“-ს პარალელურად ისტორიული დრამები: „უგვირგვინო მეფენი“, „რობდა“ „სპარტაკი“ და სხვ.

ამ პატარა ცნობიდანაც მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ ს. შანშიაშვილის შემოქმედების შაბლონურად შესწავლა შეუძლებელია, რომ ამ მწერლის ნაწერები რთულია თავის შინაარსითა და ფორმით და იგი სერიოზულ დამუშავებას მოითხოვს. ს. შანშიაშვილს 28 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის ისტორია აქვს. ამ ვრცელი ისტორიული მანძილის განმავლობაში პოეტმა საგრძნობი გავლენები და ცვლილებები განიცადა. მაგრამ ყველაზე უფრო საგრძნობი ცვლილება მის მხატვრულ შემოქმედებასა და ლიტერატურულ იდეოლოგიაში „ეპოქამ“, „დრომ“ გამოიწვია. იგი, როგორც ყოველი ადამიანი, თავისი ეპოქის შვილი იყო და გარკვეული კლასის თვალსაზრისით ასახავდა იმ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც მის ეპოქას ახასიათებდა. მაგრამ ერთი ეპოქის არსებითი შინაარსის ცვლილებასთან ერთად იცვლება მისი საზოგადოებრივ ურთიერთობა, მისი კლასობრივი სტრუქტურა და კლასთა შორის ურთიერთობანი. ბუნებრივია, რომ ასეთს ისტორიულ ცვლილებებში, შირად იცვლება თვით მწერლის განწყობილებაც, მისი იდეოლოჯგია და მხატვრული თემატიკა. მაგრამ ამ ცვლილებას განსაზღვრავს იმ კლასის ცვლილება და განწყობილება, რომელიც მწერლის სოციოლოგიურ დასაყრდენ ბაზას წარმოადგენს. ამრიგად შანშიაშვილის შემოქმედებაში მომხდარი ღრმა მნიშვნელობის ძვრებს წინ უსწრებდა საზოგადოებრივ „ყოფაში“ მომხდარი ცვლილებანი კლასიურ ურთიერთობაში მომხდარი გადაჯგუფება. როგორი შინაარსის იყო ეს დაჯგუფება? როგორი ფორმით მიმდინარეობდა იგი? როგორი ფორმით აისახა იგი შანშიაშვილის შემოქმედებაში?

წინასწარ ერთს გარემოებაზე კიდევ გვინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება. ს. შანშიაშვილის დრამატიული შემოქმედების დახასიათებას წინ უნდა უსწრებდეს მისი საერთო მხატვრული შემოქმედების დახასიათება. დრამატურგია ჩვენი მწერლის შემოქმედების დამოუკიდებელ ლიტერატურულ სფეროს კი არ წარმოადგენს, არამედ იგი ორგანიული ნაწილია მთელი მისი მხატვრული პროდუქციისა: ხშირად მთელი რიგი თემებისა, რომლის დამუშავებასა და გაფორმებას ავტორი პოემებსა და ლექსებში ცდილობდა, თავისებურ განსახიერებას მის დრამატურგიაშიაც ჰპოებს. მაგალითად, სიკვდილ-სიცოცხლისა და „ყოფნის“ პრობლემები, რომელიც ერთ დროს ასე მძლავრად

აწვალებდა პოეტს, თავისებურ გაფორმებას პოულობდა როგორც პოემებში, ისე დრამებში. ეს პრობლემებისადმი დაბრუნება და მისი სხვადასხვა ფორმით დამუშავება ძლიერ ახასიათებდა ძველი პერიოდის ს. შანშიაშვილს. მეორე მხრივ, დრამატურგია მწერლის იდეოლოგიის ერთერთი ფორმაა; როდესაც საერთოდ მწერლის მხატვრული იდეოლოგია და მისი ძირითადი მიმართულება შესწავლილი და გამორკვეულია, მაშინ ადვილი ხდება მისი რომელიმე სამწერლო ჟანრის შესწავლაც.

ამიტომ არის საჭირო წინასწარ ზოგად ხაზებში ს. შანშიაშვილის მთელი შემოქმედების დახასიათება.

ს. შანშიაშვილის მთელი შემოქმედებითი ენერგია ორ დიდ სხვადასხვა ეპოქაში გაიშალა: ერთი მხრივ, ეს იყო 1905 წლის შემდეგი პერიოდი, როდესაც ჩვენში პოლიტიკურად შავი რეაქცია გაბატონდა და ეკონომიურად იმპერიალიზმის ბატონობის სტადია დაიწყო; მეორე მხრივ,—პერიოდი, როდესაც ცხოვრების სათავეში პროლეტარიატი მოექცა. პირველ ხანაში 1905 წლის რევოლუციის დამარცხებით გამეფებულმა შავმა რეაქციამ ხელი შეუწყო ჩვენში კოლონიალური ყვლეფის ახალი ფაზისს — იმპერიალიზმის განმტკიცებას. ამ გარემოებას შედეგად მოყვა ერთი მხრივ, წვრილ-ბურჟუაზიულ ფენების განადგურება, მათი პროლეტარიზაციის პროცესის გაძლიერება, ხოლო, მეორე მხრივ, კაპიტალისტურ ურთიერთობის ახალ განვითარების საფუძვლებზე ადგილობრივი ბურჟუაზიულ ფენების ამოძრავება და გააქტივება. ამ უკანასკნელმა გარემოებამ გამოიწვია ჩვენში ბურჟუაზიული პარტიის ჩამოყალიბება და მისი იდეოლოგიურ-პოლიტიკური ბრძოლის გაცხოველება. ამ გარემოებამვე გააცხოველა ბურჟუაზიული იდეოლოგია მხატვრულ ლიტერატურაში და ახალი განსაკუთრებული სახე მისცა ბურჟუაზიულ მხატვრულ შემოქმედებას ჩვენში („ცისფერი ყანწელები“ ნ. ლორთქიფანიძის, შ. დადიანის, დ. კასრაძისა და სხვათა შემოქმედება).

სულ სხვაგვარი განწყობილება შექმნა რეაქციის ეპოქამ ამ წვრილ-ბურჟუაზიულ ფენებისათვის, რომელნიც მძიმე ხასიათის ტკივილებს განიცდიდა იმპერიალიზმის ზეგავლენით. წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის ნაწილი შიშმა და უიმედობამ შეიპყრო, მან რეაქციის გაბატონებაში რაღაც უძლეველი ძალა დაინახა და სრულიად ვერ შეიგნო, რომ ეს რეაქცია მხოლოდ დროული და წარმავალი მოვლენა იყო, რომ ახალი რევოლუციონური ბრძოლებისათვის მზადდებოდა ნიადაგი. უიმედობასა და უსაზღვრო პესიმიზმთან ერთად ეს ინტელიგენცია მღვრიე და შავი ცხოვრებიდან გაქცევის სურვილმა

შეიპყრო;—ნაცვლად მღელვარე, აბობოქრებული რეალური ცხოვრებისა, რეაქციით დამფრთხალი წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტი ცდილობდა თავისი საკუთარი მსოფლიო შეექმნა „მზის სამეფოს“ გაფრენილიყო, „ოცნების მხარეს“ დამკვიდრებულიყო; აქედან წარმოსდგა ინდივიდუალიზმი, უარყოფა სინამდვილის, „შორეულ ქვეყნისადმი“ სიყვარული, პესიმიზმი და მისტიურ-რელიგიური განწყობილება.

ამ განწყობილების გამომხატველი იყო პირველი პერიოდის ს. შანშიაშვილის შემოქმედება, როდესაც მან თავისებურად შეითვისა სიმბოლისტური სოფლმხედველობა. ამ პერიოდის მისი შემოქმედება თავისი ისტორიულ-სოციოლოგიური მნიშვნელობის წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის პროტესტს წარმოადგენდა რეაქციისა და იმპერიალიზის ბატონობისადმი წინააღმდეგ მიმართულს. რადგან ეს ინტელიგენცია, იმედ დაკარგული, გამოსავალს ვეღარ ჰპოულობდა რეაქციის არსებულ სინამდვილეში, იგი უარყოფდა ამ სინამდვილეს და მისტიურ-სიმბოლისტურ „მზის სამეფოს“ ჰქმნიდა თავის ოცნებაში და მას უპირისპირებდა „მიწიერ“ სინამდვილეს.

ს. შანშიაშვილმაც თავისებურად განიცადა 1905 წლის რევოლუციის მზიანი დღეები. პოეტი სხვებთან ერთად მედგრად მღეროდა „ბრძოლის სიმღერას,“ იგიც მოუწოდებდა ბრძოლისაკენ:

შემოკრბით ერთად!
დასძახეთ მედგრად!
თავი გავსწიროთ.
(იხ. ტ. I. გვ. 47)

პოეტსაც სწამდა: „ერთი ძლიერი იერიშიც—მტერი იძლევა!“ (გვ. 43). მტერი ერთმა შეტევამ ვერ დაამარცხა და შავი რეაქციის გაბატონება პოეტის შემეცნებაში, ასე აისახა:

თეთრი ნისლი, წვიმა, ქარი;
მწუხარება, გლოვა ზარი
(„ბაღი სევდისა“ 1911 წ.)

გაამეფა. გარემო შავი ნისლით დაიბურა.

ფრთა გაუშლია შიშსა, ძრწოლას და ბნელ სამარეს!
ქვეყნის დემონი თავისუფლად დაჰჭრის ხარხარებს,
(„იდუმალი ხმები“ 1908 წ.)

აქედან წარმოსდგა პოეტის მელანქოლიურ-პესიმისტური განწყობილება რეალურ სინამდვილისადმი და მისტიური ლტოლვა „შორეულ ქვეყნისადმი“. „მიწიერი“ სინამდვილე მასში უკმაყოფილებასა და ზიზღს იწვევს.

სულ მხოლოდ სინამდვილით,
ვერ დასტკბება, ვერც იხარებს;
მას ქვეყანა შორეული
შეიგუებს, შეიფარებს.

ის სამეფო სხვაგვარია:
არ აქვს კიდე, არც საზღვარი;
იგი სულის სამშობლოა.
საუკუნოდ დაუმჭკნარი.
(„მეფე-მგოსანი"—„გვირგვინი" გვ. 191. 1912 წ.)

ასე მღერის მეფე მგოსანი, და ეს სიმღერა თვით ჩვენი პოეტის გულიდან არის ამონახეთქი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ნისლიანი რეაქციისა და პესიმიზმის პერიოდში პოეტის „ღელვილი სული" ადამიანის „ყოფის" ფილოსოფიური პრობლემით არის დაინტერესებული; პოეტს აინტერესებს არა მარტო საზოგადოებრივი ურთიერთობისა და წყობილების სოციალური პრობლემა, არამედ ძირეულად და არსებითად თვით ა დ ა მ ი ა ნ ი ს არსებობის მიზანი და რაობა.

ამოცანად გარდამექცა,
ჩვენი ყოფნა, დასასრული;
სიდან მოვალთ? სად მივდივართ?
რა მიზანი გვაქვს ჩვენ სრული?
(„იდუმალობის წინაშე", „სახ. გაზეთის" დამატება № 165, 1913 წ).

ეს ის დიდი პრობლემა იყო, რომელიც აღელვებდა ფეოდალური წყობილების რღვევის პერიოდში შობილს—ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს. ეს პრობლემა აწვალებდა შავი რეაქციის ბატონობისა და კაპიტალიზმის რღვევის პერიოდში წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენტს—ს. შანშიაშვილს. ამ პრობლემის მხატვრულ გაფორმებას ჩვენმა პოეტმა მთელი რიგი ნაწერებისა უძღვნა, მაგრამ მისი არსებითად გადაწყვეტა ვერ შესძლო, რადგან მისი სოფლმხედველობა და გამოსავალი წერტილი მეტაფიზიკურ-მისტიური შინაარსისა იყო.

ამ საერთო განწყობილებათა და იდეოლოგიით აიხსნება იმ პერიოდის შანშიაშვილის შემოქმედების თ ე მ ა ტ ი კ ა ც. აღსანიშნავია რომ შავი რეაქციის „სინამდვილის" სიძულვილმა პოეტში განსაკუთრებული სიმღერით აამეტყველა გარდასულ კულტურისადმი სიმპატიები: კლასიკური წარსული და ელინური მითოლოგია თავისებური მხატვრული ემოციით ამეტყველდა ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში, („მედეა" და „მშვენიერი ელენე" და სხვ.) არა ნაკლები იდეალისტური სამოსელით შეიმოსა საქართველოს შორეული წარსული.

მაგრამ ეს პერიოდი, შანშიაშვილის უკვე განვლილ ხანად უნდა ჩაითვალოს. ცხოვრების სინამდვილეში მომხდარმა გარდატეხამ პოეტში არსებითი და საფუძვლიანი გარდატეხა გამოიწვია. თუ მისი წვრილ-ბურჟუაზიული შეგნება შავი რეაქციის ხანაში ვერ პოულობდა გამოსავალს და მისი შემეცნება მისტიურ-მელანქოლიურ განცდებით ივსებოდა, ახალმა სოციალისტური მშენებლობის ეპოქამ თავის

გიგანტურ მშენებლობაში ჩაითრია პოეტი და რევოლუციონური პათოსით აავსო მისი გული:

ეპოქამ ასე გადამადნო ფოლადის კაცად...
სხვა გრძნობით ვცოცხლობ! მოქალაქე ვარ საბჭოეთის...
ბრძოლამ არგუნა დიქტატურა პროლეტარიატს
და მეც მის ტალღებს შევერიე, უკვე ნაწრთობი.

(„გავლილი შარა", 1928)

როდესაც პოეტმა დაინახა, რომ „ძველი დაემხო და ახალი თვალწინ შენდება" რომ „მუშების ჯარი აუნთია ლენინის სიტყვას"— ამ საერთო გარდაქმნის პროცესში პოეტის განწყობილებაც გარდაიქმნა და მისი მუზაც ახალ ჰანგებზე ამეტყველდა. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. პოეტმა ნათლად იგრძნო, რომ „ძველის" შეთანხმება „ახალთან" შეუძლებელი იყო და ამიტომ მან ომი გამოუცხადა თავის ძველ მუზას.

ამიტომ იყო დავამტვრიე ნაზი ჩანგური,
ჩემ წინ სანთურზე ჩამოვახრჩე ჭრელკაბა მუზა.

ს. შანშიაშვილმა ეს გაბედულად და ამაყურად სთქვა და ამაშია მისი დამსახურება სიციალისტურ მწერლობის წინაშე.

ს. შანშიაშვილის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზები განსაკუთრებული სიძლიერით არის ასახული მის დრამატიულ შემოქმედებაშიაც. ს. შანშიაშვილი ხუთმეტიოდე ორიგინალური და გადმოკეთებული დრამის ავტორია. ყველა ეს დრამა ერთნაირი ხარისხისა და ღირებულების არ არის. არც საჭირო ტეხნიკითა და სასცენო მიზანდასახულებით არის დაწერილი. მაგრამ იგი ნიჭიერი და ცნობილი მწერლის კალამს ეკუთვნის და ამიტომ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

მე ვფიქრობ, რომ ს. შანშიაშვილის მთელი დრამატიული შემოქმედება თავისი შინაარსისა და თემატიკის მიხედვით სამ მთავარ წყებად განიყოფება:

პ ი რ ვ ე ლ წ ყ ე ბ ა ს შეადგენენ ის დრამები, რომელშიაც ავტორი ეხება განყენებულ მეტაფიზიკურ პრობლემას,—„ყოფნის" სიკვდილ-სიცოცხლის, „მიწისა" და „ცის" პრობლემებს, და რომელშიაც ავტორის გამოსავალი თვალსაზრისი მისტიურ-სიმბოლისტური შინაარსისაა. ასეთია დრამატიული პოემები „შ ვ ე ბ ი ს თ ა ვ ა დ ი" (1911) და „მ ე ფ ე მ გ ო ს ა ნ ი" (1912), ადამიანის ტრაღედია „ბ ე რ დ ო-ზ მ ა ნ ი ა" (1916) და „ლ ა ტ ა ვ რ ა" (1916 – 24). ამ დრამებში ავტორი ეხება ზოგადად „ადამიანის ტრაგედიას" მოქმედებანი სწარმოებს დროისა და სივრცის გარეშე. ერთ პიესაში ავტორი პირდაპირ სწერს: „ხ ა ნ ა მოქმედების განუსაზღვრელია". „პ ი ე ს ი ს კ ო ლ ო-

რიტიარ უნდა მოემწყვდიოს ეპოქის ჩარჩოებში და უნდა ჰქმნიდეს უფრო მომავლის ილიუზიას". („დრამები, გვ. 163, 1927 წ.). ავტორის შეგნებით, არსებობს, პრობლემები რომელიც დროისა და ეპოქის ჩარჩოებით არ განისაზღვრება, და რომელიც მარადიულად თან სდევს ადამიანის მოდგმას. პრობლემების მეტაფიზიკურად დაყენება იწვევს თვით დრამის თავისებურ კონსტრუქციას. ეს განსაკუთრებით გამოიხატება ტიპაჟში: ხორცსხმულ ადამიანებს ნაცვლად აქ მეტაფიზიკური ცნებები მეტყველებენ,—იმედი, თავისუფლება, სიყვარული, სიხარული, მშვენირება, ბედნიერება, სიმდიდრე, ხელოვნება, სიბრძნე—ყველა ესენი მზის ასულის და მშვენიერების დედოფლის ციაგის ამალა არის; უდრეკელი, გულმაგარა, მკლავძლიერი—შვების თავადის ამოს მეომარნი. (იხ. „შვების თავადი"). ამ მეტაფიზიკურ ტიპაჟთა შორის ხდება ბრძოლა და შეჯიბრი; იმედი უომედობას ებრძვის. წყვდიადი მზეს, სიმახინჯე მშვენიერებას და ასე. ადამიანი გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობისა და ეპოქის შვილი აქ არ სჩანს, ან ნაკლებად სჩანს; ავტორს აბსტრაქციის სიცივეში გაყინული ცნებები უფრო აინტერესებს, ვინემ სოციალური ადამიანი, გარკვეულ კლასისა და გარკვეული ეპოქის შვილი, მთელი თავისი უპირატესობით და დადებითი თვისებებით. პრობლემების ასეთს მეტაფიზიკურს სიბრტყეზე დაყენება ავტორისაგან მოითხოვდა ღრმა ფილოსოფიურ სიბრძნესა და შემოქმედებითი ენერგიის ძალებად დაჭიმვას; ასეთს შემთხვევაში დრამის არქიტექტონიკა, მისი ფორმა იმდენათ გამართული უნდა იყოს, რომ მან შესძლოს რთული პრობლემის შინაარსის ისე მხატვრულად გადმოცემა, რომ დრამის ბუნებრივი მიმდინარეობა არ დაზიანდეს და შინაარსის მეტაფიზიკურმა რეზონიორობამ არ იმსხვერპლოს მხატვრული შემოქმედების ემოციონალობა. ეს რთული და მეტისმეტად ძნელი საქმე არის. და არ არის გასაკვირი თუ შანშიაშვილმა ეს რთული პრობლემის დაძლევა და შესაფერისად მისი მხატვრული ასახვა ვერ შესძლო. ამ დრამებში ავტორის მეტაფიზიკურ-მისტიური რეზონიორობა სჭარბობს მხატვრულ პოტენციას, მიუხედავათ ზოგიერთი მონოლოგების შესაფერისი გაფორმებისა. ს. შანშიაშვილს აუცილებლად უნდა ჩაეწეროს ლიტერატურულ აქტივში, რომ მან გაბედულად მოჰკიდა ხელი ასეთს რთულს პრობლემებს და მოინდომა მხატვრულ ტილოზე გადატანა ყველაზე უფრო რთული და ძნელი მხატვრული ხერხებით. ასეთია ამ წყების დრამების საერთო დახასიათება.

„შვების თავადი" ავტორის მიერ დაწერილი 1909—11 წლებში, იგი დრამატიული პოემაა და არ არის სცენისათვის მოსახერხებელი. ამ დრამატიულ პოემას ამჩნევია თავისებური გავლენა ნიცშეანური

იდეებისა; ავტორს განსაკუთრებით იტაცებს ზეკაცის იდეა, რომელიც თავისებურ ასპექტში აქვს ასახული. პოეტის თემატიკა მშვენიერებისა და კეთილისა და ბოროტის ბრძოლის ფონზე. ერთი მხრით გამოყვანილია კეთილი მცნებები ადამიანების სახით ამო (შვების თავადი) და ციაგი (მზის ასული და დედოფალი მშვენიერებისა) თავიანთი ამალებით; მეორე მხრივ ბოროტი მცნებები: შავი დევი (მეფე წყვდიადისა), და ავყია (მახინჯი ძე ადამისა) და შავი დევის ნაზირ-ვეზირნი (ფათერაკი, ჭირი, სიმშილი, ხიფათი, სიკვდილი და სხ.). „მოქმედება სწარმოებს უხსოვარ დროს“—ამო—ზეკაცი იბრძვის „მზის სამეფოს“ დასამკვიდრებლად. იგი ხალხს აღუთქვამს: „წალკოტში დამკვიდრებას:“ (გვ. 28). მისი სურვილი განუსაზღვრელია. „უნდა სრულ-იქმნეს განიწმინდოს ადამიანი“ (გვ. 137), მაგრამ ადამიანის ეს გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ ახალი სამეფოს დამკვიდრებით, როდესაც „მზის წყაროში განიბანება მაყივნებელი სოფელი“ და მას მოსცილდება „შხამი კაცთმაკვდინებელი“.

მსურს გადაიქცეს სამშობლოდ
სამოთხე გაბრწყინვებული,
მუნ ნეტარებდეს ყოველი,
მზის სხივით მინაზებული.

(იხ. „შვების თავადი“ გვ. 51, 1911 წ.)

ამის სურვილი განუსაზღვრელი და უდრეკელია. მის ლტოლვას ვერ აჩერებს ვერავითარი ფათერაკი: იგი იბრძვის თავდადებით და დამარცხებულიც კი ქედს არ იხრის მტრის წინაშე.

მე ვარ ზეკაცი, ჩემში ღვივის მშვენიერება!
ჩემსა გარეშე არ არსებობს ბედნიერება!

(გვ. 137)

ამ ზეკაცს სურს მისწვდეს მიუწვდომელს, ცასა და ქვეყნის შორის გადვას ხიდი, გარდაქმნას ადამიანი, უკვდავყოს იგი. ამო, ეს სიმბოლოა ადამიანის დაუცხრომელი ლტოლვისა მარადისობისადმი, მშვენიერებისადმი, ზესთაბუნებრივობისადმი; „მისი სატრფო უკვდავება და სილამაზეა“; იგი ბრძოლაა ყოველგვარ წარმავალის, სიმახინჯისა და ბოროტების წინააღმდეგ. „შვების თავადში“ მხარდაჭერილობა, სიმშვენიერე და სრულყოფა ებრძვის წარმავალობას, სიმახინჯესა და სიკვდილს. უკანასკნელი იმარჯვებს, მაგრამ ამო მათ წინაშე ქედს არ იხრის, იგი ამაყად სდგას თავის გადაწყვეტილებაზე:

ვერვინ აღუდგეს ანთებულსა ჩემ სურვილ-ნებას...
იქით ვესწრაფვი, სად ღმერთების არის სამთავრო...
იქ ვერ ივარგებს თქვენებრ შეშლილი მონა-გრძნეული...
თქვენ ამ სამეფოს ვერ მისწვდებით, ვერც ეღირსებით.

(გვ. 137)

მაგრამ ზე-კაცის „ანთებულ ნება-სურვილს“ ობიექტიური გარემოება ამსხვრევს. ადამიანის უდრეკი სურვილი უძლურია ცვალებადობის კაცობრიობის გარშემო შემოკრულ „ჯადო-წრეში“. იგი იღუპება ამ ბრძოლაში. ეპილოგში ავტორი იმედის პირით ამბობს:

ასე ყოფილა, დღესაც ასეა
და შემდეგშიაც განმეორდება,
მუდამ ბრძოლასა და შავს სიკვდილში
სული ძლიერი შენაღონდება.
კაცობრიობა ჯადო-წრეშია,
მოსდევს თაობას ხალხთ ნათესავი;
ხან მეფობს შვება, აღორძინება
და ხან დამხობის შავი საფლავი!

(გვ. 157—8)

ასეთს მომავალ „ყოფაშია“ მომწყვდეული ადამიანი. ასეთს პირობებში „უიმედობა შთანთქავდა სოფელს“, რომ იმედი არ აღვიძებდეს მასში ცხოვრების სურვილს. იგი სულგრძელობასა და მოთმინებას უნერგავს სულში უარის მყოფელს, რომ კვლავ აღიძრასა და შეებრძოლოს ამაოების ბნელსა სამეფოს“ (158) და ადამიანიც „არ ნაღვლობს თავის უძლურებას, ოღონდ კი გულით ერთხელ აღენთოს“.

ამ „ანთებული გულის“ უდრეკი ლტოლვა და მისი ტრაღედია გადმოგვცა ს. შანშიაშვილმა „შვების თავადში“.

პროლოგში პოეტი „ახალ კერპს“ უმღერდა და იმედით ავსებდა მკითხველის გულს: „ლოცვას გასწავლით და ის ლოცვა გარდაქმნით ყველას“. სწამდა, რომ იგი „შეაერთებდა ორ სამეფოს“: ცასა და ხმელეთს „განსპეტაკებულ ადამიანს“ დააშორებდა უკუნეთ ბნელეთს და დაამკვიდრებდა „მზის სამეფოს“ აღტაცებისას. (გვ. 7). ეპილოგში პოეტი ამის საწინააღმდეგო დასკვნამდე მივიდა. „სოფელი“, „ქვეყანა“ ჯადო-წრეშია მოქცეული და მისი აქედან გამოყვანა შეუძლებელია. ეს წინააღმდეგობა და ტრაღედია მარტო ჩვენი პოეტის ტრაღედია არ იყო, იგი გამოხატავდა იმ სოციალური წრეების „მდგომარეობას და განწყობილებას, რომელნიც შავი რეაქციის ზეგავლენით „ჯადო-წრეში“ მოექცნენ და ამ წრიდან გამოსავალ საშუალებებს მისტიურ-სიმბოლისტურ თეორიებში ეძებდნენ.

საინტერესოა სანდრო შანშიაშვილის დრამატიული პოემა „მეფე მგოსანი“ თავისი თემატიკით. მეფე-მგოსანი ერის დიდებასა და სიამაყეს წარმოადგენს მის სამეფოში ბედნიერება, წალკოტია განმტკიცებული, ხალხი, მგოსნები და მხატვარნი მას აქებენ და ადიდებენ. მაგრამ მეფე მგოსნის გული დანისლული და მჭმუნვარებით

არის აღსილი, მას აკლია რაღაც; მიწიერი ცხოვრება მას ვერ აკმაყოფილებს: იგი არ მიაჩნია სრულ ყოფილად, იგი ილტვის მარადიულ სობისა და სრულყოფისაკენ. მას სურს „ცის ცხოვრება, სრულყოფილი შეუერთოს მიწის ღელვას". აქ ეძებს მეფე-მგოსანი მეორე „მეს" — რძალ-ზენარს, „ზექვეყნიურ და ღვთაებრივ მშვენიერებით" მოსილს, „ცხოვრების ვნებას დაშორებულს". მასში ხედავს მეფე-მგოსანი თავის „ყოფნას და სოფლად მოვლენილ უკვდავებას"

ჩვენ უიმისოდ არ გვეცოცხლება,
ის არის ერთი დიდი მიზანი:
მას თუ ვერ მისწვდეს—არც ეწოდება
ადამიანსა ადამიანი.

(იხ. კრებული—„გვირგვინი" „ვ. 207 1912 წ.)

მაგრამ რძალი ზენარი არა რეალური სინამდვილე, ხორცშესხმული ადამიანია, არამედ მეფე მგოსნის ოცნების ნაყოფი. „ოცნების თვალით დაინახა თვისის ოცნება",—„სულის ღრმა წიაღში, სად გრძნობა აზრს თავს დაჰყურებს.. იქ მოეჩვენა იგი სახით"... (გვ. 197). თვით რძალი ზენარი ეუბნება მეფე მგოსანს:

შენმა ოცნებამ სიზმრეთიდან გამომარკვია,
ჩემს სიმაღლემდის შენმა ლოცვამ აღმოაწია,
დილით ვისმენდი შენს ღაღადსა, ჰანგის ნელ ქუხილს,
ზეცის ეთერი მომითხრობდა შენს გულის წუხილს.

(გვ. 234).

ამრიგად ქალი ზენარი „სიზმარეთის" შვილია, „გულის წუხილის" ნაყოფია, ოცნებით შექმნილი აბსტრაქტიული ცნებაა, და არა რეალური ადამიანი. უფრო მეტი, მთელი პოეტის ფონი რეალურ სინამდვილეს მოწყვეტილია და იგი მგოსანი ს. შანშიაშვილის ოცნების ნაყოფია, მისი ნისლიანი ლტოლვის შედეგია. იგი მიისწრაფის „იქ, სადაც ყვავის ბაღი ნეტარებით კმასაყოფელი." მხოლოდ მას სწამს რომ „მუდმივ ლტოლვაში სულიერთობა, ჟამი კვლავ ჟამობს, სხვა კი ისპობა"(გვ. 193). მართალია, რეალური სინამდვილე მას მოუწოდებს „მიწისა შვილი, მიწითვე უნდა ტკბებოდეს და თვის სასურველს, სანეტაროს აქვე ჰპოებდეს" (გვ. 208). მაგრამ პოეტს ტლანქ სინამდვილეს ურჩევნია ტკბილი ოცნება, მატერიალურ ყოფას — მეტაფიზიკურ-მისტიური განცდა. პრობლემის ამგვარი სახის დაყენებით, ს. შანშიაშვილმა სიმბოლისტური დრამატურგიის თემატიკას მოჰკიდა ხელი და ამ დრამატურგიის თავისებური პრინციპები გამოიყენა. მ. მეტერლინგის თქმით სიმბოლისტურმა დრამატურგიამ უნდა უკუაგდოს „ჩემს გარეშე არსებული მსო-

ფლიო“ და თავის პრინციპად გაიხადოს „ჩემს შიგნით არსებული მსოფლიო“. უკეთ, მან უნდა გვერდი აუაროს რეალურ სინამდვილეს, რაც რეალიზმისა და ნატურალისტური დრამატურგიის თეატიკას წარმოადგენდა, და თვით შემოქმედების ფსიქოლოგიაში, მის განცდებში უნდა ეძიოს მასალა.

ამ სიმბოლისტური დრამატურგიის თეორიის საუკეთესო მაჩვენებელია „ბერდო-ზმანია“ (1916 წ.). ეს ტრაგედია ტექნიკურ-ფორმალურის მხრით ბევრად უფრო დამუშავებულია. მისი თემატიკა „ადამიანის ტრაგედიის“ ფონზედ იშლება; ადამიანის ყოფნის პრობლემა და განუსაზღვრელობისადმი ლტოლვა, იდუმალობის გამოცნობა რაღაც მიუწვდომელის წვდომა—აი რა აწვალებს ტრაგედიის მთავარ გმირს—ბერდო-ზმანიას. რეალურ ადამიანების ნაცვლად—ტრაგედიაში აბსტრაქტიული ცნებები მოქმედებენ: დე-დია—სულ იდედამიწისა ვაჟი;, ბერდო-ზმანია დედამიწის ვაჟი; ბედია—Von vatum; ცისია—ამოხ; ტურფა, ვნება, მზეონა—ცისიას სახეებია სინამდვილეში; იჭვი დაშური; სიკვდილი, ბუნების ძალნი და სხვ. ბერდო-ზმანია——ტრაგედიის ცენტრალური გმირი—განყენებული ადამიანის ცნებაა, რომელიც რეალურ სინამდვილეში ხან პირუელყოფილ ადამიანის, ხან გლეხი-ყმის, ხან მთავრისა და ხან მეფის სახით გვევლინება. მაგრამ მისი ბუნება, ლტოლვა, სწრაფვა და განცდა ყველა ამ ფორმაციაში ერთნაირია, მისი ტრაგედია არის საერთოდ ადამიანის ტრაგედია. და ეს ტრაგედია ერთნაირის სიძლიერით ვითარდება ისტორიული ცხოვრების ვრცელს მანძილზე. ტრაგედიის პირველი მოქმედება იხსნება „ზღუდით, რომელიც ჰყოფს მიწიერს და ზეციერს.“ ზღუდის ერთ მხარეზე არის ბერდო-ზმანია—მიწის შვილი ხორცსხმული ადამიანი. ხოლო მეორე მხარეზე—ბედია—„მისი მეორე სახის სულის“ მატარებელი; ერთი ხორციელია, მეორე—სულიერი. ბედო მოუსვენარი და აღშფოთებულია: „მას წასვლა სურს ამ სოფლის იქით, მისი გული, გრძნობა და ლაღი სული ვერ ისვენებს. დაეძებს რაღაც იდუმალს, რაღაც შორეულს, ნათესაურს და მიუწვდომელს“ (იხ. „დრამები“ გვ, 236). ამ მიწის მკერდზე მიჯაჭვულ ადამიანის გულში გაღვიძებულია დიდი მისწრაფება და სურვილი სრულყოფისაკენ; და ამ დიდ სურვილს აღვიძებს შორეული „ქალი ცისია“, ოცნება, „რომელს თან მოაქვს სულისათვის შვენიერება და გულისათვის სიტკბოება დაუშრეტილი“ (გვ. 237). ბერდო გაორებულია; „მისი ბუნება ორ ნაწილად გაყოფილია, ერთი აქ რჩება, ოცნება კი მას უკან მოსდევს“ (გვ. 233). მატერიალური გარემო მას მიწაზე აჯაჭვავს და ეუბნება: „მიწაა შენი ნიადაგი მაცხოვრებელი“ (243), ხოლო დიდი ოცნება, შო-

რეული თავისკენ იზიდავს და იტაცებს. ასეთს გაორებულ მდგომარეობაში არის ჩავარდნილი საერთოდ ადამიანი. ამ გაორების ფილოსოფიას ბედიას პირით შემდეგნაირად ასაბუთებს ჩვენი დრამატურგი;

რომ ბერდო დიადს ნაცნობს თვის ტომს მიესწრაფება,
ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან თვით მასში
ნაწილი არის ჩასახული იმ დიადისა,
რაიც მის ყოფნას ასულდგმულებს, ამშვენიერებს.

და თუ შენ (დედამიწა) მასში შენს სახეობას შენსკენ იზიდავ,
იგი დიადიც თავის ნაწილს თვისკენ იტაცებს
სწარმოებს ბრძოლა და ჩაღდება ამით ცხოვრება,
რომლის ფერხულსაც მე განვაგებ დასასრულამდე.

(243)

მაგრამ ადამიანის ბუნება სრულიად ვერ ეგუება ამ გარემოებას. იგი მთლიანობისა დი სრულყოფისაკენ მიილტვის, მას სურს შეაერთოს „ციური“ და „მიწიური“, ოცნება და სინამდვილე.

ბერდო. — არ მინდა იგი იყოს მარად მიუწვდომელი!—
მსურს ჩემთან იყოს, ჩემთან, ჩემს გვერდით ახლოს...
ბედია. შენ გინდა შენი მიწიერი ცას შეუერთო,
არც ერთი იყოს დანაკლისში და არც მეორე!
ბერდო. ჩემი ბუნების მეობა სწორედ რომ მაგას მოითხოვს:
ნამდვილად იყოს, რასაც მივსწვდი ჩემის ოცნებით,

(გვ. 241)

ს. შანშიაშვილის შეგნებით, „ოცნება“ ორგანიული ნაწილია ადამიანის „მე-სი;“ ადამიანის „მე“ ცდილობს ესხეულოს თავისი მეორე „მეს“ შორეულსა და მიუწვდომელს. ბედიასთან კამათში ბერდო ამბობს:

ნახევარი? რატომ სრული არ უნდა იყოს?
მთელი და სრული! უნდა იყოს! ახ! უნდა იყოს!
რაო! რას ამბობ? არ იქნება? ნურც მე ვიქნები!
ახ, მომეც, მომეც, უებარი საშუალება,
რომ სრულყოფილი მთლად მას ერთსა, მას შეუერთდე.

(გვ. 249)

ბერდომ უდიდეს ბედნიერებას მიაღწია ამ „ქვეყნად“: იგი უბრალო მიწა-გლეხიდან უძლეველი და ქედმაღალი მეფე გახდა; მაგრამ მისი ბედნიერება მხოლოდ გარეგნული და წარმავალი აღმოჩნდა. „მეფის დიდება მის სულს აღარ აკმაყოფილებდა“· — მიუწვდომელს მაინც ვერ მისწვდა, გამოუცნობი მაინც ვერ გამოიცნო, სრულყოფა მაინც ვერ მოიპოვა, უკვდავება ვერ დაიპყრო, „ღელვილი სული“ ვერ დააცხრო.

ეს ყველაფერი სიზმარივით წავა, გაჰქრება...
მსურს მომავალიც მეკუთნოდეს! მსურს უკვდავება!...
მაშ რა აზრი აქვს არსებობას, თუ ყველა ჰქრება?
ხან უნდა იყოს უკვდავება; მე დღეს ეგ მინდა.

(გვ, 279).

მაგრამ „უკვდავების“ განხორციელება შეუძლებელია, ბუნებაში ყოველივე ცვალებადია და სახეცვლელია; ადამიანიც ბუნების საერთო კანონს ემორჩილება; მისი არსებობაც დროული და წარმავალია; ბერდო ამას გრძნობს, იგი ამაში უკვე დარწმუნდა, იგი ნათლად ხედავს, რომ მარადისობასა და უკვდავებას ვერ მიაღწია.

რა ვიყავ? ვინ ვარ? რა ვიქნები—მცირე რამ ნივთი,
გარემოების სათამაშო—სხვა არაფერი

(გვ. 279)

დიახ! ადამიანი „მცირე რამ ნივთია“, „გარემოების სათამაშო“ ე. ი. ბუნების ნაწილი: ეს „ნივთი“ აზროვნებს, მოქმედებს, მიილტვის, მაგრამ თავის „ბედს“ ვერ გასცილდება. საინტერესოა მეფე ბერდოს მონოლოგი:

დიდებულ ზრახვას დაუცხრომლად ვესწრაფვოდი,
დროთა ტალღაში მივსცურავდი ღ ე ლ ვ ი ლ ი ს ს უ ლ ი თ,
ვსძლევდი ყოველგვარ დაბრკოლებას ჩემს ცხოვრებაში,
ბედკრულს მეგონა, მივაღწევდი იმ სამფლობელოს,
სად ვიზიდავდი ჩემს სურვილსა დაგვირგვინებულს—
მაგრამ რა შემრჩა!—მ ო ქ ა ნ ც უ ლ ი გ უ ლ ი, გ ო ნ ე ბ ა,
და მწუხარებით დაფლეთილი სულის ოცნება

(გვ. 280)

აქ გამოთქმული აზრები ს. შანშიაშვილის ლირიკულ ლექსებშიაც არის გატარებული. ლექსებშიაც ავტორი დაინტერესებული იყო „ღელვილი სულის“ ლტოლვით. იქაც გადმოგვცემდა „მ წ უ ხ ა რ ე ბ ი თ დ ა ფ ლ ე თ ი ლ ი ს უ ლ ი ს“ ტრაგედიას. ბერდო-ზმანია და ბედია ავტორის განცდებსა და მისი „მოქანცული გულის“ ტკივილებს გადმოგვცემენ. ტყუილად კი არ ამბობს თვით დრამატურგი „ბერდო-ზმანია“-ში: „შ ე ქ მ ნ ი ლ ი ა უ ც ხ ო ფ ა ნ ტ ა ზ ი ა ს ა ნ დ რ ო შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი ს გ ა ნ, მ ხ ო ლ ო დ უ მ წ ე ო გ ო ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს გ ა უ გ ე ბ ა რ ი“. (გვ. 261) ბერდო-ზმანიასა და ბედიას პირით დრამატურგმა თავისი „სულის ისტორია და ტრაგედია“ გადმოგვცა. დრამატურგიის დასკვნა ამ ტრაგედიაშიაც იგივეა, რაც „შვების თავადში:“ ღელვილი სულის ლტოლვა ლტოლვადვე რჩება, ადამიანის ცხოვრება „ჯადო წრეშია“ მოქცეული და თავისი წესით მიემართება. ბერდო-ზმანია „ამაღლებული დიდის სულით და დიდის გრძნობით“, „შავს მიწას უდროო დროს მოუთხოვნია და ნასახიც კი მის ყოფნისაგან არ დარჩენილა“. მაგრამ ს. შანშიაშვილს, როგორც სიმბოლისტს, ეს ტრაგიკული დასკვნა კი არ აინტერესებდა, არამედ—„ღელვილი სულის“ ისტორია, მისი ბრძოლები, ლტოლვა და თავგადასავალი. მას თვით პროცესი აინტერესებს, ვინემ ამ პრო-

ცესის დასასრული. ისე როგორც ჰერნიხ იბსენისათვის უფრო საინტერესოა სოლნესის კოშკზე ასვლა ღმერთთან სასაუბროდ, ვინემ თვით საუბარი, ან ბრანდის მიერ ხალხის წაყვანა მთის ნაპრალებისა და ყინულეთისაკენ, ვინემ მისი შედეგები, ისე ს. შანშიაშვილს აინტერესებს ძირეულად და არსებითად ამოს სულიერი განცდა მისი ლტოლვა „მზის სამეფოსაკენ"—ციაგისაკენ, ბერდოზმანიას შინაგანი ცხოვრება, მისი განცდა და ლტოლვა უკვდავებისა და სრულყოფისაკენ. ამ შემთხვევაში ს. შანშიაშვილი სიმბოლისტური დრამატურგიის მიმდევარი იყო. ამ სკოლამ შეჰქმნა თავისებური დრამატურგიის პრინციპები და თავისებური დრამატიული თემატიკა. ანდრეი ბელი ამბობდა: „Символизм—это метод выражения переживаний в образах... Символизм, как литературная школа.. более или менее базирован данными психологии и теории познания" (А. Белый, „Театр и современная драма" „კრებულში" გვ. 276, 1908). მაგრამ სიმბოლიზმის მიერ ასახული „განცდანი" და „ფსიქოლოგია" იდეალისტურ-მისტიური ხასიათისაა, მისი შემეცნების თეორია იდეალისტურია, ამიტომ მას აქვს შესაძლებლობა უკუაგდოს ობიექტიური სინამდვილე და ნაწარმოების თემატიკა თვითმოქმედების „შინაგანი ცხოვრებით" განსაზღვრავს. სიმბოლიზმისათვის შემოქმედებითი სინამდვილე უფრო ძვირფასი და მისაღებია, ვინემ რეალური სინამდვილე. სიმბოლისტებისათვის შემოქმედებითი პროცესი ცხოვრების შექმნის პროცესი არის. შემოქმედება იგივე ცხოვრებაა ახალ ასპექტში ასახული. ა. ბელის განმარტებით, სიმბოლიზმის რევოლუციონური ძალა იმაში გამოიხატება, რომ მან აღიარა შემოქმედება, როგორც ცხოვრების შემოქმედებითი ერთადერთი საწყისი. აქედან წარმოსდგა ისიც, რომ სიმბოლიზმის თეორია ძირეულად ფსიქოლოგიური და გაჟღენთილია მისტიციზმის ფილოსოფიით. მისი ხელოვნების თეორიას ესთეტიურობამდე და რელიგიურ მისტიციზმამდე მივყავართ: ხელოვნება რელიგიის ფუნქციას ასრულებს სიმბოლიზმის შეხედულებით.

ს. შანშიაშვილმა უკრიტიკოდ მიიღო სიმბოლიზმის თეორია მთელი თავისი დასკვნებით, თავისი ესთეტიზმით, ინდივიდუალიზმითა და მისტიურ-რელიგიური შეხედულებებით, ეს შეხედულება და თეორია სავსებით შეესაბამებოდა რეაქციით დამონებულ წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის ნაწილის ფსიქო-იდეოლოგიურ განწყობილებას. მას არ აღმოუჩენია ახალი თეორია და არ უჩუქებია ქართველ საზოგადოებისათვის ახალი იდეოლოგია და ახალი იდეები. მან ეს იდეები და თეორია გადმოიღო ევროპისა და რუსეთის სიმბოლისტების ოჯახიდან და ამით შეიტანა ახალი ქართულს ლიტე-

რატურაში. აღსანიშნავია ის სიახლე, რომელიც მან შეიტანა ქართულ დრამატურგიაში სიმბოლისტური თეორიის გამოყენებით. წანამდე ქართულ დრამატურგიულ ლიტერატურაში გამეფებული იყო რეალიზმისა და ნატურალიზმის პრინციპები. რეაქციის პერიოდში ქართული დრამატურგიის თემატიკა საყოფაცხოვრებო და სოციალური ბრძოლის მასალით განისაზღვრებოდა (აზიანი, პ. ირეთელი, შალ. დადიანი, ი. გედევანიშვილი). უკვე ისახებოდა ფსიქოლოგიური მიმდინარეობა დრამატურგიაში მაგრამ მათი სიუჟეტის და ფორმის დამუშავება ხდებოდა ნატურალურ-რეალისტური თეორიების საფუძვლებზე. ს. შანშიაშვილი პირველი იყო, რომელმაც ქართულ დრამატურგიაში ეს ფსიქოლოგიზმი განავითარა ფილოსოფიურ მისტიციზმამდე და მთელ რიგ დრამების დამუშავების დროს („შვების თავადი", „მეფე მგოსანი", „ბერდო-ზმანია", „ლატავრა") სიმბოლისტური დრამატურგიის პრინციპები გამოიყენა. ძველი ქართულ დრამის სოციალ-პოლიტიკურმა თემატიკამ ს. შანშიაშვილის დრამატიულ შემოქმედებაში ადგილი დაუთმო ფსიქოლოგიურ თემატიკას, მისტიურ-მეტაფიზიკურად გაგებულმა თვითშემოქმედების განცდამ, მისმა სულიერმა ცხოვრებამ (მისი გაგებით სოციალური გარემო უბრალო მასალაა, რომლის ფონზედაც იშლება გმირის ფსიქოლოგიური განცდანი). მის ზოგიერთ დრამებში ასახული დრამატიული კონფლიქტები გარემო-სოციალური ცხოვრების კონფლიქტების გამოვლინებას კი არ წარმოადგენს, არამედ თვით გმირის შინაგანი სულიერი ბრძოლის რეზულტატს.

ასეთი გაგება დრამატიული კოხფლიქტებისა, არსებითად გამომდინარეობდა მეტერლინკისა და იბსენის სიმბოლისტურ შეხედულებათა ფსიქოლოგიურ კონფლიქტების თეორიიდან. იბსენის თქმით მთელი ნაწარმოები უნდა წარმოადგენდეს გრანდიოზულ მონოლოგს, რადგან მთავარი მომქმედი პირი გამოსახული უნდა იყოს როგორც რაღაც დამოუკიდებელი ერთეული. (იხ. М. Яковлев, „Теория драмы"—გვ. 145, 1927). ამ თეორიას არ ღალატობს შანშიაშვილი, თუმცა მთელი ასი პროცენტით არ იცავს.

ახალი დრამის ფორმის პრობლემების თეორიული დამუშავება ნაკლებად იტაცებდა ს. შანშიაშვილს; ს. შანშიაშვილს უმთავრესად აინტერესებდა სიმბოლისტური დრამატურგიის თემატიკა და მისი შემოქმედებაც ამ მხრისკენ იყო გამახვილებული, მაგრამ ახალი დრამის პრობლემა მაინც ისახებოდა ფაბულურ მასალის ახალ, თვისებურ გაგებაში.

საინტერესო საკითხს წარმოადგენს, თუ როგორი როლი ითამაშა ს. შანშიაშვილის სიმბოლისტურმა დრამამ თეატრის განვითარების

საქმეში. რამდენადაც ვიცით, მენშევიკების პერიოდში დადგმული იყო „ბერდო-ზმანია“. ჩემს მეხსიერებაში ამ დადგმის შესახებ მხოლოდ სილუეტებია დარჩენილი და ამიტომ გადაჭრით თქმა არაფერს შემიძლია. მაგრამ ერთი რამ დაახლოებით მაინც შეიძლება ითქვას. ს. შანშიაშვილის სიმბოლისტური დრამატურგია არ შეიძლება გადაქცეულიყო ქართული თეატრის ნოვატორად, მისი ფორმალური გარეგანი მხარეების გამო. მართალია მას შეეძლო შეეტანა ახალი ნაკადი ქართულ თეატრალურ კულტურაში, მაგრამ იგი თეატრის კულტურის რეორგანიზატორი ვერ გახდებოდა. საერთოდ სიმბოლისტური დრამა ნაკლებად ეგუება სცენიურ გაფორმებას, სცენა მოქმედებას მოითხოვს; სიმბოლისტური დრამა კი განცდებს იძლევა, ამიტომ მართალს სწერდა ა. ბელი: „Символическая драма не драма, а проповедь великой, всерастущей драмы человечества. И лучшие образы символической драмы надо читать и не смотреть на сцене Театр не есть место символической драмы“ (იქვე 284).

ცხადია, სიმბოლისტური დრამის გამეფება ქართულ სცენაზე ნიშნავდა ქართული თეატრის კრიზისს. ქართულმა თეატრმა ეს კრიზისი გადაიტანა და გაბედულად დაადგა რევოლუციონური დრამატურგიის გზას.

ს. შანშიაშვილმაც მოიხადა ეს მისი ლიტერატურული მოღვაწეობის პირველი პერიოდის ყმაწვილური სენი: სიმბოლისტური დრამატურგია, მისი თემატიკა, ფორმა და სიუჟეტი განვლილ პერიოდად უნდა ჩაითვალოს მის შემოქმედებით ისტორიაში. ამ თავის პირველი გატაცებით დრამატურგმა გარკვეული ეპოქისა და გარკვეული სოციალური ფენების იდეოლოგია და სულისკვეთება გამოსახა.

სიმბოლისტური დრამების გარდა იმ პერიოდში ს. შანშიაშვილი ისტორიულ დრამებსაც სწერდა: ასეთს ეკუთვნის „უგვირგვინო მეფენი“ (1912 წ.), „როდამი“ (1917—18) და „სპარტაკი“ (1922). რასაკვირველია, სიმბოლისტური თეორიის მიხედვით ისტორიული დრამაც შეიძლება დაიწეროს. თუ ჩვენ ამ ისტორიულ დრამებს ცალკე რკალში ვათავსებთ, ეს აიხსნება მით, რომ ისინი დაწერილია არასიმბოლისტური დრამატურგიის თვალსაზრისით. აქ სხვა თვალსაზრისი მოიმარჯვა ავტორმა, ის თვალსაზრისი, რომელიც ისტორიულ რეალიზმის თეორიას უახლოვდება. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ სიმბოლისტურ დრამატურგიაში თუ იგი განიცდიდა დასავლეთისა და რუსეთის სიმბოლისტების გავლენას, ისტორიულ დრამებში („როდამი“, „უგვირგვინო მეფენი“) იგი უმთავრესად ქართული ლიტერატურის (ილ. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი,

ან. ფურცელაძე) გავლენას განიცდის. ეს გავლენა უმთავრესად გამოიხატა თემატიკის თავისებურ გაშლაში: საქართველოს წარსულის თავისებურ იდეალიზაციასა და პატრიოტული რომანტიკის გაღრმავებაში.

„უგვირგვინო მეფენი“ ტრილოგიის სახით იყო განსაზღვრული, დრამატურგმა მხოლოდ პირველი ნაწილის დამუშავება მოახერხა. უნდა ითქვას, რომ ეს ისტორიული დრამა მოფიქრებულად და სცენიურ-ტექნიკის საკმაო ცოდნით არის დაწერილი. ტიპაჟი მკვეთრად გამოქანდაკებულია. მოქმედება ბუნებრივად მიმდინარეობს, დრამატიული კონფლიქტები ხერხიან მასალებზე არის აგებული და საგრძნობი ეფექტის მომცემია. ამ დრამას შეეძლო საპატიო ადგილი დაეჭირა ჩვენი თეატრის რეპერტუარში, რომ მას თან არ ახლდეს საგრძნობი ხასიათის უარყოფითი მხარეები.

გიორგი სააკაძის თავგადასავალი XVII საუკუნის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებით დიდი ხნიდან იპყრობდა არა მარტო ქართველი ისტორიკოსების ყურადღებას, არამედ ლიტერატორებისაც (ი. ტფილელი, ან. ფურცელაძე).

ანტონ ფურცელაძემ გ. სააკაძის ცხოვრებას ვრცელ ისტორიულ გამოკვლევასთან ერთად დრამაც უძღვნა („დიდი მოურავი“ 1869 წ.). დიდი მოურავი ამ შრომასა და დრამაში ასახულია პატრიოტული თვალსაზრისით. უკეთ რომ ვსთქვათ იგი მოწყვეტილია თავის ისტორიულ-კლასობრივ საფუძველს და გამოხატავს საქართველოს გაერთიანებისა და განთავისუფლებისათვის მებრძოლ გმირს. ს. შანშიაშვილი მოყვა ამ პატრიოტული ლიტერატურის გავლენის ქვეშ და თავის „უგვირგვინო მეფეში“ გიორგი სააკაძე აამეტყველა XX საუკუნის პატრიოტების ენით. ეს უკვე დარღვევაა ისტორიული სინამდვილის და პატრიოტული რომანტიზმის შეტანა ისტორიულ დრამაში. მარქსისტულ-ლენინური თეორიის თვალსაზრისით მხატვრულ შემოქმედებაში ისტორიული წარსულის „ტიპიური პირობები“ მეტად უნდა იყოს დაცული: მწერალს უნდა ესმოდეს ეპოქის შინაარსი და მისი სოციოლოგიური რაობა, მას შესწავლილი უნდა ჰქონდეს ამ ეპოქის საზოგადოებრივ-ეკონომიური სტრუქტურა და ამ საფუძველზე აღმოცენებული კლასთა ბრძოლის შინაარსი ამ ისტორიულ-სოციოლოგიურ ფონზედ უნდა იყოს აღმოცენებული ტიპაჟი: იგი უნდა გამოსახავდეს მაშინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობას. „ტიპიური გარემო“ თავის შესაფერისს ტიპაჟს უნდა იძლეოდეს. რასაკვირველია, მხატვრული შემოქმედება ისტორია არ არის; მხატვრული დოკუმენტი არ შეიძლება მსხვერპლად შეეწიროს ისტორიულ დოკუმენტალობას. მაგრამ ისიც შეუძლებელია, რომ XVII

საუკუნეში XX საუკუნის ინტელიგენტის ენით ავამეტყველოთ ისტორიული პირები.

ეს ძირითადი მოთხოვნილება ისტორიული დრამისა ს. შანშიაშვილს იმ პერიოდში არ ჰქონდა შესწავლილი. შეცდომა იქნება თქმა, რომ ს. შანშიაშვილი ბრმად ემორჩილება ა. წერეთელსა და ილ. ჭავჭავაძის გავლენას საქართველოს ისტორიული წარსულის გაგებაში. ესენი ვერავითარ წინააღმდეგობას და ბრძოლებს ვერ ხედავდენ წარსულში. მათი თეორიით ძველ საქართველოში „თხა და მგელი ერთად სძოვდა“ ს. შანშიაშვილს ფართოდ გადააქვს მხატვრული ფონზე ფეოდალური არისტოკრატიის აღვირახსნილობა და მათი ბრძოლები წოდებრივი თვალსაზრისით („უგვირგვინო მეფენი“). „როდამში“ მოგვცა „გარყვნილი და ზნედაცემული“ მეფის სურათი და ასეთივე სახე შახნაზარ-მოლარისა. შადიმან ბარათაშვილის ტიპი იშვიათის მოხერხებით არის დახატული და იგი ნამდვილი ისტორიული ტიპია ქართველ გაიძვერა ფეოდალისა. ავტორს აუცილებლად ეტყობა შექსპირის იაგოს გავლენა („ოტელო“). შადიმანის ტიპის დახატვის დროს, მაგრამ ეს ტიპი იმდენად მოხდენილად არის გაშლილი საქართველოს ისტორიულ მასალაზე, რომ ნათლად ამჟღავნებს ჩვენი დრამატურგის ორიგინალურ ნიჭსა და შემოქმედებით ძალას.

მაგრამ, რაც მთავარია ავტორმა ვერ დაინახა ფეოდალები და მეფე საკაძის ბრძოლების გვერდით ის ღრმა სოციალური ბრძოლა, რომელიც გაბატონებულ წოდებასა და დამონებულთა შორის სწარმოებდა. დამონებულნი და მათი ცხოვრება დრამაში არ სჩანს. ეს არის ამ ისტორიულ დრამის ერთი მთავარი ნაკლი. მეორე მთავარი ნაკლი, იმაში გამოიხატება რომ ერთობ განდიდებული და გაიდიალებულია გიორგი საკაძის პიროვნება. ავტორი ვერ ხედავს, რომ გიორგი საკაძის, მეფესთან ერთად ბრძოლა ფეოდალების წინააღმდეგ აღმოცენებული იყო წვრილი აზნაურის წოდებრივ ინტერესებიდან: ფეოდალების ალაგმვით იგი ანთავისუფლებდა თავის სოციალურ ფენას ფეოდალის ბატონობისაგან. დრამატურგმა გადაჭარბებული და არა ისტორიული სახე მისცა საკაძესა და მის სამოღვაწეო პროგრამას. იგი არა მარტო საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი დიდი პოლიტიკური მოღვაწეა, არამედ ერთა სოლიდარობის მქადაგებელი, მშრომელი ხალხის მოსარჩლე („მშრომელ ხალხს უნდა ცხოვრებასა უყვავილებდე, ძალა ხალხშია“) და საქართველოს აღებ-მიცემობის განვითარების მოსურნე. ასე ამეტყველდა XVII საუკუნის წვრილი მემამულე XX-ე საუკუნის ბურჟუაზიული ინტელიგენტის ენით.

„სპარტაკ“ თავისებურ ეტაპს წარმოადგენს ჩვენი დრამატურგიის შემოქმედების განვითარებაში, აქ პატრიოტულმა ისტორიულმა რომანტიკამ ადგილი დაუთმო წარსულის რევოლუციონურ რომანტიკას. გლადიატორთა 73—71 (ჩვენს ერამდე) წლების გრანდიოზული ბრძოლები სპარტაკის მეთაურობით და გაბატონებული რომის მაშინდელი ცხოვრება ძვირფასს მასალას იძლევა ყოველგვარი მხატვრული შემოქმედებისათვის. ს. შანშიაშვილმა ჩვენს ლიტერატურაში პირველმა მოჰკიდა ხელი სოციალური ბრძოლის ამ მეტად მნიშვნელოვან ისტორიულ პერიოდს და საინტერესოდაც დაამუშავა იგი.

ისტორიული დრამა „სპარტაკი“—ს. შანშიაშვილის დრამატიულ შემოქმედებაში თავისებური გარდამავალი ხიდი იყო სიმბოლისტურ მისტიურ და პატრიოტულ რომანტიზმის თემატიკიდან სოციალურს თემატიკისაკენ: ავტორი ნელის, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით გადავიდა საბჭოთა დრამატურგიაზე. ამით დაიწყო ახალი პერიოდი მის შემოქმედებაში.

თანამედროვე რევოლუციონურ მოძრაობასა და სოციალისტურ მშენებლობას ს. შანშიაშვილმა რამოდენიმე დრამატიული ნაწარმოები უძღვნა. ამ ნაწერებიდან ზოგი გადმოკეთებულია, ზოგი კი ორიგინალურია. უნდა აღინიშნოს, რომ ს. შანშიაშვილისათვის პირველ ხანებში ძნელი იყო საბჭოთა თემატიკაზე გადასვლა და ახალი მეთოდის შეთვისება. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან მწერალი აღზრდილი სხვა იდეოლოგიაზე და გაჟღენთილი სულ სხვა საწინააღმდეგო თემატიკით, ერთი ხელის მოქნევით ვერ მოახერხებდა ძველთან კავშირის გაწყვეტასა და ახალის სავსებით ათვისებას. მას ამისათვის დრო ესაჭიროებოდა.

* *

საბჭოთა მწერალი ეწოდება მას, ვინც შესძლო გაეწყვიტა კავშირი ძველ იდეოლოგიასა და სოფლმხედველობასთან, ვინც შეითვისა სოციალისტური მეთოდი და ვინც პრაქტიკულად ჩაება სოციალისტურ-კულტურულ მშენებლობაში. ს. შანშიაშვილის სასარგებლოთ შეიძლება ითქვას, რომ იგი პირველი დრამატურგი იყო ჩვენში, რომელმაც გაბედულად გასწყვიტა კავშირი ძველ იდეოლოგიასთან. შეითვისა სოციალისტური მეთოდი და ფართოდ შეუდგა თანამედროვე სოციალისტური სინამდვილისა და რევოლუციონური თემატიკის დამუშავებას. მისი „ჰერეთის გმირები“ (1925) მოკლებული იყო ისტორიულ კონკრეტულობას. უფრო ადრე: „ლატავრაში“ ავტორს ნაციონალისტურმა ტენდენციებმა სძლია, მაგრამ შემდეგი ნაბიჯები ს. შანშიაშვილისა დრამატურგიის ფრონტზე გაბედული და მტკიცეა. „პრეზიდენტი პაპიელი“ (იხ. ქარ-

თული მწერლობა. 1923 წ). და „ამბოკარი“ გვისახავს მენშევიკურ საქართველოს სინამდვილეს: მის დაცემას, დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის განმტკიცების პროცესს საქართველოში და იმ გრანდიოზულ სოციალურ მოძრაობას, რომელსაც კომპარტიის ხელმძღვანელობით აწარმოებდენ მუშები და გლეხები მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ. „სამნის“ სიუჟეტი გაშლილია ა-კავკასიის ურთიერთ შორის ფონზე: ერთი მხრივ ნაციონალისტური ბრძოლა გაბატონებულ კლასებისა და მათი მთავრობების, მეორე მხრივ სოლიდარობის იდეა მშრომელ ფენებს შორის; „სამნი“ გვიშლის ძველი მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელთა წყობილების დაცემის პროცესს და საბჭოთა სოციალისტური მშენებლობის საფუძველზე ა.-კავკასიის ერთა სოლიდარობის განმტკიცებას. „ანზორის“ სიუჟეტი იშლება „მთის“ რევოლუციონური მოძრაობის ფონზე: ამ დრამის ერთი დიდი დადებითი მხარე იმაში გამოიხატება, რომ ავტორმა მოხდენილად გაშალა რევოლუციონური მოძრაობის განვითარება ცარიზმით დაბეჩავებულ, ჩამორჩენილ კოლონიალურ ერების სინამდვილეში. „ანზორში“ მოცემული გლეხთა ბრძოლები და მათი კავშირი პროლეტარიატთან ბუნებრივად ვითარდება დრამაში და სისწორით ასახავს რეალურ-ისტორიულ სინამდვილეს. ეს დრამა და მისი დადგმაც საბჭოთა დრამატურგიისა და თეატრის ერთ ერთ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. „ყამირი“ (იხ. „ქართული მწერლობა“ № 1—2, 3—4, 1930 წ.) თანამედროვე (1928-30 წ. საკოლმეურნეო მოძრაობით გამწვავებულ კლასთა ბრძოლას ეხება.

ასეთია ის გზები, რომელიც განვლო ს. შანშიაშვილის დრამატურგიულმა შემოქმედებამ. მის შემოქმედებაში არსებითი გარდატეხა მოხდა: სიმბოლიზმა დაუთმო ადგილი სოციალისტურ რეალიზმს, მეტაფიზიკურმა პრობლემებმა და ინდივიადუალიზმისა და ესთეტიზმის კულტმა—თანამედროვე სოციალისტურ თემატიკას. ს. შანშიაშვილი კვალდაკვალ მიყვება ეპოქის მოთხოვნილებას: ახალი იდეები განსაკუთრებულ გავლენას ახდენენ მასზე. იყო დრო, როდესაც ჩვენს ინტელიგენციას იტაცებდა სიმბოლიზმი, მეტაფიზიკური პრობლემები, ინდივიდუალიზმისა და ესთეტიზმის კულტი, რომანტიული პატრიოტიკა. ს. შანშიაშვილმა გაბედულად ასახა თავისი სოციალური წრის ეს განწყობილება თავის დრამატურგიაში, ეპოქა შეიცვალა და რევოლუციონურმა სინამდვილემ ახალი ამოცანები წამოუყენა მწერალს გადასაწყვეტათ: ს. შანშიაშვილმა შესძლო სოციალისტური სინამდვილის საფუძვლებზე დადგომა და ახალ ეპოქასთან შეხორცება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენას ჭიპი ქართულ მწერლობაში

არსენა ოძელაშვილი ისტორიული პიროვნებაა. ჩვენმა ისტორიულმა წარსულმა მრავალი გმირის სახელები დაგვიტოვა; მრავალი იქნა შემკობილი და ცამდე აყვანილი, როგორც ისტორიულ დოკუმენტებში, ისე ლექსებში, მაგრამ ამ გმირებისაგან არსენა როგორც ისტორიული ტიპი, არსებითად განსხვავდება, თავისი სოციალური შთამომავლობით და „საგმირო საქმეების" შინაარსით. პირველ შემთხვევაში გაბატონებულ ფეოდალურ არისტოკრატიის შთამომავალნი ხდებოდენ გმირებად და პოეზიის ქების საგნად, მათი საგმირო საქმეები გამოიხატებოდა უმთავრესად ან მოზღვავებულ მტერთან რაინდულ ბრძოლაში, ან თავის ფეოდალური საბუდარის გმირულად დაცვასა და სხვა ფეოდალთან თავდადებულ ბრძოლაში. არსენას ისტორიული რაობა ამის საწინააღმდეგო მოვლენას წარმოადგენს; შთამომავლობით იგი ყმა გლეხის შვილია, ხოლო მისი საგმირო საქმენი სოციალური ბრძოლის, წოდებათა შორის წინააღმდეგობის ფონზე იშლება. არსენა ბატონყმობის მებრძოლი გმირია, ხალხის თავისუფლებისათვის თავდადებული, მისი ინტერესების დამცველი. ფეოდალურ-სამხედრო ფონზე არის ასახული. მეორე სოციალური ბრძოლის კლასიური წინააღმდეგობის ეპოპეიას გვიშლის, პირველში ბატონი ფეოდალია გმირი, მეორეში—ყმა გლეხი. ეს ორი თავისი ეპოქის საზოგადოებრივ ურთიერთობას გამოსახავს, თავისებურ კლასიურ წოდებრივ ასპექტში ასახულს.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ არც ერთი ხალხური გმირის სახელი ჩვენში ისე გავრცელებული და ხალხის მიერ შეყვარებული არ არის, როგორც არსენას სახელი არსენა ხალხის ნამდვილი საყვარელი გმირია. რატომ?—იმიტომ, რომ ხალხი მასში ხედავდა მისი ინტერესებისათვის მებრძოლ ძალას, ხალხის განთავისუფლებისათვის თავდადებულ გმირს, ამიტომ შემოსა ხალხმა იგი შარავანდედით და გახადა თავის გმირად. ხალხურმა მესტვირემ მარმარილოსაგან გამოკვეთილ ლექსთა შტრიხებში მძივებად ასახა არსენას თავგადასავალი.

1872 წ. ერთი ჩვენი პუბლიცისტი, პეტრე უმიკაშვილი, რომელმაც ახლად გამოცემულ „არსენას ლექსს" ვრცელი განხილვა უძღვნა

სწერდა: „მთელს საქართველოში არსენას ლექსი (ლაპარაკია ვარიანტებზე და სხვა) ასე გავრცელებულია და ყველგან მღერიან, რა სოფელი იყოს, რომ არსენას ლექსი არ იცოდნენ? მეფე ერეკლეზედაც არის გამოთქმული ლექსები, მაგრამ უფრო ქართლ-კახეთში და მთიულეთში. ეს არსენას ლექსი კი მთელ საქართველოში, შავი ზღვიდან მოყოლებული, ყველგან... მოდებულია... არსენას ლექსსა მღერის მთელი საქართველოს ერი. სჩანს ამ ლექსში არის ისეთი, რამ ხალხის გონებას და გულს ეუბნება გასაგონს საგანსა, სჩანს ერთი შეგონება და შემეცნება ჰპოულობს არსენაში თავის მოძმე აზრს, სჩანს ჩვენი ერის ცხოვრებაში ხეს მოუსხამს ისეთი ნაყოფი, რომელიც ამ ლექსში გამოხატავს ხალხსა.“ [1]

საინტერესო ისტორიული ფაქტია, — მკლავ-მაგარსა და პოლიტიკურად შორს მჭვრეტელ სახელოვან მეფე ერეკლეს ამაყი მეტოქე გამოუჩნდა ყმა-გლეხისა და ტყვედ გაჭრილ არსენა ოძელაშვილის სახით, უფრო მეტი—ქედფიცხელი მეფე ხალხის შეგნებაში ყაჩაღმა არსენამ დაამარცხა. მეორე ჩვენი ცნობილი პუბლიცისტი სერგეი მესხი სწერდა იმავე 1872 წელს: „ყველა შენატრის მის (არსენას) ბედს, ყველა ლოცულობს მის მარჯვენას, ყველას უკვირს მისი მოქმედება და ყველა, განსაკუთრებით ღარიბებში, თანაუგრძნობენ იმას; ერთი სიტყვით არსენა ჩვენი სახალხო გმირია.[2]

არსენას სახელის ასეთი გადიდება და გავრცელება ხალხის კლასიური შეგნების განვითარებით უნდა აიხსნას ბატონყმურ უღლით შებორკილმა მასამ, პირველ ხანებში ინსტიქტიურად შეიგრძნო თავისი წოდების ინტერესები და ამ ინტერესებისათვის მებრძოლი გმირი თავის სათაყვანებელ გმირად გახადა, მაგრამ რამდენადაც ხალხის შემეცნება თანდათან იღვიძებდა და წინ მიდიოდა, იმდენად არსენას სახელი ხალხში უფრო და უფრო იზრდებოდა და შარავანდედით იმოსებოდა.

ჩვენს ხელთ არსებული მცირე დოკუმენტებისა და შეკრებილ მასალების მიხედვით, არსენა ოძელაშვილი მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა; მისი ყაჩაღად გაჭრის მიჯნები დაახლოებით 1827-42 წლების თარიღით განისაზღვრება (იხ. ზ. ჭიჭინაძის, „ბატონყმობის ფაქტიური მასალები“ ტ. III—IV, აგრეთვე მისივე, „არსენას ამბავი“ არსენას ლექსის ერთ-ერთ ძველ გამოცემაში). ს. მესხი, დასახელებულ წერილში სწერდა: „არსენა იყო უბრალო სომხითელი გლეხი, ქართველი თავადიშვილის გლეხი, სცხოვრობდა ამ ოცდა ათი წლის წინად“ (გლეხი).

[1] პ. პეტრიძე, არსენა—„კრებული“ № 7, გვ. 58, 66, 1872 წ.

[2] მესხი, თხზულებანი, ტ. I-ლი, გვ. 59, 1904 წ.

აღნიშნული ეპოქა, 20—30-იანი წლებისა მით არის შესანიშნავი ჩვენს ისტორიაში, რომ მაშინდელი საზოგადოებრივ ურთიერთობაში საგრძნობი ძვრები მოხდა. რუსეთის ბიუროკრატიულ-პოლიციური აპარატი საგრძნობლად განმტკიცდა, რაც მძიმე ტვირთათ აწვებოდა გლეხობას; რუსეთის პოლიტიკამ და კოლონიურმა მისწრაფებებმა გამოიწვიეს ომები მეზობელ სახელმწიფოებთან და ერევნის, ახალციხე-ახალქალაქისა და ფოთის შემოერთება; სავაჭრო კაპიტალი საგრძნობლად იწვევდა ნატურალური მეურნეობის დაშლას და იგიც მძიმე ტვირთად აწვებოდა გლეხობას. მესამე მხრით ეკონომიურად დაცემის გზას დაადგა თავად-აზნაურობა, რომელმაც თავისი შემოსავლის წყარო გლეხთა გაასკეცებული ექსპლოატაციით იწყო. საერთოდ ეს ეპოქა მაჩვენებელი იყო საქართველოს ძველი ფეოდალური ურთიერთობის რღვევის პროცესისა. მას არ შეიძლება არ მოყოლოდა სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასების სოციალური ბრძოლების გამძაფრება. აღნიშნული ეპოქა მით არის შესანიშნავი, რომ თვითმპყრობელობის პოლიციურ-ბიუროკრატიული აპარატის დაწოლამ გამოიწვია, ერთის მხრივ ფეოდალური არისტოკრატიის უკმაყოფილება და 1830—32 წლების შეთქმულება, რომლის მიზანი იყო აღდგენა ძველი წყობილებისა, ხოლო მეორე მხრივ—გლეხთა გრანდიოზული მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო, როგორც აპარატის საწინააღმდეგოდ, ისე მემამულეთა მოსასპობად. გლეხთა ეს მოძრაობა, ბატონყმობის მოსასპობად და ბიუროკრატიულ-პოლიციურ აპარატის წინააღმდეგ, გამოიხატა მთელ რიგ აჯანყებებსა და ინდივიდუალურ ბრძოლებში. მოძრაობის ეს ორივე ფორმა—მასიური აჯანყებანი და ინდივიდუალური ბრძოლები—არსებითად მაჩვენებელი იყო ბატონყმურ-რღვევისა და ახალი ურთიერთობის განვითარებისა; გლეხობა ველარ ეტეოდა ძველი წყობილების ფორმებში და იარაღით ხელში მოითხოვდა პირად თავისუფლების მოპოებას. 1831 წ. ერთი დოკუმენტი ამბობს: „ყმანი ჩვენნი ერთბაშად მეცადინობენ ჩვენის ყმობიდან განთავისუფლებასა და ამასთანავე აღარ მორჩილობენ ვითარცა მეფის ბატონყმის მორჩილებას[1].

არსენა ერთი იმ პირთაგანი იყო, რომელმაც ვერ აიტანა ბატონყმობის მძიმე უღელი, გაიქცა და ტყეში თავისუფლად ხეტიალი ამჯობინა მონობაში ცხოვრებას. მაშინდელი ამგვარი აჯანყება ერთგვარი მძლავრი პროტესტი იყო ბატონყმურ წყობილებისადმი მიმართული, მაშინდელმა ეპოქამ მრავალი შესანიშნავი პრო-

[1] იხ. საქ. მუზეუმში № 8570 .п а.

ტესტანტი ყაჩაღები იცის, მრავალი დაადგა ამ ბრძოლის გზას და ინდივიდუალური ტერორის საშუალებით სპობენ თავიანთ ბატონებს. იმ ეპოქის მომსწრე გ. ღვინიაშვილი სწერდა: „არსენა, კარა, ბისტი, სალა, ფედო, გიგო, კობერიძე და სხვ. ყველა ეს ყაჩაღები ბატონის ყმები იყვნენ, დანარჩენი ყაჩაღები, რომლებიც ხიზნობიდან გამოდიოდენ, ზემოხსენებულ ყაჩაღებს, უერთდებიან... ზოგიერთი გამოჩენილი ყაჩაღები დიდსულოვნებიც იყვნენ, მაგალითად, არსენა მდიდრებს ართმევდა და ღარიბს გლეხს აძლევდა“ (გ. ღვინიაშვილი, „საიდან წარმოსდგა კავკასიაში ყაჩაღობა, — „იერია № 5 — 6 გვ. 148—9,1884 წ.). როგორც ირკვევა ამ ყაჩაღთა შორის ყველაზე უფრო შესანიშნავი, როგორც თავისი ვაჟკაცობით, აგრეთვე ბრძოლის ხერხებითაც ყოფილა არსენა ოძელაშვილი. არსენასათვის „გაჭრა“ ბრძოლის საშუალება იყო არსებულ წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად და თავისუფლების მოსაპოებლად მთელი გლეხობისათვის. მართალია, ამ ბრძოლით ის ვერ აღწევდა მიზანს, იგი ერთობ პრიმიტიული საშუალება იყო ბატონყმური წყობილების მოსასპობად, მაგრამ ეს ბრძოლის ხერხები შესანიშნავი იყო თავისი ისტორიული მნიშვნელობით, როდესაც ჩვენი გლეხი ჯერ კიდევ შეუგნებელი, პოლიტიკურად განუვითარებელი იყო და როდესაც მას არ ყავდა მეთაური კლასი ქალაქის პროლეტარიატის სახით.

ამრიგად, არსენას ბრძოლის ფორმა ქართველი გლეხის ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული, ბრძოლის ერთ-ერთი ისტორიული ფორმა იყო.

არსენას თავგადასავალის პირველი „ლიტერატურული გაფორმება“ ხალხს ეკუთვნის; ცნობებიდან სჩანს, რომ გავრცელებული ყოფილა, როგორც მესტვირეს შეთხზული სხვადასხვა ვარიანტები, აგრეთვე მთელი რიგი სახალხო ლექსებისა, 1874 წ. „არსენას ლექსის“ გამოცემაში პ. უმიკაშვილი სწერდა: ეს მესამედ დაბეჭდილი „არსენას ლექსი“ „შედგენილია უმეტესად მესტვირეულის და უფრო ნაკლებ სახალხო ლექსებისაგან“. ეს ცნობა გვაფიქრებს, რომ ჩვენში ცნობილი და გავრცელებული „არსენას ლექსში“ არ არის სავსებით მესტვირული, მასში ცვლილება შეუტანია „შემადგენელს“ და გამომცემს პ. უმიკაშვილს. ცვლილების შეტანა ცენზურის მხრივაც დასჭირებია გამომცემს; „ორიოდე სტრიქონი და სიტყვები შეცვლილია, რადგანაც შეუცვლელად ის ადგილები ვერ დაიბეჭდებოდა, და ამის გამო აზრი ნაკლებად გამოვიდოდა“. შესაძლებელი არის შემდეგმა კვლევამ და ვარიანტების აღმოჩენამ (ჩემის აზრით ვარიანტები უნდა ინახებოდეს პ. უმიკაშვილის არქივში). აღნიშნუ-

ლი „დედანი“ აღმოაჩინოს მესტვირულის ლექსისა და ამით აღდგენილ იქნეს ცენზორის მიერ დამახინჯებული ადგილი.

ვინ იყო „არსენას ლექსის“ პირველი „გამომცემელი“? ამაზე სხვადასხვა ცნობები არსებობს, იგივე პ. უმიკაშვილი სწერს: არსენას ლექსს რაჭველი მესტვირეები ხშირად მშვენივრად მღერიან, და გაგვიგონია რა პირველათ ერთს ამათგანს ანდრიანადირაძეს სოფ. სევის (რაჭის) მცხოვრებს გამოუთქვამსო, სხვები ამბობენ განთქმულს გიორგი ქებაძის სოფ. ვართანის (ქართლის) მცხოვრებსაო. ზ. ჭიჭინაძე თავის მოგროვილ მასალებში სწერდა: „სახალხო ლექსი არსენასი, გამოთქმულია ისეთი რაჭველი მესტვირისაგან (სხირტლაძისაგან), რომელმაც არც წერა-კითხვა იცოდა და არც არსენა უნახავს ოდესმე თვალით, მან გამოსთქვა სხვების ჩაგონებით“.

ბატონყმობის საწინააღმდეგოდ პოემები საკმაოდ იყო ჩვენს ხალხში გავრცელებული. საკმარისია დავასახელოთ „ზვიადა ლობჟანიძე“, რომელიც რაჭის გლეხთა ცხოვრებიდან არის აღებული. მებატონე არეშიძენი „არ დაზოგავენ ქვრივ-ობოლთ, ცოლებს ართმევენ ყმებს“. ზვიადა ამბოხების მეთაველ ხდება, არეშიძეს კლავენ და ზვიადას დიდებით იხსენიებენ (იხ. 1890 წ. „ივერია“). ამ პოემის ლექსი გამართულად არის დაწერილი: ამასთანავე იგი გადმოგვცემს რაჭველი გლეხობის მწვავე ბრძოლებს დესპოტ მემამულეთა წინააღმდეგ, მაგრამ ზვიადა ლობჟანიძე მაინც ვერ გადიქცა საყოველთაო სახალხო გმირად და ეს სახალხო ლექსიც ნაკლებად იყო გავრცელებული ჩვენში, ამ მხრივ მისი შედარება არსენასთან და „არსენას ლექსთან“ შეუძლებელია. „არსენას“ სოციალური ფონი უფრო ღრმა და მრავალფეროვანია. აქ მთელი რიგი ისეთი მომენტები არის გაშუქებული, რომელიც მძიმე ტვირთად აწვა გლეხობას და რომელიც იწვევდა მათ უკმაყოფილებას. პ. უმიკაშვილი შემდეგ კომენტარიას უკეთებდა, „არსენას ლექსს“. „არსენას ზოგნი ყაჩაღს ეძახიან... ეს ცრუ აზრია და არსენა ამგვარი ყაჩაღი არ არის... სხვებს კიდევ არსენა მარტო ბატონყმობის წინააღმდეგ კაცათა ჰგონიათ და სხვა არაფრათა. მაგრამ კარგად რომ დავაკვირდეთ ბევრს და ბევრს სხვა მხარეს დავინახავთ. ამ სახალხო ლექსში გამოხატულია არა ერთი და ორი მხარე ჩვენი ცხოვრებისა, არამედ მრავალი სხვა და სხვა მხარე. ყოველივე ერთად შეერთდა, წარმოგვიდგა არსენაში, გამოითქვა შეგნებით, ღრმა სიყვარული სიკეთისა და ამ სიკეთისათვის თავის დადება და ბრძოლა კაცის დამჩაგვრელ ძალასთან, როგორიც უნდა იყვეს ეს ძალა“ („კრებული“ № 7, გვ. 67, 1872 წ.).

მესტვირულის „არსენაში“ გადაშლილია ბრძოლა ბატონის დესპოტიზმისა და, მაშასადამე მთელი ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ; ბრძოლა ბიუროკრატიულ-პოლიტიკურ აპარატის წინააღმდეგ, იმ აპარატის, რომელიც ხალხს მძიმე ტვირთად დააწვა და ეკონომიურად ანადგურებდა მას; ბრძოლა სავაჭრო-სავახშო კაპიტალის წინააღმდეგ, რომელმაც გლეხობა თავის საექსპლოატაციო ობიექტად გადააქცია: ბრძოლა „მშიერის“, „ღარიბის“ დასაცავად, ბრძოლა „მდიდარის“, „მაძღარის“ წინააღმდეგ. მაგრამ ყოველივე ეს ბრძოლები ასახულია წვრილ-ბურჟუაზიულ სოფლმხედველობის ასპექტში, მაშინდელი განუვითარებელი, შეუგნებელი გლეხის თვალსაზრისით. ეს არის ბრძოლა სტიქიური, შეუგნებელი, პრიმიტიული საშუალებებით და გზებით, ამიტომ მესტვირული არსენა ძლიერ ახლო სდგას ისტორიულ სინამდვილესთან. დღეს ძნელი არის იმისი დაბეჯითებით გამოკვლევა იცნობდა თუ არა არსენას, ლექსის ავტორი, თავის ლექსში ნამდვილ ისტორიულ ფაქტებს გადმოგვცემს თუ არა, მაგრამ ის კი გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მის მიერ „ტიპიური გარემოებათა ცდა“ განსახიერებულია.

არსენა ზაალ ბარათაშვილის ყმა გლეხია; 16 წლის არსენა შესანიშნავი ვაჟკაცის სახით გამოიყურება. ამ ვაჟკაცის „პიროვნება“ ვეღარ ეტევა ბატონყმურ ურთიერთობის არტახებში, რომელიც მას ძალზე ბორკავს და გასაქანს არ აძლევს. არსენას ლექსის ავტორიც არსენას ამ პირად ინდივიდუალურ შეტაკებას ბატონთან, უდებს სარჩულად მის ყაჩაღად გავარდნას. არსენას სხვა გამოსავალი არ აქვს; მან, ან ქედი უნდა მოიხაროს ბატონის წინაშე, ჩაიკლას თავისი გრძნობები გულში და ამით გამოეთხოვოს თავის პირადს ინტერესებს, ან შეებრძოლოს ბატონყმურ წესებს და დაიცვას პირადი თავისუფლება. არსენა უკანასკნელ გზას ირჩევს, მაგრამ ბატონყმობის წესების წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალება მის განკარგულებაში მხოლოდ ერთად-ერთია; ეს არის ინდივიდუალური ბრძოლის გზა და არსენაც ამ გზას დაადგა. ამრიგად ბატონყმური წყობილების სისასტიკემ, რომელიც მძაფრად შეეხო არსენას პიროვნებას, გააღვიძა მისი შეგნება და აიძულა იგი ტყედ გაჭრილიყო თავისი პიროვნების დაცვის მიზნით; მისი ადამიანობის შემეცნება იღვიძებს მას შემდეგ, როდესაც დაუნდობელი სიმკაცრით იქნა შელახული მისი თავმოყვარეობა; შემეცნება ყმაგლეხის პიროვნებისა შეეჯახა არსებულ წესს და ამ წესის მოსისხლე მტერი გადაიქცა. ამრიგად არსენა ოძელაშვილი ბუნებას თავიდანვე არ დაუბადებია ბატონყმობის წინაღმდეგ მებრძოლ გმირად, იგი ასეთ გმირად საზოგადოებრივმა ურთიერთობამ შექმნა და ამა-

ვე საზოგადოებრივმა ურთიერთობამ გააღვიძა მასში ადამიანური თავისუფლების შეგნება და თავისებური გზით ბრძოლის სურვილებლობაც ამ წესების წინააღმდეგ. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა გლეხის შეგნებაში გაღვიძებულიყო არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროება. ასეთ ტიპიურ გარემოცვას თავისი შესაფერისი გმირული ტიპი შეეძლო მოეცა.

კონკრეტულად არსენას უკმაყოფილოების საბიბად გადაიქცა შემდეგი ფაქტი: მას შეუყვარდა ბარათაშვილის მოახლე, რომლის შერთვის ნებართვაც სთხოვა ბატონსა, ბატონი ნებას არ აძლევს, მაგრამ არსენა თავისას არ იშლის და ქალი მაინც მიყავს. ერთ-ერთ უცნობ ვარიანტში ვკითხულობთ:

ცოლმქრობის პირობა მისცა—მან სახლში შეიყვანაო.
ეს, რომ ბატონმა შეიტყო, ჭკუიდან შეიშალაო.
ბატონი ბალკონზე იდგა, ქოშები გადმოყარაო:
მაგისგნით ქალი წავირთო,
რა არის მაგისთანაო,
არსენამ კი უპასუხა.
ამ თორმეტ თუმანს მოგართმევ დავითვლი ჩქარ-ჩქარაო.
ბატონი გაჯავრებული ფანჯრიდან გადმოვარდაო,
თოფ-იარაღი აიხნა, მისდევდა მხარ და მხარაო,
ორიოდ კაცი გაგზავნა, ნაცვალი დაიბარაო;
არსენა ოძელაშვილმა ჩემზე იხმარა ძალაო,
ერთი კაი გოგო მყავდა იმერეთ წაიყვანაო,
მინდვრით გაიქცა არსენა მთა-ბარი დაიარაო[1].

როგორც ამ ტექსტიდან სჩანს, არსენა როგორც თავიდანვე მოწადინებული იყო მშვიდობიანად გადაეწყვიტა საქმე და ბატონს თავისი საყვარელი არსების გამოსაყიდად 12 თუმანიც შეაძლია, მაგრამ ამ გზამ იგი ვერ იხსნა კონფლიქტისაგან და ბოლოს იძულებული შეიქნა ძალადობისათვის მიემართა. აღსანიშნავია, რომ არსენა არ არის გაღატაკებული გლეხი; იგი მდიდარ გლეხთა კატეგორიას უფრო ეკუთვნის. სწორედ ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ეკონომიურად წელმაგარი გლეხი ვეღარ ეგუებოდა ბატონყმურ წესებს და აქტიურ ბრძოლის გზას ადგებოდა.

ველად გაჭრილი არსენა მარტო თავისთვის არ ზრუნავდა; მას ხალხიც აინტერესებს, ხალხის ინტერესებისათვის იბრძვის, მაგრამ მისი ბრძოლის საშუალება ერთობ პრიმიტიული და შეუგნებელია. იგი ებრძვის სავაჭრო-სავახშო კაპიტალის აგენტებს და სრულიად ბუნებრივი მოვლენაა; ეს კაპიტალი, როდესაც ჩვენში ფულადი მე-

[1] იხ. „კრებული" № 7, გვ. 75—6, 1872 წ.

ურნეობა განვითარდა, მძიმე ტვირთად დააწვა გლეხობას, რომელმაც თავისებური პროტესტიც განაცხადა მის წინააღმდეგ. სწორედ სავაჭრო კაპიტალით გამოწვეულ ამ გლეხურ პროტესტს ახასიათებს „არსენას“ ლექსის ავტორი. არსენა შემდეგ ბრალდებას უყენებს ვაჭრებს:

ქალაქში რო ჩამოხვალთ ხოლმე, ფარჩას არჩევთ შალის თხელსა;
სოფელში იცით ტარება, კარგად შეიკაზმავთ ცხენსა,
ქვრივსა და საწყალს გვიტყუებთ, ნამეტნავად პატარძლებსა!
მათი ადლი როცა ნახა, არსენას არ დაუჯდება,
გაუტეხა და გადუგდო: ფუ, გამჭედი გაუწყრესა[1].

ასეთია ამ გლეხური პროტესტის არსებითი შინაარსი, მაგრამ გლეხი არსენა არა მარტო ბრალდებას უყენებს სავახშო-სავაჭრო კაპიტალის აგენტებს“, იგი ზომებსაც ღებულობს მის ასალაგმავად. ყველაზე უფრო გარკვევით გლეხური პრიმიტიული ბრძოლის მეთოდი სწორედ ამ საკითხშია სჩანს! მას არ ესმის სავაჭრო-სავახშო კაპიტალის შენება, მისთვის გასაგებია მხოლოდ ის, რომ ეს კაპიტალი გლეხობას ავიწროვებს და სცარცავს, მაგრამ მან არ იცის ის გზა და მეთოდი, რომლითაც შესაძლებელია ამ წყობილების აღმოფხვრა ის პირადი დაშინებითა და ახალი „ადლის შემოღებით“ სცდილობს შეავიწროვოს სავაჭრო კაპიტალი.

შინდის ჯოხი გაუჭრა, რომელიც რომ გრძელი თქვესა
შვიდი მტკავლით გაუზომა, მისხალი არ დააკლდესა;
თუ ამითი არ გაყიდოთ ვაი დედი-თქვენის ღმერთსა!
საცა, რომ შემოგეყრები, ყველას გამოგჭრი ყელსა!

ამ გზით ფიქრობდა არსენა შეევიწროვებია ეს კაპიტალი და გადაერჩინა თავისი მეზობელი გლეხობა მისი გადაჭარბებული ექსპლოატაციისაგან; მისი აზროვნება ჯერ კიდევ ვერ გასცილებია კუთხურ ტერიტორიას, მისი პოლიტიკური აზროვნება ჯერ კიდევ ქაოტიური და გაურკვეველია.

არა ნაკლებ საინტერესო არის არსენას ეკონომიური პროგრამის შემდეგი მუხლიც: იგი „მაძღარს ართმევს, მშიერს აძლევს“ ან „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“. დაჭერილი არსენა „უფროსს“ შემდეგნაირად უხსნის თავის დანაშაულს:

მართალია გავარდნილი დავდიოდი მშიერ ველად
შაგრამ მდიდარს თუ ართმევდი მიყვარდა ღარიბის ჰმევა,
დანაშაული ესა მაქვს, ნება თქვენი ასრულდესა.

ამ „დანაშაულის“ არსებითი შინაარსი წვრილ-ბურჟუაზიული გლეხურ შეგნებიდან მომდინარეობს. ეს თავისებური ეგალიტარიზმის

[1] „კრებული“ № 17. გვ. 89; აგრეთვე „არსენას ლექსი“ 1874 წ. გამოცემა.

პრინციპია, რომელსაც ყოველ დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციებში აყენებდნენ წვრილ-ბურჟუაზიის იდეოლოგები. ამ ეგალიტარიზმის არსებითი შინაარსი ეკონომიურ-მატერიალური დოვლათის თანაბარ განაწილებაში გამოიხატებოდა: წვრილ-ბურჟუაზიის იდეოლოგები სრულიად არ ჰფიქრობდნენ კერძო საკუთრების მოსპობას; მათი ეკონომიური იდეალი კერძო საკუთრების განმტკიცებაში გამოიხატება და, უკეთ, ისინი უარყოფდნენ მსხვილ კერძო საკუთრებას, რომელიც მათი აზრით ჭურდობაში და ექსპლოატაციაში იყო შეძენილი, და მოითხოვდნენ მათ თანაბარ განაწილებას მოქალაქეთა შორის: ამით მოისპობოდა გადამეტებული სიღარიბეც და გადამეტებული სიმდიდრეც. ასეთი იყო ამ წვრილ-ბურჟუაზიულ ეგალიტარიზმის არსებითი შინაარსი. არსენას პროგრამაში უკვე ჩანს თავისებური ასახვა ამ ეგალიტარიზმის პრინციპის ელემენტებისა, არსენას ესმის, რომ სიმდიდრე არა სინდისიერი გზით არის შენაძენი, რომ ამ „სიმდიდრეს“ წართმევა და ღარიბების დარიგება მას არ მიაჩნდა დანაშაულად, იგი ამის შესახებ ქედმაღლა ხუმრობს „უფროსთან“. სასიკვდილოდ გამზადებული არსენა ანდერძს სტოვებს.

> ჩემი შვიდასი თუმანი, კასპში ერთ დიდს კლდეში დევსა; ღარიბსა, არას მქონესა, მიეცი და მოხმარდესა.

მეორე ვარიანტში სწერია:

> მონახე და მოახმარე ღარიბსა და გლახაკებსა[1].

ამ შემთხვევაში არსენა გამოსახავდა ჩამორჩენილ, განუვითარებელ გლეხის პრიმიტიულ სტიქიურ შეხედულებებს: სიმდიდრის და სიღარიბის ამ პროგრამითა და საშუალებით მოსპობა მხოლოდ ჯერ კიდევ პოლიტიკურად განუვითარებელ გლეხის, ან წვრილ ბურჟუაზიის შეგნებაში შეიძლებოდა დაბადებულიყო, არსენაში ჯერ კიდევ არ დაბადებულიყო ის ძირითადი აზრი, რომ „მდიდრის წართმევისა და ღარიბის გადაცემისათვის“ სრულიად არ არის საკმარისი „გავარდნა“ და ინდივიდუალური თავდასხმები მდიდრებზე, არამედ მთელი მშრომელი მასის შეკავშირება და პოლიტიკური აპარატის დაპყრობა. პოლიტიკური ბრძოლის საჭიროების შეგნებიდან იგი ჯერ კიდევ შორს სდგა. მაშინ, როდესაც ევროპის წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგები პოლიტიკური აპარატის დაპყრობის საჭიროებას აღიარებდნენ, ჩვენში ეს შეგნება, საზოგადოებრივი ურთიერთობის მოუმწიფებლობის გამო, მაშინ ჩანასახის პერიოდშიაც კი არ იმყოფებოდა.

---

[1] იხ. „არსენას ლექსი“ გვ. 11, 1872 წ.

ასეთი არის „არსენას ლექსში“ – უცნობი მესტვირეს მიერ დახატული არსენა მარაბდელის ტიპი. ვფიქრობ, რომ ტიპი ბევრად ახლოს სდგას მაშინდელ ეპოქის სინამდვილესთან; შეიძლება გადაჭარბებით ითქვას, რომ ეს არსენა ტიპიური გამომხატველია მაშინდელი გლეხთა მოძრაობისა და იგი ეპოქის სისხლითა და ხორცით არის გაჟღენთილი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ „არსენას ლექსის“ მხატვრული მხარე მეტად საინტერესოა. მიუხედავად იმისა, რომ დარღვეულია ბევრგან თეორიული პოეტიკის მოთხოვნილებანი, იგი ჩვენი ხალხური პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს; ამ ხალხურ გენიის ისტორიული შედეგია, ის, რომ არსენას უკვდავი ტიპის სახე სამუდამოდ დამკვიდრდა ქართულ ლიტერატურაში.

მხატვრულ ლიტერატურაში არსენას სახელი და მისი სახე პირველად ილ. ჭავჭავაძემ შეიტანა. როგორც ცნობილია, ილ. ჭავჭავაძემ ყაჩაღათ გაჭრილ გლეხის ტიპის დახატვას დიდი ადგილი დაუთმო 60-იანი წლების თავის ნაწერებში. კაკო, ზაქრო, (პოემა „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“) და გაბო („გლახის ნაამბობი“), ბატონყმური ეპოქის შვილები იყვნენ. ეს ტიპები გაცხარებულ წოდებრივ ბრძოლის პერიოდში წარმოიშვნენ, როდესაც შევიწროებული გლეხი იბრძოდა თავისი პირადი თავისუფლებისათვის, არ შეიძლებოდა არსენას და მის თავგადასავალს თავისებური გავლენა არ მოეხდინა ილ. ჭავჭავაძეზე გლეხი-ყაჩაღი ტიპების შექმნის დროს. არა მარტო „არსენას ლექსს“ შეეძლო გავლენა მოეხდინა მწერლობაზე, არამედ თვით არსენას თავგადასავალსაც, რომლის ცოცხალი ფაქტები ღრმად იქნებოდა აღბეჭდილი თვით მწერლის მეხსიერებაში. შეიძლება აღინიშნოს, რომ კაკოსა და ზაქროს ტიპები არსენას მიმბაძველობით არის გამოკვეთილი; „არსენობა“ არა მარტო მებრძოლ გლეხებისათვის იყო „სანატრელი“ არამედ ლიტერატურულ ტიპების ასახვაშიაც გადაიქცა თავისებურ მიმძაბველობად.

მარტო არსენა, თუ გახსოვს შენა,
გლეხ-კაცი როგორც ძმა ჰყვარებია,
გლეხ-კაცის ბედი ჭირი და ლხენა
შვილსავით კალთით უტარებია.
აბა კაციცა ისა ყოფილა
და ქუდიც იმას, ძმავ, ხურებია,
ნეტავ იმ დედას ვისგანც გაზრდილა
და ვისაც ძუძუ უწოვებია!..
მისებრი შვილი, ბევრიც ინატროს,
ეხლანდელ დედამ ვეღარ გაზარდოს [1].

[1] იხ. „ერთი მოთხრობის დასაწყისი“, „საქართველოს მოამბე“ № 10, გვ. 56, 1863 წ. დაიბეჭდა აგრეთვე—1864 წ. „ჩონგურში“.

კაკოს ტიპი, პოეტის მიერ გამოკვეთილი 60-იან წლებში, ძირითადში არის არსენას განმეორება: იგიც „გამოქცევია უსამართლობას,“ „შორს გავარდნილა მისი სახელი“ „მას ყველა აქებს, მის „უყვარს გლეხ-კაცი და ვინც ბედისგან დაჩაგრულია.“ პოეტი გვარწმუნებს, რომ „მისი ამბავი, ახლა მართალი, ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილისშვილებს.“

ისე, როგორც არსენას სახელი იწვევდა გლეხობაში წამებაძველობას, კაკოს საქმიანობა და მისი გმირობა წამახალისებელი გახდა გლეხობისათვის.

ჯერ არ მენახე, მაგრამ გიცნობდი,
შენი ცხოვრება მენატრებოდა;
შენთან წამოსვლას ბევრჯერ ვფიქრობდი
მაგრამ სახლ-კარი მენანებოდა.

ეუბნება კაკოს ზაქრო, მაგრამ ხალხში კაკოს სახელის გვერდით სცოცხლობდა ზღაპრად გადმოცემული არსენას ამბავი და არსენობა ხალხის სანატრელ იდეალად იყო გადაქცეული.

არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,
ჩვენამდის, ძმაო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა,
ის იყო ჩემი გული და სული.
ეგრეთ გონება ხალისიანი
არსენას ამბით მე მეზრდებოდა
მიყვარდა მე ის კეთილდღიანი
და არსენობა მენატრებოდა.

როგორც მკითხველი ხედავს, მთავარ მაგისტრალურ ხაზებში კაკოს ტიპი და არსენას ტიპი არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ცხადია პოეტმა თავისი პოემის ერთ-ერთი გმირის პროფილი არსენას სახის მიხედვით დახატა, უნდა აღინიშნოს, რომ კაკო და არსენა მეტის-მეტად სიმპატიურ ფერადებში არის ასახული, ორივე ეს ტიპი ხალხისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირებია, ორივე სახელმოხვეჭილია თავიანთი „საქმიანობით,“ არსენაც და კაკოც, „გავარდნით“ ფიქრობდნენ არსებულ წყობილების წინააღმდეგ ბრძოლას, ორივე ისინი ნამდვილი გლეხური ტიპებია.

ამრიგად ილ. ჭავჭავაძემ ორივე სახით განავითარა არსენას ტიპი ჩვენს მწერლობაში: ერთი მხრით კაკოს ტიპის დახატვის დროს არსენა წარმოადგენდა მისთვის ერთგვარ პროტოტიპს, მეორე მხრით პოეტმა რამდენიმე ტაეპის შეტანით თავის პოემაში მკვეთრად გამოაჭანდაკა არსენას უკვდავი პროფილი.

არ შეიძლება აქ არ აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ თუ კაკოს ტიპის გენეზისი ჩვენ უნდა ვეძიოთ არსენაში, თვით კაკო რეალური პიროვნება ყოფილა, რომელიც თვით ავტორსაც შეხვედრია. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს ილ. ჭავჭავაძის მეგობარი და ნათესავი კოხტა აფხაზი; თავის მოგონებაში იგი სწერდა:

„რაც შეეხება მის (ჭავჭავაძის) შემოქმედებას და მის ნაწარმოებების ისტორიას მე მხოლოდ „კაკო ყაჩაღის“ შესახებ მახსოვს კარგად, რომ კაკო პირდაპირ ცხოვრებიდან არის აღებული. კაკო გახლდათ ერთი კარდანახელი გლეხი, ვინმე გაუხარიშვილი, რომელმაც მართლა ესროლა თავის ბატონს (რომელიღაც ვაჩნაძეს) და ყაჩაღად გავარდა. იმალებოდა კარდანახის ტყეში და გამვლელ-გამომვლელებს სცარცვავდა. ხმა, სახელი დიდი ქონდა გავარდნილი. ერთხელ ილია სწორედ იმ გზით მოდიოდა ჩვენსა კარდანახში, თან ახლდა მოსამსახურე ბიჭი, უცბად ერთ ალაგას წინ გადმოსდგომია შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეუჩერებია, გამოუკითხავს ვინაობა და მგზავრობის მიზანი. რომ გაუგია ჭავჭავაძის გვარი, უკითხავს ჭავჭავაძეს კარდანახში რა უნდაო. ბიჭს აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ აფხაზთან მიდისო.

მაშინ ყაჩაღს თოფი დაუშვია ძირს და ილია მიუწვევია თავის ბინაზე, კარგად გამასპინძლებია და დაუთვრია კიდეც. ასე, რომ როდესაც ილია ჩვენსა მოვიდა ბარბაცობდა და მარტო იმას გაიძახოდა ენის ბორძიკით: „დამაძინეთ, დამაძინეთ.“ მეორე დღეს კი გვიამბო თავისი თავგადასავალი და დაუმატა, რომ გაუხარაშვილი სულ ბატონს სწყევლის და აგინებსო.[1]

ეს საინტერესო მომენტი არის პოეტის შემოქმედების ასახსნელად; მან შეიძლება ჩვენ გასახსნელი მოგვცეს ლექსისათვის („ნიავო, ჩემო ნიავო“), უნდა ვიფიქროთ, რომ კონკრეტული ფაქტი გაუხარაშვილის გავარდნისა და ტყეში ბატონობისა პოეტს გამოუყენებია თავის შესანიშნავი პოემის სიუჟეტისა და ფაბულისათვის. ხოლო ტიპაჟი კაკოს სახე არსენას მიხედვით გამოუქანდაკებია.

ასე აისახა არსენას ტიპის სახე 60-იან წლებში თავად-აზნაურულ ლიბერალის მხატვრულ შემოქმედებაში.

1868 წლის აგვისტოს ჟურ. „ცისკარის“ ნომერში დაბეჭდილია აკაკის დრამის „არსენას“ დასაწყისი. ეს დრამა განზრახული ყოფილა ხუთ მოქმედებად. აღნიშნულ ჟურნალში გამოქვეყნებულია მხოლოდ პირველი მოქმედების ორი სცენა. დანარჩენი მოქმედებები არ გამოქვეყნებულა. იგი არც აკაკის არქივში შენახულა; მისი ავტოგრაფი ჯერ-ჯერობით დაკარგულათ უნდა ჩაითვალოს. არც რაიმე სხვა გვარი ცნობები არსებობს აკაკის ამ დრამის შესახებ. თავის ვრცელსა და მრავალს მოგონებებში ერთხელაც ეს თავისი დრამა არ გახსენებია.

უდავოა, რომ ეს დრამა ავტორს დამთავრებული ექნებოდა თორემ მის ბეჭდვას არ დაიწყებდა. ხოლო გამოსარკვევი მეორე საკითხია: რამ შეუშალა ხელი ამ დრამის დაბეჭდვას? ყველაზე ახლოს

[1] იხ. მწერალთა მუზეუმში ილ. ჭავჭავაძის არქივი.

იქნება სიმართლესთან თუ ვიფიქრებთ, რომ დრამა „არსენა“ ცენზურულ პირობების გამო არ იქნა დაბეჭდილი და, ალბათ, მისი ხელნაწერიც საცენზურო კომიტეტს დარჩა. ხოლო 60-იან წლების საცენზურო კომიტეტის არქივის მასალებიდან მეტად ცოტა არის დარჩენილი, ამიტომ გასაგები უნდა იყოს, თუ რად დაიკარგა აკაკის ამ დრამის ხელნაწერი. ეს ერთი მოსაზრება.

რამდენად [სწორი არის ის მოსაზრება რომ დრამა „არსენაში“ აკაკი ისტორიულ არსენა ოძელაშვილის ცხოვრებას ეხებოდა და მის ეპოქის სინამდვილეს გადმოგვცემდა! ამ კითხვაზე გადაჭრით პასუხის მიცემა ძნელი არის. რადგან მთელი დრამა და მისი შინაარსი არ არის ცნობილი, ხოლო გამოქვეყნებულ პირველი მოქმედების ორ სცენაში მთავარი გმირის, არსენას, ხსენებაც კი არ არის. მეორე მხრივ, პირველი მოქმედების შინაარსი იქ გამოყვანილი ტიპები და თვით დრამის კვანძი არ შეესაბამება იმას, რაც ცნობილია არსენა ოძელაშვილის თავგადასავალთან დაკავშირებით. გამოქვეყნებულ პირველ მოქმედებაში ირკვევა, რომ ხერხაძეს მოუწამლავს მდიდარი მემამულე, თავადი გოჩუნიძე. ხერხაძეს რომანიული კავშირი აქვს გოჩუნიძის ცოლთან და მასთან შეთანხმებით მომხდარა თავადის მოწამვლა. ხერხაძე გოჩუნიძის ქალიშვილის მაკრინეს, აპეკუნი გამხდარა და ცდილობს მაკრინეს მეუღლე გახდეს, რომ ამით მისი დიდძალი ქონება ჩაიგდოს ხელში. ამაში მას ეხმარება გოჩუნიძის ქვრივი, მაკრინეს დედინაცვალი. მაკრინეს ყავს საქმრო გიორგი. პირველი მოქმედება მთავრდება ხერხაძის მოკვლით, მაკრინეს ხელით, რომლის ძალით დაუფლება მან მოინდომა. ასეთია პირველი მოქმედების მთავარი მომენტები. ამ მოქმედებიდან და კვანძებიდან არ სჩანს დრამის შემდეგი განვითარების შინაარსი, ან როგორი უნდა იქნეს დრამის მთავარი გმირის, არსენას როლი (არსენა დრამის სათაურია და ცხადია, იგია დრამის მთავარი გმირი). როგორც ვთქვით არსენა პირველ მოქმედებაში არა სჩანს და არ ვიცით ვინაობა, როგორც დავინახეთ არც პირველი მოქმედების შინაარსი იძლევა იმის შესაძლებლობის თქმას, რომ ამ დრამაში პოეტი გვიშლიდა არსენა ოძელაშვილის ცხოვრებას. მაგრამ საკითხი ამით არ ამოიწურება, ვინ იცის როგორ გაშლიდა (ან ჰქონდა გაშლილი) ავტორი დრამის შემდეგი მოქმედების შინაარსს და როგორი სახით გამოიყვანდა არსენას. მასალების უქონლობა ჯერ კიდევ არ სწყვეტს საკითხს ან დადებითად ან უარყოფითად. აკაკის შეეძლო სულ სხვა გზას, გარემოსა და ფონზედ აესახა არსენას ტიპი. ეს მისი „პოეტური უფლება“ იყო. ამიტომ ჩვენ ვამბობთ: პირველ მოქმედების შინაარსიდან გადაჭრით რისიმე თქმა ძნელია.

მაგრამ არის ერთი მომენტი, სადაც ჩვენი გულისყური უნდა მივაქციოთ წამოყენებული საკითხის გადაწყვეტის დროს. ეს არის მომქმედ პირების სია და მათი მოკლე დახასიათება. აქედან მრავალი რამ ირკვევა. მოვიყვანოთ შემოკლებით ამ მომქმედ პირთა სია: არსენა—ავაზაკი, კვერაძე—არსენას მკვლელი იმერელი, ავაზაკები:—იმერელი, ორი გურული, რაჭველი, ქართლელი, კახელი და ბევრი სხვები, სომეხი, ქართველი თავადი, მგზავრები,—ურია, ქალი, ტუსაღები, ყარაულები.

აქედან ირკვევა: არსენა ავაზაკია, რომელსაც ჰყავს მთელი გროვა ავაზაკებისა, მას კლავს იმერელი კვერაძე (ხომ არ არის აქ შემოკლებული სეფისკვერაძე). შეუძლებელია იმის გამორკვევა თუ როგორი სახით სახავდა ავაზაკ არსენას ტიპს აკაკი თავის დრამაში. ვერც იმას ვიტყვით გადაჭრით, რომ ავაზაკ არსენას სახით პოეტს უნდოდა ისტორიული არსენა ოძელაშვილი გამოესახა: შეიძლება აქ უბრალო სახელების შეხვედრა იყოს და მეტი არაფერი.

60—70-ან წლებში არსენა ოძელაშვილის სახელმა საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო, ფართო მასაში არსენას სახელი უფრო გავრცელდა. მწერლობამ ყურადღება მიაქცია არსენას სახელს და მის შესახებ დაიწყეს წერა ჟურნალ-გაზეთებში. 1872 წელს პირველად გამოვიდა წიგნად „არსენას ლექსი“ ვექილი ნ. დ. ყიფიანის რედაქციით. დაიბეჭდა 2000 მეტი. ორი კვირის შემდეგ იმავე ნ. ყიფიანმა შესწორებული რედაქციით გამოსცა, ახლა 6000 ცალი. ქართული წიგნის ასე მოკლე დროში ასეთი დიდი რაოდენობით გასაღება პირველი მაგალითი იყო. მანამდე ქართული ბეჭდვითი ნაწარმოები ასობით საღდებოდა. პუბლიცისტი ს. მესხი „არსენას ლექსის“ პირველი გამოცემის შესახებ სწერდა: „ამ ორი კვირის განმავლობაში ბევრის თვალისა და გონებისათვის სასიამოვნო სურათს ნახავდა ქართული მწიგნობრობის და ქართველი ხალხის მოყვარე კაცი. სადაც გაიხედავდი, დაინახავდი თავმოყრილ პატარა ბიჭებს და ზოგან დიდებსაც: ერთ მათგანს უჭირავს ხელში პატარა, წითელ ყდიანი წიგნი („არსენას ლექსი“) და ხმამაღლა ჰკითხულობს; სხვებსაც „ღლიაში ამოუდგიათ ამისთანა წიგნები, გაჩერებულან და ყურს უგდებენ. ორ კვირაში რომ ათას ორასი წიგნი გაყიდულიყოსს ეს პირველი შემთხვევაა ჩვენში“ (იხ. მესხის თხზულებანი. გვ. 58-59).

„არსენას ლექსმა“ უმწვერვალეს რეკორდს მიაღწია: მან დაიპყრო მაშინდელი ბაზარი, ნუ დავივიწყებთ, რომ „არსენას ლექსი“ უმთავრესად მშრომელ მასებში ვრცელდებოდა, მასა იყო მისი უმეტესი მკითხველი. 1874 წ. მესამე გამოცემაც გამოვიდა პ. უმიკაშვი-

ლის ახალი რედაქციით. დაიბეჭდა 2000 ცალზე მეტი. შემდეგ წლებში დროგამოშვებით იბეჭდებოდა ამ უკანასკნელი რედაქციით, როგორც უკვე ვწერდით ამავე ხანაში არსენას თავგადასავალს ყურადღება მიაქცია ქართულმა პუბლიცისტიკამაც. მხატვრულ ლიტერატურიდან არსენას ტიპი პუბლიცისტიკის სფეროშიაც გადავიდა და საზოგადოებრივი აზროვნების კვლევის საგანიც გახდა. ამ მხრივ აღსანიშნავია პუბლიცისტების სერ. მესხისა და პ. უმიკაშვილის წერილები არსენას შესახებ. იმის გამოსარკვევად თუ როგორ ახასიათებდენ და როგორ ესმოდათ არსენას ტიპი ჩვენს მწერლებს სხვადასხვა პერიოდებში, მე საჭიროდ მიმაჩნია მკითხველის ყურადღება რამდენიმე ხნით შევაჩერო აღნიშნულ პუბლიცისტების დახასიათებაზედაც. მათი შეხედულების გაცნობა უფრო სრულს წარმოდგენას მოგვცემს არსენას ტიპის ისტორიულად გაგების საქმეში; ე. ი. თუ როგორ უყურებდნენ არსენას და აფასებდენ მის მოქმედებას ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში ინტელიგენციის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები.

ს. მესხი და პ. უმიკაშვილი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული აზროვნების გამომხატველნი იყვნენ ჩვენს პუბლიცისტიკაში. ისინი ჯერ კიდევ ნორჩი ქართველი ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდნენ და ახალი ბურჟუაზიული კულტურისათვის იბრძოდნენ. ამ თვალსაზრისით დაახასიათეს მათ არსენა ოძელაშვილი. სერ. მესხი სწერდა, რომ არსენას შესასწავლად, მისი თავგადასავალის გასაცნობად და სისწორით ასასახავად, საჭირო არის შეისწავლოთ ის დრო, როდესაც სცხოვრობდა არსენა; ამ გზით უფრო სწორად ავხსნით, პუბლიცისტის აზრის „იმ საქმეებს, რომელიც ამ გმირს ჩაუდენია“ და გავიგებთ „თუ ხალხი რატომ უთანაგრაობდა მას,“ ავტორი ასწერს რა ბატონყმურ წყობილებას და გლეხთა ბრძოლას მის წინააღმდეგ, დაასკვნის:

„ამისთანა დროში დაიბადა არსენა. იმის თავისუფლების მოყვარეობამ, იმისმა პატიოსნებამ და ღარიბთა შემბრალებელმა გულმა ვერ გაუძლო, ვერ მოითმინა ამისთანა წყობილება საზოგადოებისა, სრულიად მოშორდა ამ საზოგადოებას, „გავარდა“ და დადიოდა „მშიერი ველად.“ კარგი რა უნდა ითქვას იმ დროზე და იმ საზოგადოებაზე, როდესაც კაცი იძულებულია, მთელი სიცოცხლე ტყეში გაატაროს მხეცივით, ბალიშის ნაცვლად ცივი ქვა დაიდვას თავქვეშ, და დღე-ღამე თავს აწვიმდეს და ათოვდეს. ამისთანა მდგომარეობაში იყო არსენა, მაგრამ მისდამი ხალხის სიყვარულსა და თანაგრძნობას სულ სხვა საფუძველი აქვს. არსენა ხედავდა ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობას, ხედავდა, ვინ იყო ამის მიზეზი და ისე იქცეოდა,

როგორც ჭკუა და გონება უჭრიდა. არსენა იყო ღარიბების მეგობარი და მდიდარს, განსაკუთრებით სომხებსა და ურიებს, არ სწყალობდა. მართალია თავის ღარიბებისადმი სიყვარულსა და მდიდრებზე უკმაყოფილებას ის ახირებულათ ამტკიცებდა: სადაც კი დახვდებოდა მდიდრებსა და ვაჭრებს, ართმევდა მათ ყველაფერს და შემდეგ ღარიბებს ურიგებდა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, ვინ იყო თვითონ არსენა და რა გარემოებაში სცხოვრობდა ისა!—უბრალო მარაბდელ გლეხს ამაზე მეტი რა მოეთხოვება...

ამ სიტყვების („ჩემი შვიდასი თუმანი...“) მთქმელ არსენასათვის როგორ არ უნდა თანაეგრძნო ღარიბ ხალხს? ამ სიტყვების გამგონე ხალხს როგორ არ უნდა ეთქვა იმისათვის „ღმერთი როდი წაახდენსო!“ და როგორ არ უნდა გაეხადა ის თავის გმირათ? ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ისეთ კაცს, რომელმაც რაიმე სიკეთე მოუტანა იმას, რომელიც რითიმე დაეხმარა იმის გაჭირვებულ მდგომარეობას და თანაგრძნობას უცხადებს“ (იქვე).

მეორე პუბლიცისტი—პ. უმიკაშვილი შემდეგნაირათ ახასიათებს არსენასა და მის მოღვაწეობას!

„არსენას ზოგნი ყაჩაღს ეძახიან... ეს ცრუ აზრია და არსენა ამგვარი ყაჩაღი არ არის, თუ კი ყაჩაღი დავარქვით. სხვანი კიდევ—არსენა ბატონყმობის წინააღმდეგ კაცთა ჰგონიათ და სხვა არაფრათა, მაგრამ კარგად რომ დავაკვირდეთ ბევრს და ბევრს სხვა მხარეს დავინახავთ... არსენაში გამოითქვა ბუნებითი, ღრმა სიყვარული სიკეთისა და ამ სიკეთისათვის თავის აღება და ბრძოლა კაცის დამჩაგვრელ ძალასთან, როგორიც უნდა იყოს ეს ძალა... მრთელმა ჩვენი ერის სიცოცხლემ ეს ძლიერი გრძნობა პირადის. კაცურის უფლების ჩანერგვა ჩვენს კაცში და ხალხში არსენა არის ამ ხალხის ნამდვილი შვილი და ამ გრძნობის გამომხატველი კაცი... იმაში იხატება გარკვევით და ცხადათ რა მწუხარება აწუხებს ჩვენს გლეხსა და რა იმედი აიმედოვნებს.“ („კრებული“ № 7, 1872 წ.)

ასეთს განმარტებას აძლევენ არსენასა და მის მოქმედებას ბურჟუაზიულად მოაზროვნე მწერლები. მათთვის არსენა არის მებრძოლი „კაცური კაცობისათვის“ ადამიანის განთავი'უფლებისათვის. მონური ბორკილებისაგან. ორივე პუბლიცისტს არსენაში მოსწონს ის დიდი გრძნობა, რომელსაც იგი იჩენს მისი თანამოძმე გლეხობისადმი. მისი აზრით არსენა გამოხატავს იმ გრძნობას და გონებას, რომელიც შემუშავებულია საუკუნეთა განმავლობაში ქართველ გლეხობაში: ეს გამოიხატება პირად თავისუფლების მოპოვებასა და სხვისადმი პატივისცემაში. ასეთი დახასიათება არსენა ოძელაშვილისა პირდაპირ გამომდინარეობდა ბურჟუაზიულ განწყობილებიდან და შეხე-

დულებებიდან. ბურჟუაზიული აზროვნება და იდეოლოგია ვერ თავსდება ფეოდალური წყობილების ვიწრო არტახებში, იგი პიროვნების დამცველად გამოდის, თავისუფალი შრომის აპოლოგეტობას ჩემობს, და პიროვნების თავისუფლებას იცავს მონობისაგან. არსებითად ეს დაცვა ფორმალური ხასიათისაა და მათი თავისუფალი შრომის პრინციპები ბურჟუაზიულ სასიცოცხლო ინტერესებზე არის აღმოცენებული: არსებითად ისტორიულ-სოციალურად პიროვნებისა, გლეხის განთავისუფლება ბატონყმურ მონობიდან ნიშნავს მის ახალ ბურჟუაზიულ მონობაში გადასვლას და ეს თანაგრძნობა ბურჟუაზიულ ინტელიგენციისა გლეხობისადმი გამომდინარეობდა არა გლეხობის სასიცოცხლო ინტერესებიდან, არამედ ბურჟუაზიული კლასის ინტერესებიდან. ამას ბურჟუაზიის მიმდინარე ინტერესები და მისი საჭიროება მოითხოვდა.

ს. მესხის და პ. უმიკაშვილის დახასიათებით არსენა უბრალო გლეხია, მაგრამ უფრო ჰკვიანი და რიანდული ხასიათის მატარებელი. არსენას პოლიტიკური ცხოვრების არაფერი გაეგება. იგი მოქმედებს ისე, როგორც ამას უკარნახებს მისი გრძნობები და გონება. ხოლო ეს გრძნობები და გონება გლეხური ხასიათისაა, გარკვეულ საზოგადოებრივ პირობებში შემუშავებული, უნდა ითქვას, რომ მათ მიერ დახასიათებული არსენა,—ეს დახასიათებაა „არსენას ლექსის“ მიხედვით, არის უმთავრესად შემუშავებული ახალ ისტორიულ სინამდვილესთან.

ასეთი ცხოველი ინტერესი, გამოწვეული 70—80-იანი წლების ჩვენს ლიტერატურაში და საზოგადოებაში არსენას პიროვნებით შემთხვევითი ხასიათის არ იყო, ეს ეპოქისებური მოთხოვნილებით არის გამოწვეული. საერთოდ ლიტერატურა საზოგადოებრივი აზროვნების სიღრმიდან ღებულობს მასალას თავის არსებობისათვის. რეფორმის შემდეგ პერიოდში ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტად საგრძნობი სოციალ-ეკონომიური ხასიათის ცვლილებანი მოხდა—ერთი მხრივ, გლეხობის უმიწაწყლოდ განთავისუფლებამ, მეორე მხრივ მემამულის კვლავ ბატონობამ, მესამე მხრივ—კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფმა განვითარებამ, მეოთხე მხრივ – ბიუროკრატიულ სახელმწიფო აპარატის დაწოლამ, კიდევ უფრო შეავიწროვა და გაანადგურა გლეხობა; მისი მეურნეობა გამანადგურებელ ცეცხლში მოხვდა; გლეხთა სტიქიურ-მასიური და ინდივიდუალური მოძრაობა რეფორმის შემდეგ პერიოდშიაც განვითარდა, ამ პერიოდშიაც გლეხთა საკითხი მთელი თავისი სიმწვავით წამოიჭრა. ჯერ კიდევ განუვითარებელ და ჩამორჩენილ გლეხთა წიაღიდან ახალი მებრძოლები გამოჩნდენ, ახალი არსენები წამოიშვენ. ასეთ

პერიოდში შეიწროებული ხალხი წარსულისაკენ იყურება და იგონებს მისი ინტერესებისათვის მებრძოლ გმირებს. არსენაზე უკეთეს გმირს იგი ვერ მონახავდა და ინტერესი ამ სახალხო გმირისადმი ამ პერიოდში უფრო გაცხოველდა და გაისკეცდა, ეს ხალხურ ლექსებშიაც აისახა. ვაჟაფშაველას, ერთ თავის მოთხრობის ბოლოს მოყვანილი აქვს ერთი ლექსი, რომელსაც საზანდარი დამღერის. ამ ლექსში გამოსახულია ხალხის გაჭირვება და მისი მჩაგვრელი ძალებია დახასიათებული, სოფლის ჩარჩის მიმართ ლექსში ნათქვამია:

ვინ გყავს პასუხის მგებელი
რომ სთქვა რა გასაკვირია
იცი რომ მიწამ შეჭამა,
ი ს მ ა რ ა ბ დ ე ლ ი გ მ ი რ ი ა (არსენა)
ქვეყანა დაობლებულა
. . . . . .
და უპირობა სჭირია
გაუსხვეპელი ვაჟკაცი,
არ სჩანს, აღარსად ჩხირია.
ვაჰ თუ დამადგეს გულზედა
ეგ გამოხრული ძვალია,
თუ სხვაფრივ წავხდით, მკლავებში
ხომ კიდევა გვაქვს ძალია.

(იხ. „ივერია“, № 16, 1890 წ).

მ ა რ ა ბ დ ე ლ ი გ მ ი რ ი ხალხის იდეალს შეადგენდა, ყოველი გასაჭირის დროს იგი ამ გმირის სახელს მიმართავდა. აქაც ვაჭრის თავგასულობა, მისი დაუზოგველი ექსპლოატაცია გლეხობისა იმის მიზეზია, რომ ვაჭარმა იცის, რომ „მ ი წ ა მ შ ე ჭ ა მ ა მ ა რ ა ბ დ ე ლ ი გ მ ი რ ი.“

ასეთ პირობებში, როდესაც ხალხის შეგნებაში კვლავ გაცოცხლდა არსენა, მისდამი ინტერესი გაცხოველდა, ბუნებრივია ლიტერატურასაც მიექცია ყურადღება ამ გმირისათვის და თავისი მოვალეობა მოეხადა ცხოვრების მოთხოვნილების წინაშე. 70-იან წლების ამ გაცხოველების საუკეთესო მაგალითები ჩვენ უკვე დავინახეთ: თითქმის ექვსჯერ გამოიცა „არსენას ლექსი“ და დაიწერა მთელი რიგი წერილებისა არსენას შესახებ.

80-იან წლებში ამ გაცხოველებული ინტერესის საუკეთესო გამომხატველი იყო ა. ყაზბეგის სამ-მოქმედებიანი დრამა „ა რ ს ე ნ ა.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

სიმონ ჯუნდაძე — ბესარიონ ჟღენტი 1
პოეტი სარდალი 5
დიმიტრი ყიფიანი 35
სოლომონ რაზმაძე და მისი ლიტერატურული მოღვაწეობა . . 63
ივანე მაჩაბელი 75
აკაკი წერეთელი 84
გიორგი წერეთელი 154
სამნი ძმანი—სამნივე თერგდალეულთგანი 209
ნიკო ნიკოლაძე 226
მაქსიმ გორკი საქართველოში 340
გალაქტიონ ტაბიძე 352
ს. შაწშიაშვილის შემოქმედება 370
არსენას ტიპი ქართულ მწერლობაში 390

ეროვნული ბიბლიოთეკა

Симон Хундадзе

ОЧЕРКИ

(на грузинском языке)

из-во Федерация
19 Тбилиси 41

რედაქტორი: ვ. კიკნაძე

* *

ხელმოწერ. დასაბეჭდად 18-III-1941 წ.
ტირაჟი 3000. წიგნის ზომა 6 x 10
საავტორო ფორმათა რაოდენობა 24,7
სასტამბო ფორმათა რაოდენობა 26
შეკვეთის № 178 УЭ 18331

* *

გამ. „ფედერაცია"-ს სტამბა,
თბილისი, პეტხანოვის, 181



ფასი ყდით 26 მ. 50 კ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5/125